

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი  
გადაკეთიობის კვლევის ცენტრი

# ტექნიკური მოწყობის

VI



თბილისი 2012

უაპ(UDK) 821.353.1(092გაბიძე გ.)

გ-17

სარედაქციო კოლეგია:

თეიმურაზ დოიაშვილი (რედაქტორი), ლევან ბრეგაძე,  
გასტონ ბუაჩიძე, ნინო დარბაისელი (პასუხისმგებელი მდივანი),  
ირაკლი კენჭოშვილი, ემზარ კვიტაიშვილი, როსტომ ჩხეიძე

გარეგანის დიზაინი –  
თენგიზ მირზაშვილი

მორიგე რედაქტორი –  
ნათია სიხარულიძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა –  
თინათინ დუგლაძე

---

გალაკტიონლოგია, VI, 2012

რედაქციის მისამართი: 0108, თბილისი, მერაბ კოსტავას ქ. № 5

ტელეფონი: 99-53-00

ელ.ფოსტა: galaktioni@hotmail.com

ISBN 978-9941-0-1052-1 (კველა წიგნის)

ISBN 978-9941-0-4612-4 (ზექვესე წიგნის)



ვინაც გაიგებს ჩუქურთმას ქართულს,  
ის პოეზიას ჩემსას გაიგებს!

— წერდა გალაკტიონი.

მისი შემოქმედების შესწავლის ისტორია უკვე საუკუნეს ითვლის. იმთავიდანვე მრავალსახოვნად გამოვლენილი საიდუმლო არსი გალაკტიონ ტაბიძის პოეზიისა მრავალ ლიტერატორსა თუ მეგლევარს იზიდავს. ძველ წაკითხვებს ახლები ცვლის და თუ ჩვენს ერს არსებობა უწერია, ასე გაგრძელდება სამარადისოდ, რადგან ამგვარია გენიოსთა ხელი.

ათი წელი გავიდა კრებულ „გალაკტიონოლოგია I“-ის გამოცემიდან.

ამ სერიის დღემდე გამოქვეყნებული ხუთი წიგნი, რომელ-მაც ფართო საზოგადოებრივი აღიარება მოიპოვა, არა მხოლოდ ქართული ლიტერატურათმცოდნეობის ახალი აკადემიური დარგის — გალაკტიონოლოგიის სახეს წარმოაჩენს, არამედ „გალაკტიონის აკლევის ცენტრის“ სამეცნიერო-ლიტერატურული მოდგაწეობის ცოცხალი მატიანეა. ეს მატიანე კი მრავალ სიახლესთან ერთად გვამცნობს, რომ „ცენტრის“ დაარსებიდანვე განსაზღვრული სამეცნიერო-კვლევითი სტრატეგიის განსახორციელებლად გაწეული საქმიანობა არ იყარგლება ოდენ მის მეცნიერ-თანამშრომელთა ინდივიდუალური მუშაობით. „ცენტრი“ კოორდინაციას უწევს სხვადასხვა პოზიციაზე მდგომ ქართველ და უცხოელ მკაფე-ვართა თანამშრომლობას, ზრუნავს უკვე გამოცდილი თუ ახალი სამეცნიერო ძალების მოზიდვასა და გაერთიანებაზე.

„გალაკტიონოლოგიის“ კრებულებში გამოქვეყნებულმა გამოკვლევებმა, წერილებმა თუ რეცენზიებმა თვალიათლივ

დაადასტურა ის, რაც იმთავითვე ცნობილი იყო გალაპტიონ ტაბიძის შემოქმედების მცოდნეთაფის:

ამ დარგში სრულყოფილი მუშაობისთვის ძალზე მცირეა მხოლოდ გალაპტიონის პოეზიის სიყვარული და კვლევის დაუძლეველი სურვილი, ან, თუნდაც, მისი პოეზიის განსაკუთრებული ისტორიული ორლის აღიარება,

ან მხოლოდ ფაქტოლოგიური მასალის ზედმიწევნით ცოდნა,

ან მხოლოდ თანამედროვე ლიტერატურულ-თეორიული აზროვნების მონაპოვართა შესწავლა,

ან მხოლოდ ქართული პოეზიის, ქართული ლექსის ბუნების შეცნობა,

ან მხოლოდ მეცნიერული აღლო...

მომავლის მგვლევარი-გალაპტიონოლოგი სინთეზურად უნდა ფლობდეს ამ ყოველივეს.

დარგი ამგვარ ახალ თაობას ელის!

დაე, ახალგაზრდა მეცნიერებს მეტისმეტად ნუ შეაკრთობს ეს სიტყვები. მათ დასაიმედებლად უნდა ითქვას, რომ დღეს-დღეობით უკვე არსებობს მეცნიერული ბაზა შემდგომი კვლევებისათვის, გამოკვეთილია მკაფიო ორიენტირები, გალაპტიონის პოეზია მოთავსებულია მართებულ კონტექსტში, რომელიც იქმნება ქართულ, დასავლურ და რუსულ ლიტერატურულ-კულტურულ კონტექსტთა სპეციფიკური შერწყმით. შეფასებული და შეჯამებულია გალაპტიონის ფენომენის რეცეფციის ძირითადი პარადიგმები, დაწყებული გალაპტიონოლოგიის ისტორიის სათავეებიდან დღემდე.

გალაპტიონ ტაბიძის საარქივო გამოცემის ოცდახუთტომეულის წყალობით უკვე სრულდად ხელმისაწვდომია პოეტის მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობა.

დღემდე ძალაშია და მეტადრე ახალგაზრდა თაობას მიემართება „ცენტრის“ მოწოდება, რომელიც „გალაპტიონოლოგიის“ პირველ კრებულშია გამოქვეყნებული:

„მობრძანდით ტრადიციონალისტებო, სტრუქტურალისტებო, დეკონსტრუქტივისტებო, პოსტმოდერნისტებო, პერმენევტიკის, რეცეფციული ესთეტიკის, მითოლოგიური სკოლისა და რაგინდარა მიმართულების მიმდევარნო! ვცადოთ ერთად მუშაობა, კვლევის შედეგების შეჯერება-გამთლიანება!“





## როსტომ ჩხეიძე

### საღამოები — ხავერდის ყდაში

მოგონებათა საღამოები.

გალაკტიონ ტაბიძის უამ-  
რავსა და ქაოტურ ჩანაწერებ-  
ში ამ სიტყვათშეთანხმებასაც  
გადააწყდებით.

და მისი შერჩევის მოტივ-  
საც ამოიკითხავთ.

ეს უნდა ყოფილიყო კომ-  
პოზიციური ქარგა თუ მთავა-  
რი ძარღვი იმ ავტობიოგრა-  
ფიისა, რომელის დაწერაც და-  
კადის შემდგომ განეზრახა.

ჯერ ავტობიოგრაფიისათ-  
ვის ვერ მოიცლიდა, დეკადი-  
სათვის უნდა მომზადებული-  
ყო, რაკიდა მასზე დიდ იმე-  
დებს ამჟარებდა. გარჯას არ  
აკლებდა თავის თხზულებათა  
პოპულარიზაციას ანუ ხალხ-  
ში გატანას, როგორც თვითონ  
იხსენიებდა და რასაც წიგნის  
შექმნაზე არანაკლებდ მიიჩ-  
ნევდა, მაგრამ ამ გზაზე გან-  
საკუთრებულ ნიშანსვეტებად  
დეკადები და ამგვარი თავჭ-  
რილობანი ესახებოდა.

ხელისუფლების უურად-  
ღება იქით მიპყრობილიყო,  
ასეთი შეკრებებისაკენ.

პრესაც იმათ უტრიალებდა.  
რადიომაუწყებლობაც იმათ  
გაუთქვამდა სახელს.

მერე ტელემაუწყებლობაც  
ჩაერთვოდა ვითომ ლიტე-  
რატურის, სინამდვილეში კი  
პოლიტიკურ პროპაგანდაში,  
მაგრამ მის ტრიუმფალურ  
სვლას გალაკტიონი ვეღარ  
მოესწრებოდა.

ყველგან კი უნდა გაედწია,  
ყველგან სათავეში მოქცეუ-  
ლიყო, ყველგან მის ირგვლივ  
დატრიალებულიყო აღმატე-  
ბული ეპითეტები.

მცდელობა ერთი გახლ-  
დათ, ადსრულება — სხვა, და  
რამხელა წარმატებისთვისაც  
უნდა მიედწია, ყოველთვის მა-  
ინც უკმაყოფილო რჩებოდა,  
მეტი დაფასება მექუთვნოდაო.

გარჯას არ აკლებდა თა-  
ვის თხზულებათა პოპულარი-  
ზაციას ანუ ხალხში გატანასო...

ტოლფასოვნად მიიჩნევდა  
შემოქმედებით პროცესსა და  
ახალი თხზულების ჩაბეჭდ-  
ვას საზოგადოებრივ ცნობი-  
ერებაში.

კერ დაელოდებოდა გაურ-კვეველ, ბინდში გაწოლილ მომავალს.

ახალი თაობების იმედად კერ იქნებოდა, თუნდ თავიც დაერწმუნებინა და სხვანიც, რომ მისთვის დღესავით გახლდათ ნათელი, თუ რას იტყოდა მასზე შთამომავლობა.

ერჩივნა, რომ თვითონვე დაესახა ორიენტირები და თავისი შემოქმედება გადაეცა, როგორც ძვირფასი ლიტერატურული მემკვიდრეობა, რომლის შეთვისებაც ევალებოდათ იმათ, მხოლოდ შეთვისება და არა ხელახალი აღმოჩენა.

მკაფიო მრწამსადაც ჩამოყალიბებინა:

— ერთი საქმეა წიგნის და-წერა — წიგნის შექმნა, მეორე კი ამ წიგნის ხალხში გატანა.

და დაბეჯითებითაც ასაბუთებდა, თეორიულ განსჯას მწველი ემოციებიც რომ შეკრეოდა და მით უფრო სარწმუნო შეიქნებოდა მტკიცება შეუთანასწორებელ მოვლენათა შეტოლებისა. მოჩვენებითა ეს შეუთანასწორებლობაო, ამ ფარულ მოტივზე ამოებვეოდა მსჯელობა.

— გაძღვლა უნდა წიგნს. წიგნი სულიერ არსებად უნდა აქციო. წიგნი რომ ფეხის ადგმას იწყებს, სანამდე თვით ივლიდეს, ის შენ უნდა წაიყვანო, გაუძღვე შემდეგში წინ დიდის თვალყურისდევნებით,

რომ ის არ წაიქცეს, როგორც ეს ემართება ახალფეხადგმულ ბავშვს. დიდი გულმოდგინება, დიდი უურადღება. აქ მარტო ავტორი ვერას გახდება: საჭიროა უურადღება ორგანიზებული მასის, თვით იმ მასისა, ვისთვისაც შექმნილია თვით ეს წიგნი.

საბჭოთა კაგშირის მიღმა სხვაგვარი წეს-კანონით ხდებოდა წიგნისათვის სახელის გათქმა — უპირველესად გამომცემელნი ზრუნავდნენ და არა მწერლები, რომელთაც წიგნის შექმნა ევალებოდათ და არა მისი გაძღვლა, და არცერთი იმათგანი არ აიგივებდა ახალგამოცემულ წიგნს ახალფეხადგმულ ბავშვთან, რათა ისეთივე სიფრთხილით, გულმოდგინებითა და უურადღებით მოპერობოდნენ და გადაერჩინათ მოსალოდნელი წაქცევისაგან.

წიგნი — ბავშვი.

ამგვარი შეთანასწორება ისედაც შემძვრელია და ღრმად დამაფიქრებელი როგორც ფსიქოლოგიური, ისე ესთეტიკური თვალსაზრისით, და მითუმეტეს — გალაკტიონისაგან, ვის მხატვრულ ხილვებსა და წარმოსახვებშიც ბავშვის სიმბოლიკა ერთი ყველაზე იდუმალი და შთამბეჭდავია.

და რამხელა წარმატების-თვისაც უნდა მიეღწია, ყო-

გელთვის მაინც უქმაყოფილო  
რჩებოდა...“

გაბეზრებით მაინც არ გა-  
ბეზრდებოდა.

ხელს არ ჩაიქნევდა.

პოეტთა შეჯიბრების არც-  
ერთ ასპარეზს არ გამოეცლა-  
ბოდა.

ახლაც დეკადა აღმართო-  
და ბარიერადაც და... საოც-  
ნებო, გრანდიოზულ სცენა-  
დაც, და ეს იმის მიხედვით,  
თვითონ რა მარიფათს გამო-  
იჩნება და ან მანამდელ სამ-  
ზადისს როგორ წარმართავ-  
და და ან ბედიც როგორ გა-  
უდიშებდა.

დიდი განცდანი და მდელ-  
ვარებანი უკავშირდებოდა დეკა-  
დასა თუ მის მსგავს შეხვედ-  
რა-თაგვრილობებს, თუმც მის  
ჩანაწერებში მოელი ეს განც-  
და-მდელვარებანი ასე უბრა-  
ლოდ, თითქოს სასხვათაშო-  
რისოდ აღიძეჭდებოდა: „დე-  
კადის შემდეგ...“

და დეკადის შემდეგ იმი-  
ტომ, რომ მართლა ავტობი-  
ოგრაფიის შედგენას კი არ  
აპირებს, თარიღებზე ასხმუ-  
ლი ბიოგრაფიული ფაქტები-  
სა, არამედ ავტობიოგრაფიუ-  
ლი ყაიდის ვრცელი თხულ-  
ებისა.

ზოგადი აგებულება წი-  
ნასწარვე მოეხაზა და ეს ისე  
მტკიცედ გადაეწყვიტა, ზედი-  
ზედ ორჯერაც გაიმეორებდა:

— კარგი იქნება მოგონება-  
თა საღამოები.

ცხადია, თხრობასაც არ  
გაერიდებოდა და მარტო-  
დენ კოლაჟურ ქარგას არ  
იქმარებდა.

ცხადი ვითომ რატომ, ეგებ  
იმ სადამოთა გააზრებისას  
სწორებაც ჩანახატოთ თუ მი-  
ნიაბურათა ციკლითაც შემო-  
ფარგლებლიყო?

ასე ვერ შივხვდებოდით, რა  
როგორ ჩაეთქვა, რაკიდა ბე-  
ლეტრისტ გალაკტიონ ტაბი-  
ძეს არ ვიცნობოთ და დაბეჯი-  
ოთებით როგორდა ვივარაუ-  
დოთ, თხრობის როგორი მა-  
ნერისაკენ ექნებოდა მიდრე-  
კილება ვრცელ თხულებაში,  
მაგრამ რაკიდა ხელო გვაქს  
აკაკი წერეთლის ავტობიოგ-  
რაფიული რომანი „ჩემი თავ-  
გადასავალი“, უკვე აღარაა  
ძნელი ამოსაცნობი გალაკტი-  
ოის იმ განზრახული ავტო-  
ბიოგრაფიული თხულების  
ზოგადი სტრუქტურა.

სადამოთა ციკლის მოსა-  
ლოდნებლობა ხომ თვითონვე  
გაგვიძებილა.

და ეს ციკლი შეიმოსებო-  
და თხრობის გაშლილი ნაკა-  
დითაც — ბავშვობისა და ყრმო-  
ბის ხანას რომ მოიცავდა.

ზუსტად ისევე, „ჩემი თავ-  
გადასავლის“ კომპოზიციური  
სტრუქტურა როგორც წარ-  
მოგვიდგება.

ამბებთან ერთად ლიტე-  
რატურული სილუეტები თუ  
პორტრეტებიც, ეს უკვე იმის-  
და მიხედვით, გალაკტიონი

როგორ ასწევდა ამ სამწერლო ქანრს, სიღუებს იქმარებდა თუ პორტრეტადაც აღამაღლებდა, აკაკისა არ იყოს, მცირე ასხმულაში პორტრეტთა წარმოსახვის განსაცვიფრებელ ხელოვნებას რომ გვიდასტურებს და გვიძეჯითებს მისი ტალანტის ამოურწყაობას, ამ ქანრშიც რომ სრულყოფილებისთვის მიეღწია.

ასე რომ:

გადაკრიონის ის „მოგონვბათა საღამოები“ სხვა არაფერია, თუ არა სიღუებად ან პორტრეტთა (ანდა მათი მონაცემებითი) სერია.

და ისიც გამჟღავნებულია, თუ ვინ უნდა ყოფილიყვნენ ამ ქმნილების პერსონაჟები, გამჟღავნებული თანაც მწვავე პოლემიკური პათოსით.

ეს საღამოები უნდა ყოფილიყო:

— არა იმ ხალხისა, დღეს რო მწერალთა კავშირში თარეშობენ.

მისთვის ეს გამიჯვნა პრინციპული გახდდათ.

მწერალთა სასახლეს „სამგლედ და საძაღლედ“ რომ ისესენიებდა თავისთვის ჩანიშნულ და უკეთესი მომავლისათვის გამიზნულ ლექსში, „ბერიას კუდებით მოდებულად“, სწორედ ამ მოთარეშეთ გულისხმობდა, მთავარ საყრდენს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისაც და საიდუმლო

სამსახურისაც, თორემ რას ერთოდა იმ მწერლებს, ყოველ წამს დასმენა რომ მოელოდათ, გაწამებულიყვნენ ცენტურასთან ჭიდილითა და ჩეკისტური კრიტიკის თავდასხმებით და ვაიგაგლახით უნდა მოეპოვებინათ პური არსობისა.

ეს იმათ საღამოებს გახდევს ამ სასახლის ცხოვრება — ბერიას კუდების.

იმათ განდიდებას ემსახურებოდა აქ ყველაფერი.

ისინი გამოცხადებულიყვნენ ილია ჭავჭავაძის სულიერ შემკვიდრებად და ერის მამებად, გაყალბებულად, გაუკულმართებულად წარმოსახული ილიასი, რომელიც სინამდვილეში გალაკტიონ ტაბიძის წინამორბედი უფრო გახლდათ თავისი სტილისტიკით, იმ მძაფრი ელევაური განწყობილებებით, ასეთი მახლობელი რომ შექმნილიყო „არტისტული ყვავილების“ შემოქმედისათვისაც.

არა იმ ხალხისაო...

მიუკერძოებლად, მკაცრად თუ სატირულად რომ ჩაეხატა ის ამაზრზენი, გულმიუვალი სახეები, არც მაშინ?

გამოქმნებით ვინ გამოუქვეყნებით დაუნდობელი რედაქტორულ-ცენტურული ჩარევის გარეშე.

მაგრამ მარტოდენ ეს მოსალოდნელი პერსპექტივა არ გაარიდებდა რაღაც ამგვარ

ჩანაფიქრს.

ისედაც ვერ მოცდებოდა უამჟრ სახეთა ჩასახატად, უკეთურ ადამიანთა ნიღბების ჩამოსაგლეჯად.

სხვა რამ უფრო ადგელვებდა და და უპირველეს საზრუნავადაც ის ესახებოდა.

სხვა სახეები უფრო იზიდავდა.

სხვანი უფრო მოელოდნენ მისი სელის შეხებასა და გაცოცხლებას.

და ჩამოჰყებოდა და ჩამოჰყებოდა იმ სახელებს, რომელთაგანაც – იმ დროისა რა მოგახსენოთ და – დღესდღეობით მკითხველს არაერთი საერთოდ არ ეცნობა, და ვინც ეცნობა, ერთო-ორი პიროვნების გამოკლებით, ისიც ყურმოკვრით უფრო.

აბა და ჩავლეთ თვალი ამ ჩამონათვალს, გალაკტიონი ასერიგად რომ განიცდის, ვინაა ამათი მომგონებელიო:

– დათო ჭიპაძის, სანდრო ყანჩელის, დ. ჭკედლაშვილის, რამანა ბებიაშვილის, დათოკო ღოღობერიძის, დ. გაბრუაშვილის, ლადო მაჭავარიანის, გრანჯლის, საგანელის, (...) ლიაშვილის, ეთიმ გურჯის, ქნარის, გ. ქუჩიშვილის, გ. შინაგამის, გველებიანის, ჩუდეცკის, იოსელიანის, დარია ახვლედიანის, განდეგილის ქალის, ჭაგნელი ბზიკის, არნო ონელის, შიო მღვიმელის, დ. ავლიაშვილის,

შალვა ამირეჯიბის, ტიციან ტაბიძის, პაოლო იაშვილის, ალ. არსენიშვილის, მეორე ამირაჯიბის (შენ მუდამ დამეს), ბაბუა ვერელის, ნიკო გოცირიძის, აკაკი ბერეკაშვილის, ირაკლი ტოფაძის, ილიკო ქურხულის.

მხოლოდ ამ ოთხ პიროვნებაზე აღარ ვრცელდება გალაკტიონის წუხილი: ვინაა მომგონებელიო – იეთიმ გურჯზე, ტიციანზე, პაოლოსა და ტერენტიზე.

აი, სხვანი კი...

საგულისხმოა იმ მემუარული თხზულების ის თავისებურებაც, რომელიც ჩაეთქვა და ამავე ჩანაწერში ამჟღავნებდა:

– კარგი იქნება არა მწერალთა, არამედ მწერლებთან ახლო მყოფ ადამიანების მოგონებები. ოო, ეს ძლიერ კარგი იქნება, მაგრამ არიან კი ისინი ეხდა ცოცხალი? სად არიან? ვინ მოსძებნის მათ? ვინც გადარჩა...

„ოო“ – ეს აღტაცებული წამოძახილი მისოფისვე მოულოდნელ იდეას გამოუწევია.

მწერლებთან ახლო მყოფი ადამიანების მოგონებანი...

არ კმარობს მარტოდენ საკუთარ დაკვირვებებსა და შთაბეჭდილებებს, არ ენდობა მხოლოდ საკუთარ მეხსიერებას, რაკიდა სალიტერატურო ფონის საგმაოდ ვრცელი წარმოსახვა განუზრახავს.

ამისთვის კი ერთი პიროვნების მოგონებანი უკმარად მიაჩნია, თუმცი საერთო პანორამა სხვათა სხვანაში ჩარჩენილი წუთებითაც არ შეიგვება.

თვითონ მწერლები ასეთ დროს გადამეტებულ სუბიექტივიზმს, აშკარა მიკერძოებას გამოიჩენენ?

მაგრამ ხომ არიან მწერლებთან ახლო მყოფი ადამიანებიც, უანგაროდ შეევარებულნი ლიტერატურაზე და საკმაოდ ჩახედულნი მის მდინარებაში, უფრო სანდო და დამაჯერებებულ რეალიებს თუ ფრაგმენტებს რომ აღადგენენ?

ეს მიგნება აღაფრთოვანებდა გალაკტიონს.

ეგაბა. სანდონი კი არიან, მაგრამ...

არიან კი ცოცხლები? გადაურჩენ კი სახელმწიფო საშიშროებას ანდა განუწყვეტელი სტრესის ნელადმოქმედ საწამლავს?!

და თუ კვლავაც შემორჩენიან წუთისოფელს, მოსაძებნი გამხდარან, ვინ იცის, სად მიმოფანტულნი და... გალაკტიონ ტაბიძეს უნდა მოუწიოს მემუარისტობასთან ერთად უურნალისტისა და მკვლევარის როლის შეთავსებაც, რათა ჩანაფიქრი შესაფერისადაც აღსრულდეს.

თადარიგს იმით დაიჭერდა, რომ მესიერებით აღადგენდა ამა თუ იმ მწერლის საცხოვ-

რისს და შეეცდებოდა ისინი ბინების აღგილმდებარეობის მიხედვით დაეჯგუფებინა.

„წინათ, ზევით მთაწმინდაზე ცხოვრობდნენო“, – ჩაინიშნავდა და... ბარემ იმ პიროვნებებსაც გაურევდა თავის სიაში, რომელნიც მის ამ მოგონებათა საღამოების პერსონაჟებად არ იგულისხმებოდნენ: ეს ზაქარია ჭიჭინაძეო, ეს ვახტანგ კოტეტიშვილიო, ეს იოსები იმედაშვილიო, ეს ია ეგალაძეო, ეს იაკობ გოგებაშვილიო...

ისე ეგებ მერე და მერე მათი სახებანიც დასჭირებოდა თავის ავტობიოგრაფიაში.

მთლად შემთხვევით არ უნდა იყოს მათი სახელები მოხსენიებული მთაწმინდის ბინადრებად.

ჯერჯერობით კი უფრო მნიშვნელოვანი გახლდათ მისთვის, რომ იმ მიდამოებში სახლობდნენ: გ. შინაგაებულიც, გ. ობოლაშვილიც და ნინო მაჩაბელიც.

მეც ხომ ერთხანს იქ ვცხოვრობდიო, გაიხსენებდა და კიდეც შეაგვებდა სიას: გ. ტაბიძე.

თითქოს ბუთლიაშვილსაც იქ უნდა ეცხოვრა?

მეხსიერებას დაძაბავდა და დააზუსტებდა, რომ იგი რიყებულებულ ცხოვრობდა, ქმასთან.

სერგეევის ქუჩაზე კი ბინადრობდნენ პაოლო და ტიციანი.

საგანგებოდ აღნიშნავდა  
და თავის ნუმერაციაში მე-10  
ადგილს მიაკუთვნებდა, რომ:

— შინატეხელთან იქრიბე-  
ბოდნენ: ი. ევდოშვილი, ბეგ-  
ლარ ახოსპირელი, ქუჩიშვი-  
ლი და ვინ არ გინდა.

ეტყობა, თვითონაც ხშირი  
სტუმარი უნდა ყოფილიყო.

აბა, საღამოები იქ იქნებო-  
და თუ იქნებოდა.

და ეგებ მოგონებათა საღა-  
მოების (ციკლის შთამაგონე-  
ბელი სწორედაც ეს ბინა (თუ  
უფრო სახელოსნო) იყოს?!).

ნება თვითონ შინატეხელი  
ვინ გახლდათ, რა შეექმნა, რა  
კვალის დატოვვებას ფიქრობ-  
და — მხოლოდ გულლია და  
კარლია პიროვნება ბრძანდე-  
ბოდა, პურმარილიანი და კარ-  
გი მომლენი და იმიტომაც  
გადაქცეულიყო მისი საცხოვ-  
რისი მწერალთა და მწერლო-  
ბის მოყვარულთა საკრებუ-  
ლოდ, დაუსრულებელ სერო-  
ბათა ნავსაყუდელად თუ ლი-  
ტერატურული ინტერესებით  
მოცულიყო და, თვითონ თუ  
იმდენსაც და ისე მნიშვნელო-  
ვანსაც ვერას ქმნიდა, სამა-  
გიეროდ სხვებს ებადებოდათ  
მის გვერდით ახალ-ახალი  
იდეები და მხატვრული სა-  
ხეები და, რაც მთავარია, შე-  
მოქმედებითად აენთებოდნენ  
ხოლმე.

ალი არსენიშვილისა არ  
იყოს, გალაპტოონის დაუწერე-  
ლი ავტობიოგრაფიული თხზუ-

ლების კიდევ ერთი პერსო-  
ნაჟის, ვისაც ამდენი ლექსი  
მიეძღვნა თანამოკალმეთაგან  
და, ამ ლექსთა აღმტაცი პა-  
თოსის მიხედვით, ესთეტიკუ-  
რი გემოვნების უდავო კანონ-  
მდებლად წარმოგვიდგება.

მისი მცირეზე მცირე ლი-  
ტერატურული მემკვიდრეო-  
ბა თავისთავად არ იწვევს ამ  
ავტორის ასერიგად აღზევე-  
ბის საშუალებას, თუმც მისი  
იმ რამდენიმე ესეის გადა-  
კითხვა მიგვახვედრებს, თუ  
რაოდენ ღრმად გაეაზრები-  
ნა თუნდ XIX საუკუნისა და  
ახალი ასწლეულის დასაწყი-  
სის ქართული სამწერლო  
პროცესი, რაოდენ მარჯვე და  
საგულისხმოა მისი დაკირ-  
ვებანი და არაერთი ფრაზა  
ლიტერატურულ ფორმულად  
თუ თეზისად წარმოგვიდგე-  
ბა, რომელთა მოშველიები-  
თაც შესაძლებელია ვრცელი  
მსჯელობა-ახალიზი გაიშა-  
ლოს, საილუსტრაციო მასა-  
ლით შეგსებული კი არამცოუ  
ნარკვევებად, სულაც მონოგ-  
რაფიებად გამოიკვეთოს.

და თვალნათლივ ვრწმუნ-  
დები, თუ რას აღეტაცა ამ პი-  
როვნებით მისი თანამედრო-  
ვენი, უკეთეს და უკეთეს გპი-  
ორებებს რომ ეძიებდნენ მისი  
ზეგავლენის ნათელსაყოფად.  
და მისადმი მიძღვნილ ლექ-  
სებსაც დასახრული არ უჩანდა.

ამისთანა იდეები თუ დაგ-  
ვირვებანი უხვად მიმოიფან-

ტებოდა ალი არსენიშვილის გარშემო, მცირე მეგობრული სერობა ერქვა თუ დიდი ნადიმი, მისი მგზნებარება ექსპრომტად ახვავებდა შთამაგონებელ ფრაზებს და, ვინ იცის, ამ შეხედულებებმა თუ მიხვედრებმა რამდენი კარგი რამ შვეს ჩვენს ლიტერატურაში, სად ამოჰყვეს თავი, რა ცვლილება განიცადეს, როგორ შეიცსნენ, ხან ეგებ ამ იღებებთან ჭიდილმაც გამოიწვია შემოქმედებითი მუხტის გაძლიერება ამა თუ იმ თანამოკალმის სულში.

და გენანება, ძალიან გენანება, თავისი ეკერმანი რომ არ გამოუწნდა ალი არსენიშვილს.

ეკერმანი მხოლოდ გოეოეს არა სჭირდება.

უფრო ზუსტად, გოეოეზე მეტად სწორედ ალი არსენიშვილისთანა პიროვნებებს სჭირდება. ბოლოსდაბოლოს, გოეოე არამარტო გამაოგნებელ ლიტერატურულ მექანიზმების დაგვიტოვებდა, არამედ ავტობიოგრაფიულ რომანსაც „პოეზია და სინამდვილე“, და მისი ზეგავლენის კვალი თვალდათვალ შეგვიძლია დავადასტუროთ მის თანამედროვეებზეც და შთამომავლობაზეც.

აქ კი პიროვნება, გარდაცვალებასთან ერთად, ქრება და ის ადმტაცი ეპითეტები იორნიად უფრო მოჩანს ჩამომავალთა მზერაში, ვიდრე პი-

რუთვნელ შეფასებად, რაკიდა იმ აღფრთოვანების ხელშესახები დასტური ბევრი ვერაფერი გვიპოვნია.

არადა, სამწერლო პროცესისა და ხან სულაც ძვრების შეაგულში მოქცეულიყვნენ და სადავეებისკენაც გაურბოდათ ხელი.

ალი არსენიშვილის ზეგავლენის წრეში გალაკტიონიც მოქცეულიყო, ცისფერყანწელებზე ნაკლებად, მაგრამ რაღაც კვალი მასთანაც უთუოდ იჩენდა თავს.

და თუ იმათგან განსხვავებით პოეტური სტრიქონებით არ შეასხამდა ხოტბას, აგერ მისი პორტრეტის ჩახატვა განეზრასა.

თუმც შინატეხელთან გამართული სადამოები სხვაგვარად აღანთებდა მის წარმოსახვას და ყველაზე ძალიან იქაურობას მისტიროდა, ვინაა მომგონებელიო.

თვითონ რაც შეეძლო, თავს არ დაზოგავდა.

მთავარია მოეცალა მემუარული ჩანაწერებისათვის და დეკადის დასრულების შემდეგ რაიმე დამაბრკოლებელი მიზეზი არ გამოხდართვოდა.

სამწერლო კულუარები აღწერას ითხოვდა.

და ვის შეიძლება აღეწერა იქ მიმდინარე ცხოვრება, თუ არა მას, ვინც თვითონებე მოიფიქრებდა ასეთ ორიგინალური იდეას მხატვრულ-დოკუმენტ-

რი თხზულების თხრობის გასაშლელად.

მაიცდამაინც კულუარები?!.

სალიტერატურო პროცესის ამ დინებასაც უნდა გამოუჩნდეს ხოლმე თავისი მეისტორიე – თუნდაც იოსებ გრიშაშვილმა რომ ჟეგვიქმნა „გველი ტფილისის ლიტერატურული ბოჟება“, თოთქოსდა ნაკლებ მნიშვნელოვანს, მეორეხარისხოვან სამწერლო მოვლენათა ქარგაზე, მაგრამ ისეთი მონუმენტურობით წარმოსახავდა და პერსონაჟებს ჩაგვისატავდა, უამწიგნოდ ვედარც წარმოგვიდგენია ჩვენი საზოგადოებრივ-კულტურული სინამდვილე, არა მხოლოდ ისტორიული ხანის სურათად, არამედ ცოცხლად საკითხავ თხზულებად, რომანივთ რომ წარიტაცებს მკითხველის გულსაც და გონიერასაც.

გალაკტიონის ინტერესიც აქეთ წარიმართებოდა.

იოსებ გრიშაშვილისათვის დაუვიწყარი გახდდათ ის სამწერლო ნაკადი, ვერ შეკლებდა იმ ადამიანთა ხსოვნას, ამ ნაკადს ვინც ქმნიდა, და მონატრების განცდაც მოანდომებდა ამ პროცესის გააზრებასა და შემონახვას.

მონატრების განცდა მკაფიოდაა შესამჩნევი გალაკტიონის ჩანაწერშიც, ოღონდა აქ დამაფიქრებელი ისაა, რომ

იგი კულუარული სამწერლო პროცესის შემონახვასაც კი არ ესწრაფის მთავარ ნაკადთან ერთად, არამედ... უფრო აღგილებს უნაცვლებს მთავარსა და კულუარულს.

წინანი უკანა და უპანანი წინაო, – ამგვარ ცვლილებათა მოსალოდნელობას ჯერ კიდევ ბიბლია გვამცნობდა და გალაკტიონს, ეტყობა, განეზრახა ამ ბიბლიური შეგონების კვალობაზე ავგო ავტობიოგრაფიული თხზულების თხრობა.

მწერალთა კავშირში მოთარეშენი კიდევ ცალკე.

მაგრამ ხომ იყვნენ ის მწერლები, სალიტერატურულ პროცესს ვინც ქმნიდა, მის იმ ძირითად დინებას, რომლის მონაწილე გალაკტიონიც გახდდათ, მათი ადგილი სად იქნებოდა იმ მემუარისტულ ქმნილებაში?

გაელვებით ალბათ ისინიც გაიყელვებდნენ, მაგრამ არა იმ მდუღარებით, კულუარებს როგორც მისტიროდა და ალბათ ნამცეცნამცეც შეაგროვებდა ცხობებს იმ ნაკადის უკეთ წარმოსაჩენად.

მოგონებათა საღამოებიო – სწორედ მდუღარებით გაითანგებოდა.

სხვებს... დაე ექმარათ ავტობიოგრაფიული წიგნის შემთხვევითი პერსონაჟობა.

რა კულოო – მეტს არ გაიმეტებდა.

თორემ აგერ მურმან ლე-  
ბანიძის „ათი დღე გალაკტი-  
ონთან“ – მოსკოვში ქართუ-  
ლი კულტურის დეპადა (1958  
წლის 21 მარტიდან თვის ბო-  
ლომდე) რომ გაშლია ფონად  
და ერთ მონაცემში საგანგე-  
ბოდ შეუდარებს ერთმანეთს  
„ლურჯა ცხენების“ შემოქმე-  
დის დეკადის დღიურიდან ორ  
ამონაწერს.

ერთი ეს არის:

– დღეს მურმან ლებანი-  
ძე მეპატიუებოდა, ვიდაც ორი  
რუსი პოეტი ცხოვრობსო აქ...  
მე უარი ვკუთხო. მურმანს  
აუდია გუშინ ანტოლოგიის  
პონორარი. მეც ხომ მეგუთვ-  
ნის! მივალ იქ ზეგ ანტოლო-  
გიისთვისაც, „იზვესტიისთვი-  
საც“, „პრავდისთვისაც“.

და მოგონების აგტორი  
დასძენს: მე ამ სტრიქონებ-  
ში გალაკტიონისაგან მურ-  
მან ლებანიძის ვერც ქება  
ამოვიკითხე და ვერც ძაგება,  
საქმიანი ჩანაწერია და მეტი  
არაფერი.

ამიტომ არც ამოსაწერად  
გაირჯებოდა და არც კომენ-  
ტარის დართვისათვის, აქვე,  
ამავე დღიურში მეორე ჩანა-  
წერიც რომ არ არსებობდეს,  
23 მარტის ლამის იდენტური  
პასაჟი საგულისხმო განსხვა-  
ვებით, რომელიც ანალიზისა-  
კენ უბიძგებდა და ზოგიერთ  
გარემოებასაც გაათვალისაჩი-  
ნოებდა.

– ლეონიძე შემხვდა სას-

ტუმროსთან. მითხრა: – არ  
გისადილნია, კაცო?! მოდი  
აქ შავიდეოთ. მას დაეთან-  
ხმა ქუთაოელიც. მე ვკუთხი-  
რი, საქმეზე მეჩქარება-მეო-  
ქი... „დროშები მაღლა, მაღლა,  
სულ მაღლა!“

ორი აზრი არ შეიძლება  
გაჩდეს ამ ორი ტექსტის შე-  
დარების შედეგადო, – ოდნა-  
ვადაც არ დაეჭვდებოდა თა-  
ვის მიხედრაში მოგონების  
ავტორი:

– ურყევად დაჯერებული  
თავის შეუვალ სიდიდეში, გა-  
ლაკტიონი გაღიზიანებულია  
უფროსი თაობის პოეტებით  
საერთოდ და კერძოდ ლეო-  
ნიძით – ყველაზე მნიშვნე-  
ლოვანით მეტოქეთა შორის,  
აგრეთვე ჩემი საყვარელი პო-  
ეტით, რომელიც მას (გენი-  
სეს!) თავს უტოლებს...

ხოლო მურმან ლებანიძესა  
და მიხონებს რაც შექმნადა?

– ეს ხალხი სცხობს გა-  
ლაკტიონის სიდიდეს, ეს  
ხალხი არ შედის ოპოზიცი-  
აში და გალაკტიონი ყოველ  
მათგანს თავთავისას მიაგებს  
ნიჭიერებისა და კიდევ სხვა  
ზოგი რამის გათვალისწინებით...

ესეც შედეგი იმ ანალიზი-  
სა, რაც ნაკლებად გახლდათ  
მოსალოდნელი მკვლევართა-  
გან – ძნელად, რომ ვინმეს  
მოფიქრებოდა ამ ორი ტექს-  
ტის ურთიერთშედარება ფსი-  
ქოლოგიური კუთხით, უფრო  
ზუსტად, ქვეტექსტებისა, რო-

მელიც ხელიდან გასაშვები ნამდვილად არ გახლდათ. და მისი მოთაყფნე უმცროსი თანამოკალმე კიდეც ჩაუკვირდებოდა ამ ვითომდა წერილმანს არა მარტოდენ წამიერი განწყობილების, არამედ პიროვნული დამოკიდებულების ნათელსაყოფად.

ახალი თაობებიდანაც გამოუჩნდებოდნენ გალაკტიონს მეტოქენი თუ მოშუდარნი, არც შთამომავალთაგან მოაკლდებოდა შემეტოქება თუ მისი დაპნიხების ჟინი, მაგრამ ეს მაინც სხვა გახლდათ, უმავ უმაღლეს მწვერვალზე აიტყორციებოდა მისი სახლი, აოეზიის სიმბოლოდაც კი დაისახებოდა და ადარც ჯაჯგური თუ ძუძგური შეაწუხებდა მის აჩრდილს, ისევე, როგორც მოწყალე დიმილით მიმოხედავდა ხოლმე ახალწამოჩიტულ პოეტებს, რომელნიც უგვე კვალში ჩადგომოდნენ, მაგრამ არა მდევნელებად, არამედ მისი უთვალავფურა მხატვრულ-ესთეტიკური სამყაროს ცალკეულ ხაზთა თუ მოტივთა, რიტჰებისა თუ მხატვრულ სახეთა, იდეათა თუ განწყობილებათა გამგრძელებლებად.

უფროსთაობელთაგან თუ თანატოლთაგან, უმცროსებისგანაც, ოდონდ ასაკით შედარებით რომ მიახლოებოდნენ, კიდრე მთლად ახალუხები, თითქმის არავინ

სცნობდა მის სიდიადესა და გამორჩეულობას და თვით ხარიტონ ვარდოშვილიც კი, კინც ლიტერატურის ისტორიას თუ შემორჩენია გოეთესა და შილერის უსახური თარგმანებით, ამრეზით შეჰქერებდა მის სწრაფვას პირველობისაკენ და ოთარ ჩხეიძესთან პირადი საუბრისას გაიხსენებდა, თუ როგორ არ დაესწრო იმის კურთხევას პოეტთა მეფედ.

რომ არ დაესწრო, ეს კიდევ არაფერი, მთავარი ის გახლდათ, მოსაწვევ ბარათზე რაც წაეწერა და უკანვე დაებრუნებინა გალაკტიონისათვის, ვისაც, ჩვეულებისამებრ, მოსაწვევი ბარათებიც ჩამოებეჭდა: გთხოვთ მობრძანდეთ გალაკტიონ ტაბიძის პოეტთა მეფედ კურთხევის ცერემონიაზეო, — დღის, საათისა და ადგილის მითითებით.

და სახტად დარჩებოდა, ხარიტონ ვარდოშვილის ორნიულ პასუხს რომ ამოიკითხავდა:

— მე სოციალ-დემოკრატი გახლავართ და მეფეებს არა ვცნობ.

ამისგან გაუკვირდებოდა, მეგობრად რომ ეგულებოდა, თორემ სხვათაგან უპავ მიჩვეოდა ჯიბრსაც, მეტოქეობასაც და გაშიშვლებულ მტრობასაც, თვით იმათგან, აღტაცებულნი რომ შეეგებენ მის პირველ სტრიქონებსაც და პირველ პოეტურ კრუ-

ბულსაც. თითქოს ვერც ვერა-  
ვითარ ხარვეზებს ამჩნევდნენ  
და ვერც ვერავითარ გავლე-  
ნებს, რისგან თავდაღწევაც  
პოეტური გზის დასაწყისში  
თვით გალაკტიონისთვისაც  
ადგილი არა ყოფილა.

ისეთ ეპითეგებს მოიხ-  
მობდნენ, დებიუტანტს მგონი  
კიდეც აწითლებდნენ, თვით  
ასეთ დებიუტანტს, მტკიცედ  
დარწმუნებულს თავის სი-  
დიადეში – ტიციან ტაბიძეც,  
პაოლო იაშვილიც... მაგრამ  
საქმარისი იქნებოდა „ლურ-  
ჯა ცხენებისა“ და „ეფემე-  
რას“ გამოქვეყნება და გა-  
ლაკტიონის ჭეშმარიტი სახის  
გამოჩენა, ერთბაშად რომ აიჭ-  
რებოდა დიდ სიმაღლეზე, და  
პაოლო ამ უჩვეულო მოვლე-  
ნას იმჟამინდელი ლირიკული  
სიტყვის ფონზე შეუფასებდა...  
როგორ გგონიათ, მაინც რას  
გაუთანაბრებდა? გიტარების  
პოეზიას. დიახ, სწორედაც გი-  
ტარების პოეზიას, რათა უკი-  
დურესად დაემცირებინა.

სად „ლურჯა ცხენები“ და  
სად კიდევ...

თუმცა ამას რა მნიშვნე-  
ლობა აქვს.

და მოგვიანებით „მნათო-  
ბის“ ფურცლებზე ერთბაშად  
ასი ლექსი რომ გამოქვეყნდე-  
ბოდა გალაკტიონისა, წონას-  
წორობას დაკარგავდა პაოლო  
იაშვილი – არა კმაროდა, ერ-  
თიერთმანეთზე უკეთესი პო-  
ეტური ნიმუშები რომ იბეჭ-

დებოდა გალაკტიონის სახე-  
ლით? არა კმაროდა „თავის  
ქალა არტისტული ყვავილე-  
ბით“, ერთი აკვრით რომ გა-  
დაფარა გარშემო ყველა ლი-  
რიკული მიღწევა? არა კმარო-  
და, ამ გამაოგნებელმა წარ-  
მატებამაც რომ ვერ ამოწურა  
მისი შემოქმედის მხატვრული  
ტალანტი? ეს ასი ლექსი მა-  
ინც რადა იყო, ყოველი ნიმუ-  
შიდან დიდი ხელოვნება რომ  
მომქეფდა და უთანაბრობა-  
საც ვეღარ დააბრალებდი.

– ასი ლექსი? – წამოიძა-  
ხებდა უურნალის პასუხისმ-  
გებელი მდივანი მოსე გოგი-  
ძერიძე, – ბრავო! რამ დაგა-  
წერია, შე კაცო, ასი ლექსი...  
ძვირფასი ამბავია, მაგრამ ასი  
ლექსი... ამას ხომ უურნალის  
ასი გვერდი მოუნდება.

არა, მხოლოდ თორმეტი  
გვერდიო, – ეს მიუგებდა.

ეს რანაირად?

ოთხ-ოთხი სტრიქონი ერთ  
სტრიქონად გადაექცია.

ლექსების გრაფიკული  
იერი შეეწირა ასი ლექსის გა-  
მაოგნებელი ეფექტისათვის.

შერე რეიზა ჰექნი მაი საქ-  
მე, დარჩენილიყო ოთხ-ოთხ  
სტრიქონადო, – გაკვირვებას  
ვერ დაფარავდა პასუხისმ-  
გებელი მდივანი, რადგანაც  
თვითონ კარგად იცოდა, გა-  
ლაკტიონის ადგილას რო-  
გორ მოიქცეოდა: ნელ-ნელა  
დაბეჭდავდა თითო ლექსს  
თითო ნომერში – და ესეც

„მნათობის“ ასი ნომერი.

პირვენინდად მერკანტილუ-  
რი მიზნითაც ასე სჯობდა:

— ეხლა ეს ასი ლექსია —  
და ჰონორარს კი მიიღებ ერ-  
თი ლექსისას. რეიზა შობი  
ახლა მაგ საქმეს, ა?

თურმე რეიზა და:

— ჩემთვის უმჯობესია  
ლექსები დაიბეჭდოს ეხლავე,  
ოროგმ სულერთია, დამეკარ-  
გება, ან გადამავიწყდება. მე-  
ორეც ისა, რომ ლექსების ჰო-  
ნორარით არავის უცხოვრია  
ჩვენში და მე როგორ შევძ-  
ლებ, რომ ვიცხოვრო? დევ, ასი  
ლექსი ერთ ლექსად ჩაითვა-  
ლოს. არაფერია, გავსძლებთ.  
მესამე კიდევ...

ვიდრე ამ მესამე არგუ-  
მენტს მოისმენდა, მოსე გოგი-  
ბერიძეს გული არ მოუთმენ-  
და და ჩაეჭრებოდა:

— დაიცა, დაიცა, რას ამბობ,  
ვერ გავიგე. ეს როგორაა, რომ  
სხვები თითო ლექსს ათ-ათ-  
ჯერ ბეჭდავენ, ერთი ლექსი  
ათ ლექსად გამოჰყავთ... შენ  
კი ასი ლექსი გინდა ერთ  
ლექსად ჩაგითვალონ.

ხოლო გალაკტიონის მესა-  
მე არგუმენტი ის გახლდათ:

— კიდევ ბევრი ასი ლექ-  
სი მაქს დასაბეჭდი და თუ  
თითო-თითოდ ვბეჭდე, ძაან  
ადრე კი მოვრჩები საქმეს —  
აი?

კიდევ ბევრი ასი ლექსიო...

გაოგნებაზე გაოგნება და-  
ემატებოდა პასუხისმგებელ

მდივანს:

— მაშ შენ ამბობ, რომ კი-  
დევ ბევრი ასი გაქვს დასა-  
ბეჭდი... მე კი, სულო ცოდვი-  
ლო, მეგონა, რომ შენ ეფექ-  
ტის მოყვარული კაცი ხარ,  
გინდოდა გაგეოცებია ხალხი  
ორიგინალური სათაურით:  
ასი ლექსი!

შეცდომაში არავინ შე-  
გიყვანოს, რა დროს ორიგი-  
ნალობა და ეფექტებიაო, —  
ისე მიუგებდა გალაკტიონი,  
თითქოსდა ასეთი განზრახვა  
გულშიაც არ გაეტარებინოს  
და ეფექტების გამოდევნება.  
ცხადია, წინასწარვე ტკბებო-  
და მოსალოდნელი გამაოგ-  
ნებელი ეფექტით, მაგრამ ის  
არგუმენტიც დამაჯერებელი  
გახლდათ და გულიდან ამომ-  
სკდარი: ვაითუ დამეკარგოს  
ან გადამავიწყდესო, — და კი-  
დევ ესეც არანაკლებ გასათ-  
ვალისწინებელი:

— შეიძლება ხვალ მოვკვდე  
და ეს ლექსები მაინც დარჩეს  
დაბეჭდილნი. შეიძლება შთა-  
მომავლობამ შეაფასოს ისე,  
როგორც საჭიროა. უმჯობე-  
სია ეხლავე დაიბეჭდოს, თო-  
რემ მე თუ „მნათობის“-ს ასი  
ნომრის გამოსვლას ვუცადე...  
სად წაგვიყვანს...

უოველი ნიმუშიდან დიდი  
ხელოვნება რომ მოჩქეფდა  
და უთანაბრობასაც ვეღარ  
დაბრალებდიო....

ასეთ დროს დამამცირუ-  
ბელი ეპითეტები უკვე ძალი-

ან სასაცილო გამოწნდებოდა თვით მიამიტ მკითხველთა თვალშიც.

ამიტომაც პაოლო ლექსების გადათვლას შეუდგებოდა იმ ნატვრითა და ოცნებით: ეგებ ზუსტად ასი არ აღმოჩნდეს, ერთი მაინც აკლდეს, თუნდაც რაღაც გაუგებობით. და მე კი საშუალება მომჟეს გალაკტიონს საქვეყნოდ წავალებო ცრუპენტფლობაო.

ჰოი, რარიგ აღტაცდებოდა, ასი ნიმუში რომ არ დახვდებოდა.

მანამდე თეთრად გაათენებდა გალაკტიონი, ურნალის ამ ახალი, სენსაციური ნომრის გამოსვლის მოლოდინში.

თეთრად გაათენებდა პაოლოც, ვინც შემთხვევით შეესწრებოდა მოსე გოგიბერიძის კაბინეტში ამ ლექსების მომზადებას სასტამბოდ.

თვალს მოჰკრავდა სათაურს „ასი ლექსი“.

იცნობდა გალაკტიონის ხელწერას და...

— თვალები გაუფართოვდა, ცხვირის ნესტოები დაეხერა.

გალაკტიონის ჩანაწერებში ასე ლაკონიურადა მოხაზული მისი გაოგნებაც და გაგულისებაც ერთსა და იმავე დროს. ხოლო რედაქტორს რომ შეეხვეწებოდა: მაჩვენე, თუ მა ხარო, — ნება რა ენება?! კეთილი მი-

ზანი ნამდვილად არ ამოძრავებდა და ეგებ ჯერ იქვე დაეწყო ნიმუშთა გადათვლა, ასი არაფრისდიდებით არ იქნებაო; მერე, გაწილებულს, ცალკეული სტრიქონებისათვის ჩაეკრა თვალი და მათი დაწუნება მოენდომებინა, ეგებ მოსეს გადავაფიქრებინო გამოქვეყნებაო.

პასუხისმგებელ მდივანს კარგად მოეხსენებოდა მისი განწყობილება და, შეშეოთებული მოსალოდნელი უსიამოგნო საუბრით, ხელნაწერს ამ სიტყვებით გადაუშვებდა თავის უზარმაზარ პორთფელში (რედაქცია ეს პორთფელი იყო — კვლავ მარჯვე ფრაზას მოიშველიებდა გალაკტიონი ვითარების წარმოსახად):

— ა-პა, პა, პა... არა მაქვს უფლება.

ორიოდ დდები კი:

— ბრავო! ასი ლექსი! — აფორიაქტებოდა და აღტაცდებოდა მკითხველი.

ახალგაზრდა პოეტები ამ ლექსთა დაზეპირებას შეუდგებოდნენ და გაისმოდა ქუჩა-ქუჩაც ცალკეული სტრიქონები, სულაც კასკადს რომ დაემზანებოდა.

ეგებ სულმთლად ასეც არ იყო და ეს ყოველივე გალაკტიონის ფანტაზიოთაცაა შევსებული?

არ დასჭირდებოდა, რაკიდა ეფექტი მართლაც გასაო-

ცარი იქნებოდა და სავსებით მოსალოდნელია, რომ ბევრს ემეორებინა ამ ციკლის ცალკეული სტრიქონები, ყველაზე მეტად რაც მოხვედროდათ გულზე.

და ამ საყოველთაო სიხარულისას:

— მარტოდმარტო — პაოლოს თითქოს სწყინდა რაღაც... იგი დადიოდა ხალხში და ებრძოდა საერთო განწყობილებას...

გალაკტიონს იმასაც ამცნობდნენ: გააფორებულიაო!..

აგერ კიდეც გადაეყრებოდა რუსთაველის პროსპექტზე და... ის მაშინვე მიახლიდა:

— აი, როგორ შეგყავს ხალხი შეცდომაში...

ეს გაოცდებოდა: როგორ თუ შეცდომაშიო.

ის გადაიხარხარებდა:

— შენ დაბეჭდილი გაქვს არა ასი, არამედ ოთხმოცდათვრამეტი ლექსი... ორი ლექსი აკლია.

და ურნალს ხელში შეაჩერებდა.

ეს გადათვლიდა და მართლაც...

იმწამსვე სტამბაში გაექანებოდა და მოითხოვდა თავის ხელნაწერს...

და იქ მართლაც ამოგლეჯილიყო ერთი ლექსი...

უპოვნია და ეგაა დასამუნაოებელი!..

კი მაგრამ, სტამბა რომ სულაც არაფერ შეუაში ყოფი-

ლიყო და გალაკტიონს დაკლებოდა ის ერთი ან ორი ლექსი, ან მექანიკური შეცდომის გამოისობით ანდა თუნდაც იმის მიზეზით, რომ მთლად ასი უკეთესი ნიმუშიც ვერ გამოერჩია თავის ხელნაწერთაგან და „ასი“ პირობითობად უფრო ეგულისხმა, ვიდრე ზუსტ განსაზღვრებად, პაოლო ან ასე რატომ უნდა გამწარებულიყო და ან „შეცდომის“ პოვნას ასე რატომ უნდა გაეხარებინა?!

კეთილი პაოლო, გულუხვი პაოლო, ყველაზე გადაგებული პაოლო, ნაცნობზეც და უცნობზეც, არც ფულს რომ არ იშურებდა არავისათვის, არც სიტყვის შეწევნას და თავისი ბინა ლამის ყველა უსახლკაროს თავშესაფრადაც გადაექცია.

პოპულარული პაოლო, გავლენიანი პაოლო — ახალი რეჟიმის დამამკვიდრებლებთან დაახლოებული და ბევრი რამის გადამწყვეტიც სამწერლო ცხოვრებაში.

ყოველი თავყრილობის — სცენა იქნებოდა, ტრიბუნა თუ ნადიმი — სული და გული პაოლო, ქალთა გულთამპყრობელი პაოლო.

და ასეთ დამამცირებელ ყოფაში თავის ჩაგდება?!..

ჯერ „მნაობის“ რედაქციაში მისი საქციელი.

მერე გალაკტიონთან პირისპირ შეხვედრისას.

მერე კიდევ ლამის სათო-თაოდ რომ ჩამოევლო ამ პუბ-ლიკაციით აღფრთოვანებული მკითხველებისათვის და როგორმე გაენელებინა მათი აღმტაცი განცდა და შთაბეჭ-დილება.

ისე მმიმედ განცადა ეს ყოველივე, უმტყუნებდა შინა-განი სიმტკიცეც, არტისტიზ-მიც, და ნატიფი იუმორის გრძნობაც ერთბაშად დაუჩ-ლუნგდებოდა, თორემ ამით მაინც მოერეოდა გაგულისებას.

რამხელა ოსტატობითაა ჩახატული პაოლო იაშვილის სილუეტი – ორიოდ დეტალი, ორიოდ ფრაზა და... არამარტო განწყობილებაა წარმოჩენილი, არამედ მისი პიროვნეული ხასიათიც და ის შეურიგებელი დაპირისპირებაც, რაც მარტოდენ ერთი კაცის სულისკეთებას არ გამოხატავდა და ცისფერყანწელთა მთელს ორდენზეც ძალდაუტანებლად განზოგადდებოდა.

ნება ავტობიოგრაფიულ თხზულებაში როგორი სახით მოგვევლინებოდა პაოლო იაშვილი-პერსონაჟი?

ნება ეს ჩანაწერი ამ სახითვე ჩაერთვოდა იმ თხრობას თუ ერთგარად გადამუშავდებოდა?

ყოველ შემთხვევაში პაოლოს პორტრეტი არ წარმოისახებოდა იორნიულად, რაკიდა მისი ტრაგიკული ხევდრი სხვაგვარ განწყობილებაზე

დააყენებდა გალაკტიონს.

თვითმეგლელობა თვითმეგლელობად – პოლიტიკურ მეგლელობას რომ უფრო ჩამოჰგავს.

და სახელის აკრძალვა და მისი ლექსების გადასხვლა იატაკებეშეთში კიდევ ცალკე.

ის-ისაა გამოცხადებული-ყო მისი ოფიციალური რეა-ბილიტაცია მწერალთა ყრი-ლობაზე, საშუალება ჩნდებოდა პოეტური კრებულის გამოცემისაც, მასზე მოგონე-ბებისა და ლიტერატურული ნარკვევებისა და სტატიების გამოცემებისაც და გალაკ-ტიონი განსაკუთრებული თა-ნაგრძნობით მოეკიდებოდა ამ სახელს. დაივიწყებდა პირად წყენას, ჩაიხშობდა უქმაყოფილების განცდას, ქარს გა-ატანდა გულისტკივილს, გა-მოწვეულს აშგარა ხელის-შეშლით, არც აქ გაეთქვა სახელი შესაფერისად და რუსულ ენობრივ სამყაროში ხომ არ გაეღწია და არა, და შეეცდებოდა არ დაკარგულიყო პაოლოს პიროვნეული დირსებანი და ის კოლორი-ტულობა და მომხიბვლელო-ბა, უიმისოდ იმუამად სამწერ-ლო ყოფა რომ გახლდათ წარმოუდგენელი, შემდგომ კი – ლიტერატურის ისტო-რია, თუკი მიუკერძოებელი სურათი დაიხატებოდა.

სინაცულის განცდა ამი-საა: ვინაა მოგონებელიო...

და თვითონვე მოინდომებდა  
ამ ხარვეზის ამოვსებას.

და თუ პაოლოს ვერ გა-  
იმეტებდა, მით უფრო – ტი-  
ციანს, თანშეზრდილ ბიძაშ-  
ვილს, მისი ლექსების პირ-  
ველ მკითხველს, პირველ  
დამფიასებელსა და შემგული-  
ანებელს, პირველ მაქებარსა  
და... მერე უკვე განზე გამდ-  
გარს, მათი გზები თანდათან  
რომ განშორდებოდა, ვიდრე  
სრულიად საპირისპირო არ  
შეიქნებოდა.

ავტობიოგრაფიულ თხზუ-  
ლებაში უსათუოდ დიდ ჭირი-  
სუფლად დაუდგებოდა.

მისი ხასიათის შტრიხები  
მკაფიოდ გათვალსაჩინოვდე-  
ბოდა მემუარულ ჩანაწერ-  
ში „შემთხვევები 1918 წელს“,  
გაელვებით კი მისი სახება  
გაიელვებდა თითქოსდა ამა-  
ვე ყაიდის თხზულებაში „ერ-  
თი ფოტოსურათის ისტორია“,  
რომელიც დოკუმენტური ხო-  
ველა უფროა (ნიშანდობლივია,  
ვახტანგ ჯავახაძე სწორედაც  
მოთხრობად რომ მოიხსენი-  
ებს!). მთლად ისეთი კლასი-  
კური იერისაც ვერა, „აკადე-  
მიის ტრიბუნიდან“ რომ არის,  
მაგრამ შორს სცილდება ფო-  
ტოს უბრალო აღწერას.

1914 წელს აკაკი წერეთ-  
ლის მონაწილეობით ქუთაის-  
ში გამართული ლიტერატუ-  
რული სადამო ფოტოსურათ-  
ზე რომ ადგეჭდილიყო, მასზე  
თვალის გადავლება გალაკ-

ტიონს ერთხელაც მძაფრ მო-  
გონებებს წამოუშლიდა და,  
იმწერიერ განწყობილებათა  
ფურცელზე აღბეჭდვას რომ  
მოინდომებდა, ხელი გაექცეო-  
და და შეყვებოდა და შეყვე-  
ბოდა თხრობას.

ნეტა სხვა ფოტოების ხილ-  
ვისასაც გასჩენოდა ამგვარი  
სურვილი.

ცოტბა ფოტოსურათზეა გა-  
მოსახული სხვებთან ერთად  
თუ რა!..

ის ჩანაწერები თანდა-  
თან რომ მოიყრიდა თავს,  
ვრცელი ავტობიოგრაფიული  
თხზულება თავისთავად გა-  
იმართებოდა, ცალკეულ ნა-  
წილებს ფაქიზი გადაბმადა  
რომ დასჭირდებოდათ.

ეგებ კიდეც ასე მოენდო-  
მებინა იმ განზრახული მხატ-  
ვრულ-დოკუმენტური ქმნილე-  
ბის გაშლა? და თუ მაინცდა-  
მაინც ამ ქარგაზეც არ აეგო,  
ხშირად ჩაერთო ფოტოები-  
დან მოგვრილი ასოციაციუ-  
ბი, რადგანაც შეუძლებელია  
თვითონვე არ ეგრძნო, რომ ამ  
სურათის მხატვრული აღწერა  
საჭარი წარმატებით გამოვიდა.

გაელვებით კი ტიციანის  
სახებაც გაიელვებდაო...

ფოტოს თარიღს დახედავ-  
და თუ არა, გალაკტიონი  
უპირველესად იმის დაზუს-  
ტებას მოინდომებდა, გამოსუ-  
ლიყო თუ არა იმ დროს მისი  
პირველი პოეტური კრებული.  
ახსოვდა, წიგნი ზაფხულ-

ში გამოცემულიყო.

ზაფხულშივე ამტყდარიყო  
იაპონიასთან ომიც.

ძალიან კარგად ახსოვდა,  
ამ ომის დასაწყისშიც რო-  
გორ იმყოფებოდა ტიციანთან  
ერთად სოფლად, ჰყვიშში,  
მეფის ჭალაში, ტირიფების  
ქვეშ წამოწოლილნი საუბ-  
რობდნენ და თან საქონელს  
აძოვებდნენ.

რა წელიწადი დადგა, რა-  
ნაირი წელი ერგო ჩემს პირ-  
ველ წიგნს, — შესხიოდა ბი-  
ძაშვილს, — გამოვიდა თუ არა  
წიგნი, ომიც გამოცხადდა.  
ბედი არა ჰქონია, ტიტია ჩემო,  
ბედიო.

ტიციანი გაიზიარებდა მის  
მწუხარებას, ყოველ შემთხ-  
ვევაში თავს ისე დაუქნევდა,  
გალაკტიონი თანაგრძნობად  
მიიღებდა, თორემ ნაკლებ მო-  
სალოდნელია, რომ იმასაც  
გალაკტიონის განწყობილე-  
ბა გადასდებოდა, ამ წიგ-  
ნით ქვეყნის აფეთქებას რომ  
ფიქრობდა.

ტიციანს თავისი ლექსე-  
ბი და პოეტური კრებულები  
ეზმანებოდა ქვეყნის აფეთ-  
ქებად და არავის დაიყენებ-  
და გვერდით, არამცოუ —  
გალაკტიონს.

თუმც ამ ჩანაწერში ის  
დეტალიც საგულისხმოა, გა-  
ლაკტიონი ჯერ ამას რომ  
ადნიშნავს:

— აქ კი იაპონია შეუდგა  
ჩემს მაგიერ ქვეყნის აფეთ-

ქებას.

შემდეგ კი, უეცრად:

— არა, შევცდი... მართლაც  
ძალზე, იაპონია კი არა (იაპო-  
ნია წინად იყო), გერმანია, ამ-  
ხანაგებო, გერმანია... დაიწყო  
პირველი დიდი მსოფლიო  
ომი.

თუ მესიერებისმიერი უზ-  
უსტობა გახლდათ (ისე კი  
იაპონია გერმანიაში რატომ  
უნდა არეოდა!), იქვე ჩაას-  
წორებდა, რად უნდოდა ამას  
ამხელა მობოდიშება: ძალი-  
ან შევცდიო. რას გაიგებდა  
მკითხველი, წამით თუ უდა-  
ლატა მესიერებამ?!

მაგრამ... რადაცას თამა-  
შობს გალაკტიონი.

თარიღების არევ-დარევისა  
და მოვლენათა შეცვლა-გადა-  
კეთებისაკენ მის მისწრაფებას  
— სულ უფრო დაუოკებელი —  
აქ ასე უჩენია თავი.

ვითომ ცხრა წლით დაშო-  
რებული ისტორიული მოვ-  
ლენები ერთმანეთში ერვავა  
და პირველი მსოფლიო ომის  
გამომწვევი ვინ იყო, ესეც კი  
ძლივას მოუგონებია.

მაგრამ თამაშისათვის ამას  
რა მნიშვნელობა აქვს!..

ხოლო 1918 წლის ეპიზოდ-  
თა ჩანაწერებში ჩნდებოდა  
სურათი მოსკოვში, პუშკინის  
ძეგლის პირდაპირ, „პრავდის“  
რედაქციის გვერდით, ქვემოთ  
მდებარე კინოთეატრში მყო-  
ფი გალაკტიონისა და ვიღაც  
ქალის, ძალიან ლამაზის, იქ-

ვე რომ ჩამოუჯდებოდა და  
დაბნელდებოდა თუ არა, არ-  
შიყობას დაუწყებდა, ცხადია,  
მაღულად, ხელს მოჰკიდებდა  
ხელზე, მაგრად მოუჭერდა და  
დიდხანს ადარ გაუშვებდა.

ეს გარემოება რომანტი-  
კულ ელფერს შეიძენდა გა-  
ლაპტიონის წარმოდგენაში.

ლამე. კინო. უცნობი ლა-  
მაზმანი.

ალბათ ძალიან მოვეწონეო,  
— გაიფიქრებდა.

შემდეგ?

ალარც არაფერი.

ეტყობა, ფილმის დასრუ-  
ლებისთანავე გააშვებინა ხე-  
ლი და თავქულმოგლეჯილიც  
გამოვარდა შენობიდან, რათა  
ეს რომანტიკული, ამაღლებუ-  
ლი სურათი არაფერს გაუ-  
ფერმერთალებინა თუ სულაც  
წაეხდინა.

უთუოდ კარგა ხანს ელო-  
ლიავებოდა ფიქრში იმ წუ-  
თებს, ერთბაშად სანუკვარად  
გადაქცეულს, ვიდრე ტიცი-  
ანს გაუმუდავნებდა.

ანთებული, აფოვინებუ-  
ლი, რომანტიკული ბურუსით  
მოცული.

ის კი გაიდიმებდა და...  
გულგამგმირავი ირონიით და-  
ატანდა:

— ბ... იქნებოდა!

გალაპტიონი ჩანაწერში  
მთლიანად ვერც იმეორებს იმ  
სიტყვას, მისი რომანტიკული  
განცდის შემბდალავს, თით-  
ქოს მხოლოდ იმ უცნობ ქალს

კი არ მიაყენეს შეურაცხეყოფა,  
არამედ თვითონ მასაც, ოცნე-  
ბებით გაბრუებულ ყმაწვილს,  
ვიდაცისათვის სრულიად უბ-  
რალო შემთხვევა — რითაც  
ის ვიდაც უსათუოდ ისარგებ-  
ლებდა კიდეც — უზენალობის  
შარავანდმოსილად რომ წარ-  
მოესახებოდა.

— მე ეს ძალიან მეწყინა  
ტიციანისაგან: რატომ ასე  
დასცინის ჩემს რომანტიკულ  
ამბებს-მეთქი, ვუიქრობდი.

ჩანაწერიდან არა ჩანს,  
რომ შეკამათებოდეს და თა-  
ვისი შთაბეჭდილების უტყუ-  
არობის დამტკიცება მოენ-  
დომებინოს. ისე ძალიან გა-  
ნაწყენდებოდა, გამორიდებას  
ამჯობინებდა, კვლავ თავის  
ფიქრებსა და ოცნებებში  
გახვევას, რათა ეგებ გადა-  
ერჩინა ეს პოეტური თაზისი,  
ლამაზი ქალის სახედ გასიმ-  
ბოლოებული.

თავისთვის კი დაბეჭითე-  
ბით უარყოფდა ტიციანის  
ნათქვამს და დაუინებით გაუ-  
მეორებდა საკუთარ თავს, რომ  
ის უცნობი ქალი ბ... არაფრის-  
დიდებით არ იქნებოდა.

აბა, მაშ ვინ? ვინ და: უსა-  
თუოდ მაღლენ დე მოპენი,  
ევა, ბლოკის „ნეზნაკომება“.

\* \* \*

სხვათა შორის, მადლენ  
დემოპენი, ტეოფილ გოტიეს  
გმირი ქალი, გალაპტიონის  
ჩანაწერებში სხვაგანაც გაი-

ელვებდა.

ჩვენ მასზე ვლაპარაკობდითო.

ვინ „ჩვენ“? ვინმე იგულისხმება თუ... საკუთარ თავთან საუბარზე მიგვანიშნებს?

თქვენ გახსოვთ ეს ქალიშვილი?

იგი ხომ ის პერსონაჟია, ვინც ერთადერთი კოცნა გაიმეტა?

— მხოლოდ ერთი და მეტჯერ არავისი და არცერთი კოცნა აღარ უნდოდა. ეს არა იმიტომ, რომ კოცნა არ ესიამოვნა, არამედ იმიტომ, რომ ეშინოდა — განმეორებული კოცნები მომწყინდეს იქნებათ.

გალაკტიონის თვალში ეს უდიდეს შეცდომად გამოიყურებოდა და მკითხველის თანამოაზრეობისაც ერთგანმარტინობდა: ხომ ასეაო?

მაინც განსაკუთრებულად ჩარჩებოდა ხსოვნაში მადლენ დე-მოპენი ამ უჩვეულო საქციელით.

ისეთ ფსიქოლოგიურ დეტალს მიაქცევდა ყურადღებას, იფიქრებ, საამისოდ მხოლოდ ამ ჩანაწერს არ იკმარებდა და ლექსის შთამაგონებლადაც გამოადგებოდაო. და კიდეც მიაგნებო მის ლექსებში ამ სათაურის — „გოტიეს რომანიდან“ — ქმნილებასაც, სიყმაწვილის უამის მონატრებით რომ დაიწყებოდა, პირველად როდესაც გაჩნდებოდა ეს პერსონაჟი გალაკტიონის ცნობიერებაში:

ჩვენ გიგონებდით გოტიეს  
გმირ ქალს,  
ქალიშვილს ლამაზს, მადლენ  
დე მოპენს,  
რომლის წერიალა და  
უდარდელ ხმას  
რომანტიული ჰდერა  
მიმოფენს.

— იციო ეს ქალი? — შეკითხვაც ჩნდებოდა პოეტურ წარმოსახვებში, და ვინც არ იცნობდა ან ადარ ახსოვდა, მოაგონებდათ, რომ: მას მხოლოდ ერთხელ და ერთი კოცნა გაეწირა დამით, და ამით წაეგო საბოლოოდ და საბედისწეროდ!..

არავისთვის რატომ აღარ უგოცნია, რა — ალერსი არ ესიამოვნა? არა — შეშინდა, განმეორებითმა კოცნებმა თავი არ მომაწყინოსო.

იმ ერთ სიყვარულს  
დაარქვა წმინდა,  
შეუდგა მართალს და  
გმირულ თმენას.

თავის გულში კოშკს ააგებდა.

და თავგანწირვასაც ქალურად იტანდა — რა მოეპოვებინა ან რა წაეგო ასე დიდად და ასე მალულად?

შეუყვარდებოდა ჭიქა ციმციმა, ცეცხლთან იმისი ლამაზი ბროლის ცქერა, ვიდრე გულურფელად გაუდიმებდა ოქროს ღვინოში ნაპერწკლის

თამაშს.

— კჲ, ნუ ვიგონებთ გოტი-ეს გმირ ქალსო, — უეცრად თითქოს შემოტრიალდებოდა ლექსის განწყობილება, თითქოსდა ლირიკული გმირი ზმანებათაგან გამოფხილებულიყოს და გულზე ისე ადარ მისათუთებოდეს ერთ დროს ასერიგად პოპულარული და მისთვის სულაც გამორჩეული პერსონაჟი... მაგრამ განმეორდებოდა თუ არა პირველი სტროფის სტრიქონები ქალის გარეგნული სილამაზის და წვრიალი და უდარდელი ხმის რომანტიკული ქლერის მიმოფენისა, ძალდაუტანებლად გრძნობ, რომ „კჲ, ნუ ვიგონებთ“ გამოთხოვება კი არ არის მადლენ დე მოპენთან, არამედ გამჭვირვალე ქვეტექსტის შემცველი სიტყვები: რა კარგია, რომ მოვიგონეთ, და კიდევ უკეთესი იქნება, ხშირად თუ მოვიგონებოთ.

არ იყო ტეოფილ გოტი ის მწერალი, ვის ხიბლსა და ზემოქმედებასაც გალაკტიონი ასე ადვილად გამოეხსნებოდა.

\* \* \*

მადლენ დე მოპენი, ევა, ბლოკის „ნეზნაკომკაო“...

და ამ ამაღლებულ ფიქრებსა და განცდებში გახვეულს კვლავ უნდა ჩაესმას ტიციანის გულგამგმირავი იორნიით ნათქვამი: უსათუოდ ბ... იქნებოდაო.

რომანტიკულ და რეალისტურ განწყობილებათა უნგბური შეჯახება?

თუ უფრო მეტი — რომანტიკული და რეალისტური მხატვრულ-ესთეტიკური მრწამსის შეუთავსებლობა?

ასეც შეიძლება ითქვას:

სიმბოლისტურ და რეალისტურ სულისკვეთებათა დაპირისპირება.

თავისთავად რომანტიკული საწყისი არც ტიციან ტაბიქეს პკლებია და მისი პოეტური წარმოსახვანიც იმსტკვალებოდა რომანტიკული სულით, მაგრამ ყოფითი ცხოვრება ისე ვერასოდეს მოიბურებოდა მის თვალთა წინაშე ყველა სახე თუ დეტალი ამაღლებულად მოსჩვენებოდა ანდა შეგნებულად ეძებნა მათში ის დაფარული, წამდაუწუმ შორეული სივრცეებისკენ რომ გაახედებდა.

უახლოეს ადამიანს ოცნებას უმსხვრევდა?

არ დაგიდევდა.

უპვე ის დროა, სულ უფრო და უფრო რომ იყრება მათი გზები და უჩემეულო სულაც აღარ მოჩანს ტიციანის ულ-მობელობა.

ჯერ გალაკტიონის პირველი ლირიკული კრებულის რეცენზიაშიც არ გაემეტებოდა დიდად ქება, მიუხედავად იმისა, რომ მთლიანობაში მოწონებას გამოთქვამს და ზოგიერთი აღმატებული ეპითე-

ტიც წაცდება.

— მას აქვს რაღაც ჯადო, რომლითაც სულ უბრალო ფურადები წარმტაცად ბრწყინავენ.

— ყრუდ დაბადებული იქნება, ვინც იმაში მუსიკას ვერ მოისმენს.

— შინაგანი მუსიკა ბუნებრივად არის გამოწვეული და არა იმ აკრობატული ლექსის შეზელით, ჩვენში რომ ბევრი ფონს გადის.

— გ. ტაბიძის ლამაზი შედარებანი და მეტაფორები უბრუნებენ ქართულ მწერლობას ბრწყინვალე პერიოდს.

— ეს ისეთი გადანახული საუნჯეა, რომ როცა (მკითხველი) ნახავს, შემდეგში მაინც გაიხარებს ნამდვილი სიხარულით.

აქ ნიკოლოზ ბარათაშვილსა და მამია გურიელს უხსესნებდა: აქამდე ისინი იყვნენ მარტობის ორდენის კავალრები, ახლა კი მათ გალაკტიონიც შეემატათ.

იქ პოლ ვერდენს: ლექსი „ტყეში“ გვაგონებს ფრთაშვებულ ფრენას იმისი ლექსის ინსტრუმენტაციისასო.

მაგრამ მაინც ლაგამს ამოსდებს თავის განცდებს და ურჩევნია ეს ყოველივე შეაფასოს როგორც ილუზია სიმბოლიზმისა და არა თვით სიმბოლიზმი... უხსენოს ბუტაფორით შელამაზების ცდა... უხსენოს პრიმიტივზმი...

შემდგომ და შემდგომ

აკი ცისფერყანწელთაგანაც ორად ორ პოეტს ადიარებდა: პაოლო იაშვილსა და ვალერიან გაფრინდაშვილს, ოღონდ... სხვანიც თუ ქებით მოიხსენიებდნენ ან ერთს და ან მეორეს, ამას უმაშ ვეღარ იტანდა.

დაუთმობელი იყო ტიციანი.

დაუთმობელი გახლდათ გალაკტიონიც.

შემთხვევითი არა ყოფილა, რომ 1922 წელს ხელოვანთა სასახლეშიც მოუხდათ კონფლიქტი. ეტყობა, საქმაოდ მწვავე, რადგანაც ამ შეჯახების უნებლიერ შემსწრეს – ნიკოლოზ შენგელაიას – გალაკტიონი სოხოვდა, არავისათვის გაემხილა აქ მოქმედარი. ის შეპირდებოდა და კიდეც შეასრულებდა ამ სიტყვას. ეს რეალია გალაკტიონის ჩანაწერებში აღიბეჭდებოდა ნიკოლოზ შენგელაიას პიროვნული ბუნების ერთ-ერთი არსებითი შტრიხის წარმოსაჩენად, თუმც ამასობაში ჩვენ შემოგვრჩებოდა თვითონ ამ დეტალის აღნიშვნა უშუალო მონაწილის მიერ და ეს კერძო ფაქტი განხოგადებულადაც წარმოგვიდგება ამ ორი უახლოესი პიროვნების დაცილებისა – მათი მხატვრულებთებიკური და იდეური კონფლიქტისა.

დაუთმობელი გახლდათ გალაკტიონიცო...

დაურკებელ სწრაფვას პირ-

ველობისაპერ, პოეტთა მეფის სახელის დაუფლებისაპერ ვის ჩახერგინებდა და არც ქილიკს მოერიდებოდა და არც მომაკვდინებელ ირონიას ტიკიანის მიმართაც, მაგრამ ამჟამად სხვა მოვალეობა დაპისრებოდა, მოვალეობა მომგონებლისა, თანაც ისეთ ჟამს, როდესაც აღარც ეგონა, იმას სხვა მომგონებელიც თუ გამოუწინდებოდა.

აგურ ჩანაწერებში კიდევ წამოპტერავდათ, ეს ის დროა, როდესაც ცისფერყანწელები აკადემიის დაარსებას გადაწყვეტდნენ ჯგუფის სახელით და გალაკტიონი მაშინვე დაეჭვდებოდა, ნეტა ჯგუფური მიზნებისათვის თუ საერთოდ ქართული პოეზიისათვისო?!

თურმე აქ ემჩნევოდათ არევ-დარევა, უთანხმოება და დაბნევა ინიციატორებს.

ცხადია, ცისფერყანწელთა ორდენის მეთაურის გახსენებაზეც ჩაიღიმებდა („რობაქიძე კერ ერკვევა იმაში, რომ ლექსის ლაბორატორია სხვა ემოციებში არ შეიძლება არ შეიქმნას“).

და უცრად გალიზიანებაც მოეძალებოდა:

— მიკროსკოპებით შეიარაღებული პოეტი არასდროს თქვენთან არ მოვა...

წარმოიდგენდა წარმოუდგენელს, მიკროსკოპებით შეიარაღებული პოეტის ხევწას:

— თქვენ გენაცვალეთ მას-

წავლეთ რამე, უცოდინარი ვარ. აბა, რა დასაჯერებელი იყო!..

აქ ხომ ყველა მცოდნე გახლდათ ლექსის და არავინ უცოდინარი.

ამიტომაც კიდევ ერთხელ ირონიული თვალის მიმოვლება და:

— მე არ მესმის ასეთი ტონით ლაპარაკი. მე პირადათ ამ აზრის ვარ, რომ ცისფერყანწელებს მოუხდებათ ასეთი ლაბორატორია.

მომაკვდინებელი სარკაზმია!..

თვითონ სულ არ აპირებდა ამ თავურილობებზე სტუმრობას?

თურმე: რატომაც არა.

— მე ყოველთვის დიდი სიამოგნებით ვივლი ამ კრებებზე, მაგრამ არა რაიმეს შესწავლის მიზნით.

არამცუ ივლის, არამედ თურმე დიდი სიამოგნებითაც.

შესასწავლი კი იქ არაფერი ეგულება და ამ მიზნით არ ესტუმრება, ცხადია.

— შესასწავლად და ლაბორატორიისათვის მე ჩემი ბინა მაქვს. იქ უფრო გაცილებით მეტს ვისწავლი...

მაშ იქ რა დარჩენია?

ამის პასუხს სხვა ჩანაწერში ვიპოვნით, ეს ერთადერთი ფრაზა რომ არის მთელი ჩანაწერი, მაგრამ ღრმად დაფარულის გამუდაგება:

— მარტოობის საიდუმლოება: მეტი საზოგადოებრიობისაკნ...

ეს პირადად მისი საიდუმლოა, ოთხ კედელშეა გამოკეტილმა კი არა, სწორედაც ხალხში გათქვეფილმა განიცადოს სიმარტოვის ტკივილიც და მშვენიერებაც ერთსა და იმავე დროს.

სიმოვნებით მიტომაც იჯლიდა.

თუმც შინაგეხელის ბინაზე შეკრებებს ნამდვილად ვერ გაუტოლებდა.

მაგრამ ამჟამად სხვა მოვალეობა დაპყისრებოდაო...

\* \* \*

— ცისფერყანწელებსა სძულდათ გალაპტიონი.

ამ მოურიდებელ ფრაზას 1997 წლის 1 მაისის დღიურში ჩაინიშნავდა ოთარ ჩეკიძე.

ვის მიმალვა ერჩივნა ამ ურთიერთობის, ვის მიყრუება თუ შელამაზება. თითქოს ასე უკეთესი იყოს ლიტერატურისა თუ საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიისათვის. თავისი არგუმენტები ამ შეხედულების დამცველთაც მოეპოვებათ, მაგრამ „პორიაყის“ შემოქმედი არ დაგიდევდა არცერთ არგუმენტს, გამოზნულს სინამდვილის თუნდ სულ ოდნავ გადასაკეთებლად.

რეალიზმი და მკაცრი რეალიზმი ერჩივნა ყველგან და ყოველთვის, სიმართლის დაუფარავი გაშიშვლება ემჯობინებინა, რაოდენ მკაცრიც უნდა ყოფილიყო და შემაწუხებელიც სიმართლე თუ რეა-

ალისტური წარმოსახვა მოვლენებისა.

თუ სძულდათ იმათ გალაპტიონი, არ უნდა შეფერადებულიყო ეს დამოკიდებულება რაღაც-რაღაც მოტივებით, არ უნდა დაფენოდა ზედ ფერად-ფერადი ფოთლები.

ახსნა სჭირდებოდა მათ ამგვარ განწყობილებას და არა მიჩუმათება.

ახსნაც იქვეა, იმავე ჩანაწერში:

— ცისფერყანწელებს სიმბოლისტობა უნდოდათ. სიმბოლიზმი მოსწონდათ, სიმბოლისტობრნენ და სიმბოლისტობასა ნერგავდნენ ქართულ ლიტერატურაში, ნერგავდნენ, ნერგავდნენ და ნერგავდნენ. უნდოდათ და უნდოდათ, მაგრამ ნიჭით, მოწოდებით არ იყვნენ სიმბოლისტები. გალაპტიონი სიმბოლისტი იყო, ნიჭით იყო, ბუნებით იყო, ამიტომაცა სძულდათ ცისფერყანწელებსა.

გალაპტიონს?

არა სძულდა ისინიო, — ოთარ ჩეკიძეს არაერთხელ ესაუბრა „ლურჯა ცხენების“ შემოქმედთან და ეს შთაბეჭდილება დარჩენოდა ამ საუბრებიდანაც და მისი დღიურებისა და ჩანაწერების გადაკითხვისასაც:

— არც არავინა სძულდა გალაპტიონსა, მხოლოდ სჯეროდა თავისი უპირატესობა და ვისაც არა სჯეროდა,

აღარც გაუყადრებდა თავსა.

პოლიტიკური მრწამსითაც  
რომ გაემიჯნებოდნენ ერთმა-  
ნეთს გალაკტიონი და ცის-  
ფერუანულები, ეს გარემოე-  
ბაც თვალნათლივ გამოიკ-  
ვეთებოდა ოთარ ჩეხიძის იმ  
დღის ჩანაწერში და ეს ისეთი  
დაკვირვებანია, უთუოდ თეზი-  
სებად გამოიყენებდა გალაკ-  
ტიონუჟ დიდი ხნის წინათ  
განზრახასულ და ოცნებად გა-  
დაქცეულ მონოგრაფიაში...  
და თუმც დაუწერელი დარ-  
ჩებოდა ის წიგნი, ამ და სხვა  
დაკვირვებებსაც დაგვიტოვებ-  
და ერთგვარ გზამკვლევად  
იმ იღუმალი და ტრაგიკული  
სამყაროს ბილიკებზე შესად-  
გომად, გალაკტიონის პოეტუ-  
რი და პიროვნული კონსტიტუ-  
ციის ხერხმალს რომ შეადგნს.

\* \* \*

იმ ავტობიოგრაფიულ თხზუ-  
ლებაში ნეტა ჩანაწერთა ეს  
პასაჟიც ჩაერთოდა, კინოსა  
და უცნობი ლამაზმანის?

ეგებ გამოტოვება ემჯობი-  
ნებინა.

ან ეგებ კიდეც შეერია  
თხრობაში, მაგრამ ტიციანის  
კოლორიტული და მომხილა-  
ვი პორტრეტის ფონზე უთუ-  
ოდ გაფერმკრთალდებოდა ან-  
და სულაც ჩაიკარგებოდა.

არა, ის მაინც როგორ აჯა-  
ხა ასე დაურიდებლად: ბ... იქ-  
ნებოდა!

თვითონ გალაკტიონი რა

ფიქრებს შეჭოფინებდა?..

მადლენ დე მოპენიო, ევაო,  
ბლოკის უცნობი ქალიო...

და უეცრად...

დაჯერება უძნელდებოდა  
ქალის ხორციელი დაცემისა.

და თუ სხვა გზა აღარ  
პქონდა და უნდა ერწმუნა,  
მათ სულიერ გადაგვარებას  
უკვე აღარ იჯერებდა და ლა-  
მობდა მოეძებნა მათ სულში  
ჩარჩენილი მარცვლები ზეცი-  
ური გადმონაშუქისა.

მებაგებს სჩვეოდათ გამოე-  
ნისას ეკლესიაში შესვლა  
უფლის წინაშე დამის ცოდ-  
ვათა მოსახანიებლად.

გალაკტიონს მოეხსენებო-  
და მათი ეს ჩვევა თუ თავისე-  
ბური რიტუალი.

და იმ სისხამზეც ეკლესი-  
ის კარიბჭეში შემავალ ქალს  
მოპკრავდა თუ არა მზერას,  
თვითონაც შეჭვებოდა და  
მიაჩერდებოდა, თუ როგორ  
ლოცულობდა ხატის წინაშე  
ცრემლით დალტობილი.

უეცრად გალაკტიონის გო-  
ნებაში იშვებოდა ის სტრიქო-  
ნი: დედაო დვოისავ, მზეო  
მარიამო.

იშვებოდა და შეაჩქინებე-  
და და... ძალიანაც შეაჩქინებდა.

ნეტა საიდან?.. – ვერ ახ-  
სნიდა, მაგრამ გულზე ისე  
მოეჭირებოდა რაღაც, იგრ-  
ძნობდა, თუ ღმერთისაგან  
ნაჩუქარ ამ სტრიქონს შესა-  
ფერისი გაგრძელება არ მოჰ-  
ყვებოდა, დაიხრჩობოდა.

და შინისაკენ გამობრუნვებული მთელი გზა იბუტბუტებდა სიტყვებს და თავის ბინაში შესული მაშინვე საწერ მაგიდას მიუჯდებოდა, რათა არ დახანებულიყო ამ სტრიქონთა გადატანა ფურცელზე:

**როგორც ნაწვიმარ სილაში  
გარდი,  
ჩემი ცხოვრების გზა  
სიზმარია**  
**და შორეული ცის  
სილაჟვარდე.**

და ასე შექმნილიყო ახალი დროის ქრისტიანული საგალობლის ნიმუში, ლოცვა და განვითარებულისადმი, აღვლენილი დამერთსმოკლებულ სინამდვილეში და მით უფრო ძვირფასი, რაიღა პირწმინდად მხატვრული და სულიერი დირებულების გარდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ქვებექსტითაც განმსჭვალულიყო.

ესაა, ლექსში წაშლილიყო კვალი მისი შთაგონებისა, იმ პირველიბიძის, რამაც ეკლესიაშივე მოუვლინა პოეტური მუზა, და გალაკტიონი ამიტომაც ისესენებდა და იმეორებდა ხშირად იმ ეპიზოდს, რათა ხატის წინაშე დაჩოქილი და მომნანიე მეძავის სახე არ დაკარგულიყო, არ ჩანთქმულიყო პოეტურ ხილვათა სიღრმეში.

იმ ავტობიოგრაფიულ თხზულებაში თუ შეიტანდა ამ სუ-

რათხ?

ეჭვი არ შეგეპაროთ.

და ეგებ სხვა მომნანიე მეძავთა სილუეტებსაც გაემლვათ თხრობისას.

პიროვნული ბუნება განაწყობდა საამისოდ.

და ახალი აღთქმის სტრიქონებიც და ეპიზოდებიც, იესო ქრისტეს დამოკიდებულებას რომ ნათელყოფდა მეძავთადმი.

მარიამ მაგდალელი აკი სულაც მისი ერთგული მიმდევარი და წმინდანი შეიქნებოდა.

ის უბედური ქალიც მხოლოდ მაცხოვრის ჩარევის წყალობით გადაურჩებოდა ქებით ჩაქოლვას: ვინც უცოდველია, პირველად მან დაჰკრას ქვაო, – იტყოდა და... ნირწამხდარი დაიშლებოდნენ მანამდე რისხვით ანთებული ადამიანები და აქეთ-იქით გაიპარ-გამოიპარებოდნენ.

თანაგრძნობა თანაგრძნობად მეძავთადმი, ამგვარ განცდას არაერთი მწერლის თხზულებაში ამოვკითხავთ, მაგრამ მეძავი სულიერად ამაღლებული რომ იყოს და წმინდანს გატოლებული? საამისოდ თითო-ოროლა ნიმუში თუ მოიკრიბება და ძალდაუტანებლად გაგვახსენდება სონია მარმელადოვა ფიოდორ დოსტოევსკის რომანიდან „დანაშაული და სასჯელი“ ანდა ტემპლ დრეკი უილიამ ფოლკნერის რომანი-

დან „სავანე“.

გი დე მოპასანი ხომ მექავს სულაც ზეკობრივი სიმტკიცის ნიმუშად დასახავდა („ფუნთუშა“) და კიდევ გააგულისხმდა და გადარევდა თანამემამულებს. ზოგს – ყალბი პატრიოტიზმის მქადაგებელს, და ზოგსაც – ამ სიყალბის შაბლონურ არტახებში მომწყვდეულს. არ დაგიდევდა ამ გაბრაზებას მოპასანი და მექავთა ისეთ სახეებს ჩამოარიგებდა თავის ნოველებში, რადა ახალი აღთქმის სტრიქონები და რადა მისი დამოკიდებულება ამ ტრაგიკული ადამიანებისადმი.

ამ რკალში მოქცეულიყო გალაკტიონიც, ოორემ აზრადაც არ მოუკიდოდა, რომ მექავის ლოცვა პიმნოგრაფიის დონეზე აეზიდა და ამ ხილვებისას თვით დათვისმშობელი გამოცხადებოდა.

რადაც-რადაცებს თავისთვის თუ ჩაინიშნავდა: ავტობიოგრაფიული თხზულების წერისას უნებურად არ გადამქართულდეს და არ გამომრჩეს, – იმ სურათის ჩაინიშნას ზედმეტად მიიჩნევდა, ხატის წინაშე აქვთინიებული ქალის: მაინც არ დაავიწყდებოდა.

და ხილვათა გარდამტებ ხვეულებში იმ მლოცველის სილუეტთან საძუთარ თავსაც აიგივგბდა: დამენათევი და ნამოვრალევი დაღლილ

ქალივით მივალ ხატებთან!

\* \* \*

ეგებ მოგონებათა საღამოების ციკლის შთამაგონებელი სწორედაც გიორგი შინაბეჭელის სადგომ-სახელოსნო ყოფილიყო...

– ცხოვრება შენი, კარგი კეთილი... სახელოსნოთი კარჩაკეტილიო, – უეცრად რომ ამოსკდებოდა გულიდან გარდასულ დღეთა ნოსტალგია, ამ სიტყვას – „კარჩაკეტილი“

– ღრმა სიმბოლურ მნიშვნელობას მიანიჭებდა. განდგომილობას რომ იგულისხმებდა, ეს თავისთავად, მაგრამ სახელოსნოს ვიწრო გარემო დამოუკიდებელ სამყაროს ნიშნავდა მისოვისაც და ყველა სტუმრისთვისაც, დიდ სივრცეს მოიცავდა და შორს ამიტომაც გასცილებოდა ცხოვრების კალენდარულ დინებას თავისი ავტონომიური უამთასვლით, დროის სუბიექტური დინებით, ერთმანეთს რომ აჯაჭვავდა ერთი სულისკეთებით ანთებულ ადამიანებს – პოეტური გზნებითა და ადმაფრენით.

აქ სულ სხვაგვარად იძროდა პაერი.

სუნთქვაც სხვაგვარი გახლდათ.

სიტყვასაც სხვა სურნელი ასდევდა.

არადა... მეწალის სახელოსნო იყო.

მეწალის სახელოსნო იყო?!

აბა, გალაპტიონისთვისაც  
გეკითხათ:

არ გახსოვს დუვრი,  
ნიუ-იორქი,  
არცა პარიჟი, ჩემო გიორგი.  
არც საჭიროა, ის არის  
ცრემლი,  
შენ კი ცხოვრების  
გახურებს გრდემლი  
და სიყვარული ყველაზე  
ტბილის –  
ახოსპირელის და  
ევდოშვილის.

ისე როგორ იქნებოდა, დექ-  
სში მათი ლანდებიც არ შე-  
მოცურებულიყო, ერთად რომ  
ტიროდნენ ქეიფს და ამითაც  
გადაიტანდნენ მძიმე რეჟიმებ-  
სა და სასტიკ ზღვდებას.

თქენებ სვამდით დვინოს,  
რომ სულმა იწყოს  
დელგა, რაც ვერვინ ვერ  
დაგვავიწყოს...

ლექსის განცდა ზემოთ და  
ზემოთ მიისწრაფოდა, რათა  
ერთმანეთში უცნაურად შეზა-  
ვებულ ამ ტკივილსა და სიხა-  
რულს: ბევრში, ვინ იცის, შენ  
ერთი დარჩიო, – აღფრთოვა-  
ნებაც შერეოდა, დითირამბის  
სრულყოფილების დამადას-  
ტურებლად:

სპეტაპი, როგორც ვანქი,  
სიონი,  
შენ გესალმება  
გალაპტიონი.

სპეტაპი როგორც ვანქი,  
სიონი...

სად აზიდულიყო გიორგი  
შინატეხელის სახება.

რარიგ განხოგადებული  
და გასიმბოლოებული.

და გალაპტიონს კი მაინც  
გულს აკლდა ბოლომდე ვერ  
გამოვთქვი, რაც მეწადაო, და  
კიდევ ერთ ლექსს მიუძღვ-  
ნიდა გარდასულ, ხსოვნიდან  
წაუშლელ, უჩვეულო დღეებს,  
ერთი კაცის ირგვლივ რომ  
იყრიდნენ თავს და იმ კაცის  
სილუეტი ბარემ ბოლომდე  
გამოკვეთილიყო, ზღაპრულ-  
მითოსური შეატვრული სახე-  
ების მოშველიებაც რომ დას-  
ჭირვებოდა. რკინის მკვნეტე-  
ლი, რკინის მტეხელი – აი  
ვინ არის შინატეხელიო.

თითქოს ისეთიც რა – უფ-  
ვარდა დვინო, ტკბილად სას-  
მელი, ჩაქუჩი, წიგნი და ფეხ-  
საცმელი.

რეალისტური ოვალსაზრი-  
სით საგულისხმო სილუეტი  
კი წარმოდგება, მაგრამ მე-  
წადეობისა და პოეტობის შე-  
თავსება განა რა არის იმას-  
თან შედარებით:

როდესაც ხელში ჩაქუჩს  
აიღებს,  
თუ რომ წვიმაა – ის  
გადაიღებს.

ზებუნებრივი ძალაც მიუ-  
ნიჭებოდა.

მოიმარჯვებდა წიგნს და...  
გადაეხსნებოდა ოვალწინ სი-

ცოცხლის გზა და შეგნება.

და როდესაც დვინოს გადაპკრავდა, მასთან მოლხენას არაფერი სჯობდა.

— დასძახებს ლექსებს. მომეცით ხელი. აი, ვინ არის შინატეხელი, — რაღაც მთლად ისეც ვედარ ბოლოვდებოდა ეს მეორე ლექსი, ავხებდა კი იმ პირველს რაღაც დეტალებით, მაგრამ ვედარ აიწევდა ისერიგად. ანკი როგორდა — იქ იმხელა განცდისათვის მოედწია პოეტს, უშუალოდ თუ გაიმეორებდა იმ სტრიქნს, თორეგმ მის ფარდს ვედარ შექმნიდა.

არ ეშვებოდა კი ის მოუნებანი.

არ ეშვებოდა გიორგი შინატეხელის სახება: სპეტაკი, როგორც ვანქი, სიონი.

რომელ სალონს არ ერჩივნა.

შემთხვევით შეუცდებოდა ფეხი, აუცილებლობა აიძულებდა და, ბედს ყოველთვის რომ ეძღვოდა, ამჯერად დაუმადლებდა და ძალიანაც დაუმადლებდა: ეს როგორ გამიმართლა, ეს რა კაცი გავიცანიო!..

ერთ ზამთარს მთაწმინდაზე, ფეხსაცმელზე ქუსლი რომ აძვრებოდა, შინატეხელის სახელოსნოს მიაკითხავდა, იაკობ გოგებაშვილის სახლის წინ რომ მდებარეობდა.

შემოესწრებოდნენ პოლიო ირეთელი და ბეგლარ ახოსპირელი და საუბარი ძალაუნებურად ჩამოვარდებოდა „დედა ენის“ შემოქმედზე.

პოლიო ირეთელი მოიგონებდა თავის წარსულსაც, მატერიალურ გაჭირვებას, კორექტორის ადგილის შოვნას... და ამას მოჰყვებოდა ხსენება გოგებაშვილის მისტიკურობამდე მისული შიშისა გაციების წინაშე, შინ რომ ჩაიგეტებოდა, ცხვირს გარეთ არ გამოჰყოფდა, როგორც კი გარეთ გამოვიდოდა, იმწუოშივე სურდო შეეყრებოდა, აცხინებდა. ოთახში ბარომეტრი ჰქონდა. შალს მოიხურავდა და...

ერთ-ერთ მემუარულ ჩანაწერში ეს ყოველივე დანომრილია, როგორც ვრცელი თხრობის გეგმა, და აქამდე რვა თეზისი მოიყრის თავს, შემდგომ გაშლას რომ მოელის.

მერვეს მეცხრეც მოსდევს.

ოღონდ თეზისი აღარ.

ბარებ იმ სახით, როგორც თხრობაში ჩართვას ვარაუდობდა, აგებული თავიდან ბოლომდე დიალოგზე. ეტყობა, თავისთვად მიჰყვა ერთმანეთს ფრაზები და რატომდა ჩაეწურა ეს მოხდენილი დიალოგი ერთ ან ორ თეზისში.

იაკობი კორექტორს გვარს რომ ჰკითხავდა და ის თავის ფსევდონიმს მოახსენებდა: ირეთელიო, — ამას, რა გასაკვირია, გარდასული ეამისაკენ გადაჰქანებოდა ფიქრი.

— ბეჭლი ჰერეთი? — ვიცი, როგორ არ ვიცი ჰერეთი.

— მე ირეთს მოგახსენებთ,

ბატონო იაკობ.

— ირეთი რალაც არ გამი-  
გონია — პერეთი კი გეოგრა-  
ფიული სახელწოდებაა. არა-  
ვინ შეგაცდინოს ყმაწვილო  
ქაცო!

— არავინ შეგაცდინოს-მეთ-  
ქი — ყმაწვილო კაცო. პერეთი  
და არა ირეთი. მეც სწორედ  
სისხლი გამიშრო კორექტუ-  
რამ და მიტომ მესმის თქვე-  
ნი მდგომარეობა. აქ ასოთამ-  
წყობს „ჸ“-ს მაგივრად „ი“ ჩა-  
უსვამს, დაბქედილია ირეთი.

— მოგახსენოთ, — ბატონო  
იაკობ. — ირეთი — მართლაც  
არ არსებობს საქართველოს  
რუქაზე. ირეთი — ციმბირის  
ერთ-ერთი სოფლის სახელია.

— ციმბირისო? — სათვა-  
ლეს მოიძრობდა.

— იქ ვიყავ გადასახელებუ-  
ლი, აქედან წარმოიშვა ჩემი  
ფსევდონიმი — ირეთელი.

— აი, აი, აი! სწორედ მაგი-  
ტომ, ალბათ, ცივი ქარი თან  
ჩამოგყოლიათ ციმბირიდან.  
დასწევევლის ღმერთი. — პირს  
დაადებდა, თვალებს დახუ-  
ჭავდა, თავს ზევით ასწევდა,  
სამჯერ ზედიზედ მედგრად  
დააცემინებდა.

— მაშ ირეთი ყოფილა და  
არა პერეთი, ა? მე კი კორექტ-  
ტურული შეცდომა მეგონა.  
მელას რაც აგონდებოდა, ის  
ესიზმრებოდა. ასევეა ჩემი  
საქმეც. ეხლა მიბრძანეთ —  
რითი შემიძლია გემსახუროთ  
— პერეთელო, კიდევ შემცდა

— ირეთელო, პოლიო!

ამ მოკლე, შინაგანად და-  
მუხტულ და იუმორითაც  
გასხივოსნებულ დიალოგში  
რარიგ შთამბეჭდავად წარ-  
მოსახულია იაკობ გოგებაშ-  
ვილის პირვენული ხასიათის  
ის არსებითი შტრიხი, მართ-  
ლაც მისტიკურობამდე მისუ-  
ლი შიში გაციების... არადა,  
რა ეღონა — თუ თვითონ არ  
უმკურნალებდა თავს ამ ყო-  
ველწამიერი მზრუნველობით,  
არამცოუ სამოცდაათ წლამ-  
დე მიეღწია, ახალგაზრდო-  
ბაშივე მოუღებდა ბოლოს  
ჭლექი, იმხანად მოურჩენელი  
ავადმყოფობა. და ერთ სასწა-  
ულს ამით ჩაიდენდა იაკობი,  
რომ შეძლებდა შეუძლებელს  
— დაამარცხებდა ამ განუკურ-  
ნებელ სხეულებას, და მეო-  
რე სასწაულს კი იმით, რომ  
კალავ შეუძლებელს შეძლებ-  
და — დაამარცხებდა იმპერი-  
ოს რუსიფიკატორულ პოლი-  
ტიკას და ისესნიდა ქართულ  
ენას დაკინებისა და სრული  
გაქრობისაგან.

და რაოდენ დიდი სახე-  
ლიც უნდა მოეხვეჭა იაკობ  
გოგებაშვილს ჯერ კიდევ  
თანამედროვეთა თვალში და  
ყველას დაემადლებინა ეს უჩ-  
ვეულო მიღწევა, საქართველო  
ვისაც მკვდრეთით კვლავ ფე-  
ნიქსივით აღმდგარ სახელმ-  
წიფოდ ესახებოდა, სიყვარუ-  
ლით მაინც ეხუმრებოდნენ  
თუ იუმორით ისესნიებდნენ

მის იმ თავზარდამცემ შიშს, ვაითუ გავცივდეო.

ეს იუმორი შემოჭრილა გალაკტიონის ჩანაწერშიც.

ციმბირის ხევებაც კი როგორ ააფორიაქებს და შეამცივნებს, თითქოს ცივმა ქარმა დაუბერაო!..

ბრწყინვალე ღებალია.

გალაკტიონი ასეთ ღებალს ხელიდან როგორ გაუშვებდა.

და კიდეც შექმნიდა მინიატურის ჩინებულ ნიმუშს.

დიახ, რაც თვითონ გეგმის ნაწილად წარმოედგინა, კლასიკური მინიატურაა.

ამიტომაცაა, გალაკტიონის პროზის გამოცემისას მურმან ლებანიძე ამ ჩანაწერის დასაწყისს რომ ჩამოაცილებდა – იმ ექვს თეზისს, მეშვიდესა და მერვეს კი უშუალოდ გადააბამდა შედარებით ვრცელ ნაწილს.

თუმც... ეგებ არ დირდა ასეთი ჩარევა.

ნუ ამოვარდებოდა ის ფონი, სადაც ეს დიალოგი გაიხსენეს და გალაკტიონი შემთხვევით მოწმე შეიქნა იმ ეპიზოდის მოგონებისა, უამჩანაწეროდ რომ დაგვეკარგვბოდა, არადა, როგორი გასამეტებელია.

ბოლოსდაბოლოს, განსხვავებული შრიფტით აიწყოს ხოლმე მომდევნო პუბლიკაციებისას და ეგ იქნება.

ისე ან ეს განსხვავებული შრიფტი რა აუცილებელია.

მდგდელი ჭილობში იცნობაო და: ამ მინიატურის შთამბეჭდიდას არც წინ წამდლვარებული თეზისური მონახაზით მოაკლდება რაიმე.

\* \* \*

ვინაა მომგონებელიო, ტერენტი გრანელის ბედზეც რომ წუხდა, რას წარმოიღვენდა, ასერიგად თუ წამოიწევდა იმისი სახელი და სულაც გალაკტიონისას შეეტოლებოდა. პოპულარობით ახალი და ახალი თაობების შეგნებაში გადაასწრებდა გიორგი ლეონიძესაც, იოსებ გრიშაშვილსაც და იმ პაოლო იაშვილსა და ტიციან ტაბიძესაც, ყოველი წელიწადი მათი იუბილეთი რომ აღინიშნებოდა. როგორ და რანაირად ეს ყოველწლიური იუბილე? მაგრამ ეს ცალკე თემაა და სულ სხვა სამსჯელო. მთავარი ამჯერად ისაა, რომ თვით ეს თავგამოდებაც ვერ უშველიდათ მათ ჭირისუფალთ, ტერენტი გრანელი რომ როგორმე ჩამოეტოვებინათ.

სხვები ხომ სულ რადა – და წამოთამამებულიყო და ძალიანაც წამოთამამებულიყო ტერენტის ლანდი.

და თვით გალაკტიონიც – უკვე უდიდეს სახელად გამოცხადებული და პოეზიის სიმბოლოდაც დასახული – აჩრდილთა შეჯიბრებისას თანამედროვეთაგან ყველაზე

მბაფრად ტერენტის სუნთქვას იგრძნობდა, მის კვალში ჩამდგარის, თუნდ ახალგაზრდა პოეტები მათ სახელებს ძალდაუტანებლად რომ აწყვილებდნენ და სხვებს კი მათ გვერდით ეგრე იოლადაც არ მიუჩენდნენ ადგილს.

ვინ აღარ ეყელყელავებოდა თავის დროზე გალაკტიონს და მათ შორის ტერენტი გრანელიც, მისი მიმბაძველი, მაგრამ ვერ დააჯერებდით, ამხელა გავლენის ქვეშ თუ მოქცეულიყო და, შემთხვევას არ გაუშვებდა ხელიდან, თვითონაც არ წაეკრა ყისტი გალაკტიონისათვის – ყოფით ცხოვრებაში იქნებოდა თუ პოეზიაში, სულაც იქამდე რომ მივიღოდა: გალაკტიონში არის დემონი და ჩემში უფრო ანგელოზიაო.

ეს იმ ლექსიდანაა, „მე და გალაკტიონი“, შეპირისპირებაზე რომ აიგებოდა, თითქოსდა პლუტარქეს „პარალელური ბიოგრაფიების“ ყაიდაზე: გალაკტიონში მიწა ანათებს, და ჩემზე უფრო ზეცის სხივიაო... გალაკტიონში ლურჯი ფერია, და ჩემს ლექსიდან მოჩანს უფსკრულიო... მაგრამ ეს მაინც სხვა იყო და ორჯერაც გაიმეორებდა და დაგვირგვინებითაც ამით დააგვირგვინებდა: გალაკტიონში არის დემონი და ჩემში უფრო ანგელოზიაო.

რა გგონიათ, ხოტბასაც არ

დაიშურებდა: გალაკტიონი ყოველთვის ლიდი, გალაკტიონი ზეცისქენ მიღისო... ან: გალაკტიონი ხომ პოეტია. ზარი სიონის უფრო მეტია. გალაკტიონი ხომ ძვირფასია. გალაკტიონი მუდამ ასევაო... ანდა: შენ პოეტად შეგიცნეს, როს ჩაგხედეს თვალებში, მე კი დავრჩი მტკვრის პირად – უსახელო პოეტიო...

აგერ, ასეც დაემდაბლებინა თავი: უსახელო პოეტიო, – მაგრამ ის დროც დადგებოდა, როდესაც თავის ფარულ სწრაფვას გაამხელდა: და ჩემში უფრო ანგელოზიაო!..

სულ სხვა სახელებს შეჯიბრებოდა და შეყელყელავებოდა გალაკტიონი და ოდნავადაც არ ეხამუშებოდა, თუკი მის პოეტურ ფიქრებში ასეთი სტრიქონებიც გაიელვებდა: ვით სამოთხიდან ალიგიერი, მე ჯოჯოხეთით ვარ დაფარულიო!

ჯოჯოხეთითო – ცალკე ფრანგ სიმბოლისტთა ზეგავლენით, ცალკე – მეფისტოველური საუკუნის შესაფერისად წარმოსახვის მხატვრული მეთოდის შემუშავების წადილით. და თუ თვითონ ჯოჯოხეთურ გარემოში მომწყვდეულიყო, სამოთხის მოლანდებაც ხომ სჭირდებოდა სულის მოსათქმელად და ვინ შეერჩია იმ სამყაროსთან მოსალოდნელი მიახლოების მეგზურად, თუ არა დანტე

ალიგიერი. ის თუ ვერგილიუსს მიჰყებოდა კვალდაკვალ, და ე მას გალაკტიონი დადეჭნებოდა.

და უეცრად... ტერენტიც არ მოინდომებდა ამ წრეში შემოჭრას?..

თანაც – გალაკტიონს დემონურობას დაუტოვებდა, თვითონ კი სულაც დანტეს ჩაენაცვლებოდა და ამავად გადმოხედავდა „მთაწმინდის მთვარის“ შემქმნელს: ჩემში უფრო ანგელოზიაო.

თვითონ ტერენტის რა როგორ ეგონა, და ე გაეხარა თავისთვის, მაგრამ... ეს შთამომავლობაც რომ იზიარებდა მის შეხედულებას!.. და, თუ მთლად გალაკტიონსაც ვერ დაამჯობინებდნენ, იმაზე ნაკლებად მაინც არ შერაცხავდნენ.

აქ თავის როლს ითამაშებდა ტერენტის ტრაგიკული ბიოგრაფიაც – მისი გაწამებული, ლამის (ან რადა ლამის!) მათხოვრული ყოფა, მისი დამეული ხეტიალი სასაფლაოებზე, მისი შემლილობა და აღსახრული ფსიქიატრიულ საავადმყოფოში.

თავის როლს ითამაშებდა მისი პოეზიის თემატიკა და სულისკვეთებაც – უძირო სევდა და კაეშანი, დაუსრულებელი საუბარი აჩრდილებოან, წამდაუწუმ სიკვდილის მოლანდება.

თავის როლს ითამაშებდა სწორედაც ეპიგონობა – მიმბაძველობა ორიგინალის

გამსუბუქებას გულისხმობს, ადქმის გაიოლებას მკითხველისათვის, ამიტომაც მიმბაძველთა მეორეული ტექსტები უკველოვის უფრო ხელმისაწვდომია, უფრო მასობრივი, ვიდრე ის თვითმყოფადი სამყარო, საიდანაც ასერიგად დავალებულა უკველი ეპიგონი. და, ცხადია, ტერენტი გრანელსაც ეს გარემოება გაუადვილებდა გზას შთამომავალთა გულისაკენაც და ცნობიერებისაკენაც.

ვინაა მომგონებელიო, ტყუილუბრალოდ განიცდიდა გალაკტიონი.

და თუ არ დასცალდებოდა ავტობიოგრაფიულ თხზულებაში მისი პორტრეტის წარმოსახვაც, ჩანაწერებში ორიოდ სტრიქონით იმისთანა სილუეტს მოხაზვდა, ხელშესახებად განგვაცდევინებდა მის გარეგნულსა და სულიერ ყოფას:

„აი ქვაფენილზე მიდის ფეხშიშეველა ადამიანი. იგი გამოხვეულია ძონძებში და აგვისტოს მზე დაუნდობლად აჭერს შიშველ თავზე. ეს ტიტტებების თემაა.

ეს ადამიანი ფეხით დადის.

– ვინ არის ეს კაცი? – იკითხებს.

– გრანელია, პოეტი, – იყო პასუხი.

...

იმავე ქვაფენილზე მიდის იგივე ფეხშიშველა ადამიანი.

ეხლა კი იმას თბილი ძონძები არა აქვს. თოვს, ზამთარია. ის კი თეთრეულის ამარა მიდის.

— ვინ არის ეს კაცი? — იკითხეს.

— გრანელია, პოეტი, — იყო პასუხის.

რითო არ არის ახლა ეს სტრიქონები მინიატურის შესანიშნავი ნიმუში?

თვითონაც რომ ამ თვალით შეეხედა მისთვის, ხომ შარლ ბოდლერივით წააწერდა: ლექსი პროზადო.

უპოვარის, ღატაკის იერი რომ იხატება, ეს თავისთავად, მინიატურის რიტმიკაც და რეფრენაც გაელვებული მოძახილიც სწორედ პოეტზე, სულიერად სხვაგან მყოფ ადამიანზე მიგვანიშხებს და ის იდუმალი სიოც დაქროლავს, ტერენტის კაეშნიან და ავ ბედს მინდობილ განწყობილებებს რომ მიესადაგება.

ამ მინიატურას ადარაფრის მიმატება იღარ სჭირდება ამ ტრაგიკული პოეტის სულში ჩასახედად. მთავარი უკვე თქმულია. ახლა კი, თუ არ დაგიშლია, შეავსე ეს ლაკონიზმის კლასიკური ნიმუში ცალკეული ეპიზოდებით იმისი ბიოგრაფიიდან — რასაც შესწრებისარ ან რაც უამბიათ: არადა, ხშირად ასესენებდნენ მის ექსცენტრიულ გამოხდომებს და, გინდა-არგინდა, გონებაში გებეჭდებოდა.

ვინაა მომგონებელიო, იეთიმ გურჯის ხვედრსაც რომ განიცდიდა, თითქოს საამისოდ კი არ უნდა შეწუხებულიყო. იოსებ გრიშაშვილს მისი პორტრეტი საკმაოდ რელიეფურად წარმოესახა „ძველი ტფილისის ლიტერატურულ ბოჰემაში“, ცალკე თავი დაეთმო და არც ამის თქმას მორიდებოდა: ბევრ დიდ მწერალს არ შერცხება მასთან ერთად ყოფნა საწიგნი რაფაზეო.

ხოლო ვახტანგ კოტეტიშვილს იეთიმ გურჯი ფიროს-მანისათვის რომ შეედარებინა, იოსებ გრიშაშვილი ამ მოსაზრებას თავის მხრივაც ადასტურებდა: შედარება სწორია და მართებულიო.

გალაკტიონს მაინც გულს რომ აკლდა, გასაგებია. მით უმეტეს — მას თავისი იეთიმ გურჯი ჰყავდა წარმოდგენილი და უთუოდ გამოკვეთდა მის პორტრეტსაც, მაგრამ „ვინაა მომგონებელიო“ გადაჭარბებულია, რაკიდა ამ აშენდაც გულდამწვარი ჭირისუფალი გამოსხეოდა იოსებ გრიშაშვილის სახით.

ვინაა მომგონებელიო...

არადა, რამდენი ახრდილი უვედრებოდა გალაკტიონსაც ხელის გაწვდენას.

ქებას ხომ არ ითხოვდნენ, რაღაც განსაკუთრებულ აღმატებას, ოღონდაც პირწმინდად არ გამქრალიყვნენ, რაღაც, თუნდ ერთიბეჭრო დარ-

ჩენილიყო მათგან – რაიმე ფრაზა, საქციელი, დასაკარგავად რომ დაუნაწებოდა მათ მცნობთაგან ვინმეს, სახელი გაელვებულიყო მოგონებებში და მერე ეგებ ამ სახელს მიეკუთხა მკითხველი მათ ნაწერებამდეც... ან თუნდაც გაწბილებულიყო მათი სტრიქონების ჩამხედავი, სახელი ხომ მაინც გაკროვბოდა ლიტერატურული კულტურების ხსოვნად, განსაკუთრებულ სამწერლო მოვლენათა შორეულ ფონად, და აგერ გალაკტიონი, ზოგიერთი ჩანიშვნისას, თავისძამოულოდნელად მინიატურასაც კი შეგვიქმნიდა.

მხოლოდ ტერენტი გრანელს არ შოთაუგონებია მისთვის ლექსი პროზად.

დარია ახვლედიანიც უბიძგებდა მის წარმოსახვას, უფრო ზუსტად, ამ ქალის დაკრძალვის სურათი.

„საწყალი პატარა ბავში!“ – მინიატურის უკანასკნელი ფრაზაც ესაა და სათაურიც, და მისი ტრაგიკული სულისკვეთება სწორედ ისაა, რომ ასაფლავებებს არა პატარას (რაც თავისთავად ტრაგედიაა!), არამედ... მხცოვან მწერალ ქალს დარია ახვლედიანს.

სპეცსამკურნალოს მესამე სართულის უზარმაზარ ფანჯარასთან დგას გალაკტიონი ორ ახალგაზრდა ქალთან ერთად. დღის ოთხი საათია და ისეთი სიცხეა, ისეა ასფალტი

გახურებული, შუადღის ტფოლის რომ სხვევია.

გამოსავლები დღეა და ასაფლავებენ ბევრს.

ერთ-ერთი ქალი მესაფლავეს გაიხსენებს.

რატომდაცო, – დასძენს პოეტი და ხვდები, რომ ესაა არა ზოგადად მესაფლავე, არამედ გალაკტიონის ლექსის პერსონაჟი.

ამ დროს უნდა გამოჩნდეს კატაფლალკი, რომელზეც პატარა კუბო დასვენებული, ერთადერთი თუ ორი პატარა გვირგვინით.

და გალაკტიონს პირველად ისიც კი მოეჩვენებოდა: კუბოს არავინ მიჰყებაო.

მის ლირიკულ ხილვებში აკი უჩვეულო სულაც არ გახლდათ პაერში მიმცურავი სასახლე, რომელსაც არავინ მიჰყება.

თუმც ამჯერად პოეტურ წარმოსახვას თვითონ რეალური სურათიც გადაჭიდო, რაც იდასტურებდა, რომ ის ერთბაში მოჩვენება მთლად ფანტაზიაც არა ყოფილა: კუბოს მართლაც არავინ მიჰყებოდა 15-20 ნაბიჯზე უფრო ახლო.

– ალბათ პატარა ბავშვს ასაფლავებენ! – ასე ივარაუდებდა. ქალებიც დაეთანხმებოდნენ და სიჩუმეში გამოჩნდებოდა მცირერიცხოვანი პროცესია – სულ 15 კაცი. და გალაკტიონი დაიბეჯითებდა:

მართლა ბავშვი უნდა იყოსო, – რადგანაც მანამდე არასდროს არ ენახა ასე ცოტა ჭირისუფალი.

არადა, ჭირისუფალთა შორის არიან: გიორგი ქუჩიშვილი, არნო ონეგლი და შალვა კაშმაძე. და იმ გახურებულ ასფალტზე, შუადღის ტფილისში, დია ბალდახინითა და პატარა კუბოთი ეს მცირე პროცესია სამუდამო სოფელში მიაცილებს მხცოვან მწვრალ ქალს.

მიხვედრით ახლა კი უნდა მიხვდეს მიცვალებულის ვინაობას, მაგრამ ამ მეტისმეტად სამარცხინო ამბავს, ჭირისუფალთა ასეთ სიმცირეს, ქალებს ვერ გაუმხელდა, ერჩივნა, რომ მათ ის წამიერი და მოჩვენებითი შთაბეჭდილება დამახსოვრებოდათ.

და კიდეც.

როდესაც ჩაივლის პროცესია და დაადგება ვაკის გზას სასაფლაოსაკენ, ქალებმა ეს თანაგრძნობა უნდა მიადუვნონ:

– საწყალი პატარა ბავში!

მაინც რა არის მინიატურის უახრი თავის კლასიკური სიღრმითა და მოჩვენებითი უბრალოებით.

უადრესად შემოფარგლული სივრცე, და ამ სივიწროვეში ამხელა გაქანება, გულსა და გონებას რომ შეგიძრავს და დაწურულ ფრაზათა იქით გადაგახედებს რაღაც უსაზომოდ დამაფიქვრებლთან

მისაახლოებლად.

შესაძლოა კიდევ გეგონოს, რომ გრანელისადმი მიძღვნილი ლექსი პროზად ამ ტრაგიკული ბედის პოეტის ხენებით ხდებოდა ამაფორიაქებული მკითხველისათვის და არა სტრიქონთა და ქვეტექსტთა რაღაც მაგიური ჰარმონით. დარია ახვლედიანის სახელი ხომ არაფერს ეუბნება მომდევნო თაობათა მკითხველს, და არც იმის შეტყობა, რომ ეს პიროვნება თურმე მწერალი ყოფილა. და მაშ რა განაცდევინებს მკითხველს ასერიგად მის გულსატკენ ბედს, თუ არა ყველაზე სიმბოლური წუთის მიგნება მის ბიოგრაფიაში და შესაფერისი გარდათქმა ლირიკულ-ბელეტრისტულ მიჯნაზე.

ვინაა მომგონებელიო, – დომინიკა ერისთავზე ანუ განდეგილზეც რომ გამოთქვამდა წუხილს, თავის მხრივ ჯერჯერობით ჩანახატისათვის მიენდო მისი გაცნობის ეპიზოდის აღწერა, გაცნობისა – გაზეთ „ამირანის“ რედაქციაში, განდეგილს ხელთ ყმაწვილი გალაკტიონის ლექსების რევული რომ უპყრია და გაოცებით უყურებს: მნელი დასაჯერებელია, რომ ეს ლექსები თქვენი იყოს. პირველად მესმის, რომ თოთხმეტი წლის ბავშვი ასეთ მშვენიერ ლექსებს წერდეს. იშვიათი ლექსებიაო.

და სანიმუშოდ ამ სტროფს  
იმოწმებს:

მთვარე კაშგაშებს, ცა,  
მოფენილი  
მოციმციმეთა  
გარსევლავთა გუნდით,  
შშვიდად დაჟყურებს ძირს  
დედამიწას,  
გარშემოხვეულს სქელი  
ბინდ-ბუნდით.

მისი ჩაკითხვა კი, თითქოს  
მანამდე საქებარი სიტყვები  
არ დაეხვავებინოს, აღტაცე-  
ბით წამოაძებინებდა: კარ-  
გია, ძალიან კარგიაო.

შეუძლებელია არ ეგრძო  
ილია ჭავჭავაძის პოეტური  
განცდებისა და სტილისტი-  
კის ზეგავლენა, სტრიქონთა  
„დამძიმება“ და მძაფრ კლეგი-  
ურობაში ჰაეროვნებისა და კე-  
თილხმოვანების ჩაკარგვა, მაგ-  
რამ განსაკუთრებული შთა-  
ბეჭდილება ყმაწვილი პოეტის  
ხნოვანებას მოეხდინა და იმ  
პერსპექტივას, რაც ამ ხელნა-  
წერებიდან გამოსტკვიოდა.

თუმც ეგეცა: ეს სტროფი  
მოხმობილი იქნებოდა არა-  
მარტო მხატვრული სიძლიე-  
რის გამო, არამედ ერთი შე-  
ნიშვნის გასაზიარებლადაც:

— თქვენ ხომ არ იქნებით  
წინააღმდეგი, ეს მეორე სტრი-  
ქონის სიტყვა „ბინდ-ბუნდი“  
რომ შევცვალოთ „ბურუსით“.

შეკითხვა რიტორიკულია,  
რაკიდა რედაქტორი ვარაუ-  
დობს, რომ ყმაწვილი უყოფ-

მანოდაც დათანხმდება ამ  
ცვლილებას, ნაკარნახევს მხო-  
ლოდ და მხოლოდ მისი ლექ-  
სების გაუმჯობესების სურ-  
ვილით და არა რაიმე სხვა  
მოტივით.

— არა, ქალბატონო, წინა-  
აღმდეგი არა ვარ, — ახალ-  
გაზრდა პოეტი სასწრაფოდ  
ეთანხმება, მაგრამ თავისისას  
მაინც შეაპარებს, ეგებ შე-  
ნიშვნა გადავაფიქრებინორო, —  
მაგრამ არ ვიცი, რა ასეთი  
დიდი განსხვავებაა ბინდ-ბუნ-  
დისა და ბურუსის შორის?

ის ცდილობს ისე აუხსნას  
გამოყცდელ ყმაწვილს, რომ  
დაუკარგოს ამ სიტყვის კვლა-  
ვაც გამოყენების წადილი.  
სხობური ფსიქიკის ახალგაზ-  
რდა უთუოდ შეშფოთდებოდა,  
როდესაც მის მიერ მოხმო-  
ბილ სიტყვას მოძველებულის,  
დრომოშემულის იარღიყს მი-  
აკერებდნენ:

— ბურუსი უფრო თანამედ-  
როვე სიტყვაა.

მაგრამ ვინც გაურბის სხო-  
ბურ გემოვნებას და არცერთ  
სიტყვას იოლად და ჰაიკა-  
რად არ არჩევს? მაშინ, ცხა-  
დია, ასე მიუგებს:

— ბინდ-ბუნდიც, ქალბატო-  
ნო, უაღრესად თანამედროვეა.

შეამჩნიეთ შეფარული ირო-  
ნია? თანაც ისე, ოდნავადაც  
რომ არ დაირღვეს ტაქტი და  
ზრდილობა. მაგრამ განდეგი-  
ლი მაინც უნდა განაწყენდეს  
სიტყვის შებრუნებით და ერ-

თბაშად შეცვალოს ალერსიანი კილო:

— ჩვენთან რედაქციაში ისეთი ხალხიცაა... დაიცა, დედა რას გეძახის სახლში? გალაკტიონს?

— არა, უბრალოდ გატუნიას.

— პო და, ჩემო გატუნია!

ჩვენთან რედაქციაში ისეთი ხალხიცაა, რომ შენისთანა ახალგაზრდებზე ამბობენ: ვუნდერკინდების ჩვენ არა გვჯერა რაო. დაიწყებენ მშვენივრად და უეცრად სულ ქრებიანო. მეორეც ისა, რომ გაგიგებენ სემინარიაში და უსათუოდ გამოგრიცხავენ. მერე, გატუნია, რას ეტკი დედა შენს?

ვითომ შემთხვევით უხსენა დედა, ვითომ იმიტომ, შინ ალბათ მოფერებით სახელს გეძახისო. და აგერ, რაოდენ სახიფათო კონტექსტში გამეორდა დედის სხენება: უსათუოდ გამოგრიცხავენ სემინარიიდანო. ეს ფრაზა დედის ლანდის გაელვების გარეშე შესაძლოა ყმაწვილს ძალიან აბსტრაქტული მოსჩვენებოდა, სრულყოფილად ვერ ჩაწვდომოდა მის შემაშვოთებელ შინაარსს, ახლა კი, როდესაც თვალნათლივ უნდა განიცადოს მოსალოდნელი გარიცხვის შემდგომი წუთები, ყველაზე საძნელოდ სწორედ დედასთან ამის გამხელა მოქმედება, ცხადია... ფიქრიც აქეთ გადაქანდება და აღარ

დაგიდევს, რომ ეს უოველივე მხოლოდ იმისთვისაა გამიზნული, ის ერთი სიტყვა ისე შეიცვალოს ლექსში, როგორც რედაქტორს ურჩევნია.

ამის გამოა რედაქციის მითიურ თანამშრომელთა ხსენებაც საჭირო.

ასე რომ უქო ლექსები, ახლა იმ ერთი შეპასუხებისათვის ხომ არ გადათქამს აღტაცებულ შეფასებას? ანდა შენიშვნას უკან ხომ არ წაიღებს?

ამიტომაც სხვათა სახელით უნდა დააშინოს, უცნობთა სკეპსისით დამწყებოდა მიმართ... თან ეს სემინარიიდან გამოგდების პერსპექტივაც?! რაზეც აქამდე გალაკტიონს არც ეფიქრა, ახლა ერთბაშად დააბყდებოდა თავს და ისე დაღონდებოდა, დომენიკა ერისთავი მიხვდებოდა, კიდევ მეტი დაშინება ზედმეტიაო.

— არაფერია, დავბეჭდავთ, მხოლოდ სახელსა და გვარს მთლიანად არ მოვაწერთ, ბურუსი კი ისევ ისე დარჩება.

ლექსი მართლაც ასე დაიბჭდებოდა.

თანამედროვე სიტყვას „ბინდ-ბუნდი“ ჩაენაცვლებოდა რატომდაც უფრო თანამედროვე სიტყვა „ბურუსი“.

ამ ჩანახატს კი პერავდა ტკივილი, რომელიც იმ პუბლიკციისას ისეთი მძაფრი არ იქნებოდა, რადგანაც დამწყების მიმართ ჭკუისდარიგე-

ბად აღიქვამდა, მაგრამ მერე და მერე სულ უფრო გაუმწვავდებოდა ეს შეგრძნება და „ამირანის“ რედაქციაში სტუმრობას გაიაზრებდა ოავის აურაცხელ პუბლიკაციათა ერთგარ წინასახედ, შებიჯებად იმ მოჯადოებულ წრეში, რომელსაც ვერა და ვერ დააღწევდა ოავს:

— პირველ ლექსიდანვე ასე დამებედა. მას მერე ჩემი შვიდი ათასი ლექსი დაიბეჭდა, მაგრამ არცერთი ისეთი, რომელშიც რედაქტორს, ან კორექტორს, ან სხვას შესწორება არ შეეტანოს.

ვინდა იყო განდეგილის მომგონებელი?

ოლია ოკუჯავასადმი გაგზავნილ ბარათში, 1929 წლის 29 იანვრით რომ დათარიღებულა, გალაკტიონს უკვე მოეხახა ის სილუეტური შტრიხები, რაც ოდესმე მემუარულ თხზულებაში შეტანისას ძალიან გამოადგებოდა გასაშლელად.

პირადად შენ ძალიან უფვარდიო, — არწმუნებდა ოლიას, როდესაც დომინიკა ერისთავის მოულოდნელი გარდაცვალების ამბავს აუწყებდა იმავე დღესვე. გულის სიგანივრით, ამასაც დასძენდა და მოჰყვებოდა მის ქებას:

ძალიან ნიჭიერიო, მეტის-მეტად ინტელიგენტიო, სამაგალითო ზრდილობისა და რედაქციებისაც სამაგალითო

თანამშრომელიო, უდიდესი მეგობარი აკაკი წერეთლი-საო, ალექსანდრ გრიბოედოვის საუკეთესო მთარგმნელიო (გულისხმობდა კომედიას „ვაი ჭკუისაგან“, რომლის ჯერ მარტო სათაურის მარჯვე ქართული შესატყვისი ერთ რამედ ღირს!), საზოგადო მოღვაწე — ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობითო, ზღაპრულად გულკეთილი ქალიო.

თითქოს რაღაც... რაღაც აკლდებოდა მის სილუეტს, და გალაკტიონი ამ შტრიხის ჩართვასაც აუცილებლობად მიიჩნევდა: ჭაღარაომიანო.

იმ ეპითეტთა ფონზე ეს ორდინარული გარეგნული ნიშანი ვითომ რა ისეთი გამოსარჩევი გახსლდათ? განა რომელი მოხუცებული ქალი არ არის ჭაღარაომიანი?.. მაგრამ, ეცყობა, განდეგილს ჭაღარა განსაკუთრებით ამშვენებდა, მის სიდარბაისლეს, გულკეთილობას, ყოველმხრივ სამაგალითობას გამოჰყევთდა და გალაკტიონი ამიტომაც დაბასრულებდა ეპითეტთა ჩამონაოვალს ამ თითქოსდა უმნიშვნელო დეტალით.

სიხარულით გაიხსენებდა, რომ დომინიკა ერისთავის უკანასკნელი წერილი სწორედ მას ეძღვნებოდა, 1927 წელს გამოცემულ ბიულუტენში — „გალაკტიონი“, და სიამაყით დაიმოწმებდა ამ სტრიქონებს:

— გალაქტიონ ტაბიძე, ეს დიდი პოეტია. უდიდესი განცდებით და უნაზესი გადმოცვემებით. გალაქტიონი ეს სულ განცალკევებული მოვლენაა ჩვენს ცხოვრებაში. შეიძლება იმას ამიტომაც უწოდეს პოეტების მეფე. იგი განსაკუთრებით გრძნობს ბუნების ხვაშიადს. იგი არ არის ჩვეულებრივი პოეტი და ამიტომაც მას სათუთის გრძნობით უნდა ეკიდებოდეს თავისი ერი.

რათა დაემატებინა:

— ეს სიტყვები ანდერძიგოთაა. და ბარათის ბოლოს კი თხოვნა ოლიასთან: თუ გიყვარვარ, გვირგვინი ან ყვავილები წარწერით — „ოლია ოკუჯავასაგან“ — უსათუოდ საჭიროა.

მაშინ კი...

პირველივე ლექსებიდან ასე რომ დაებედებოდა...

და ისე დაბეჭდავდა შვიდი ათას ლექსს, ერთსაც რომ ვერ მიაწვდიდა მკითხველს იმ სახით, თვითონ როგორც ენება.

უთუოდ ვიღაცას უნდა შეეტანა შესწორება: ან რედაქტორს, ან კორექტორს, ან კიდევ სხვას.

ეს „სხვა“ მაინც ვიდაა?

რედაქტორი გასაგებია — თუკი საჭიროდ სცნობდა, უხეშადაც ჩაერეოდა თვით გალაკტიონის ლექსის მხატვრულ ქსოვილში, კორექტორს საამისო უფლებანი არ გააჩნდა ოფიციალურად, მაგ-

რამ ისიც ითამამებდა და „გრამატიკულად გაუსწორებდა“ სტრიქონებს, მაგრამ იმ „სხვას“ ნეტა რა უფლება პქონდა?.. ვკ, პქონდა კი არა, სწორედ ის „სხვა“ აწესებდა იმ წეს-კანონებს, ამა თუ იმ თხზულების მხატვრულობაც რომ უნდა შესწირვოდა, თორემ დედაზრსა და თვით გამჭვირვალე ქვეტექსტებს შანთით დასდევდა. რედაქტორსაც ის ადგა თავს და კორექტორსაც და უმეტეს-წილად დაიმგვანებდა კიდეც, ის კი არა, ისე დათრგუნავდა, მასაც გადაასწრებდნენ, თვით ამ „სხვას“, რომელიც უხილავი გახლდათ, თითქოსდა არარსებული და სრულიად უწყინარი სახელი ერქვა მთავარი ლიტერატურული კომიტეტი, თიპუნით — მთავლიტი, მაგრამ სინამდვილეში ცენზურა გახლდათ, ულმობელი და გავეშებული, მის თვითნებობას საზღვარი რომ არ გააჩნდა და გალაკტიონს სულ რას დაინდობდა, ბევრჯერ აგემებდა ბრჭყალებს და სულშიც ჩაუსახლდებოდა მალულად და თვითცენზურად მოევლინებოდა, რათა მარიონეტივითაც ეთამაშებინა თავის ნებაზე.

მის ჩანახატშიც თითქოს უწყინრად გამოიყურებოდა, ნართაულით — სხვა.

მაგრამ რადაც ავისმომას-წავებელი რატომ აკრობოდა

ამ სიტყვას?

თუმც 1917 წლამდელი ცენზურა მონაგონი იქნებოდა 1924 წლიდან სულ უფრო გამკაცრებულ ცენზურასთან შედარებით, მაგრამ გალაკტიონს მაშინაც შეეხებოდა მისი ჭვანგები პირდაპირ თუ არაპირდაპირ... და თვით იმ დროსაც, როდესაც ქვეყანა შედარებით თავისუფლად ამოისუნოქავდა, ყოველ შემთხვევაში ცენზურა სადღაც მიიმაღებოდა, რედაქტორები თუ კორექტორები მაინც ლამობდნენ მის სტრიქონთა დაჯიჯგნასა და დამახინჯებას, თორემ ზოგადად მაინც აღნიშნავდა: ერთი ხანობა გადამირჩა პუბლიკაციები შესწორებათაგანო.

ფინალური პასაჟისთვისაა მთელი ჩანახატი შექმნილი, იმ პირველსახის წარმოსაჩენად, რეფრენივით რომ გამოპყვებოდა მის სამწერლო მოღვაწეობას; პირველ ლექსიდანვე ასე დამებედაო... ამასობაში კი გაიელვებდა დომინიკა ერისთავის სილუეტი, მაინც მაღლიერებით აღდგენილი, რაკიდა სხვა არავინ დარჩენოდა მომგონებელი... და ავტობიოგრაფიულ თხზულებაში კიდევ უფრო გაიშლებოდა თხრობა ამ მწერალი ქალის ირგვლივ, სხვა ეპიზოდებითა თუ დეტალებით შევსებული.

ამ ჩანახატში საგულისხმო ისიცაა, გალაკტიონი დიალო-

გის ოსტატადაც რომ წარმოგიდგება. აბა, ამ თვალით ხელახლა გადახედეთ თუნდა აქ მოხმობილ ფრაგმენტს – დახვეწილიცაა ეს დიალოგი, დინამიკურიც, ნებისმიერი ბელეტრისტის თხზულებასაც რომ დაამშვენებს.

მარტოდენ პოეტურ სტრიქონებად არ ადგებოდა ბაგგზე სიტყვები გალაკტიონს.

თხრობაც ემარჯვება.

ხასიათის თავისებურებათა მიგნებაც და წარმოჩენაც.

აგერ დიალოგიც რა მარჯვედაა აგებული.

და არანაკლებ – დათიკო პავლიაშვილის სილუეტის მოხაზვისას.

ვინაა მომგონებელიო, და 1940 წლის 22 თებერვლის დამეს, პირველს რომ ათი წუთი აკლდა და გალაკტიონს ჩაემთავრებინა მოსმენა შუბერტისა და ბახის მელოდიებისა, ელეგიური განწყობილებებით გაუდენილის, თვალწინ ამოესახებოდა სამი საათის წინანდელი შეხვედრა ძველ ნაცნობთან, არჩილთან, ვისაც ლუდზე მიიპატიუებდა.

– ეხლანდელი დვინო არ დაილევ, ისევ ლუდი სჯობს.

და მაშინ მოიგონებდნენ ბევრ რაიმეს დათიკო პავლიაშვილზე, ვისოფისაც მეგობრებს მეტსახელად ნაპოლეონი შეერქმიათ.

მართლაც ნაპოლეონი იყო გარეგნულადო, – სავსებით

იზიარებდა ამ მეტსახელის ზუსტად შერჩევას გალაკტიონი:

— ისეთივე შებდი, სახე, განსაკუთრებით ცხვირი, გულზე ხელების დაკრეფა, თავის მიმოხვრა, გამოხედვა, მოკუმული ბაგები (როდესაც რაიმეზე დაფიქრდებოდა).

სინამდვილეში კი უურნალისტი გახლდათ, „ივერიის“, „ცნობის ფურცლისა“ და სხვა გამოცემათა ერთგული თანამშრომელი. ამასთან, უზომოდ ხუმარა და გულწრფელი.

პქონია კუზი, უზარმაზარი.

— ეს კუზი მას მუდამ ანსხვავებდა.

თითქოს უცნაური ფრაზაა, ზედმეტი ღებალი, რომელსაც აღნიშვნა სულაც არა სჭირდებოდა — კუზი განასხვავებდა გარშემომყოფთაგან, აბა, რა იქნებოდა!.. ამიტომაც რატომ უნდა ჩაწერილიყო ჩანახატში, სადაც ყოველი სიტყვა თუ გულმოდგინედ არაა აწონილ-დაწონილი, ერთბაშად მოირდვევა მისი მხატვრული ქსოვილი.

მაშ ეს სრულიად ზედმეტი ფრაზაა და ეგ არის, რა თითქოს და რომელი თითქოს.

ზედმეტი ვითომ?

უშეალოდ არაფერს გვამცნობენ, მაგრამ ამ პიროვნების მიდრეცილება უზომო ხუმრობისაკენ და ჩანახატის საერთო განწყობილება მპაფიოდ მიგვანიშნებს, რომ ეს ფიზიკური ნაკლი დათიკო

პავლიაშვილისათვის სახალისო და საქილიკო თემად ქცეულა და თავის უზარმაზარ კუზის არტისტულადაც კი დაატარებს.

ხომ განსხვავდება ამით ყველასაგან?!

ძალიანაც კარგი.

კუზი არამცოუ ხელს ვერ უშლის მის მხიარულებას, კოდეც აგულიანებს, რომ ყოველ წუთას საოხუნჯოდ იყოს განწყობილი.

აგერ გამსახეომთან ვანო სარაჯიშვილს გადაპყრია და მაშინვე მიხალისებია:

— სახალხო არტისტის სახელი რომ მოგეცი, იმიტომ გადიდგულდი?

— შენ რა გინდა, დათიკო?

— დიმილს ვერ იკავებს ვანო.

— ოპერის დირექტორობა

რომ მოგეცი, იმიტომ?

— რა გინდა, რა, შენ ისა

სთქვი!

— შენზე იმდენი რეცენზიუ-

ბი რომ ვსწერე, იმიტომ?

— ვაჲ, ეს რა კაცია! გა-

ლაკტიონ, თუ მმა ხარ, მიშვე-

ლე, მომაშორე ეგ კაცი.

— არა! — დათიკომ აქ უნდა გამოიყენოს თავისი კოზირი, ნაპოლეონისებურად დაიკრიფოს ხელები და კიდეც აღგვეთოს ყოველგვარი წინააღმდეგობა, — ეხლავე წამოხვალ „კახეთიაში“.

წავიდოდნენ.

— ვანოს იმ დროს ფული პქონდა.

ეს თითქოს სასხვათაშორისოდ ჩაგდებული ფრაზა მიგვახვედრებს, რომ დათიკო კი არ მასპინძლობს ვანოს, არამედ თავი დააპატიჟებინა, და დაპატიჟებინა ასე ლაღად და არტისტულად.

ძეგველიშვილთან რომ თევზს იყიდიდნენ, ეს რაღა საინტერესოა?

მაგრამ ეს ის ყოფითი დებალია, რომლის გამოტოვებაც არ ივარგებდა, რაკიდა კონტრასტის ხერხის მოშევლიებამ თავისებურად უნდა გაალამაზოს ჩანახატის ფინალი – თითქოს ხოველააო.

– არასოდეს ისეთი მრავალეამიერი არ მახსოვს, ჩვენ სამი რომ ვმდეროდით: მე, ვანო სარაჯიშვილი და დათიკო პავლიაშვილი.

რას იტყვით, როგორი ტრიო შეკრებილა!..

ვანო სარაჯიშვილი არ თაკიდობს კია ამათ გვერდით სიმღერას და...

ვინაა მომგონებელიო, გორგი ქუჩიშვილი მაინც სხვაგვარად ამოსჭროდა გულზე მარტოსულს, საკუთარ თავში ამოკეტილსა და ამოქროლს ეს ერთი მაინც პყავდა შედარებით ახლოს. მეგობრობა პირობითად უფრო ითქმის, როდესაც გალაპტიონის სულიერი წყობის პიროვნებანი ჩაიღლიან კადრებივით ჩვენს თვალწინ – უმეგობროდ დარჩენილნი მოელი ცხოვრება,

მაგრამ ვიდაც ან ვიდაცანი ყოველთვის გამოჩენილან, შედარებით მისანდონი რომ ყოფილან მათოვის და, მთლად გულსაც თუ არ გადაუხსნიდნენ, მათ გვერდით ყოფნა აუტანელი აღარ იყო მარტოსულად შთენილთათვის.

გორგი ქუჩიშვილის სახელი ამიტომაც გადასჯაჭვია გალაპტიონისას.

სალიტერატურო ქულუარებშიც თავისუფლად გრძნობდა თავს და ყოფითობის პულუარებშიც, არ აღიზიანებდა არავის დიდება, არ აგულისებდა არავის წარმატებანი – პოეტური სარბიელი იქნებოდა თუ სათანამდებობო კარიერა, უშურველი გულით ეგებებოდა ყველასა და ყველაფერს და გალაპტიონის მიმართ მისი სიყვარულიც და თაყვანებაც გახლდათ ყოვლად უანგარო.

შეუძლებელია თვით ისეთ ეჭვიან პიროვნებასაც, გალაპტიონი რომ წარმოგვიდგება, არ დაენახა ეს უანგარობა, ეს სიალალე, ეს უშურველობა, ეს მტური სიყვარული.

არა თანამეინახე ორკაციან სუფრებზე, არამედ – თავისი გაწამებული, აგიზგიზებულ ნერვებად ქცეული ცხოვრების გამაიოლებელი.

მოსაგონარი მასზე ექნებოდა თუ ექნებოდა.

და გული წყდებოდა, მარტოდენ მის იმედად რომ რჩე-

ბოდა ეს პეთილ შობილი კაცი. სხვათათვის ეგებ მარგინალური ადამიანიც კი, გულგრილად რომ გადაატარებდნენ მზერას მის სტრიქონებზეც და, მითუმეტეს, მის ბიოგრაფიაზეც.

საწყალი ქუჩიშვილიო, — ასე მოიხსენიებს იმ ჩანაწერში, რომელიც ჩინებული მასალა, ის კი არა, ქარგაცაა მინიატურის, თორემ ლიტერატურული პორტრეტის ფრაგმენტი ხომ არის და არის.

— ახ, რა საშინლად ამოქნარებდა.

თოთქოს გაღიზიანებულა გალაკტიონი, ეს პირველი ფრაზა სხვას რას გაფიქრებინებს, თუ არა ამრეზილი განწყობილების ჩანიშვნას.

მაგრამ ჯერ ჩავყვეთ.

ეს ყოფილა მთქნარება დანის სმის შემდეგ, გამოძინების შემდეგ, საშინელი თავის ტკივილის შემდეგ.

საწყალი ქუჩიშვილიო, — სწორედ აქ წაცდებოდა.

გარეგნულად კი არაფერს იმჩნევდა, მაგრამ:

— სხანდა რადაც აუწერები სიცარიელე, გამოუსვლელობა ამ სიცარიელისაგან, წამება, რომელიც ენიო არ გამოითქმის. ახ, რა საშინლად ამოქნარებს... თოთქო მთელი თვეა არ უძინია.

რამხელა სულიერი განცდები ამოქნილა გალაკტიონის თვალწინ. მისი დაკვირ-

ვებული თვალი და გუმანი ამოიცნობდა შინაგანი გამოფიტვის კვალს და უკიდურესადაც შეშვითდებოდა, თორემ სხვათათვის ეს მხოლოდ უსიმოვნო გრიმასა იქნებოდა, რომლის წიაღში ჩაწვდომასაც წამითაც არ გაივლებდნენ გულში. არამცუუ გიორგი ქუჩიშვილის პირვენების წარმოსახვისათვის ერთგვარ ქვაკუთხედად ექციათ.

ჩანიშნა ისიც, ერთხელ ალექსანდროვის ბაღში სურათი რომ გადაეღო ქუჩიშვილსა და ხიდისთაველთან ერთად: მოლზე გორაობდნენ თურმე.

ესეც კიდევ ერთი საგულისხმი შტრიხი.

ვინაა მომგონებელიო, ირაკლი ტოფაძის გახსენებაც რომ ჩაფიქრებდა წუთისოფლის წარმავლობაზე, თავის მხრივ მის სახებასაც მაშინ გამოიხმობდა, ასი ლექსის „მნათობისეულ“ პუბლიგაციას უწევულო აღტკინება რომ გამოეწვია დედაქალაქში.

— რა საოცარი გასრულდა წლები, — იმეორებდა ეს მხატვარი „პროლოგის“ სტრიქონს და დასქენდა:

— რა დიდებულია ბაგშვების ამბავი... რა ძვირფასი სახეებია.

ბავშვის სიმბოლიკა გალაკტიონის მხატვრულ ხილვებში ერთი ყველაზე ორიგინალური და ღრმააზროვანი თქმაა,

უსათუოდ დასამუშავებელი, ერთი მხრივ, მისი მხატვრული სამყაროს თავისებურებათა ძიება-ამოცნობისას და, მეორე მხრივ, ამ მიმართულებით კვლევის გასაგრძელებლად, რათა სრულყოფილად წარმოვისახოთ ბაგშვის სახება ქართულ მწერლობაში იმთავიდან ამთავამდე და ეს მოტივი, იმხანად ნაკლებ თვალსაჩინო, როგორ უგრძენია ირაკლი ტოფაძეს ჯერ მარტო იმ ასი ლექსის წაკითხვისას და თითქოს ისიც და თვითონ გალაკტიონიც ამ აუცილებლად შესასწავლი თემის შთავარ ძარღვს ჰკარნახობენ შთამომავლობას, რომელთაგანაც ემზარ კვიტაიშვილი კიდეც საგანგებოდ ჩაუჯდებოდა ამ სიმბოლიკის ამოცნობას და ნარკვევით „მარადიული ბავშვი (ბაგშვთა სახეები გალაკტიონის პოეზიაში)“ მის მრავალწახნაგიანობასა და ნიუანსობრივ თავისებურებებსაც დაადასტურებდა გალაკტიონის პოეტურ ნააზრევში.

იმ საგულისხმო პარალელს კი იმთავითვე აღნიშნავდა: აკაკიც და გალაკტიონიც გამორჩეულ ლტოლვას, სიყვარულს ავლენენ ბავშვისა და მისი ულამაზესი, იდუმალებით სავსე სამყაროს მიმართ, რაც მათ შემოქმედებაში მთელი სისრულითა და ფერადოვნებით აისახაო.

ეს სულიერი საერთოც ბუ-

ნებრივად აღმოაჩნდებოდათ.

მოგონებათ სადამოების ჩამონათვალში მართალია არ იხსენიებოდა იროდიონ ევდოშვილი, მაგრამ გიორგი შინატეხელის სტუმრებს შორის ისიცაა დასახელებული და გალაკტიონს მისი სახელის მიერუებაც არ ეჭაშნიკებოდა, უფრო ზუსტად, მარტოდენ რევოლუციის მგზნებარე მომდერლად დასახვა. ამ განსაზღვრების მიღმა იყარება ნამდვილი იროდიონ ევდოშვილი, კეთილშობილი პიროვნება და ზნეობრივი მაგალითის ნიმუში, სოციალ-დემოკრატთა მრისხანებასა და დაუნდობლობასაც რომ არ შეეპუებოდა და ილია ჭავჭავაძის მკალელობის შემდგომ მიატოვებდა ამ პარტიას, როგორც ანტიეროვნულსა და კრიმინალურს და უშეალო დამტკიცება და აღმსრულებელს წიწამურის ტრაგედიისა.

აგვისტოს იმ დღის შემდგომ გამოერკვეოდა ილუზიათაგან და ამ რეალობის დანახვას თავისი ჭეშმარიტი სახით აღარაფერზე გადაცვლიდა.

შინატეხელის ბინაზე გამართული სერობების აღწერა ძალდაუტანებლად მოიყოლებდა ფიქრს იროდიონ ევდოშვილზეც და ერთბაშად ამოისახებოდა თვალებანთუბული, ლოუებჩაცვენილი, გამხდარი კაცი, რომელიც ხველებისას ხელს იფარებდა

## სახეზე.

— დაბრძანდით, ბატონო.

— გალაკტიონ, იცით ხომ ჩემი მდგომარეობა... საშინელ მატერიალურ მდგომარეობაში ვარ და უნდა მისხნათ, ყველა უნდა დამეხმაროთ.

ვერ გაეხსენებინა, სად, რომელ წელს, რა პირობებში მომხდარიყო ეს ამბავი.

თუმც თანამოსაუბრის გარეგნობასა და სიტყვებს რა დაავიწყებდა.

სალიტერატურო სადამოს გამართვას აპირებდა, თუმც შემოსავლის იმედი მაინც-დამაინც არ გააჩნდა. რადგანაც სალიტერატურო სადამოებს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში ესწრებოდა ხალხი, იროდიონს მიაჩნდა, ხალხს პოპულარული სახელები მიიზიდავანო.

სახელოვანთა შორის გალაკტიონსაც იგულვებდა.

ეს უყოფმანოდ დაყაბულებოდა: ჩემთვის უდიდესი სიამოვნება იქნება მივიღო მონაწილეობა იმ ადამიანის სადამოში, რომელმაც დაწერ „მეგობრებო, წინ, წინ გასწიო“ და რევოლუციური პოეზიის წარმომადგენელი იყო 1905 წელსო.

ოდონდ დასძენდა:

— ჩემი სახელით ძალიან საეჭვოა რამე შემოსავალი მიიღოს სადამომ.

ის თავისას არ დაიშლიდა:

— ახალგაზრდობა შენით

გაგიქებულია, თეატრი გაიჭედება.

თან ჩამოთვლიდა სადამოს მონაწილეებს: ია ეკალაძეო, ვარლამ რუხაძეო, იასონ ნიკოლაიშვილი...

იგი დაიმტებული წავიდოდა.

„მეგობრებო, წინ, წინ გასწიოო“...

რევოლუციური პოეზიის წარმომადგენელი 1905 წელსო...

პირველ ყოვლისა რა ასოციაციებსაც იწვევდა იროდიონ ევდოშვილის სახელი.

გალაკტიონსაც — გარკვეული მოსაზრებით — სჭირდება ამ ყოველივეს ჩაწერა, მაგრამ მისთვის ამ პოეტის ეს მხარე რომ იყოს მთავარი, შინატეხებულის სტუმრებს შორის კი არ დაასახელებდა, არამედ სულ სხვა ვითარებაში.

და თუნდ ავტობიოგრაფიულ თხზულებაშიც გაელვებულიყო ხესნება იროდიონის, როგორც რევოლუციის პოეტისა, მისი სილუეტი მაინც იმ მეგობრულ თავურილობათა ფონზე წარმოჩნდებოდა და თავისთვად გაარღვევდა შაბლონის ჩარჩოებს.

ვინაა მომგონებელიო, გიონ საგანელიც ენანებოდა გასაქრობად და გულდასმითაც მოქმედებოდა მისი ლიტერატურული პორტრეტის შესაქმნელად.

გეგმასაც შეიმუშავებდა, თუ როგორ აგბულიყო კომპოზიცია და შტრიხებისა და

ეპიზოდების რა რეალი მო-  
ეცვა. და თვითონ ეს გეგმაც  
საგულისხმოა – დაუწერელი  
ავტობიოგრაფიული თხზულე-  
ბის დაუწერელი პორტრეტისა  
და იქნებ დოკუმენტური ნო-  
ველის ნაშთი, ხელშესახებად  
რომ მიგვანიშნებს, როგორ  
გააზრებულიყო ბურუში მი-  
კარგული კაცის სულიერი და  
კალენდარული ბიოგრაფია,  
რომლის ქარგაც ნუმერაცია-  
ზე ასე გაეწყობოდა.

1. პირველი შეხვედრა  
გიონთან.
  2. (გავრთოთავა).
  3. უეცარი გარდატება.
  4. გიონი და მისი ძაღლი.
  5. გიონი თავის ოთახში  
არსენალთან.
  6. გიონი რედაქტორობს  
ტფილისს.
  7. გიონი კაფე დარბაზის  
გმირი.
  8. გიონის კრიალოსანი.
  9. გიონი ჭადრაკს თამაშობს.
  10. გიონი ხანდახან თვრება.
  11. გიონი ხანდახან შიძ-  
შილობს.
  12. გიონი აწყობს ორგანი-  
ზაციას პ.მ. არჩევისას.
  13. გიონის შეტაკება ყან-  
წელებთან.
  14. გიონი და მისი ბიძა სა-  
განელი.
  15. გიონი საკონდიტოში.
  16. გვიამბეთ რამ გიონის  
შესახებ.
  17. გიონის თვითმკვლელო-  
ბა, ოთახი, სათამაშოები.

18. მისი საფლავი.

19. სულ ორი წლის გან-  
მავლობაში.

ხომ მხოლოდ რეალიებია  
ჩამოთვლილი, მაგრამ გეგმის  
მონახაზიც რაოდენ მრავ-  
ლისმეტყველია, პოეტის არე-  
ული და ტრაგიკული ყოფის  
ისეთნაირად ამრეკლავი, თით-  
ქოს ამჯერადაც გალაკტიო-  
ნის სტრიქონთა ტიპტიკი ჩაგ-  
ვესმოდეს.

ერთი ჩაჯდომადა სჭირდე-  
ბოდა ამ თეზისთა გაშლის.

ვინ აცალა ის ერთი ჩაჯ-  
დომა, თორექ...

ვინაა მომგონებელიო, ბეგ-  
ლარ ახოსპირელზე თითქოს  
არ სწუხდა, მაგრამ გიორგი  
შინატეხელის სტუმართა შო-  
რის მასაც პირველ რიგში  
რომ მოიხსენიებდა, ეს დეტა-  
ლი გვამცნობს, რომ იგი გა-  
ლაკტიონისათვის სულერთი  
არა ყოფილა. და კიდევ –  
გეგმის მონახაზი მისი სილუ-  
ეტის აღსადგენად:

1. ნება მომეციო, გაგეცნოთ.
2. კატასტროფა შეტაკება  
პოლიცემისბრ.
3. ტფილისში.
4. კოჭლი ფეხი.
5. შეტაკება.

ეს ჩამონათვალი გაცილე-  
ბით მოკლეა და უფრო ბუნ-  
დოვანიც, მაგრამ მინიშნებით  
მაინც მიგვანიშნებს ამ პოე-  
ტის პიროვნულ ხასიათს, ისე-  
ვე, როგორც კიკნა ფშაველა-  
ზე დაუწერელი სილუეტის ეს

პაწია გეგმა:

1. გთხოვთ დამისტამბოთ ეს ლექსი.
2. დემონიური გარეგნობა.
3. საშინელი დუელი ვიღაცა მეგრელთან.
4. რა არის პოეზია.
5. ტრაგიკული დაღუპვა.

ვინაა მომგონებელი კიქნა ფშაველასიო, ჩანიშვნით კი არ ჩაუნიშნავს, მაგრამ გულში კი ამოჭროდა და ფიქრობდა, საამისო დროს როგორ ვერ გამოვნახავო.

ხომ მოებმოდა თავი ქუჩუ ქავთარაძეზე – დემონის ფსევდონიმი რომ აერჩია – მემუარულ-დოკუმენტურ ჩანახატს, ძალზე ადრე წასული კაცის რელიეფურ პორტრეტს, გეგმის მონახაზი (პორტრეტი, მიღებული გურიაში). 2. იგი სემინარიის შესავალთან. 3. დენდი! ხელთათმანები, ცისფერი.... ხმა. არისტოკრატიზმი. 4. პოლემიკა აკაკის იუბილეებს გამო. 5. უურნალებში და ქალებში. 6. ტრაგედია საშინელი მარტობისა. 7. გარდაცვალება) ჩინებულ სილუეტად რომ გაიშძლებოდა და შიგ გალაპტიონის მფეთქავი გულიც ისე ამოებევოდა, თითქოს საკუთარ თავგადასავალს გვიამბობსო.

\* \* \*

დაუმთავრებელი ისიც  
დარჩებოდა, მაგრამ მაინც...

ასე თუ ისე...

ვინაა მომგონებელიო, იმათგან ერთი რკალი უკვე რომ გამოერჩია, ჩანაწერების ერთი ფრაგმენტითაც ხდება საცნაური. ასე ცალკე ვერც მიხვდები, თუ რა ჩამონათვალია, რას გულისხმობს ეს სია:

- 1. ქუჩა ქავთარაძე. 2. კიბნა ფშაველა. 3. ბ. ახოსპირელი. 4. ნ. ჩხილევაძე. 5. გიონ საგანელი. 6. ლილი მეუნარგია. 7. იოველ ჟორდანია. 8. შალვა კარმელი. 9. სანდრო ცირეკიძე. 10. კ. გერგესელი.

მაგრამ რაკიდა ამ ათვულიდან ოთხი პიროვნების სილუეტთა შესაქმნელად უპავი გულდასმით ეფიქრა, სავარაუდოა, რომ დანარჩენებიც ამავე რკალში ეგულებოდა და წამოწყებით თუ წამოწყებდა, ბოლომდეც აუცილებლად გავიდოდა, როგორც სჩვეოდა. ეგა, დაწყება ვერ მოუხერხდებოდა – ვერ დასრულდებოდა ქუჩუ ქავთარაძეზე მემუარულ-დოკუმენტური ჩანახატიც.

\* \* \*

დეპადის შემდეგო...  
ავტობიოგრაფიის წერას  
შეეუდგებიო...

კარგი იქნება მოგონებათა  
საღამოებიო...

დეპადა ჩაიფლიდა.  
ავტობიოგრაფიული თხზულება კი... გადაიდებოდა.  
გადადებული საქმე ეშმა-

კისააო.

ამ ანდაზებსაც რომ  
არაფერი ეშლებათ.

ის, რაც ცალკეულ სურათე-  
ბად თუ ნაკუწებად რიალებდა  
დოროდადრო გონებაში, ახლა  
იმგვარ რეალობად უნდა გამ-  
თლიანებულიყო, მთლიანად  
რომ მოითხოვდა შთანთქმას  
მემუარისტისაგან.

ასეთ დროს არ არსებობს  
წვრილმანი.

ყოველი დეტალი დიდად მნი-  
შვნელოვანი და ფასეულია.

და გალაკტიონისთვისაც  
ცხადი გახდათ მემუარის-  
ტიკის ეს თავისებურებაც და  
ერთი უმთავრესი ნიშანიც.

ამიტომაც გადავსებულა  
მისი ჩანაწერები უამრავი  
„წვრილმანით“, „უსარგებლო“,  
„სრულიად ზედმეტი“ პასაჟე-  
ბით, თითქოსდა მოულოდნე-  
ლად ამდენ დაფარულ გარე-  
მოებაში რომ გვახედებს და  
ჯადოსნური კალმის მოსმით  
აღწევს იმ განზოგადებას, გა-  
ნსხვავებულად რომ წარმოგ-  
ვისახავს თითქოსდა კარგად  
ცნობილსა და თვალნათლივს.

...არა, შინაგენელის ბინაზე  
გამართული მეგობრული შექ-  
რებანი მაინც რა იყო ამის-  
თანა გალაკტიონისათვის, მო-  
გონებათა საღამოების მხატ-  
ვრულ-დოკუმენტური ციკლის  
შთამაგონებელი?!

\* \* \*

საღამოების გამმაო, — თა-  
ვისთვის ასეც შეიძლება ჩა-

ენიშნა გალაკტიონს ავტობი-  
ოგრაფიული თხზულების ეს  
რკალი, პირობით სათაურად  
სწორედ ასე ემჯობინებინა და  
თუ საბოლოოდ არ დატოვებ-  
და, თხრობა მაინც ამ განწყო-  
ბილების ირგვლივ შემოექსოვა.

და ჩანიშნისას კი ძალაუ-  
ნებურად გაეფიქრა:

საღამო იწვა ხავერდის  
ყდაშიო.

ან რაღაც ამგვარი, თორემ  
ნაკლებ მოსალოდნელია მა-  
ინცდამაინც იმ განცდას გა-  
დაესწრო, შედამებებით ავად-  
მყოფობას რომ უჩიოდა, ყო-  
ვლგვარ შხამზე უშხამესს.

თუმც... ვინ ჩაწვდება გა-  
ლაკტიონის სულსა და გო-  
ნებაში დაძრულ ნაკადს, რა  
ბრუნავდა, რა ტრიალებდა,  
როდის რა მოიწვდა ამოსაფ-  
რქვევად, როდის რა ჩაიხშო-  
ბოდა თუ ოდნავ ან მკეთრად  
შებრუნდებოდა.

ჩვენ მაინც ასე გვეგონოს,  
ეს უფრო გაგვემეტოს, თორემ  
ის შხამი ხომ ისედაც არ აკ-  
ლდა, წამიერი გამონათებანი  
რომ არა:

საღამო იწვა ხავერდის  
ყდაშიო...

\* \* \*

მაინც რაზე საუბრობდ-  
ნენ შინაგენელთან, ახალი  
დროის საღონად რომ და-  
ეგულებინათ საღონთა შე-  
რისხვის ხანაში — რა აფიქ-  
რებდათ, რა ადარდებდათ,  
რას ესწრაფოდნენ?!

## ლეგან ბრეგაძე

### რეალობის მონატრება

გადავშლით თუ არა გალაკტიონ ტაბიძის „არტისტულ ყვავილებს“, უცხო და იდუმალ სამყაროში აღმოვჩნდებით. არამარტო იმის გამო, რომ ხშირად შევსვდებით უცხოურ რეალიებს, ტოპონიმებსა თუ გვარ-სახელებს (პარიზი, ვერსალი, ვეზუვი, ფლორენცია, პალაცო პიტი, ლიდიის სამრეკლო, ტრი-ანონი, ლედი გოლივა, ფრაგონარი და სხვა მრავალი), უცხო და იდუმალია იმ ლექსთა სამყაროც, რომლებშიც ნაცნობი გარემოა დახატული. „მთაწმინდის მთვარე“ გავიხსენოთ, მშობლიური მტკვარითა და მეტებით („მოსხანს მტკვარი და მეტები თეთრად მოედვარე“). აქაც პირველივე სტრიქონებიდან იდუმალების საუფლოში გადავინაცვლებთ, ისეა დახატული პეიზაჟი:

ჯერ არასდროს არ შობილა მთვარე ასე წყნარი!

მდუმარებით შემოსილი შედამების ქნარი

ქროლვით იწვევს ცისფერ ლანდებს და სეებში აქსოვს.

(ტაბიძე 1966: 274)

ყურადღება მივაქციოთ ამ უცხაურ „შედამების ქნარს“, რომელიც ჯერ ცისფერ ლანდებს იწვევს საიდანდაც ქროლვით (ქნარი ქროლვით!) და მერე მათ (ამ ცისფერ ლანდებს) ხეებში აქსოვს. დიას, ეს სიმბოლისტური სახეა, სიმბოლისტური მანერით არის დახატული პეიზაჟი, და იდუმალებაც ამის შედეგია.

ანდა გავიხსენოთ ზამთრის პეიზაჟი ლექსიდან „ოოვლი“:

მე ძლიერ მიყვარს იისფერ თოვლის

ქალწულებივით ხიდიდან ფენა.

(ტაბიძე 1966: 274)

ქმპირიული რეალობის თვალსაზრისით სრული აბსურდია, რაც ახლა წავიკითხეთ: იისფერი თოვლი ხიდიდან (ციდან კი არა, როგორც ბუნების წესია, — ხიდიდან!) ეფინება (რას?

წყალს თუ მიწას?) ქალწულებივით (?!), თითქოს ქალწულების ხიდიდან წყალში (თუ მიწაზე?) ფენა (ანუ ცვენა) ისეთი ბუნებრივი რამ იყოს, რომ შეიძლებოდეს თოვლის (ალბათ ოვალის ფიფქების) ცვენა მას შევადაროთ!

აქ მოქმედებს სიზმრის ლოგიკა. საზოგადოდ, სიმბოლისტური ლექსის მიზანი ის არის, რომ მოვაწყვიტოს რეალობას, ირეალურ სამყაროში გადაგვისროლოს. სიმბოლისტური ლექსის წაკითხვით მოგრილი შთაბეჭდილება ჩინებულად გადმოგვცა რევაზ თვარაძემ გალაკტიონის ახლახან ციტირებულ „თოვლზე“ საუბრისას:

„ლექსის კითხვის პროცესში ჩვენ სადღაც ვიყავით, სად ვიყავით? არც ეს ვიციო. ეს იყო რაღაც ნეტარი ბურანი, რომ ლიდანაც თავის დადწევა არც ახლა გესურს. ამასთან, ვერც კი ვიგრძენით, ისე ადმოვჩნდით ამ მდგომარეობაში. (...) ჩვენ მოგვეახლა რაღაც მთლიანი, დაუნაწევრებელი რამ, რაღაც ნისლისმაგვარი, მოგვეახლა და ისე შემოგვებლარდნა, ისე მოგვიცვა აგრეთვე მთლიანად, რომ ვერაფერი შევიტყვე. მერე „სადღაც“ ვიყავით. სად ვიყავით? სად არის ხოლმე შეღვინებული კაცი?“ (თვარაძე 1972: 102).

თავისი შემოქმედების სიმბოლისტურ პერიოდში გალაკტიონისა შექმნა ლირიკული შედევრები, რომლებიც მაგიური ტექსტების მსგავს ზემოქმედებას ახდენენ მკითხველზე. ამ ზემოქმედების მისაღწევად არის სწორედ საჭირო კარგად ნაცნობი საგნებისა და მოვლენების გაუცნაურების გზით გაიდუმალება (გავისხენოთ ანტიკური ორაქულის – შემდგომდროინდელ მკითხავ-შემლოცველთა წინამორბედის – მეთოდები).

მაგრამ ეს შედეგია. მიზეზი უცხო სამყაროებისადმი პოეტის ლტოლვისა სამშობლოსა და მშობელ ხალხთან გაუცხოებაა, რაც იშვიათი მოვლენა როდია ახალგაზრდა ადამიანთა (არამარტო ხელოვანთა!) ცხოვრებაში, როცა მათ ოვითდამკვიდრების პრობლემები უჩნდებათ, მით უფრო, თუ მათი ბავშვობა და ყრმობა ისეთივე გაუსაძლისია, როგორიც გალაკტიონისა.

„არტისტული ყვავილების“ ერთ ლექსში, რომლის სათაურია „მზადება გასამგზავრებლად“, გკითხულობთ:

რადგან არ მაქვს სამშობლო, რადგან არ მყავს არაგინ,  
ისევ უცხოეთისგენ მიმაფრენენ ნავები!

.....

რადგან მთელ სიცოცხლეში არვინ არ მყვარებია –  
მე მიყვარს საფრანგეთი, ალპები, იტალია!  
(ტაბიძე 1966: 56)

ამავე წიგნის სხვა ლექსში („რამდენიმე დღე პეტროგრადში“)  
ასეთი სტრიქონებია:

კარგია ძილი რკინაზე მიმე!  
ან უცხოეთში უგზოდ დაკარგგა!  
(ტაბიძე 1966: 24)

„არტისტული ყვავილები“ 1919 წელს გამოვიდა. გალაკტიონი  
ამ დროს 28 წლის არის. მართალია, „არტისტულ ყვავილებს“  
პრესაში ისეთი გამოხმაურება არ მოჰყოლია, როგორიც 1914  
წელს დასტამბულ მის პირველ წიგნს (რასაც ნოდარ ტაბიძე  
კოლეგათა შურიანობით ხსნის. – ტაბიძე ნ. 2000: 490-491),  
მაგრამ გალაკტიონი ჩინებულად გრძნობდა, ეპოქალური წიგნი  
რომ შექმნა, – ამას კი არ შეიძლებოდა სულიერი სიმშვიდის  
შეგრძნება არ მოეტანა მისთვის (მით უფრო, რომ ორიოდე  
წლის შემდეგ პოეტების მეფედაც აირჩიეს!). სიმშვიდის ეს  
შეგრძნება კი, 20-იანი წლებიდან საქართველოში მომხდარ  
სოციალ-პოლიტიკურ ცვლილებებთან ერთად, ერთ-ერთი  
მიზეზი უნდა იყოს რეალობისკენ პოეტის მიბრუნებისა, სი-  
ნამდვილესთან მისი რამდენადმე მაინც შერიგებისა. („20-იანი  
წლების დასაწყისიდან, ისტორიული ცვერების ფონზე, კვლავაც  
ზმანებათა კოშკში გახიზვნა და სინამდვილის არდანახვა ნა-  
ივურ თავისმოტყუებას დაემგვანებოდა“ – დოიაშვილი 2004: 48).

პოეტის შემოქმედებაში 20-იანი წლებიდან თავს იჩენს  
რამდენიმე ტენდენცია, რამაც მოამზადა გალაკტიონის მეორე  
პოეტური რეფორმა, რომლის „განმსაზღვრელი ნიშანი გახდა  
სისადავე – სისადავე ხალხური და კლასიკური პოეზიისა“  
(დოიაშვილი 2004: 69).

ვერ დაგუკავე მერანს სადავე,  
გულმა ხალისი ვედარ დამალა,  
მოვიდა გრძნობა და სისადავე,  
ისევ დაბრუნდა ჩვენი ამალა! –

ვკითხულობთ 1925 წელს დაწერილ ლექსში, რომელსაც  
სათაურად ციტირებული სტროფის ოდნავ შეცვლილი მესამე  
სტრიქონი უზის: „დაბრუნდა გრძნობა და სისადავე“ (ტაბიძე  
1966: 158). „გულმა ხალისი ვედარ დამალა“ – ეს განწყობილება

სრულიად უცხოა „არტისტული ყვავილებისთვის“.

ზემოთ დაგიმოწმეთ სიმბოლისტური მანერით შესრულებული პეიზაჟები „არტისტული ყვავილებიდან“. ამ პოეტიკით დახატული ბუნების სურათები ოციანი წლების ლირიკაშიც გვხდება („ლაუგარდ ცაზე დღეა თეთრი კრავების, / დასავლეთის კარი ჩატყდა ზმორებით“ – [1925 წ.]. ტაბიძე 1966: 190), მაგრამ უკვე ხშირდება რეალისტური მანერით ასახული რეალობის სურათები, რაც ერთობ იშვიათი იყო „არტისტულ ყვავილებში“ – გავისხმოთ სტრიქონები ამ წიგნიდან: „თიბათვე გავიდა. აჭრელდა ქათიბი / იქ, სადაც ყელამდე ლელავდა სათიბი“ („თიბათვე გავიდა“ – ტაბიძე 1966: 313); „მწვანე ჭალებში აფრინდა მწყერი, / გაფრინდა დალდა, მიპქრის ტოროლა. / მწვანე ტალდების მიდის მეწყერი, / ისმის ჯეჯილის მარაო-ქროლა“ („გზაში“ – ტაბიძე 1966: 313), „ცვრიან ბალახზე თუ ფეხშიშველა / არ გავიარე – რაა მამული! (...) ისევ ამწვანდა მდელო და კორდი!“ („მამული“ – ტაბიძე 1966: 283)... მგონი, სულ ეს არის.

20-იან წლების დექსებში რეალობას ერთობ მიახლოებული პეიზაჟი დომინირებს:

ქარი პქრის, ქარი პქრის, ქარი პქრის,  
ფოთლები მიპქრიან ქარდაქარ...  
ხეთა რიგს, ხეთა ჯარს რკალად ხრის...  
(„ქარი პქრის...“, [1924] . – ტაბიძე 1966: 133)

ანდა:

დარიალიდან გუშინ  
დგარმა მოყარა ხერგი,  
სალი კლდეების დრუში  
მდგრიედ გრგვინავდა თერგი.  
(„გზად ვეშურები მგზავრი“, [1925]. –  
ტაბიძე 1966: 182)

ჩნდება აშკარად ნატურიდან დახატული ბუნების სურათები: „შავმა ნისლმა დანისლა / მთები დაღესტანისა“, „მგლოვიარე ბინდებით / იბურება ყვარელი, / ვაზით და სიმინდებით / მიდის გზა საყვარელი“ („ეს მშობლიური ქარია“, 1922. – ტაბიძე 1966: 93), „გახედე: ქახეთი! დამსკდარა ატამი. / რა მალე მოვიდა აგვისტოს პირველი. / გარეულ ჭალებში ტრიალებს ქათამი, / ჭაობში იხვია მოწყენით მზირველი“ („გახედე: ქახეთი!“,

1922. – ტაბიძე 1966ბ: 97), „აგერა მტკვარი – სევდიან მზით გადაფერილი. / მის ნაპირებზე ვესალმები მშვენიერ ბაღებს, (...) კიბეებივით მიდის მტკვარი და კარებს აღებს, / სადაც ტრიალი მინდვრებია გადაფერდილი“ („მცხეთამდე“, [1927] . – ტაბიძე 1966ბ: 240-241).

თუ „არტისტულ ყვავილებში“ უცხოური ტოპონიმიკა ჭარბობდა, ახლა, ეტყობა, პოეტს სიამოვნებას ჰგვრის ლექსში მშობლიური სანახების დასახელება, რისი ნიმუშები ახლახან ვნახეთ და ერთს კიდევ დავუმატებთ:

„გაგსცდით ხანდაქსაც, ეს ბაღებში მყოფი ხევია, / მაღალი კოშები გადაჟყურებს ქსანიდან ახოს... / და ის ქალი კი (ეხლა მაღალე კავთისხევია) / იმავე მღვრიე გულგრილობით მიყვება ახოს. / (...) ქასპის ერთ დიდ კლდეს გერავისი კლდე ვერ სჯობია...“ („გაგსცდით ხანდაქს“ [1927]. – ტაბიძე 1966ბ: 242).

მშობლიური ტოპონიმების ამგვარი სიუხვე „არტისტული ყვავილების“ ბოლოდან მეოთხე ლექსში გვხვდება, რომლის სათაურია „დაბრუნება“ (მას წინ „გემი „დალანდი“ უძღვის, ეს გემი „დაბრუნების“ ფინალშიც იხსენიება). პოეტი უცხოეთიდან სამშობლოში ბრუნდება და მშობლიური ადგილები ახსენდება:

ლის აქით და იქით, მტკვარს, ლიახეს და ფაზისს  
არქმევენ უდაბნოდ გადაშლილ თაზისს,  
სადაც მზე მწველია, ცეცხლია დარები,  
მცხეთაში გრიალით მიქრიან ზარები,  
გუგუნებს იტრიის ხეობა უდრანი  
და ოხრავს წარსულზე ნანგრევი მუხრანი.  
ყოველგან უჩინრათ ტირიან დანაკლისს  
თამარის ტაძრები და ძვლები ირაკლის.  
(ტაბიძე 1966ბ: 37)

მშობლიური ადგილების მონატრება „არტისტული ყვავილების“ კიდევ ერთ ლექსში იგრძნობა, რომლის სათაურია „არაგვი“. იქ ვკითხულობთ:

თან მიმყოლი ჩრდილები, აუხსნელი ქარაგმი,  
სადაც მწვანე ველია და მქუხარე არაგვი.  
სადაც მოკლულ ოცნებით ლიმილისთვის ჩაგედი,  
სადაც ხევსურეთია, თუშეთი და ფშავეთი.

(ტაბიძე 1966ბ: 53)

მაგრამ დომინანტი სიმბოლისტური პერიოდის ლექსებში მაინც უცხოური რეალიებია:

გენერა სარკესთან. ეგონა ფრაგონარს  
პალაცცო პიტტი და პერუჯი, ვენეტა.  
ფერები მიენდო მშვენიერ საგონარს,  
რომელსაც იძლევა ხმები მასსენეთა.  
(ტაბიდე 1966ბ: 47)

(ლექსის სათაურია „ვუალისა და ვიოლეს შესახებ“. მასში წარმოდგენილი რეალიები დაწვრილებით გააანალიზა ნინო დარბაისელმა ნაშრომში „სამი ლექსი „არტისტული ყვავილებიდან“ – დარბაისელი 2010: 83-92).

\* \* \*

ოციანი წლებიდან ჩნდება ხალხურ კილოზე და ხალხურ მოტივებზე შეთხეული ლექსები, რაც სრულიად უცხო რამ არის „არტისტული ყვავილებისთვის“ (იქ ქართული ხალხური პოეზიისთვის დამახასიათებელი რვამარცვლიანი საზომიც ჯი (5 / 3) ერთადერთხელ გვხვდება – „მიგარდნილი აივანი“) და უფრო ადრინდელ ლექსებშიც ერთობ იშვიათია. 20-იან წლებამდე დაწერილ ლექსებში მკვლევარებს შენიშვნული აქვთ ორიოდე ციტირება ხალხური ლექსის სტრიქონებისა – „მზეო, ამოდი, ამოდი, / ნუ ეფარები გორასა“ – 1910 წელს დაწერილ ლექსში „ზევით ასწიეთ, მზე, ზევით“ (სიხარულიძე 1955: 62; შდრ. სპარსიაშვილი 1989: 53); „შენ, მეღვინე, ღვინო გვასვი“ – 1916 წელს დაწერილ ლექსში „ეს მძინარე მთა და ველი“ (ტაბიდე 6. 1993: 338).

1927 წლით არის დათარიდებული ლექსი „ქალმა დამ-წყველა ლამაზმა“:

ქალმა დამწყველა ლამაზმა  
მხურგალე ლალის ბაგეთი,  
ღმერთმა ვერ მითხრას ათასმა  
რა ჩავიდინე აგეთი.  
მაგრამ, იმ წყველამ როგორ სთქვას,  
გული სიცოცხლით დანამა,  
ოუ ვინქმ გული მომიკლას,  
ისევე ამისთანამა.

(ტაბიდე 1966ბ: 254)

ნოდარ ტაბიძე მიუთითებს ამ ლექსის ხალხურ ინტერ-ტექსტებზე: 1) „იაგუნდისა წვიმამა / მოლი, მინდორი დანამა, / მომკლა და ადარ მაცოცხლა / იმ ქალმა ლერწმისტანამ“ და 2) „გოგომ დამწევლა ლამაზმა, / ხელშეღებილმა ინითა“ (ტაბიძე ნ. 1993: 101-103; შდრ. კენჭოშვილი 1999: 152; შდრ. სპარსიაშვილი 1989: 20-21). გალაკტიონის ეს ლექსი ხალხური „უშუალი“ წვიმა მოვიდას“ რემინისცენციასაც იწვევს (შდრ. სიხარულიძე 1955: 62).

იმავე წლით დათარიღებულ ლექსში „დვინისფერო მდინარეები!“ ასეთი სტროფია:

მიდიოდი ველად, როგორც  
დვინისფერი მდინარე,  
რომ მოვედი სიახლოვეს,  
თავი მოიმმარე.

(ტაბიძე 1966ბ: 225)

ეს ლექსი ხალხურ წყაროსთან შედარებული აქვს ნოდარ ტაბიძეს (ტაბიძე ნ. 1993: 100-101).

„არსენას ლექსის“ ციტირებაც გავიხსენოთ:

რა რისხვაა თვალწარმტაცი,  
ამოგარდა ქარი მკაცრი,  
მე ხომ ხებს ვეფარები  
ერთი გაგარდნილი კაცი.  
(„ერთი გავარდნილი კაცი“, [1925]. –  
ტაბიძე 1966ბ: 186)

შდრ.: „ერთი გავარდნილი კაცი / ტყეში ეფარება ხესა“ – „არსენადან“ (სიხარულიძე 1955: 68). „არსენას ლექსის“ ალუზიაა ის სტრიქონიც 1927 წელს დაწერილი ლექსიდან „გავსცით ხანდაკ“, რომელიც ზემოთ უკვე დავიმოწმეთ: „კასპის ერთ დიდ კლდეს ვერავისი კლდე ვერ სჯობია...“ (შდრ. „ჩემი შვიდასი ოუმანი / კასპში ერთ დიდ კლდეში ძვესა“ ხალხური „არსენადან“).

ლექსში „ეს მშობლიური ქარია“ ვკითხულობთ: „დღემ ნისლი შემოიხვია, / გზაც სიარულმა დალია“ (ტაბიძე 1966ბ: 94). შდრ. ხალხური „გზა სიარულმა დალია, / სიპი ქვა წყლისა დენამა“ (პარალელი შენიშნა ქსენია სიხარულიძემ. – სიხარულიძე 1955: 67; შდრ. სპარსიაშვილი 1989: 123).

იმავე ლექსში ვკითხულობთ: „წინანდალს ვაზი ამშვენებს,

/ ახმეტას – ვაშლი წითელი“. აქაც პოეტი ზუსტად იმეორებს ხალხური ლექსის სტრიქონებს (პარალელი შენიშნა არჩილ სპარსიაშვილმა. – სპარსიაშვილი 1989: 124).

1924 წელს დიალექტის გამოყენებით ქმნის შედევრს („ქალავ!“, რომელიც ე. წ. უანრული ფერწერის ნიმუშს მოგვა-გონებს (უანრულს უწოდებენ რეალისტურ ფერწერულ ნახატს, რომელიც ყოველდღიური ცხოვრების სცენას გამოსახავს):

გულო, ოცნებას მალავ!  
ცაო, ლურჯდება ზოლი!  
ვაჟი: – დაიცა, ქალავ!  
ქალი: – დაგიბრმა თოლი!  
შორით ბრუნდება წყალი,  
ნისლი იცრება მთაში.  
– არა! – ჩურჩულებს ქალი.  
– კარგი! – ამშვიდებს ვაჟი.  
გულო, ოცნებას მალავ,  
ცაო, ლურჯდება ზოლი.  
ისევ: – დაიცა, ქალავ!  
ისევ: – დაგიბრმეს თოლი!  
(ტაბიძე 1966ბ: 146-147)

(ამ ლექსის ხალხური წყაროს შესახებ იხ. ტაბიძე ნ. 1982: 248-249).

ახლა წაგიცითხოთ ლექსი სათაურით „აგერა! აპანდე“ [1925], ვერლიბრი, რომელიც რითმიანი ხალხური ლექსის ციტირებით მოავრდება:

აგერა! აპანდე, სულის შემხუთავი ქარი უწყალოდ კვნესის,  
დასასვენებელ კუთხეს ეძებს თავგადაკლული.  
მიაქეს იერიში, მედგრად ეხეთქება, რომ შეიჭრას და  
შეანგრიოს.  
ბზრიალებს თითისტარი... აგერა! აპანდე! ნაკვერცხლებმა  
გადიკრეს ფერფლი.  
ბუსარში ცეცხლი გრიალებს. ისმის სიმღერა:  
კაცის გული ისეთია,  
ვით მორევი შავი ზღვისა,  
რაგინდ კარგი ცოლი პყავდეს,  
მაინც ენატრება სხვისა.  
(ტაბიძე 1966ბ: 171)

(შდრ. სიხარულიძე 1955: 63; სპარსიაშვილი 1989: 11).

ტექსტში ორჯერ გამოირჩებული, სათაურში გატანილი და ამით საგანგებოდ ხაზგასმული, ნიშნის მოგების გამომხატველი, ხალხური მეტყველებისთვის დამახასიათებელი შორისდებული „აპანდექ“ ამ ლექსში რეალური ცხოვრებისკენ მიბრუნების მანიშნებელი პაროლივით ქდერს (ეს კოლორიტული შორისდებული 1920 წლით დათარიღებულ ლექსშიც აქვს გამოყენებული გალაპტონის. ლექსის სათაურია „ტალაბში“: „მომეგებენით! მოალაგეთ აქ ჭირნახული, / თორემ გავიდა შემოღომა! აპანდე, შენა!“. – ტაბიძე 1966ბ: 81).

\* \* \*

რაკი ამ ლექსში ქარიან ამინდში ბუხართან მყუდროდ ჯდომის იდილიაა აღწერილი, ბარემ აქვე ვიტყვით: „არტისტული ყვავილების“ მოდერნისტულ/სიმბოლისტურ ეს-თეტიკაზე ნათლად მიუთითებს წიგნისთვის ეპიგრაფებად წამ-ძღვარებული ციტატები შარლ ბოდლერის, თეოფილ გოტიეს, პოლ ვერლენის, ანრი რენიეს ლექსებიდან; „არტისტული ყვავილების“ ტექსტებში იხსენიება ედვარ პო, ვერლენი, ანრი რენიე, პოლ ბურჟე\* ანუ სიმბოლისტ-მოდერნისტები და მათთვის დიდად პატივსაცემი პოეტები. 20-იან წლებში დაწერილ ლექსებში კი რამდენჯერმე წნდება კლასიკოსი რეალისტი მწერლის, ინგლისელი ჩარლზ დიკენსის გვარი სწორედ ცეცხლთან ჩამყუდროების მოტივთან ერთად:

თოვლი იყო ირიბი, ალმაცერი.

დიკენსის გმირივით ცეცხლთან ჩაფიქრება.

ელგარებს ღუმელი. გფიქრობ, საცაა ცეცხლიც ჩამიქრება.

(„თოვლი იყო ირიბი, ალმაცერი“,

[1925]. – ტაბიძე 1966ბ: 184)

დადალულს გხედავ იმ ამაყ ირებს.

მიყვარდა, როგორც დიკენსის გმირებს,

ცეცხლთან დაინის სმა და გაფიქრება,

რომ გულში ცეცხლი არ გაგიქრება.

(„ისევ თცნება და სიყვარული“, [1925]. –

ტაბიძე 1966ბ: 230)

\* ლექსში „შიშია“ კითხულობთ: „ქლადაქში შიშია. / ქუჩებს და მოედნებს / ბურ-შედ და მოლიქრად მორი ხოლერა“. 12-ტომეტულის „ტომბინტარებში“ „ბურშე“ ასევა განმარტებული: „ბურჟე კლოდ დე (1811-1864) – ფრანგი მსახოზი“ (ტ. 2, გვ. 330). მოლიქრის გვერდით ხასენები „ბურშე“ ცნობილი ფრანგი მწერალი პოლ ბურჟე (1852-1935) უნდა იყოს.

ეს იყო თხუთმეტი წლის წინათ.  
დიპენსის გმირივით ცეცხლთან ჩაფიქრება.  
დამეა, საცაა სანთელი ჩამიქრება.

(„ეს იყო თხუთმეტი წლის წინათ“, [1927]. –  
ტაბიდე 1966: 258)

ამ პერიოდის ლექსებში კლასიკური რეალიზმის წარმომადგენელი მწერლის და მისი შემოქმედებისთვის დამახასიათებელი მოტივის რამდენჯერმე ხსენებაც, ჩვენი აზრით, რეალობის მონატრებაზე უნდა მიგანიშნებდეს.

\* \* \*

მაგრამ „პოეტური აზროვნების ტრანსფორმაციის თვალსაზრისით მთავარი მაინც ის იყო, რომ ლიტერატურული სიმბოლიკისა და ასოციაციების პარალელურად გაჩნდა რეალობიდან აღებული სახეები თავისი მრავალფეროვნებით და მოულოდნელობით“ (დოიაშვილი 2004: 50).

განვიხილოთ ამ თვალსაზრისით გალაკტიონის შედარებები სიმბოლისტური და შემდგომი პერიოდისა.

„არტისტული ყვავლებისთვის“ ტიპობრივია ასეთ შედარებები:

„ვიცი: მე მათთან (ძველ ხელნაწერებთან. – ლ. ბ.) მორევიან ნისლში ვიქნები, / როგორც ავდარში შუქი მკრთალი და ალმაცერი“ („უნაზესი ხელნაწერი“. – ტაბიდე 1966: 302).

წმინდა წელის სიმბოლისტური სახისმეტყველების მეშვეობით გადმოცემულია ძველი, იდუმალებით მოცული ხელნაწერების თვალიერებით გამოწვეული ირაციონალური განცდა.

„დედაო ღვთისავ, მზეო მარიამ! / როგორც ნაწვიმარ სილაში გარდი, / ჩემი ცხოვრების გზა სიზმარია / და შორეული ცის სილაჟვარდე“ („სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში“. – ტაბიდე 1966: 13).

აქაც ირაციონალური განცდაა წარმოდგენილი, ლირიკულ გმირს რომ ეფულება, როდესაც თვალს გადაავლებს თავის განვლილ ცხოვრებას, რომელიც მას ერთდროულად აგონებს სილაში (სილა – არასტაბილურის, არამდგრადობის სიმბოლო კუპერის „ძველ სიმბოლოთა ლექსიკონის“ მიხედვით. – კუპერი 1986: 153) მოსროლილ ვარდს (ვარდი – „უაღრესად კომპლექსური სიმბოლო; ამბივალენტური, ნიშნავს როგორც ზეციურ სრულყოფილებას, ასევე ამქვეყნიურ ვნებას, ჟინს“, – კუპერი 1986: 150), სიზმარს და ცის ლაჟვარდს (ანუ რაღაც შორეულს, უცხოს, მიუწვდომელს).

„ოპ! ენკენისთვე ეპარება დარღივით მდელოს!“ („პოეტი ბრძოში“, შემდგომ გამოცემებში – „ფოთლების ლანდი“. – ტაბიძე 1966ა: 292).

არაჩვეულებრივი შედარებაა, ყოფითობისაგან სავსებით დაცლილი, მაგრამ ადგილად გასააზრებელი: ენკენისთვე (სექტემბერი) შემოდგომის დასაწყისია, მდელო გახუნებას იწყებს, მისი არსებობის უსისარულო პერიოდი ახლოვდება.

„ჰანგები დაქრიან, ვით ქარში ისრები (...), და დამე დაჭრილი ფრთებივით დაქანდა“ („სიზმრები“. – ტაბიძე 1966ა: 290).

სრულიად არარეალისტური შედარება ჰანგებისა ისრებთან და დამის დაქანებისა (ალბათ სიბრუნვის მოულოდნელად, ერთბაშად დადგომისა) დაჭრილი ფრთების დაქანებასთან (ალბათ მიწაზე დაშვებასთან ან დაცვენასთან) წარმატებით ქმნის იმ ირაციონალურ განწყობას, რასაც პირდაპირ მოითხოვს ამ ლექსის სათაური – „სიზმრები“.

უკომენტაროდ მოვიყვანთ ამ ყაიდის კიდევ რამდენიმე შედარებას:

„მის თვალწინ ქარივით დგებოდნენ ყოველდამ ფერმერთალი ქალები“ („დომინო“. – ტაბიძე 1966ა: 319).

„და თვალების წყვდიადი / და სიცილის ფერება – / როგორც ყრუ ბაიათი, / ფიფქით დამემტერება“ („დომინო“. – ტაბიძე 1966ა: 319).

„ვით ლოცვა, ედება საღამო მთის კალთებს“ („ლოცვისთვის“. – ტაბიძე 1966ბ: 56).

ამ ყაიდის მრავალი შედარება გვხვდება „არტისტულ ყვავილებში“, თუმცა რეალისტური შედარებიც შეიძლება ვი პოვოთ. მაგალითად:

„სანდომიან ცის ელვა და ფერი / მწუხარე იყო, ვით შემოღომა“ („მერი“. – ტაბიძე 1966ა: 272).

„ატმის ხე შლილი ოცნებას ჰგავდა“ („ატმის ყვავილები“. – ტაბიძე 1966ა: 265).

„დაათრობს მთვარე თოვლიან ალვებს / ივლისისფერი ყინვის თასებით! / სითეთრე შეენის მაღალ მწვერვალებს, / ვით სასძლოს ფარჩა და ალმასები“ („ალვები თოვლში“. – ტაბიძე 1966ა: 268).

ეს შედარება, ჩვენ მიერ ხაზგასმული, იმდენად ყოფითია და ისე გამჭვირვალე, იფიქრებ, წინა სტრიქონების სუპერსიმბოლისტური სახის „დასაბალანსებლად“ არის შექმნილი!

რეალობიდან მოხმობილი შედარებაა ესეც: „ატმის ხე იდგა, გთ ნაზი ქალი, / გით დედოფალი უცხო მხარეში“ („ატმის ყვავილები“ – ტაბიძე 1966ა: 265).

აქ ატმის ხე ატმის ხეა და ქალი (რასთანაც ის არის შედარებული) ქალია. ეს შედარება მხოლოდ შესაძარებელი საგნის, მისი სილამაზის თვალნათლივ გამოსახვას ემსახურება.

„წარსული წმინდა იყო ამ ქალის – / როგორც სოფელში სამრეკლოს ზარი, / როგორც ყანებში ელვა ნამგალის“ („გზაში“ – ტაბიძე 1966ა: 316).

მაღალპოეტური და რთული შედარებებია, მაგრამ რეალისტური, ვინაიდან არც ესენი გვიბიძგებენ ირაციონალური სამყაროსკენ. ქალის უმწიკვლო წარსული სოფლის სამრეკლოს ზარის ხმასა და მზისსხივმოხევდრილი ნამგლის ელვარებას არის შედარებული, რომელთა სიწმინდეში ეჭვის შეტანა შეუძლებელია.

„მომწყურდი ეხლა, ისე მომწყურდი, / გით უბინაოს – ყოფნა ბინაში“ („ორვლი“ – ტაბიძე 1966ა: 302).

ესეც რეალისტური შედარებაა, რომელსაც ძლიერი მონატრების გამოხატვის გარდა დამატებითი ნიუანსიც ახლავს: აშკარაა, მონატრებული ამ ნატურულისთვის მუდრო ნავსაყუდელია, საიმედო თავშესაფარია. რამე დამატებითი ნიუანსი არ ახლავს ამის მსგავს შედარებას ლექსიდან „დრო-შები ჩქარა!“ (1917 წ.) – „თავისუფლება სულს ისე მოსწყურდა, გით დაჭრილ ირმების გუნდს – წყარო ანგარა“ (ტაბიძე 1966ბ: 7), – აქ შედარება მხოლოდ მონატრების სიძლიერეზე გვიქმნის წარმოდგენას.

„ბაღში შეშლილივით კვდება თებერვალი“ („საუბარი ედ-გარზე“ – ტაბიძე 1966ა: 322).

ეს შთამბეჭდავი მხატვრული სახე ადრიანი გაზაფხულის პეიზაჟს აცოცხელებს ჩვენს წარმოდგენაში, არასტაბილური, ზამთრიდან გაზაფხულში გარდამავალი, უსიამოვნო მეტეოროლოგიური ვითარების სურათს მაღალპოეტურად და რეალისტურად წარმოსახავს. ამ მხატვრული სახის სირთულეს ის განაპირობებს, რომ აქ ერთმანეთს ერწყმის აპსტრაქტული არსებითი სახელის – თებერვლის – გაპიროვნება („კვდება“) და მერე მისი შედარება შეშლილობა, რათა „დავინახოთ“, როგორ „კვდება“ ზამთარი (ანუ ორი პოეტური ფიგურის შერწყმა გვაქვს – გაპიროვნებისა და შედარებისა).

ოციანი წლების ლექსებშიც გვხვდება სიმბოლისტური ხელ-

წერით შესრულებული შედარებები, მაგრამ უკვე ნაკლებად. მაგალითად:

„...სან დამეს, როგორც მძიმე ობობა, / წაიღებს დროთა ავადმყოფობა“ („ძველი წიგნების გვერდებს არეულს“, [1927]. – ტაბიძე 1966ბ: 251).

„პო, ლელიანი მაშინ დაქანდა, / ვით მწვერვალიდან მერანი მალი“ („ისევ ეფემერა“, 1922. – ტაბიძე 1966ბ: 106).

„როგორც თვითმკვლელი დღიურს, / შლილა დაუვარდი ყანებს“ („ტყვია-წამლის ბოლო“, [1927]. – ტაბიძე 1966ბ: 281).

სამაგიეროდ ამ პერიოდისთვის ტიპობრივია შედარებები, რომლებშიც საგნები ინარჩუნებენ თავიანთ საგნობრიობას:

„მთები ჩას, როგორც გიგანტი გრძემლი“ („შენ აღტაცებით ისევ ენთები“, [1927]. – ტაბიძე 1966ბ: 260).

„მთვარე – დრუბლების თეთრი პინგვინი“ („საახალწლო ეფემერა“, 1922. – ტაბიძე 1966ბ: 112).

„და მთვარე, როგორც სიასამური, მირეკავს კრავებს“ – აქ კრავები დრუბლებია („მაისის ისრით“, [1927]. – ტაბიძე 1966ბ: 260). ამ ორ ბოლო ციტატაში სხვადასხვა სისავსის მთვარე სხვადასხვა ცხოველს არის შედარებული.

„ეხლა მარტოდ მარტო ვარ, როგორც მთის ეპლესია“ („გოტიეს“, 1920. – ტაბიძე 1966ბ: 75).

„იშლებიან ყანები, / როგორც ეეფხეის ტყავები“ („იშლებიან ყანები“, [1927]. – ტაბიძე 1966ბ: 237).

„ფეხთან პერანგი იწვა ცბიერი, / როგორც ელვარე ფარ-შავანგები“ („დამწველი თავის სიმშვენიერით“, [1927]. – ტაბიძე 1966ბ: 252).

„დრუბლები პგვანან ამღვრეულ ტვინებს“ („დრუბლები პგვანან ამღვრეულ ტვინებს“, [1927]. – ტაბიძე 1966ბ: 283).

„მოფენილა ელვარე სანთლები. / ეხლა მძინარე, / როგორც სპეტაკი და ცისფერი / მძინარე, / სარკესავით ნათელი, / მბრწყინავი, როგორც გასრესილი / ციცინათელები“ („როდე-საც ყველას სძინავდა“, [1927]. – ტაბიძე 1966ბ: 280).

„დადგა დრო, რკინამ აიდგა ენა! / ის ითხოვს პასუხს, როგორც მკვლელობა, / და სასტიკია, როგორც გეენა, მისის სისწავის ულმობელობა“ („ისევ ეფემერა“, 1922. – ტაბიძე 1966ბ: 107).

ერთობ მოულოდნელი და უფექტურია ამ ფრაგმენტის პირველი შედარება და მთლიანად ეს მხატვრული სახე, მანქანური იდუქსტრიული ეპოქის სისახტიკისა და ულმობელობის გამომხატველი: ამეტყველებული, ენადგმული რკინა პასუხს

სთხოვს, უჯანყდება თავის ექსპლოატაციორს – ადამიანს (ანუ მანქანური ინდუსტრია, თითქოსდა ადამიანთა მსახურებისთვის შექმნილი, მტრულად შემოუბრუნდა კაცობრიობასგვე).

„მაგრამ უეცრად ქარტეხილივით / მის ცხოვრებაში შეიჭრა ქალი. / (...) სულ ში დაპქროდა ქალი ქარივით / და შეშლილივით კიოდა ქალი“ („ისევ ეფემერა“, 1922. – ტაბიძე 1966: 106).

„ქარტეხილივით შეიჭრა“ და „შეშლილივით კიოდა“ ყოფითი მეტყველებიდან წამოდებული რეალისტური შედარებებია. ასეთივე „...რომ აფეთქდება და ნაფოტივით / აგვისვრის ბედის დაუდევრობა“ („ქალაქი“, 1923). ვერც ამ ყაიდის მარტივ, სასაუბრო ენიდან კარგად ცნობილ შედარებებს ვპოულობო „არტისტულ ყვავილებში“. 20-იანი წლების ლექსებში მათი გამოჩენაც სინამდვილის მონატრებით უნდა იყოს გამოწვეული.

„შიშით ატირდა კლავიში ერთი, / კლავიატურის გულში მკიფარი, / ოდეს ცეცხლივით დიდი კონცერტი / მოედო თვატრს, ვით სატკივარი“ („საახალწლო ეფემერა“, 1922. – ტაბიძე 1966 ბ: 111). არაჩვეულებრივად არის გადმოცემული დიდი მუსიკის ზემოქმედება მსმენელებზე. ორი შედარებაა აქ – კონცერტი შედარებულია ცეცხლს, რომელიც მოედო თვატრს (იგულისხმება: თვატრის დარბაზში მსხდომ მსმენელებს, – ანუ მუსიკამ აღაგზნო, ეგზალტაციაში ჩააგდო მაყურებელი) და მოედო როგორც სატკივარი, ეპიდემიის მაგვარი რამ („მოედო“ ერთდროულად ეკუთვნის ცეცხლსაც და სატკივარსაც, – ამის შესაძლებლობას იძლევა ეს ფრაზელოგიზმები – მოედო ცეცხლი, მოედო ეპიდემია). სირთულის მიუხედავად, საესებით რეალისტური შედარებაა – ჩინებულად გვაგრძნობინებს დიდი ხელოვნების ზემოქმედების ძალას მსმენელებზე.

\* \* \*

სინამდვილის მიმართ ინტერესის გაძლიერების დასტურია ისიც, რომ 20-იანი წლებში გალაკტიონის პოეზიაში თავი იჩინა სოციალურმა მოტივებმაც, რაც უცხო იყო „არტისტული ყვავილებისთვის“.

1920 წელს პოეტი წერს ურითმო ლექსს „ტალახში“ (პირველად 1927 წლის კრებულში გამოქვეყნდა). მასში დახატულია ჩარჩი, რომელიც სარგებლობს სოფლის მოსახლეობის უმცრებით და გაუქმებული ფულის ნიშნებით იძენს მათგან ჭირნახულს:

ქალაქებიდან სოფლებისკენ დაიძრა ჩარჩი,  
ყალბი ფულებით დატგითული, როგორც აქლემი,  
ფულს გაანალებს ჭირნახულ ში, სოფელს აჩეჩებს  
თვითმპყრობელობის დროინდელი ქაღალდის ქისას.  
(ტაბიძე 1966: 81)

უზნეობის, თადლითობის მხილების პათოსი ამ ლექსში ჩაგრავს ესთეტიკურ საწყისს, რასაც ვერ ვიტყვით ამავე ხანებში შექმნილ იმ ლექსებზე, რომლებშიც გალაკტიონმა ქაჟის ბავშვების გაუსაძლისი, არაადამიანური ყოფა ასახა.

პოეტი სულის სიდრმემდე იყო შეძრული უპატრონო ბავშვების მწარე ხვედრით 20-იანი წლების საქართველოში. ამ უმწვავეს სოციალურ პრობლემას მან არაერთი ლექსი მიუძღვნა, მათ შორის: „უბინაო ბავშვები“ (1925), „ბავშვები კაფეში“ (1925), „ბავშვი გაზეთებში“ (1927), „ყორანის ცრემლები“ (1927), „ქუჩაზე“ (1927). ესენი ჩინებულად, დრმად და ვრცლად, მსოფლიო ლიტერატურის შედევრებიდან უხვი პარალელების მოხმობით, გააანალიზა ემზარ კვიტაიშვილმა წერილში „მარადიული ბავშვი“, რომელიც „გალაკტიონოლოგიის“ მე-5 წიგნში დაიბეჭდა, ამიტომ ჩვენ მათზე ვრცლად აღარ შევჩერდებით, შემოგთავაზებთ მხოლოდ რამდენიმე ფრაგმეტს ამ ნაშრომიდან:

„ბავშვების ბედსა და მომავალზე ნიადაგ მაფიქრად გალაკტიონს გული ეთუთქებოდა, როცა მათ საცოდაობას ხედავდა და არ შეეძლო, თავისებურად არ გამოეხატა მოძალებული ნაღველი. ამის დასტურია იმავე ოციან წლებში დაწერილი სხვა თავისუფალი ლექსი („ქუჩაზე“), სადაც იგრძნობა – პოეტს ყოველივე თავისი თვალით აქვს ნანახი და იქვე განჭვრებს, რა დაბოლმილები გაიზრდებიან ასე გამეტებული პატარები, რომლებიც უკან არ დაიხევენ, რათა შური იმიონ თავიანთი უმოწყალოდ გათელილი ბავშვობის გამო (...):

პატარა პირუტყვებივით ყრია ბავშვები  
ზამთრის ქუჩებში.

.....  
ასე ოცნებობს პატარა მაწანწალა,  
ამოწუმაული და უფერული,  
იგი ეხლავე არის მშიერი მგელი,  
იგი ეხლავე არის ლაქუცა ძაღლი.

სნეული ბავშვები,  
კატის ძნუტებიყოთ დამით მიყრილი  
თოვლიან ქვებზე,  
ოცნებობენ მკვლელობაზე,  
სისხლზე და ცეცხლზე“.  
(კვიტაიშვილი 2010: 275-276)

ემზარ კვიტაიშვილის დაკვირვებით, „რეალური ამბის ანარეგლია ოციან წლებში დაწერილი „უბინაო ბავშვები“, სადაც „ფანტასტიურ გემს“ მოყვლილი შიშველ-ტიტელი, შემცინული და დამშეული მოზარდების ყოფაა დახატული“ (კვიტაიშვილი 2010: 266).

იმ ლექსის ანალიზისას, ოომელ შიც მექოვე გაზეთებში გახვეულ, ქუჩაში გადაგდებულ ახალ შობილს პოულობს („ბავშვი გაზეთებში“), ემზარ კვიტაიშვილი აღნიშნავს:

„დასკვნით სამ სტრიქონში მოიარებით, არაპირდაპირ არის მხილებული საზოგადოების ის ნაწილი, რომელსაც არაფრად უდირს სხვისი გაჭირვება, უზრუნველად ცხოვრობს და მხიარული სანახაობით ერთობა. (...) პოეტის მზერა აფიშაზეა მიჯაჭვეული და თავს იჩენს შეფარული ირონია. ამ დროს პოეტის ტონი, საოქმელის შესაბამისად, მკვეთრად იცვლება, მოჩვენებითად უზრუნველი ხდება, რაც ზემოთ დახატულ შემაძრუნებელ სურათს კიდევ უფრო ათვალსაჩინოებს“:

აფიშას ერთიც არ ჰქონდა ნაკლი,  
ჩვეულებრივი მაღალი შრიფტით  
იქ ცხადდებოდა ცირკი, სპექტაკლი“.  
(კვიტაიშვილი 2010: 273-274)

\* \* \*

ამრიგად, ნიშნები იმისა, რომ პოეტმა ყურადღება თავისი შიდა სამყაროდან, პიროვნების როული შინაგანი რეალობის გამოხატვიდან (რაც მან სწორუპოვარი ოსტატობით შეძლო „არტისტულ ყვავილებში“) გარე სინამდვილეზე გადაიტანა, უკვე ჩანს ოციან წლებში დაწერილ ლექსებში. ხოლო „სი-ნამდვილის ჭეშმარიტი მიღება, როდესაც გალაკტიონ ტაბიძის მსოფლაღქმაში ისნება დაპირისპირება ოცნებასა და რეალობას შორის... 40-იანი წლებიდან იწყება. (...) [ამ დროიდან] სინამდვილის მრავალფეროვანი საგნები და მოვ-

ლენები პოეტისათვის ნამდვილ მხატვრულ ღირებულებას იძენენ, გარესამყარო ესთეტიკური გამოსახვის სრულუფლებიანი ობიექტი ხდება“ (დოიაშვილი 2004: 54).

### დამოწმებანი:

**დარბაისელი 2010:** დარბაისელი ნ. სამი ლექსი „არტისტული ყვავილებიდან“. // გალაპტიონოლოგია. V. თბ.: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2010.

**დოიაშვილი 2004:** დოიაშვილი თ. გალაპტიონის მეორე პოეტური რეფორმა (პროსპექტი). საქართველოს ლიტერატურათმცოდნების აკადემია. შრომები, III. თბ.: 2004.

**თვარაძე 1972:** თვარაძე რ. გალაპტიონი. თბ.: „ნაკადული“, 1972.

**კენჭოშვილი 1999:** კენჭოშვილი ი. გალაპტიონ ტაბიძის სამყაროში. თბ.: 1999.

**გვიტაიშვილი 2010:** გვიტაიშვილი ე. მარადიული ბაგშვი (ბაგშვა სახეები გალაპტიონის პოეზიაში). // გალაპტიონოლოგია, V. თბ.: ლიტერატურის ინსტიტუტის გამოცემა, 2010.

**გუპრი 1986:** Cooper J. C. Lexikon alter Symbole. Die Übersetzung aus dem Englischen besorgten Gudrun und Matthias Middell. Leipzig: VEB E.A. Seemann Verlag, 1986.

**სიხარულიძე 1955:** სიხარულიძე ქ. გალაქტიონ ტაბიძე და ხალხური ჟემოქმედება. // ლიტერატურული ძიებანი, IX. თბ.: 1955.

**სპარსიაშვილი 1989:** სპარსიაშვილი ა. ფოლკლორი და გალაპტიონი. თბ.: „მერანი“, 1989.

**ტაბიძე 1966ა:** ტაბიძე გ. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ 1. თბ.: „საბჭოთა საქართველო“, 1966.

**ტაბიძე 1966ბ:** ტაბიძე გ. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ 2. თბ.: „საბჭოთა საქართველო“, 1966.

**ტაბიძე ნ. 1982:** ტაბიძე ნ. გალაპტიონი. თბ.: „ნაკადული“, 1982.

**ტაბიძე ნ. 1993:** ტაბიძე ნ. გალაპტიონის შემოქმედებითი ლაბორატორია. თბ.: თსუ გამომცემლობა, 1993.

**ტაბიძე ნ. 2000:** ტაბიძე ნ. გალაპტიონი. თბ.: 2000.

## ირაკლი კენჭოშვილი

### „ლამე ყაბახზედ“ და გალაკტიონის „საღამო“

გალაკტიონის ლირიკა იმდენად მრავალსტილურია (ხშირად – ერთი და იმავე ლექსის ფარგლებშიც), რომ ნებისმიერი განზოგადება მხოლოდ ამა თუ იმ სტილური ერთობის ფარგლებშია შესაძლებელი. ამ სტილურ მრავალფეროვნებაში შესაძლებელია ცალკე გამოიყოს ლექსების წყება, რომლისთვისაც დამახასიათებელია უკიდურესი დაშორება რომანტიკული პარადიგმისაგან ისეთი ნიშან-თვისებების ხარჯზე, როგორიცაა ინტროვერსულობის დათრგუნვა, იმპერსონალურობისა და ექსტრავერსულობისაკენ სწრაფვა, ლექსის ტექსტიდან ლირიკული სუბიექტის განდევნა, „თვითგამოხატვასა“ და „აღსარებაზე“ უარის თქმა, ეპიკური და ფერწერული საწყისის დაწინაურება.

კერძოდ, გალაკტიონის 1920-იანი წლების ლირიკაში არაიშვიათია ისეთი ლექსები, რომლის ცენტრალური ფიგურა არის არა თვითონ პოეტი, არა პიროვნული „მე“, არამედ სხვისი ცნობიერება, სხვისი ცხოვრების დრამა, ეპოსის სულისხამდგმელი სუბიექტები – „ის“ და „ისინი“. განვიხილოთ ამ თვალსაზრისით ლექსი „საღამო“ (1927):

„ეხლა ასეთი სიმართლეც კი არვის აშინებს“,—  
მხერების აწევით ამბობს ქალი და მიუთითებს  
სასაფლაოზე დაფენილი გარდების წყებას —  
შავებით მოხილ ქალთა შორის დაცემულ ქალებს.  
ქალ-ვაჟი რადაც იდუმალად უცქერს ერთმანეთს,  
უცხო ენაზე ლაპარაკობს ლამაზი ქალი.  
„ილაპარაკეთ, მე თქვენა გოხოვთ, ახლა ქართულად!“  
„მე ისედაც ბევრს ვლაპარაკობ, ასე მგონია.  
ასე მგონია, შეგაწყინეთ კიდევაც თავი“.  
„არა, მე თქვენთან საუბარი არ მომწყინდება“.  
„ნუთუ თქვენ ახლა შეგიძლიათ გულდამშვიდებით  
საუბრის სმენა? განა ახლა ასეთი დროა?“  
„მე დაგიგდებთ ყურს თუნდ მთელი დღე და მთელი დამე,  
მე დაგიგდებთ ყურს თვეობით და წელიწადობით,  
ილაპარაკეთ, გევედრებით... ოდონდ ქართულად...  
ოდონდ ქართულად ილაპარაკეთ“.

ეს იშვიათი სისადავით აღბეჭდილი პოეტური ტექსტი თავს არიდებს როგორც რომანტიზმის ზეამოცანას – თვით-რეფლექსისა და შინაგანი „მე“-ს გამოხატვას, ასევე სიმბოლიზმის სწრაფვას მეორე და უზენაესი, საიდუმლოებით აღსავსე სამყაროსაკენ.

ამასთანავე, აქ აშკარად ჩანს რომანტიკული (ან შესაძლოა – ნეორომანტიკული) ტრადიციის ფარგლებში შექმნილი ის-ეთი რომანების გამოხატვით, რომელთა ქრონიკობისათვის დამახასიათებელია არა დღიური პროზით დატვირთული სოციალური გარემო, არამედ სადამოს შუქზე დანახული სასაფლაო. „საღამო“ ერთგვარი მიკრორომანია ან ერთგვარი ნაწყვეტი რომანიდან.

რომანისეული კომპონენტებია ამ დექსტი თხრობისა და სიუჟეტურობის საწყისი, გარემოს აღწერა, დიალოგები, რამდენიმე ლექსიკური და ინტონაციური ფენის თანაარსებობა.

ექსტრაგერტულობის, გარე სინამდვილის, ეპიკურობისა და „კინემატოგრაფიულობისაკენ“ სწრაფვას, მეტადრე – რომანისეულ საწყისს თავისებურად ცხადყოფს აგრეთვე არავერბალური გამოვლინების – პანტომიმიკის კონკრეტულობა:

მხრების აწევით ამბობს ქალი და მიუთითებს  
სასაფლაოზე დაფენილი ვარდების წყებას...

„საღამოს“ განეტიკურ კავშირს რომანტიკულ ლირიკაში წი წარმოჩენილ რომანის საწყისთან და ამ უკანასკნელის ტრანსფორმირების ფაქტს განსაკუთრებით ცხადად დავინახავთ, თუ გ. ტაბიძის ამ ლირიკულ ნაწარმოებს შევუდარებთ ნ. ბარათაშვილის ლექსს „ლამე ყაბახზე“ (1836).

ორივე ლექსში მოწმენი ვართ იმ პროცესის გამოვლენისა, რომელსაც მ. ბახტინი უანრთა „რომანიზებას“ უწოდებს. რომანიზების პროცესის შედეგად, – აღნიშნავს მ. ბახტინი, – სხვადასხვა უანრები (მათ შორის – ლირიკა) „უფრო თავისუფალი და მოქნილი ხდებიან, ხდება მათი ენის განახლება არალიტერატურული ნაირმეტყველებისა და ლიტერატურული ენის „რომანული“ შრეების ხარჯზე [...]. რაც მთავარია, რომანის მათში შემოაქვს პრობლემურობა, თავისებური აზრობრივი დაუმთავრებლობა და უშეალო კავშირი მიმდინარე და ჩამოყალიბებაში მყოფ თანამედროვეობასთან („დაუსრულებელ აწმუოსთან“) – (М.М. Бахтин. Вопросы литературы и эстетики, Москва: 1975, გვ. 450-451).

ლექსში „დამე ყაბახზედ“ კარგა ხნით ადრე, ვიდრე პირველი ქართული რომანი დაიწერებოდა, ლირიკის რომანიზების შედეგად თავს იჩენებ თოთქოსდა რომანიდან ამოღებული პასაჟები და სხვადასხვა პერსონაჟები – თვითონ პოეტი და „დარაზმულნი აქიქ ქალნი“, „ყმაწვილნი კაცნი“, ყაფლანი, რომელიც ქალების თხოვნით დაიღიღინებს სიმღერას „თავსა უფლად“ და – იდუმალი „თეთრკაბიანი“ ასეული. თვალსაჩინოა აგრეთვე ენის რომანული შრე (მ. ბახტინის ტერმინი), რაც ინტონაციური მრავალფეროვნებისა და დიალოგების სახითა ხორცშესხმული:

„–თქვი რამ, – ეტყვიან ყაფლანს ზოგნი-ერთი ქალები,  
თუნდ თავსა უფლად; ახლა პრანგვას ნუ კი მოჰყვები!“

„გმადლობთ“, – მითხრა მან, „რომ თქვენ მაინც  
გახსოვართ კიდევ,  
ახლა მოღაა, ვინც ვის იცნობს, ივიწყებს ისევ“. –  
„დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ვერც მოღები  
ვერ მომიშდიან თქვენსა სხოვნას და ვერც დროები!“

გ. ტაბიძის „საღამოში“ უდავოდ არის ფარული გადაბახილი ნ. ბარათაშვილის ლექსთან „დამე ყაბახზედ“. ეს არაა შემთხვევითი, ვინაიდან ბარათაშვილის ინტერტექსტში ჩართვა მისი ყველა პერიოდისათვისაა ნიშანდობლივი.

ნ. ბარათაშვილისა და გ. ტაბიძის აღნიშნულ ლექსებში შეიმჩნევა საოცერების, ქონოგოპებისა („დამე ყაბახზედ“, „საღამო“) და სენტენციების („ახლა მოღაა, ვინც ვის იცნობს, ივიწყებს ისევ“ – „ეხლა ასეთი სიმართლეც კი არვის აშინებს“) მსგავსება, სალექსო საზომისა და ანჯამბეჭმანების ფუნქციის ერთგვაროვნება, დიალოგების სიუხვე. ყოველივე ეს, ცხადია, სათანადო დასკვნისაკენ გვიბიძებს.

ამასთანავე საგულისხმოა ის თავისებურებანი, რომლებიც ლექსებს „დამე ყაბახზედ“ და „საღამო“ ერთმანეთისაგან სტრუქტურულად და საბოლოოდ, ტიპოდოგიურადაც განასხვავებენ.

მართალია, ლექსში „დამე ყაბახზედ“ დიდი ადგილი უკავია „რომანისეულ“ შრეს, მაგრამ საბოლოოდ ეს მაინც ვერ ფარაგს ლირიკულ მონოლოგს, რომანტიკული „აღსარების“ ამოცანას. ამ ლექსის სტრუქტურას განაპირობებს არა ეპიკური ან ლირიკული საწყისის უპირატესობა, არამედ მათი

შეთავსება.

რაც შეეხება „საღამოს“, აქ რომანტიკული აღსარებისა თუ თვითგამოხატვის ამოცანა მთლიანად უარყოფილია, რაც განხორციელებულია არა ფართო ასოციაციური კავშირებისა და „გაუცნაურების“ ტექნიკის სხვა საშუალებებით (რასაც ვხვდებით ისეთ ლექსებში, როგორიცაა, მაგალითად, „ისევ ეფემერა“ ან „საახალწლო ეფემერა“), არამედ თეოფილ გოტიესა და სხვა პარნასელი პოეტების მსგავსი უკიდურესი ავტორისეული ობიექტურობის გზით.

„საღამოს“ ქრონოტოპს, რომანტიკული თუ ნეორომანტიკული გენეზისის მიუხედავად, ჩამოცილებული აქვს როგორც ჩვეული რომანტიკული პათოსი და ასოციაციები, ასევე ინტიმური დირიქის ტრადიციული დიალისათვის („მე“ – „შენ“) დამახასიათებელი თემატიკა და სტრუქტურა. ამ ლექსში საუბრის თემატიკას მთლიანად გავყავართ რომანტიკული და სიმბოლისტური დირიქის მოტივების წრიდან. მათ ნაცვლად კი გვაკავშირებს კულტურულ ცნობიერებაში განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე ისეთ მოტივთან, რომელსაც „ჩემისა“ და „სხვისის“, მშობლიურისა და უცხოურის ურთიერთმიმართების პრობლემათა წრეში შევყავართ. როგორც ეს მომენტი, ასევე ზემოაღნიშნული სტრუქტურული თავისებურებანი გალაკტიონ ტაბიძის ლექსს „საღამო“ 1910-1920-იანი წლების პოსტსიმბოლისტური ორიენტაციის სხვა პოეტთა დირიქის კონტექსტთან ანათესავებს.

## ნათია სიხარულიძე

### მრავალსტილურობის პრობლემა გალაკტიონ ტაბიძის 20-იანი წლების შემოქმედებაში

გალაკტიონ ტაბიძის 20-იანი წლების ლირიკის შესახებ რამდენიმე განსხვავებული შეხედულება არსებობს. მკვლევართა უმეტესობა მიიჩნევს, რომ 1920 წლიდან გალაკტიონის პოეტური სტილი მკვეთრად იცვლება. გურამ ასათიანის აზრით, „რევოლუციური სტიქია აქ უკვე თავისი რეალური სახით, მისტიკური ნიღბის გარეშე წარმოგვიდგება... მისი ლექსი მდიდრდება სრულიად ახალი, უაღრესად მმაფრი რიტმებით და ინტონაციური ედერადობით, ახალი ტიპის მკაფიო და სადა მეტაფორული სახეებით, ახალი, შეგნებულად გაშიშვლებული, მარტივი და ზუსტი ლექსიკით“ (ასათიანი 1967: 126). ეს თვალსაზრისი უფრო მკვეთრად არის გამოხატული იმ ავტორთა ნაშრომებში, ვინც გალაკტიონ ტაბიძეს ქართული საბჭოთა პოეზიის ფუძემდებლად თვლიდა. ისინი ამტკიცებდნენ, რომ გალაკტიონის მიერ ჯერ კიდევ 1921 წელს შექმნილი ნაწარმოებები თავისებურად ეხმაურებოდა ახალი ხანის დასაწყისს ქართველი ხალხის ცხოვრებაში. „გაკვირვებას იწვევს ის დიდი ცოდნა, ინტერესი და ყოვლისმომცველი შემოქმედებითი ალლო, როთაც გალაკტიონი ეპასუხება ყოველ ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვან მოვლენას, საკაცობრიო საკითხებს. ამ მხრივ მისი პოეზია შეიძლება შევადაროთ სეისმოგრაფს, რომელსაც არ ეპარება დედამიწის სავსებით უმნიშვნელო ბიძგიც კი“, – წერდა გრიგოლ ხერხეულიძე გალაკტიონის 20-იანი წლების ლირიკისადმი მიძღვნილ ნაშრომში (ხერხეულიძე 1971: 34).

საპირისპირო შეხედულების მიხედვით, 1915-1928 წლები გალაკტიონისათვის მოდერნისტული სინთეზის პერიოდია და დროის ამ მონაკვეთში მისი მსოფლიოცდა და სტილი, პოეტური აზროვნების სისტემა, ძირითადად, სიმბოლიზმის პოეტური კულტურის მხატვრულ მეთოდზეა დაფუძნებული (ჩხერიძე 1968: 126, 127).

ამავე თვალსაზრისს იზიარებს აკაკი ხინობიძე. მკვლევარი არაერთ ნაწარმოებზე დაკვირვების შემდეგ აღნიშნავს: „ამ პერიოდის გალაკტიონის შემოქმედება (წმინდა სააგიტა-

ციო ლექსების გამოკლებით) ძირითადად ერთ სტილისტურ არხში მიემართება... გალაკტიონმა 20-იან წლებშიც შეინარჩუნა რომანტიკული<sup>\*</sup> მიმართულება. მიუხედავად თემატიკის შეცვლისა, სინამდვილესთან დაახლოების ტენდენციისა, ეპოქის სულის გადმოცემის რეალური მიზანდასახლობისა, იგი არსებითად კვლავ რომანტიკოსად დარჩა“ (ხინოიძე 1987: 51-53).

გალაკტიონის 20-იანი წლების ლირიკის სტილის შესახებ განსხვავებულ ვარაუდს გამოთქვამს ირაკლი კენჭოშვილი. 1999 წელს გამოცემული მისი წიგნის – „გალაკტიონ ტაბიძის სამყაროში“ – მნიშვნელოვანი ნაწილი გალაკტიონის 1915-1927 წლების – ეწ. „მეორე პერიოდის“ შემოქმედების ანალიზს კომიტეტის.

ი. კენჭოშვილის აზრით, პოეტის მეორე პერიოდის ლირიკულ ინტერტექსტური მრავალსახოვანი „ევროპული პრეზენტიზმი“ სხვადასხვა სტილური და ესთეტიკური სისტემიდან არის მიღებული. მისი ვარაუდით, გალაკტიონის სტილთა კონტრაპუნქტში, სიმბოლიზმის გარდა, მონაწილეობს არ ნუვო, იმპრესიონიზმი, ექსპრესიონიზმი, ფუტურიზმი, ახალი მითოლოგიზმი, სიურრეალიზმი, ქართული ფოლკლორი და სხვა მხატვრული სისტემები.

ის, რომ გ. ტაბიძის შემოქმედება მდიდარია სხვადასხვა სტილური ნიუანსებით, რომელიც ხანდახან წინააღმდეგობრივიც არის, ადრეც იყო შენიშნული. ნაშრომში „გალაკტიონის პოეტური სტილი“ გიორგი მერკვილაძე სიმბოლისტური, რომანტიკული და რეალისტური სტილის ელემენტთა თანაარსებობაზე საუბრობს (მერკვილაძე 1974), ი. კენჭოშვილთან კი, ჩამონათვალი, როგორც ვნახეთ, უფრო მრავალფეროვანია.

ტრადიციულ შეხედულებათა ფონზე ი. კენჭოშვილის თვალსაზრისი საინტერესო სიახლედ აღიქმება, თუმცა ზოგჯერ მის მიერ გამოთქმული მოსაზრება დაზუსტებასაც საჭიროებს. მაგალითად, ექსპრესიონისტული სტილის შესახებ შსჯელობისას ავტორი ზოგადად აღნიშნავს: გალაკტიონის ლექსებიდან ორიოდეს თუ მივიჩნევთ წმინდა სახის ექსპრესიონიზმადო (კენჭოშვილი 1999: 106). ვფიქრობ, კარგი იქნებოდა, მკვლევარს ეს ნაწარმოებები დაესახელებინა და გაეანალიზებინა კიდეც, რადგან ამით ვარაუდს – გალაკტიონის შემოქმედებაში ექსპრესიონისტული სტილის არსებობის თაობაზე – მეტადამაჯერებლობას მიანიჭებდა.

\* სავარაუდოდ, ტერმინი „რომანტიკული“ აქ დატერატურული ეფუძნება და „სიმბოლისტურის“ ნაცვლად გამოიყენება.

ნაკლებად სარწმუნო ჩანს გალაკტიონის ლირიკაში ფუ-  
ტურიზმისათვის ნიშანდობლივ სტილზე საუბარიც. ი. კენ-  
ჭოშვილის აზრით, „ლექსში „ჭარხალი“ ფუტურიზმითაც  
არის გაპირობებული „ენობრივი ვარჯიში“, ასემანტიკურობა,  
სამეტყველო ნორმის დარღვევა, უჩვეულო და მსგავსი უდე-  
რადობის სიტყვების თავმოყრა. იგრძნობა არქაული ენობ-  
რივი აზროვნების იმიტირების ფუტურისტული სტილის პა-  
როდირებაც და ერთგვარი მიღებაც“ (კენჭოშვილი 1999: 111).  
გალაკტიონის ეს ნაწარმოები 1973 წელს გააანალიზა თემიუ-  
რაზ დოიაშვილმა. მისი განმარტებით, ის სიტყვები, რომლე-  
ბიც ლიტერატურულ ენაზე მოლაპარაკე მკითხველისათვის  
გაუგებარია ან ბუნდოვანი (ბამბურა, ბაო, ბობრი, ბელავ-  
და, კახამბალი, ჟოლა, ბირკვილი, ბობორიკა, ჟვერი, ჟალტამი,  
ბანცალი, ბურდები, ჩელტი, აწი) დიალექტიზმებია... პოეტი  
დიალექტიზმების მეშვეობით შინაარსის „ჩაბნელებას“ ცდი-  
ლობს. სამაგიეროდ, იგივე დიალექტიზმები მნიშვნელოვან  
როლს თამაშობენ ევფონიური კავშირების ორგანიზაციაში...  
გალაკტიონისთვის, როგორც ჩანს, უმთავრესი მაინც ბავშ-  
ვობის ხმების გახსენება, შთაბეჭდილების ბეჭრითი რეპრო-  
დუციორებაა. ეს არის ცდა ბავშვობის განუშეორებელი სა-  
მყაროს ხმიერი გადმოცემისა, ბერებში „ამეტყველებული“  
სიყმაწვილე (დოიაშვილი 1982: 56-57).

გალაკტიონის შემოქმედებაში ფუტურიზმის ელემენტების  
არსებობაზე მსჯელობისას, ვფიქრობ, უნდა გავიხსენოთ ამ  
მიმდინარეობის ენის თავისებურებები. როგორც ცნობილია,  
გაუგებობისა და აბსურდულობის კატეგორიულმა მოთხოვ-  
ნამ („მივეცეთ მოელი არსებით შეუცნობელს, არა სასოწარ-  
კეთის გამო, არამედ ისე, უბრალოდ, რათა გავამდიდროთ  
ამოუწურავი მარაგი აბსურდულობისა!“ – მარინეტი) ასახვა  
პოვა ფუტურისტების ენაში. სიტყვის საყოველთაოდ ცნობი-  
ლი მნიშვნელობა მათ მიერ უარყოფილ იქნა იმ მოსახრებით,  
რომ ჩვეულებრივ დექსიკურ ერთეულებს პოეტის წარმოსა-  
ხვის გადმოცემა არ შეუძლია. ასეთ შემთხვევაში შემოქმე-  
დი იძულებული ხდება, გამოიყენოს ენა, რომელიც მხოლოდ  
მისთვისაა გასაგები. ამის გათვალისწინებით, გალაკტიონის  
ნაწარმოებების ფუტურიზმთან სიახლოვეზე მსჯელობა, ჩემი  
აზრით, მიზანშეწონილი არ არის.

ცალკეული შენიშვნების გამოთქმის ნაცვლად, ვფიქრობ,  
უმჯობესია, ძირითად პრობლემაზე გავამახვილოთ ყურად-  
ღება. გ. მერკვილაძის ჩემ მიერ ნახსენებ ნაშრომში ნათქ-

გამია, რომ გალაკტიონ ტაბიძის „მრავალნიუანსოვანი სტილი, საბოლოო ანგარიშით, ისევ და ისევ ერთ მთლიან სისტემად ერთიანდება“ (მერკვილაძე 1974: 131). საპირისპიროს ამტკიცებს ი. კენჭოშვილი. მისი შეხედულებით, გალაკტიონის აღნიშნული პერიოდის შემოქმედებისათვის ნიშანდობლივია ერთიანი სტილური კოდის უქონლობა, განსხვავებული წარმომავლობის სტილთა სინქრონულობა, ხან ერთი და ხან მეორე სტილის დომინანტა, ერთი სტილიდან მეორეზე გადასვლა, სხვადასხვა სტილურ საწყისთა სინთეზი (კენჭოშვილი 1999: 43-44). მკვლევარი ფიქრობს, რომ გალაკტიონი ზოგჯერ ერთსა და იმავე ლექსშიც კი მიმართავს სხვადასხვა სტილის ორგანულ შეთავსებას და ამ მრავალპოლუსიან სისტემაში ხან ერთისკენ უფრო იხრება, ხან მეორისაკენ, მაგრამ ამათგან რომელიმეს იშვიათად აქცევს თავის ერთადერთ საყრდენად და ორიენტირად (კენჭოშვილი 1999: 44).

რადგან შემოქმედის მხატვრული სტილი განსაზღვრული მთლიანობაა და იგი ავტორის მსოფლმხედველობასთან, ესთეტიკურ შეხედულებებთან, მისი ენის სპეციფიკასა და ოქმატიკის თავისებურებებთან არის დაკავშირებული, ვფიქრობ, ირაკლი კენჭოშვილის ვარაუდი, გალაკტიონიან ერთიანი სტილური კოდის უქონლობის თაობაზე, გააზრებასა და შეფასებას მოითხოვს.

\* \* \*

გალაკტიონის 20-იანი წლების შემოქმედების სტილური მრავალფეროვნების შთაბეჭდილებას უმთავრესად მისი ნაწარმოებების არაზუსტი დათარიღება განაპირობებს.

პოეტის თხზულებათა აკადემიურ გამოცემაში 1916-1919 წლებით თარიღდება 20-იანი წლების მეორე ნახევარში გამოქვენებული და, სავარაუდოდ, ამავე პერიოდში შექმნილი ოთხ ათეულზე მეტი ნაწარმოები. ამ ლექსების მნიშვნელოვანი ნაწილი უშუალოდ არის დაკავშირებული გალაკტიონის 1915-1919 წლების შემოქმედების თემებსა და მოტივებთან.

გარდა ამისა, პირველი პუბლიკაციის მიხედვით, 30-40 წლების კუთვნილებას უნდა წარმოადგენდეს 20-იანი წლებით დათარიღებული არაერთი ნაწარმოები („ოქტომბრის გამარჯვებისთვის“, „ხალხი და მთავრობა“, „უროებს, გრდემლებს“, „ოქტომბრის სიმფონია“, „ამჟავდი მანქანაო“ და სხვ.).

გალაკტიონის სტილზე მსჯელობისას გასათვალისწინებე-

ლია ისიც, რომ ამ პერიოდში პოეტის ყურადღების ცენტრში მოქცეული არიან სიმბოლისტები ან ის ავტორები, რომლებმაც მათზე გარკვეული გავლენა მოახდინეს.

20-იან წლებში იწერება ლექსები „შავი სვეტები“ და „უკანასკნელი დეპეშა“. ამ ნაწარმოებებით, როგორც მათი ვარიანტებიდან ირკვევა, გალაკტიონი ვ. ბრიუსოვის გარდაცვალებას გამოეხმაურა: პირველ მათგანს ხელნაწერში სათაურად აქვს „გალერი ბრიუსოვის ხსოვნას“, ხოლო მეორეს – „დეპეშა ცნობით ბრიუსოვის გარდაცვალებაზე“.

ალ. ბლოკს ეძღვნება ამავე პერიოდში შექმნილი სამი ნაწარმოები: „პროლოგი ასი ლექსის“, „ადარ არის მენესტრეული“ და „რუს პოეტს“.

1922 წელს ჟურნალ „კანდელში“ გალაკტიონმა გამოაქვება ლექსი „ვილანელი“, რომელიც, როგორც შენიშნულია, თემითა და რეფრენით პგავს ვ. ბრიუსოვის ამავე სახელწოდების ნაწარმოებს (კენჭოშვილი 1974: 49). ინტერტექსტუალობაზე დასაკვირვებლად ასევე საინტერესოა ლექსები: „სასაფლაონი“, „დღეს მაისი ფერში ნაირ-ნაირშია“ და „ეს იყო ძევლი, ნაცნობი აზრი“.\* ეს ტექტები ალ. ბლოკის ცნობილ ნაწარმოებებთანაა დაკავშირებული (შათორიშვილი 2004: 136).

20-იან წლებში გალაკტიონმა თარგმნა პოლ ვერლენის ორმეტი ლექსი და მათ მოტივებზე დაწერა თხუთმეტი ორიგინალური ნაწარმოები. აღნიშნულის თაობაზე ვახტანგ ჯავახაძე წერს: „თოთქოს ექსპერიმენტი ჩატარა, თავისებური ხერხი გამოიყენა, რათა საწყის შთაბეჭდილებებს განშორებოდა და გაქცევოდა, კარტი აქტრა და გავლენის კვალი წაეშალა. საკუთარი თავი შეამოწმა: მოერეოდა თუ არა, – გაეჯიბრა და გაიშინაურა. ვერლენის ხილვები და განზომილებანი, სახეები და მეტაფორები დაანაწევრა და განსხვავებული პოეტური განცდების შერწყმითა და შეჯვარებით – ახალი განწყობილებანი შემოგვთავაზა“ (ჯავახაძე 1996: 516).

ვფიქრობ, მხოლოდ ეს რამდენიმე მაგალითიც კი ამტკიცებს, რომ 20-იან წლებში გალაკტიონი კვლავ სიმბოლისტი ავტორების შემოქმედებითა დაინტერესებული, რაც აისახა კიდეც პოეტის აღნიშნული პერიოდის ლირიკაში.

საყურადღებოა ისიც, რომ გ. ტაბიძის 20-იანი წლების ნაწარმოებთა ერთ წყებაში შესამჩნევია ობიექტური სინამ-

\* „დღეს მაისი ფერში ნაირ-ნაირშია“ და „ეს იყო ძევლი, ნაცნობი აზრი“ აკადემიურ გამოცემაში 1916 წლით თარიღდება, თუმცა ორივე მათგანი პირველად 1927 წლის წიგნში დაიბჭდა. სავარაუდოდ ეს ნაწარმოებები 20-იან წლებში უნდა იყოს დაწერილი.

დვილის გამოხატვის ტენდენცია. ბუნებრივია, საზოგადოებრივ და ლიტერატურულ ცხოვრებაში მიმდინარე პროცესებმა გარკვეული გავლენა მოახდინა გალაკტიონის შემოქმედებაზე. პოეტი ჯერ კიდევ 1922 წელს წერდა: „მოვიდა ახალი ცხოვრება, ახალ ცხოვრებას სჭირდება ახალი ფორმები, ახალ ფორმებს კი ახალი სიტყვები“... თუმცა, „გარესინამდვილის ელგუმენტების შემოჭრა 20-იანი წლების ლირიკაში, ცხადია, არ უნდა აღვიქვათ რეალიზმისკენ შემობრუნებად, რამდენიდაც ეს ელგუმენტები გარდაქმნილია რომანტიკული მსოფლადქმის მიერ და მოქცეულია მოდერნისტულ პოეტურ სისტემაში“ (დოიაშვილი 2004: 50).

გ. ტაბიძის 20-იანი წლების შემოქმედებას სიმბოლიზმთან ბევრი რამ აკავშირებს. ვფიქრობ, ეს კავშირი ყველაზე ცხადად პოეტურ ენაზე დაკირვებისას არის შესამჩნევი.

\* \* \*

გ. ტაბიძის 1915-1927 წლების პოეტური მეტყველება მნიშვნელოვან სიახლოებებს ამჟღავნებს სიმბოლიზმის ენასთან. დავაკირდეთ ცალკეულ მაგალითებს 20-იანი წლების ლირიკიდან.

სიმბოლიტების ენის ერთ-ერთი სპეციფიკური ნიშანი აბსტრაქტორების ტენდენციაა. გურამ ასათიანი გალაკტიონის 1915-1921 წლების ლირიკაში აბსტრაქტული ეპითეტების სიუხვეზე საგანგებოდ ამახვილებს უურადღებას: „მსგავსად ფრანგი და რუსი სიმბოლისტებისა, გალაკტიონ ტაბიძე ხშირად მიმართავს რეალურ მოვლენათა კონკრეტული თვისებების აბსტრაგირებას და ამ გზით სპეციფიკურ სიმბოლისტურ ეპითეტებს ქმნის“, – წერს მკავლევარი (ასათიანი 1967: 118).

გალაკტიონის 20-იანი წლების შემოქმედებაში სიმბოლიზმის ეს თავისებურება მკვეთრად არის გამოვლენილი. მის ტექსტებში ძალზე ხშირად კხვდებით ამგვარ შესიტყვებებს: ნავთა დაუდევრობა („შავ ზღვაზე ნავთა დაუდევრობა“), ცრემლთა მდუღლარება („მაღრხობს ცრემლთა მდუღლარება“), ლამეების ალმაცერობა („და დამეების ალმაცერობა“), ქვეყნის სიშავე („ჩამოისვენებს... ქვეყნის სიშავე“), დელგათ გაბოროტება („ო, რა მწარე იქნება დელგათ გაბოროტება“), საუგუნეთ მრავლობა („კიდევ გადავა საუკუნეთ მდვრიე მრავლობა“), ქართა მქუხარება („მესმის ქართა მქუხარება“).

ვფიქრობ, ამ შემთხვევაში საყურადღებოა სიმბოლიზმის ენის მკვლევართა საერთო თვალსაზრისი, რომლის მიხედვი-

თაც, სხვა მიმდინარეობების პოეტებთან ეპითეტის განყენება არსებით როლს არ ასრულებს.

სიმბოლისტების შემოქმედებაში განყენებულ სახელთა სიუხვე, უკვე ნაცნობი სიტყვების ხშირად გამოყენების გარდა, ახალი ლექსიკური ერთეულების წარმოქმნითაც არის განპირობებული. ზოგადად, სიმბოლისტების ოკაზიონალიზმთა შორის ძირითად ადგილს აბსტრაქტული სახელები იკავებს.

გალაკტიონის 20-იანი წლების ლირიკა ამ მხრივაც უახლოვდება სიმბოლისტურ პოეტიკას. ამ პერიოდში პოეტი აბსტრაქტულობის მაწარმოებელი აფიქსების გამოყენებით ქმნის შემდეგ ლექსიკურ ერთეულებს: მაისობა („სადაც ვარდებს ბალისას მაისობა უქრება“), ამთოვრება („დროის წერათა ამთოვრებას რომ ასცილდები“), გადასოსნება („ხიბლავდა გარეშემოსა მინდვრების გადასოსნება“), ბროლება („...სიტყვის ბროლებით უშვება ფარდა“), მკვეთრება („თვალს მოულულავს კოცნის მკვეთრება“), აქარიშხლება („მოგა ახალი სმენა აქარიშხლების მდაფრის“) და სხვა.

ვფიქრობ, სიმბოლიზმის ენის თავისებურებით უნდა აიხსნას გალაკტიონის აღნიშნული პერიოდის ლირიკაში სიტყვა-სახეების ვიწრო წრის (ქარი, სიზმარი, ღამე, ვარდი, თოვლი, ლანდი) გამოყენება, საკუთარი სახელებისა და უცხოური ლექსიკური ერთეულების სიუხვე და ტექსტების ციტატურობა.

გალაკტიონის 20-იანი წლების შემოქმედებაში აშკარად იგრძნობა სიმბოლისტებისათვის დამახასიათებელი განსაკუთრებული ინტერესი მეტყველების მუსიკალური ენერგიისა და ევფონიისადმი. დავითორმოთ თუნდაც შემდეგი სტრიქონები:

**ჩურჩული – ულურჯეს ფარჩის,  
შრიადი – აბრეშუმთ შარის.**

ლექსის ბგერობრივი მხარის ორგანიზების მიზნით სიმბოლისტები ერთმანეთთან ხშირად აკავშირებდნენ მსგავსი ჟღერადობის მქონე სიტყვებს. ფონეტიკური მსგავსების საფუძველზე შექმნილი შესიტყვებები ხშირად გვხვდება გალაკტიონის 20-იანი წლების შემოქმედებაშიც:

„მტკვარი ღრიალებს ტივების ტევით“  
„სხვა არ არსებობს გელი შეელისა“  
„გაბზარულ ზარში არავინ კვნეხის“  
„ამოიზიდა ზმანება ზანტი“  
„ეს მზერა აწვალებს მზეს“

სიტყვათშეთანხმების ამ პრინციპის გამოყენებით გალაკტიონი 20-იან წლებში რამდენიმე საინტერესო სახეს ქმნის, მათ შორის: შადრევნების ვეღრება („ცამდე ალბათ ბევრჯერ ადის / შადრევნების ვეღრება“), ქალაქის ქალა („მდევლვარება დრონის ქალაქის ქალას“; „გრიგალი ძაღლივით დრონის ქალაქის ქალას“), ქარივით მოქარავანე („ჩნდება სინათლის ჩქარი ქაფები, / გზებზე ქარივით მოქარავანე“).

ლექსის მუსიკალური ჟღერადობისაკენ ლტოლვა მსგავსი მნიშვნელობის მქონე სიტყვების თავმოყრაშიც გამოიხატა, რამაც სიმბოლისტები ერთგვარ პოეტურ ტავტოლოგიამდე მიიყვანა. შესიტყვებების ტავტოლოგიური პრინციპით წარმოქმნა, როგორც აღნიშნავენ, ვ. ბრიუსევის საყვარელი ხერხი იყო. იგი, უმეტესად, ერთმანეთთან ათანხმებდა ერთნაირი ფუძის მქონე ზედსართავსა და არსებით სახელებს. ამგვარი პრინციპით არაერთი შესიტყვებაა წარმოქმნილი ა. ბელისა და კ. ბალმონტის შემოქმედებაშიც.

ტავტოლოგიურ სიტყვათშეთანხმებებს გალაკტიონის 20-იანი წლების ლირიკაში არცოუ იშვიათად გხვდებით:

„აღარ ეტყობა რტოებს რტოობა“  
„ეომება ომს საბრალო ჯარისკაცი“  
„მე შენზე მაწუხებს წუხილი“  
„ო, ვინ გაიგებს გაუგებარ დარდს“  
„შორ სიშორეთა ელვარებს თოვა“

სიმბოლისტებმა განმეორებადი სიტყვების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაზარდეს. მათ ტექსტებში მეორდება არა მხოლოდ ცალკეული ლექსიკური ერთეულები, არამედ – სიტყვათშეთანხმებები, ფრაზები და სტროფებიც კი.

გალაკტიონი 20-იან წლებში განმეორების მრავალგვარ სახეობას მიმართავს. ამ მხრივ საინტერესოა ლექსები: „ჩვენ, პოეტები საქართველოსი“, „თბილისი“, „ეს იყო ოქტომბრის დამლევს“, „ქალაქში“, „ისევ ეფემერა“, „ცაზე ლეგიონი სცურავს ვარსკვლავების“, „ალაზანთან“.

ამავე პერიოდში შექმნილი ნაწარმოებების – „ქარი პქრის“, „გრიგალი“ და „ყვავილების ქალი“ – შთამბეჭდაობას უმეტეს-წილად განმეორების გამოყენება განაპიორებებს.

\* \* \*

გალაკტიონ ტაბიძის 20-იანი წლების პოეტურ სტილზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ იგი აღნიშნულ პერიოდში კვლავ

სიმბოლიზმის ტრადიციის ერთგულია.

გალაკტიონის 20-იანი წლების დირიქის მრავალფეროვნება, ხემი აზრით, სიმბოლიზმის თავისებურებით უნდა აიხსნას. ხშირად საუბრობენ სიმბოლიზმზე, როგორც სინკრეტულ ფენომენზე, აღნიშნავენ, რომ სიმბოლისტები გაცნობიერებულად მიისწრაფოდნენ კულტურათა სინთეზისაკენ – სინთეზის საშუალებით ისინი ცდილობდნენ გამოესახაო სამყაროს მოლიანობა.

სიმბოლისტების შემოქმედება სტილური მრავალფეროვნებით ხასიათდება. ამ მიმდინარეობის წარმომადგენლებთან გვხვდებით სამოქალაქო ლირიკის ნიმუშებსაც და წმინდა სიმბოლისტურ ტექსტებსაც; სიმბოლისტთა ნაწარმოებების ერთი ნაწილი სასაუბრო მეტყველებას უახლოვდება, თვალსაჩინოა, აგრეთვე, ფოლკლორთან კავშირის პალიც, ზოგან დიალექტიზმები იქცევს ყურადღებას, სხვაგან – არქაიზმები.

ამდენად, გალაკტიონის 20-იანი წლების შემოქმედება ბუნებრივად თავსდება სიმბოლიზმის ფარგლებში და ის, რაც ერთიანი სტილური კოდის უქონლობადაც კი შეიძლება მოგვეჩენოს, სინამდვილეში სიმბოლიზმისათვის ნიშანდობლივ თავისებურებას წარმოადგენს.

### დამოწმებანი:

**ასათიანი 1967:** ასათიანი გ. გალაკტიონ ტაბიძის პოეტიკა (სიმბოლისტური პერიოდი). ცისკარი, № 8, 1967.

**დოიაშვილი 1982:** დოიაშვილი ო. ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები. თბ.: „მერანი“, 1982.

**დოიაშვილი 2004:** დოიაშვილი ო. გალაკტიონის მეორე პოეტური რეფორმა. საქართველოს ლიტერატურათმცოდნების აკადემიის შრომები. III, 2004.

**კენჭოშვილი 1974:** კენჭოშვილი ი. გალაკტიონ ტაბიძე და ევროპული ლიტერატურა. თბ.: „მეცნიერება“, 1974.

**კენჭოშვილი 1999:** კენჭოშვილი ი. გალაკტიონ ტაბიძის სამყაროში. თბ.: 1999.

**მერკვილაძე 1974:** მერკვილაძე გ. გალაკტიონის პოეტური სტილი. მნათობი, № 4, 1974.

**შათირიშვილი 2004:** შათირიშვილი ზ. გალაკტიონის პოეტიკა და რიტორიკა. თბ.: „ლოგოს პრეს“, 2004.

**ჩხენგველი 1968:** ჩხენგველი ო. გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის გარშემო. მნათობი, № 11, 1968.

**ხერხეულიძე 1971:** ხერხეულიძე გრ. პოეზიის სამყაროში. თბ.: „საბჭოთა საქართველო“, 1971.

**ხინთიბიძე 1987:** ხინთიბიძე ა. გალაკტიონის პოეტიკა. თბ.: თსუ გამომცემლობა, 1987.

**ჯაფხაძე 1996:** ჯაფხაძე ვ. უცნობი – აპოლოგია გალაკტიონ ტაბიძისა. თბ.: „საქართველო“, 1996.

## ემზარ კვიტაიშვილი

### პოსეიდონის საუფლოში\* („ქალაქი წყალქვეშ“)

გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში უხვად არის გაბნეული გემთან, ხომალდთან, ნავთან დაკავშირებული სიმბოლოები, მაგრამ წინამდებარე თავში, უპირატესად, ერთი ლექსის („ქალაქი წყალქვეშ“) გარშემო მომიწევს საუბარი, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს, ლექსის ძირების დასაძებნად, საჭირო წყაროები მოვიხმო.

ამ თემასა თუ მოტივს ჩვენთან საუკუნოვანი ტრადიციები უმაგრებს ზურგს. ჩვენი წინაპრები ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობისა და ანტიკურ სამყაროსთან უმჯიდროესი კავშირის გამო (საამისოდ მარტო არგონავტების მითიც ქმარა) უმამაცესი ზღვაოსნები იყვნენ.

გავიხსენოთ, როგორი აღფრთოვანებით წერდა აკაკი წერელი ქართული ფოლკლორის ცნობილ შედევრზე, რომელიც ჩვენ წინაშე ვევბა არეალს, თვალწიფლებულ სივრცეებს გადაშლის და გასაოცარ სილაღეს, უმაღლესი პოეზიის მაღლს გვაგრძნობინებს:

ხომალდში ჩაეჯექ, ზღვას გაველ,  
ფრანგის ქვეყნები ვნახეო...

„ვეფხისტყაოსანში“ გამოყენილ სახელმწიფოებს ზღვები აკრავს, ერთ-ერთი მთავარი გმირი ფრიდონი „ზღვათა მეფე“ და ბჟენებრივია, რომ რუსთაველის უკვდავ პოემაში ასე ჭარბად არის ნახსენები ნავი თუ ხომალდი.

ნავს, გემსა თუ ხომალდს გალაკტიონის ლირიკაში ნაირგვარი სიმბოლური გააზრება აქვს, მაგრამ უმეტესად დროსა და მოზაურობას უკავშირდება. ამდენად, შემთხვევითი არ იყო, — როცა ცარგვალზე დაუსრულებლად მოსრიალე მთვარის მეშვეობით საუკუნეების მიღმა გადახედვა უნდოდა, — „ოქროს ნავში“ მან სწორედ „ბავშვი რუსთაველი“ წარმოიდგინა.

ზემოთ უკვე ითქვა — ჩვენი დაკვირვების საგანია „ქალაქი წყალქვეშ“, ოდონდ მანამდე ოცდაათიან წლებში, გამალე-

\* ერთი თავი წიგნიდან.

ბული ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციის ხანაში დაწერილი მცირე უსათაურო ლექსი („როგორც მენავემ მველი სანავე“) უნდა გავიხსენოთ. იმხანად გალაკტიონ ტაბიძემ იდეური წრობისა და შრომითი აღტყინების გამომხატველი უამრავი უდიმდამო ლექსი დაწერა, თავს ძალას ატანდა, არ არის მნელი მისახვედრი, როგორ ეხუთებოდა სული. ეტყობა, პოეტმა მშობელი კუთხე მოინახულა, ჯერ კიდევ ცოცხალ დედასთან რამდენიმე დღით ჩასულმა, ორპირის ფშანში ერმობის-დროინდელი ნავი დალანდა და წარმოსახვაში უმალ აღუდგა ის ბეჭინერი, მესიერების ფსკერზე დალექილი უზრუნველი დღეები, წამიერად ადრინდელი სიხარული დაეუფლა:

როგორც მენავემ მველი სანავე,  
ვთ გულმა გული და მკლავმა მკლავი,  
ისე პირველი ნახვისთანავე  
ვიცანი ჩვენი მდინარის ნავი.

ჩემი ყრმობის ხნის, დიდი ხნის წინედ  
ამ ნაპირებმა, საგსემ მწვანეთი,  
იცოდა, საჭევ, რა გულმოდგინედ  
დავიმეგობრეთ ჩვენ ერთმანეთი.

განსაკუთრებით ამაღელვებელი, უცნაური გრძნობის აღმმრავია ბოლო, მესამე სტროფი. პოეტს სულ სხვა განზომილებასა და დროში გადავყავართ. იგი ლამობს, გაეთოშოს მის ირგვლივ არსებულ სინამდვილეს, მშობლიური მდინარის ნავში ნებიერად ჩათვლემილმა ერთი საუკუნის მერე გაახილოს თვალი, იხილოს ახალი ცა, მზისა და მთვარის ახლებური ნათება. გალაკტიონისთანა არტისტული ბუნების, მძლავრი წარმოსახვის შემოქმედისგან სრულებით არ არის მოულოდნელი ამგვარი ოცნება:

ნეტა ამ ნავში დამაძინა და  
გამომაღვიძა ასი წლის გარე –  
მანახვა: რა მხრით, როგორ ინათა  
და როგორ ნათობს აქ მზე და მთვარე.

ეს არის მძაფრი სურვილი თავისუფლებას დანატრებული გაცისა, თუნდაც ცოტა ხნით გრილი, სუფთა ჰაისუნ-თქმეს. ასე ამოხტება ხოლმე ტბიდან თევზი, რათა წამიერად გაბრწყინდეს მაცოცხლებელი მზის სხივებზე.

\* \* \*

ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეექვსე საუკუნეში ძველმა ბერძნებმა, მიღეთებდა მოახალ შენებებმა დღევანდელი სოხუმის ადგილას დააარსეს ქალაქი დიოსკურია. 1952 წლიდან, სოხუმის ძველი ციხე—სიმაგრის სიახლოეს (რომაელები და ბიზანტიელები მას სებასტოპოლს ეძახდნენ) დაიწყო მნიშვნელოვანი წყალქვეშა არქეოლოგიური გამოკვლეული. აღსანიშნავია, რომ 1953 წელს სოხუმის უურეში აღმოჩნდა ბარელიეფით შემკული საფლავის სტელა და ქალის ბიუსტი, თავდაცვითი ნაგებობანი, ციტადელები. მიმდებარე ტერიტორიაზე აგრეთვე ნაპოვნია ადგილობრივი წარმოების ნატიფი კერამიკული ჭურჭელი, რაც იმაზე მეტყველებს, რომ დიოსკურიაში, ბერძნებისა და რომაელების გვერდით, ჩვენი წინაპრები სახლობდნენ.

გალაკტიონ ტაბიძე, ცხადია, გულგრილი არ დარჩებოდა სენებული არქეოლოგიური გათხრების მიმართ, მაგრამ მის-თვის მანამდეც კარგიდ იყო ცნობილი დიოსკურიის ნაწილის ზღვის ფსკერზე დაძირვის ამბავი და ეს თავისებურად აირევალა კიდევაც 1927 წელს დაწერილ ლექსში „ქალაქი წყალქვეშ“.

„ლურჯა ცხენებისა“ და „ეფემერას“ ავტორს უსაზღვროდ უყვარდა საქართველოს უძველესი ისტორიული კუთხე — აფხაზეთი და ქალაქი სოხუმი, ამ თემაზე არაერთი ბრწყინვალე ლექსი აქვს დაწერილი.

გეგ „ტეოდორ ნეტტზე“ მყოფი, იგი სწორედ სოხუმში მიემგზავრებოდა, როცა შავ ზღვაზე მძლავრი ქარიშხალი ატყდა და პოეტს არ დაუხანებია, თავისი განცდები უზვეულო გზნებით, მღელვარედ გადმოსცა.

გალაკტიონ ტაბიძეს დასაწერსა თუ უკვე დაწერილზე განმარტების დართვა სხვეოდა, რათა გაეცოცხლებინა ამა თუ იმ ნაწარმოების შექმნის ისტორია; ასახელებდა ბიძგს, დაწერის მიზეზსაც. ორმოციან წლებში, ვიდრე წაიკითხავდა ზემოთ ნახსენებ ლექსს, დარბაზში შეკრებილთ მიმართა:

„საჭიროდ ვთვლი, სანამ წავიკითხავდე ლექსს, რომლის სათაურია „ქალაქი წყალქვეშ“, წავუმდგარო რამდენიმე სიტყვა. ნება მომეცით გაგიზიაროთ მოგონება იმის შესახებ, თუ როდის, რა პირობებში, რა შთაბეჭდილებების გავლენით დაიწერა ეს ლექსი თცი წლის წინად. გემით „ტეოდერ ნეტტ“ მე მივდიოდი აფხაზეთში. ოცი წლის წინად, ე.ი. მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ არ იყო დაწყებული ჩვენი

ხუთწლედები, არ მქონდა დაწერილი ჩემი „რევოლუციური საქართველო“, „პაციფიზმი“, რომლებიც იმ პირველი ხუთწლედის ეპოქაში დაიწერენ (1930–1931 წლები)... ხოლო ეს ლექსი „ქალაქი წყალქვეშ“ – ადრინდელია. იგი დაწერილია 1927 წელს, აფხაზეთში ყოფნის დროს. ამ წელს, როგორც მოგეხსენებათ, თბილისის ახლოს დამთავრებული იყო პირველი დიდი ჰიდროელექტროსადგური „ზაჟესი“. ლექსში „ქალაქი წყალქვეშ“ იგი დაპირისპირებულია გარდასულ საუკუნეებთან... 1928 წლის ჩემი უბის წიგნაკში ასეთი ჩანაწერია: „მისცურავს ჩვენი გემი. ზაფხულია, შუადღეა. მე გემის ბაქანზე ვდგავარ. უეცრად ზეცა სწრაფად ბნელდება, სიცივესაც ვგრძნობ. ამოვარდა საშინელი გრიგალი წვიმით, ჯერ მსხვილი წვეთები თანდათან ემატება და მალე კოკისპირულ თავსხმად გადაიქცა. ტყვიისფერ ცაზე ელვა ატჭდა. გაისმის გვრგვინვა. ზღვა დელავს. ასე მივუახლოვდით ნავსადგურს. ზღვა წყნარდება, წვიმაც შეწყდა. სწორედ ამ დროს არის დაწერილი „ქალაქი წყალქვეშ“.

როგორც თორმეტტომეულის მეორე ტრომის კომენტარებშია აღნიშნული, ტეოდორ ნეტტე იყო საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს დიპლომატიური კურიერი და დიპლომატიური ფოსტის დაცვის დროს მატარებელში მოუკლავთ 1925 წლის 5 ოქტომბერის სახელი ეწოდა შავი ზღვის სამგზავრო გემს და ამ გემით მოემართებოდა გალაპანინი თავის უსაყვარლეს ქალაქ სოხუმში, რომლის წარსული ზედმიწენით კარგად იცოდა. ახალი ეპოქის სულისკვეთებიდან გამომდინარე, პოეტი თავს ვალდებულად თვლიდა, „ათასეული კილოვატებით“ დენის მომცემი ზაჟესის მშენებლობა შორეულ წარსულთან დაეპირისპირებინა.

აქვე საჭიროდ მიმაჩნია აღვნიშნო – იალტაში მუოფმა ვლადიმირ მაიაკოვსკიმ დაწერა რევოლუციური პათოსით გამსჭვალული ლექსი „ამხანაგ ნეტტეს, თბომავალსა და ადამიანს“. ლექსის ფინალურ სტრიქონებში საკმაოდ დრამატული ნოტა გაისმის. „შარვლიანი ლრუბელის“ ავტორი წერს: „მინდა ისე შევეგებო ჩემს უკანასკნელ საათს, როგორც შეხვდა სიკვდილს ამხანაგი ნეტტე“.

გალაკტიონ ტაბიძის ლექსის ცალკეული სტრიქონები უფრო საცნაური რომ გახდეს, რამდენიმე წყაროს მოშგელიება დამჭირდება. მანამდე კი ზედმეტი არ იქნება, პოეტის ცალკეულ სტროფებს დავაკვირდეთ. ზოგადი შთაბეჭდილება

յո օსյոտօա, რომ լլցիս տազուգան ծովամբայ տաճածարո մալու და შთაგონებու ար արու დաწիւրուն.

\* \* \*

გალაკტիոնი մոსելցეტու, մոკვետունաւ, պրვելგვարո შეմზաւებու გարւշը წարմուգვուգան გամկոնვարւեბულ გრո- გაլս, ყველაფერ რომ ლլի՛զ და გეմს შიშიսմոմბერულ აქანაგებს ამთაგოրւებულ ტალღებზე. ზედაპირზე մოგდებული და აშიშინებული თეտრո ქაფո წარმოსახვაში აცოცხელებს ზღვის ანგიკურ დგთაებას – პოსეიდონს და პოეტი ერთგვარ შინაგან ქმაყოფილებასაც განიცდის, რომ დამანგრევები ქარიშხალი მისი სულის მღელვარებას, ბობოქარ ცხოვრებას ესადაგება, ძალას უსინჯაց მას:

დელვის დროს გემზე „ტეოდორ ნეტტე“  
ანდები დატყდნენ, როგორც მშვილდები,  
ფიქრებს მორევში რაც უნდა კეტლე,  
ერთს მათგანს მაინც ვერ მოსცილდები.  
რომ დააყარა ქარმა ფაფარი  
უზარმაზარი გორგების ეტლებს,  
პოსეიდონის ძველი ზღაპარი  
ეხეთქებოდა ფოლადის კედლებს.  
ასფუთიანი ჩაქუჩის ცემით  
ცა ჩემზე ცდიდა ძალთა მოგრებას,  
მან დაამსგავსა მგზავრობა ჩემი  
ცხოვრების ჩემის აბობოქრებას.

პოეტი ար ეპუյება, მკერდიտ ეგებება მძვინვარე სტიქიას, შეუდრევებულ დგას, თავს არავის აცოდებს, არც დაჩოქებას აპირებს და ამაყად აცხადებს, რომ მან შემოსძახა „გამარ- ჯვებული ბრძოლის სიმღერა“. ცხარე კამათსაც მართავს მოწინააღმდეგებთან, „უმტკიცებს „ლიტერატურული შხამით“ გატენილებს, რომ მტრების სმენის დასატკბობად არასოდეს აუჟღერებია ჩანგი და მისი ლլցիს მუდამ ხანჯალივით იყო აღესილი. ამ ნაწილու პუბლიცისტური შემართება დროის მოთხოვნილებით იყო განპირობებული და ტოტალიტარული კპოქის ხარკად უნდა მივიჩნიოთ. თუმცა აქვე მინდა აღვნიშ- ნო – თვით ასეთ პუბლიცისტურ ხაკადშიც ანათებს გალაკ- ტიონის ნიჭის საკადრისი, მაგიურად დატრიალებული, სამ- ქაროს უსასრულობაში გაჭენებული სტროფი, მრისხანე ამო-

ძახილი არაკეთილმოსურნეთაგან გაღიზიანებული პოეტისა, ვარსკვლავიანი თალის თვალისმომჸრელ ელვარებას რომ შემოგვაფეთებს – „ცხოვრებისაგან დაჭრილი ლომის“ კლანჭის გამოყოფას მოგვაგონებს:

მოგხედათ? იგრძენით? შევატრიალე  
თუ არა ნისლში მყოფი ბორბალი?  
იყო თუ არა ჰექა-გრიალი,  
ჩვენი დღეების ცა ნაჭორფალი?

ამ ლექსის დამწერს არავისგან ესწავლება – რაგინდ გრიგალი არ უნდა მქუხარებდეს მაღლა, ზედაპირზე, ზღვის ფსკერი გარინდულია და სწორედ აქ შემოდის ახალი მოტივი საუკუნეებს მიღმა დაძირული ზღვისპირა ქალაქისა; მთლიანად იცვლება რიტმი და განწყობილება; ფანტაზია, ყოვლისშემდლე წარმოსახვა უცნაურ ნაგში ჩამჯდარს, ძირს მიაქანებს, სიღრმეში ჭრის დროის დაწნებილ ფენებს, რათა მის თვალწინ, ჩვეულებრივ მოკვდავთათვის მიუწვდომელი უცხო სანახავი გადაიშალოს. ეს არის მითების განუმეორებელი სამყარო, რომლითაც ერთ დროს „ძველისძველი დიოსკურია“ ცხოვრობდა და მაშინდელ მსოფლიოს უკავშირდებოდა.

\* \* \*

შემაშფოთებელი დალვის შემდგე ნაპირის გამოჩენა გუნება-განწყობას უცვლის პოეტს, მისი ფიქრი ინაცვლებს ზღვის ფსკერისკენ, უამრავ განძს რომ იმარხავს და ოცნებით თვიოთნაც იქითებს მიეშურება:

მაგრამ შორს ლურჯი გამოჩნდა მთები,  
ახლა იქ მყუდრო ნაგსადგურია,  
წყალში შთასული არის მითები  
და ძველისძველი დიოსკურია.  
ზღვის ფსკერზე ახლაც მეზღვაურები  
ძველ კედლებისა პპოვებენ ხვავებს,  
ამოაქვთ ოქრო აუარება  
და საგანძურიო აქსებენ ნავებს.  
ქალაქი წყალქვეშ მძინარი მსარის!  
როს შეღამდება ნაცრისფრად ასე,  
მაგრამ სინათლე ჯერ კიდევ არის  
და ალმაცერად იშლება ზღვაზე –

ნაპირებიდან კაგებასიონის  
მთებამდე მოსავს ბინდები შავი,  
მაშინ მძინარე პონტის დონის  
მე მიმაქანებს ფარული ნავი.

ახალი ამბავი არ არის, რომ ძვირფასეულობის დაუცხოო  
მელ მაძიებლებს დიდი ხნის წინ დაღუპული ხომალდის განდი  
უპოვიათ. ასეთი რამ არც მომავალში იქნება მოულოდნელი.  
მოტანილ ნაწყვეტშიც ნახსენებია მეზღვაურების მიერ ამგ-  
ვარად ნაპოვნი ოქრო და საგანძურო.

ზღვის ფსკერისექნ დაშვებულ პოეტს თოლიების გამაყრუე-  
ბელი ყივილი მიაცილებს, თანდათან რომ ნელღება. მალე  
მის გამახვილებულ სმენას სამრეკლოს ზარის გუბუნი და  
ოდესდაც მცხოვრები ადამიანების დაგუდული ხმაც მისწვდე-  
ბა. „ფარულ ნავში“ მჯდომს გაცნობიერებული აქვს – ეს  
არის „ილუზია“, „ჩვენება“, მაგრამ მის მიერ გაცოცხლებული  
სურათები იმდენად სახიერია, რეალურ კონტურებს იძენს.

გალაკტიონ ტაბიძის ამ ლექსში ჩანს დე ქვინსის სულის-  
შემძრავი პროზისა და ედგარ პოს კიდევ უფრო კოშმარუ-  
ლი ლექსის შორეული გამოძახილი, მაგრამ ამაზე ქვემოთ  
ვიტყვი ზოგ რამეს. მათგან განსხვავებით, ქართველი პო-  
ეტის ქმნილებაში დახატული არაა სიკვდილის უკიდეგანო,  
დამთრგუნველი სამეფო; გარდასული ლამობენ, შთამომავ-  
ალს, ახალი ეპოქის შვილს თავისი არსებობა შეასეხონ, ხმა  
მიაწვდინონ, დაარღვიონ მრავალსაუკუნოვანი დუმილი. ჩვენ  
მოწმენი ვხდებით – მოუხელთებელი, უხილავი რა ცხადად,  
მთელი სიდიადით წამოიმართება ჩვენ წინაშე:

ზღვის ფრინველების გამყივარ ხმაში  
თითქო სხვა მესმის იდუმალება,  
ილუზია! ჩვენება! მასში  
სულ ახლო, ახლო რომ იმალება.  
თითქო ეს ხმები ეკუთვნის არა  
მხოლოდ და მხოლოდ ფრინველთ გვიანებს,  
მათში წყალქეშა გუგუნებს ზარა  
და ხმა ეკუთვნის ადამიანებს.  
მივაყურადებ: ისევ და ისევ  
განმეორდება ხმა უცნაური,  
ის იდუმალი ქალაქი–სფინქსი  
მემახის უცნობ აურზაურით.

პოეტმა ოდესლაც მუცელრო სანაპიროს მოსხლეტილი და სამუდამოდ დაძირული „იდუმალი ქალაქი-სფინქსი“ წამიერად საშექოზე ამოზიდა, მაგრამ მისი შემაკრთობელ სიზმრებში მოგზაურობა გრძელდება, ახალ-ახალ შრეებს გვიმხელს, თან მიგვანიშნებს, რომ ყოველივე მის აღგზნებულ გონებაში ხდება:

გგრძნობ, თითქო ფსკერზე ვეშვები ცურვით,  
ხელით ვეხები წყალქვეშა თხემებს,  
წყალში დამარხულს ვიგრძნობ მომდურვით  
ნანგრევებს, ლანდებს, იდეებს, სქემებს.

მოტანილ ციტატაში მცირეოდენი ტექნიკური ხარვეზი შეიმჩნევა; ერთი სტროფის მანძილზე ორი, თითქმის იდენტური ზმის („ვგრძნობ“, „ვიგრძნობ“) გამოყენება უხერხულობას ქმნის. საკმარისი იყო, პირველი სტრიქონის სინტაგმა – „ვგრძნობ თითქო“ – ერთი სიტყვით („თითქოსდა“) შეცვლილიყო, აღარაფერი გვექნებოდა სათქმელი. აგტორი ოდნავ რომ ჩაგვირვებოდა სიტყვათა წყობას, მისი ოსტატობის პატრონი ამ უმნიშვნელო ხარვეზს, ცხადია, იოლად აიცილებდა.

ჩვენ გხედავთ, ხდვის წიაღში დანთქმული პოეტი როგორ ხელისცეცებით დაეძებს წარსულის ნაშთებს, ენანება („ვიგრძნობ მომდურვით“), რომ ყველაფერი ნანგრევებადაა ქცეული, მაგრამ მათ მიღმა ჭკრეტს „იდეებს, სქემებს“ და მიგვანიშნებს – იქ ერთ დროს სიცოცხლე დუღდა, აზრი მომრაობდა და ყველაფერს ადამიანის დაუცხრომელი გონება წარმართავდა.

\* \* \*

გალაკტიონ ტაბიძის ლექსის ფინალურ სტრიქონებში უფრო საცნაურია თანამედროვეობასთან კავშირი; ამავე დროს მას არ ავიწყდება შორეულ წინაპრებთან შეხმიანება, რამდენიმე სტრიქონში მოქნილად აცოცხლებს გაუჩინარებულ, იავარქზილ ქართულ გარემოს, რაც მანამდე ასევე ვირტუოზულად გააკეთა გერონტი ქიქიძემ თავის უბრწყინვალეს ესეიში „ძველი იბერიულების ფსიქოლოგიიდან“.

ერთი რამ კი აღონებს პოეტს – „უძველესი უეოდალების“ დაშრეტილი მზერა ვერ დაინახავს მისი თანამედროვეების გარჯომ მტკვარზე აგებულ ელექტროსადგურს და ნათურებით გაჩირადდნებულ ქალაქს:

აქ დაფარულა მთელი კრებული  
 და სიბნელეში ელავს თვალები,  
 ის ძევლთაძევლი შთამომაგალი,  
 ის უძველესი ფეოდალები...  
 მათი ვერა გრძნობს ფიქრი და ბაგე,  
 რომ მცხეთის ახლო ახალ ნათებით  
 ელექტრონების გაჩნდა ქალაქი  
 ათასეული კილოგატებით.

მომდევნო ორი სტროფი, ლექსის დასასრული, მკვეთრ კონტრასტს ქმნის აწყობითან, დღევანდელობასთან მიმართებაში. პოეტს არ შეუძლია, ხატოვნად არ გვიჩვენოს წარმავალობის მსახვრალი ხელი, რასაც წინ ვერაფერი დაუდება (გავისეხნოთ მისი ერთ-ერთი შედევრის დასაწყისი: „სარტყაგიდან დგება მუმია. რა სიჩუმეა..“) და ამას ათვალსაჩინოებს ზედიზედ განმეორებული ნაღვლიანი ტონალობის „იყო“. ქარიშხალგამოვლილი, ანძებგადატეხილი გემი „ტეოდორ ნეტტე“ უკვე მშვიდად დგას ნავსადგურში, ზღვის ფრინველების ქრიამულიც ადარ ისმის; პოეტმა „მორევში ჩაკეტილი“ საკრალური ფიქრი გაგვიმხილა, სათქმელი ამოწურა და თავისი ბობოქარი ცხოვრების განვლილ, ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მონაკვეთს სამუდამოდ ეთხოვება, ზღვის ფსკერზე დაძირულ და დალექილ წარსულსაც ემშვიდობება:

იყო ქალაქი, იყო საგანი –  
 ოდესმე მძლავრი და ალიერი,  
 ახლა ცივია გზა შინაგანი  
 და იდუმალი სიცარიელე...  
 „ტეოდორ ნეტტე“ ახლა ისვენებს  
 და ფრინველების დასცხრა გუნდები.  
 მშვიდობით! ხსოვნათ დაკარგულ ფენებს  
 არასდროს ადარ დაგუბრუნდები!

დღევანდელი არასასარბიელო გადასახედიდან ისე მოჩანს, რომ პოეტმა არა მარტო „ხსოვნათ დაკარგული ფენები“, წინასწარმეტყველური გუმანით თვით უძვირფასესი სოხუმი და მისი შემოგარენიც გამოიტირა.

ამის შემდგომ ალბათ უფრო გამართლებული იქნება იმ წყაროების მოხმობა, რომლებმაც ერთგვარი ბიძგი მისცა გალაკტიონის ლექსის ცალკეულ პასაჟებს, თუმცა ისიც

ხაზგასასმელია – „ქალაქი წყალქვეშ“ სრულიად განსხვავებულ სულისკვეთებას გამოხატავს.

\* \* \*

თავდაპირველად მინდა, შედარებით ვრცლად მიმოვიხილო მისტიკური ხილვების მქონე გამოჩენილი ინგლისელი მწერლის თომას დე ქვინსის (1785–1859) ყველაზე სახელგანობრივი წიგნის – „აღსარება ოპიტოს მწეველი ინგლისელისა“ – ერთი თავი – „სავანა-ლა-მარი“. ეს არის სახელწოდება კუნძულ იამაკას სანაპიროზე მდებარე ქალაქ-ნავსადგურისა, რომელმაც არაერთხელ განიცადა მიწისძვრათა უბედურება, ხოლო 1780 წელს საშინელი ძალის გრიგალმა მოლიანად ადგავა იგი, ზღვის ფსკერზე მოაქცია. დიდია ცდუნება ვიფიქროთ, რომ ხსენებული წიგნის ამ ადგილმა, ისევე როგორც არაერთ პოეტზე, სგალაკტიონ ტაბიძეზედაც ღრმა ზემოქმედება მოახდინა და ეს, ნაწილობრივ, კიდევაც აისახა მის ლექსში.

დე ქვინსი დვოთის რისხვად თვლის ამ ქალაქზე დატეხილ კატასტროფას, როცა დამით მიწა ძირიგესვიანად შეირყა და იგი თავისი მაღალი კოშკებიანად, მძინარე მაცხოვრებლებითურთ, მარჯნით მოფენილ ოკეანის ფსკერზე დაინთქა. მწერალი თავად უფალს ალაპარაკებს:

„პომპეის შე მივაყარე ფერფლი და ადამიანთა მზერისაგან ჩვიდმეტი საუკუნის მანძილზე გადავმალე. დაუ, ახლა ეს იყოს ჩემი განუჭვრეტელი მრისხანების ძეგლი – ლაუვარდის ბრწყინვალებაში აღმართული ძეგლი, მომავალი თაობებისათვის სახილველად, ვინაიდან მას მოგაქცევ ჩემი ტროპიკული ზღვების ბროლის სარკოფაგში“.

აქ უკვე პირდაპირ ყოვლისმომცველ სიკვდილზეა საუბარი. ავტორისებული შემდგომი ტექსტი ფართოდ, პანორამულად წარმოგვიდგენს სულისშემძღვრელ, მწუხარე სურათს: „ეს ქალაქი ახლა გავს მთლიანად აღჭურვილ დიდებულ სამხედრო ფლოტს: გაშლილია ვიმპელები, უზადოდ აღკაზმული, იგი, გეგონება, ოკეანის უძირო სიღრმეებში უხმოდ, ნებიერად მიცურავს – ძალზე ხშირად, სარკისებური შტილის დროს, წყლის გამჭირვალე სისქეში, რომელიც თითქოს ჰაერისგანაა მოქსოვილი, კარავივითაა გადაფარებული დაღუმებულ ბანაკს; ქვენიერების ყოველი კუთხიდან მოსული მეზღაურები ძირს როცა იყურებიან, ნათლად არჩევენ პატარა ეზოებსა და

ტერასებს, კარიბჭეებსა და გალერეებს და შეუძლიათ დათვალინება ტაბართა დამაბოლოვებელი შპილები. ეს ქალაქი ერთი უზარმაზარი სასაფლაოა, მრავალი წლის განმავლობაში უცვლელად დარჩენილი, მაგრამ როდესაც შტილები ჭიანურდება, კვირაობით გრძელდება ეპვატორულ განედებზე, მაშინ დაბინდული მზერის წინ გაიშლება ფატა-მორგანას ჩვენებები, თითქოსდა იგი გვახსენებდეს ადამიანის სიცოცხლეს, რომელიც ჯერ კიდევ წეალქეშა თავშესაფრებში იმაღება და არ მორჩილებს იმ ქარიშხლებს, წყლის ზემოთა სივრცეებში რომბობორებს“.

ამის მერე დე ქვინსი მოგვითხობს თავის ოცნებებში, მირაჟთა იდუმალ ამხსნელთან ერთად, როგორ კვეთდა წყლის ჭავლებს და ეშვებოდა იმ ქალაქის ქუჩებში (გაგიხსენოთ „ფარული ნავით“ გალაპტიონის დაშვება ჩაძირული დიოსკურიის მოსახილავად), რათა თვალი შეევლო სამუდამო, წმინდა ძილით მძინარე მარმარილოს საკურთხევლებისათვის, თავის მხლებელთან ერთად ენახა სამრეკლოები, სადაც უძრავი ზარები ამაღლ ელოდნენ ნიშანს, რათა ახალდაქორწინებულთა გამოჩენაზე გუგუნი აეტეხათ. აქვე ნახულობენ და ეხებიან უზარმაზარ თრდანოს, რომელიც ამდენი ხანია დუმს, არც სასიხარულო ფსალმუნებს აღავლენს და არც რეკვიემის ჰანგებს ავდერებს. ფსკერზე, მკვდარი ქალაქის ქუჩებში მოხეტიალენი, ბავშვთა თოახებსაც მოინახულებენ, სადაც ბიჭუნებსა და გოგონებს მარადიული ძილი დაფლებიათ.

ეს, რა თქმა უნდა, ოპიუმის მწეველის წარმოსახვაა, პოეტური ხილვაა; ოკეანის ფსკერზე, ხეოთ თაობის განმავლობაში, რა შეინახავდა გაშმაგებული სტიქიისგან განწირულ არსებებს (ვეზუვის გავარვარებული ფერფლით დაფარული ადამიანების შენახვა, მათი ფორმებისა და მდებარეობის შენარჩუნება სულ სხვა პირობებში მოხდა).

დე ქვინსის ამ წიგნს უთუოდ იცნობდა გალაპტიონ ტაბიძე და ამის კვალი აშკარად ჩანს მის ლექსში. განხილული თავის გავლენა კიდევ უფრო ძლიერად განუცდია ედგარ პოს, რომლის ლექსის („ქალაქი ზღვაში“) არაერთი პასაჟი და დამთრგუნველი განწყობილება განსაცვიფრებლად ემთხვევა დე ქვინსის მირაჟებსა და განსჯას. ეს ლექსი, ალაგ-ალაგ „ოპიუმის მწეველის“ ზემოთ მოხმობილი ადგილების ანარეკლად გამოიყერება, მაგრამ გაცილებით პირქუშია, როგორც ეს სჩვევია „ყორანის“ ავტორს თავის პოეზიასა და საშინელებებით აღსავსე მოთხოვობებში.

აქ, ბურუსით მოცულ დასავლეთის მხარეს, უცნაური ქალაქი სიკვდილის საბრძანებელს გავს, სრა-სასახლე გაუმართავს და ტახტიც დაუდგამს. ჩამწკრივებული შენობები (ტაძარი თუ ციხე-კოში) დუმან, ნიავი არხევს წყლის ზედაპირს, კველაფერი სამარადისო ძილს მოუცავს. მეფური პალატების კოლონებს, წმინდა სალოცავთა კედლებს, ფრიზებს ძვირფასი ორნამენტები, ქვის ყვავილები ამშვენებს... კოშკიან თითქოს თავად სიკვდილი იმზირება. მოჩანს პირდია ბომონები და საფლავები. შოაბეჭდავია გარინდული წყლის შედარება შუშის უდაბნოსთან, რაც ასე წააგავს დე ქვინისისეულ „ბროლის სარკოფაგს“.

დე ქვინისის წიგნზე რომ არაფერი ვთქვათ (მთავარი ბიძგის მიმცემი სწორედ ჩვენ მიერ მოტანილი ადგილი იყო, რასაც, გასაგები მიზეზების გამო, ქართველი პოეტი ორმოციან წლებში ვერ გაამსელდა), გალაკტიონ ტაბიძეს უეჭვლად წაკითხული ექნებოდა ედგარ პოს ლექსის ბალმონტისა და ბრიუსოვისეული თარგმანები, მაგრამ თავისი ეპოქის სულისკვეთებიდან გამომდინარე, იგი თვით ჩაირულ ქალაქსაც სიკვდილის საუფლოდ ვერ დახატავდა; წარსულიც ახალ, გრანდიოზულ მშენებლობებთან უნდა დაეკავშირებინა. თავისთავად საინტერესო ფაქტია, რომ ლექსის როგორც პირველ, ისე არაერთ შემდგომ პუბლიკაციაში გალაკტიონს ნახსენები ჰყავს ედგარ პო. შოაბეჭდილება გვექმნება, თითქოს გალაკტიონი ლამობდეს უდიდესი მისტიკოსი პოეტი თავისი წყალქვეშა ხილვების თანაზიარად გაიხადოს:

მასში ცხოვრება ღვივის მედგარი,  
უნდა ჩაეშვა ზღვაში მსახავად,  
დახარბეჭდებოდა თვითონ ედგარი  
იმ იდუმალი გზის სანახავად.

\* \* \*

ზოგი რამ უნდა ითქვას უნიჭიერების რუსი პოეტის (მან უდიდესი ამაგი დასდო ქართული პოეზიის რუსულად თარგმნის პერილშობილურ საქმეს) ნიკოლოზ ზაბოლოვცის 1930 წელს დაწერილ უცნაურ ლექსზე „წყალქვეშა ქალაქი“, რომელშიც გამოყენებულია ლეგენდა მაიას ტომის დაძირული, მითიური ატლანტიდიდან წარმოშობაზე. გარდა იმისა, რომ

სათაური გალაკტიონის ლექსის მხგავსია, აქაც წყლის ზედა-პირზე ჩანან ზღვის ფრინველები და გემი მიაპობს ტალღებს, მაგრამ ირგვლივ სიწყნარე, სიმშვიდეა. საერთოდ კი, ამ ორ ლექსში მსგავსებაზე მეტი განსხვავება შეინიშნება. ფსკერზეა განრთხმული ერთ დროს დიდებული ქალაქი პოსეიდონი (სახელწოდება პირობითი უნდა იყოს). აცტეკების ბელად ჩიმალპოლოქსაც შემთხვევით არ ასხენებს ზაბოლოცები. პოეტს მომარჯვებული აქვს ჰენრი ლონგფელოს ჯადოსნური პოემის „პაიავატას სიმღერის“ ჩქარი, სმენის დამატებობელი ტონალობა, რიტმი, რაც კონტრასტის შესაქმნელად სჭირდება, ვინაიდან რასაც იგი ხატავს, საშიშიც არის და მშვენიერიც. დალუპვის მარადიული კანონი ამჯერად ზღვაში განხორციელებულა. თუ ერთგან თვალის სამო სურათია გადაშლილი („ტალღების ქვემოთ, სიღრმეში სძინავს წითლად დაფერილ მწკრივს კოშკებისა“), მეორეგან იქვე ჩანან ვემბა ფანჯრებიდან მომზირალი, თვეზებისგან დაკორტნილი, ლამის ჩონჩხებად ქცეული მაღალი კაცები. ფსკერისკენ თავდაყირა დაშვებულ ადამიანს შემზარავი სურათი მოსდევს – გაბარჯდული რვაფეხა ბაგშვის სხეულს წუწნის... ნამდვილი სიურრეალისტური სანახაობაა. მოჩანს მრგვალი სახლები, ბრინჯაოს ქანდაკებები, საფლავები და ქვეუნის მპყრობელთა პირამიდები და ამას ყოველივეს მაღლიდან ზღვისა და ცის დამაბრმავებელი სილურჯე გადაკვარებია.

დაძირულ პოსეიდონს, ერთ დროს „მზისა და ციფრების ქალაქს“ თვალისმომჭრელ ელვარებას აძლევს იშვიათი მეტალი ორიხალკი, რომელიც დაფაებრივი პლატონის სწორედ იმ დიალოგშია ნახსენები, საფუძვლად რომ დაედო ვემბერთელა კუნძულ ატლანტიდის გაუჩინარების მითს.

\* \* \*

ჩემზე წაკითხვისთანავე (მას მერე სამი–ოთხი წელიწადი იქნება გასული) სხვანაირად იმოქმედა მსოფლიო სახელის მქონე პოეტის, ნობელის პრემიის დაურეატის შეიმას ხინის ცნობილი ციკლის („მონასმები“) ერთმა ურითმო ლექსმა, რომელიც მისტიკურიკაციას წააგავს, თუმცა ხინი მიუთითებს კონკრეტულ წყაროს (ეს ლიტერატურაში გავრცელებული ხერხია), ვინმე კლონმაკნოისის ანალებს და გადმოგვცემს იქ ამოკითხულს:

მმები სამლოცველოში შეკრებილან და ამ დროს მაღლა,

ჰაერში, ხომალდი დაუნახავთ. მაშინვე გვეუფლება განცდა, რომ ისინი ზღვის ფსკერზე იმყოფებიან. უცნაურია ამ ლექსში გამოვლენილი საგანთა ხედვა და კინებატოგრაფიული რაკურსი. ხომალდი მათ ზემოთ, დიდ სიმაღლეზე მიცურავს, მაგრამ გრძელ ბაგირზე ჩამოკონჭიალებული ღუზა საკურთხეველს წამოედება და გემი შედგება, სვლას ვერარ აგრძელებს. უცებ რომელიდაც გულადი მეზღვაური ბაგირს ჩამოჰვება, ღუზა რომ ასენას, მაგრამ ვერაფრით ახერხებს. ეკლესიაში მყოფი შეჰყურებებს მის წვალებას. აბატი შეურთდება: თუ არ მივეშველეთ, ეს კაცი აქ დაგვეხრხობაო. მონაზვნები დატრიალდებიან, მიეშველებიან, შეჩერებული ხომალდი დაიძვრება და მეზღვაურიც ისევ ზემოთ აცოცდება, რათა თავისიანებს სიღრმეთა სასწაულებზე მოუყვეს.

სრულიად ბუნებრივად, შთაბეჭდილება შემექმნა – შავი ზღვის ფსკერზე, „ფარული ნავით“, გალაკტიონმაც იმიტომ დაყვინთა, ჩვენთვის ასეთივე დაუჯერებელი „სიღრმეთა სასწაულები“ ემცნო…

\* \* \*

დასასრულ, კვლავ მშობლიურ სოფელში მცირე ხნით ჩასულ პოეტს უნდა მივუბრუნდე, მარად მეოცნებეს, ვისაც ყრმობის დროინდელი „მდინარის ნავის“ დანახვაზე სხვანაირად უძგერდება გული, ვინაც იმ ნავში გულადმა გაწოლილმა და ცაში მაცეურალმა, ასი წლის მერე გამოღვიძება ინატრა. ტყუილად როდი დაწერა ერთგან: „უკვდავებისკენ ნავით მივფრინავ...“ ასე იყო და გრძელდება უკვდავებაში მისი სრბოლა.

ისევ უნდა გავიხსენო, „ტეოდორ ნეტტეზე“ მყოფმა, სოხუმის სიახლოვეს, როგორ უდრტვინველად გადაიტანა მძვინვარე შტორმი და იმის წარმოდგენაც იოლად შემიძლია, გამოდარების შემდეგ, სანაპიროსთან როგორ ჩასცეკროდა კამპამა ზვირთებში ჩაწურულ აკანკალებულ მზის სხივებს.

მასავით ქვეყნად არავინ მიალერსებია აფხაზეთს, მისოდენი მშვენიერი ლექსი არავის დაუწერია ამ ზღაპრულ ქართულ კუთხეზე, რომელსაც სიყვარულით მიმართავდა:

მომაგებე მშობლიური გემი,  
მომაგებე მშობლიური მიწა,  
შენი ძველი მეგობარი მიცან.

## თეიმურაზ დოიაშვილი

### „იგი, თანამგზავრი, ხშირად მეჩვენება“

„მზეო თიბათვისა“ კარგი ხანია, რაც ლიტერატურათ-მცოდნეთა თვალსაწიერში მოექცა და ხანგრძლივი პოლემიკის საგანიც გახდა. თითქმის ნახევარი საუკუნის წინ გიორგი გაჩეჩილაძემ გალაკტიონის „შედეგრი მოხეილ ლერმონტოვის „ლოცვასთან“ („მოლიტვა“) „შემოქმედებითი შეხვედრის“ ას-კექტში განიხილა და ლექსებს შორის რამდენიმე შეხების წერტილიც მონიშნა (გაჩეჩილაძე 1964).

მცირე საგაზეთო წერილს მძაფრი კრიტიკით გამოეხმაურა როლანდ ბურჭულაძე. მისი შეფასებით, „გ. გაჩეჩილაძე შესა-დარებელი მასალის მეტისმეტად ზედაპირული მსგავსებით დაკმაყოფილდა და ამიტომ ანალიზი არ იყო სწორი“ (ბურ-ჭულაძე 1980: 82). თავის მხრით, რ. ბურჭულაძემ „მზეო თი-ბათვისა“ ვაგნერის ოპერა „ლოცვანგრინიდან“ მიღებულ შთაბეჭ-დილებებს დაუკავშირა (იქვე: 79).

მოგვიანებით ეს თვალსაზრისი გაიმეორა ვენერა კავთიაშ-ვილმა (კავთიაშვილი 2000: 297-298).

რ. ბურჭულაძის წიგნზე ლევან ბრეგაძესთან თანავტორო-ბით დაწერილ რეცენზიაში ჩვენ არ გავიზიარეთ გალაკტიონ ტაბიძის არაერთი სიმბოლისტური ლექსის, მათ შორის „მზეო თიბათვისას“, წარმოდგენილი გენეზისი და შესაბამისი არგუმენტებიც მოვისმეთ (დოიაშვილი, ბრეგაძე 1985: 40-67). წიგნის ახალ გამოცემაში, ოცი წლის შემდეგ, რ. ბურჭულაძემ ძველი შეხედულებანი უცვლელად გაიმეორა, ხოლო „პოლე-მიკურ ეპილოგში“ საკუთარი ტექსტის სუბიექტური ინტერ-პრეტაციითა და „გაღმა შეედავეს“ ხერხით თავის მართლებაც სცადა (ბურჭულაძე 2000: 247-321).

ლექსს „მზეო თიბათვისა“ სპეციალური წერილი მიუძღვნა ხოდარ ტაბიძემ. გალაკტიონის მანამდე უცნობი დღიურიდან მან დაიმოწმა საგულისხმო ამონარიდი, სადაც პოეტი წერს:

„მე ოლია შემდეგი ლექსით გავაცილე რუსეთს:

**მზეო თიბათვისა, მზეო დეფისტრიბულო,  
დოცვად მუხლმოყრილი გრაალს შევეღრები...“**

ლექსის ციტირების შემდეგ გალაკტიონი განაგრძობს: „იგი აქ არის, ტფილისშია. მაშასადამე, ისმინა თუ არა დეფისტრიბულმა ჩემი ვედრება? აი, რა არის გამოსარკვევი. ეს ლექსი ხომ მას შეეხება“ (ტაბიძე ნ. 2002: 117).

დამოწმებულ ამონარიდზე დაყრდნობით მკვლევარმა ასეთი დასკვნა გააკეთა: „ყველაფერი ცხადია. ლექსს საფუძვლად უდევს არა ო. ვაგნერის ოპერიდან მომდინარე შთაბეჭდილებები, არამედ კონკრეტული ცხოვრებისეული ეპიზოდი, უძირფასესი ადამიანის – ოლია ოკუჯავას მოსკოვს გამგზავრება“ (ტაბიძე ნ. 2002: 117).

ნ. ტაბიძის პუბლიკაციის შემდეგ დასტამბულ თავის წიგნში ვ. კავთიაშვილი, ჩვენთან შეფარული პოლემიკის კონტექსტში, იმოწმებს გალაკტიონის ამ ჩანაწერს, როგორც იმის საბუთს, რომ „მზე“ ნამდვილად დეფისტრიბულს გულისხმობს და არა წარმართულ დეფაებას, – თითქოს ასეთი აზრი ვინმეს გამოითქვას! – მაგრამ თვალს უხუჭავს უმთავრესს – პოეტისეულ ინფორმაციას ლექსის გენეზისზე. იგი ისე იმეორებს ძველ, ბურჭულაძესთან საზიარო თვალსაზრისს, რომ „ლექსი ლოენგრინის ვედრებას წარმოადგენს“ და ა. შ. (კავთიაშვილი 2006: 168-169), თითქოს არც გალაკტიონის დღიურში დაცული ცნობა პქონდეს წაკითხული და არც ნ. ტაბიძის დასკვნას იცნობდეს...\*

\* \* \*

„მზეო თიბათვისა“ გალაკტიონის აკადემიურ გამოცემაში 1917 წლით, პირველი პუბლიკაციის მიხედვით არის დათარიღებული (ტაბიძე გ. 1966: 9), ხოლო „შენიშვნებში“ პუბლიკაციის ადგილიც არის მითითებული: გაზ. „ჩვენი მეგობარი“, 1917, №259 (იქვე: 305).

\* კრიტიკას ვერ უძლებს ვ. კავთიაშვილის მოსახრება, რომ „გრაალს შევეღრები“ უნდა გავიგოთ, როგორც „გრაალს შევეღრები“, რომ სიტყვის ასეთი „დამახინჯება“ („ვე“ მარცვლის ამოკლება) სახომის გამო მოხდა (კავთიაშვილი 2000: 297). გალაკტიონის პოეზიაში, ცხადია, არის პოეტური ლიცენციის შემთხვევები, მაგრამ ამის შედეგად კ.წ. დამასხინჯებული სიტყვის სემინტიც არასოდეს იცვლება. აგზორის პოეტური ტექნიკა, როდესაც ის „მზეო თიბათვისას“ ქმნიდა, იმ სისაღლეზე იდგა, რომ მსგავს კაზუსს არაფრით დაუშვებდა; ამასთან, ასეთი გაზაზებისას, ჰი პოთეტური რითმა ტავტოლოგიურობის უმწეო იერს იღებს: შევეღრები – გვევრები.

რადგან ლექსი 191 წლისთვის არამცოუ დაწერილი, დაბეჭდილიც ჩანს, მეუღლის გაცილება, რასაც გალაპტიონი პოეტურად გამოხმაურებია, ახლო ხანებშივე უნდა მომხდარიყო. მივმაროოთ ფაქტებს.

ოლია ოკუჯავა რუსეთში, კერძოდ მოსკოვს, პირველად 1916 წლის აგვისტოში გაემზავრა, მაგრამ მარტო კი არა, გალაპტიონთან ერთად, წევილის დაქორწინებისთანავე. ნოემბერში გალაპტიონი სამშობლოში დაბრუნდა, ხოლო ოლია მოსკოვში დარჩა. 1917 წლის დეკემბერში პოეტი მეორედ ეწვია მოსკოვს, იქ ქქსი თვე დაჟყო, რამდენიმე დღით რევოლუციურ პეტროგრადშიც ჩავიდა და 1918 წლის ივლისში, – ოლიას გარეშე, – გამოემგზავრა უკან. საქართველოში ოლია ოკუჯავა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, 1921 წლის გაზაფხულზე დაბრუნდა.

ირკვევა, რომ 1916 წლის ზაფხულიდან 1921 წლის გაზაფხულამდე ოლია მუდმივად რუსეთში ცხოვრობდა, გალაპტიონს რეალური შემთხვევა არ ჰქონია, იგი მოსკოვს გაუცილებინა და, მაშასადამე, დროის ამ მონაკვეთში ვერც „კონკრეტული ცხოვრების ეპიზოდით“ შთაგონებულ გამოსათხოვარ ლექსს შექმნიდა.

დამაფიქრებელია ერთი გარემოებაც: „მზეო თიბათვისა“ 1916-1917 წლებში დაწერილი რომ ყოფილიყო, იგი აუცილებლად მოხვდებოდა „არტისტულ ყავილებში“ (1919), რომლის კონტექსტში სიმბოლისტური ლირიკის ეს ნიმუში ბუნებრივად, ორგანულად ჩაეწერებოდა.

მაგრამ ხომ არსებობს აკადემიური გამოცემის ცნობა და კონკრეტული მითითებაც ლექსის დაბეჭდვის ადგილისა და დროის თაობაზე?! როდესაც ცნობა გადავამოწმეთ, აღმოჩნდა, რომ „მზეო თიბათვისა“ გაზეო „ჩვენი მეგობარის“ მითითებულ ნომერში დაბეჭდილი არ არის.

ამონარიდს, რომელიც ნ. ტაბიძემ დაიმოწმა, 1921 წლის 24 მაისის თარიღი უზის (ტაბიძე ნ. 2000: 305) და მიუხედავად იმისა, რომ პოეტის ინფორმაციას ფაქტების ლოგიკა უპირის-პირდება, ერთი რამ უდავოა – „მზეო თიბათვისა“ 1921 წლის გაზაფხულზე უკვე დაწერილია.

გალაპტიონის ჩანაწერი ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს პოეტი სხვებისთვის ცნობილ, იქნებ დაბეჭდილ, ლექსზეც კი საუბრობს. სწორედ ამან განსაზღვრა შემდგომი ძიება, რომელიც მოულოდნელი, მაგრამ სასურველი შედეგით

დაგვირგვინდა. 1920-1921 წლების პრესის გადათვალიერებისას ქურნალში „სახალხო გვარდიელი“ (1921 №2, გვ. 6), რომლის პასუხისმგებელი მდივანი და ფაქტობრივი ხელმძღვანელი გალაკტიონ ტაბიძე იყო (ტაბიძე ნ. 1997: 6), აღმოჩნდა თავ-დაპირველი, ვრცელი ვერსია ლექსისა „მზეო თიბათვისა“! მისი არსებობა აკადემიურ გამოცემაში ასახული არაა, ამიტომ ეს ტექსტი უცნობი დარჩა მკვლევართათვის:

## 1920

მზეო-ლგონისმშობელო, მზეო-ნებიერო,  
მზეო თიბათვისა – გრაალს შევედრები...  
იგი, ვინც მიყვარდა დიდი სიყვარულით,  
ფრთებით დაიფარე – ამას გევედრები.  
მწარე მოჩვენებებს თვალი მიურიდენ,  
ლამე გაუთენე კარგი, შენმიერი...  
დილა მიანიჭე ისევ ციურიდან  
შუქი უმანკორა მიეც შვენიერი.  
და ნუ მოწყდება ბაგეს ამოოხვრა,  
თვალებს ნუ მოწყდება ცრემლი უცარი,  
სხვად ნუ შეიცვლება მისი მიმოოხვრა  
მით, რომ საუკუნე დადგა უმეცარი.  
ამას გევედრები, დროის შეჩვენება  
სიკვდილს უცხოეთში მე ნუ გამაგრებს.  
იგი, თანამგზავრი, ხშირად მეჩვენება,  
იგი, მწუხარება, ხშირად დამაღონებს...  
წელმა საოცარმა გზა რომ შეეღება  
უხვად მოიტანა სისხლი და ცხედრები...  
მძაფრი ქარტეხილი მას ნუ შეეხება,  
მზეო-ლგონისმშობელო, ამას გევედრები.

ტფილისი.

გალაკტიონ ტაბიძე

როგორც ლექსის სათაური და შინაარსი, ისე ქურნალ „სახალხო გვარდიელის“ გამოსვლის თარიღი (1921 წლის პირველი იანვარი) გვარწმუნებს, რომ საწყისი ვერსია ლექსისა „მზეო თიბათვისა“ დაწერილი უნდა იყოს 1920 წლის მიწურულს.

ყურადღებას იქცევს ისიც, რომ გალაკტიონს დაბეჭდილი ტექსტი სასწრაფოდ (იანვარი – მაისი) გადაუმუშავებია, შეუკუმშავს და სახეოთა აბსტრაქტორების გზით სიმბოლისტური

მრავალმნიშვნელოვნებისა და გაუმჯორვალობისთვის მიუღწევია. ამასთან, დღიურში, სადაც იგი ლექსს ოლიას უკავშირებს, გამოქვეყნებულ ტექსტს კი არ იმოწმებს, რომელიც კონკრეტიკას შეიცავდა, არამედ მის ახალ, გამოუქვეყნებელ ვერსიას.

ეოველივე ის, რაც ზემოთ ითქვა, ბადებს ვარაუდს, რომ გალაკტიონმა, – ჩვენთვის ჯერხნობით დაუდგენელი მიზეზისა თუ მიზეზების გამო, – მისტიფიკაციას მიმართა, როცა პოსტ ფაქტუმ შეთხზა ლეგენდა, თითქოს ამ ლექსით მეუღლის გაცილების რეალურ ფაქტს გამოეხმაურა.

რატომ დასჭირდა გალაკტიონს ამის გაკეთება?

\* \* \*

ლერმონტოვის „ლოცვასთან“ გალაკტიონის შემოქმედებითი შეხვედრა გ. გაჩეჩილაძემ განსაზღვრა, როგორც „ასოციაციური მიმართება“. ჩემი დაკვირვებით, ეს შეხვედრა უფრო ღრმაა და მნიშვნელოვანი, იმდენად მნიშვნელოვანი, რომ ლერმონტოვის ლექსი გალაკტიონისათვის შთაგონების სათავედ ჩანს. დავიმოწმოთ ტექსტი:

### Молитва

Я, матерь божия, ныне с молитвою  
Пред твоим образом, ярким сиянием,  
Не о спасении, не перед битвою,  
Не с благодарностью иль покаянием,

Не за свою молю душу пустынную,  
За душу странника в свете безродного;  
Но я вручить хочу деву невинную  
Теплой заступнице мира холодного.

Окружи счастием душу достойную;  
Дай ей сопутников, полных внимания,  
Молодость светлую, старость покойную,  
Сердцу незлобному мир упования.

Срок ли приблизится часу прощальному  
В утро ли шумное, в ночь ли безгласную –  
Ты восприять пошли к ложу печальному  
Лучшего ангела душу прекрасную.

(ლერმონტოვი 1983: 28)

თავიდანვე ვიტყვი: უცხოენოვანი ტექსტის უღერადობა ისეთი ზღვრული ადგვატურობით აქვს გადმოღებული გალაპტიონს, რომ შესაძარებელი ლექსების მეტრულ-რიტმული და ინტონაციური თანხვედრა სრულიად თვალნათლივია. ლოცვის ფორმასთან ერთად სწორედ ეს თანაფლერადობაა ობიექტური სიგნალი ინტერებებსტუალური კავშირის არსებობისა.

სანამ „ლოცვის“ აზრობრივ შინაარსს შევეხებოდე, საჭიროდ მიმაჩნია მცირე განმარტება.

„ლოცვა“ 1837 წელს არის დაწერილი, ლერმონტოვის კავკასიაში გამგზავრების წინ და, როგორც ვარაუდობენ, ეძღვნება ვარვარა ლოპუხინას (1815-1851), ბანოვანს, რომლისადმი ფაქტიზი გრძნობა პოეტს ხანმოკლე სიცოცხლის ბოლომდე გაჰყება. ჩვიდმები წლის ყმაწვილმა ვარვარა 1831 წელს გაიცნო, მონათესავე სულთა შორის კავშირიც გაიძა, მაგრამ მიზეზთა გამო, რაშიც ლერმონტოვი უცოდველი არ ჩანს, ლოპუხინა მოულოდნელად გათხოვდა. პოეტმა ქალის ნაბიჯი აღიქვა, როგორც დალატი, თუმცა შემდგომში კიდევ რამდენიმე გრძნობიერი ლექსი უძღვნა გარდასულ სიყვარულს.

კავკასიაში მიმავალი ლერმონტოვი, რომელსაც ლექსში მსხემის, ყარიბის სახე მიუდია, – ავტოგრაფში ნაწარმოების სათაურია „ყარიბის ლოცვა“ („Молитва странника“), – ხიფათიან გზაზე შემდგარი, საკუთარ პერსონას კი არ ავედრებს დვთისმშობელს, არამედ პოულობს შინაგან ძალას, ამაღლდეს პირად ტკივილსა და წერაზე. მას სურს, უმანქო, უბორობო გულისა და მშვენიერი სულის ქალწულს ბედნიერი ახალგაზრდობა და მშვიდი სიბერე ჰქონდეს, არ შეეხოს ზეპური საზოგადოების გულგრილობა და სიცივე, სიკვდილის ქამს კი წმინდა მარიამის მოვლენილმა ანგელოზმა განუსვენოს.

განშორების თემისთვის დამახასიათებელი სევდა და დრამატიზმი „ლოცვაში“ მლოცველის ალტრუიზმითა და კეთილშობილი სულის ლირიკული თრთოლვით არის განსპეციალული.

არსებობს თუ არა ორ ლექსს შორის, ფორმალურთან ერთად, აზრობრივ-შინაარსობრივი მსგავსება, თუ ამ მხრივ, როგორც გვარწმუნებენ, მართლაც „სემანტიკური სხვადასხვაობაა“ (ბურჭულაძე 1980: 82)?

დავიწყოთ იმით, რომ, ისე როგორც ლერმონტოვთან, გადაკტიონის ლექსშიც ლოცვა დვთისმშობელს მიემართება

(დასაწყისში: „მზეო-დვთისმშობელო, მზეო-ნებიერო“, ბოლოში: „მზეო-დვთისმშობელო, ამას გევედრები“).

შეგვასია ლირიკულ სუბიექტთა ინტენციაც, რამდენადაც ორივე გულწრფელი დაღადისით ივედრება ყოფილ სატრფოთა საფრთხისგან გადარჩენას თუ სიმშვიდე-კეთილდღეობას. გალაკტიონი ამბობს: „იგი, ვინც მიყვარდა დიდი სიყვარულით“, მაშასადამე, გრძნობა წარსულის კუთვნილებაა. ლერმონტოვთან ამაზე უშუალო მინიშნება არაა, მაგრამ რადგან ლექსი ლოპუხინას „დალატის“ შემდეგაა შექმნილი, გრძნობის აპოგეა აქაც წარსულს ეკუთვნის.

დაკვირვებული წაკითხვისას ტექსტებს შორის გადაძახილი და რემინისცენციებიც შეიმჩნევა. „Помали ангела“, – ითხოვს ლერმონტოვი. „Фронтебиот დაიფარე“, – ივედრება გალაკტიონი. „В утре ли шумное, в ночь ли безгласную“, – ვკითხულობთ ლერმონტოვთან. „დამჟ გაუთენე... დილა მიანიჭე“, – წერს გალაკტიონი....

რასაკვირველია, ტექსტები, როგორც დამოუკიდებელი ლექსები, ერთმანეთისაგან განსხვავდება კიდეც: გალაკტიონი ლერმონტოვს კი არ ბაძავს, არამედ, მისით შთაგონებული, – მსგავს განწყობილებით-სიტუაციურ და ვერსიფიკაციულ ჩარჩოში! – განშორების თემის საკუთარ, ტრაგიკულ ვერსიას თხზავს.

გალაკტიონის ლექსოან შედარებით, ლერმონტოვის „ლოცვა“ დია ტექსტია, რომელშიც, ასე თუ ისე, მოცემულია ინფორმაცია ლირიკულ სუბიექტზეც და მფარველობის ობიექტზეც. გალაკტიონის ლირიკული „მე“-ს შესახებ, ფაქტობრივად, არაფერი ვიცით, თვინიერ იმისა, რომ ის უკიდურესად შეწუხებულია ყოფილი სატრფოს მდგომარეობით. თავად ეს არსებაც („იგი“) გაურკვევლობითაა შებურული. მისი საფრთხიდან გამოხსნა ლირიკული სუბიექტის ძალას აღემატება. უძლურებიდან მოდის „მე“-ს იდუმალი ტრაგიზმი, რომლის სიღრმე და ხარისხი ლოცვის სიმხურვალეში აისახება.

\* \* \*

გალაკტიონის ლექსში ძნელი მისახვედრია, რაა მიზეზი „დიდი სიყვარულის“ გაქრობის თუ განელებისა („იგი, ვინც მიყვარდა...“), თუმცა რაღაც მერთალი მინიშნება ამაზე მაინც არსებობს. რას ითხოვს, რას ევედრება პოეტი (ლირიკული „მე“) დვთისმშობელს?

ტანჯვა-განსაცდელში თვალნი მიურიდენ,  
სული მოავლინე ისევ შენმიერი,  
დილა გაუთენე ისევ ციურიდან,  
სული უმანკოთა მიეც შვენიერი.

პირველ რიგში, ეს ტანჯვა-განსაცდელის არიდების, ფიზიკური გადარჩნის თხოვნაა, მაგრამ მთავარი, შეფარული სათხოვარი, ჩემი აზრით, მომდევნო სამ სტრიქონშია მოქცეული. მლოცველი ევედრება დედა ლვთისას, დაუბრუნოს ყოფილ სატროოს ის, რაც ჰქონდა და აღარა აქვს: დაუბრუნოს თავისი კეთილგანწყობა და მოწყალება („სული მოავლინე ისევ შენმიერი“), დამის ნაცვლად კვლავაც მიუბოძოს სხივნათელი დილა („დილა გაუთენე ისევ ციურიდან“; პირველნაბეჭდში: „დამე გაუთენე... დილა მიანიჭე“, აღუდგინოს უმანკოთა შშვენიერი სული („სული უმანკოთა მიეც შვენიერი“). ქალის ცხოვრებაში, როგორც ჩანს, მოხდა რაღაც ისეთი, რასაც პირდაპირ არ გვიმსელენ, მხოლოდ მინიშნებაა იმაზე, რამაც დააკარგვინა მას სულის უმანკობა და, მასთან ერთად – ლვთისმშობლის მფარველობაც. ვედრების კეთილშობილური მიზანი ისაა, რომ ფიზიკურ გადარჩნასთან ერთად მოხდეს ცოდვილი სულის აღდგინება, განწმენდა, სანკტიფიკაცია, რაც ლვთისმშობლის მისიაა (გამსახურდია 1990: 23).

მძიმე განწყობილება, რომელიც განფენილია ლექსში „მზეო თიბათვისა“, პირველნაბეჭდში კონკრეტულ დროს უკავშირდება – „1920“, როგორც აზრობრივ-ემოციური კონტექსტის განმსაზღვრელი თარიღი, სათაურადაა გატანილი. ცხედრებით მოვენილი, სისხლიანი „საოცარი წელი“ ბედითად აისახება ადამიანთა ცხოვრებაზე. ამ კოშმარული სიზმარ-ცხადის ფონზე „ეზვენება“ გალაკტიონს თავისი „თანამგზავრი“ – გარდასული „დიდი სიყვარული“...

\* \* \*

„მე ოლია შემდეგი ლექსით გავაცილე რუსეთს“, – წერს გალაკტიონი.

„მზეო თიბათვისა“, როგორც გაირკვა, მეუღლის გაცილებას არ უკავშირდება, მაგრამ ტექსტის ორივე ვერსიაში მეტ-ნაკლები სიცხადით ილანდება ოლია ოკუჯავას სახება („ეს ლექსი ხომ მას შეეხება“). ლექსის შექმნის გარემოებანი და-ახლოებით ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ: 1920 წლის მიწურულია. ყოფილ იმპერიაში ომი, გაპარტახება და შიმშილი

მძვინვარებს, ტფილისს კი კასპიისპირეთიდან დაძრული „წითელი ვეფხვი“ უახლოვდება რისხევით. ბოლშევიკების შემოსვლას უთუოდ ოლიას დაბრუნება მოჰყვება... იწყება მუდმივი ფიქრი ოლიაზე („იგი, თანამგზავრი, ხშირად მეჩვენება“), რომელთანაც გალაკტიონი მარტო დრომ და სივრცემ კი არა, არამედ ახალი ფორმაციის ქალბატონის არაორდინარულმა ცხოვრების წესმაც დააშორა (იხ.: ო. ოკუჯავას 1919-1920 წლების დღიურები – ტაბიძე გ. 2008).

პოეტი ლერმონტოვის „ლოცვის“ შთაბეჭდილების ქვეშაა, თავის ფიქრებსა და განცდებს, ლერმონტოვის ახალოგიით, იგი ლოცვის, ვედრების ფორმაში აქცევს – იქმნება გპოქისა და პირვნულ-ბიოგრაფიულის ლირიკულად ტრანსფორმირებული ტრაგიკული სურათი, როგორც შედეგი შეატვრული იმაგინაციისა.

რა დამოკიდებულება პქონდა გალაკტიონს მეუღლესთან იმ ხანებში, როცა „მზეო თიბათვისა“ იწერებოდა, ანუ ოლიას მოსალოდნელი დაბრუნების წინ?

1921 წლის 24 მაისი, დღე, როდესაც პოეტმა ჩვენთვის საინტერესო ჩანაწერი გააკეთა, წლობით უნახავ მეუღლესთან შეხვედრის პირველი დღეა. ეს შეხვედრა მომდევნო დღეს (25 მაისს) თვით გალაკტიონს აქვს დეტალურად აღწერილი (ტაბიძე 6. 2000: 312-316) და ორ, ერთმანეთისგან სრულიად გაუცხოებულ პირვნებას წარმოგვიდგნს: ერთი მათგანი (ოლია) – შემცოდეა, მეორე (გალაკტიონი) – შემნდობი... შეძრწუნებული, ეიფორიაში მყოფი პოეტი უმწეოდ ცდილობს ქალის გამართლებას მისი მიმწდობი ბუნებით.

გალაკტიონს ოლიას გამო რომ მტანჯველი ფიქრები აწამებდა, ცხადლივ ჩანს ნაკლებად ცნობილი ვარიანტიდან ლექსისა „რაც უფრო შორს ხარ“. ეს ლექსი დაწერილია არა 1908 წელს, როგორც მიჩნეული იყო, არამედ – 20-იან წლებში (ტაბიძე 6. 1993: 39), ჩემი ვარაუდით, „მზეო თიბათვისას“ შექმნის ახლო ხანებში. მომაქვს ფინალური სტროფები, რომლებიც გალაკტიონმა ლექსის საბოლოო რედაქციაში აღარ შეიტანა:

მაგრამ თუ როსმე მომიახლოვდი,  
ოცნების კოშე მსწრაფლ დაიმსხვრევა,  
გვდარ მიშველის მსურვალე ლოცვა  
და გერც ნაკადად ცრემლების ფრქვევა.

სიძულვილისა ნისლი მწუხარი  
შენს სულზე ჩემს ზიზღს გადააქარგავს,  
შორი სურათი თუ მატყვეგებდა,  
სურათი ახლოს ელფერს დაჟკარგავს.  
(ტაბიე 6. 1993: 40)

სტრიქონები – „ვეღარ მიშველის მხერვალე ლოცვა“  
და „სიძულვილისა ნისლი მწუხარი / შენს სულზე ჩემს  
ზიზღს გადააქარგავს“, ვფიქრობ, კომენტარს არც საჭი-  
როებს. გალაკტიონის მაღალი, სპეტაკი ოცნება, „სიშორის“  
გაუქმებისას, რეალობის პირისპირ დარჩენილი, მარცხდება  
და „ოცნების ლურჯი ანგელოზის“ ნაცვლად იხატება  
„სული“, რომელსაც პოეტი მხოლოდ სიძულვილსა და ზიზღს  
„გადააქარგავს“...

ახლა დავუკვირდეთ გალაკტიონის ჩანაწერის ერთ  
დეტალს:

„ისმინა თუ არა დვთისმშობელმა ჩემი ვედრება? აი, რა  
არის გამოსარკვევი“...

ოლია უკვე ტფილისშია, მაშ რაღაა გამოსარკვევი?! პა-  
სუხს ამ კითხვაზე მომდევნო დღის, 25 მაისის დღიურში  
ვპოულობთ:

„ვინ იცის, რანაირი ცხოვრებით ცხოვრობდა იგი (ოლია  
– თ. დ.)?

ეს ჩემთვის სამუდამოდ გამოუცნობ გამოცანად დარჩება.

...მდალატობები მეგობრები, მდალატობები ნათესავები, მდა-  
ლატობს, საზოგადოდ, ბედი, მიღალატა ოლიამაც და მთელ  
ჩემს ცხოვრებაში ეს არის ყველაზე უფრო უსასტიკესი და-  
ლატი... რად, რად ჩაიდინა ასეთი რამ ოლიამ?

და ისევ ვფიქრობდი: მაგრამ ოლია ავადაა. ავადაა მხო-  
ლოდ იმის გამო, რომ ვიღაცამ მისი ცხოვრების ახლო გა-  
იარა, ტლანქად და მოურიდებლად. შეიძლება ეს „ვიღაცა“  
ვიყავი თვითონ მე... გრცხვენოდეს, ოლია. შენ მეტად ავად  
ხარ იმისთვის, რომ ოდესმე გაგაგებინო. მე გავიგე, მე ვიცი  
ყველაფერი! არასდროს ამ სიტყვებს მე არ გეტყვი და  
შეიძლება, ეს უფრო უსასტიკესი სასჯელი იქნეს შენთვის?  
მე ვიზრუნებ შენთვის, რომელიც ასე შებრალებით მიყვარ-  
ხარ. შენ კი თუ გსურს, კიდევ მიღალატე, მიღალატე, რო-  
გორც მდალატობს ყველა: გალაკტიონ ტაბიე თავის თავს  
არ უდალატებს! შენ არ გიდალატია! ვერავინ, ვერავინ ვერ  
გაიგებს ამ ცნობას. ეს, თითქოს, არც მე ვიცი... ხა, ხა, ხა“

(ტაბიძე ნ. 2000: 315, 316).

გამოსარკვევი, ვფიქრობ, გარკვეულია: თვით დვთისმშობელმაც ვერ შეძლო მშვენიერი სულის უმანკოების აღდენა, ე.ი. ვერ განხორციელდა ის სასწაული, რასაც ასეთი სახოებით შესთხოვდა დედა დვთისას „ლოცვად მუხლ-მოყრილი“ პოეტი.

\* \* \*

დავუბრუნდეთ კითხვას, თუ რატომ მიმართა გალაკტიონმა მისტიფიკაციას.

პოეტის ჩანაწერი 50-იან წლებს რომ ეპუთვნოდეს, დროს, როდესაც მიზანმიმართულად დაიწყო თავისი ე.წ. დეკადენტურ-სიმბოლისტური ლექსების რეალისტური ინტერპრეტიორება, პასუხიც იოლი იქნებოდა. ასე აღმოჩნდა, რომ „მე და დამე“ რევოლუციურ საიდუმლოს ფარავს, „მთაწმინდის მთვარე“ ცხოვრების ზღვაზე აღზრდილი სულის მონოლოგია, „მერი“ – რეალური ქალის, ფრეილინა მერი შერვაშიძისადმი სიყვარულის ანარეკლი, ხოლო „ლურჯა ცხენები“ – სამეცნიერო თემაზე დაწერილი რეალისტური ლექსი! რომ არა ჩანაწერის თარიღი – 1921 წლის მაისი – ლექსის „მხეო თიბათვისა“ რეალისტური ფესვების მოშველებაც ამ რიგის მოვლენად ჩაითვლებოდა...

ჩატარებული კვლევის კონტექსტში, ჩემი ვარაუდით, მისტიფიკაციას ამ კონკრეტულ შემთხვევაში პოლიტიკური, შემოქმედებითი და პიროვნული მოტივები აქვს.

ჩანაწერის გაკეთების დროს ბოლშევიკები უკვე თბილისში არიან, ყველაფერს ეჭვის თვალით აკვირდებიან და არასაამედოებს დაუნდობლად, სასტიკად უსწორდებიან. გალაკტიონის კეთილგანწყობა და თანამშრომლობა დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლებასთან ისედაც არ იყო დაფარული, ამიტომ გასაბჭოების თითქმის წინა დღეებში დაბეჭდილი ლექსი „1920“ პოეტისათვის, შეიძლება, სახითაო აღმოჩენილიყო. მიუხედავად ინტიმურ-ლირიკული ხასიათისა, ტექსტი აშკარად შეიცავს ახალი, პოსტრევოლუციური დროის ნეგატიურ დახასიათებას: ჩვენ წინაშეა არა უამი განახლებისა – დიადი რევოლუცია, რომელსაც ხალხისთვის ნანატრი თავისუფლება უნდა მოეტანა, არამედ „საშინელი ხანა“ – „საუგუნე უმეცარი“, როდესაც „დროის შეჩვენება“ სოციალური თანასწორობის სახელით ფიზიკურად და სუ-

ლიერად ანადგურებს ადამიანებს. პირველნაბეჭდში ისიც ჩანს, რომ „თანამგზავრი“, რომლის ბედიც აწესებდა პოეტს, უცხოეთში (რუსეთში) იმყოფება, ხოლო სასტიკი, სისხლითა და ცხედრებით მოფენილი გარემო „გამარჯვებული რევოლუციის“ ქვეყანაა – პოსტრევოლუციური რუსეთი.

გალაკტიონმა სასწრაფოდ ამოიღო არასასურველი კონკრეტიკის შემცველი ორი სტროფი, ხოლო მოგვიანებით – მეორე პუბლიკაციისას (1927), შეცვლილი ვითარების გათვალისწინებით, „დვოისმშობელი“ მზის მეტაფორით დაშიფრა, „ხანა საშინელი“ კი უფრო განყენებულმა „ხანმა უნდობარმა“ ჩაანაცვლა.

ჩანაწერიდან იგრძნობა, რომ გალაკტიონს არ სურს ლექსის გამოქვეყნებული ვერსიის გახსენება, ფაქტობრივად, მალაგს მას. საკუთარ დღიურშიც კი იგი ძნელად შესაღწევ ახალ ვერსიას იმოწმებს და იქვე ცრუინფორმაციასაც აფიქსირებს, თითქოს ლექსი მეუღლის რუსეთში გაცილების ფაქტს ეხება. და რადგან ეს ფაქტი მხოლოდ **1916** წელს შეიძლება მომხდარიყო, როდესაც ოლია მოსკოვს გაემგზავრა, შესაბამისად, „მზეო თიბათვისა“ რევოლუციის სისხლითან შედეგებს კი არ აირეკლავს, არამედ – რუსეთის იმპერიის რღვევისა და მსოფლიო ომის მძიმე ხანას.

ასეთია მისტიფიკაციის პოლიტიკური ასპექტი.

უფრო იოლი წარმოსახენია მისტიფიკაციის, ასე ვთქვათ, შემოქმედებითი მიზეზი: ლექსის წარმომავლობის კონკრეტულ ცხოვრებისეულ ეპიზოდთან დაკავშირებით თუ არ იშლება, ფერმკრთალდება მაინც რეალური გენეტიკური სათავისაკენ (ლერმონტოვის „ლოცვა“) მიმავალი კვალი.

დასასრულ, მისტიფიკაციის შედეგად ბუნდოვანდება ლექსში გადასული მწარე პიროვნული განცდები, რომლის გამხელა ოლიას დაბრუნების მომლოდინე გალაკტიონს არავისთვის სურდა. პოეტი ცდილობს, ვითარება ისე წარმოადგინოს, თითქოს ტექსტში ოდენ ოლიას გაცილებით ადძრული შეშფოთებაა გამოხატული, რათა ოცნების, პოეზიის სივრცე მაინც დარჩეს შეუბდალავი... გალაკტიონის ნამდვილი ცხოვრება ხომ მხოლოდ ამ წარმოსახულ, იდეალურ სივრცეში მიედინებოდა.

რაც შეეხება ლერმონტოვის ლექსის ზეგავლენას გალაკტიონზე, გავიმეორებ იმას, რაც ერთგზის უკვე ვთქვი: „პოეზიაში შეხმიანება თუ სესხება არაფერს წყვეტს, მთავარი

ახალი ესთეტიკური ფასეულობის შექმნაა. გალაკტიონი ისე გარდაქმნის ყველაფერს, – ანტიკურსაც, რომანტიკულსაც, თანამედროვესაც, – აზრისა და ფორმის ისეთ მწვერვალებს აღწევს, რომ ხშირად უკან იტოვებს პირველწეროს, რაოდენ მაღალი რანგის ქმნილებაც არ უნდა იყოს იგი“ (გალაკტიონოლოგია 2004: 77).

\* \* \*

ლექსის „მზეო თიბათვისა“ ახლად მიგნებული პირველნაბეჭდი ტექსტი („1920“) და წარმოდგენილი ახალიზი კიდევ ერთხელ და, ვიზირობ, საბოლოოდ ცხადყოფს, რომ გალაკტიონის შედევრის დაკავშირება რ. ვაგნერის „ლოენგრინთან“ უძართებულოა. ლირიკული სუბიექტის ლოცვა მიემართება არა გრაალს, როგორც ამას დაუინებით გვიმტკიცებენ („გრაალს შევე-ვ-დრები“), არამედ „მზე-დვოისმშობელს“. ლერმონტოვის ლექსით შთაგონებული გალაკტიონი თავისი გარდასული „დიდი სიკარულის“ ხორციელ უსაფრთხოებასა და სულიერ ადდგომას ივედრება, რასაც არაფერი აქვს საერთო ლოენგრინის ლოცვასთან ელზასთან განშორების წინ.

„მზეო თიბათვისა“ („1920“) კონკრეტული ისტორიული ეპოქის გამოძახილია და ავტობიოგრაფიულ რემინისცენციებს შეიცავს. უტყუარი ფაქტების ფონზე არასერიოზული და ლიმილისმომგვრელიც კი ჩანს მტკიცება, რომ ლექსის ფინალური სტრიქონები („ხანმა უნდობარმა, გზა რომ შე-ედება, / უხვად მოიტანა სისხლი და ცხედრები“) ლოენგრინის მიერ დახოცილ ფრიდრიხ ფონ ტერლამუნდს და მის მსახურებს გულისხმობს (ბურჭულაძე 1980: 80).

დასკვნისთვის, მოკლედ შევჩერდეთ იმაზეც, თუ როგორ შეიძლება გავიგოო „გრაალს შევედრები“.

როგორც ადრეც ვწერდით, „გრაალს შევედრები“ ნიშნავს – ვიქები გრაალის მსგავსი, „გრაალს დავემსგავსები“ (დოიაშვილი, ბრეგაძე 1985: 49). ასე აქვს ეს სახე განმარტებული აკაკი ბაქრაძესაც: „ლოცვად მუხლმოყრილი სისხლით სავსე თასს ვგავარო“ (ბაქრაძე 2010: 56). მაგრამ როგორ უნდა დაემსგავსოს ლირიკული სუბიექტი თასს?

გრაალი ჭურჭელია (თასი, ბარიმი), რომელმაც მაცხოვრის სისხლის გამო შეიძინა წმინდა გრაალის სტატუსი. მსგავსება გრაალთან (თასთან) ორი ასკექტით შეიძლება იქნეს განხილული – ფიზიკური და სიმბოლური ასპექტებით. მლოც-

გელის პოზა (მუხლმოყრილი, ზეცისკენ ხელაპყრობილი ადამიანი), ამ პოზის გრაფიკული კონტური ვიზუალური ასოციაციით, შესაძლოა, მიამსგავსონ კიდევ გრაალის თასს, როგორიც ის მხატვართა ტილოებზეა გამოსახული. მაგრამ აქ გასათვალისწინებელია ერთი გარემოება: თავდაპირველ ტექსტში გადაკტიონთან მდლოცველის პოზა არ ფიგურირებდა – „ლოცვად მუხლმოყრილი“ მოგვანებით გაჩნდა, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ პოეტის წარმოსახვა უფრო არსობრივ-სიმბოლურ მსგავსებაზე იყო ორიენტირებული.

რა სიმბოლური სემანტიკა აქვს წმინდა გრაალს? თასში მოქცეული სისხლი მაცხოვრისა არის სასწაულებრივად გადარჩენილი, მარადიული სული ახალი აღთქმისა („ეს არის ჩემი სისხლი (ახალი) აღთქმისა, მრავალთაოვის რომ იღვრებოდა ცოდვების მისატევებლად“ – მათე 26:28). ლირიკული სუბიექტი, რომელიც ვედრებით მიმართავს დვოისმშობელს, აუწყებს მას, რომ, როგორც გრაალის ჭურჭელი – სისხლს, საქუთარ არსებაში, სხეულში ახალი აღთქმის სულს ატარებს, (შდრ.: ვალერი ბრიუსოვის სტრუქტურულად მსგავსი სახე: „Я... полон, как кубок мой вином, - безмерной мудростью“), რომ მზადაა მოყვასის საშველად. მაგრამ შორს მყოფის შეველა მოკვდავის ძალებს აღემატება, ამიტომ ლირიკული სუბიექტი, მსგავსად გრაალისა, მედიუმის ფუნქციას კისრულობს – ტანჯვა-განსაცდელში ჩავარდნილ არსებას დვოისმშობელთან შეამდგომლობს.

ეპოქის კულტურულ-ლიტერატურულ კონტექსტში ძნელი არაა იმის დადგენაც, საიდან გაჩნდა გალაკტიონის დექსებში „გრაალი“. თქმულება გრაალზე, გრაალის სახე-სიმბოლო აქტუალიზებული იყო რუსულ სიმბოლისტურ პოეზიაში, რომელსაც ზედმიწევნით იცნობდა გალაკტიონი. აქვე არც რუდოლფ შტაინერის სხენება იქნება უადგილო: მისდამი იხტერესი პოეტმა ადრიდანვე, 10-იან წლებში გამოხატა „სულიერების საფუძვლების“ ფრაგმენტის თარგმნით (ტაბიძე 2006: 26-30).

### დამოწმებანი:

**ბაქრაძე 2005:** ბაქრაძე ა. რას ნიშნავს „თიბაოვის მზე“ // გალაკტიონოლოგია. V. თბ.: ლიტერატურის ინსტიტუტის გამოცემა, 2005.

**ბურჭულაძე 1980:** ბურჭულაძე რ. მხოლოდ ინტეგრალები. თბ.: „მერანი“, 1980.

**ბურგულაძე 2000:** ბურგულაძე რ. მხოლოდ ინტეგრალები. თბ.: „ქრონიკაფი“, 2000.

**გალაგტიონოლოგია 2004:** გალაგტიონოლოგია. III. თბ.: ლიტერატურის ინსტიტუტის გამოცემა, 2004.

**გამსახურდია 1990:** გამსახურდია ზ. საქართველოს სულიერი მისია. თბ.: „განათლება“, 1990.

**გაჩეზილაძე 1964:** გაჩეზილაძე გ. მ. ლერმონტოვი და გ. ტაბიძე. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 16 თქმულები, 1964.

**დოიაშვილი... 1985:** დოიაშვილი თ. ბრვეგაძე ლ. დაკარგული გასაღების ძიებაში. თბ.: „მერანი“, 1985.

**გავთიაშვილი 2006:** კავთიაშვილი ვ. გერმანული ლიტერატურულ-ესთეტიკური რეცეფციები გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაში. თბ.: „უნივერსალი“, 2006.

**გავთიაშვილი 2000:** კავთიაშვილი ვ. გაგნერიანობის საკოხხი გადატიონ ტაბიძის შემოქმედებაში. // ლიტერატურული ძიებანი. XXI. თბ.: ლიტერატურის ინსტიტუტის გამოცემა, 2000.

**ლერმონტოვი 1983:** Лермонтов М. Собр. сочинений в четырех томах, т. I. М.: из-во „Художественная литература“, 1983.

**ტაბიძე გ. 1966:** ტაბიძე გ. თხზულებანი თორმეტი ტომად. ტ. II. თბ.: „საბჭოთა საქართველო“, 1966.

**ტაბიძე გ. 2006:** ტაბიძე გ. საარქივო გამოცემა ოცდახუთ წიგნად. ტ. XIII. თბ.: „ლიტერატურის მატიანე“, 2006.

**ტაბიძე გ. 2008:** ტაბიძე გ. საარქივო გამოცემა ოცდახუთ წიგნად. ტ. XIV. თბ.: „ლიტერატურის მატიანე“, 2008.

**ტაბიძე 6. 2000:** ტაბიძე ნ. გალაგტიონი. თბ.: 2000.

**ტაბიძე 6. 1997:** ტაბიძე ნ. გალაგტიონი – რედაქტორი და გამომცემული. თბ.: თსუ გამომცემლობა, 1997.

**ტაბიძე 6. 1993:** ტაბიძე ნ. გალაგტიონის შემოქმედებით ლაბორატორიაში. თბ.: თსუ გამომცემლობა, 1993.

**ტაბიძე 6. 2002:** ტაბიძე ნ. გალაგტიონოლოგია. თბ.: 2002.

## კონსტანტინე ბრეგაძე

### „ლურჯა ცხენები“: ნების მეტაფიზიკა და (ანტი-)სწავლება მარადიული დაბრუნების შესახებ

გალაკტიონის მოდერნისტული ლირიკის სიმბოლისტური დისკურსი, რომელიც იმთავითვე მიმართულია არქეტიპულ ეგზისტენციალიებზე – ღმერთი, ყოფიერება, ადამიანის არსებობა თანხვდება, ერთი მხრივ, შოპენიაუერის პოსტულატებს ნების აპრიორულობისა და სუბიექტის საბოლოო არარასეული ფინალობის შესახებ (ე. ი. სუბიექტის საბოლოო ეგზისტენციალური გაქრობის შესახებ), და, მეორე მხრივ, ნიცშეს პოსტულატს ღმერთის სიკვდილის შესახებ, ასევე ნიცშეს მიერ პროეციებულ ონტოლოგიურ (ანტი-)სწავლებას ერთი და იმავეს მარადიული დაბრუნების შესახებ („die ewige Wiederkunft/Wiederkehr des Gleichen“).<sup>1</sup>

ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვნად მიმაჩნია გალაკტიონის ერთ-ერთი სიმბოლისტური ლირიკული ტექსტის – „ლურჯა ცხენების“ (1915) მიმართების განსაზღვრა, ერთი მხრივ, სწორედ შოპენიაუერის ნების მეტაფიზიკის, ხოლო, მეორე მხრივ, ნიცშეს მარადიული დაბრუნების (ანტი-)სწავლებისადმი საკუთრივ ლირიკული ტექსტის ჭეშმარიტი საზრისის კონცეპტუალურად მართებული განსაზღვრის მიზნით.<sup>2</sup>

#### I. „ლურჯა ცხენები“ და შოპენიაუერის ნების მეტაფიზიკა

ა. შოპენიაუერის ონტოლოგიაში ყოფიერების საფუძვლად და მიზეზად, მის პირველსაწყისად და მამოძრავებელ ძალად გამოცხადებულია ყოველგვარ მიზანსა და საზრისს მოკლებული „ბრმა“ ირაციონალი – ნება (Wille), რომელიც მოიცავს და წარმართავს როგორც ორგანული, ისე არაორგანული ბუ-

ნების ყველა ფენომენის ეგზისტენციას (იხ. მისი მთავარი თხზულება „სამყარო როგორც ნება და წარმოდგენა“, გერმ. „**Die Welt als Wille und Vorstellung**“). შესაბამისად, ადამიანის ეგზისტენცია, მისი ანთროპოლოგიური არსი და სიცოცხლი-სეული ნებელობა აპრიორულად დეტერმინებულია იმთავითვე არსებული და არსათ მსწრაფი, ყოველგვარ მიზანს მოკლებული ნებით – ყოფიერების ამ ირაციონალური პირველ-საწყისით, რასაც შოპენგაუერი კანტის ანალოგით უწოდებს საგანს თავის თავად (ვინდელბანდი 1980: 507, 508). ამით იგი ხაზს უსვამს, ერთი მხრივ, სამყაროში გონის საპირისპიროდ ნების აპრიორულობას, და, მეორე მხრივ, ნების, როგორც ყოფიერების ონტოლოგიური პირველ-საწყისის, სამყაროში პირველადობას, ხაზს უსვამს ნების აბსოლუტურობას. აქედან გამომდინარე, ნება, როგორც საგანი თავის თავად, ემპირიული სინამდვილისა და სუბიექტის შემეცნებისაგან გამიჯნული და ამ შემეცნებისათვის აპრიორულად მიუწვდომელი ეგზისტენციალი კი არაა, როგორც ეს არის კანტიან, არამედ ყოფასა და ადამიანის ანთროპოლოგიურ არსში იმთავითვე ინტეგრირებული ეგზისტენციალია (ზაფრანსკი 2002: 313), რომელიც ყოფიერებაში რეალიზდება, როგორც სიცოცხლისეული ნებელობის, სტიქიური წარმოქმნის უსასრულო გამოვლინება.

ხოლო ჰეგელის აბსოლუტური გონის პოსტულაცის, რომლის მიხედვითაც, მთელი კაცობრიობის, და შესაბამისად, ყოველი ცალკეული სუბიექტის ეგზისტენცია თითქოსდა აპრიორულად და სრული კანონზომიერებით ისწრაფვის იდეალისაკენ, შოპენგაუერი უპირისპირებს თავის ნების შეტაფიზიკას, რითაც ის აუქმებს ყოველგვარ ტელეოლოგიას და კაცობრიობის ისტორიისა და ადამიანის ეგზისტენციის ლოგოსით, ან აბსოლუტური ობიექტური გონით დეტერმინებულობას: „პრმა“ ნების ყოფიერების პირველსაწყისად გამოცხადების საფუძველზე შოპენგაუერი უკუაგდებს ჰეგელის ონტოლგზისტენციალურ ოპტიმიზმს და უარყოფს სამყაროში გონით განპირობებულ, გონისეულ კანონზომიერებას, უარყოფს ყოფიერების გონზე დაფუძნებულობას, სამყაროში რაიმე საზრისისეულის, რაიმე აზრის შემცველის მოცემულობას (ვინდელბანდი 1980: 533; მეცლერი 2003: 656). შესაბამისად, ყოფიერებაში არარსებული მიზნის, ყოველგვარ მიზანსა და აზრს მოკლებული ეგზისტენციის, სამყაროსეული პირველსაწყისის – აბსოლუტური ნებ-

ისა და საკუთარი ინდივიდუალური ნებელობით განსაზღვრულობის პირობებში ადამიანის არსებობა უკვე ყოველგვარ საზრისს კარგავს, მისი ეგზისტენცია გადაიქცევა ამაოებად და სრულ აბსურდად, რამდენადაც იგი და მთელი მისი არსებობა ამ მეტაფიზიკურ-ირაციონალური ნების კონკრეტულ დროსა და სივრცეში მოცემული ფიზიკური ობიექტივაციაა („Objektivation“) და მეტი არაფერი.

ამიტომაც, შოპენჰაუერის ონტოლოგიაში ადამიანის ეგზისტენცია უკვე ყოველგვარ აზრსა და მიზანს მოკლებულ არსებობად ფუძნდება და სუბიექტის წარმოდგენები (Vorstellungen), ანუ მისი ცნობიერებიდან მომდინარე შემცნებისეული აქტივობა უკვე ნებას, ნებელობას სრულად ექვემდებარება, რამდენადაც „ირკვევა რომ, ნება თავისთავად მეძლევა მე“ (ბუაჩიძე 2003: 276). შედეგად, ადამიანის არსებობა, ასე ვთქვათ, „ნებაზე მიშვებული“ ეგზისტენციაა – სვლა არსა-იდან არსაით, „სვლა არარაში“ (ნიცშე):

„ყოველი სხეული უნდა განხილულ იქნეს, როგორც ნების გამოვლინება. რამდენადაც ნება უპირველეს ყოვლისა ფუძნდება, როგორც სწრაფვა/მისწრაფება. ამიტომაც, ყოველი სამყაროსეული სხეულის საწყისისეული მდგომარეობა შეუძლებელია უმოძრაობა იყოს, იგი მოძრაობაა („Bewegung“), წინასწრაფებილი ლტოლვაა უსასრულო სივრცეში, მოსვენებისა და მიზნის გარეშე. მას ვერ უპირისპირდება ვერც კაუზალობისა და ვერც ინერტულობის კანონი“ (შოპენჰაუერი 1977: 199).

გალაპტოონის „ლურჯა ცხენების“ მთლიან ტექსტუალურ სივრცეში, ანუ ლექსის ონტოტქსტუალობაში სწორედ შოპენჰაუერის ტიპის ყოფიერების ატელეოლოგიური, აბსურდული, ყოველგვარ მიზანსა და საზრისს მოკლებული არსი და ადამიანური ეგზისტენციის ამაოებაა გაცხადებული. მეორე მხრივ, ლირიკულ ტექსტში მოცემული ონტოლოგიური სურათის მიხედვით, ყოველგვარ საზრისს მოკლებული ყოფიერება და ადამიანის არსებობა მხოლოდ სამყაროს ერთადერთ ირაციონალს – ნებას (Wille) – ეფუძნება, მისი გამოვლინებაა, რამდენადაც თავად ნებაა ყოფიერების აპრიორული პირველ-საწყისი. ამ ონტოლოგიური ირაციონალის – ნების, როგორც სამყაროს ერთადერთი საწყისის, მხატვრულ სიმბოლოდ კი ტექსტში ფუძნდება ლურჯა ცხენების სახისმეტყველება: ლურჯა ცხენების უსასრულო, დაუდგრომელი და ყოველგვარ

მიზანს მოკლებული სრბოლა („მოსვენებისა და მიზნის გარეშე“) სიმბოლურად განასახიერებს სამყაროში სწორედ ნების, და არა გონის, აბსოლუტურობას, განასახიერებს სიცოცხლისეული ენერგიის, სიცოცხლისეული ნებელობის სტიქიურ, დაუდგრომელ და საზრისს მოკლებულ ბუნებას, სამყაროსეული ნების ატელეოლოგიურ არსებობის, რის საფუძველზეც ყოფიერებაში ადამიანის ეგზისტენციას აპრიორულად ეპარგება ყოველგვარი მიზანი და საზრისის.

ამ იდეურ-ფილოსოფიური თვალსაზრისით მნიშვნელოვანია, რომ უკვე თავად ლირიკული ტექსტის სათაური – „ლურჯი ცხენები“, ერთი მხრივ, სწორედ ყოფიერების ნებით, და არა გონით დეტერმინებულობაზე მიანიშნებს და ამ ონტოლოგიური მოცემულობის კოდირებაა, ხოლო, მეორე მხრივ, ლექსის სათაური თავად მთლიანი ლირიკული ტექსტის ნებისეული დისკურსით დეტერმინებულობაზე მინიშნებაცაა – მთელს ლექსს ლაიტმოტივად გასდევს ლურჯა ცხენების ქროლვა („კით ცეცხლის ხეტიალი, როგორც ბედის ტრიალი, // ჩქარი გრვინგა-გრიალით ქრიან ლურჯა ცხენები“). ეს კი მთელი ტექსტისათვის დამახასიათებელი გამჭოლი ექსტატიურ-ხუგესტიური პოეტური მეტყველებითა გამოხატული.

გამომდინარე იქიდან, რომ ყოფიერება ყოველგვარ აზრს მოკლებულია, ამ ონტოლოგიურ ვითარებაში უკვე თავად ადამიანის ეგზისტენციაც კარგავს ყოველგვარ საზრისს, მისი არსებობა გადაიქცევა ინდივიდუალური ნებელობის გაუთავებელ, უმიზნო გამოვლინებად, რომლის ფინალიც მხოლოდ არარასეულ „არსებობაში“ გადასვლა, ანუ სრული გაქრობა და არყოფნა/არარადქცევა: სიკვდილის ტოპოსის და აპოკალიფსური ვიზიონების ინტენსივობით („შეშლილი სახეების ჩონჩხიანი ტყეებით“) ლირიკულ ტექსტში სწორედ ადამიანური ეგზისტენციის სრული არარაობა, ამოება და საბოლოო ფინალობაა მოცემული. იგი (ეგზისტენცია) მოიაზრება, როგორც აბსურდულობითა და საზრისმოკლებულობით გამოწვეული მუდმივი და უსასრულო ტანჯვა და სასოწარკვეთა, სადაც, უკვე შოპენპაუერისაგან განსხვავებით, ადამიანს არასოდეს უწერია ექსტატიური თვითხადრმავება და ნირვანა-სეული გარინდებისაგან მოგვრილი ნეტარება:

არ ჩანდა შენაპირი, ვერ ვნახე ვერაფერი,

ცივ და მიუსაფარი მდუმარების გარეშე.

მდუმარების გარეშე და სიცივის თარეშში,

სამუდამო მხარეში მხოლოდ სიმწუხარეა!  
ცეცხლი არ კრთის თვალებში, წევხარ ცივ სამარეში,  
წევხარ ცივ სამარეში და არც სულს უხარია.  
(ტაბიძე 2011: 78)<sup>3</sup>

გალაკტიონის „ლურჯა ცხენებისა“ და შოპენიაუერის ნების შეტაფიზიკის მსოფლმხედველობრივ-ფილოსოფიური ურთიერთმიმართების თვალსაზრისით ასევე მნიშვნელოვანია, რომ ორივე ავტორთან ადამიანის ეგზისტენციის, და ზოგადად, სიცოცხლის არსი გაიაზრება, როგორც აბსოლუტურ ნებაზე დაფუძნებული წარმოქმნისა და გაქრობის, დაბადებისა და კვდომის უსასრულო ციკლი, რაც აპრიორულად გულისხმობს იმას, რომ ამ ციკლში ჩართული ყოველი ცალკეული სუბიექტი მხოლოდ და მხოლოდ აბსოლუტური სამყაროს-ეული ნების ერთ-ერთი რიგითი და, ამავდროულად, სასრული გამოვლინებაა. შესაბამისად, სამყაროში ყოველი ცალკეული ადამიანის ეგზისტენციას მხოლოდ იმდენად აქვს ღირებულება, რამდენადაც იგი სამყაროსეული ნების ერთ-ერთი რიგითი და ღროებითი გამოვლინება და ობიექტივაციაა. შესაბამისად, ადამიანის არსებობა და მასთან ერთად მისივე სუბიექტურობა, მისი „მე“ საკუთარი არსებობისეული ციკლის ამოწურვის, ანუ მისი ინდივიდუალური ნებელობის ამოწურვის, დროსა და სივრცეში აბსოლუტური ნების ობიექტივაციის „მისის“ შესრულების შემდეგ საბოლოოდ ქრება და საბოლოო სასრულობაში/ფინალობაში გადადის:

„დაბადება და სიკვდილი ნების გამოვლინებებია („Erscheinungen“), ე.ი. სიცოცხლის გამოვლინებები. სიცოცხლი-სათვის, როგორც ზედროულისათვის, არსებითია გამოვლინება ყოველ ცალკეულ ინდივიდში, როგორც ღროში მოცემულ წამიერ ფორმაში, რომელიც წარმოიქმნება და ქრება. ნება სწორედ ასე უნდა გამოვლინდეს, რათა საკუთარი არსის ობიექტივირება შეძლოს. დაბადება და სიკვდილი სიცოცხლის გამოვლინებებია, ისინი ერთმანეთს აწონასწორებენ და ერთმანეთის წინაპირობად, ანუ მთლიანი სიცოცხლისეული გამოვლინების პოლუსებად ფუძნდებიან“ (შოპენიაუერი 1977: 348).

„ლურჯა ცხენებშიც“ ყოველი ცალკეული ადამიანის ეგზისტენცია გაიაზრება, როგორც წარმოქმნისა და გაქრობის, დაბადებისა და კვდომის უსასრულო ციკლში აპრიორულად ჩართული არსებობა („ზევით თუ სამარეში“), როდესაც ყო-

ველი ცალკეული სუბიექტი აბსოლუტური ნების ერთ-ერთ რიგით და სასრულ, „წამიერ“ („flüchtig“) ობიექტივაციად ვლინდება, ანუ ვლინდება, როგორც აპრიორული ფინალობისაკენ მსწრაფი არსება, „რომელიც წარმოიქმნება და ქრება“ („welche entstehen und vergehn“).

ამგვარად, ერთი მხრივ, ლირიკულ ტექსტში გაცხადებულია ადამიანის ეგზისტენციის წარმავალი არსი –

შეშლილი სახეების ჩონჩხიანი ტყეებით  
უსულდგმულო დღეები რბიან, მიიჩქარიან.

.....  
ეგვილნი არ არიან, არც შვება-სიზმარია!  
ეხლა კი სამარეა შენი განსასვენები!  
რომელი სცნობს შენს სახეს, ან ვინ იტყვის შენს  
სახელს?  
ვინ გაიგებს შენს ძახილს, ძახილს ვინ დაიჯერებს?  
(ტაბიდე 2011: 78)

მეორე მხრივ, ადამიანის წარმავალ ეგზისტენციას ლექსში უპირისპირდება ლურჯა ცხენების მარადიული ქროლვა:

მხოლოდ ნისლის თარეშში, სამუდამო მხარეში,  
ზევით თუ სამარეში, წყველით შენაჩვენები,  
როგორც ზღვის სეტიალი, როგორც ბედის ტრიალი,  
ჩქარი გრგინვა-გრიალით ქრიან ლურჯა ცხენები!  
(ტაბიდე 2011: 79)

ამგვარად, ლირიკულ ტექსტში, ერთი მხრივ, გადმოცემულია ყოველი ცალკეული სუბიექტის ეგზისტენციის არსი, რაც ვლინდება როგორც ყოველი ცალკეული სუბიექტის კვდომა-დაბადების მარადიულ ციკლში აპრიორული ჩართულობა და მისი საბოლოო გაქრობა („ვინ გაიგებს შენს ძახილს, ძახილს ვინ დაიჯერებს?“); ხოლო, მეორე მხრივ, ტექსტში გადმოცემულია თავად ყოფიერების არსი – ყოფიერება, როგორც ირაციონალური საწყისის – აბსოლუტური ნების, სამყაროსეული ნებელობის უსასრულო გამოვლინება, ობიექტივაცია („ჩქარი გრგინვა-გრიალით ქრიან ლურჯა ცხენები“).

ეს ცხადყოფს, რომ გალაკტიონის ლირიკული ტექსტი „ბედისწერით დადგენილი საზღვრების გარღვევისა“ და „ადამიანური შეზღუდულობის დაძლევის“ პათოსით კი არ არის

მოცული (კვესელავა 1977: 63-65), ლურჯა ცხენების სახისმეტყველება „სულის უკვდავებას, სულის მარადიულ ქროლას“ (კენჭოშვილი 1980: 45), გალაკტიონის „პოეზის უკვდავ ბუნებას“ (კანკავა 1964: 9), ან „ლიუციფერის ერთ-ერთ ასპექტს“ (კოსტავა 1990: 131) კი არ განასახიერებს, არამედ მასში ლურჯა ცხენების სიმბოლიკა ფუძნდება, როგორც სიკვდილის ტოპოსი, რომლის ფარგლებშიც სიმბოლურად განსახიერებულია სუბიექტის სრული გაქრობა და მისი ეგზისტენციის სასრულობა. ამაზე კი ლურჯა ცხენების იმთავითვე საიქოსეკენ სრბოლა მიანიშნებს – „ჩემი ლურჯა ცხენებით ჩემთან მოესვენებით, ყველანი აქ არიან“ (შდრ.: ერთი მხრივ, ცხენი, როგორც სიკვდილის სიმბოლო, ხოლო, მეორე მხრივ, ლურჯი ფერის სახისმეტყველება, სადაც ლურჯი ფერი სიკვდილის სიმბოლოცაა – მეცლერი... 2008: 47, 274). ამავდროულად ლურჯა ცხენები სიმბოლურად განასახიერებენ ყოფიერების ბრძან, სტიქიურ, დიონისურ, ირაციონალურ, ყოველგვარ მიზანსა და საზრისმოკლებულ პირველსაწყისს – აბსოლუტურ ნებას, რომელიც სამყაროში ვლინდება, როგორც დაბადებისა და კვდომის უსასრულო და საზრისს მოკლებული ციკლი, ვლინდება, როგორც უსასრულო თავისთავადი წარმოქმნა და გაქრობა.

## **II. „ლურჯა ცხენები“ და ნიცშეს (ანტი-)სწავლება მარადიული დაბრუნების შესახებ**

„ლურჯა ცხენების“ საზრისისეული დისკურსის შოპენპაუერის დისკურსთან თანხვედრის გარდა, მასში ასევე იკვეთება ნიცშეანურ დისკურსთან თანხვედრაც: კერძოდ, ლირიკული ტექსტი თანხვედება ნიცშეს (ანტი-)სწავლებას ერთი და იმავეს მარადიული დაბრუნების შესახებ და ღმერთის სიკვდილის პოსტულატს, რასაც გალაკტიონი საკუთარი ლირიკული ინტენციის – სიმბოლისტური სახისმეტყველებისა და სუგესტიური პოეტური მეტყველების – საფუძველზე და საშუალებით ესოებიურად კიდევ უფრო აღრმავებს და აუკიდურესებს.

ნიცშესთანაც, ისევე როგორც შოპენპაუერთან, ყოფიერება, და შესაბამისად, ადამიანის ეგზისტენცია ყოველგვარ მიზანსა და საზრისს მოკლებულ მოცემულობებად გაიაზრება, რამდენადაც ნიცშეც ყოფიერების საწყისად აცხადებს ძალაუფლების ნებაში გამოვლენილ სიცოცხლეს, როგორც

დიონისური არსის შემცველ ირაციონალურ ძალას, რომლის საფუძველზეც შემდგომ ემპირიულ დროსა და სივრცეში მოცემულია დაბადებისა და კვდომის მარადიული წრებრუნვა. ნიცშეს მიხედვით, სწორედ ამ განზომილებაში ვლინდება სიცოცხლე, როგორც ყოფიერების ერთადერთი და თავისთავად არსებული ირაციონალური პირველსაწყისი. შესაბამისად, ყოფიერების, როგორც არსებულის, არსებობის ფორმა დროსა და სივრცეში მოცემული კვდომისა და დაბადების მარადიულად განმეორებადი უსასრულო პროცესია. აქედან გამომდინარე, ყოფაში სუბიექტის ეგზისტენციაც სიცოცხლის საფუძველზე ემპირიულ დროსა და სივრცეში უსასრულოდ, მარადიულად მეორდება, როგორც დაბადებისა და კვდომის ერთი და ოგივე უსასარულო პროცესი:

„ყოველი მიდის, ყოველი ბრუნდება; მარად ბრუნავს ბორბალი ყოფისა. ყოველი კვდება, ყოველი კვლავ პყვავის, მარად რბის წელი ყოფისა. ყოველი წარხდების, ყოველი ახლად ეწყობა; მარად შენდება იგივე სახლი ყოფისა. ყოველი განიყრება. ყოველი ახლად შეიყრება; მარად ერთგულია თავისა წრე ყოფისა. [...] ყოველი საგანნი მარად უკუქცევიან და ჩვენც მათთან, და ჩვენ უკვე დაუსრულებლად აქ ვიყავით და ყოველი საგანი ჩვენთან. [...] წელი ესენი ერთმანეთის მსგავსნი არიან დიდით და მცირედითაც. ესე თვით ჩვენც, [...] ჩვენივე მსგავსნი ვართ დიდი და მცირედითაც“ (ნიცშე 1993: 166, 168; ნიცშე 2000: 272-273, 276).

გალაკტიონთანაც ლურჯა ცხენების უსასრულო სრბოლა უნდა გავიაზროთ, როგორც ადამიანის ეგზისტენციაში მოცემული დაბადებისა და კვდომის მარადიული ციკლის პოეტურ-სიმბოლური განსახიერება, რაც საბოლოო ჯამში ფუნდება, როგორც საზრისმოკლებული ეგზისტენცია, როგორც პაიდჟ-გერისეული გადაგდებულობა („Geworfenheit“).

ურადღება მივაქციოთ სემიოტიკურად ნიშანდობლივ შემდეგ ლექსიკურ ერთეულებსა და ფრაზებს, რომლებიც სწორედ ერთი და იმავეს მარადიული დაბრუნებითა და განმეორებით დეტერმინებულ ყოფიერებასა და ადამიანური ეგზისტენციის უსაზრისო და აბსურდულ არსზე მიანიშნებენ: „უსულდგმულო დღეები“, „რბიან“, „მიიჩქარიან“, „ჩნდება და ქვესკელდება“<sup>5</sup>. ხოლო ლურჯა ცხენების პოეტური სიმბოლო, როგორც უკვე აღვნიშნე, ლირიკულ ტექსტში განასახიერებს ყოფიერების უმთავრეს და ერთადერთ ირაციონალურ

და თავისი არსით დიონისურ პირველსაწყისს – აბსოლუტურ ნებას, აბსოლუტურ სიცოცხლეს, სიცოცხლისეულ ნებელობას, რომელიც ყოფასა და ყოველი ცალკეული სუბიექტის ეგზისტენციაში ვლინდება, როგორც მარადგანმეორებადი და ყოველგვარ მიზანსა და საზრისს მოკლებული კვდომისა და დაბადების ერთი და იგივე მარადიული წრებრუნვა – „ჩქარი გრძგინვა-გრიალი“.

ყოფიერების მარადგანმეორებადი ატელეოლოგიური არსიდან გამომდინარე, ნიცშემ ადამიანის არსებობა საბოლოო ჯამში განსაზღვრა, როგორც ყოველგვარ საზრისსა და მიზანს მოკლებული ემპირიული ყოფა (მიუხედავად იმისა, რომ ზეკაცის კონცეპტის დაფუძნებით შეეცადა ყოფიერებისათვის საზრისი მიენიჭებინა), რომლის ფარგლებშიც ადამიანი ჩართულია ყოფიერების მიერ შემოთავაზებულ მარად განმეორებად საზრისს მოკლებულ კვდომისა და დაბადების მარადიულ წრებრუნვაში:

„[...] ყოფა, ისეთი, როგორიც ის არის, საზრისსა და მიზანსაა მოკლებული, მაგრამ შეუქცევადია და განმეორებადი; ფინალობას მოკლებული, იგი არარაში ისწრაფვის („ins Nichts“): მარადიული კვლავდაბრუნება – ეს არის ნიპილიზმის უკიდურესი ფორმა: მარადიული არარა („უსაზრისობა“)“ (ნიცშე 1996: 194).

აქ ცხადად ჩანს, რომ ყოფიერების არსებობის ფორმა, რომლის არსებობაც სიცოცხლის, როგორც ყოფიერების ირაციონალური საწყისის, საფუძველზე ემპირიულ სინამდვილეში ერთი და იმავე საგანთა და მოვლენათა მარადიული განმეორებაა (დაბრუნებაა), იმთავითვე საზრისს მოკლებულია, რამდენადაც ყოფიერებაში არაფერს გააჩნია საბოლოო მიზანი. ყოფიერების არსებობის ფორმა მიზნის არქონაა – სიცოცხლე არის დაუდგრომელი უმიზნო და უსაზრისო წრებრუნვა არარაში („ins Nichts“) – „ადამიანი გამოკეტილია ქმნადობის მარად უსაზრისო გამოვლინებებში“ (ფიგალი 1999: 274). შესაბამისად, ნიცშესთანაც სუბიექტის ეგზისტენცია მოაზრებულია, როგორც არსაიდან „გამოგდებული“, არსაიდან „გამოტყორცილი“ არსებობა, როგორც გადაგდებულობა (ჰაიდეგერი).

აქდან გამომდინარე, ერთი და იმავეს მარადიული დაბრუნების იდეით ნიცშემ იმთავითვე გააუქმა მეტაფიზიკური ნუგეში („metaphysischer Trost“), ანუ ღმერთზე ორიენტირება

და ყოველგვარი თეოცენტრისტული დისკურსი. შესაბამისად, ნიცშემ გააუქმა ტრანსცენდენტურობა და ამით სუბიექტს „წართვა“ ტრანსცენდენტურობაში შემდგომი არაემპირიული ეგზისტენციის შესაძლებლობა და მისი ეგზისტენცია მხოლოდ არსებულით, ანუ ემპირიული სინამდვილით შემოსაზღვრა. აქ კი ცხადი ხდება, რომ ნიცშემ ერთი და იმავეს მარადიული დაბრუნების (**die ewige Wiederkunft/Wiederkehr des Gleichen**) საკუთარი იდეა სწორედ დმერთის სიკვდილის კონტაქტში განავითარა (ბუაჩიძე 2005: 533) და ამდენად, მარადიული დაბრუნების (ანტი-)სწავლება და ღმერთის სიკვდილის პოსტულატი ერთ დიალექტიკურ მთლიანობად დააფუძნა.

ღმერთის სიკვდილის პოსტულატი თავისთვავში უკვე შეიცავს ახლებურ ონტოლოგიურ ხედგას: პერძოდ, იგი იმპლიკიტურად გულისხმობს ყოფიერების „დავიწროებას“, ანუ, ყოფიერების მხოლოდ საგანთსამყაროდ, მოვლენათა სინამდვილედ გააზრებას, ვინაიდან იქ, სადაც უარყოფილია დვოის არსებობა და გაუქმებულია ღმერთის იდეა, შესაბამისად, უარიყოფა და უქმდება ყოველგვარი ტრანსცენდენტურობა და ადამიანის არსებობა მხოლოდ ემპირიული სინამდვილით შემოიფარგლება:

„გაფიცებთ მმებო, იყავით ერთგულნი მიწისა და არ უჯეროდეთ, რომელნი საიქიოთი გაიმედებენ! იგინი მომწამდელები არიან [...]. იგინი ცხოვრების მოძულები არიან, მომაკვდავნი და თვით მოწამლულნი, მოპეზრდა იგინი მიწას: დე წარსხდნენ“ (ნიცშე 1993: 16; ნიცშე 2000: 15).

ამგვარად, ნიცშეს ონტოლოგიური დაშვების თანახმად, ღმერთი/ტრანსცენდენტურობა ის ფიქციაა, რომელიც გაუქმდა და მასთან ერთად გაუქმდა მარადიული სასუფევლის იდეაც. შესაბამისად, რჩება ყოფიერების მხოლოდ იმანენტური მხარე, ყოფიერება მხოლოდ როგორც ემპირიული მოცემულობა, საგანთსამყარო (ნიცშესეული „მიწა“).

მართალია, ნიცშესგან განსხვავებით, გალაკტიონი „ლურჯა ცხენებში“ მაინც უშვებს ტრანსცენდენტურობის შესაძლებლობას („სამუდამო მხარე“), მაგრამ ამავდროულად ყოფიერებას მოიაზრებს, როგორც ერთმანეთისაგან მკვეთრად გამიჯნულ ემპირიულ და ტრანსცენდენტურ მოცემულობებს. გალაკტიონისეული ტრანსცენდენტურობა ყველაფრის მიღმა არსებული ეგზისტენციალია, რომლის წვდომა ადამიანისათვის იმთავითვე შეუძლებელია. აქედან გამომდინარე, გალაკ-

ტიონთანაც გაუქმებულია „მეტაფიზიკური ნუგეში“ („metaphysischer Trost“) (ნიცშე) და ადამიანის არსებობა ასევე გააზრებულია ყოველგვარ მიზანს მოკლებულ არსებობად, რომლის საბოლოო ხედრია შოპენჰაუერისეულ არარაში დანოქმა და სრული გაქრობა:

ყვავილი არ არიან, არც შეება-სიზმარია!  
ეხლა კი სამარეა შენი განსასვენები!

ერავინ განუგეშებს საოცრების უბეში,  
სძინავთ ბნელ ხეეულებში გამოუცნობ ქიმერებს!  
(ტაბიძე 2011: 79).<sup>6</sup>

ამგვარად, ლირიკულ ტექსტში იკვეთება ყოფიერების დუალისტური გაგება, რომლის მიხედვითაც ერთმანეთს უპირისპირება ორი ეგზისტენციალი: **a)** ერთი მხრივ, ყველასა და ყველაფრისაგან გამიჯნული, თავისთვის არსებული „ელვარე ნაპირით“ და „შუქთა კამარით“ მოცული უსიცოცხლო („ცივ და მიუსაფარი“) ტრანსცენდენტურობა (გალაპტიონის-ეული „სამუდამო მხარე“); **b)** მეორე მხრივ, ლურჯა ცხენების ქროლვა, როგორც სამყაროსეული ნების, სიცოცხლის, სიცოცხლისეული ნებელობის დროსა და სივრცეში უსასრულო, მარადიული, მარადგანმეორებადი გამოვლინება (ლირიკულ ტექსტში ყოფიერების ეს აპრიორული დუალისტური გაგება ხაზგასმულია მოდალური ზმინზედის – „მხოლოდ“ – ინტენსივობით, ე. ი. „მხოლოდ“ როგორც აუცილობლობა: შდრ. – „სამუდამო მხარეში მ ხ თ ლ თ დ სიმწუხარეა“, რასაც უპირისპირება „მ ხ თ ლ თ დ ... ჩქარი გრგვინგა-გრიალით ქრიან ლურჯა ცხენები“).

აქედან გამომდინარე, ყოფიერების სურათი, რასაც გალაპტიონი „ლურჯა ცხენებში“ გადმოსცემს, გამორიცხავს ყველგვარ ტელეოლოგიას, რამდენადაც ლირიკული ტექსტის ონტოტექსტუალურ სივრცეში ნათლად იკვეთება ადამიანის ეგზისტენციის სრული უპერსპექტივობა – იგი (ეგზისტენცია) საზრისსა და მიზანს მოკლებული მოცემულობაა, ვინაიდან ტრანსცენდენტურობა („სამუდამო მხარე“) უკვე ყველაფრისაგან გამიჯნული, თავისთავად და თავისთავში არსებული მონადური ყოფიერებაა, იგი საგანია თავისთავად, რომელიც სუბიექტისათვის საბოლოოდ და სამუდამოდ მიუწვდომელია. ეს კი იმთავითვე გამორიცხავს ადამიანის ეგზისტენციის ტელეოლოგიურობასა და ოქოცენტრისტულობას.<sup>7</sup>

## დასკვნა:

„ლურჯა ცხენების“ ონგოტექსტუალურ სივრცეში ინ-ტენციორებული დისოციაციური დისკურსები, ანუ ღმერთის სიკვდილით გამოწვეული მყარი ეგზისტენციალური საყრდენის დესტრუქცია და ეგზისტენციალური უპერსპექტივობა („წევხარ ცივ სამარეში და არც სულს უხარია“), ზოგადად თანხვდება შოპენაუერის ხების მეტაფიზიკისა და ნიცშეს ერთი და იმავეს მარადიული დაბრუნების (ანტი-)სწავლების დისოციაციურ დისკურსებს. თუმცა გალაკტიონი მისთვის დამახასიათებელი სუგესტიური პოეტური რიტორიკისა და სიმბოლისტური სახისმეტყველების საფუძველზე სუბიექტის პიროვნებისა და მოწერიგებული, ჰარმონიული სამყაროს რდვევასა და დაშლას (რაც ჯერ კიდევ შოპენაუერთან და ნიცშესთან იდებს სათავეს) ესთეტიკურად კიდევ უფრო აღრმავებს, განავრცობს, აუკიდურებს, ამდენად, აჟყავს ახალ მაღისოციორებელ ხარისხში, რის შედეგადაც ფილოსოფოსთაგან მომდინარე იდეური იმპულსები და ინსპირაციუბი ტრანსფორმირდება სრულიად ახალ საზრისისეულ და ესთეტიკურ ზეგანზომილებად. შედეგად „ლურჯა ცხენები“ უპვე გადადის თვითმყოფად ესთეტიკურ ეგზისტენციაში და ფუძნდება, როგორც აბსოლუტური პოეზიის ნიმუში.

სოლო ლირიკულ ტექსტში მოცემული ზემოთ აღნიშნული დისოციაციური დისკურსი განვითარებულია ლურჯა ცხენების სახისმეტყველებაში, რომელშიც ერთდროულად თაგს იყრის სამმაგი სემიოზისი, სადაც იკვეთება შემდეგი ონგოლოგიური და ეგზისტენციალური მახასიათებლები:

a) ერთი მხრივ, ლურჯა ცხენები განასახიერებენ სამყაროს/ყოფილების ირაციონალურ პირველსაწყისს – აბსოლუტურ ნებას/სიცოცხლეს და მის დროსა და სივრცეში უმიზნო, უსაზრისო და უსასრულო გამოვლინებას თავისთავადი და სტიქიური წარმოქმნისა და გაქრობის, დაბადებისა და კვდომის ფორმით;

b) მეორე მხრივ, ლურჯა ცხენები განასახიერებენ თავად ყოფილების არსობრიობას (**Wesenheit**), ანუ იმას, თუ როგორია არსებულის, როგორც არსებულის, არსებობის ფორმა. შესაბამისად, ლურჯა ცხენების სახისმეტყველებაში ასახულია ყოფილების მარადგანმეორებადი არსი, რაც ყოფაში და ყოველი ცალქეული ადამიანის ეგზისტენციაში ვლინდება, როგორც წარმოქმნისა და გაქრობის, დაბადებისა და კვდო-

მის უსასრულო, უსაზრისო და მარადიულად ერთი და იგივე ონტოლოგიური აქტი.

ც) და ბოლოს, ლურჯა ცხენების სახისმეტყველება ლი-რიკული ტექსტის ონტოტექსტუალობაში ფუძნდება, ერთი მხრივ, როგორც ყოფიერების/ყოფის უსაზრისობის სიმბოლო, მეორე მხრივ, როგორც სუბიექტის დისოცირებული და ყოველგვარ საზრისს მოკლებული ეგზისტენციისა და მისი საბოლოო აღსასრულის, მისი ეგზისტენციის აპრი-ორული სასრულობისა და სრული ეგზისტენციალური გა-ქრობის სიმბოლო. აქედან გამომდინარე, ლირიკულ ტექსტში სწორედ ლურჯა ცხენების სახისმეტყველება ფუძნდება უმთავრეს იდეურ და სტრუქტურულ საბაზისო ერთეულად (რაც უპერ ტექსტის სათაურშივა კოდირებული), რასაც შემდომ ემყარება ლირიკული ტექსტის დისოციაციური სე-მანტიკა, ტოპიკა, ვერსიფიკაცია და რიტორიკა.

### შენიშვნები:

1. ნიცშეს ფილოსოფიის გალაკტიონისეულ რეცეფციებზე დაწერ. იხ.: ვაკავთიაშვილი, „ზოგიერთი ნიცშანური იდეის გამოძიების შემოქმედებაში“ (ვაკთიაშვილი 2006: 190-244); წიგნში: მისივე, „გერმანული ლიტერატურულ-ესთუტიკური რეცეფციები გალაკტიონ ტაბიდის შემოქმედებაში“.

2. „ლურჯა ცხენები“ ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში განსაკუთრე-ბული კვლევის საბაზისა, რაც, საგრაუდოდ, თავად ტექსტის განსაკუთრებული და გამოკვლეული „მოდერნისტულობით“ აისხება, ეს კლინდება როგორც საზრისისეულ (იდეურ-ფილოსოფიური), ისე სტრუქტურულ-ფორმალურ დის-კურსთა დონებზე: **a)** ერთი მხრივ, „ლურჯა ცხენების“ ტექსტში განვითა-რებულია ტრადიციული ლირიკული გმირის გაუქმებისა და მისი „განპირო-ვნების“ ტენდენცია, რაც ლირიკული ტექსტის საზრისისეულ დისტურსში კლინდება, როგორც მოდერნიზმის ეპოქის ადამიანის აპრიორული ეგზი-სტერიციალური კრიზისის პეტოლიტურულება: „ლურჯა ცხე-ნების“ ლირიკული გმირი სამყაროში კვდარ ახდენს თვითიდებრიფიკაციას, იგი გაუცხოებულია მეტაფიზიკური პირებულ საწყისებისადმი, ლირიკულ „მე“-ში აპრიორულად მოცემულია ყოფიერების დასაპარმონულობის ტრაგიკული განცვა; **b)** მეორე მხრივ, გალაკტიონის ლირიკული ტექსტში აპრიორულია აბსლუტური პოეზიისადმი ტენდენციება (რაც, ზოგადად მოდერნისტული ლი-რიკის, ამ შემთხვევაში, სიმბოლისტური ლირიკის უმთავრეს პოეტოლოგიური მახასიათებელია), რაც კლინდება აბსლუტური მუსიკალურობისადმი სწრაფვასა და პოეტური მეტყველების მიზანმიმართულ სუგესტიურობაში, რა დროსაც მაქსიმალურად ხორციელდება ტრადიციული ლირიკისათვის დამხსასიათებელი სტეკის (ასევე ფრაზის, სინტაგმატური ბმულობის) ში-გნით მოცემული ნიშნისა და აღსანიშნის მთლიანობის, ხოლო პოეტური სიმბოლოს შიგნით მოცემული ხატისა და იდეის მთლიანობის რდვევა და „განეიტრალება“.

„ლურჯა ცხენების“ საგანაგებო სტატიებს უდღვნიან რ. სირაძე (სირაძე 2008: 215-229), რ. ხალვაში (ხალვაში 2010: 129-134) და ბ. წიფურია (წიფურია 2009: www...): რ. სირაძე და რ. ხალვაში თავიათ სტატიებში „ლურჯა ცხე-ნების“ ინტერტექსტუალურ მიმართებებს ავლენენ და განიხილავენ, ხოლო

ბ. წიფურია გვთავაზობს, ერთი მხრივ, სიმბოლიზმის ძირითადი მსოფლმხედველობის და პირისტიკისა, და მეორე მხრივ, ზოგადად ქრისტიანული მსოფლმხედველობის კრიტიკებთა ჭრილში ლირიკული ტექსტის საზრისის ჰერმენევტიკულ ინტერპრეტაციას (აქვე „უნდა შევნიშნო, რომ „ლურჯა ცხენების“ წიფურიას უელი ინტერპრეტაცია არადიგმატული მაგალითია დაირიკული ტექსტის შინაგანი დოგონის, ანუ ტექსტის სიღრმისეული დაფარული საზრისის განმარტებისა და წვდომის თვალსაზრისით). გალაკტიონის სხვა ლირიკული ტექსტებისა, და ზოგადად, გალაკტიონის შემთხვევების კონტექსტში „ლურჯა ცხენების“ ფილოსოფიური, პოეტოლოგიური, კომპარატივისტული, ინტერპეტიტულური თუ ვერსიფიკაციული პერსპექტივებიდან განიხილავთ გ. ქანკავა (ქანკავა 1964: 7-11), მ. კევსელავა (კევსელავა 1977: 61-64), რ. ბურჭულაძე (ბურჭულაძე 1980: 169-178), მ. კოსტავა (კოსტავა 1990: 129-135), ა. ხიმიშვილი (ხიმიშვილი 1999: 92, 131, 158), ს. ბარამიძე (ბარამიძე 2003: 150-155), ხ. შათორიშვილი (შათორიშვილი 2004: 97-99).

3. შედ.: „ლურჯა ცხენების“ გადმოცემული ხედვა კოფიურებისა, ადამიანის არსებობის „მესაფლავის“ ფილოსოფიაზე იგბერული. ხედვა სამარჯვი ჩადგეული საკუთარი „მე“-სი, ჩემი უმორქაობისა ლურჯა ცხენების ჩემიან დამოუკიდებლი მორქაობის ფონზე იმით არის განაირობებული, რომ მე სიკვდლით, არარას წინაშე კვდგავთ, მარტოდმარტო და დაუცველი. ასეთი ხედვა სამყაროს, ანუ ყოფილებისა, მხოლოდ იმ ცნობიერების წინაშე გადაიშლება, რომელმაც იცის, რომ სიკვდილი გარდავადას, ფიზიკურადაც, და სულიერადაც. ეს „ცოდნა“ ერთ კიდევ მაშინ შეიძინა, როდესაც „მესაფლავები“ დაწერა. „მესაფლავები“ მოამზადა „ლურჯა ცხენები“. „ლურჯა ცხენების“ დაირიკული გმირი „მესაფლავის“ მიერ გათხრილ საფლავში წევა“ (ბარამიძე 2003: 153).

4. ხედ.: „ლურჯა ცხენები“ მაინცადამანც პლატონის „ფელონის“ პოეტურ ვარიაციად გამოიხადება და მტკიცება, თოქტენდა გალაკტიონის ამ სიმბოლისტურ ლირიკულ ტექსტში ასახულია „მოული ბერძნული ფილოსოფია სულის შესახებ უაღრესი კომაქტურობით“ (ბურჭულაძე 1980: 178), რაც საბოლოო ჯამში თოქტისდა ქმნის კოდეც და ტექსტის გენიალობას (ბურჭულაძე 1980: იქვე), სრულ ინტერპრეტაციულ ხონისენსად მიმანია, რასაც სერიოზულ ლიტცოდნებით კვლევასთან არაფერი აქვს საერთო, ვინაიდან მსგავსი ტიას „კომარარატივისტური ინტერპრეტაციაში“ გალაკტიონის ლირიკული ტექსტის არც მოღერინისტული აოეტოლოგია და მისი დაფუძნების მსოფლმხედველობრივი მოტივაციაა გათვალისწინებული, არც სიმბოლიზმის მსოფლმხედველობრივი თავისებურებანი, და ბოლოს, არც თავად მოღერნისტული კორქის ზოგადი მსოფლმხედველობრივი კონტექსტში. აღსანიშვავია, რომ მსგავსი „კომპარატივისტურობა“ და მეთოდოლოგიური გაუმართავობა რ. ბურჭულაძის ხარომის („ხიმიშვილ ინტერპრალები“) ძირითადი მასახაოთებელია.

5. აქვთან გამომდინარე მიმანია, რომ გალაკტიონის დირიქაში ნიცვებს (ანტი-)სწავლების დასკურსთან თანხევდრა მოცემულია არა დაქსში „მას გახელილი დარჩა თვალები“, როგორც ამას მოუთოთებს ვ. კავთა შეიღიო (დავთა შეიღიო 2006: 240, 241), არამედ სწორებ და უაირველესად „ლურჯა ცხენების“ რაც შექება ნიც შესეველი მარადიკული დაბრუნების (ანტი-)სწავლების გამოხაილს ლექსში „მას გახელილი დარჩა თვალები“, აქ ვერ გავიზიარებ ვ. კავთა შეიღილებულ მოსაზრებას, რამდენადაც ამ სწავლების გამოხაილი აღნიშნული დირიკული ტექსტის არც შენაარსობრივ, არც ალექსიურ, არც ინტერპეტისტუალურ და არ ლექსისურ დონქე არ ვლითდება. თუმცა, ვიზიარებ ავტორის მოსაზრებას იმ ნაწილში, როდესაც იგი ხასს უსვამს გალაკტიონის დაირიკულ ტექსტში „მას გახელილი დარჩა თვალები“ ინტერპრეტებულ ნიცშესეველ დამერთის სიკვდილის პოსტულატს (კავთა შეიღიო 2006: 232), არც, ზოგადად, მოელი მოდერნისტული მწერლობის ერთ-ერთ

უმთავრესი ტოპოსია.

6. აქედან გამომდინარე, მოუღებელი და კონცეპტუალურად არამართებულია ს. ბარამიძის ინტერეტუალური, თითქოს „ლურჯა ცხენებში“ ამავდროულად ინტენციონული „ნახტომის“ („Sprung“) შესაძლებლობაც (ავტორს აქ მხედვების სისტემის უფლის აქტს დაირიკული ტექსტის შემდგარი ტაქტი – „მხოლოდ შექმთა გამარა ვერაფერდა დაფარა“) (ბარამიძე 2003: 153-155): „მაშასადამე, სრული საფუძვლი გავაქს ყოფიქროთ, რომ შექმთა კამარა, რომელზედაც საუბრობს გალაქტიონი, ის სინათლეა, ის შექმთა კამარა, რომელსაც აღწერებ ვე ზოსტენციალისტები ჯერ კიდევ კირკვოს დროიდან მოყოლებული ეს არის უცნაური გამობრწყინება ყოფიერებისა, ეს არის „ნახტომი“, რომელიც ადამიანის მოუღლონელ გამოსაჯალს უქმნის“ (ბარამიძე 2003: 155). მიმხნია, რომ „მოუღლონელი გამოსაჯლის“ შესაძლებლობა „ლურჯა ცხენების“ ტექსტის არცერთ დონეზე არ ვლინდება, ტექსტის სრულიად დეტერმინებულია დისოციაციური დისკურსებით, რაც, როგორც ზემოთ უკვე შევნიშნუ, უკვე ტექსტის სათაურშივე კოდირებული და მარკირებული ლურჯი ვერსა და ცხენთა სახისმეტყველებით, სადაც ლურჯას/სილურჯის ფერთამეტყველება და ცხენთა სიმბოლიკა სიკვდილის ტოპოსს სიგანდილის ტოპოსს რითაც (სიკვდილის ტოპოსით) შემდგომ მოელი ლირიკული ტექსტის დეტერმინებული: შედრ. – „საზმრავი ჩამოსახური არ მი ლურჯა ცხენისთვის ჩემთან მოევევნით!“ ხოლო შექმთა კამარით მოცული სამუდამო მხარე ყველაფრისაგან გამიჯნული, თავისთვის ჩაგერილი მონადური მოცემულობა, სადაც იმთავითვე გამორიცხულია ყოველგარი ვე ზოსტენციალური სხნა, რამდენადაც სამუხამო მხარე ეს არის არიორული არარასტული განზომილება, სადაც გაუქმებულია სულის უკვდაყების, მარადიული სიცოცხლისა და ცათა სახუფველის შესაძლებლობა: შედრ. – „არ ჩანდა შენაპირო, ვერ ვნახე ვერაფერი. // ცივ და მიასაფრთხო მდუმარების გარეშე. // მდუმარების გარეშე და სიციფის თარეში, // სამუდამო მხარეში მხოლოდ სიმუშარეა!“

7. საქუარი ლირიკული ტექსტის საზრისხეული დისკურსის ინტერპრეტაციას გალაკტიონი გადმოსცემს 1947 წლით დათარიღებულ ჩანაწერში, სადაც ხასს უსვამს „ლურჯა ცხენების“ ტექსტში დისოციაციური დისკურსის დომინირებასა და მის ორგალობას: „1. ლურჯა ცხენები ნოგატორული ლუქსია. 2. მას საფუძვლად უდევს რეალური საუგებელი. 3. შენარისი მისი რეალისტურია. 4. ფრთხო უძლებელი სამკინეოდ უძლებელი მანაბადა არ არსებულია. 5. იგი დაწერილია სამკინეოთ იუგა ხე შეცნიურებაში მძგრაცე დადგორილ დებულებაზე, რომ დაგამიწის გარეშე არსებობს მარადისი, გასხვებული მხარე, სადაც არა სიცოცხლე. 6. ნისლის ნაქრი – განათებული ჩამაჯლი მზით და ნაძირი იმ სამუდამო მხარისა სიტყვა – კლეიორბა – აქ მოცემულია პიკრბოლურად. 7. არ ხსანდა შენაპირო – საუბარია რელიგიაზე რომელიც ადამიანებს აპარებს, რომ სიკვდილის, ამ შემთხვევაში ვარდაცვალების შემდევ, არსებობს კოდევ სხვა ცხოვრება – ფ. ი. ხაშთოხე. 9. ცივ ძრუმარება სამუშაო მხარისა. მოუხავორ ძრუმარება, ფ. ი. ახსნილი, განხმარებელებული ძრუმარება, წინააღმდეგ აუხსნელი, განუმარებელებული, ნათელი ძრუმარებისა. (ხევდილი და არა სიცოცხლე). 11. მდუმარება და სიციფე – გაუხნა და არა ხიცოცხლე. 12. ნიმუშარე – ხახარადისო მხარისა. 13. უცველობა – ცეცხლი – ხახა ხიცოცხლისა, ცეცხლის ერთობა თვალებში – უხაცოცხლო თვალები“ (ტანიძე 2004: 17-18).

### დამოწმებანი:

ბარამიძე 2003: ბარამიძე ს. ყოფიერება და დრო გალაკტიონის პოეზიაში. // გალაკტიონითოლოგია. II. თბ.: „ლიტერატურის ინტერპრეტის გამოცემა, 2003.

- ბუაჩიძე 2003:** ბუაჩიძე თ. ფილოსოფიური ნარკვევები. ტ. I. თბ.: თსუ გამომცემლობა, 2003.
- ბუაჩიძე 2005:** ბუაჩიძე თ. ფილოსოფიური ნარკვევები. ტ. 2. თბ.: თსუ გამომცემლობა, 2005.
- ბურჭულაძე 1980:** ბურჭულაძე რ. მხოლოდ ინტეგრალები. თბ.: „მერანი“, 1980.
- გინდელანდი 1980:** Windelband W. Lehrbuch der Geschichte der Philosophie, hrsg. von H. Heimsoeth, 17. Aufl., J.C.B. Mohr, Tübingen: 1980.
- ზაფრანსი 2002:** Safranski R. Schopenhauer und die wilden Jahre der Philosophie, 2. Aufl., Fischer Taschenbuch, Frankfurt/M.: 2002.
- კავთაშვილი 2006:** კავთაშვილი ვ. გერმანული ლიტერატურულ-ესოფერი ტერმინი რეცეზციები გალაპტიონ ტაბიძის შემოქმედებაში. თბ.: „უნივერსალი“, 2006.
- კანგავა 1964:** კანგავა გ. ლიტერატურული ეტიუდები. თბ.: „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1964.
- კენტოშვილი 1980:** კენტოშვილი ი. გალაპტიონ ტაბიძის პოეტიკა. თბ.: „მეცნიერება“, 1980.
- კენტოშვილი 1999:** კენტოშვილი ი. გალაპტიონ ტაბიძის სამყაროში. თბ.: 1999.
- კვესელავა 1977:** კვესელავა მ. პოეტური ინტეგრალები. თბ.: „საბჭოთა საქართველო“, 1977.
- კოსტავა 1990:** კოსტავა მ. გალაპტიონი. მნათობი, № 6, 1990.
- მეცლერი... 2003:** Metzler. Philosophen Lexikon, hrsg. von B. Lutz, 3. Aufl., Metzler Verlag, Stuttgart 2003.
- მეცლერი... 2008:** Metzler. Lexikon literarischer Symbole. hrsg. von G. Butzer, Metzler Verlag, Stuttgart: 2008.
- ნიცშე 1993:** ნიცშე ფ. ეკი იტერაცია ზარატუსტრა. გერმანულიდან თარგმნა ერ. ტატიოშვილმა, თ. ბუაჩიძის რედაქციით. თბ.: 1993.
- ნიცშე 1996:** Nietzsche Fr. Die nachgelassenen Fragmente (eine Auswahl), hrsg. von G. Wohlfart, Reclam, Stuttgart: 1996.
- ნიცშე 2000:** Nietzsche Fr. Also sprach Zarathustra; in: Sämtliche Werke. Kritische Studienausgabe in 15 Bänden (KSA), hrsg. von G. Colli und M. Montinari, 7. Aufl., Deutscher Taschenbuch Verlag / de Gruyter, München: 2000. Bd. IV.
- სირაძე 2008:** სირაძე რ. გალაპტიონის „ლურჯა ცხენები“ და ვ. კანდინსკის „ლურჯი მხედარი“ (ინტერტექსუალური წაკოსხვისაოვნის). // გალაპტიონოლოგია. IV. თბ.: ლიტერატურის ინსტიტუტის გამოცემა, 2008.
- ტაბიძე 2004:** ტაბიძე გ. ფრაგმენტები. // გალაპტიონოლოგია, III. თბ.: ლიტერატურის ინსტიტუტის გამოცემა, 2004.
- ტაბიძე 2011:** ტაბიძე გ. რჩეული. // „ქართული მწერლობა“. ტ. 36. თბ.: „ნაკადები“, 2011.
- ფიგალი 1999:** Figal G. Nietzsche. Eine philosophische Einführung, Reclam, Stuttgart: 1999.
- შათირიშვილი 2004:** შათირიშვილი ზ. გალაპტიონის პოეტიკა და რიტოკის. თბ.: „ლოგოს პრესი“, 2004.
- შოპენბაუერი 1977:** Schopenhauer A. Die Welt als Wille und Vorstellung; in: Werke in zehn Bänden. Züricher Ausgabe, Zürich: 1977. Band I.
- ჭიფურია 2009 www...:** ჭიფურია ბ. „ლურჯა ცხენების“ გააზრებისათვის; მის: <http://www.burusi.worldpress.com/literature/galaktion-tabidze/2009/06/06/>.
- ხალვაშვილი 2010:** ხალვაშვილი რ. „ლურჯა ცხენების“ ინტერტექსტი. // სემიოტიკა, № 7, 2010.
- ხინთიბიძე 1992:** ხინთიბიძე ა. გალაპტიონი თუ ცისფერყანწელები. თბ.: თსუ გამომცემლობა, 1992.

## ნინო დარბაისელი

### **Qui pro quo**

2004 წელს გამოვიდა ზაზა შათირიშვილის მონოგრაფია „გალაპტიონის პოეტიკა და რიტორიკა“. ამ დაახლოებით ორასგვერდიანი გამოცემის გარეკანის ბოლო გვერდზე გვითხულობთ:

„ზაზა შათირიშვილის წიგნი, გამორჩეული – კონცეპტუალური სიახლით, დახუნძლეული – მოულოდნელი (ანდა მოსალოდნელი) მიზნებით, შთამბეჭდავი – კონტექსტური ოვალსაწიერით, ზუსტი – მეთოდოლოგიური გააზრებით, სანდო – დასკვნებითა და განზოგადებებით, ასახავს არა მარტო თანამედროვე ლიტერატურულ კვლევათა გაფართოებულ ჟესაძლებლობებს, არამედ წარმოადგენს ტექსტების ანალიზის ნიმუშს, ჟესრულებულს აზრობრივი დამუხსტულობითა და სრულყოფილი ფორმით, და ეს წიგნი – არა ოდენ თანადროულ მკვლევართათვის, და არა ოდენ გალაპტიონ ტაბიდის პოეზიის შემსწავლელთათვის – კიდევ დიდხანს გამოდგება ნიმუშად“ (მერაბ ლადანიძე).

როცა წიგნს ამგვარი ზეაღმტაცი წარდგინება ახლავს, მიმნდობი მკითხველი კი, მოწადინების მიუხედავად, ბევრს ვერაფერს გაუგებს, კითხვას მიაღოვებს, ვერგაგებას თავს დააბრალებს და კიდევ უფრო ირწმუნებს ცნობადი რეკომენდატორის ქქადიდებას.

მაინც რას წარმოადგენს ეს წიგნი? გადათვალიერებით გამოწვეული პირველი შთამბეჭდილება ასეთია: მონოგრაფიას, გარდა შენიშვნებისა და ბიბლიოგრაფიისა, ერთვის საკუთარ სახელთა, გალაპტიონის პოეზიის რჩეული ინვარიანტული ხატებისა და მოტივების, აგრეთვე – ცნებათა საძიებლები. ეს ყოველივე, როგორც მოგვიანებით, წიგნის კითხვისას გამოჩნდება, ნაკლულოვანი კი არის, მაგრამ დასაწყისისთვის ნაშრომს მაინც სოლიდურ იქრს ანიჭებს. წინათქმაც, ერთი შეხედვით, შთამბეჭდავია: რა და რა მეთოდი და მიდგომა არ

არის მასში მოხსენიებული! ახლა ავტორებს არ იკითხავთ?! მაგრამ პირველი ეჭვიც სწორედ აქედან იძაღება: როცა ერთ მცირე მონოგრაფიაში წამოჭრილია ამდენი სხვადასხვა დონისა და სპეციფიკის საკითხი, მოხმობილია ამდენი განსხვავებული მეთოდი, ხომ არ არის ეს ნიშანი იმისა, რომ მკვლევარმა ან პრობლემა/პრობლემები ვერ დააყენა მართებულად, ან მეთოდი ვერ მიუსადაგა – ერთი სიტყვით, ვერ შეძლო, სწორად განეხაზღვრა კვლევის სტრატეგია....

ამ ეჭვს საფუძვლიანად აძლიერებს წინათქმაშივე დაფიქსირებული ფაქტი:

„რიფატერის თანახმად, ჰიპოგრამა შემდეგნაირად განიმარტება:“ – წერს ზ. შათირიშვილი და ამ სიტყვებს მოსდევს მოზრდილი ინგლისურენოვანი ტექსტი – ყოველგვარი თარგმანის ან ახსნის გარეშე (შათირიშვილი 2004: 14). მკვლევარი ციტირებულ ტექსტში ერთგან ქართულად ერთვება, მხოლოდ იმის სათქმელად, რომ „ცურსივი ავტორისაა – ზ.შ.“, თითქოს ამ ნიუანსის გარდა, სხვა ყველაფერი უკვე ცხადი შეიქნა. ქართველი მკითხველი, რომელსაც სულაც არ მოეთხოვება ინგლისური ენის იმ დონეზე ცოდნა, რომ უთარგმნელად გაიგოს, რისი თარგმნაც თავად წიგნის ავტორს გასჭირვებით, ალბათ, წიგნის ბოლოში დართულ შენიშვნებს მიაშურებს, იმედით, იქნებ ტექნიკური ხარვეზი გაიპარა – ციტატას განმმარტავი შენიშვნის ნომერი არ ეთითებათ. იქ კი – არაფერია!

სამაგიუროდ, შენიშვნებში იგივე ქართველი მკითხველი ასეთ რამეს წააწყდება: „*mise en abyme* ესაა“ – და აქაც კვლავ „განმმარტავი“ მოზრდილი ინგლისურენოვანი ტექსტი, ციტირებული პრინსიპი „ნარატოლოგიის ლექსიკონიდან“ (შათირიშვილი 2004: 189), თუმცა ეს შემთხვევა მაინც განსხვავებულია. თუ მკითხველი გამოკვლევაში ამ შენიშვნის შესაბამის ტექსტს მოიძიებს, თავში „რუსთაველის რეცეზცია ქართულ კულტურაში“ ასეთ რამეს წაიკითხავს: „პოემა მშვიდობის წიგნი მოგვითხოობს „მშვიდობის წიგნის“ დაკარგვისა და დაბრუნების შესახებ: *mise en abyme*-ს<sup>35</sup> მეშვეობით აქ ზღვრული სახითაა გამოხატული მეტანარატიულობა და მეტატექსტუალობა“ (შათირიშვილი 2004: 160).

წაიკითხავს და დარწმუნდება, რომ ამჯერად ეს ყოველივე სხვა არაფერია, თუ არა ავტორის მიერ მოხმობილი „რიგორიკული“ ხრიკი – ტექსტის სამშვენისად უადგილოდ გამოყებული უცნობი *mise en abyme*-ს კიდევ უფრო უცნობით

„ახსნა“.

მაინც რას ნიშნავს ამგვარი ბურუსით შემოსილი ტერმინი – mise en abyme?

ფრანგული წარმოშობის ეს ცნება, რომელიც სათავეებით ჰქონდება უკავშირდება და ძირითადი გაგებით გერბში ჩახატულ პატარა გერბს აღნიშნავდა, სხვა არაფერია, თუ არა ხელოვნების სხვადასხვა დარგში გავრცელებული ხერხი – ე.წ. „მატროშკას პრინციპი“: ამბავი – ამბავში, სიზმარი – სიზმარში, ფილმი – ფილმში და ა.შ. ამ ხერხს უძველესი დროიდან იცნობს მსოფლიო და ჩვენი მშობლური ლიტერატურაც, – მაგალითად, სულხან–საბას „წიგნი სიბრძნე სიცრუისა“, – მაგრამ საკუთრივ გალაკტიონის „მშვიდობის წიგნი“ მის ნიმუშად ვერაფრით გამოდგება. ამ პოემის „ვეფხისტყაოსანთან“ ავტორი ლიად ინტერტექსტუალურია, თავად კონცეპტი – „მშვიდობის წიგნი“ კი „ვეფხისტყაოსნისგან“ დაშორებული, უცხოური ლიტერატურულ-კულტურული სივრციდან მომდინარეობს. ეს გარემოება ნაწარმოებს, რომლის გმირთა მეტყველება, ლექსიკა და ფრაზეოლოგია პოეტის მშობლიური – იმერული დიალექტით არის შეფერილი, არა მხოლოდ ნაციონალურ, არამედ გაცილებით ფართო – გლობალურ ინტერტექსტუალურ კავშირებში რთავს.

წვალობს ჩვენი წარმოსახული გულმოდგინე მკითხველი, ვიდრე წიგნს საფუძვლიანად ჩაუჯდებოდეს, ამასობაში კი, თურმე, ჩვენს სამეცნიერო საზოგადოებაში – მეტადრე, აკადემიურ წრეებში რა ხდება:

„დროთა განმავლობაში ზაზა შათირიშვილის წიგნის – „გალაკტიონის პოეტიკა და რიტორიკის“ – მნიშვნელობა, ალბათ, ემოციური დამოკიდებულებიდან უფრო მეტად რაციონალურში გადაიზარდა, – ანუ იმ საკითხების გააზრებასა და შეფასებაში, რაც ამ ნაშრომშია განხილული. და ეს იმის გათვალისწინებით, თუ გავიხსენებთ, რომ წიგნის გამოქვეყნებამდე, პერიოდულ გამოცემებში სტატიების სახით დაბეჭდილი ნაშრომის ფრაგმენტები აკადემიურ წრეებში ერთგვარ გაოგნებას თუ დაბნეულობას იწვევდა. შესაძლოა, წლების წინ იმავე აკადემიური წრეებისთვის უწვეულო იყო თანამედროვე ლიტერატურისმცოდნებითი ლექსიკით თავისუფალი ოპერირება, ან იქნებ უცნაური ეჩვენებოდათ გლობალური პერსპექტივიდან დანახული საკითხები და მათი მასშტაბური ანალიზი. ამ თვალსაზრისით, იქნებ ზაზა შათირიშვილის „გალაკტიონის პოეტიკა და რიტორიკა“ ამ-

ბოხად თუ არა, ერთგვარ რევოლუციად მაინც მივიჩნიოთ ქართულ ლიტერატურისმცოდნებაში“ (ლომიძე 2009: 356).

იმ დროს, როცა ამ წიგნის ფრაგმენტები აკადემიურ წრეებში, თურმე, ჯერ კიდევ „ერთგვარ გაოგნებას თუ დაბნეულობას იწვევდა“, ლიტერატურული კონკურსის – „საბას“ ჟიური სულაც არ დაიბნა: ელვის უსწრაფესად აუდო ალდო, – კიდევ წაიკითხა, კიდეც გაიგო! – და „წლის საუკეთესო კრიტიკული ნაშრომის“ პრემიაც მიანიჭა.

ვნახოთ, რა ნაყოფი მოაქვს ამ „ერთგვარ რევოლუციას“ კონკრეტულად გალაკტიონოლოგიისათვის – ქართული ლიტერატურათმცოდნებითი მეცნიერების დარგისთვის, რომლის ფუნდამენტურ პრობლემათა შესწავლა თანამედროვე დასავლური ლიტერატურულ-თეორიული აზროვნების მონაცოგართა გათვალისწინებით, მართლაც, საჭიროა.

\* \* \*

საკვლევი საკითხების შესახებ არსებულ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურას ზ. შათიროშვილი რომ არ იცნობს ან არ სცნობს, ამის დანახვა თანდართული ბიბლიოგრაფიისა და პირთა საძიებლის გადათვალიერებითაც ადვილია. თავისთავად, ამაში კარგი რა შეიძლება იყოს, მაგრამ ფაქტი, რომელსაც ახლა წარმოგიდენთ, მინდა, სწორედ ამ მიზეზით აგხსნა და პლაგიატად არ მოვისხნიო.

წიგნში ავტორს პრობლემები – „გალაკტიონი და ბრიუსოვი“ და „გალაკტიონი და ბლოკი“ ცალკე ქვეთავებად გამოუყვაბ და შესაბამისადაც დაუსათავრებია. ამ მიმართულებებით საკვლევი გალაკტიონოლოგიაში მცირე როდია, მაგრამ აქ 10-დან მთელი 7(!) გვერდი ქართული და რუსული პოეტური ტექსტების სრულ ციტირებას ეთმობა!

რამდენად მნიშვნელოვანი, ახალი და, ამავე დროს, მკითხველისათვის გამაოგნებელი უნდა იყოს აღმოჩენა, რომ მკვლევარმა ლამის მთელი სათქმელი მხოლოდ ოვალსაჩინოდ წარმოდგენილ ფაქტს მიანდოს, თავად კი „პირველადმომჩნის“ ღირსებით ესდა აუწყოს მკითხველს:

„დავიწყებთ ერთი კურიოზული ფაქტით: გალაკტიონის თორმეტომეულის მე-7 ტომში „დაუმთავრებელი ლექსების“ რეპრიკით (ტაბიდე გ. 1966-75, ტ.7, 151-152) დაბეჭდილია შემდეგი ტექსტი (ამას მოსდევს ერთგვერდიანი ქართული ტექსტი – ნ.დ.). ეს ტექსტი სხვა არაფერია, თუ არა ალექსანდრ

ბლოკის ქრესტომათიული ლექსის *Пушкинскому дому*—ს დაუმუშავებელი თარგმანი. თვალსაჩინოებისთვის მოგვავს ბლოკის შედევრის სრული ტექსტი“ (შათირიშვილი 2004: 132). ამას მოსდევს ერთ-გვერდიანი სრული რესული ტექსტი.

სინამდვილეში, ზ. შათირიშვილის წიგნის გამოცემამდე ზუსტად ოცდაათი წლით ადრე, პოეტის თხზულებათა თორმეტომეულის მეშვიდე ტომის ლამის გამოცემისთანავე ეს ფაქტი ირაკლი კენჭოშვილმა უკვე აღმოჩინა და მალევე გამოცემულ საკუთარ გალაკტიონოგიურ წიგნშიც შეიტანა: „1934 წელს მას უთარგმნია ბლოკის ლექსი „პუშკინის სახლს“ (1921). გ. ტაბიძის თხზულებათა თორმეტომეულის მეშვიდე ტომში (1972, გვ. 15) ეს ლექსი შეცდომით არის წარმოდგენილი პოეტის ორიგინალურ, „დაუმოთავრებელ“ ლექსთა შორის. გალაკტიონისეული თარგმანი საკმაოდ ახლოს არის დედანთან. სანიმუშოდ მოგვაქვს დედნისა და თარგმანის პირველი და ბოლო სტროფები“ (კენჭოშვილი 1974: 49).

ახლა ზ. შათირიშვილის მეორე „აღმოჩნაც“ ვნახოთ — მის წიგნში იმგვარადვე რეპრეზენტირებული, როგორც უკვე განხილული შემთხვევა:

„ამავე კრებულშია მოთავსებული ლექსი ვილანები, რომელიც როგორც თემატურ-მოტივურად, ისე სათაურითა და სტროფიკით აჟარა ინტერტექსტულურ კავშირშია ბრიუსოვის ამავე სახელწოდების ლექსთან“ (შათირიშვილი 2004: 139).

აქ მართლაც არის ერთი დიდი სიახლე!

გასულ საუკუნეში ჩვენში ტერმინები ინტერტექსტი და ინტერტექსტულური, გასაგები მიზეზების გამო, შემოსული არ იყო და ამგვარ შემთხვევებში მკვლევარები სხვანაირად, მაგალითად, ასე წერდნენ:

„ვფიქრობთ, ბრიუსოვის ვილანები „Все это было сон мгновенный“ წარმოადგენს იმ ნიმუშს, რომლის მიხედვითაც გ. ტაბიძემ შემნა ლექსი „ვილანები“ — ამ სალექსო ფორმის პირველი ნიმუში ქართულ პოეზიაში... ბრიუსოვის ვილანებას გალაკტიონისეული ჰგავს თემითა და რეფრენით — „ყოველივე ქარია და ჩვენება“, არსებითად კი დამოუკიდებელი და დახვეწილი ლექსია“ (კენჭოშვილი 1974: 49).

ისევ კენჭოშვილი!

ცნობისათვის: ზ. შათირიშვილს არც ბიბლიოგრაფიაში, არც საკუთარ სახელთა სამიებელში საერთოდ დასახელებული არა ჰყავს ირაკლი კენჭოშვილი — მკვლევარი, რომლის შრომების

მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ მონოგრაფიაში განხილული საკითხების გაშუქებას ეძღვნება და რომელიც, თითქმის ნახევარი საუკუნეა, იდგწის გალაკტიონის შემოქმედების დასავლური ლიტერატურათმცოდნეობითი თვალთახედვით გაშუქებისა და დასავლურ ლიტერატურულ-კულტურულ კონტექსტში ჩართვისათვის, ანუ მისი წინამორბედია. მაგრამ ზ. შათირიშვილს, როგორც წიგნში არაერთგან ჩანს, სწორედ იმ ქართველ ავტორთა მიმართ სჭირს დრმა გულმავიწყობა, ვისი ნაშრომებითაც ყველაზე მეტად სარგებლობს. მას „ავიწყდება“ ისიც, რომ ნებისმიერი პრობლემის შესწავლას მეცნიერებაში აქვს განვითარების დიდი თუ მცირე ისტორია, რომელსაც მკვლევარი უნდა იცნობდეს. თუ იგი დამკინდებულ აზრს არ იზიარებს, გალდებულია, საკუთარი, ახალი თუ განსხვავებული იდეა, პოზიცია დამაჯერებლად დაასაბუთოს. მაგალითად, იმისათვის, რომ გალაკტიონის შემოქმედება და პიროვნება ნაუკბათვებად, ჰაიპარად გაცნობილ ჰაროლდ ბლუმის ფროიდისტულ „მამაშვილობის“ მოდელს მოარგოს, ზ. შათირიშვილს ჰაერივით სჭირდება, რომ გ. ტაბიძე შემოქმედების პირველ პერიოდში გამოიყვანოს აკაკის ეპიგრაფ, მაგრამ რა უყოს რეალობას, რომელიც ამ სურვილსა თუ ახირებას მეტისმეტად „უძალიანდება“?

პრობლემის შესწავლის დინამიკა ძალზე მოკლედ ასეთია: ადრეულ სტადიაზე გალაკტიონის შემოქმედების პირველი პერიოდის შესახებ არსებობდა აზრი, რომ იგი „შეგირდობის ხანას“ წარმოადგენდა (რ. თვარაძე), რომ ეს იყო „სტილური სიჭრელით“ აღბეჭდილი „დიფუზიური პოეზია“ (თ. ჩხერიძე), რომ ამ პერიოდში გალაკტიონი ძირითადად ბარათაშვილის წყობის „სევდის პოეტად“ გვევლინება (ა. ხინთიბიძე) და ა. შ., გასული საუკუნის ოთხმოცანი წლების დასაწყისში კი თეომურაზ დოიაშვილის გამოკვლევაში „გალაკტიონის პოეტიკის სათავეებთან“ საკითხი ამგვარად იქნა დაყენებული:

„გალაკტიონ ტაბიძის ადრეული ლირიკა (1908-1914წ.წ.) მხოლოდ მოსამზადებელი პერიოდი კი არ არის პოეტისათვის, როგორც ამას წვეულებრივ აღნიშნავენ, არამედ განსაკუთრებული ეტაპია მისი შემოქმედებისა. თავისი პირველი წიგნის მიხედვით, გალაკტიონი გარკვეული მსოფლადქმისა და სტილის დასრულებული პოეტია“ (დოიაშვილი 1984: 77).

შემდგომმა კვლევებმა, მართლაც, გამოავლინა ამ პერიოდის რეალური მნიშვნელობა და მრავალფეროვნება. მაგა-

ლითად, ზ. შათირიშვილის მიერ ტაბუდადებული ავტორი ი. კენჭოშვილი მიიჩნევს, რომ: „გალაპტიონ ტაბიძის პირველი პერიოდის ლირიკაში გარკვეულწილად შესუსტებულია კავშირი უშუალო წარსულის პოეტიკასთან, მათ შორის – „შინაარსოთანაც“ [...] შენარჩუნებულია მხოლოდ რომანტიკული ელემენტები, მაგრამ ამასთანავე ჯერ კიდევ ძლიერია კავშირი ნეორომანტიზმთან. [...] შეხება „ახალ პოეზიასთან“ ყველაზე ნათლად და ოვალსაჩინოდ ბალმონტიზმის (აქ ედგარ პოუციგულისხმება) სახით არის გამოხატული“ (კენჭოშვილი 1999: 38).

ამ საკითხის ფუნდამენტურ გაშუქებას ეძღვნება ო. დოიაშვილის გამოკვლევა „გზა „არტისტული ყვავილებისაკენ“, რომელიც, დაწყებული 2001 წლიდან, სამჯერ გამოკვეექნდა. დღესდღეობით დამაჯერებლად დასაბუთებულია, რომ „დიდი პოეტური რეფორმის წინარე პერიოდს არ შეიძლება ისტორიულ-ლიტერატურული პროცესის ზედაპირული აღქმის გამო „შეგირდობის“ იარღიყი მოვაწებოთ (ხაზი ჩემია – ნ.დ.). რეალურად, ეს იყო ეროვნულ და უცხო ზოგად-პოეტურ ტრადიციებთან ურთიერთობის გარკვევის – ძიების, უარყოფისა და სიახლეთა ათვისების – ურთულები პროცესი, რომელმაც გალაპტიონი უნივერსალური პოეზიის ევროკულტურულ მაგისტრალზე გაიყვანა“ (დოიაშვილი 2008: 76).

ამ ყოველივეს გათვალისწინებით, რა საბუთი აქვს ზ. შათირიშვილს იმის სამტკიცებლად, თითქოს გალაპტიონ ტაბიძე შემოქმედების პირველ პერიოდში, ანუ აკაკის გარდაცვალებამდე მისი ეპიგრონი იყო? არ შველის ამ ახირებას თ. სანიკიძის „გალაპტიონ ტაბიძის ენის ლექსიკონიდან“ გადმოწერილი ნაირ-ნაირი ციტატების დახვავება და ბუქის დაყენება; არც წინარე მქვდევართა აზრის „მივიწყება“ და, მობოდიშებასაფით, გამოკვლევის ბოლოს, კომენტარებში საერთო ადგილის მიხენა. განსხვავებულ თვალსაზრისს დასაბუთება, თანაც კარგი დასაბუთება სჭირდება, მაგრამ ეს რომ ობიექტურად, რეალური სურათის გამო, შეუძლებელია?! სად არის გამოსავალი? სად და – ასეთ რიტორიკულ აბრუნდში: საქმარისია, ამ პერიოდის ლექსებიდან მკითხველი საზოგადოებისთვის ყველაზე ცნობილი ნაწარმოებები, ვითომც გაკვრით, ერთი ხელის მოსმით დაამცირო და დაუყოფნებლივ სხვა „მნიშვნელოვანს“ საკითხებზე გადაიტანო ყურადღება, რომ ილუზორული შედეგიც არ დააყოვნებს. მაგალითად ასე:

„არტისტულ ყვავილებამდე“ გალაკტიონი უშვებდა მე-დიაციის გარკვეულ ფორმებს და ქმნიდა მედიატორულ ფი-გურებს. შეიძლება გავიხსენოთ რამდენიმე ადრეული კიზი მისი პირველი 1914 წლის კრებულიდან – გურიის მთებს, მე და დამე, მესაფლავე – სადაც მეეტლე, მესაფლავე და დამე ფლობენ მედიაცურ სიბრძნეს საიდუმლო ცოდნის, სადი აზრის თუ სწორი მიმართულების სახით“ (შათირიშვილი 2004: 20).

რა მაღალი პილოტაჟია: თან – მედიაციური სიბრძნეებიო, თან – კიზიო!

კიზის ბუნების გათვალისწინებით, სხვა რა უნდა ვთქვათ: აფერუმ ქართველ მასობრივ მკითხველ-მომხმარებელს, რომ გასული საუკუნიდან დღემდე, თურმე, გალაკტიონის ამ ლექსებში სულ მედიაციურ-მედიატორულ სიბრძნეებს დას-წაფებია, კიზის სახელით!

თანამედროვე, პოსტმოდერნისტული ეპოქის ესთეტიკური ხედვით, კიზი, იქნება, ზოგჯერ კომპლიმენტიც კია, მაგრამ მკვლევარს ძალზე მწირი წარმოდგენა უნდა პქონდეს არა მხოლოდ გალაკტიონის ადრეულ შემოქმედებაზე, არამედ ზო-გადად – გასული საუკუნის ათი-ოციანი წლების ლიტერატურის კონტექსტზე და თვით ტერმინ კიზზეც, რომ, როგორც იტყვიან, „უკანა რიცხვით მიაწეროს“ ამ ქმნილებებს კიზობა; ან იმ-დენად უნდა ეფამილარულებოდეს გალაკტიონსა და თავის მკითხველებსაც, რომ აქ სლენგის მნიშვნელობით იყენებდეს ამ სიტყვას. გავიხსენოთ: ლექსში „მერი“ პოეტი თავის ორ ყველაზე მნიშვნელოვან ქმნილებას ასახელებს და ორივე ზ. შათირიშვილისთვის, არც მეტი, არც ნაკლები, კიზი ყოფილა: „ან „მესაფლავეს“ რისთვის ვმდევროდი, /ან ვინ ისმენდა ჩემს „მე და დამეს“. (აქ „გურიის მთები“ რომ არ „დაგვერაგროს“, იმასაც აღვნიშნავ, რომ „მერის“ მოგვიანო პუბლიკაციებში „მესაფლავეს“ ნაცვლად იკითხება „გურიის მთებს“).

ლექსის „მე და დამე“ განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე ცოტა როდი თქმულა და დაწერილა, მაგრამ საკვლევი და სათქმელი კიდევ ბევრია. ჩვენ რამდენიმე ავტორის აზრი გა-ვიხსენოთ: მაგალითად, ა. ხინოიძის მას მაღალი ხელოვნების ნიმუშად მიიჩნევს და კიდევ ასაბუთებს, რომ „ქართული ლექსის განახლებისათვის ბრძოლაში მნიშვნელოვან ეტაპს ქმნის 1913 წელს ჟურნალ „ოქროს ვერძის“ მეოთხე ნომერში

გამოქვეყნებული „მე და დამე“ (ხინთიბიძე 1987: 14); ამავე ლექსის გამო ო. თვარაძე წერს: „აქ დასრულდა მეცხრამეტე საუკუნის ხელწერა და შეიქმნა ახალი გვოქის „სული ობოლი“ (თვარაძე 1972: 58); ი. კენჭოშვილის აზრით, „მე და დამე“-ს საიდუმლოს ესთეტიკა ერთგვარი მიახლოვება მოვლენათა არსის გამოხატვის შეუძლებლობის სიმბოლისტურ იდეასთან“ (კენჭოშვილი 1999: 33).

ზ. შათირიშვილს ეს აზრები ხსენებად და გათვალისწინებადაც არ უღირს. დასჭირდა, ლექსისთვის ეწოდებინა „კიჩი“? – უწოდა და მორჩა!

მაგრამ ეს რიტორიკული აბრუნები მაინც მკრთალად გამოიყერება ლოგიკური ჩიხიდან თავდასალწევად მოხმობილი ამგვარი უკიდეგანო „მეცნიერული ეგზალტაციის“ ფონზე:

„გალაკტიონი წარმოადგენს ქართული (და არა მხოლოდ ქართული) ლიტერატურის (და არა მხოლოდ ლიტერატურის) ერთადერთ უნიკალურ სხეულს („როგორც ერთია ქვეყანა მთელი...“) – ერთადერთ ტექსტს – ყველა სხვა ტექსტი არის მხოლოდ მისი მოდუსი. ე. ი. თუ შესაძლებელია ქართული ლიტერატურა, მაშინ შეუძლებელია გალაკტიონი, ხოლო თუ შესაძლებელია გალაკტიონი, მაშინ შეუძლებელია სხვა დანარჩენი ლიტერატურა (გავიხსნოთ ცნობილი მითოლოგიური გადმოცემა მეორე პოეტის შესახებ, სადაც პირველიც და უკანასკნელიც – ალფა და ომეგა – გალაკტიონია, ე.ი. იგი ისევე აღიწერება, როგორც აპოკალიფსის ქრისტე). მაშასადამე, თუ აკაკის სიკვდილის შემდეგ გალაკტიონი იქცა „ძლიერ პოეტად“, 1927 წლის კრებულის გამოსვლიდან მოყოლებული და, განსაკუთრებით 50/60-იან წლებში, ის ხდება „ერთადერთი პოეტი“ – „მეორე რუსთაველი“ (შათირიშვილი 2004: 23).

ამ ერთ ფრაგმენტში იმდენი ხონსენია შერწყმული, მათ გამოცალ კევებასა და ანალიზს ცალკე წერილი არ ეყოფა და, როგორც ილია იტყოდა, „მოქმედიც ტყუილად მოცდება და მსმენელიცა“.

ასეთ წიაღსვლებს თუ გულისხმობდა მ. დადანიძე, როცა გვპირდებოდა, ეს წიგნი – არა ოდენ თანადროულ მკვლევართათვის, და არა ოდენ გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის შემსწავლელთათვის – კიდევ დიდხანს გამოდგება ნიმუშდოვთ!

„და არა ოდენო“ – რამხელა სტილური თანხვედრაა აგტორისა და ავტორიტეტად შერაცხეული მისი რეკომენდატორის ტექსტებს შორის. ნუთუ ასეთი გადამდები სენია „მეცნიერული ეგზალტაცია“...

\* \* \*

რაკი ცნობადმა რეკომენდატორმა ამ წიგნს ტექსტის ანალიზის ნიმუში უწოდა, გნახოთ, რამდენად სანდოა ეს ანალიზი.

ეძიებს რა „არტისტულ ყვავილებში“ აკაკის, როგორც დაღუპული მამის კვალს, ზ.შათირიშვილი მიმართავს ლექსს „ჭიანურები“, რომელშიც გარკვევით არის ნათქვამი:

სშირად ვიგონებ ვერლენს,  
როგორც დაღუპულ მამას.

იგი წერს:

„მოცემული ტექსტი მკვეთრი „მონტაჟური ბმების“ მეშვეობით იგება, რაც აძნელებს ინტერპრეტაციას. მაგრამ მოხმობილი მასალა საშუალებას იძლევა გავშიფროთ ერთი ასეთი მკვეთრი ბმა. ამ ხატამდე ერთი სტროფის ზევით ჭიანურებში შემდეგი სურათი გვაქვს: „განა მესუთე სართულს / განა მეათე მთვარეს / უხმო, მჭვარტლიან სანთელს / გადავავლებდი თვალებს?“ მიუხედავად იმისა, რომ აქ სანთელი, ერთი შეხედვით, სავსებით „რეალისტურად“ შემოდის ტექსტში, ცხადი ხდება, თუ რატომ იგონებს სტროფის გამოტოვებით ვერლენს, როგორც დაღუპულ მამას, ლირიკული გმირი. ამ უკანასკნელი ხატის (დაღუპული მამ) პროვოცირება სწორედ „უხმო“ სანთელმა მოახდინა“ (შათირიშვილი 2004: 35).

შენიშვნა, რომელიც მონოგრაფიის ამ ფრაგმენტს უკავშირდება, „აზუსტებს“: „შეადარე აკაკის ლანდში: „არ მოგვაკლებს... შუქს უსიტყვოს / ... პოეტის... მაღლით ანთება“ ე.ი. პოეტი, როგორც სანთელი“ (შათირიშვილი 2004: 175).

ყველაფერი თითქოს მშვენივრად ქდერს, მაგრამ ერთი ნაკლი აქვს – სინამდვილეს არ შეეფერება. არასრული ციტირების გამოყენებით ზ. შათირიშვილი მკითხველს უმაღლავს, რომ ლექსში „აკაკის ლანდი“ არსადაა ნახსენები „პოეტი, როგორც სანთელი“. რეალურად მგოსნის ლანდს სანთელი/სანთლები ხელში უჭირავს და „ჩუმად / დაღლილ სანთლებით მოდის / მწუხარე ლანდი მაღალი ლანდი“, გალაკტიონს კი სჯერა:

ოშ! ასეთია დღეს განსაცდელი  
და არ დაგვტოვებს პოეტი ობლად,  
რომ არ აანთოს ისევ სანთელი  
დაგიწყებული ხატის მახლობლად.

იმაში გასარკვევად, თუ სათავისოდ როგორ ცვლის ტექსტს, როგორ „ასევაფერებს“ ფაქტებს მონოგრაფიის ავტორი, მოვიყვანოთ მის მიერ „გაანალიზებული“ კიდევ ერთი სტროფი „ჭიანურებისა“, რომელიც უცვლელად მეორდება „არტისტულ ყვავილებსა“ და ყველა სხვა გამოცემაში:

განა მეხუთე სართულს,  
განა მეათე მოვარეს,  
უხმო, მჭვარტლიან სანთელს  
გადავალევდი თვალებს?

მაშასადამე, ლირიკული სუბიექტი ამბობს (ვიდაცას მიართავს), განა შენს ლოდინში უხმო, მჭვარტლიან სანთელს თვალებს გადავალევდი. ხომ ძალზე წააგავს უდერადობით ეს ორი სიტყვა: გადავალევდი და გადავალებდი? ხომ შესაძლებელია, რომ მონოგრაფიაში კორექტურა გაპარულიყო და ასე გაჩერილიყო შათირიშვილთან „გადავალებდი?“ ცხადია, შეიძლებოდა, მაგრამ საქმე ისაა, რომ ავტორს თავისი „თეორიისთვის“ ძალიან სურს და სჭირდება, აქ დაინახოს აკაკი-პოეტი, როგორც სანთელი, ეს კი ერთმნიშვნელოვნად პოზიტიურ ხატს მოითხოვს. ამის გამო ჩნდება წინააღმდეგობა: როგორც კი დავუშვებთ, რომ ეს პოეტი-სანთელი არა მხოლოდ უხმოა (როგორც შათირიშვილმა წარმოგვიდგინა), არამედ მჭვარტლიანიც (როგორც ეს მკალევარმა „მიგვავიწყა“ თუ მიგვიჩუმათა ციტირების შემდგომი მსჯელობისას) და თანაც ლექსში „სანთლისადმ“ ლირიკული სუბიექტის (და შესაბამისად – გალაპტონის) დამოკიდებულება სულაც არ არის იმგვარად ამაღლებული („გადავალევდი თვალებს“), როგორც ავტორის ლოგიკა მოიხდენდა, – ეს ხუხულასავით დაშლის მთელს ნაწვალებ პონცეფციას! – სწორედ ამის გამო, ნეგატიური „გადავალევდი“ თვითნებურად იცვლება სასურველი სიტყვით „გადავალებდი“, მთელი მსჯელობა კი შექმარავ ევფემისტურ იერს იდებს: „აქ სანთელი, ერთი შეხედვით, სავსებით „რეალისტურად“ შემოდის ტექსტშიო“. იქნებ ვცდები და ასე არ წერია? მაშინ გამოდის, რომ შა-

თირიშვილის გაგებითა და ნება-სურვილით, „სავსებით „რეალისტურად“ აკაკი გალაპტიონისათვის... „მჭვარტლიანი სანთელი“ (!) ყოფილა.

\* \* \*

ზ. შათირიშვილი, რომელიც ჰ. ბლუმის, რ. ბარტისა და სხვათა გამოცდილებაზე დაყრდნობით თითქოს გზასაც იგნებს თავისივე ნება-სურვილით შექმნილ სააზროვნო უდრანში, ვერა და ვეღარ ინარჩუნებს საკვლევი ობიექტისადმი დისტანციასა და წონასწორობას. მისი მუდმივი ძალადობების მოგერიებით გადაღლილი კვლევის ობიექტი – გალაპტიონის პოეტური ტექსტი კი, სადაც მოიხელობს, შურს იძიებს მკვლევარზე – თამაშობს მისით, როგორც იტყვიან, „თამაშობს, ანუ ისვენებს!“

აი ასე:

„მაშასადამე, გალაპტიონი ერთდროულად ფლობს და ვერ ფლობს თავისი საკუთარი უნიკალურობის ერთადევრო ნიშანს, რომელიც სიმბოლიზებულია გრაფემა „პ“-ს მეშვეობით. სახელი გალაპტიონი, მთელი მისი უნიკალური და ერთადევრო სხეული მოთავსებულია იმ სივრცეში, რომელსაც ქმნის ქქ. პ მიუთითებს ფუნდამენტურ „ნაკლულობასა“ და „უძმარობაზე“, რომელიც ამასთანავე პოზიტიურად ქმნის გალაპტიონს გალაპტიონისაგან. ქ-ს წაშლა და გადაწერა, პ-ს მიერ მისი ჩანაცვლება უნდა წავიკითხოთ, როგორც კონტაქტის შეუძლებლობა, როგორც მკვდარი მამის ტოპოსში შესვლა, როგორც ფრთხის მოკვეცა, როგორც სიკვდილი.

ამიტომაც ქ, როგორც საქართველო, მოვალეა, რომ ნატრობდეს ქ-სთან, როგორც გალაპტიონთან, მეგობრობას უფრო მხერვალედ, ვინემ ის (ე.ო. გალაპტიონი) საქართველოსთან.

ამიტომაც მას სულაც არა აქვს ქნარი მკერდს მიღებული, ისე, როგორც უნდა. ამიტომაც, ბოლოს და ბოლოს, აკაკი შეიძლება წავიკითხოთ, როგორც მკვდარი მამის სახელი“ (შათირიშვილი 2004: 26).

ვის და რას ენდოს ამის წამკითხველი? – ზ. შათირიშვილს თუ გ. ტაბიძის საარქივო მასალებით არაერთგზის დადასტურებულ ჯიუტ ჯაქტს, რომ აკაკის გარდაცვალებამდეც და გარდაცვალების შემდეგაც პოეტის სახელი ორივე ფორმით გვხვდება, თან გ. ტაბიძისავე ხელით ნაწერი? ცხადია, გა-

ლაპტიონს საკუთარი სახელის უფრო გამორჩეული – გაეგრობულებული ფორმა უჯობდა ქარაფემიანს, რომელიც საქართველოში ბევრს შეიძლება რქმეოდა... (აქ ხელი გამორბის, ზემოთ ციტირებულიდან გადმოღებული ინერციით, სიტყვაში – „რქმეოდა“ ქ გავამუქო). განა ამავე მოტივით, სამწერლო ასპარეზზე იმ პერიოდში გამოსულ მის თანამოკალმეთაგან პავლე – პაოლო არ გახდა? ტიტე – ტიციანი? ნიკოლოზი – ნიკოლო? მეორე ნიკოლოზი, იგივე კოლია – კოლაუ? (სხვათა შორის, იმ დროს ცნობილი ექიმის – გალაქტიონ ნადირაძის ძე) და ა.შ.? მათგან განსხვავებით, გ. ტაბიძეს საკუთარ სახელში არავითარი(I) ცვლილება არ შეუტანია. უბრალოდ, უკვე არსებული სახელის ორი პარალელური ვარიანტიდან ლიტერატურულ ასპარეზზე გასულ ადამიანს რომელიდაც ხომ უნდა ამოერჩია. ამოირჩია უფრო მშობლიური – კარაფემიანი, რადგან, როგორც თავადვე წერს, დედა და შინაურები ასე მიმართავდნენ, თანაც – ნაკლებად გავრცელებული იყო. პოეტის ჩანაწერებში ამგვარი ფრაზაც არის დაცული: „რატომ დამსაჯეს ასე – არაქართული სახელი დამარქევს“. აღსანიშნავია, რომ პოეტის ხელით გალაჭბიონი აწერია მის არქივში დაცულ ოცდათიანი წლების ერთ ოფიციალურ დოკუმენტსაც.

დავუშვათ, ზ. შათირიშვილს თავისი ძალადობრივი კვლევითი სტრატეგიის განუხერელი დაცვით დავერწმუნებინეთ, რომ სახელში „გალაჭბიონი“ კ გრაფემა აკაკის, როგორც დაღუპული მამის ნიშანია, რადგან აწერეთ ელს სრულიად გამორჩეული ადგილი ჰქონდა ახალგაზრდა პოეტის არსებაში. არის კი ეს „მოულოდნელი (ანდა მოსალოდნელი) მიგნება“ რაიმე არსებითი ნიშნით ახალი და ლირებული გალაკტიონოლოგიაში? განა გ. ტაბიძეს ან ვინმე სხვას როდესმე, რაიმე მოტივით უცდია მშენების დაფარვა? ნუთუ იმისთვის დაიხსარჯა უცხოური თეორიული წყაროებიდან მოზიდული ეს ვეებერთელი მეთოდური არსებალი, რომ ხელთ შეგვრჩნოდა ერთი მაგალითი დასავლური აულტურული სივრციდან სახელდახელოდ იმპორტირებული მეთოდების ქართულ ნიადაგზე აპრობაციისათვის მეცნიერული ძალის არაპროპორციული ხარჯვისა, ანუ, როგორც ეს მკვლევარი იტყოდა, „პოტლაზისა“.

თუმცა, სინამდვილეში, საქმე ამაზე ცუდადაა!

არსებობს ურყევი ფაქტი, რომელიც მთლიანად აუქმებს

ზ.შათირიშვილის ნაჯახირევ კონცეფციას და აზრს უკარგავს ყველა შემდგომი საფეხურის მსჯელობებსა და დასკვნებს, რომელსაც ეს კონცეფცია საფუძვლად ედება: აკაკის გარდაცვალებამდე, ანუ 1915 წლამდე გამოიცა გალაპტიონის პირველი პოეტური კრებული, რომელმაც 1914 წელს იხილა დღის სინათლე. წიგნის პირველივე გვერდზე, ბიოგრაფიულ ცნობაში შავით თეთრზე წერია:

„გალაპტიონ ტაბიძე – დაიბადა 1892 წელს, სოფ. ჭყვიში“.

აი, სადამდე მიიყვანა მკვლევარი რეალური ფაქტების არცონამ თუ უგულებელყოფამ, სანაცვლოდ ყველგან სასურველი ასოების ძიებამ, „მოულოდნელი (ანდა მოსალოდნელი) მიგნებების“ ხდომამ!

\* \* \*

მთელს მონოგრაფიაში გალაპტიონის პოეტური სამყარო ავტორის მიერ შტუდირების საწყის დონეზე ათვისებული უცხოური თეორიული წყაროების საცდელ პოლიგონიდაა ქცეული. მაგალითად:

„კონცენტრიული უცხოური თეორია, რომელიც მასში შემავალ ბინარულ წყვილს განიხილავს როგორც გარკვეულ მთლიანობას მოცემული სინტაგმის მესამე ელემენტთან მიმართებაში, რომელიც, თავის მხრივ, აერთიანებს ბინარულ წყვილს და ამიტომაც კონიუნქციური სინტაგმის ცენტრს წარმოადგენს. ამ დროს განსხვავებული (როგორც წესი, დაპირისპირებული) წყვილებით ხდება არა არჩევანის სიტუაციის, არამედ სიტუაციის მთლიანობის გამოხატვა“ (შათირიშვილი 2004: 91).

ამ ტიპის ნაუცხათევი, ბუნდოვანი შტუდირებებითაა გადატვირთული მთელი ქვეთავი, რომლის მიზანი, როგორც სათაური გვპირდებოდა, ლექსის „შერიგება“ მოტივური ანალიზი უნდა ყოფილიყო.

გნახოთ, როგორ გამოიყურება ამ „მოტივური ანალიზის“ ობიექტად ქცეული ერთი სტროფი ლექსისა:

დღეს ყველგან მზეა. ეხლა ამ ბაღებს  
და მყინვარს, მაღალ ზრახვათა მეფეს,  
მაისი ალით ააზამბახებს,  
კით შევვარებულს და მეოცნებეს.

თურმე, „შერიგების მზე მყინვარს ათანაბრებს ბაღებთან, რითაც ხდება მისი „გაპორიზონტალურება“, ხოლო შეყვარე-

ბულისა და მეოცნების კონტაციებით მყინვარს თერგის, ე.ი. სიცოცხლისა და მოძრაობის თვისებები ენიჭება. **მზე**, რომელიც თანაბრად „აზამბახებს“ მყინვარსა და „ამბაფებს“ (ხაზი ჩემია: ნ.დ) ვერ მოქმედებს მხოლოდ მეფე-პოეტზე, რომელიც მაღლდება მყინვარზე, ე.ი. იძენს სინათლისა და სიცივის კონტაციებს“ (შათირიშვილი 2004: 93).

ტექსტის რეალობა კი ასეთია: გალაკტიონის ნეოლოგიზმით გამოხატული მოქმედება „აზამბახება/გაზამბახება“ ორი რედაქციით ცნობილ ამ ლექსში ერთგან – მაისს მიეწერება (ააზამბახებს), მეორეგან – ლირიკულ სუბიექტს („ჩემი თვალები გააზამბახებს“) და არცერთგან – მზეს. მზის ფუნქცია ტექსტში სხვაა – იგი, მკვლევარის აზრის საპირისპიროდ, სწორედაც რომ მოქმედებს „პოეტზე, რომელიც მაღლდება მყინვარზე“ და თანაც ამ ფუნქციას მარტო როდი ასრულებს – „დღეს ყველგან მზეა და სილამაზე / სიკვდილთან ჩემი შემრიგებელი“.

ქვეთავის დასკვნითი ნაწილიდან ვრწმუნდებით – ქართველი მკითხველისათვის ასე თუ ისე ცნობილი და გასაგები რამ ამ „ანალიზის“ წყალობით კი არ გაშუქდა, უსაშველოდ გაბუნდოვანდა:

„მყინვარიცა და ლირიკული „მეც“ მეფეები არიან. განსხვავება კი ისაა, რომ ერთი – მაღალ ზრახვათა მეფეა, ხოლო მეორე – მეფე-პოეტია („სიმღერის მსუბუქი ზვიროები“ სწორედ ამაზე მიუთითებს). ამ მსგავსება-განსხვავებას კარგად აჩვენებს მყინვარისა და პოეტის გვირგვინების ოპოზიცია – „მსუბუქი დაფნის ფოთლებით სავსე“ ლირიკულ „მე“-ს ანუ მეფე-პოეტს ეკუთვნის, ხოლო მყინვარს – „უმძიმესი იაგუნდებით სავსე“. დაფნის ფოთლები / იაგუნდები (მცენარე / ქვა), მსუბუქი/უმძიმესი ბინარულ ოპოზიციას ქმნიან, სადაც „მსუბუქი“ პოეზიის ატრიბუტია (სიმღერის მსუბუქი ზვიროები, მსუბუქი დაფნის გვირგვინი), სიმძიმე – სიკვდილის“ (შათირიშვილი 2004: 94-95).

ნუთუ ასეთი ძნელი გასაგებია, რომ „შერიგებაში“ ნახსენები იაგუნდი უბრალო კი არა, ძვირფასი ქვაა, შესაბამისად, სიმძიმე – მის განსაკუთრებულ სიძვირფასება და მშვენიერებაზე მიუთითებს. ლექსში გაზაფხულით აღტაცებული, დაფნის გვირგვინით თავშემკული პოეტი „ოდნავ“(!) ედრება „მაღალ ზრახვათა მეფეს“ – მყინვარს, რომელსაც „მაისი ალით ააზამბახებს, ვით შეევარებულს და მეოცნებეს“. შათირიშვილი, თავისი ლოგიკით, მყინვარს

ამ ძვირფასი ქვის – იაგუნდის გვირგვინის ნაცვლად ზედ საფლავის მძიმე ქვას ადებს, რომ გალაკტიონის მკითხველები, მგოსნის ჩანაფიქრის საპირისპიროდ, არა გაზაფხულისა და სიცოცხლის, არამედ რამენაირად ჯერ სიკვდილის ძალმოსილებაში დაარწმუნოს, მერე ქვადადებული მთა ბაღებს გაუსწოროს, მთლად „გა-აკორიზონტალუროს“ და მეფე-პოეტს გაუადვილოს მასზედ ამაღლება. რატომ?! თურმე, „მოტივური ანალიზი“ მოითხოვს ასე!

\* \* \*

რევაზ ინანიშვილის მოთხრობა „ბიბო“ გამახსენდა – დილით ახლადგადვიძებულმა ბიჭუნამ თავისი ახალი წალ-დუნა რომ უნდა გამოსცადოს კომშის ხეზე. ხეს, ალბათ, ბიბოს წალდუნა ჯერ ვერაფერს დააკლებს, მაგრამ, მერე და მერე, ვაითუ, ჩვევად გქცა ცოცხალ არსებებზე იარაღების გამოცდა!

მოკლედ, შემთხვევებს, როცა მკვლევარი უცხოური წყაროებიდან ახლადშესწავლილ ან ბოლომდე აუთვისებელ კვლევის მეთოდს მშობლიურ ლიტერატურაზე „სცდის“ – თავს ახვევს პრობლემას, რომელიც შინაგანი აუცილებლობით არ დამდგარა და თანაც არ ერიდება, საკვლევი ტექსტის რეალიებს თვალი მოუხუჭოს, ხოლო თუ დასჭირდება, თვით-ნებურად დაასახიროს კიდეც, – მე, ასე ვთქვათ, სამუშაო ტერმინად „ბიბოიზმებს“ ვუწოდებ. მათი რაოდენობა ამ წიგნში მცირე სულაც არ არის.

განვიხილოთ კიდევ ორიოდე ნიმუში.

„შემოდგომა „უმანკო ჩასახების“ მამათა სავანეში“ მკვლეარის განსაკუთრებული ინტერესის ობიექტია:

ამ მაისს, ამ ივნისს, ამ ივლისს,  
გადირეკს ნოემბრის ბაღები.  
მხურგალე ვნებები გამივლის,  
სასახლის ჩაქრება ჭაღები.

დარჩება აუზთან სანდალი  
და ძველი ფოთლები ყვითელი...  
რომანზე ისვენებს შანდალი,  
რომანში – შეშლილი სკვითელი.  
ვეწვევი განდეგილ მამათა

„უმანქო ჩასახვის“ საგანეს,  
იქ შავი თოვლივით დამაორებს  
თოვლი და ბურუსი თავანის.

სიმკაცრით შემხედაგს საშენი  
თვალები შეკრული კამარის:  
ჯვარს ეცვი თუ გინდა! საშელი  
არ არის! არ არის! არ არის!

დაძქრიან უდაბნოს ქარები,  
მტანჯაგვნ, და ვიცი, გახსოვარ!  
სამრეკლოს ანგრევენ ზარები...  
წმინდაო, წმინდაო მაცხოვარ!

გრიგალთა სადაურ შებერვას  
მისღევენ ფოთლების შვავები...  
თებერვალს უხმობენ, თებერვალს,  
სამრეკლოს ზარიდან ყვავები!

და ვიცი... დელვაა საგანი.  
როდესაც დამეა უკუნი,  
და ჩემი მდუმარე საკანი,  
და ცხცხლის მფარველი გუგუნი.

ერთგვარად მიიტანს ამ სახის  
ლოცვისთვის ზმანებამტეივანი:  
გაზელებს – მგოსანი სასახლის,  
ხელთათმანს – სასახლის მდივანი.

ავტორის თეორიული მსჯელობისა და დასკვნებისათვის  
ქვაგუთხედს წარმოადგენს ანალიზი ფინალური სტროფისა.  
იგივე სტროფი ფართო კონტექსტში განხილული აქს თ.  
დოიაშვილს წერილში „არტისტული ყვავილების“ პროლოგი“,  
რომელიც ზ. შათირიშვილის წიგნის გამოცემამდე – 2003  
წელს გამოქვეყნდა:

„ვინ იგულისხმება, ვინაა ის იდუმალი პერსონა – „მგოსანი  
სასახლის“, რომელსაც ერთგვარად მიაქვს „გაზელები“ და  
„ხელთათმანი“?

ესაა ორმაგი მეტონიმური მინიშნება გოეთეზე: „გაზელები“  
(ანუ „დასავლურ-აღმოსავლური დივანი“), ანუ გოეთე-პოეზი;  
„ხელთათმანი“ – ატრიბუტი არისტოკრატისა ანუ გოეთე-  
კარისკაცი, „სასახლის მდივანი“. ალუზია ფონიკის დონეზეც  
ხორციელდება: ლექსის ბოლო სარითმო სიტყვაში „მდივანი“  
სრულხმოვნად გამოისმის „დივანი“.

ცხადია, ალუზია გოეთებე ხელს არ უშლის, რომ „სასახლის მგოსანს“ განზოგადებული შინაარსი პქონდეს – იგი გულისხმობს კოველ ჭეშმარიტ შემოქმედს და მათ შორის გალაკტიონსაც, რომელსაც ქარიშხელების შემდეგ მოაქვს თავისი მარტოობის დავთავებრივი ნაყოფი – „არტისტული ყვავილები“ (დოიაშვილი 2003: 53).

„სხალ-ახალი“ უცხოური მეთოდებით თავბრუდახვეული ზ. შათირიშვილი, რომელიც არ სცნობს ქართველ მკვლევართა ძველ თუ ახალ ნააზრებს, იმავე სტროფს ასე „აშუქებს“: „მეტალიტერატურული ასპექტი გაძლიერებულია ტექსტის ფინალში, რომლის თანახმადაც, მთელი ტექსტი სხვა არაფერია, თუ არა გაზედები, რომელსაც „მიიტანს სასახლის მდივანი“ (შათირიშვილი 2004: 38).

(ა) ციტირება, ცოტა არ იყოს, კრცელი გამომივა, მაგრამ რომ არ შეიქმნას შთაბეჭდილება, თითქოს კონტექსტიდან ამოგდეჯილი ფრაზების არასწორი ინტერპრეტაციის გამოყენებით მივაწერ ავტორს იმას, რაც არ უთქვაშს და არც უგულისხმია, სხვა გზა არ დამრჩენია. იმედი მაქს, მკითხველიც მოთმინებით აღიჭურვება, ვიდრე შევეცდები, ამ ტიპურ მაგალითზე დაყრდნობით, რამდენადაც შესაძლებელია, ქართულად და გასაგებად ავხსნა, რა დასკვნამდე და როგორ მიდის ავტორი საკითხების განხილვისას სხვადასხვა მეთოდის თავისებური „მომარჯვებით“.

განვაგრძოთ ზ. შათირიშვილის ტექსტის ციტირება:

„ამ გაგებით, უკანასკნელი სტროფი არის მეტატექსტი, ხოლო მთელი „მირითადი ნაწილი“ – ტექსტი ტექსტში სასახლე-სავანის დაპირისპირებით. აქედან გამომდინარეობს საკმაოდ ბევრი რამ: ჯერ ერთი ის, რომ რომანი, რომელიც დასახელებულია ძირითად ტექსტში და რომელშიც „ისვენებს შეშლილი სკვითელი“ – უბრალოდ მეტალიტერატურული ხატია, ხოლო გაზედები, რომელშიც ლაპარაკია რომანზე – ორმაგად მეტალიტერატურული. მეორეც – ლექსს ტექსტულობის სამი დონე აქვს: გაზედები, რომელსაც მიიტანს სასახლის მდივანი I დონეა, ძირითადი ტექსტი, სადაც აღწერილია მოძრაობა სა-სახლიდან სავანეში (ტექსტი ტექსტში) – II დონე, ხოლო რომანი, რომელშიც ისვენებს შეშლილი სკვითელი – ტექსტი ტექსტში, რომელიც, თავის მხრივ, ტექსტშია მოთავსებული – III დონე“ (შათირიშვილი 2004: 38-39).

წიგნის შუისკენ, ამავე საკითხზე საუბრისას, თავისდაუნებურად, მეტი სინათლე „შეპარვია“ ავტორს:

„კიდევ უფრო უურადსალებ სურათს ვიღებთ, თუ რომანს (ორიგი გაგებით) შევხედავთ ტექსტის „სამფენოვანი“ დანაწევრების კუთხით. მაშინ გაზელებში (I დონე) ლაპარაკია რომანზე, რომელზეც „ისვენებს შანდალი“ (II დონე), ხოლო „შეშლილი სკვითელი“ უკვე III ტექსტურულურ ფენაში ისვენებს“ (შათირიშვილი 2004: 105).

ანუ გალაკტიონს რომანი გაულექსავს თავის შიგთავსიანადო?! – იკითხავს ალბათ ამ გაუგებრობით გადაღლილი მკითხველი, რომელსაც თანამედროვე დასავლურ ლიტერატურულ თეორიებსა და ლექსმცოდნეობაში ზ. შათირიშვილის ბადალი ცოდნა არ გააჩნია.

დავამშვიდებ მკითხველს: აქ საქმე გაცილებით მარტივადაა.

თუ სურს სიტყვაზე მენდოს, თუ არა, რომელიმე ლექსმცოდნეობით ლექსიკონს ჩასედოს და დარწმუნდება, რომ სიმართლეს არ შეეფერება მკვლევარის განცხადება: „მთელი ტექსტი სხვა არაფერია, თუ არა გაზელები, რომელსაც „მი-იტანს სასახლის მდივანიო“.

არც ტექსტშია რაიმე ნიშანი ან მინიშნება, რომ, თურმე, გაზელებში რომანის ამბებია მოთხოვობილი, არც გალაკტიონის ამ ლექსთან ინტერტექსტუალურად დაკავშირებული მისივე ტექსტები შეიცავენ რაიმეს ამის დამადასტურებელს.

გალაკტიონის ამ ლექსს არც ფორმით, არც შინაარსით არაფერი აქვს საერთო აღმოსავლური პოეზიის სახეობასთან – „გაზელასთან“, გარდა იმისა, რომ, როგორც ზ. შათირიშვილი იტყოდა, სხვა ავტორის ტექსტთან გვაგზავნის.

ამჯერადაც ეს „მოულოდნებლი“ (თუ მოსალოდნებლი) მიგნება“ ზ. შათირიშვილის უკიდეგანო და თან უსაფუძვლო ფანტაზიის ნაყოფია: ერთი წაიოცნება უცხო-უცხო თეორიული წიგნების კითხვით დაღლილმა, მერე თავისივე ოცნება სიმართლედ რომ „ექცია“, ტექსტს „გაზელობა“ დააბრალა, საკუთარი გამონაგონი ავტორს მიაწერა, ტერმინოლოგიური ძეგვით შემოსა და თვალისმომჭრელი მოდელიც მზადაა!

მარტივად რომ ვთქვათ, დღესდღეობით აგრერიგად მოდური ხერხით, „მატროშკასავით“ – გახსნი გაზელას/გაზელებს – შიგ ლექსში მოთხოვობილი ამბავია, გახსნი ამ ამბავს და რას დაინახავ! – თურმე შეშლილი სკვითელი ისვენებს რომანში! მერე ეს თავისივე „მატროშკა“, რაღაც, აღარ მოეწონა ან „დაავიწყდა“ და ახალიც მზადაა: გახსნი

გაზელა/გაზელებს – ახლა შიგ „თავზეშანდალდასვენებული“ რომანია, გახსნი რომანს – და ჩვენი „შეშლილი სკვითელი“ ისევ აქ არ არის!?

ისეთს რას აშავებს, მხოლოდ თამაშობს თავისი წალდუნათი მონოგრაფიის ავტორი და მორიგი „ბიბოზმიც“ გამოსდის, მაგრამ ამ წალდუნას ჩვენთვის უძვირფასესზე – გალაკტიონის პოეზიაზე სცდის.

\* \* \*

ზ. შათირიშვილი თავის წიგნში „კვლევა-ძიების“ ნაცარ-ბუქს რომ აყენებს, სინამდვილეში კი გალაკტიონის პოეზიასა და მასთან დაკავშირებულ სამეცნიერო ლიტერატურას არას დაგიდევთ, ეს მონოგრაფიაში ბევრგან ჩანს. იმის დამადასტურებელი ვაქტებიც მოვიხმეთ, რომ სწორედ ის სამეცნიერო წყაროები „ავიწყდება“, რომლითაც ყველაზე მეტად სარგებლობს, მაგრამ ჯერ მთავარზე არაფერი გვითქვამს:

ზ. შათირიშვილი ნამდვილად იცნობს და აქტიურადაც იყენებს მკვლევარ-გალაკტიონოლოგთა სამაგიდო ხუთტო-მეულს – თენის სანიკიძის „გალაკტიონ ტაბიძის ენის ლექსიკონს“, მაგრამ ბიბლიოგრაფიაში არსად ასახელებს მას, თუმცა იქვე არ ავიწყდება დაიმოწმოს სულხან-საბას ლექსიკონი, რომელიც ერთი-ორგანო თუ აქვს გამოყენებული.

უხვი, არცოუ იშვიათად კი ჭარბი მაგალითები გალაკტიონის პოეზიიდან, რომელიც ზ. შათირიშვილის წიგნის ზერელე გადათვალიერებითაც თვალშისაცემია, მართლაც ქმნის პირველ შთაბეჭდილებას, რომ მკვლევარი საფუძვლიანად იცნობს გალაკტიონის შემოქმედებას, მაგრამ წიგნის გაცნობის შემდგომ ეს შთაბეჭდილება საფუძვლიანადვე ირყევა. სამაგიეროდ, ძლიერდება და მტკიცდება აზრი, რომ შათირიშვილი თ. სანიკიძის ლექსიკონში მისთვის საინტერესო სიტყვის მოძიების შემდგომ სიტყვის ბუდიდან უანგარიშოდ იწერს ციტირებულ ფრაგმენტებს ისე, რომ აღარ აზუსტებს შესაბამის ტექსტებს და კონტექსტებს, არსებითად, ბრმად ენდობა საკუთარ მეხსიერებას ან ინტუიციას, რომელიც არცოუ საიმედო მოკავშირენი აღმოჩნდებიან ხოლმე. ამის გათვალისწინებით, რადა გასაკვირია, მცდარ მაგალითსა და ინტერეტაციაზე დაყრდნობილმა მისმა თეორიულმა რეფლექსიებმა დასკვნებამდე ვეღარ მიაღწიოს და მოჩვენებითად

წარმატებული შედეგით დაგვირგვინდეს.

თუ არა ასე, სხვაგვარად როგორ აიხსნება ამგვარი შემთხვევები:

მკვლევარი წერს: „პოეტის ფიგურას 1919 წლის კრებულში სამი მოდუსი აქვს: 1. ლირიკული გმირი („მე“), როგორც პოეტი [...] 2. პოეტი, როგორც „სხვა პერსონაჟი“; 3. რეალური პოეტი საკუთარი სახელით (ვთქვათ, აპაკი, ვერლენი და ა.შ.“ (შათირიშვილი 2004: 44).

პოეტის, როგორც „სხვა პერსონაჟის“ შესაბამისი მოტივური კომპლექსების ჩამოთვლისას იგი „პოეტი თანამდლმობის“ შემცველ ნიმუშად ასახელებს ლექსს „შენ ერთი მაინც“ (შათირიშვილი 2004: 47). ამ ლექსში მართლაც არის ნახსენები პოეტი:

საქართველოში შენ ერთი მაინც  
არ იტყვი, როგორც იტყვიან სხვები,  
შეგვძრალება თვითონ კაენიც –  
თუკი პოეტის პქვია სახელი.

ოჳ, ჩემი სული ბევრს დაიმონებს,  
მეგობრები კი არ მეყვარება –  
სხვაგვარ თიბათვის დღეებს იგონებს  
ჩამაგალ მზეთა მგლოვიარება.

გიგზავნი ამ წიგნს... როგორც ოდესმე  
მომქონდა შენთან წიგნი პირველი,  
შენმა დიმილმა უბოროტებსმა  
დაინდოს წიგნი და შემწირველი.

სინამდვილეში, ძნელი გასაგები არ არის, რომ აქ თავად პოეტიავტორი ქმნის სასაჩუქრე წარწერას საკუთარი წიგნისა, რომელსაც ძველ მეგობარს უგზავნის. თუ შათირიშვილის კლასიფიკაცია ანგარიშგასაწევია, წარმოდგენილ მაგალითს ადგილი უნდა მისჩენოდა აქ – „1. ლირიკული გმირი („მე“), როგორც პოეტი“. რაც შეეხება ადრესატს ანუ იქ არყოფ მეგობარს, იგი შეიძლება იყოს პოეტი, შეიძლება – არა. ყოველ შემთხვევაში, არც ეს ტექსტი და არც დღემდე გამოვლენილი ინტერტექსტუალურად მასთან დაკავშირებული სხვა რაიმე პოეტური ტექსტი ამის არც ნიშანს შეიცავს და არც სხვა რამ მინიშნებას. მაგრამ თუ ზ. შათირიშვილის დაუინებით, აქ პოეტ-ავტორს „თანამლმობობას“ მაინც მივაწერთ, მკვლე-

გარს თვითონვე დაენგრევა ზემოთ შემოთავაზებული მთელი „მოდუსურ-მოტივური კომპლექსები“, კლასიფიკაცია და მთელი „ზუსტი მეთოდოლოგიური გააზრებაც“.

აბა, დავუკვირდეთ: ლირიკული „მეს“ – პოეტის მხრიდან რა თანალმობაზე შეიძლება საუბარი ამ ლექსში, როცა იგი გარკვევით ამბობს, „ჩემი სული ბევრს დაიმონებს, მეგობრები კი არ მეყვარებაო“, თანაც ადრესატს მიმართავს, „შენმა დიმილმა უბოროტებმაო“.

ნიმუშები იმისა, თუ თ. სანიკიძის ლექსიკონში მოძიებული სიტყვების კონტექსტის შეუმოწმებლად, გნებავთ, გაუხსენებლად, ან სულაც მისი მიხემალვის გზით როგორ ცდილობს ავტორი საკლევი მასალა რამენაირად მოარგოს მეთოდს, წიგნში სხვაც მრავლადაა.

ჩვენ ორიოდე კიდევ ვნახოთ.

მკვლევარი ლირიკული ქრონოტოპოსის შესახებ მსჯელობისას საუბრობს „აღმოსავლურ“, „გოთიკურ“, „მედიტერანულ“ სასახლეებსა და სასახლე-ვერსალზე, შემდეგ აღნიშნავს, რომ „არტისტულ ყვავილებში“ არის კიდევ ორი შემთხვევა, სადაც სასახლეს არ უკავშირდება არანაირი კულტურულ-ლიტერატურული კონტაკიები. ამის ნიმუშად ჯერ მოჰყავს ლექსის „თიბათვე გავიდა“ შეკვეცილი ტექსტი: „თიბათვე გავიდა, აჭრელდა სათიბი/ ... მევახშის ხელში ვარ ... /უნდა გავყიდო მამული /... მიკვირს, რომ დდემდე გავძელი/ სასახლეც გავყიდა..., სათიბიც გავცელე!“ (კორექტურა ავტორისაა, უნდა იყოს „ავცელე“ – ნ.დ.). ამ შენაკვეციდანაც კი აშკარაა, რომ ლექსში ნახსენები სიტყვა „სასახლე“ ნიშნავს არა დიდ ნაგებობას, არამედ, როგორც სულხან-საბას ლექსიკონშია, „სახლო(ა) ადგილს“, ანუ მიწას, ტერიტორიას, სადაც ფინანსურირებული სახლის აშენებას აპირებს.

გაცილებით კურიოზულია მეორე მაგალითი.

ლექსს „მივარდნილი აივანი“ მკვლევარი ასევე ფრაგმენტულად იმოწმებს: „ამპარტავანი თათარი – ეზოში დადის მამალი ... / მახსოვეს მივარდნილ აივნის /... მანდილი, საკაბე /... გახმა ბოსტანში მწვანილი... / სასახლე გახდა თილისმა / არ არის არც საშინელი“ (შათირიშვილი 2004: 43). ზ. შათირიშვილი-მკვლევარის „ხიბლში ჩავარდნილ“ მკითხველს, რომელიც არ იცნობს ამ ლექსს, „შერჩევითი ციტირების“ გაცნობისას საეჭვოდ ადარ მოეწვენება უშუალოდ მოდევნებული მსჯელობა, რომ „როგორც ვხედავთ, ორივე ტექსტში

სასახლე სავსებით „შეგნებულად“ უქავშირდება სოფელს, სოფლის დანდშავტს, ყოველგვარი კულტურული პლასტების გარეშე“ (შათორიშვილი 2004: 43-44) და დასკვნებსაც ადვილად დაუჯერებს.

რეალურად კი ლექსში „მივარდნილი აივანი“ ხსენებაც არაა სოფლის სასახლისა. მასში ქალაქის, მეტიც დედაქალაქის, კერძოდ – ტფილისის სასახლეზეა საუბარი და ეს მკაფიოზე მკაფიოდაა აქცენტირებული:

და მეგობარიც ხანდახან  
უთუოდ მოვა, თუ ელი:  
ტფილისში მეფობს თათარხან,  
ღვინო, ღუელი, ღუელი!

სასახლე გახდა თილისმა!  
არ არის არც საშინელი:  
კარგად გაიცნო ტფილისმა  
ჩინებულება ჩინელი.

მაგრამ უფრო დიდი კურიოზი წინ გველის.

„სასახლე მცირე გამონაკლისების გარდა, „არტისტულ უვავილებში“ მეტად აღარ გვხვდება“, – წერს ავტორი და შენიშვნებისკენ აგზავნის მკითხველს, იქ კი წერია: „გამონაკლისს წარმოადგენს პირიმზე და დომინო. ამ უკანასკნელში აქტუალიზებულია „გოთიკური“ სასახლის ტიპი, ოდონდ, პოეტის ფიგურის გარეშე. თუმცა ეს ტექსტიც არ არის მოკლებული გარკვეულ მეტალიტერატურულ განზომილებას საკმაოდ შეფარული სახით“ (შათორიშვილი 2004: 176).

ამ შენიშვნამ გალაპტიონის პოეზიის მოყვარულ მკითხველს უკანასკნელი წეალიც გადაუწურა, რომ ზ. შათორიშვილი „გამოწვლილვით“ ანალიზ-კლასიფიკაციებსა და დასკნებში ადგილს თუ ვერ მიუჩენდა, საღმე გაკვრით მაინც მოიხსენიებდა გალაპტიონის სასახლეთა შორის გამორჩეულს, კრებულ „არტისტული უვავილების“ ორგანულ ნაწილს, მთავარ სასახლეს – ლექსს სათაურით „უცნაური სასახლე“. იქნებ სოფელ-სოფელ, სახნავ-სათიბებში სასახლეების ძებნა-მოლანდებამ დაუდალა მახვილი მზერა, ან იქნებ დანახული თვალში ეპატარავა? არც ისაა გამორიცხული, რომ, პირიქით, ამ სასახლის სიდიდემ თუ უცნაურობამ შეაკრთო, მსწრაფლ უკუიქცა და „მეოოდურ“ თავშესაფარში შეიყუეა ნოვატორი მკვლევარის გარდამქმნელ-გარდამაკეთებელი ფიქრი.

\* \* \*

შემთხვევითი როდია, რომ ზ. შათირიშვილის წიგნის იმ ძირითად ნაწილს, რომელიც საკუთრივ გაღაერიონ ტაბიძის შემოქმედების მონოგრაფიულ კვლევას ეძღვნება, ბოლოში შემაჯამებელი დასკვნები არ ახლავს. განა აღვილია მართებულ საბოლოო დასკვნებამდე მისვლა, როცა გზადაგზა ფაქტები მუდმივად გიძალიანდებიან, არგუმენტები მყიფე გაქვს, მეორედებსაც ახალი წალდუნასავით კი სცდი, მაგრამ ჯერ ვერ დაუფლებიხარ. თუ დასჭირდა, ზ. შათირიშვილი სხვადასხვა აბრუნდებთან ერთად საკუთარ ლექს-მცოდნეობით „ცოდნასაც“ თამამად იშველიებს.

ცნობილია, რომ აზრი ქართული ლექსის ბუნების შესახებ დღემდე თრად არის გაყოფილი. ზ. შათირიშვილი აღნიშნავს: „ჩვენ ვიზიარებთ ს. გორგაძის [გორგაძე], ა. გაწერელიას [გაწერელია] და სხვ. მოსაზრებებს, რომ ქართული ლექსთწყობა სილაბურ-ტონურია“ (შათირიშვილი 2004: 180); მაგრამ ერთია პოზიციის გაზიარება და მეორე – საკითხის კვლევისას, საკუთრივ სილაბურ-ტონურობის თვალსაზრისით, მცდარი აზრის საბუთად მოხმობა. კერძოდ:

ქვეთაგვე „გოთიბური დისკურსის“ სიბნელე, ავტორი საუბრობს რა გალაკტიონის ლექსზე „ედგარი მესამედ“, ცდილობს გამოავლინოს მისი ინტერტექსტულური რელაცია იოსებ გრიშაშვილის ლექსთან „აცივდა“. იგი წერს: „ხატწერის გადაძახილთან ერთად ყურადღებას იქცევს მეტრის იგივეობა: ორივე ლექსი 4-ტერფიანი დაქტილითაა დაწერილი“ (შათირიშვილი 2004: 118).

შევადაროთ ამ ორი ლექსის მეტრულ-რიტმული წყობა. გალაკტიონი:

ლანდებს სასახლეში მხოლოდ მაშინ ელი,  
როცა საჟარი ედგარ პოეზეა!  
აჩრდილს თანაზიარს მარად საშინელი  
დასდევს განწირულთა შავი პოეზია.

ლექსზი დასაწყისიდან ბოლომდე დაცულია სქემა 2/4/2/4 (ლანდებს/ სასახლეში // მხოლოდ/ მაშინ ელი), რასაც განაპირობებს წესის – ორმარცვლიანი (ლანდებს, მხოლოდ) და ოთხმარცვლიანი (სასახლეში, საჟარი) მეტრული ერთულების კანონზომიერი მონაცემებია.

გრიშაშვილის ლექსის მეტრულ-რიტმული სტრუქტურა კი ამგვარია:

აცივდა ნაცრისფრად, ნაცრისფრად აცივდა,  
უხუცეს ჭანდრის ხეს ფოთლები დასცვივდა;  
ხავერდის მწვენე ყდა გადასძვრა ტყის კარავს,  
აშ თოვლი შებუმბლავს, აშ თოვლი დაფარავს.

3/3//3/3 (აცივდა/ნაცრისფრად // ნაცრისფრად/აცივდა).

ანუ ამ ორი ლექსის ტაქპთა რაოდენობრივი მონაცემები მსგავსია (თორმეტმარცვლედი), მაგრამ სწორედ სილაბურ-ტონური პოზიციიდანაა მთლიანად განსხვავებული: ერთ მსარეს – გალაკტიონთან ქორებელეონური წყობაა, მეორე მსარეს – გრიშაშვილთან კი – დაქტილური.

რა დასკვნისკენ გვიბიძებს ეს შემთხვევა? – ან ზ. შათორიშვილი ცდილობს, რადაც არ უნდა დაუჯდეს, დაარწმუნოს მკითხველი გალაკტიონის ქმნილების გრიშაშვილის ლექსთან ინტერტექსტუალურ მიმართებაში და შეცდომაში შეჭყავს იგი, ან სიტყვით კი იზიარებს მოსაზრებებს, რომ „ქართული ლექსი სილაბურ-ტონურია“, მაგრამ რეალურად მეტრიკის საკითხებში საერთოდ ვერ ერკვევა.

ვიდრე საქმეში ჩახედული მკითხველი აქ საყვედურით შემახსენებდეს, რომ მეტისმეტია ერთი, იქნებ სულაც უნებლიერ შეცდომის ასე განზოგადება, რადგან ზ. შათორიშვილი, რახანია, ლექსმცოდნეობითი ნაშრომების ავტორიც არის, გავისსენებ ერთ კურიოზულ განცხადებას სწორედ მისი სპეციფიკურად ლექსმცოდნეობითი ნაშრომიდან – „იამბიკა“ – „შაირი“ – „მუხამბაზი“: XVI-XVIII საუკუნეების ლიტერატურული ტრადიცია და რომანტიზმის პოეტიკა“ (შათორიშვილი 2005: 76-80):

„მუხამბაზის მეტრი ესაა 5-ტერფიანი ქორე დაქტილური კლაუზულით“ (შათორიშვილი 2005: 76).

მსგავსი მეტრი არათუ მუხამბაზს, არამედ დღემდეცნობილ არცერთ ქართულ ლექსს არ ახასიათებს, მეტიც, ბუნებაში არ არსებობს, და მეტისმეტიც – თეორიულად დაუშვებელია. ამაში დარწმუნებას არ სჭირდება დიდი ლექსმცოდნეობითი განათლება. მარტივად წარმოიდგინეთ: თუკი ტაქპის ხუთივე ტერფი, არც მეტი, არც ნაკლები, ქორე ანუ ორმარცვლედია, დაქტილურ, ანუ სამმარცვლიან კლაუზულას შიგ რადა უნდა!

მნელი დასაჯერებელი ჩანს, მაგრამ ფაქტია – ზ. შათორიშვილმა არ იცის ელემენტარული რამ: ქართული მუხამბაზის მეტრი, როგორც წესი, თერომეტრმარცვლიანია

(4/4/3), ან თოთხმეტმარცვლიანი (5/4/5) და არასოდეს – „5-ტერფიანი ქორე“ ანუ ათმარცვლედი.

რაკი ეს ლექსმცოდნეობითი პუბლიკაცია გავიხსენეთ, აქედან ერთ მაგალითსაც მოვიხმობ იმის გასარკვევად, თუ რამდენად სანდოა ზ. შათირიშვილის ცოდნა ქართული ლიტერატურის ისტორიის სფეროში. იგი წერს:

„...სამეფო კარზე მოღვაწეობდნენ ქართველ რომანტიკოსთა მამები და პაპები. ადსანიშნავია, რომ ერეკლე ბეგრი მათგანის პირდაპირი წინაპარი იყო – გრიგოლ ორბელიანის დედა – ხორეშანი და ვახტანგ ორბელიანის დედა – თეკლე ერეკლეს ქალიშვილები იყვნენ, ხოლო ნიკოლოზ ბარათაშვილის დედა – ეფემია (გრიგოლ ორბელიანის და), – ერეკლეს შვილიშვილი გახლდათ“ (შათირიშვილი 2005: 77).

ამაზე იტყვიან, რამდენი წინადადებაცაა, იმდენი შეცდომაა.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ გრიგოლ ორბელიანის დედა – ხორეშანი ერეკლე მეფის „ქალიშვილი“ და თეკლეს და კი არ იყო, არამედ ერეკლეს ასულის – ელენეს შეილი და შესაბამისად, თეკლეს დისშვილი, ხოლო გრიგოლ ორბელიანი და ეფემია, ნიკოლოზ ბარათაშვილის დედა, ერეკლეს შვილიშვილები კი არა, შვილთაშვილები არიან.

ალბათ, ამაზეც იტყვის ზ. შათირიშვილი-მეგლევარის ხიბლში ჩავარდნილი მკითხველი, ცხადია, შეცდომაა, მაგრამ უფრო – მექანიკური. მაშინ ამ შემთხვევას რადა ახსნა მოეძებნება:

„ყაბახი არისტოკრატული თავშეყრის ადგილია. ბარათაშვილის მიხედვით, აქ ისმის ისეთი სიტყვა, როგორიცაა „მოდა“ (იმდროინდელი არისტოკრატული სლენგი). ჩანს გიჩე ყაფლანი, საზოგადოების სული და გული, გამრთობი და მთხობელი“ (შათირიშვილი 2005: 80). გავიხსენოთ ლექსი:

„სთქვი რამ“, ეტყვიან ყაფლანს ზოგნი-ერთი ქალები,  
„თუნდ თ ა ვ ს ა უ ფ ლ ა დ , ახლა პრანჭვას ნუ კი მოჟყვები!“  
ყაფლანც, სულდგმული აშიობით, დაიდიდინებს  
გულის საპერავად და თან და თან ყედს მოიღერებს.  
ვის არ სმენია ლექსი ესე, რომ მყის სევდები  
არა აშლოდეს, ჩვენსა ქალსა — ტრფობის ჭირები!

დავიწყოთ იმით, რომ ლექსში ნახსენებ „ვინმე ყაფლანს“ „მთხობელობა“ ზ. შათირიშვილმა დააბრალა, რადგან, ეტყობა, „თავსა უფლად“ მას რაიმე ამბავი ჰგონია და არც ზმა

„სოქების“ სხვა მნიშვნელობის შესახებ სმენია რამე. იგი არც ტექსტს უკირდება, ორეუმ უთუოდ შენიშნავდა, რომ იქ წერია „ლექსი ესეო“. ყაბახზე ქალები სოხოვენ ყაფლანს, „სოქე რამ“ ანუ გვიმდერეთ, (შეად: ხალხური „პურსა სჭამენ და ლეინოს სმენ, სიმდერას არ იტყვიანო“), ყაფლანიც არ გააწილებს მათ, ჯერ დიდინებს, ხოლო შემდეგ ყელს მოიღერებს და მდერის ალექსანდრე ჭავჭავაძის იმ დროისათვის დიდად პოპულარულ ლექსზე შექმნილ სიმდერას „თავსა უფლად“.

სიტყვა გამიგრძელდა, მაგრამ აქ ამის ასახსნელად როდი მოვიყვანე ციტატა შათირიშვილის წერილიდან. საქმე ისაა, რომ მისთვის თურმე „ვინმე ყაფლანია“(!) ამ ლექსში მოხსენიებული, ნ. ბარათაშვილის წერილებისა და სხვა წყაროების წყალობითაც კარგად ცნობილი პიროვნება – ყაფლანორბედიანი.

რადა გასაკვირია, ამ „გლობალური მასშტაბის მოაზროვნისათვის“ მთელი ქართული ლიტერატურაც „ვინმე ყაფლანი“ იყოს!

\* \* \*

ეტყობა, ამ წერილში „ქანქარის არინციპი“ ამუშავდა – ისე გამოდის, რომ მე სულ ნაკლზე მიხდება საუბარი, ამ წიგნით და მისი ავტორით აღტაცებული გაგა ლომიძე კი, მ. ლადანიძესავით, სულ დირსებებზე საუბრობს და ამასაც აღნიშნავს:

„შემთხვევითი არაა, რომ ზ. შათირიშვილის ამ ნაშრომში ამა თუ იმ მოსაზრებამ შემდგომში სხვადასხვა მკვლევარის მიერ გალაკტიონის ტექსტების რომელიმე კონკრეტული კუთხით შესწავლას მისცა გეზი – იქნება ეს „ნიკორწმინდა“, როგორც არქიტექტურული ძეგლის ხელახლა შექმნის მოტივი თუ გალაკტიონის ნარცისისტული რიტორიკა, რომელიც მისი პიპერტოფირებული „მეს“ სახით ვლინდება“ (ლომიძე 2009: 358).

გავარკვიოთ, რამდენად სარწმუნოა ეს აზრი.

ზ. შათირიშვილის მონოგრაფიაში „ნიკორწმინდას“ თაობაზე ერთადერთგან ნათქვამია შემდეგი: „გალაკტიონი არ კმაყოფილდება მხოლოდ ლიტერატურული ტექსტების თავიდან შექმნით – იგი თავიდან „ქმნის“ არქიტექტურულ ძეგლებსაც – „ვით არ მიყვარდეხ...“, „ნიკორწმინდა“ სხვა არაფერია, თუ არა არქიტექტურული „ტექსტების“ თავიდან

შექმნის ცდები“ (შათორიშვილი 2004: 23).

ვისაც ახსოვს ციტატაში პირველად დასახელებული ვრცელი, უსათაურო ლექსი „ვით არ მიყვარდეს სამშობლო ჩემი“, მთლიანად საქართველოს ამწვანებული მთა-ველების ქებას რომ ეძღვნება და აქა-იქ ნანგრევებიც (!) იხსენიება, ამის წაკითხვაზე კიდევ დაიბნევა, კიდევ გაოგნდება; შათორიშვილის მაქებრებს კი ეს, ალბათ, ამ მკვლევარის მიერ „გლობალური პერსეპტივიდან დანახული საკითხები და მათი მასშტაბური ანალიზი“ ჰგონიათ.

შათორიშვილმა ეს ოცდარვასტროფიანი ლექსი არქიტექტურული „ტექსტის“ თავიდან შექმნის ცდად, ეტყობა, საყველთაოდ ცნობილი ამ ერთადერთი სტროფის გამო გამოიგიცხადა:

და მგზნებარ ხელით  
ჩართულ-გადართულს,  
რაც ოცნებისკენ  
ამ გულს წაიღებს,  
გინაც გაიგებს  
ჩუქურთმას ქართულს,  
ის პოეზიას ჩემსას გაიგებს!

ეს იგივეა, ანატომიის სახელმძღვანელოს თავიდან შექმნის ცდად მიიჩნიო ლექსი „ხალხური მოტივებიდან“:

შენი თვალები – მაღლები –  
სამხრეთის ზღვების ფერია,  
კბილები – თეთრი ძაღლები –  
მიღრენენ, არაფერია.

მოგონებებში წასული  
შენს ბაგეს დავესარბები,  
ოცნების ორი ასული –  
– გადაწოლილან წარბები.

გადაუთიბავთ თივები,  
რომ გითხრა – დამემდურები!  
გულადმა წევან ტივები  
და მოები უდაბურები...

თუმცა, ქმარა – ამ ზღვარდაუდებ სისულელეზე! ჩვენ „ნიკორწმინდას“ მივხედოთ. ძნელი გამოსაცნობი არ არის, რომელ ნაშრომს გულისხმობს გ. ლომიძე.

ზ. შათირიშვილის წიგნი გამოიცა 2004 წელს. ერთი წლით ადრე, 2003 წელს კი გალაპტიონოლოგთა III სამეცნიერო სესიაზე წაკითხული იქნა თ. ლოიაშვილის მოხსენება „ქებათა ქება ნიკორწმინდას“ (ინტერპრეტაციის ცდა), რომელშიც სწორედ ამ და კიდევ უფრო ფართო ჭრილშია განხილული ძეგლი – ნიკორწმინდა. 2004 წელს ეს მოხსენება კრებულ „გალაპტიონოლოგია III“-შიც გამოქვეყნდა, სათურით „ფრთები და დიადემა“.

რა „კონკრეტული კუთხით მისცა გეზი“ შათირიშვილმა თემურაზ დოიაშვილის ვრცელ, საეტაპო გამოკვლევას, რომელიც ლიტერატურულმა საზოგადოებამ შათირიშვილის წიგნის გამოსვლამდე კარგა ხნით ადრე გაიცნო? იქნებ პირიქით მოხდა: მოხსენების შთაბეჭდილების ქვეშ მყოფმა ზაზა შათირიშვილმა გამოსაცემად გამზადებულ მონოგრაფიაში თავად ჩაიმატა სხვისი კუთვნილი იდეა „ნიკორწმინდაზე“, ანუ თვითონ მიიღო გეზიც და ორიენტაციაც, საკუთარი „ორიგინალობა“ კი ლექსის „ვით არ მიყვარდეს“ ასეურდული დამოწმებით გაამყარა?!

ახლა რაც შეეხება გალაპტიონის ნარცისისტულ რიტორიკას.

ზ. შათირიშვილის ლოგიკა შემდეგნაირად ვთარდება: „მე“, როგორც ერთადერთი, უნიკალური სხეული, მეფე-პოეტის ხატი, პოეტის დიდების ინგრიანტული მოტივი – აყალიბებს „ნამდვილი“ გალაპტიონის „ნარცისისტულ რიტორიკას“ და 1915-27 წლების პოეტიკას – ე.წ. „გალაპტიონის კანონს“ (შათირიშვილი 2004: 21) და ეს თურმე იმიტომ, რომ ლექსში – „გემი „დალანდი“ ვკითხულობთ: „მე მივდიოდი, მაღლა იდგა გემი „დალანდი“, / როგორც ნარცისი, თავის ლანდზე შეუვარებული; / ჩემი დაფნისთვის მიტაცებდა ლურჯი მან-დილი, / ქვეყნად მოვარეულ ზამბახებში შეფარებული“. „

დავაბრუნოთ „ნარცისი“ საკუთარ კონტექსტში, ვნახოთ, რა პოეტური იმაგინაციაა ლექსში და რა გაუგებრობა მოაქვს ნაწარმოებზე ტექსტისა და კონტექსტის შეუმოწმებლად, გაუზაზრებლად, ან მკითხველისთვის სიმართლის გაუმჯდავნებლად მსჯელობას, რასაც ზ. შათირიშვილი, როგორც სხვაგანაც ვნახეთ, ხშირად მიმართავს.

გამომაღვიძის დამის ალმა, ნელმა და ქურდმა,  
ბაღი ყელამდე ზამბახებით იყო ნაბური,  
ირგვლივ ეყარა დანგრეულთა ჩრდილთა ჩუქურთმა,  
ბაღს იქით მძიმედ ხმაურობდა ზღვა უდაბური.

მე მივდიოდი, მაღლა იდგა გემი „დალანდი“,  
შავი ზღვის ცაზე და ზეირთებზე შეფარებული;  
მე კი დაფნისთვის მიტაცებდა ლურჯი მანდილი,  
ქვეყნად მოვარეულ ზამბახებში შეფარებული.

ე.ი. დამით გადვიძებული პოეტი ბაღიძან ზღვისკენ  
მიემართება სამშობლოში გასამგზავრებლად. ნაპირიდან  
მოჩანს, რომ ზღვაში დგას გემი „დალანდი“, რომელსაც  
ირეკლავს წყლის ზედაპირი. ამის მხილველ პოეტს აგონ-  
დება ნარცისი – მითოლოგიური პერსონაჟი, რომელიც  
წყლის „სარკეში“ აღმოჩენილ საკუთარ გამოსახულებას,  
ლანდს დაინახავს და შეუყვარდება. ანუ აქ „ნარცისობა“  
მიემართება არა პოეტს, არამედ სხვას – გემს, რომელსაც  
იგი ასცქერის („მაღლა იდგა გემი „დალანდი“). ჩვეულებრივ,  
ნაპირზე, პორტში მყოფი ადამიანისათვის გემი მაღლა  
დგას, თუმცა, როგორც ო. კენჭოშვილმა შენიშნა, გემი  
„დალანდის“ მაღლა დგომას, შესაძლოა, მეორე პლანიც  
ჰქონდეს.

განა ლექსში ნახსენები დაფნა, როგორც დიდების გამ-  
ჭვირვალე სიმბოლო, რომელიც ოდითგანვე იტაცებს შემოქ-  
მედო, საკმარისია დასკვნისათვის, რომ აქ გალაკტიონის  
„ნარცისისტულ რიტორიკასთან“ გვაქვს საქმე და რომ ეს ეწ  
„გალაკტიონის კანონის“ ნიშანია!?

თუმცა თუ თავის მეოთოდურ წალდუნას მარჯვედ მოიხმარს,  
შათირიშვილს შეუძლია, აქ უფრო დიდი ბიბოზმითაც კი  
გაუხაროს გული მისით აღტაცებულ მკითხველებს, მა-  
გალითად, დააჯეროს, რომ ასცქერის რა გემ „დალანდის“  
– ნარცისს, გალაკტიონი ხდება ამ გემის ნარცისულობის  
თანახიარი, მგზავრობისას იგი უკვე, როგორც ნაწილი, მი-  
ემართება მთელს, ერწყმის მას და საბოლოოდ უკვე შეიცავს  
თავისთავში გემ-ნარცისეს...

მოკლედ, ვისაც სწადია, ამაზე უარესსაც უჯერებს და  
დაუჯეროს, ჩვენ კი არ უნდა დავიგიწყოთ, რომ მტკნარი  
ტყუილია შათირიშვილის მტკიცება, თითქოს გ. ტაბიძე აკაკის  
სიკვდილის მერე ირქმევს „გალაკტიონს“; ეს კი, თავის შერით,  
„აზრის“ განვითარების უფრო „მაღალ“ საფეხურზე ყალბ  
საფუძვლად ედება ყველაფერს და მათ შორის „გალაკტიონის  
კანონსაც“.

რაც შეეხება საკუთრივ გალაკტიონის „ნარცისისტულ  
რიტორიკას“, იქნებ საკვლევად საინტერესო საკითხიც იყოს,  
მაგრამ – არა ამ გზით.

\* \* \*

როგორც უკვე ბევრჯერ ვნახეთ, გალაკტიონლოგიაში და, ზოგადად, ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში „ახლის თქმის“ დაუოკებელი წყურვილი შათირიშვილის ამ წიგნში ხან უკვე ცნობილი აზრების, იდეების „ახალ ენაზე“ თარგმნით შემოიფარგლება, ძირითადად, ავტორების დაუსახელებლად, ხან სხვა ავტორთა აღმოჩენების პირდაპირი მითვისებით, ხანაც – ყოვლად დაუსაბუთებელი და უპასუხისმგებლო, დილექტანტური განცხადებებით, მაგალითად, ასეთით:

„1928-1958 წლებში „საკუთართან“ კონტაქტის დამყარებისა და „სხვის“ მისაკუთრების გალაკტიონისეული მცდელობა იმითაც გამოიხატა, რომ ის პირდაპირ აზრით აწარმოებდა ნამდვილ ტექსტოლოგიურ ომს საკუთარი ტექსტების წინააღმდეგ – ცვლიდა ატრიბუციას, ახალ ტექსტს აწერდა ძველ თარიღს და ა.შ. გარკვეული აზრით, მან მოიგო ეს „30-წლიანი ომი“ (1928-1958 წვ). მან გაიმარჯვა, რაღანაც „გადაწერა“ არა მხოლოდ წარსული, არამედ მომავალიც, მომავალ მქონევართა რეაქციები. მაგრამ „სხვამ“ ე.ი. დარჩენილმა ლიტერატურამ (და არა მხოლოდ ლიტერატურამ) საკმაოდ ორიგინალურად გადაუხადა მას სამაგიერო [...] „სხვა“ წერტილიდან გალაკტიონი არ იყოთხებოდა. ვთქვაო, როცა პასტერნაკი „უყურებდა“ ქართულ ლიტერატურას, გალაკტიონის ნაცვლად იქ ჩნდებოდა „ბრმა ლაქა“, ხოლო რუსულ „სხვა“ სივრცეში მას „ენაცვლებოდა“ ასევე „სხვა“ – მაგალითისთვის სიმონ ჩიქოვანი“ (შათირიშვილი 2004: 24).

გალაკტიონი საკუთარი ნაწარმოებების თარიღებს რომ ცვლიდა, არაერთგზის სწორებები რომ შეჰქონდა უკვე გამოქვეყნებულ ტექსტებშიც მთელი თავისი ლიტერატურული მოღვაწეობის მანძილზე (და არა მხოლოდ 1928-1958 წწ-ში), ცნობილზე ცნობილი ამბავია. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ეს სხვადასხვა მოტივითა თუ გარემოებით იხსნება. მკვლევარის მითითებული პერიოდი ამ მხრივ, მართლაც, მეტ მასალას შეიცავს, მაგრამ ამ მოვლენის მიწნევა გ. ტაბიძის მიერ წარმოებულ ნამდვილ ტექსტოლოგიურ ომად საკუთარი ტექსტების წინააღმდეგ – ხონსენსია. შემთხვევათა უმრავლეს ნაწილში გადათარიღებები და სხვა ტიპის კონიუნქტურული „სწორებები“ თუ რამეს ემსახურებოდა, ეს, უპირველესად, ტოტალიტარული რეჟიმის საფრთხისგან საკუთარი შემოქმედების, როგორც ერთიანი ტექსტის, და საკუთარი თავის გადარჩენა

იყო. ეს საკითხი კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით არაერთ მკვლევარს აქვს განხილული, სპეციალურად კი გაშუქებულია ბ. წიფურიას ნაშრომში „გალაკტიონის ტექსტი სწორ/მცდარ კონტექსტში“ (წიფურია 2004). თქმა, თითქოს გალაკტიონის მიერ განხორციელებული ტექსტოლოგიური ცვლილებები იყო მიზეზი იმისა, რომ როცა პასტერნაკი „უყურებდა“ ქართულ ლიტერატურას, გალაკტიონის ნაცვლად იქ ჩნდებოდა „ბრმა ლაქა“, უბრალოდ, ალოგიკურია. ამ გარემოებას ცხადი სოციალური მიზეზი ჰქონდა, რაზეც ჩანაწერებში საუბრობს თვალი გალაკტიონი და, მირითადად, ცისფერყანწელების, შემდგომში კი სიმონ ჩიქოვანის მისდამი არაკეთილგანწყობილი დამოკიდებულებით იყო გამოწვეული.

ტერმინი და, შესაბამისად, ხატოვანი გამოთქმა „ბრმა ლაქა“ კი ნიშნავს არა საგანს ან მოვლენას, რომელიც ჩვენი თვალთახედვის არეში ვერ ან არ ხვდება, არამედ ჩვენივე ხედვის აპარატზე – თვალის გუგაზე არსებულ, განსაკუთრებულ წერტილს, რომელიც ხედვის არეში მოქცეულ გამოსახულებას ვერ აღიძგამს. ეს კიდევ ერთი ნიმუშია იმისა, თუ როგორ ცდილობს ავტორი, ფუჭი რიტორიკა მოიშველიოს იქ, სადაც ლოგიკა დალატობს.

\*\*\*

ამჯერად მე მხოლოდ ხედვის გალაკტიონოლოგიური პუთხით მივუდექი ზახა შათირიშვილის წიგნს, რათა გამერკვია, რამდენად მნიშვნელოვანია იგი საქუთრივ აშ დარგისთვის, მაგრამ აღმოჩნდა, რომ შიგ მნელად თუ მოიძებნება გვერდი, სავსე რომ არ იყოს უარესზე უარესი კაზუსებით.

ერთგან, გალაკტიონის ოციანი წლების შემოქმედების ხსენებისას, ზ.შათირიშვილი წერს: გალაკტიონს ჯერ არა აქვს მკერდს მიღებული ქნარი, როგორც უნდაო, თითქოს იმ პერიოდამდე „არტისტული ყვავილები“ და სხვა შედევრები მის ნაცვლად ვინმე სხვას შეექმნას.

სამაგიეროდ, როგორც დავინახეთ, თვითონ აქვს მკერდს მიღებული საკუთარი რიტორიკა, როგორც უნდა და ეამება – სულ არ დაგიღევთ, აქვს თუ არა მეცნიერული საფუძველი და ლირებულება მის დაშვებებსა და იქიდან გამომდინარე დასკვნებს. მთავარია, მკითხველები დააბნიოს და გააოგნოს

თავისი „შთამბეჭდავი კონტექსტური თვალსაწიერით“, „მოულოდნელი (ანდა მოსალოდნელი) მიგნებებით“ შეუქმნას იღუზორული წარმოდგენა, თითქოს ზედმიწევნით დაუფლებია „თანამედროვე ლიტერატურულ პალევათა გაფართოებულ შესაძლებლობებსა“ და პალევის მეთოდებს, მოკლედ, ყველაფერს ერთად, რაც დღეს ასე სჭირდება არა მხოლოდ გალაკტიონოლოგიას, არამედ ქართულ ლიტერატურათმცოდნეობას.

ზ. შათირიშვილის მონოგრაფია სხვა არაფერია, თუ არა „მეცნიერული ეპატაჟი“, რომელიც ჩვენში დღემდე „ამბოხად თუ არა, ერთგვარ რევოლუციად“ საღდება.

### დამოწმებანი:

**დოიაშვილი 1984:** დოიაშვილი თ. გალაკტიონის პოეტიკის სათავეებთან. ჭავაშვილი. ქართული ლექსიტოლოგიის საკითხები. თბ.: თსუ გამომცემლობა, 1984.

**დოიაშვილი 2003:** დოიაშვილი თ. „არტისტული ყვავილების“ პროლოგი. // გალაკტიონოლოგია, II, 2003.

**დოიაშვილი 2008:** დოიაშვილი თ. „უცნაური ინტენცია“. // გალაკტიონოლოგია, IV, 2008.

**თვარაძე 1972:** თვარაძე რ. „გალაკტიონი“. თბ.: „ნაკადული“, 1972.

**ქენტრშვილი 1974:** ქენტრშვილი ი. „გალაკტიონ ტაბიდე და ევროპული ლიტერატურა“. თბ.: „მეცნიერება“, 1974.

**ქენტრშვილი 1999:** ქენტრშვილი ი. გალაკტიონ ტაბიდის სამყაროში. თბ.: 1999.

**ლომიძე 2009:** ლომიძე გ. ინტერტექსტუალური ანუ გლობალისტური პრიტიცა. წახნაგი, 1, 2009.

**შათირიშვილი 2004:** შათირიშვილი ზ. გალაკტიონის პოეტიკა და რიტორიკა. თბ.: „ლოგოს პრესი“, 2004.

**შათირიშვილი 2005:** შათირიშვილი ზ. „იამბიკო“ – „შაირი“ – „მუხამბაზი“: XVI-XVIII საუკუნეების ლიტერატურული ტრადიცია და რომანტიზმის პოეტიკა“. სჯანი, 6, 2005.

**წიფურია 2004:** წიფურია ბ. გალაკტიონის ტექსტი სწორ/მცდარ კონტენტში. // გალაკტიონოლოგია, III, 2004.

**ხინთიძე 1987:** ხინთიძე ა. გალაკტიონის პოეტიკა. თბ.: თსუ გამომცემლობა, 1987.

## გახტანგ ჯავახაძე

### ჩემი პირველი ცრემლი

(ციკლიდან: „ისევ გალაკტიონი“)

2010 წლის 9 აპრილს მტკვარზე, ქველ რიყებთან, ფეხით მოსიარულეთა შუშის ახალი ხიდი გაიხსნა. ხიდის იტალიული არქიტექტორი მიქელე და ლუკი მიესალმა თბილისელებს და ახსენა ვენეციის რიალტო, რომელმაც მე გალაკტიონის „ხიდი რიალტო მთის მდინარეზე“ გამახსენა. ეს ლექსი პირველად „ზარნიშაინ წიგნში“ დაიბეჭდა 1927 წელს, მაგრამ გალაკტიონმა რიალტო მთის მდინარეზე წარმოგვიდგინა და არა ვენეციაში.

ვენეცია მეცხრე საუკუნის დასაწყისში დაარსდა პატარა კუნძულების არქიპელაგზე, რომელსაც რიალტოს ეძახდნენ. მეცამეტე საუკუნეში მთავარ არხზე აიგო ერთადერთი ხიდი, რომელსაც აგრეთვე რიალტო ეწოდა (ამჟამად ვენეციაში ოთხასი ხიდია). ვინაიდან ხის ხიდი ხშირად ზიანდებოდა, მეოქვემდებარებულების საუკუნეში გადაწყვიტეს მისი შეცვლა კაპიტალური ნაგებობით. 1529 წელს ვენეციას მიქელანჯელო ეწვია და ახალი რიალტო დააპროექტა, მაგრამ, სამწუხაროდ, მისი ჩანაფიქრი ვერ განხორციელდა. შემდეგი ორი პროექტიც უარყვას. 1588-1591 წლებში კი აშენდა ახალი ხიდი, რომლის არქიტექტორიც გახდდათ ანტონიო და პონტი (პონტი იტალიურად ხიდს ნიშნავს). ახალი ხიდი ვენეციის სიმბოლოდ იქცა და ხელოვანთა საერთო ყურადღება მიიჰყორთ: მარტო ფრანჩესკო გვარდიომ დახატა მშობლიური რიალტო ოცდაცხრაჯერ და უნებლიერ გაგახსენა რეკორდი კაცუსიგა პოგუსაისა, რომელმაც ფუძიამას ას ოცდაექვსი პეიზაჟი დაგვიტოვა. იმავდროულად რიალტომ დანტეს ტერცინებიდან – შექსპირის პიესაში, შექსპირის პიესიდან – ბაირონის ოქტავებში, ბაირონის ოქტავებიდან – ოომას მანის ნოველაში იმოგზაურა და ბოლოს გალაკტიონის სტრიქონებში გამოგვეცხადა. გალაკტიონის ლექსში დროისა და სივრცის

გარეშე წარმოდგენილია „ლურჯი ზღვიდან“ ამობრძანებული უცნობი ქალბატონი, რომელსაც „სამი მოსამსახურე“ ნებიერ სხეულს უმშრალებს, ხოლო „მეოთხე მხევალი“ სურნელებებით სავსე ფეშეუმს აწვდის. მარჯვნივ სასახლეა და ხიდი „რიალტო“ მოჯადობულ სარკეში იცქირება. ვენეციის რიალტოს მახ-ლობლად მართლაც დგას პეზაროს პიაცო ანუ სასახლე, სადაც ამჟამად თანამედროვე ხელოვნების საერთაშორისო გალერეა შეგიძლიათ დაათვალიეროთ. მთაში „ლურჯი ზღვა“ მნელად წარმოსადგენია და ვენეციის რიალტო მართლაც აღრიატიკის ზღვის ყურეშია აგებული. არადა ლექსის სათაური და უკანასკნელი სტრიქონი – „და ძილს მიეცა ისევ მდინარე“ – მთებისკენ გვიწვევს.

რიალტო – იტალიურად მაღლობსაც ნიშნავს და კიბესაც. გასაგებია, რომ მთავარ ხიდს მაღლობზე ააშენებდნენ, რათა მარმარილოს მაღალი თაღის ქვეშ თავისუფლად გაეცურათ გონდოლებსა და გონდოლიერებს. იქნებ გალაკტიონმა მაღლობი მთად მიიჩნია და არხი მდინარედ წარმოიდგინა? მაშინ ჩვენ ვენეციაში უნდა დავრჩეთ და შორს არ უნდა გავიხედოთ.

სხვათა შორის, რიალტო აგრეთვე პატარა ქალაქია კალიფორნიის შტატში ამერიკის შეერთებული შტატებისა, მაგრამ ქალაქია და არა ხიდი.

გალაკტიონი არც ვენეციაში ყოფილა ოდესმე და არც იტალიის ალკებში და არც შტატებში. ალბათ ამიტომაც ეწინააღმდეგებიან მის სტრიქონებში ერთმანეთს ზღვა და მთა და მდინარე.

„ზარნიშაინ წიგნში“ რამდენიმე ჩაფიქრებული პოემის ფრაგმენტივით ლექსია შეტანილი და „რიალტოც“ თითქოს დაუწერელი პოემის ფრაგმენტსა პგავს.

„ვენეციური ხიდი“ კი გალაკტიონმა ორჯერ გაიხსენა 1948 წელს გამოცემულ კრებულში „ზღვა ახმაურდა“ – ლექსებში „იმ ვენეციურ ხიდეზე“ და „ომგადახდილი აფხაზი“, – მაგრამ ეს უკვე ის ვენეციური ხიდებია, რომლებიც საკუთარი თვალით იხილა მშობლიურ საქართველოში, და არა ვენეციის ხიდები.

მწირე ვარაუდი მომებალა: ხანგრძლივი საუკუნეების მანძილზე ვენეცია ხმელთაშუა ზღვის მნიშვნელოვან კომერციულ ქალაქ-რესპუბლიკას წარმოადგენდა, ხოლო რიალტო და მიმდებარე ტერიტორია მისი მთავარი სავაჭრო ცენტრი იყო და

„ვენეციელმა ვაჭარმა“ შექსპირიც კი დააინტერესა. ოოგორც მარტინ გარეტის ინგლისურენოვანი „ვენეციის ისტორია“ გვაუწყებს, ვენეციის ბაზრობაზე მონებითაც ვაჭრობდნენ და შორეული შავი ზღვის პორტებიდან ჩამოყვანილ მონებს შორის უმეტესობას ქართველები და სომხები შეადგენდნენ – მათი ნაწილი შემდეგ ეგვიპტეში გადაჰყავდათ. გალაკტიონის ლექსში განსხვავებულია „სამი მოსამსახურე“ და „მეოთხე მხევალი“. „მხევალი – ესე არს ქალი ნასყიდი, გინა ნამზიოთევი“, – ასე განმარტავს საბა და „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონიც“ ადასტურებს: „მხევალი – ნაყიდი ან ნამზიოთევი ქალი, ტყვე ქალი“. და ოპი გალაკტიონი „მხევალს“ თითქოსდა საგანგებოდ გამოყოფს, გავთამამდები და „მეოთხე მხევალს“ რიალტოს ბირჟაზე ნაყიდ ხვიჩა-მამელუკისა და რეზო-ვენეციელის დაიკოდ წარმოვიდგენ.

მსგავსი დილემის წინაშე გალაკტიონმა ბევრჯერ დაგვაყენა. მოდი, ერთი ეპიზოდიც გაგმითროთ: 1919 წელს ურნალში „სმარაგდი“ გამოაქვეყნა „ქარი არხევდა იტალიანური შობის ხეს ტრიპოლისში“. ტრიპოლისი – სამ ქალაქს ნიშნავს და საბერძნეთშია, მაგრამ არსებობს ლიბიის დედაქალაქი – ტრიპოლი და არსებობს ლიბანის პორტი, ტრიპოლი – და სამ ქალაქს შორის უნდა ავირჩიოთ ერთი.

ორმოცდარვასტრიქონიან ლექსში ვერავითარ მინიშნებას ვერ იპოვით და თუ სამი ქვეყნის ისტორიებს გადავავლებთ თვალს, არჩევანი ლიბიაზე უნდა შევაჩეროთ. 1913-1915 წლებში ლიბიელები იტალიელი კოლონიზატორების წინააღმდეგ აჯანყდნენ, 1918 წელს დამოუკიდებლობა გამოაცხადეს, ხოლო 1919 წელს აჯანყებული პარტიზანები ტრიპოლში შეიჭრნენ და მართლაც შავი ახალი წელი გაუთვენეს იტალიელებს.

ამ ვერსიას ეთანხმება გალაკტიონის 1924 წლით დათარიღებული უბის წიგნაკის ერთი რუსულ-ქართული ჩანაწერი:

– Итальянская елка в Триполи (პალმაზე ჩამოკიდებულია დახრმობილნი).

როგორც ამ რუსულ-ქართულიდან ჩანს, 1919 წელს პრესაში გამოქვეყნებულმა ინფორმაციამ თუ ილუსტრაციამ ააფორიაქა გალაკტიონი და მან თავისებურად განიცადა და გაიაზრა შემჩარავი სანახაობა: ცხედრებით დამძიმებული საახალწლო ნაძგის ხე!

პოეტი მაინც პოეტია: ერთ-ერთ ვარიანტში „შურისძიების ცოდვას“ ახსენებს და კითხულობს:

რა საჭიროა თაღები,  
თუ უგულოდ და ძალათ  
მშვიდობიანი ხალხი  
დაქმსგავსება ჯალათს?

ცხადია, იტალიელები დაენანა გადაკტიონს – რიალტოსა და ვენეციის აღმაშენებელი – მიქელანჯელოს თანამემამულენი. მაგრამ მან ჯერ კიდევ არ იცოდა, რომ ოთხი წლის შემდეგ ლიბიაში დაბრუნდნენ უპავ ფაშისტური იტალიის იტალიელები და რიალტოსა და ვენეციის აღმაშენებელმა – მიქელანჯელოს თანამემამულებმა – 1923-1929 წლებში მხოლოდ კორნაიკის ოლქში სიკვდილით დასაჯეს 4 ათასი და დახოცეს 142 ათასი ლიბიელი, ხოლო მრავალი ათასი გაასახლეს. ასე რომ, „შურისძიების ცოდვა“ ცალმხრივი აღარ აღმოჩნდა და თუ „თვითეულ ცოდვას – თვითეულ მისხლით“ დავთვლით, მოსულ მოძალადეს ვეღარც შევიძრალებო და ვეღარც გავამართდებო.

გადაკტიონის 1924 წლის ბლოგნოტში ჩაწერილია აგრეთვე ამ ელეგიის ორი გვიანდელი არასრული ვარიანტი „მე უშიშარი ლომი“ და „ვანტასტიური შობის ხე (იტალიანური შობის ხე ტრიპოლისში)“. არსებობს კიდევ ერთი ოთხსტროფიანი ნასწორები ვარიანტი – „დიდ ფანჯარასთან“. ეს ვარიანტები დამატებით აღარაფერს გვაუწეუბენ – გარდა ერთგან გადახაზული და გადაშლილი, მაგრამ მნელად გასამეტებელი და დასავიწყებელი ორად ორი სტრიქონისა:

არ მავიწყდება მაინც  
ჩემი პირველი ცრემლი.

## გურამ გოგიაშვილი

### ფერგალი: რა არის თუ ვინ არის?..

არა, რა არის კი არა, მგონი, ვინ არის? სინამდვილესთან ეს უფრო ახლოს უნდა იყოს. „ირგვლივ დამჭვნარია ფერი და ფერგალი“, – ამ სტრიქონზე და, კერძოდ, ფერვალზე დღემდე უკვე იმდენი დაიწერა, ეგების ერთი წიგნაკიც გამოვიდეს, და მე ვისი ტიკიტომარა ვარ, მაგრამ მაინც ვბედავ ჩემი მოსაზრების გამოთქმას იმ იმედით, რომ, რა იცი, ისეთ „უფსკრულებრ ღრმა“ პოეტთან გვაქვს საქმე, იქნებ ასეც იყოს. მით უმეტეს, თუ „ლექსი ლოგიური სილოგიზმი არ არის, რომ ყველაფერი ერთმანეთისგან მათემატიკური სიზუსტით გამომდინარეობდეს“ (დ. წერედიანი). და თუკი ისევ ამ ციტატის ავტორს მოვიშველიებ, „ამ პერიოდის გალაკტიონი... უფრო წიგნითა და საკუთარი ფარგაზმებით შთაგონებული პოეტია, ვიდრე გარემომცელი სინამდვილით... სიმბოლიზმის პოეტიკაშ მასზე ღრმა გავლენა მოახდინა და მისი მრავალი და მრავალი ლექსი სიმბოლისტურ განწყობილებათა წიაღიდან იშვა“. სწორედ ასეთი „ბუნდოვან ასოციაციათა მწკრივის“ ლექსით „საუბარი ელგარზეც“ და „ამგვარი ლექსის აზრობრივი ინტერპრეტაცია ყოველთვის სათუო საქმეა“.

სხვა რა გზაა, რახან გავტედე, უნდა მივყვე კიდეც ამ „სათუო საქმეს“.

მაშ, აბა, ერთხელ კიდევ გავიხსენოთ ეს „საუბარი ელგარზე“, როგორც „დიდი ინფორმაციით კოდირებული ტექსტი“ (მ. შელეგია), რათა იქნებ ფარსაგად წაგვადგეს პოეტის მიერ გამოცანად ქცეული სიტყვის გამოცნობაში, რამეთუ „სიტყვა მარტო ის კი არ არის, რასაც გამოხატავს, არამედ ასოციაციათა ის კომპლექსიც არის, რასაც ის იწვევს...“

ლანდებს სასახლეში მხოლოდ მაშინ ელი,  
როცა საუბარი ედგარ პოეზეა!  
აჩრდილს თანაზიარს მარად საშინელი  
დასდევს განწირულთა შავი პოეზია.  
ხშირად მაგონდება: ფოთლებშემოცლილი,  
სახემიბნედილი ქალის მწუხარება!  
მთვარით დაბურული, მთვარით შემოსილი,

მოვარით დაძონბილი ოხვრა... შეყვარება!  
 (რად ხარ უცხოეთში? მე შენ გელოდები!)  
 მოვა შუალამის ბექლი სტუმარივით...  
 სანთლებს გაანელებს, დარბაზს დააბნელებს,  
 მიდის საგარელთან სხვაგვარ მდუმარებით.  
 უცხო მხარეები იგრძნეს ხომალდებმა,  
 ფარდა შეირხევა, როგორც ყრუ ფოთოლი.  
 კოშკთა სიმაღლიდან რეკავს მოლანდება,  
 ცივი უდაბნოა დამე უშფოთველი,  
 თანაც გაიხედავ: შენაც დადამდები –  
 ირგვლივ დამჭერია ფერი და ფერვალი;  
 ასეთ სანახვად – როგორც თანამდები,  
 ბაღში შეშლილივით კვდება თებერვალი!

ზოგიერთის ვარაუდით, სიტყვა „ფერვალი“ გალაპტიონური ნეოლითშია (მ. ალაგიძე), ხოლო ზოგი ფიქრობს, რომ „საყრდენი ტაქტის სარითმო სიტყვისა და, საერთოდ, ლექსის ეფორნის მოთხოვნით ფონის შემქმნელ სტრიქონში ხშირად ჩნდება აზორბივად არცთუ მაინცდამაინც ნათელი და შესატყვისი სიტყვა“ (ალ. ფოცხიშვილი). აქაც ისევ სიტყვა „ფერვალზეა“ ლაპარაკი. არის კიდევ აზრი, თითქოს „ფერვალი“ გალაპტიონის მიერ შემოთავაზებული ტერმინია და შეიძლება რომ მოჭარბებულ ფერს აღინიშნავდეს და ეს „იდუმალი ფერი თუ ფერვალი, პერი თუ ეშნი, ვარაყი თუ შარაგანდია“, რომლისთვისაც სახელი ვერ დაურქმევიათ (ვ. ჯავახაძე). ამის დაწერისთანავე ჩვენი ენის ერთი ფრიად კითხული კაცის დაკვირვება წამომაგონდა: „ძნელია ასეთი დიდი შესაძლებლობების მქონე სხვა ქართველი პოეტის დასახელება, რომელსაც ასე ცოტა ეფიქროს ახალი სიტყვების შეოხებაზე. ასეთი სიტყვები გალაპტიონ ტაბიძის ლექსებში საქებარია“ (ივ. გიგინეიშვილი).

როგორც თავშივე ვთქვი, საძებარ სიტყვათაგან ერთ-ერთის „კვლევაში“ ჩართვა იმან გამაძევდვინა, რომ „ფერვალის“ „მფერავთან“ დაკავშირების გამო მაშინვე ითქვა: „ეს ლიტონი განცხადებაა, რადგან სრულიად გაუგებარია, ვინაა თუ რაა ან როგორაა დამჭერი ის, ვინც ფერავს, გამფერავი“ (თ. დოიაშვილი). ჩემი აზრით, ასევე საეჭვო უნდა იყოს „ფერვალის“ სიტყვა „ფერვანიდან“ წარმომავლობა (ალ. ფოცხიშვილი). მაგრამ რახან ითქვა „გინააო“, მარტო „რა არის კი არაო“, ეს ერთგვარი ბიძგი გახდა იმისთვის, რომ „ფერვალში“ დამენახა მავანი სულიერი, მოსული „შუალამის ბექლი

სტუმარივით“ და „ფოთლებშემოცლილი“, ანუ დამჭკნარი... არადა რატომაც არა, უკეთუ „ლექსი ლოგიკური სილოგიზმი არ არის და ყველაფერი ერთმანეთისგან მათემატიკური სიზუსტით არ გამომდინარეობს“... როგორი წარმოსადგენია თანამდები ანუ მოვალე თებერვალი, ვიღაცისგან სესხადებული, რომელიც „ფოთლებშემოცლილ, დამჭკნარ ფერვალთან“ ერთად ბაღში შეშლილივით კვდება?!

ეს ლექსიც, როგორც ბევრი სხვა, მართლაც „იდუმალ, გაუხსნელ მინიშნებათა პრინციპზე აგებული“ (დ. წერედიანი), რის გასაძებიც უთუოდ და უმთავრესად ფრანგულ სიმბოლიზმის პოეტიკაში უნდა ვიპოვოთ, რომლისთვისაც უცხო არ არის ლექსის არც „სემანტიკურ-ასოციაციურობა და არც ინტეგრალურობა“ (მ. კვესელავი). და რადგან „გალაკტიონმა უმაღლეს მწვერვალზე აიყვანა იდეის განფენის ხელოვნება, ქვეტექსტისა თუ ნართაულობის გამოყენების ოსტატობა... არა მხოლოდ კონკრეტულ ნაწარმოებს, არამედ ცალკეულ სიტყვებსაც სიმბოლური დატვირთვა ეძლევა“ (ნ. ტაბიძე)... და, ბუნებრივია, „მკითხველი, რომელიც შეძლებს ამ სიტყვების გაშიფვრას, თვითადმოჩენიდან მომდინარე ტკბობით გაითანგოს...“ მეც დიახაც ასეთი „გათანგული“ მკითხველის მდგომარეობაში ვარ...

მაშ, რა არის კი არა, ვინ არის ფერვალი? აქ ჯერ იმ ბრძენ ფრანგთ მოვიშველიებ, რომელთა აზრიც, ზოგადად, ჩემს ვარაუდს ერთგვარად ამყარებს. ერთი წერს, რომ „სიმბოლიზმი სხვა არა არის რა, თუ არა აზროვნების რიტორიკული თეორია, სისტემის რანგში აყვანილი აზროვნება“ (პოლ ვალერი), ხოლო მეორის გაგებით, „არც სიცხადე და არც სიზუსტე ლექსში აუცილებელი არ არის“ (ანდრე მორუა). ეჭვმეუგალი აზრია ისიც, რომ ადრეული გალაკტიონი უფრო წიგნით შთაგონებულია, რასაც აშკარად მეტყველებს თუნდაც „არტისტული ყვავილები“ (1919 წ.), რომლის სამყაროც ღრმად რომანტიკულია, სადაც „პოეტმა მინიშნებების, ნიუანსებისა და ასოციაციების საშუალებით იშვიათი უშუალობითა და სილამაზით აამეტყველა თავისი დროის ადამიანის ყველაზე ფაქიზი განცდები“ (რ. თვარაძე). ერთი ამ ადამიანთაგანი კი, ცხადია, თავად პოეტი იყო და აკი შემჩნეულია კიდეც, რომ „გალაკტიონ ტაბიძის ლირიკაში ელავენ უცხოელი პოეტების, მხატვრებისა და ნაწარმოებთა პერსონაჟების სახელები“, რაც ამ ლირიკას ფართო ფილოსოფიურ კვარცხლბეკზე აყენებს

(გრ. კიქნაძე)... ისიც შემჩნეულია, რომ გზადაგზა, აქა-იქ გა-  
ლაგტიონი „ახსენებს „ტრიანონს“, „თეთრ შადრევნებს“, „ვერ-  
სალის ბროლს“ და უმაღლ გადავჭირო ბაროკოსა და კლასი-  
ციზმის ხანაში“ (ე. კვიტაიშვილი).

როგორც „არტისტულ უვავილებამდე“, ისე თვით ამ კრე-  
ბულში და სხვაგანაც, მართლაც, არცთუ იშვიათია ასეთი  
სტრიქონები: „ვით სამოთხიდან ალიგიერი, მე ჯოჯოხეთით  
ვარ დაფარული...“ „ხშირად ვიგონებ ვერლენს“, „იყო შარლ  
ბოდლერი...“, „გადავშლი ბოდლერს...“, „გადმოვიდებ მიუ-  
სეს წიგნს“... დროდადრო ჩნდებიან გოტიკ, რენე, ვერპარ-  
ნი („დროის ახალი დანტე“), პოეზე ხომ აღარაფერს ვამ-  
ბობ, რომელიც ესოდენ ხშირი სტუმარია გალაკტიონისა  
და მისტიკიზმის გარდა, ასოციაციებითაც ხუნძლავს („როცა  
მტრობაა და ედგარობა...“), აღარაფერს ვამბობ ტვენზე („შენ  
კითხულობ ტვენს“), დიკენსზე („დიკენსის გმირივით ცეცხლ-  
თან ჩაფიქრება...“); და განა ხან ჩვენდა უნებურად არ წამოგ-  
ვაგონდება ხოლმე: „მასში მრავალი იყო შოპენი და პაგანინი  
ფანტასტიური“, „ვიგონებ რა იმ მიქელანჯელოს, არ არის  
ძნელი მოების დადნობა...“ ანდა: „მოსვლა ფერების: ვერონე-  
ზი და ტიციანი და ნიალვარი...“ „და წვალ ქარში, როგორც  
მოცარტი...“ „და ვან-დეიკის ლანდებივით მწვანდება დამე...“  
„ოველმა სილას მიანება ნოვალისის უვავილი... პეტელი-  
სა თუ შოპენიაზრის და სხვა სიბრძნისმეტყველთა ხსენებას  
აღარ შევუდგები...“

მაგრამ უცხოელი ავტორების ნაწარმოებთა პერსონაჟებ-  
ზე ორიოდე სიტყვით აუცილებლად უნდა შევჩერდე, რადგან  
ჩემი ვარაუდი, რომელმაც „ბუნდოვან ასოციაციათა მწკრი-  
ვი“ უნდა გამარღვევინოს, დასტურ აქეთ მიდის („აგერ, შე-  
მოდგომობის ცივი გრძნობა ამდორებს, უმძიმესი ტომების  
გენიალურ ავტორებს“).

ვფურცლავ გალაკტიონის ლექსებს:

ამაოა მთლად ცხოვრება, დრტვინვის წუთისოფელია,  
წადი... წადი მონასტერში, მონასტერში, ოფელია!

\*

მაგრამ დიმილი გაიტაცეს ჩემი გულიდან,  
როგორც ლუგრიდან გაიტაცეს შორს ჯიოკონდა..

\*

და ჩვენს საოცარ გზაზე, ლენორა,  
რტოებს ტირილით ამტვრევდა ქარი.

\*

მე სხვა ქალებს ვერ დავემალები,  
მათში ბევრია პროზა, ქრონიკა,  
მაგრამ სხვა იყო შენი თვალები  
და შენი კოცნა... ო, ვერონიკა!

\*

რად დაგვავიწყდა  
ძველ ნაგრევებზე ძველი ნავარდი,  
და პაგალი პატარა ქალი,  
სახელად ემბა.

\*

ჩვენ ვიგონებდით გოტიეს გმირ ქალს,  
ქალიშვილს ლამაზს, მადლენ დე მოპენს,  
რომლის წარიალა და უდარდელ ხმას  
რომანტიული ჟღერა მიმოფენს...

სანამ 1939 წელს ქეთევან ირემაძის მიერ თარგმნილ პრე-  
ოს „მანონ ლესკოს“ ცნობილ ლექსს წააწერდა, გალაკტი-  
ონს ათზე მეტი წლით ადრე აქვს დაწერილი:

მე კი, მოლოუბლულ დღით მოწყენილი,  
ავიღებ მანონს, სადაც ზონარად  
მჭენარი აღლოე არის შთენილი  
უკეთეს დროთა მოსაგონარად.

კიდევ უფრო ადრინდელია ეს სტრიქონები:

უცებ გაჩნდა ტრიანონის  
კოშკში გულის ნდომანი,  
დე-გრიესა და მანონის  
სევდიანი რომანი.

ამავე ხანებში გალაკტიონმა დორიან გრეიც გაიხსენა:

ამ დღეებს მისდევს ჩუმი განდობა,  
ფერფლები თვალთა ბანოვანება  
და ასე მჭენარი ახალგაზრდობა  
ნუთუ არავის არ ენანება?  
პაერში ოხრავს ფოთოლთა ჩრდილი,  
სწუხს ლაჟვარდების მსუბუქი ქაფი  
და შემოდგომის გზებზე დაღლილი  
მიღიან გრეი და ზეინაბი.

გოტიესაგან განსხვავებით („ჩვენ ვიგონებდით გოტიეს გმირ  
ქალს / ქალიშვილს ლამაზს, მადლენ დე მოპენს“), გალაკტი-

ონი ოსკარ უაილდს, როგორც „დორიან გრეიის პორტრეტის“ ავტორს, არ ასახელებს. პოეტი არც იმას ამბობს, ვინ არის, ვისი ნაწარმოების პერსონაჟია ზეინაბი. და უკეთუ ახალგაზრდობა შეიძლება რომ იყოს მჭკნარი, უკეთუ ახალგაზრდობა შეიძლება რომ დაჭკნეს, რატომ არ შეიძლება, რომ ბუნების ნაირ-ნაირ ფერთან ერთად უკვე ახალ დროში დაჭკნეს ყალბი სიყვარულის ბადით გულუბრყვილო თაყვანისმცემლებზე მონადირე ახალგაზრდა ქვრივი ქალიც, რომლისთვისაც მწერალს ფერვალი დაურქმევია, ხოლო პოეტს ედგარ პოს „განწირულთა შავი პოეზია“ ახსენებს ასოციაციურად, რაც ესოდენ დამახასიათებელია და ბუნებრივია „არტისტული ყვავილების“ ავტორისათვის.

**ფერვალი**, „მანონ ლესკოს“ ავტორის თანამედროვე ფრანგის, არცთუ აგრერიგად ხელწამოსაკრავი მწერლის – მარიონეს (1688-1763) ერთ-ერთი რომანის („იდებლიანი გლეხის“) პერსონაჟია, რომელსაც უთუოდ იცნობდა ყოველივე ფრანგულით და, კერძოდ, ძველი და ახალი ფრანგული სიტყვიერებით გატაცებული ახალგაზრდა გალაკტიონი. თანაც, სხვა არა იყოს რა, ფერთან კეთილხმოვნად შეწყვილებული ფერვალი ფრიად შებუნებებულია „არტისტული ყვავილების“ არცთუ მცირე დოზის „იდუმალებით კოდირებულ პოეტიკასთან“. რაც შეეხება მარიონს ცნობას, თუკი პრევოს იცნობდა, რატომ არ შეიძლება რომ გაღაკტიონს მარივოც სცნობოდა და სახელი ამ მწერლის საქმარისად გახმაურებული პერსონაჟისა (უკვე უამგასულისა, რაც ტექსტის მდინარებაშიც აგრე ჩანს) თავისი სათქმელის „გასაფერადოვნებლად“ მოვარგებინა?.. მით უმეტეს, თუ როგორც თავადვე ამბობს, „იისთვის ეძებს იისფერ სიტყვებს და ცისფერ სიტყვით ეძებს ციაგებს“... ანდა, უკეთუ „დაათრობს მთვარე თოვლიან ალვებს ივლისისფერი ყინვის თასებით...“ და თუ სადღაც შორს მუსიკა კითხულობს: „ვინ არის ეს ქალი, ვინ არის ეს ქალი, ასეთი ცისფერი?“ და „შემოღომის გზებზე დაღლილი“ ერთად მიღიან ინგლისელი გრეი და ქართველი ზეინაბი, ხოლო ამ დროს „პაერში ოხრავს ფოთოლთა ჩრდილი, / სწუხს ლაქვარდების მსუბუქი ქაფი“, ასეთ ვითარებაში არც აღამიანის დაღამება მეჩვენება შეუძლებლად და არც თუ „ირგვლივ დამჭკნარია ფერი და ფერვალი“, არც კიდევ თუ „ბაღში შეშლილივით კვდება თუ ბერვალი“...

ერთი კია – გონებით გაღაკტიონის წვდომა ნამდვილად შეუძლებელია, ალბათ, მხოლოდ შეგრძნებაა შესაძლებელი.

## ლევან ბრეგაძე

### რა ახშობს „გონების კარს“?

#### ა. სიმბოლიზმის ესთეტიკური პრინციპი

2000 წელს როდანდ ბურჭულაძემ მეორედ გამოსცა თავისი წიგნი „მხოლოდ ინტეგრალები...“, რომელიც გალაგირინ ტაბიძის სიმბოლისტური ლექსების გენეტიკურ საწყისთა გარკვევას ეძღვნება (ქვემოთ ამ გამოცემას დავიმოწმებთ). პირველად იგი 1980 წელს დაისტამბა. ჩვენ მას გამოვეხმაურეთ თეომურაზ დოიაშვილის თანაავტორობით დაწერილი კრიტიკული რეცენზიით, რომელიც ჯერ აღმანახ „კრიტიკაში“ დაიბეჭდა (1982, №1), ხოლო შემდეგ ის შევიტანეთ ჩვენს ერთობლივ კრებულში „დაკარგული გასაღების ძიებაში“ („მერანი“, 1985. ქვემოთ ამ გამოცემას ვიმოწმებთ). „მხოლოდ ინტეგრალები...“-ს მეორე გამოცემას ერთვის რ. ბურჭულაძის საპასუხო წერილი სათაურით „მომაკვდავი ადამიანის ფანტასტიკური ხილვების“ შესახებ“, რომელშიც იგი ცდილობს დაამტკიცოს, თითქოს ჩვენ ვერ გავიგეთ ან თვითნებურად გადავაკეთოთ მისი და ზოგიერთი სხვა ლიტერატურაომცოდნის მოსახრებები და ისეთი რამ მივაწერეთ მას და რამდენიმე ცნობილ მკვლევარს, რაც მათ არ უგულისხმიათ. ციტატა:

„რეცენზენტები არა მარტო ჩვენს ტექსტს ვერ იგებენ, არა მარტო ჩვენი ტექსტის შინარსს ცვლიან თავიანთი მიზნების შესაბამისად, არამედ ასევე ექცევიან ვერპარნის, ივანოვის, მეტერლინკის ნაწერებს“ (გვ. 321).

სხვა ადგილას გითხულობთ: „...არავის არა აქეს უფლება ჩვენი თვალსაზრისი თავის ნებაზე ისე გადააკეთოს, როგორც ამას რეცენზენტები სჩადიან: „რ. ბურჭულაძე არაერთხელ აცხადებს, რომ დღემდე პოეზიის მეცნიერული შესწავლისთვის ოურმე ვერავის მოიცალა“. ასეთი აბსულული მტკიცება ჩვენ არასოდეს მოგვხვდია აზრად (...). კიდევ უფრო საინტერესოა ის გარემოება, რომ რეცენზენტებს ეს დასკვნა გამოაქვთ ჩვენი

სიტყვებიდან: კველა ქვეყნის ლიტერატურათმცოდნეობისათვის სიმბოლიზმი ჯერჯერობით კვლავ „ოეთო ლაქას“ წარმოადგენს“ (გვ. 291. ხაზგასმა ჩვენია. – ლ. ბ.).

არა, მისი ამ სიტყვებიდან არ გამოგვაქვს ეს დასკვნა. ეს დასკვნა გამოგვაქვს მისი იმ სიტყვებიდან, რომლებიც წინ უძღვის ჩვენს კომენტარს:

„ჩვენ არ ვიცით, დოქტორ მეიზლიკს მიეცა თუ არა შემთხვევა იაროსლავ ნერადთან ხელმეორე ვიზიტისათვის, მაგრამ ვიცით, რომ პოეზიის მეცნიერული შესწავლის დრო უკვე დადგა“ (რ. ბურჭულაძის წიგნი, გვ. 32; ჩვენი რეცენზია, გვ. 41).

ხაზგასმული სიტყვების პარაფრაზია ის ჩვენი მსჯელობა, რომელსაც რ. ბურჭულაძე ასხურდულს უწოდებს!

იქნებ პარაფრაზირებისას მისი ნათქვამის აზრი დავამახინჯეთ? არა გვგონია! რომ წაიკითხავ, „მაგრამ ვიცით, რომ პოეზიის მეცნიერული შესწავლის დრო უკვე დადგა“-ო, აქედან განა იმ დასკვნას არ გამოიტან, რომ დღემდე პოეზიის მეცნიერული შესწავლისთვის თურმე ვერავის მოუცლია?

რაც შეეხება მის დებულებას, თითქოს „კველა ქვეყნის ლიტერატურათმცოდნეობისათვის სიმბოლიზმი ჯერჯერობით კვლავ „ოეთო ლაქას“ წარმოადგენს“, ამის საწინააღმდეგოდ ჩვენ გწერდით:

„ბევრი ლიტერატორი იზიარებს იმ აზრს, რომ სიმბოლისტური ლექსი ლექსის სპეციფიკური სახეა, რომელსაც კონკრეტული შინაარსი არ გააჩნია და რომ სიმბოლისტურ ლექსში კონკრეტული შინაარსის ძებნა სალექსო კონსტრუქციის დანგრევით, ლექსის განადგურებით დამთავრდება“ (გვ. 42).

ო, როგორ გვაიცხავს ამის გამო! მოუსმინეთ:

„რაც შეეხება იმ თვალსაზრისს, რომ თითქოს „სიმბოლისტურ ლექსში კონკრეტული შინაარსის ძებნა სალექსო კონსტრუქციის დანგრევით, ლექსის განადგურებით დამთავრდება“, არასერიოზულობის კლასიკურ მაგალითად უნდა ჩაითვალოს“ (გვ. 294. – ხაზგასმა ჩვენია. – ლ. ბ.).

სიმბოლისტურ ლექსში კონკრეტული შინაარსის ძებნის ამაოების თაობაზე რომ ვლაპარაკობთ, იური ტინიანოვის შეხედულებას ვიზიარებთ, იქვე ვიმოწმებთ მის სიტყვებს: „საინტერესოა მკითხველი საზოგადოების დამოკიდებულება ადრეულ სიმბოლისტთა და ადრეულ ფუტურისტთა „უაზრობისადმი“. „მოჩვენებითი სემანტიკის“ გამოყენება გაგებულ იქნა, როგორც გამოცანათა შემოთავაზება. სიტ-

ვებს, მნიშვნელოვანთ არა ძირითადი, არამედ მერყევი ნიშან-თვისებებით ცდილობდნენ მიღომოდნენ სწორედ ამ ძირითად ნიშანთვისებათა თვალსაზრისით. ამასთანავე, საღექსო სემანტიკის განსაკუთრებული სისტემა შეიმუცნებოდა სემანტიკის კომუნიკაციურ სისტემად, ე. ი. თანმიმდევრულ ნგრევას განიცდიდა“.

გირეორებთ: ჩვენს სიტყვებს სიმბოლისტურ ლექსში კონკრეტული შინაარსის ძებნის ამაოების თაობაზე იქვე, ორწერტილის შემდეგ, მოსდევს ი. ტინიანოვის ეს ციტატა, რაც ნიშნავს, რომ ჩვენი სიტყვები ამ ციტატის პარაფრაზია, ანუ, ბურჭულაძის შეფასება, ეს თვალსაზრისი „არასერიოზულობის კლასიფიცირ მაგალითად უნდა ჩაითვალოს“-ო, არსებითად ი. ტინიანოვის შეხედულებას მიემართება! ისე უკლის გვერდს რ. ბურჭულაძე იური ტინიანოვს, თითქოს მისი ხსენებაც არ იყოს ახლომახლო! მის აზრს ჩვენ მოგვაწერს და არასერიოზულობის კლასიფიცირ მაგალითადაც აცხადებს მხოფლიო რანგის ლიტერატურათმცოდნის დაკვირვების შედეგს!

რეცეზიაში, ცოტა ქვემოთ, ჩვენ კვლავ განვმარტეთ, რატომ არ შეიძლება სიმბოლისტურ ლექსში კონკრეტული შინაარსის ძიება:

„საქმე ის გახლავთ, რომ სიმბოლისტურ ლექსს თავისებური ფუნქცია აკისრია, რაც იმაში მდგომარეობს, რომ მან ჟიოთხველს ირაციონალურ, არაამქეცენიურ, „ზერეალურ“ სამყაროსთან მიახლების შთაბეჭდილება უნდა შეუქმნას. ამას კი ლექსში კონკრეტული შინაარსის ჩადებით, რა თქმა უნდა, ვერ მივაღწევთ. სიმბოლისტური ლექსის მიზანია ჟიოთხველი მოწყვიტოს რეალურ, მისთვის ნაცხობ სამყაროს და იდუმალების ბურუსით მოცულ „ქვეყანაში“ გადაისროლოს იგი. (...) ხოლო რა მოხდება, თუკი შევეცდებით და ზოგჯერ ნაძალადევად „მოვახერხებთ“ კიდეც სიმბოლისტურ ლექსში კონკრეტული შინაარსის „ამოცნობას“? ასეთ შემთხვევაში, როგორც ი. ტინიანოვი აღნიშავს, სიმბოლისტური საღექსო სემანტიკის განსაკუთრებული სისტემა განადგურდება“ (გვ. 43).

მას შემდეგ, რაც ლიტერატურათმცოდნები ამას მიხვდნენ, აღარავითარ „ოთორ ლაქას“ სიმბოლისტური პოეზია აღარ წარმოადგენს.

„ოთორ ლაქად“ იმას ვერ ჩავთვლით, სიმბოლისტური ლექსი რომ „გაუგებარია“, რომ მას ლოგიკური შეუდწევლობა ახასიათებს. ეს ასეც უნდა იყოს, ეს ამგვარი ლექსის

სპეციფიკაა.

სიმბოლისტური ლექსის ეს თავისებურება ემილ ვერპარნმა ხატოვანად ასე გამოთქვა: „სიმბოლიზმი უზარმაზარ ალგებრას წარმოადგენს, რომლის გასაღები დაკარგულია“.

ვერპარნის ამ გამონათქვამს რ. ბურჭულაძეც იცნობს, ოდონდ ცდილობს სათავისოდ გამოიყენოს იგი. რ. ბურჭულაძე იმოწმებს მას იქ, სადაც თავისი მეთოდოლოგიის მათვატიკასთან კავშირზე ლაპარაკობს (მისი აზრით, „გალაკტიონის ლექსების და მათ გენეტიკურ საწყისებს შორის მსგავსების ან იგივეობის ნიშნის დასმა ლაიბნიცის პირველ კანონს ემორჩილება და კვლავ მათემატიკის სფეროს განეკუთვნება“. – გვ. 60), მაგრამ იმოწმებს ამ ქვეწყობილი წინადაღების მხოლოდ პირველ ნახევარს და მკითხველს უმაღავს ერთიანი აზრის შემცველი ფრაზის იმ ნაწილს, რომელიც მას ხელს არ აძლევს. კერძოდ, იგი წერს:

„ყოველივე ამას შეგვიძლია დავუმატოთ ემილ ვერპარნის სიტყვები, რომ „სიმბოლიზმი უზარმაზარ ალგებრას წარმოადგენს“ (იქვე).

ამ მანი პულაციის შემდეგ რ. ბურჭულაძე ვერპარნს სწორედ იმის საწინააღმდეგო აზრს მიაწერს, რისი გამოხატვაც პოეტს უნდოდა.

ვერპარნის ეს გამონათქვამი ჩვენ ასე გვესმის: „სიმბოლისტური ლექსის „ამოხსნა“, მასში კონკრეტული შინაარსის ამოცნობა შეუძლებელია“ (გვ. 43).

რ. ბურჭულაძის სიტყვით კი, „რეცენზენტები არა მარტო ჩვენს აზრს ვერ იგებენ, არა მარტო ჩვენი ტექსტის შინაარსს ცვლიან თავიანთი მიზნების შესაბამისად, არამედ ასევე ექცევიან ვერპარნის, იგანოვის, მეტერლინკის ნაწერებს“ (გვ. 321).

ანუ ჩვენ ვერპარნის გამონათქვამის აზრი ჩვენი მიზნების შესაბამისად შეგვიცვლია, თორემ იქ თურმე სულ სხვა რამ იგულისხმება. (კურიოზულია, რომ ამას ის გვაძრალებს, ვისაც ვერპარნის ერთიანი აზრის შემცველი სხარტი გამონათქვამის შუაზე გაწყვეტა მოუხდა, რათა ის საკუთარი შეხედულებისთვის მიესადაგებინა! აქ ჩვენი ოპონენტი „ჩემი შენ გითხარიოს“ პრინციპით მოქმედებს!).

ვნახოთ, მარტო ჩვენ გვესმის ასე ვერპარნის ეს ფრაზა? „მოკლე ლიტერატურული ენციკლოპედიის“ სტატიაში „სიმბოლიზმი“ კითხულობთ:

„მაგრამ ვერპარნისთვისაც, რომელიც გვიან მივიდა

სოციალურად დატვირთულ (насыщенный) პოეზიასთან, სიმბოლიზმის ესთეტიკურ პრიციპად რჩება ლოგიკური შეუდღევლობა (логическая непроницаемость): სიმბოლიზმი „უზარმაზარ ალგებრას წარმოადგენს, რომლის გასადები დაკარგულია“ („მოკლე ლიტერატურული ენციკლოპედია“, ტ. 6. მოსკოვი, 1971, სვ. 833. ხაზგასმა ჩვენია. — ლ. ბ.).

ამ ამ „ლოგიკური შეუდღევლობის“ დაძლევას ცდილობს ბურჯულაძე მათემატიკის კანონებით, რაც სიმბოლისტური ლექსის „სალექსო კონსტრუქციის დანგრევით, ლექსის განადგურებით“ (ი. ტინიანოვი) მთავრდება, ვინაიდან, როგორც ლიტერატურული ენციკლოპედიის სტატიდან ზემოთ მოყვანილ ციტატაში წერია, „ლოგიკური შეუდღევლობა“ სიმბოლიზმის ესთეტიკური პრიციპი ყოფილა.

### ბ. „გრაალს შევედრები“

გავიხსენოთ გალაკტიონის „მზეო თიბათვისა“:

მზეო თიბათვისა, მზეო თიბათვისა,  
ლოცვად მუხლმოყრილი გრაალს შევედრები.  
იგი, ვინც მიყვარდა დიდი სიყვარულით,  
ფრთხით დაიფარე ამას გვევდრები.

ამ აშკარად სიმბოლისტური ლექსის „კონკრეტული“ შინაარსის ამოხსნისას ბურჯულაძეს ასეთი შეცდომა მოუვიდა: „შევედრები“, რაც ნიშნავს — „დავიქმნავსები“, წაიკითხა როგორც „შევავედრები“, და ჩათვალა, რომ ამ ლექსში ლოცვა-ვედრება გრაალისადმია მიმართული, მაშინ, როცა ლირიკული ლექსის გმირის ლოცვა მიმართულია მზისადმი, გრაალზე კი მხოლოდ ის არის ნათქვამი, გრაალს შევედრები, დავიქმნავსებიო. ეს შეცდომა აშკარაა მისი კომენტარიდან:

„...ლექსი ლოცვებინის ლოცვას წარმოადგენს და, რადგანაც ლოცვრინი გრაალის ორდენის რაინდია, ლოცვა გრაალისადმია მიმართული („...გრაალს შევედრები“). (გვ. 79. ხაზგასმა ბურჯულაძისეულია).“

ახლა აცხადებს, „შევედრები“ და „შევევედრები“ ერთმანეთში არ ამრევია, „გრაალს შევედრები“ გალაკტიონთანაც და ჩვენს ტექსტშიც ნიშნავს გრაალს დამსგავსებას

\* ეს ხაზგასმა მეორე გამოცემაში ქარგად არ ჩანს (მგონი, ალარც არის), ამიტომ შეადარეთ პირველი გამოცემა, გვ. 80.

და არა სხვა რამეს. (გალაკტიონს სრული უფლება პქონდა ასე დაქწერა, რადგანაც კარგად იცოდა, რომ გრაალი ნიშნავდა არა მარტო რაინდთა ორდენს, არამედ რაინდსაც). რეცენზენტები კი ჩვენს ტექსტში შლიან კურსივს\*, ამით სპობენ ჩვენს მიერ ხაზგასმულ ლოგიკურ კავშირს, ჩვენს მაგიერ გამოაქვთ არასწორი დასკვნა (თითქოს „გრაალს შევედრები“ ნიშნავს „გრაალს შევედრები“-ს (უნდა ეწეროს „შევევედრები“-ს. – ლ. ბ.) და შემდეგ უკვე დავობენ იმის შესახებ, რაც მარტოდენ მათი მანიპულაციის შედეგია“ (გვ. 317).

მოკლედ, მე „შევედრები“ და „შევევედრები“ ერთმანეთში არ ამრევიაო, ირწმუნება, „გრაალს შევედრები“ გალაკტიონთანაც და ჩვენს ტექსტშიც ნიშნავს გრაალს დამსგავსებას და არა სხვა რამეს“-ო.

თუ ასეა, მაშინ ჩაგსვათ მის მსჯელობაში ამგვარად გაგებული (ანუ სწორად გაგებული!) ეს სინტაგმა და ვნახოთ რას მივიღებთ:

„...ლექსი ლოენგრინის ლოცვას წარმოადგენს და, რადგანაც ლოენგრინი გრაალის ორდენის რაინდია, ლოცვა გრაალისადმია მიმართული („...გრაალს დავემსგავსები“).“

იმის დასტურად, რომ ლოცვა გრაალისადმია მიმართული, გამოდგება სიტყვები „...გრაალს დავემსგავსები“? არა, ცხადია. აქ ლოცვა მზისადმია მიმართული. ახლა მიხვდა ამას, მაგრამ ირწმუნება, მაშინაც ვიცოდიო:

„რაც შეეხება იმ ფაქტს, რომ გალაკტიონის ლექსში მხე იხსენიება („მზეო თიბათვისა“) [რას ჰქვია იხსენიება, იხსენიება კი არა, ლოცვა-ვედრების ადრესატია! ლექსის ბოლოშიც აშკარაა ეს: „მზეო თიბათვისა, ამას გევედრები“. – ლ. ბ.] ლექსის ჩვენეული ახსნა ამ ტროპთან არავითარ წინააღმდეგობას არ შეიცავს“, ვინაიდან თურმე, „მზე წარმოადგენს მეტაფორას და მასში იგულისხმება გრაალი“ (გვ. 317).

მოკლედ, რ. ბურჭულაძისეული ანალიზის თავისებურება ის არის, რომ ყველაფერში ყველაფერი შეიძლება იგულისხმებოდეს, თუკი ამას მისი თეორია დაისაჭიროებს! რაც ზემოთ წავიკითხეთ, იმის მიხედვით, გრაალი შეიძლება მაგიური თასიც იყოს, ამ თასთან დაკავშირებული რაინდთა ორდენიც, თვითონ რაინდიც, მზეც და ლექსის ავტორიც, თუკი რ. ბურჭულაძეს დავუჯერეთ და ვირწმუნეთ, რომ

\* კურსივს რ. ბურჭულაძე სიტყვების მუქი შრიფტით გამოყოფას ეძახის.

„გრაალის რაინდთან პერსონიფიცირებულია გალაკტიონის ლექსის ego“! (იქვე).

მოდით და გაიგეთ ახლა, ამ ახსნა-განმარტების შემდეგ, ვინ ვის ემსგავსება და ვინ ვის ევედრება! არადა, რ. ბურჭულაძეს იმის პრეტენზია აქვს, რომ ნათელი მოპფინოს ბუნდოვან ადგილებს გალაკტიონის სიმბოლისტურ ლექსებში!

ერთი „ბუნდოვანი“ ადგილის განმარტების ნიმუშიც ვნახოთ და ამით დავემუშვიდობოთ „მზეო თიბათვისას“.

ასეთი სტრიქონებია ამ ლექსში:

სანმა უნდობარმა, გზა რომ შეეღება,  
უხვად მოიტანა სისხლი და ცხედრები.

ამის გამო რ. ბურჭულაძე წერს:

„ტაები „ხანმა უნდობარმა, დრო (? – ლ. ბ.) რომ შეეღება, უხვად მო-იტანა სისხლი და ცხედრები“, ლოენგრინის მიერ დახოცილ ფრიდრიხ ფონ-ტელრამუნდს და მის მსახურებს გულისხმობს“ (გვ. 79).

თოთქოს გალაკტიონს თვითონ არ ეცხოვროს იმ უნდობარ ხანაში, რომელმაც „უხვად მოიტანა სისხლი და ცხედრები“, და ეს სტრიქონები მისთვის მე-12 საუკუნის ჩრდილოევროპული ლეგენდის პროტაგონისტის მიერ ფრიდრიხ ფონ ტელრამუნდისა და მისი რამდენიმე თანამებრძოლის დახოცვას შთაეგონებინოს!

## გ. შადრევნები

მეორე ლექსი, რომლის საკუთარი „ანალიზის“ გადარჩენას იგი ცდილობს, არის „მარიამ-ანტუანეტია“. რ. ბურჭულაძეს ის მეტერლინგვის პიესის „ჟუაზელის“ წაკითხვის შედეგად მიღებული შთაბეჭდილებებით შეთხევლი პგრინია (ასე წერს: „გ. ტაბიძის [ამ] ლექსის საფუძველს მეტერლინგვის დრამა წარმოადგენს“. – გვ. 141) და იწყება პიესის შინაარსის ნაძალადევი მორგება-მისადაგება გალაკტიონის ამ ლექსის „აბსტრაქტულ ტროპიკასთან“. იმის საჩვენებლად, რომ „მარიამ-ანტუანეტას“ დაკავშირება გამოჩენილი ბელგიელი სიმბოლისტის მორის მეტერლინგვის პიესასთან უმართებულოა, ჩვენ მრავალი არგუმენტი მოვიყენეთ. წარმოვაჩინოთ, რომ რ. ბურჭულაძის მცდელობა, მეტერლინგვის პიესის ესა თუ ის ადგილი გალაკტიონის ლექსს მიუსადაგოს, არადამაჯერებლია. სანიმუშოდ ერთ ჩვენს არგუმენტს გავიხსენებთ

(მრავალთაგან!).

რ. ბურჭულაძე ასე გადმოგვცემს მეტერლინკის პიესის ერთი ეპიზოდის შინაარსს: „მერლინი ეუბნება ჟუაზელს, რომ მხოლოდ მას შეუძლია ლანსეორის განკურნვა და ამას გააკეთებს იმ შემთხვევაში, თუ ჟუაზელი მასთან დამით მივა. რა თქმა უნდა, ეს მერლინის მიერ მოფიქრებული ხელოვნური დაბრკოლებაა, რათა დარწმუნდეს ჟუაზელის სიყვარულში და ერთგულებაში ლანსეორის მიმართ, თორემ ასეთი საშინელი პირობის შესრულებას ის არც ფიქრობს“ (გვ. 140).

რ. ბურჭულაძის აზრით, ეს ეპიზოდი უდევს საფუძვლად გალაკტიონის ამ სტრიქონებს: „მოგეხვევი, როგორც დედას, როგორც მზრუნველ დობილს...“.

ჩვენი კომენტარი ამის თაობაზე ასეთი იყო:

„დავაკონკრეტო სიტუაცია. მერლინი მოხუცია, რაზეც არაერთგზის არის საუბარი პიესაში. ამიტომ მისი შესაძლო მიმართვა ჟუაზელისადმი, მოგეხვევი, როგორც დედას და დობილსო, არაბუნებრივია. მერლინს, რომელსაც სურს აგრძნობინოს ჟუაზელს, რომ მასში ქალი კი ადარ უკვარს, არამედ მომავალი სარძლო, უფრო ის შეეფერება, რომ მას შვილი უწოდოს. პიესაში ეს ასეცაა. გაკოცებ, როგორც მამა კოცნის ქალიშვილს, – ეუბნება მერლინი ჟუაზელს. როგორც ვხედავთ, რ. ბურჭულაძისეული ეს პარალელიც არადამაჯერებელი და მიუღებელია“ (გვ. 53-54).

რ. ბურჭულაძე არც კი ცდილობს ჩვენი ეს და მრავალი ამის მსგავსი კონტრარგუმენტი გააბათილოს (ერთის გარდა, სადაც, მისი აზრით, შეცდომა მოგვიდის. ამაზე ქვემოთ ვიტყვით), იგი დუმილით უვლის გვერდს „მარიამ-ანტუანეტას“ მეტერლინკის „ჟუაზელთან“ დამაკავშირებელი მისი მთავარი (კურიოზული!) არგუმენტის ჩვენეულ კრიტიკას, ლექსში ნახსენები „ჟუაზელისა“ და მეტერლინკის პერსონაჟის – ჟუაზელის – გაიგივებას რომ შეეხება. გალაკტიონის ამ ლექსში, სათაურით „მარიამ-ანტუანეტა“ (ეს ქალბატონი ლუი XVI-ის მეუდღეა, საფრანგეთის დედოფალი, რომელსაც მეფესთან ერთად მოჰკვეთეს თავი რევოლუციონერებმა), ნახსენებია ტრიანონი, ვერსალი, შუაზელი, ესტარგეზი („და ლანდებათ ოთორ სარკეზე / ჩნდება სახე-მკრთალი / ჟუაზელი, ესტარგეზი, / და თვით დედოფალი“). აი ამ „ჟუაზელმა“ მიიყვანა მკვლევარი მეტერლინკის „ჟუაზელამდე“, ვინაიდან ვერ გაარკვია რა მიმართებაშია ეს საკუთარი სახელები

ერთმანეთთან! იგი წერს:

„მართალია, „დენდიც“ („დენდიც“ იხსენიება ამ ლექსში. – ლ. ბ.) გარკვეულად დენდიზმზე მიგვანიშნებს, მაგრამ მარიამ-ანტუანეტა, ტრიანონი, შუაზელი, ესტარგეზი, ვერსალი დაჟინებით ეწევა ჩვენს აზროვნებას საფრანგეთის ბურბონების კარზე და გონების კარიც იხშობა: რა მიმართებაშია ყველა ეს კონკრეტული სახელი ერთმანეთთან, გაუგებარია. გვრჩება ვარაუდი ვიფიქროთ, რომ ისინი წარმოადგენენ სხვა, რაღაც რეალურის სიმბოლურ გამოხატულებას“ (გვ. 135. ხაზგასმა ჩვენია. – ლ. ბ.).

რამდენიმე გვერდის შემდეგ კვლავ იმეორებს:

„ამრიგად, გ. ტაბიძის ლექსის საფუძველს მეტერლინკის დრამა წარმოადგენს, მაგრამ საინტერესოა თუ საიდან ჩნდება გალაკტიონთან მარიამ-ანტუანეტა, ვერსალი, ტრიანონი, ესტარგეზი“ (გვ. 141).

ამის გამო ჩვენ გწერდით: „მართლაც ძალიან „საინტერესოა“, საიდან ჩნდება გალაკტიონის ლექსში, სათაურით „მარიამ-ანტუანეტა“, სხვებზე რომ არაფერი ვთქვათ, თუნდაც მარიამ ანტუანეტა!“ (გვ. 54-55).

მოდით, კიდევ ერთხელ გავიმეოროთ, რისი გარკვევა უჭირს რ. ბურჭულაძეს:

„...მარიამ-ანტუანეტა, ტრიანონი, შუაზელი, ესტარგეზი, ვერსალი დაჟინებით ეწევა ჩვენს აზროვნებას საფრანგეთის ბურბონების კარზე და გონების კარიც იხშობა: რა მიმართებაშია ყველა ეს კონკრეტული სახელი ერთმანეთთან, გაუგებარია.“

რატომ არის გაუგებარი?! „ვერსალი“ საფრანგეთის მეფების რეზიდენცია იყო პარიზის გარეუბანში, „ტრიანონი“ სასახლეა, რომელიც ვერსალის რეზიდენციის კომპლექსში შედის. რა მიმართებაშია ამათთან მარია(მ) ანტუანეტა, საფრანგეთის დედოფალი, ლუი XVI-ის მეუღლე, რომელსაც რევოლუციის შემდეგ კონვენტმა გილიოტინაზე სიკვდილი მიუსაჯა (ისევე, როგორც მეფეს), რაც ადსრულდა კიდეც, ვფიქრობთ, ცხადზე ცხადია.

დაგვრჩა „შუაზელი“ და „ესტარგეზი“.

რა მიმართებაშია ადამიანთა ეს საკუთარი სახელები მარია(მ) ანტუანეტასთან, ამის გარკვევაში რ. ბურჭულაძეს გალაკტიონის თხზულებათა აკადემიური ოორმეტტომიანი გამოცემის კომენტარები დიდად ვერ დაეხმარებოდა, ვინაიდან იქ შუაზელი ესაანელ (?! რაინდად არის გამოცხადებული,

რაც სწორი არ არის, მაგრამ ხომ არსებობს სხვა წყაროებიც! ჩვენ ჩვენს წერილში განვმარტეთ, რომ „ლექსში ნახსენები შუაზელი გახლავთ დედოფლის მოტრფიალე სამეფო დრაგუნების ახალგაზრდა პოლკოვნიკი, რომელიც თან ახლდა და 1791 წლის 20 ივნისს ვარენში“ (გვ. 56).

ახლა „ესტარგეზს“ მივხედოთ. მასზე გალაკტიონის ოორმებტომეულის კომენტარებში მართებულად წერია, უნგრელი დიდებული იყო, მაგრამ არ გვეუბნებიან, რომ გალაკტიონი არასწორად წერს ამ გვარს – ესტარგეზის ნაცვლად უნდა იყოს ესტერგაზი (უფრო სწორი კი ესტერჰაზი იქნება, ვინაიდან უნგრულად არის Esterházy. რუსები ადრე ეს्टერგაზ-ს წერდნენ, ბოლო დროს კი ეს დაწერილობა ეს्टერჰაზ-თ შეცვალეს).

ახლა რაც შეეხება იმას, თუ რა მიმართებაშია ეს სახელი მარია(მ) ანტუანეტასთან. ჯერ იმას ვიტყვით, რომ ვისაც შტეფან ცვაიგის ბიოგრაფიული რომანი „მარიამ ანტუანეტა“ (1932 წ.) წაუკითხავს, იქ შუაზელსაც შეხვდებოდა და ესტერჰაზისაც. გარდა ამისა, გთავაზობთ ამონარიდს ერთ-ერთი გერმანული ინტერნეტგვერდიდან:

„Valentin [Esterházy] traf 1774 als Gesandter des Königs von Frankreich in Wien ein, um in dessen Auftrag das Bild des damaligen Dauphine, des späteren Königs Ludwig XVI., dessen Braut Marie-Antoinette zu überreichen. Über diese Mission schrieb er später die „Memoires inédites du Comte Valentin Esterházy“. Marie Antoinette, die ihm später manche Gunst erwies, nahm ihm bei Beginn der französischen Revolution übel, dass er zu den königlichen Prinzen hielt. Er emigrierte mit diesen nach Koblenz.“

(ქართული თარგმანი: „ვალენტინი [ვალენტინ ესტერჰაზი] 1774 წელს ვენაში ჩავიდა როგორც საფრანგეთის მეფის დესპანი, რათა მისი დავალებით მაშინდელი დოფენის [ტახტის მემკვიდრის], მომავალი ხელმწიფის და 1791 პორტუგალი გადაეცა მისი [პრინცის] საცოლის მარია ანტუანეტასთვის. ამ მისის შესახებ იგი წერს მოგვიანებით „გრაფ ვალენტინ ესტერჰაზის გამოუქვეყნებელ მემუარებში“. მარია ანტუანეტა, რომელიც შემდგომ მის მიმართ კეთილდად იყო განწყობილი, საფრანგეთის რევოლუციის საწყის ეტაპზე შემოსწყრდა მას იმის გამო, რომ იგი პრინცებს მიემხრო. ის [ესტერჰაზი] მათთან ერთად გაიხიზნა კობლენცში“).

და ერთი ამონარიდიც რუსული ინტერნეტის სტატიიდან:

„Через графа Эстергази Марии Антуанетте удается тайно передать Ферзену золотое кольцо, на котором выгравированы три королевские лилии и надпись: „Трус, кто покинет ее“.

(ქართული თარგმანი: „გრაფ ესტერჰაზის მეშვეობით მარია ანტიუანეტა ახერხებს ფერზებს გადასცეს ოქროს ბეჭედი, რომელზეც ამოგვიფრულია სამი სამეფო შროშანი და წარწერა: „ლახარია, ვინც მას მიატოვებს“).

აი ასეთ „მიმართებაშია კველა ეს კონკრეტული სახელი ერთმანეთთან“! ამ მიმართებებს უერ ხედავს რ. ბურჭულაძე, ამ მიმართებების ძიებისას, როგორც თვითონვე აღიარებს, მისი „გონების კარი იხშობა“. ამიტომ ხელს იდებს **შუაზელზე** (Choiseul) და მისთვის ნაცნობ **შუაზელს** (Joyzelle) მიმართავს!

ვნახოთ როგორ გადადის იგი შუაზელიდან **შუაზელზე**. მისი სიტყვით, „...მხოლოდ „შუაზელი“ გვაძლევს ლექსის ამოხსნის შესაძლებლობას (...). შუაზელისა და აბსტრაქტული ტრიაკის შეპირისპირება-გააზრება კი მორის მეტერლინკის „შუაზელზე“ მიგვითოებს“ (გვ. 138).

რ. ბურჭულაძე არ გვიმხელს, რატომ გადაიქცა მეტერლინკის პიესის ქალი პერსონაჟი **შუაზელი** გალაპტიონთან ფრანგ ოფიცერ შუაზელად. სამაგიეროდ გვიხსნის „საიდან ჩნდება გალაპტიონთან მარიამ-ანტიუანეტა, ვერსალი, ტრიანონი, ესტარგეზი“ (გვ. 141). მისი სიტყვით, „...მეტერლინკის დრამაში მოქმედება წარმოებს მერლინის სასახლეში, უზარმაზარი ბადით და შადრევნებით. ფრანგული დრამა – სასახლე (ბადი, შადრევნები) – ვერსალი (ტრიანონი) – მარიამ ანტიუანეტა! – სავსებით ბუნებრივი და ლოგიკური ასლციაციებია“ (გვ. 141).

ამის გამო ჩვენ შევნიშვნეთ:

„ამ ბადსა და შადრევნებს მივყავართ თურმე ასოციით ვერსალ-ტრიანონისა და მარიამ ანტიუანეტასაკენ. როგორ გამოიყერება მერლინის სასახლის ბადი „შუაზელის“ მიხედვით? „ველური, მიტოვებული ბადი, გადაბურდული ჯაგნარით და შეამიანი ბალახებით“. ვერ შევვდავებით რ. ბურჭულაძეს – ასეთი ბადი ნამდვილად უნდა იწვევდეს ვერსალისა და ტრიანონის მოგონებას! რაც შეეხება შადრევნებს, ისინი მხოლოდ „მკაცრი მეცნიერული ანალიზის“ მიმდევარი აგზორის ფანტაზიის ნაყოფია – მერლინის ბადში შადრევნები არ ჩქევს“ (გვ. 55).

აი აქ „დაგვიჭირა“ შეცდომაში! მეტერლინკის პიესაში

ბალი თავიდან არის ველური და მიტოვებული, ჯაგნარით და შხამიანი ბალახებით გადაბურდული, თორებ მეორე მოქმედებაში, ლანსეურის გამოჩენის შემდეგ, ხომ აყვავდარ! (გვ. 319). კი მაგრამ, გრძნეულების ძალით აყვავებულმა ველურმა ბალმა ვერსალის ბალი რატომ უნდა მოაგონოს ვინმეს „ბუნებრივად“ და „ლოგიკურად“? (მით უფრო, თუ იქ, იმ ბალში, მწიფე ხილი ძირს ცვიგა დახუნდლული ხეებიდან, როგორც შესაბამისი რემარკის ბურჭულაძისეულ თარგმანშივე ვკითხულობთ). შადრევანი და აუზიც ისესნიება პიესაში, რასაც რეცენზენტები ვერ ამჩნევენო. მაგრამ ისესნიება შადრევანი და არა შადრევნები, თანაც – ცალკე შადრევანი და ცალკე აუზი. ერთადერთი შადრევანი (რაზედაც მკაფიოდ მიუთითებს განუსაზღვრელი არტიკლი **un**, რაც „ერთს“ ნიშნავს) ერთადერთხელ არის ნახსენები ღელანში – მესამე მოქმედების მეორე სურათის საწყის რემარკაში. იქ ვკითხულობთ: „*Un jet d'eau murmure*“, ქართულად: „შადრევანი რაკრაკებს“ (ან ჩუხხუხებს); რუსულ თარგმანშია: „Журчит фонтан“). აი ამ ერთადერთმა მორაკრაკე (მოჩუხხუხე) შადრევანმა უნდა გაახსნოს გალაკტიონს ვერსალის მჩქეფარე შადრევნები!

დათო აკრიანის ქართულ თარგმანში ეს ერთადერთი შადრევანიც არ ისესნიება. იქ მთელი რემარკა ასე უდერს:

„ტევრი. უუაზელლს ჩასძინებია გაზონის სკამზე, თაღებიანი ხის მესრის წინ, აყვავებულ შრომშებთან. დამეა. ისმის წყლის ჩუხხუხები. ანათებს მთვარე“ (მორის მეტერლინკი. პიესები. წიგნი II. გამომცემლობა „სიესტა“, 2008, გვ. 182. ფრანგულიდან თარგმნა დათო აკრიანმა).

„ისმის წყლის ჩუხხუხები“, ვკითხულობთ ქართულ თარგმანში, და ეს სწორია, ვინაიდან პიესის მთლიანი კონტექსტიდან სრულიად აშკარაა, რომ არავითარ გრანდიოზულ წყლის ჭავლზე აქ არ არის ლაპარაკი. შადრევანი (ფონტან) ეწოდება ვერტიკალური მილიდან ამომავალ ნებისმიერი სიძლიერისა და სიდიდის წყლის ჭავლს, რომელიც ასევე ნებისმიერი სიდიდის ავზში იღვრება. თბილისის ქუჩებშიც ხომ წყალს მცირე ზომის შადრევნებიდან („ფანტანებიდან“) მივირთმევთ! ნეტა თუ ასესნებს ისინი ვინმეს ვერსალის შადრევნებს!

კვლავ უნდა გავიმეოროთ, რასაც ადრე ვწერდით: **მერლინის ბალში შადრევნები არ ჩემფს.**

როგორც ვთქვით, პიესის დედანში ერთადერთხელ არის ნახსენები ერთადერთი შადრევანი, რომელიც „ჩუხხუხებს“

(murmure). რაც შეეხება რუსულ თარგმანს, რომლითაც ბურჭულაძე სარგებლობს, იქ ეს სიტყვა კიდევ ერთხელ გვხდება დღინისეული აუზის (bassin) ნაცვლად, კვლავაც მხოლოდით რიცხვში და ასეთ კონტექსტში: „Лавр в цвету, вода в фонтане дремлет“ (ეს რემარკა არ არის, პერსონაჟის სიტყვებია). დათო აკრიანის თარგმანში სწორად წერია: „დაფნა ყვავის, აუზი თვლებს“ (გვ. 175. ამ დროს ბადი უკვე აყვავებულია!).

აი რატომ არ მოჰყავს შადრევნის შემცველი ციტატები რ. ბურჭულაძეს თავის პასუხში! მთვლემარე შადრევნანმა როგორ შეიძლება ვერსალის მჩქეფარე შადრევნები მოგვაგონოს!

ვერც ისეთი აუზი მოგვაგონებს ვერსალს, როგორიც პიესაშია: „Ариель... садится на край водёма, **заросший зелёною травою**“ (დათო აკრიანის თარგმანი: „არიელ... აუზის აბალა-ხებულ კიდეზე ჯდება“. – გვ. 173-174).

სად კლასიცისტური მანერით გაფორმებული, მკაცრ გეომეტრიულ წესრიგს დაქვემდებარებული, შეკრეჭილ-დაგარცხნილი ვერსალის ბადი და სად სიმბოლისტ მეტერლინკის პიესის ბადი, ჯერ ჯაგნარით გადაბურდული და მერე გრძებულებით გაცოცხლებული, სადაც **თავისუფლად** სარობენ და ყვავიან მცენარეები („შუაზელლ გაოგნებული იყურება გარშემო: არცერთს არ შეუნიშნავს, რომ ლანსეორის შემოსვლის შემდეგ პირქუშმა ბადმა ნელი და მაგიური ფერისცვალება იწყო. გელური მცენარეულობა, სარეველები, აქამდე ბაღს რომ წამლავდნენ, გაიზარდნენ“ (ჩვენ მიერ საზღასმული ეს ადგილი მიუნიშნებლად გამოუტოვებია რ. ბურჭულაძეს თავის თარგმანში, ალბათ იმიტომ, ვერსალის ბადის ასოციაციას ნაკლებად რომ აღმრაყს! – ლ. ბ.) – და თითოეულმა მათგანმა თავის სახეობისდა მიხედვით – სასწაულებრივად დიდი ყვავილები გაშალა. სნეული შესახედაობის ხვართქლა გადაიქცა ძალუმ ლიანად, რომლის საკვირველი თასები გირლანდებად შემოეგრაგნა მწიფე ნაყოფითა და საკვირველი ჩიტებით დახუნძლულ სეებს...“. – დათო აკრიანის თარგმანი, გვ. 169).

და ეს ავტორი, ვინც ისე „დიდებულად“ გრძნობს მსოფლიო რანგის სიმბოლისტი მწერლის პიესაში წარმოდგენილ გარემოს, ატმოსფეროს, რომ ეს ატმოსფერო, ეს გარემო მას კლასიცისტური ეპოქის დეკორატიული ხელოვნების ნიმუშს აგონებს (მას აგონებს, ცხადია, არა გალაკტიონს!), ავტორი

რომელიც ჩქმალავს უკელაფერს, რაც მას ამტყუნებს, რაც მისი თეორიის უმართებულობაზე მეტყველებს, აქეთ გვისაყვედურებს:

„...რეცენზენტები ცდილობენ უარყონ გალაპტიონის ლექსის „მარიამ-ანტუანეტას“ ჩვენეული ანალიზი. ჩვენი ტექსტის შეგნებული თუ შეუგნებელი შეცვლა აქაც სახეზეა. (...) ვერც მეტერლინკის „უუზელის“ ცალკეულ დეტალთა გაგებას ამჟღავნებენ. ეს ხელწერა აქამდეც ცნობილი იყო (?! – ლ. ბ.), მაგრამ აქ უკვე ახალი ტენდენცია (?! – ლ. ბ.) იჩენს თავს“ (გვ. 318).

და რა მოაქვს ამ ბრალდებების დასამტკიცებლად? ერთადერთი „საბუთი“: რეცენზენტები უარყოფენ (სიმბოლისტი) მეტერლინკის პიესის ბადი და შადრევანი კლასიცისტურ ეს-თეტიკას დაქვემდებარებულ ვერსალის ბადსა და შადრევნებს რომ გვაგონებენ!

რა შადრევნები ჩქეფს უპაცრიელ კუნძულზე მდებარე მერლინის ბადში და როგორ პგავს ეს ბადი ვერსალის ბადს, უბეჭ ვნახეთ.

#### დ. კიდევ ერთხელ მეთოდოლოგიის შესახებ

რ. ბურჭულაძე გვსაყვედურობს: „სამწუხაროა, რომ რეცენზენტები ვერცერთხელ ვერ მალავენ ირონიას, როდესაც ჩვენი შრომის მეთოდოლოგიურ საფუძვლებს ეხებიან. (...) ჩვენ ვეყრდნობით რა იმ საფუძვლას, რომ მეტაფორა (არამარტო პოეზიაში!) რეალურის ტრანსფორმაციას წარმოადგენს, ადვნიშნავთ, რომ სიტყვის პოლისემიურობა შეაკვილია კონტექსტით, რაც თავის მხრივ, მარკოვის ჯაჭვის თვისებას წარმოადგენს: მწერივის ყოველი შემდგომი წევრის გამოჩენის შესაძლებლობა განსაზღვრულია წინა წევრთა შეერთებით“.

რაც აქ ითქვა, ეს შეიძლება მართებული იყოს კლასიკური მეტაფორის, მაგრამ არავითარ შემთხვევაში სიმბოლისტური მეტაფორის მიმართ. რ. ბურჭულაძის მეთოდოლოგიური შეცდომა ის არის, რომ იგი ამ დებულებას სიმბოლისტური მეტაფორის მიმართაც ავრცელებს. მსჯელობას იგი ასე განაგრძობს:

„რეცენზენტები რა თქმა უნდა არ გვეთანხმებიან, რადგანაც მათი აზრით, „მინიშნების პრინციპზე აგებულ სიმ-

ბოლისტურ ლექსში სიტყვის ერთმნიშვნელოვანების დადგენა შეუძლებელია“ აქ რომ ლოგიკური წინააღმდეგობაა რეცენზენტები ამას არ იმჩნევენ: კი მაგრამ, თუ არსებობს მინიშნების პრინციპი, ბუნებრივია, რომ უნდა არსებობდეს მისანიშნებელი ობიექტი (საგანი ან მოვლენა!). ამავე დროს, ამ მისანიშნებელი საგნის ან მოვლენის მინიშნება უნდა წარმოებდეს (და წარმოებს კიდეც!) გარკვეული ცნებების მეშვეობით. ე. ი. მინიშნების პრინციპი წარმოადგენს სტილისტურ ხერხს, ხოლო ყოველგვარ სტილისტურ ხერხს საფუძვლად რეალობა უდევს“ (გვ. 298-299. ხაზგასმა და პუნქტუაცია ავტორისეულია).

„ყოველგვარ სტილისტურ ხერხს საფუძვლად რეალობა უდევს“ – ამ განცხადებიდან აშკარაა, რომ რ. ბურჭულაძის თეორიული აზროვნება პოზიტივისტურია, რაც კარგა ხანია მოძველებულად ითვლება. ჩვენ ვწერდით (და ამის ციტირებას რ. ბურჭულაძეც ახდენს ზემომოყვანილი მსჯელობის შემდეგ): „სიმბოლისტური პოეზია ალოგიზმის პრინციპზეა დამყარებული: სიტყვათა ალოგიკური შეერთებით, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების უარყოფით, სიტყვები თავისუფლდებიან საგნობრიობისაგან და განუსაზღვრელ, მუსიკალურად დენად სახეებად იქცევიან. ავილოთ გალაკტიონის სტრიქონი: „სტიროდა სული ცისფერ დვინოებს“ და ვიკითხოთ, წინამავალი სიტყვის მეშვეობით როგორ განისაზღვრება სიტყვა „დვინოების“ გამოჩენა, ან რა ერთი მნიშვნელობა აქვს სინტაგმა „ცისფერი დვინოების“ შემადგენელ წევრებს? მათი ალოგიკური შეერთებით პოეტს სიტყვები გამოჰყავს ორდინარული მდგომარეობიდან, ათავისუფლებს მათ კონკრეტული, ერთმნიშვნელოვანი შინაარსისაგან და სახე აღიქმება, როგორც მინიშნება განუსაზღვრელზე. სიმბოლისტური პოეტიკის ძირითადი პრინციპი ეს არის“ (ჩვენი წიგნი, გვ. 45-46; რ. ბურჭულაძის წიგნი, გვ. 299-300).

მივაძიოთ ყურადღება ჩვენ მიერ ახლახან ხაზგასმულ სიტყვებს – „სახე აღიქმება, როგორც მინიშნება განუსაზღვრელზე“ და გავისენოთ ზემოთ ციტირებულ ფრაგმენტში როგორ „დაგვიჭირა“ რ. ბურჭულაძემ ლოგიკურ წინააღმდეგობაში:

„მათი აზრით, „მინიშნების პრინციპზე აგებულ სიმბოლისტურ ლექსში სიტყვის ერთმნიშვნელოვნების დადგენა შეუძლებელია“. აქ რომ ლოგიკური წინააღმდეგობაა

რეცენზენტები ამას არ იმჩნევენ (?) – ლ. ბ.): კი მაგრამ, თუ არსებობს მინიშნების პრინციპი, ბუნებრივია, რომ უნდა არსებობდეს მისანიშნებელი ობიექტი (საგანი ან მოვლენა)!“.

შეუძლებელია ჩვენი რეცენზიის წამკითხველი ვერ მიხვდეს, რა არის, ჩვენი აზრით, სიმბოლისტური ლექსის „მისანიშნებელი ობიექტი“ ჩვენ იმ თვალსაზრისს ვიზიარებთ, რომ სიმბოლისტური ლექსი, როგორც ჩვენი წერილის რ. ბურჭულაძის მიერვე დამოწმებული ფრაგმენტიდან ჩანს, არის მინიშნება განუსაზღვრელზე, ტრანსცენდენტურზე, ანუ სიმბოლისტური ლექსის მინიშნების ობიექტი ირაციონალურია, არაამქვეყნიურია, ზებუნებრივია, იმგვარი რამ არის, რასაც პოზიტივისტური აზროვნება არ ცნობს. ამის მინიშნებაა სიმბოლისტური ლექსი და ამიტომ არის შეუძლებელი მასში სიტყვის ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრა. ირეალურ სამყაროში, რომლის არსებობა სიმბოლისტებს არ ეეჭვებოდათ, რეალური სამყაროს კანონები არ მოქმედებს, „მარკოვის ჯაჭვი“ აქ უძლეურია.

ამიტომ ამბობს ვიაჩესლავ ივანოვი: „მე სიმბოლისტი არა ვარ, თუ ჩემი სიტყვები უდრის თავის თავს“ „არასწორად ესმით მისი (ვ. ივანოვის ამ გამონათქვამის. – ლ.ბ.) შინაარსი“-ო, წერს რ. ბურჭულაძე. ვნახოთ რა საბუთი აქვს საამისოდ:

„ჩვენთვის აშკარაა თუ რას ეფუძნება რეცენზენტების თვალსაზრისი: მათ იციან, რომ დვინო არსებობს, შავი და წითელი. ცისფერიც ლურჯი ვერის ერთ-ერთი ტონალობაა. ე. ი. ფიქრობენ, რომ „დვინო“ უდრის „დვინოს“ და „ცისფერი“ უდრის „ცისფერ“-ს (ვ. ივანოვის სიტყვები, რომ სიტყვა არ უდრის თავისთავს, უცებ დაივიწყებს!“ (გვ. 300).

ჯერ ერთი, „დაივიწყებს“ და „არასწორად ესმით მისი შინაარსი“ სხვადასხვა რამეა. მეორეც, ვ. ივანოვი ამას მხოლოდ სიმბოლისტურ პოეზიაზე ამბობს და არა საზოგადოდ. მესამეც, ზემოთ ციტირებულია ჩვენი მსჯელობა „ცისფერ დვინოებზე“, და სად ჩანს ამ მსჯელობიდან, რომ, ჩვენი აზრით, აქ „დვინო“ უდრის „დვინოს“ და „ცისფერი“ უდრის „ცისფერს?“ ჩვენ მხოლოდ ის გვაინტერებს „წინამავალი სიტყვის მეშვეობით როგორ განისაზღვრება სიტყვა „დვინოების“ გამოჩენა, ან რა ერთი მნიშვნელობა აქვს სინტაგმა „ცისფერი დვინოების“ შემადგენელ წევრებს?“, ანუ ჩვენი მიზანია დავადგინოთ, რამდენად გამოსადევია

რ. ბურჭულაძისთვის ესოდენ მნიშვნელოვანი „მარკოვის ჯაჭვი“ სიმბოლისტური მხატვრული სახის ანალიზისას. მივუყენეთ „მარკოვის ჯაჭვის“ პრინციპი ამ მხატვრულ სახეს და დავრწმუნდით: იგი აქ უძლურია, ვერაფერს საურადღებოს ვერ გვეუბნება სიმბოლისტური მხატვრული სახის თავისებურებაზე.

საპასუხო წერილში რ. ბურჭულაძე ამ მხატვრული სახის („სტიროდა სული ცისფერ ღვინოებს“) საკუთარ „გაშიფრას“ გვთავაზობს იაროსლავ ჰაშეკის პერსონაჟის ასოციაციური მეთოდით. კერძოდ, „ცისფერ ღვინოებს“ იგი უგავშირებს ჰომეროსთან ნახსენებ „ღვინის (ან ღვინისფერ) ზღვას“. მისი აზრით, ჰომეროსის „ზღვა“ გალაკტიონმა შეცვალა ზღვისთვის დამახასიათებელი ნიშნით „ცისფერი“, ხოლო შემდეგ „მსაზღვრელ-საზღვრულს შეუცვალა ცუნქციები და მიიღო „ცისფერი ღვინოები“ (გვ. 403).

მსჯელობა ასე გრძელდება:

„ამგვარად, გენეტიკური ოვალსაზრისით გალაკტიონის მეტაფორა ჰომეროსთან პოულობს სათავეს. აქ უკვე შესაძლებელია ერთი მეტად საინტერესო დასკვნა გავაკეთოთ. მართალია, გალაკტიონმა არ იცოდა ძველი ბერძნული ენა და ჰომეროსს რუსული თარგმანების მეშვეობით იცნობდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ჰომეროსისეული ტროპის გალაკტიონისმიერი გაგება გაცილებით სწორია, ვიდრე ამას ადგილი აქვს ი. მარტინოვის, ვ. ვერესავის, ვ. უკროვსკის თუ სხვათა თარგმანებში. რატომ? იმიტომ, რომ ჰომეროსის „ღვინის ზღვა“ არავითარ შემთხვევაში არ გულისხმობს ღვინისფერ / შავ მუქ / ზღვას. ამას თავისი მიზეზი აქვს: 1) ჰომეროსის დროინდებული ბერძნული სამყარო არ იცნობდა ისეთ აკვატორიას, რომლის ფერი შეეძლოთ მათი ღვინისთვის შეედარებინათ. 2) თავისთავად ზღვის შედარება ღვინოსთან, არა ფერის, არამედ თრობის ნიშნით, სავსებით ბუნებრივია, რადგანაც ყველა დროის ადამიანებმა კარგად იცოდნენ, რომ ზღვას ეს თვისება (თრობა!) მართლაც გააჩნია. 3) ბერძნობა ძლიერი კოლონიური მიღრეკილებები პირდაპირ კავშირში იყო ზღვით მგზავრობასთან. ხოლო ჰომეროსს თავისუფლად შეეძლო ბერძნობა ეს გატაცება ძლიერ ვნება-თრთოლვასთან დაეკავშირებინა“ (გვ. 304-305).

ამ შედეგამდე მიიყვანა რ. ბურჭულაძე გალაკტიონის „ცისფერი ღვინოების“ გაანალიზებამ „მარკოვის ჯაჭვისა“ და იაროსლავ ჰაშეკის პერსონაჟის მეთოდის მომარჯვებით!

დავუშვათ, კველაფერი, რაც ახლა წავიკითხეთ, სწორია. ამ შემთხვევაშიც ეს ანალიზი ვერაფერს გვეუბნება მხატვრული სახის ესთეტიკური ღირებულების შესახებ, რაც უმთავრესია ლექსზე მსჯელობისას.

მაგრამ მთავარი სხვა რამეა. როგორ უნდა შემოწმდეს რ. ბურჭულაძის ანალიზის სისწორე? ანუ, როგორ უნდა დადასტურდეს, რომ გალაკტიონი მართლა ასეთი ასოციაციების შედეგად მივიდა ამ მხატვრულ სახემდე? ამგვარ ასოციაციებზე დაფუძნებული ანალიზის შემოწმების, ანუ ვერიფიკაციის, საშუალება არ არსებობს, ხოლო რისი ვერიფიცირებაც შეუძლებელია, ის მეცნიერების საგანი ვერ იქნება. არადა, რ. ბურჭულაძის აზრით, ანალიზის მისეული მეთოდი მკაცრად მეცნიერული მეთოდია.

„ცისფერი ღვინოების“ გენეზისის სხვა მაძიებელმა ხომ შეიძლება ასეთი მოსახრება წარმოადგინოს:

„ცისფერი ღვინოები“ ცის ლაჟვარდებს ნიშნავს (მრავლობითმა არ შეგაკროთ: გაიხსენეთ ლადო ასათიანის „მე წამოვდგები, კვლავ აენთება ცის ლაჟვარდებში ვარსკვლავთ ჭავლეთი“). გალაკტიონზე ლაჟვარდოვანი ცის ყურება (დიდხანს ყურება) დამათრობლად მოქმედებდა, ისევე, როგორც ღვინო. მისი სული მისტირის ღვინოსავით მათრობელა ცის ლაჟვარდებს, მისტირის იმიტომ, რომ უნდა მისწვდეს მას, შეერწყას მათრობელა ლაჟვარდოვან ცას, მაგრამ ვერ ახერხებს ამას გრავიტაციის (მსოფლიო მიზიდულობის) კანონის მოქმედების გამო.

ცოტაოდენი ფანტაზიის მქონე ადამიანი სხვაგვარ „გნეზისსაც“ გამოუქების ამ „უცნაურ“ სინტაგმას, მაგრამ ვერიფიკაციის შესაძლებლობის თვალსაზრით რ. ბურჭულაძის ვერსიასა და ახლახან წარმოდგენილ ვარაუდს შორის განსხვავება არ არის.

დიდ ეჭვს ბადებს ისიც, რომ რ. ბურჭულაძისთვის გალაკტიონის მის მიერ განხილული ლექსები, მეტაფორები მაინცდამაინც ლიტერატურულ-თეატრალური წარმომავლობისანი არიან. სულ პომეროსის, ვაგნერის, მეტერლინგის, პშიბიშევსკის, ბლოკის, პლატონის თვალთახედვით უნდა უყურებდეს პოეტი სამყაროს? არ არის დამაფიქრებელი ეს შეკითხვა? მგონი, არის!

არასწორმა მეთოდოლოგიამ მართლა შეიძლება „გონების კარი“ დაგვიხშოს!

## კრისტიანე ლიხტენფელდი

### გალაკტიონ ტაბიძე

თვით ახალ ქართულ ენციკლოპედიაშიც კი არ არის ზუსტად მითოთებული, გალაკტიონ ტაბიძე, რომელიც მე-20 საუკუნის უმნიშვნელოვანეს ქართველ პოეტადაა აღიარებული, 1891 წელს დაიბადა თუ 1892-ს.<sup>1</sup> მოდით, ასე ვთქვათ: პოეტის დაბადებიდან ასი წლის თავზე მისი გერმანულად თარგმნილი ლექსების პარარა რჩეული გამოვიდა ახალი ბერლინური გამომცემლობის – „Unabhängige Verlagsbuchhandlung Ackerstraße“-ს სერიის „Poet's Corner“-ის („პოეტის კუთხის“) მე-6 ნომრად.

გალაკტიონ ტაბიძემ, რომელიც დასავლეთ საქართველოში, ქუთაისთან, სოფელ ჭყვიშში დაიბადა მასწავლებლის ოჯახში, პირველადი განათლება აღრედაქვრივებული დედის, იმ დროისთვის განათლებული ქალისაგან მიიღო. ქუთაისის გიმნაზიაში<sup>2</sup> მისი სწავლის დროს მოსწავლეების არალეგალური შეკრებები იმართებოდა, რომლებშიც იგი მონაწილეობას იღებდა, ისევე როგორც ვლადიმირ მაიაკოვსკი. 1908 წლიდან გალაკტიონი თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლობდა. ეს საქართველოში, ცარისტული რუსეთის კოლონიაში, უმაღლესი სასწავლებლის მსგავსი ერთადერთი დაწესებულება იყო. იმ დროისათვის გალაკტიონი დემოკრატიული სულისკვეთების ურნალებთან თანამშრომლობდა. 1914 წელს გალაკტიონ ტაბიძე მოსკოვში რუს სიმბოლისტებს კონსტანტინ ბალმონტს, ვალერი ბრიუსოვსა და ალექსანდრ ბლოკს შეხვდა.<sup>3</sup> 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციამ გალაკტიონს პეტროგრადში მოუსწრო,<sup>4</sup> 1918 წელს ის დამოუკიდებელ საქართველოში დაბრუნდა, რომელსაც მენშევიკები მართავდნენ და რომელიც საბჭოთა კავშირს მხოლოდ 1921 წელს შეუერთდა.<sup>5</sup>

კრებულებმა „ლექსები“ (1914), „არტისტული კვავილები“ (1919) და „ეპოქა“ (1928)<sup>6</sup> სახელი გაუთქვა პოეტს. ტაბიძემ

სხვებთან ერთად დააპრსა დღემდე გამომავალი წამყვანი ლიტერატურული ჟურნალი „მნათობი“ და ოცდაათიანი წლებიდან საქართველოს ინტელექტუალურ ელიტას განეკუთვნებოდა: იყო საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრი, 1935 წელს მონაწილეობა მიიღო კულტურის დაცვისადმი მიძღვნილ ანტიფაშისტურ მსოფლიო კონგრესში, რომელიც პარიზში გაიმართა. 1936 წელს დაჯილდოვდა ლენინური პრემიით,<sup>7</sup> 1944 წელს აკადემიის წევრად აირჩიეს.

სტალინური რეპრესიები ტაბიძესაც შეეხო: 1937 წელს განმეორებითი პატიმრობის შემდეგ დახვრიტეს მისი მეუღლე ოლდა ოკუჯავა,<sup>8</sup> გალაკტიონ ტაბიძემ 1959 წელს თავი მოიქმდა.

„სადა ხარ, სადა ხარ, სადა ხარ?“ – დაჟინებული შეკითხვა, რომელიც გაისმის ლექსში „ქარი ჰქრის“ (1924 წ. – სხვათა შორის, ეს ლექსი 1959 წლის ერთ რუსულ გამოცემაში რევოლუციამდელი 1910 წლით არის გადათარიღებული) აშკარა გამოძახილია აკაკი წერეთლის განთქმული სიმღერისა „სულიკო“, სადაც დაკარგული სატრიფოს თავამოდებული მიება ამავდროულად არის მიება თავისუფალი, დემოკრატიული სამშობლოს სახისა. ერთი მხრივ, ქართული ტრადიციის აღიარება – თბილისის მთვარიანი დამე გამოიხმობს მთაწმინდაზე დაპრალულ ერის დიდ შვილთა – ილია ჭავჭავაძის<sup>9</sup> და ნიკოლოზ ბარათაშვილის – სულებს, ხოლო მეორე მხრივ – ფრანგი, უწინარესად კი, პიროვნული ნაცნობობის წყალობით,<sup>10</sup> რუსი სიმბოლისტებით გატაცება (იხილეთ ლექსი „ოოვლი“, ბლოკის მიმართ მოწიწების გამომხატველი<sup>11</sup>) ის თრი პოლუსია, რომელთა შორის გალაკტიონ ტაბიძე, რომელსაც ქართველები სიყვარულისა და პატივისცემის ნიშნად მხოლოდ სახელით მოიხსენიებენ, თავის ხმას აღავლენს.

ქარი, მოუსვენრობა, განმწმენდელი მოძრაობა – გალაკტიონი ერთიანად გადაეშვება თავის ქარიშხლიან ეპოქაში („ეს მე ვარ ქარი, ეს მე ვარ ქარი...“ – ერთი შთამბეჭდავი ძეგლი თბილისში მას ქარის დინამიკურ ხორცშესხმად წარმოგვიდგენს). ცარისტული იმპერიის დანგრევა როგორც სოციალური, ასევე ეროვნული თავისუფლების უდიდეს იმედს აჩენს. ამიტომ სპონტანურად მიესალმა 1917 წლის ოქტომბერის რევოლუციას: „დროშები, ჩქარა!“, მაგრამ ამას მაღე მოჰყვა არასაქმარისი ცვლილებით გამოწვეული იმედგაცრუება:

„ანგელოზს ეჭირა გრძელი პერგამენტი“. უმაღლესი მგრძნობელობა გარეგან და შინაგან მდგომარეობათა მიმართ დალამის სტიქოონის ძალმოსილების მქონე მუზა, – აი მახასიათებლები გალაკტიონის პოეზიისა.

ვითარცა სიმბოლისტი, იგი, ერთობ თვითმყოფადი, მაინც სიმბოლისტთა თანამეგობრობის გარეთ იდგა, „ცისფერყანწელთა“ იმ ჯგუფის გარეთ, მისი ბიძაშვილის ტიციან ტაბიძისა და პაოლო იაშვილის გარშემო რომ იყო შემოკრებილი.

მას ხშირად „ქართველ ბლოკს“ უწოდებენ და არავის ეკუთვნის იგი უფრო მეტად, ვიდრე ქართველებს, ვინაიდან ლირიკის თარგმნა, ყოველთვის საჭოჭმანო და ამავდროულად აუცილებელი რამ, აქ უკიდურესად ძნელ საქმედ გაევალინება: მარტო ხატები, ხილვები, ასოციაციები კი არ ეხლებიან ერთიმეორეს, არამედ გენიალური განმაახლებელი ქართული პოეტური ხელოვნებისა თავის საღექსო მეტყველებას მუსიკად აქცევს, ბეჭრათა ჩუქურთმებს ქმის – არა თანაზომიერ ბერძნულ მექანიზმებს, არამედ, მუდმივცვალებად შიდარითმებიანს, ქართულ ვაზის ლერწებს, რომლებიც, ურთიერთგანსხვავებული, შემოქმედის ამოუწურავი ფანტაზიის წყალობით სხვადასხვა ვარიაციით წარმოდგენილი, არქიტექტურულ ნაგებობებს ამკობენ, ეკლესიების სარკმლებსა და შესასვლელებს ჩარჩოდ ეკლებიან, ეკლესიებისას, რომლებიც უმაღლ კულტურული კუთვნილების გამოხატულებანი არიან და მერე სალოცავები.

გალაკტიონის აკვანი მდინარე რიონის, ანტიკური ფაზისის, პირას დაირწა, იმ ადგილის მეზობლად, სადაც, სავარაუდოდ, არგონავტები გადმოსხდნენ კოლხეთში, და ვანის, აიეტის სატახტო ქალაქის, სიახლოვეს. მითიურ წარსულს სწვდება პოეტის ისტორიული აზროვნება, როცა ის ქარიშხლიან 1927 წელს გემზე, რომელსაც „ტეოდორ ნეტტე“ ჰქვია – იმ დროში, რომელი დროც მოდერნულ ტექნოლოგიებს ხსნის იმედით შეპყურებს, – შავი ზღვის ფსკერზე ჩაძირულ ქალაქ დიოსკურიას ხედავს.

თავისი უმთავრესი ქმნილებანი გალაკტიონ ტაბიძემ ათიან და ოციან წლებში დაწერა. მოგვიანებით, როცა ის, ხშირად მოზრდილი პოემის ფორმის გამოყენებით, საბჭოთა ქვეყნის აღმშენებლობას უწყობს ფეხს, ინდუსტრიალიზაციის, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციას უმდერის (ამას აკეთებს საუბეოესო განხრახვით – იდგაწოს ახალი საზოგადოების სა-

სარგებლოდ), მისი ქმნილებანი, მცირე გამონაკლისის გარდა, პუბლიცისტური ზერელობით ხასიათდებიან, ნამდვილი გალაკტიონი უკვე მკვდარია,<sup>12</sup> თუმცა პოეტის ავტორიტეტს მთლიანობაში არაფერი დამუქრებია.

როგორ გავიყვანოთ გალაკტიონი ენობრივი ბარიერის მიღმა? გალაკტიონის თარგმნის სიძნელებზე ისიც მიგვითითებს, თუ რა დამოკიდებულება აქეს ამის მიმართ რუსულ კულტურულ წრეს, დღევანდელი მსოფლიო წესრიგის პირობებში უკელაზე დაახლოებულს საქართველოსთან: ერთი მხრივ, აქ ვხედავთ ფრთხილ თავშექავებას ბორის პასტერნაკისა,<sup>13</sup> რომელმაც, ვითარცა საქართველოს მეგობარმა, ბევრი ქართველი პოეტი თარგმნა, და, მეორე მხრივ, ბეჭდა ახმადულინას დიდ თავგამოდებას – მის მეტისმეტად თავისუფალ თარგმანებს. ამათ შორის არის სხვა მცდელობებიც რუსული ენის მეშვეობით გალაკტიონთან მიახლოებისა.

გალაკტიონისკენ მიმავალი გერმანული გზები – ასე შეიძლება ვუწოდოთ „პოეტის კუთხეში“ წარმოდგენილ ამ პუბლიკაციას. ეს თარგმანები, რომელთაც ქართული ორიგინალიდან შესრულებული აწყარედები უდევთ საფუძვლად, არის მცდელობა, წარმოდგენა შეგვიქმნას უკიდურესი აღმოსავლეთის პოეზიის მშენიერებასა და თავისებურებაზე. ვიმედოვნებთ, რომ „პოეტის კუთხე“ გვროპის დასავლეთში ერთხელაც „პოეტის დარბაზად“<sup>14</sup> გაფართოვდება.

გერმანულიდან თარგმნა  
გიორგი ბრუგაძე

## რედაქციისაგან:

კრისტიანე ლიხტენფელდის 1992 წელს გამოქვეყნებული მცირე წერილი – წინასიტყვაობა გალაკტიონ ტაბიძის ლირიკის გერმანული თარგმანებისა – პოეტის შემოქმედების ევროპულ ლიტერატურულ-კულტურულ სივრცეში შეტანის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტია და სწორედ ამით არის საყურადღებო, მიუხედავად არაერთი ფაქტობრივი და სხვა ხასიათის შეცდომისა.

## **შენიშვნები:**

1. გალაკტიონ ტაბიძე დაიბადა 1891 წლის 17 (ძვ. სტილით 5) ნოემბერს.
2. გალაკტიონი სწავლობდა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში და არა გომაზიაში.
3. 1914 წელს გალაკტიონი მოსკოვში არ ყოფილა. 1916, 1917-1918 წლებში, მოსკოვსა და პეტროგრადში ჩასვლისას, შეხვედრა გამოჩენილ რუს სიმბოლისტებთან არ დახტერდება.
4. 1917 წლის ოქტომბრის გადატრიალების დროს გალაკტიონი საქართველოში იყო.
5. 1921 წელს მოხდა საქართველოს გასაბჭოება, სსრკ-ს შემადგენლობაში იგი 1922 წელს შევიდა.
6. „ეპოქა“ გამოვიდა 1930 წელს.
7. 1936 წელს გალაკტიონი დაჯილდოვდა ლენინის თრდენით.
8. ოლია თავუჯავა განმეორებით დააპატიმრეს 1936 წლის ნოემბერში, დახვრიტეს 1941 წელს.
9. „მთაწმინდის მთვარეში“ ნიკოლოზ ბარათაშვილთან ერთად ნახსენებია აკაკი წერეთელი და არა ილია ჭავჭავაძე.
10. რუსი სიმბოლისტებიდან გალაკტიონი პირადად მხოლოდ კონსტანტინე ბალმონტს იცნობდა.
11. ლექსში „თოვლია“ ალექსანდრ ბლოკისადმი რაიმე მიმართება არსად იგრძნობა. ა. ბლოკს ეძღვნება გალაკტიონის ლექსში „რუს პოეტს“, „აღარ არის მენესტრელი“.
12. პუბლიცისტური ედერადობის დექსებისა და პოემების პარალელურად გ. ტაბიძემ 20-იანი წლების შემდეგ შექმნა ათეულობით ბრწყინვალე ლექსი, ამიტომ გამოთქმული მოსაზრება მცდარია.
13. ბორის პასტერნაკის სურვილს, ეთარგმნა გალაკტიონი, „კეთილმოსურნე“ კოლეგათა აქტიურობამ შეუშალა ხელი.
14. სიტყვა „დარბაზი“ ტექსტში ასევეა, ქართულად, ოდონდ ლათინური ტრანსლიტერაციით, რასაც ფრჩხილებში ჩასმული მისი გერმანული შესატყვისი მოხდევს (მთარგმ.).

## ფატი დიდია<sup>1</sup>

**მოგონებები საქართველოს სსრ სახალხო  
მგრისან, საქართველოს სსრ მეცნიერებათა  
აკადემიის აკადემიკოს გალაკტიონ ტაბიძეზე**

არასოდეს არ დამავიწყდება ის გრძნობა, გალაკტიონ ტაბიძის სახლში პირველად მისვლისას ორმ განვიცადება ჩემი მეუღლის ანდრო პატარაიას<sup>2</sup> თარგმნილი გალაკტიონის ლექსებით ხელში ავირბინე საფეხურები, ზარისებრ გაწეული ხელი რამდენიმეჯერ ძირს დამეშვა, ძლიერ ვდევლავდი, არ ვიცოდი, როგორ შემხვდებოდა გალაკტიონ ტაბიძე, რომელსაც სულ არ ვიცნობდი, ან მე როგორ უნდა შევხვდოდი ცოცხალ კლასიკოსს, პოეტების მეფეს. ბოლოს, როგორც იქნა, გავბედე და ზარი დავრეცა.

რკინის გადარაზული კარების მიღმა, დერეფანში, გამოჩნდა ვიღაც მანდილოსანი, რომლის გვერდით პატარა გოგონა<sup>3</sup> იდგა. ქალის ძალზე უხეშ გამოხედვას ისეთი ბრაზიანი მომართვა მოჰყვა, თითქოს საშინელი დანაშაული ჩავიდინე:

- რაშია საქმე?
- ბოდიში... მე... პატივცემული გალაკტიონის ნახვა მიხდა...
- სახლში არ გახლავთ, — იმავე ტონით მიპასუხა.
- მე მისი ლექსების თარგმანები მაქვს... როგორ შემიძლია მივაწოდო? თუ შეიძლება, მის მეუღლეს<sup>4</sup> სოხოვეთ, — სხაპასუბით მივაყარე, რადგან ის ყოველ სიტყვაზე ცდილობდა ჩემს შეჩერებას.
- ცოლი წყნეოშია<sup>5</sup> წასული.
- მე მითხვებ, აქ ბრძანდებაო. ძალიან გთხოვთ... სასწრაფო საქმე მაქვს.
- ამ დროს მოხდა ჩემთვის სრულიად მოუღლოდნელი და თავზარდამცემი ამბავი: ქალი, რომელიც გადარაზული კარგბიდან მელაპარაკებოდა, უცებ, შეშლილი სახით მოიჭრა კარებთან და უვირილით: — აქედან დამეკარგე, შე შეცო! გასაქურდად მოხვედი, მაგრამ ვერ მოგართვი. გასწიე აქედან,

შე ჯიბგირო! – კარი ცხვირწინ  
მომიჯახუნა. თავბრუ დამეხვა,  
კინაღამ წავიქეცი... არ ვი-  
ცოდი, რა მომემოქმედებინა.  
კიბეზე ისე დავეშვი, თით-  
ქოს ვიღაც დასაჭერად მომ-  
დევდა და საშინლად შე-  
წუხებულმა მგოსან დავით  
გაჩეჩილაძესთან<sup>6</sup> მივირბინე,  
რომელიც იმავე შენობაში,  
მხოლოდ მეორე მხარეს, ცხოვ-  
რობს. მომხდარის შესახებ  
ვუამბა.

– ეს გახლავთ გალაკტიონის  
ცხოვრების მეგობარი. სა-  
შინელი არსებაა. რადა მა-  
ინცდამაინც მას შეეფეოთ.  
გალაკტიონი კარგა ხანია,  
ლექუმბინატში<sup>7</sup> წევს, სადაც  
შეგიძლიათ ინახულოთ, –  
მითხრა დავითმა.

მეორე დღეს მეცნიერებათა  
აკადემიიდან ლექომბინატში  
დავრეკე და ვთხოვე, დაეძახათ  
გალაკტიონ ტაბიძისთვის.

– გისმენთ! – გაისმა  
ელსმენის მილში არაჩვე-  
ულებრივად სათხო, მთრთოლ-  
ვარე ხმა, რომელმაც ჩემდა  
უნებურად ყოველგვარი ში-  
ში გამიფანტა და ისეთ გან-  
წყობაზე დაძაფენა, თითქოს  
ჩემს საუკეთესო მეგობარს  
ვესაუბრებოდი. შეწუხების მი-  
ზეზი რომ გაიგო, ჩახველა  
და თითქოს ბოდიშის მოხდით  
მითხრა:

– ჩემი წიგნის თარგმნა  
სრულიად დამთავრებულია.

ამ დღეებში სასიგნალო ეგ-  
ზემპლიარს ველოდები. პმ,  
სტრანი, დაიგვიანეთ.<sup>8</sup>

მე მაინც არ ვეშვებოდი.

– პატივცემულო გალაკტი-  
ონ, შეგიძლიათ მომისმინოთ  
„მე და დამე“?

ელსმენის მილში გაისმა  
გულწრფელი ბაგშვერი სი-  
ცილი, რომელმაც ცხადყო ამ  
ბუმერაზი ადამიანის მთე-  
ლი ბუნება, საქმე მქონდა  
უაღრესად სპეცია, უანგარო,  
კეთილშობილ, ბაგშვივით გუ-  
ლუბრევილო ადამიანთან.

– ელსმენიო?

– თუ ინებებთ!

– აბა ჰე! გისმენთ.

უკვდავი მგოსანი თითქოს  
ჩემს გასამხნევებლად ყოველ  
ტაქს „თაკ, თაკ“ და „ხორიშ“-ს  
აყოლებდა. შემდეგ სრულიად  
დადუმდა და კითხვა რომ და-  
ვამთავრე, მთრთოლვარე ხმით  
წამოიძახა:

– Прекрасно! შესანიშნავია!  
ამ დღეებში გამოვეწერები,  
სად შემიძლია შეგხვდე  
მთარგმნელს? ჩემთან, პმ! –  
მრავალმნიშვნელოვნად ჩა-  
ახველა გალაკტიონმა, – უხე-  
რხულია, არ შეიძლება...

– ჩემთან მობრძანდით,  
მეცნიერებათა აკადემიაში, მე-  
სამე სართულზე.

რამდენიმე დღის შემ-  
დებ ჩემს სამუშაო ოთახში  
ახალგაზრდული სიმკვირცე-  
ლით შემოვიდა გალაკტიონ

ტაბიძე. გალაკტიონ ტაბიძე! რამდენის მთქმელია ეს სახელი. რამდენ ტკბილ და კარგ გრძნობას გიღვიძებს, რამდენ სიხარულს და სიხანულს გვის. ჩემს სამუშაო ოთახში იდგა ბუმბერაზი ადამიანი, რომლის მთელი სიღიადე მის მშვენიერ სახეზე იხატებოდა: კეთილშობილი, ლამაზი, სათნო სახე, რომელსაც ამშვენებდა მაღალი შუბლი, გრძელი წვერ-ულვაში და თვალები-გალატიონის თვალები-უძირო ზღვა. უნებურად იძირებოდი მის განუმეორებელ, მშვენიერ, სათნო თვალებში. იგი თავისი არაჩვეულებრივი გამოხევით თითქოს ცდილობდა გულში ჩაგრივდომოდა, მისი სიღრმიდან ამოეკითხა ყოველივე კარგი, რაც გაგაჩნდა, რომ შემდგებ ის თავისი უკვდავი ქნარით აევდერებინა. მთელი მისი არსება ღუდდა, ღელავდა, ტოკავდა, თრთოდა. ის მუდამ მოძრაობაში იყო. მახსოვს მისი მთრთოლვარე, ტბილი ხმა. ვისაც არ უნდა შეხვედროდა, იმდენად წარუშლელ მთაბეჭდილებას ახდენდა, რომ უნებურად გატყვევებდა, რადგან ამ ადამიანში უკვდავ შემოქმედს გრძნობდი.

— ჰო! — მხიარულად მომაძახა გალაკტიონმა შემოსვლისთანავე, — ეს თქვენ წამიკითხეთ ლექსი? — სწრაფად

მოჭრა საწერ მაგიდასთან და მიუჯდა. — ზეგ სამ საათზე ვიქნები აკადემიაში. მე და ოქვენი მეუღლე უნდა შევხვდეთ ერთმანეთს. მალე ცხადი შეიქნა, რომ გალაკტიონს ერთ ადგილას დიდხანს ჯდომა არ ეხერხებოდა. რამდენიმე წუთში უცებ ადგა და კარებისკენ გასწია, დიმილით (რა შესანიშნავი, მომხიბვლელი ლიმილი პჟონდა გალაკტიონს) მომიბრუნდა: — აბა ჰე, ზეგ სამ საათზე.

ეს იყო პირველი ხანმოკლე შეხვედრა, რომელმაც სამუდამოდ და განუყრელად დაგვაკავშირა ამ უკვდავ ადამიანთან, რომელიც ყოველ სიხარულს თუ გულისტკივილს ბაგშვივით გვიზიარებდა.

დანიშნულ დღეს ზუსტად სამ საათზე ჩემი სამუშაო ოთახის ზღურბლზე გამოჩნდა გალაკტიონ ტაბიძე, რომელიც მხიარულად აქანავებდა პორტფელს და თან რაღაცას ღეჭავდა.

— გამარჯობა, ფატი, გმნაცვალე, — შემოსვლისთანავე მომესალმა გალაკტიონი და მაგიდაზე პიტნის კანფეტები დამიყარა, — ანდრო არ მოსულა?

— მალე მოვა.

— აბა, მე მანამდე ამხანაგებს ვნახავ.

მოვიდა ანდრო. გალაკტიონი სელებგაშლილი მიეგება, როგორც დიდი ხნის ნაცნობს.

— პო, გამარჯობა! Прекрасный перевод! ერთი ვალი შეგიძლიათ მომცეო?

შემდეგ მკლავი მკლავში გაუყარა და მაგიდისკენ წაიყვანა. დასხდნენ. გალაკტიონმა პორტფელიდან რაღაც წიგნი ამოიღო:

— ეს ჩემი პოემა „შშილობის წიგნი“<sup>9</sup> შვილივით გაბარებ, ჩემი ათი წლის მუშაობის შედეგია. ამით მინდა დავაგვირგვინო ჩემი შემოქმედება. ქართულად ჯერ არ დაბეჭდილა. მპირდებიან. გადამითარგმნეთ რუსულად, მოსკოვში გამოვაცემინებ.

ამ შეხვედრის შემდეგ გალაკტიონი და ჩემი მეუღლე წინასწარ დანიშნულ დროს ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს ჩემს სამუშაო ოთახში, მეცნიერებათა აკადემიაში. უნდა აღვნიშნო, რომ გალაკტიონი ზედმიწევნით პუნქტუალური იყო, ის კი არა, ხანდახან უფრო ადრეც მოდიოდა და მოთმინებით იცდიდა.

პოემის თარგმანი გალაკტიონს ძალიან მოსწოდდა.

— ჩემი მა, თქვენ ჩემი პატრიოტი ხართ<sup>10</sup> და მე თქვენი პატრიოტი ვარ კუბოს ფიცრამდე, — გაიძახოდა აღ-

ტაცებაში მოსული მგოსანი.

ერთ დღეს გალაკტიონმა თქვა:

— ჩემთან, სხვადასხვა მოზეზით, მოსვლა უხერხულია, ძამიკო, შენთანაც ასე ხომ არ არის? — და ბავშვურად გაიცინა.

— უხერხულია, პატივცემულო გალაკტიონ. მე სარდაფში ვცხოვრობ, ცხრა საფეხურია ქვევით ჩასასვლელი.

გალაკტიონმა ხელი მუხლზე დაირტყა და ჰომერული სიცილით წამოიჭრა ფეხზე.

— შესანიშნავია, ძამიკო, ანდრო! Великолепно! შემოქმედი და სარდაფი. ჰა! ჰა! ჰა! Народный поэт тоже не имеет квартиры!<sup>11</sup>

იმ დღეს მხცოვანი მგოსანი პირველად ეწვია ჩვენს სარდაფს. შემოსვლისას თავის დახრა ვერ მოასწრო და კარის ჩარჩოს აარტყა. ბავშვივით გადაიკისკისა: — ჰა! ჰა! ჰა! ჰა! კორоль поэтов ранен в подполье!

გალაკტიონს ერთი რამ ახასიათებდა: ყველაფერს, განსაკუთრებით ქადალდებს, აკვირდებოდა, თითქოს უნდოდა, მათ შინაარსს დრმად ჩაწერდებოდა. რა თქმა უნდა, ჩვენთან მოსვლისთანავე მან ჩემი მეუღლის მაგიდაზე გაშლილი ქადალდების დათვალიერება და კითხვა დაიწყო.

— ჩემო ანდრო, ამ სარდაფში დიდი სული ტრიალებს, — მრავალ მნიშვნელოვნად უთხრა ჩემს მეუღლეს და მხარზე ხელი მოუთათუნა, — ნამდვილი შემოქმედის ქაღალდის ნაგლეჯიც არ დაიკარგება!

გალაკტიონმა დაულაგებული, მოწყვეტილი ფრაზებით იცოდა ლაპარაკი. რამდენიმე წუთის შემდეგ გულისტკოვილოთ გამოთქვა სრულიად დაუსაბუთებული ეჭვი (ხანდახან უმიზეზოდ ეჭვიანი იყო, რაც, საუბედუროდ, უფრო და უფრო ღრმავდებოდა):

— ჩემი ანდრო, ჩემს ირგვლივ სხვანაირი ამბავია. კორი პირთ ის ისარი მაგრამ მე და შენ დიდი ძალა ვართ. ჩქარა გამიკეთე ეს პოემა. ამით მე მინდა ჩემი შემოქმედების უკანასნელი სიტყვა ვთქვა...

უცებ პორტფელში რაღაცის ძებნა დაიწყო და ამოღებული ფურცელი მომაწოდა:

— აბა ჰე! ფატი, გენაცვალე, წაიკითხე!

არ მახსოვს, ვისი მოგონება იყო, თუ მეხსიერება არ მდალატობს, ის ქაღალდი ასეთი შინაარსის იყო: ილია ჭავჭავაძესთან ვიდაც ქაღალდი მივიდა, მას რვეული გადასცა და უთხრა: ბატონი ილია, ჩემი ბიჭი (არ მახსოვს) 9 თუ 10 წლის გალაკტიონი

გადარეულია ლექსებზე და სულ რაღაცას ჯდაბნის. დედაშვილობას გაფიცებთ, გადაათვალიერეთ ეს რვეული და მირჩიეთ, როგორ გავისარჯოო. მეორე დღეს ილია ჭავჭავაძემ საჯაროდ განაცხადა, რომ გალაპტიონ ტაბიძე უნიჭიერესი მგოსანია და მას სპეციალური მზრუნველობა და ყურადღება უნდა აღმოვუჩინოთ.<sup>12</sup>

— ეს დედახემი იყო. კაი დედა მყავდა. მამა სულ არ მახსოვს, ობლად გავიზარდე...<sup>13</sup>

— ისევ დაიწყო ჩივილი, — ხალხს უყვარს народnyy პირ, მაგრამ ზოგიერთს... ბებერია გალაკტიონი. რამდენიმე წუთის შემდეგ დასძინა: — კორი პირთ. ჰა! ჰა! ძამიკო, ანდრო, რატომდაც „უნდოდათ რომ „მშვიდობის წიგნი“ მწერალთა კავშირში საჯაროდ წამეკითხა,<sup>14</sup> — ხელები გაშალა, — ხალხისთვის დავწერე, ხალხმა წაიკითხოს, — მარჯვენა ხელის ორი თითოთ წვერი მოიფხნანა, თავი გვერდზე გადასწია, ცალი თვალი ეშმაკურად მოჭუბა და დასძინა: — შოთა რუსთაველს თავისი უპვდავი ქმნილება მწერალთა კავშირში საჯაროდ არ წაუგითხავს, არც ნიკოლოზ ბარათაშვილის განუმეორებელ „მერანში“ შეუტანია თავისი შესწორება გოგლალეონიძეს.<sup>15</sup> ჰა! ჰა! ჰა! — ბავშვურად

გადაიგისკისა გალაკტიონმა.  
— აბა პე! — მხარზე ხელი  
დაარტყა ანდროს, — კორი  
პიეთო უჯდას ვინაში. ჩემო ანდრო,  
ჩემი „მშვიდობის წიგნი“ და  
მოსკოვში გამოცემ. რო მო უკავშირდა?  
ა? — და თავისი შესანიშნავი  
მზერა ანდროს მიაჰყო.

გალაკტიონს ძალიან  
ჩქარა, ელვისებურად ეცვლებოდა  
განწყობილება. მოულოდნელად შეიპყრობდა  
ხოლმე წუთიერი უიმედობა,  
რადაცის შიში, უმიზეზო  
ეჭვი, იწყებდა ჩივილს და  
ასევე მოულოდნელად ამ  
ყველაფერს კლავ ბავშვური  
კისკისი, მოსაუბრისა და  
საკუთარი თავის გამხნევება  
ცვლიდა.

ერთხელ, როდესაც გალაკტიონს და ჩემს მეუღლეს  
ერთად უნდა ემუშავო ჩემთან,  
მეცნიერებათა აკადემიაში,  
გალაკტიონი ძალიან მხიარულ ხასიათზე მოვიდა.

— ოპ! სალაში, ძამიკო, —  
კარებიდანვე ხელი გაუწოდა  
ანდროს და სწრაფად მიიქრა  
მასთან. უცებ სახე მოედრულა,  
თავი სასტიკად მოისაწყლა, სკამზე დაეშვა და  
მორთოლვარე ხმით, ძალზე  
საბრალოდ უთხრა:

— ანდრო, გენიცვალე, ჩვენ  
დღეს ვერაფერს გავაკეთებთ.  
არ შემიძლია, ძალიან ცუდათ

გარ! — ხელი გულზე დაიდო,  
— ყველაფერი მტკიფა.

ამ დროს ჩემს ოთახში  
შემოვიდა მეცნიერებათა აკადემიის თანამშრომელი გ. პალანდაძე<sup>6</sup>, რომელიც დიდი მოწიწებით მიესალმა გალაკტიონს, მაგრამ ცოტა ხანში გაუშინაურდა და გადაკრული ლაპარაკი დაუწყო. გალაკტიონმა წარბები მნიშვნელოვნად აზიდა, კარგა ხანს უსმინა, მაგრამ ბოლოს ვალარ მოითმინა და უთხრა: — მე, მუდამ „მხიარულ“ ხასიათზე მყოფი, — თავი გვერდზე გადაწია, ტუჩები მოპრუწა და ხელით უჩვენა თავისი შემოქმედების მოცულობა, — რვა ტომს ვუტოვებ ჩემს ხალხს!<sup>17</sup> თქვენ მუდამ სერიოზულნი და ფხიზელნი ხართ, რა რჩება თქვენგან? — სიფხიზლე! ჰა! ჰა!

ო! გალაკტიონს ძალიან კარგად ეხერხებოდა თავის მოსაწყლება, თავის ისე მოჩვენება, თითქოს არაფერი გაეგება, ეს მისი შესანიშნავი იარაღი იყო მოწინააღმდეგის დასაცინად, მაგრამ თუ ეს არ იქმარებდა, მან უწყინარი, მოსწრებული პასუხით იცოდა მისი განადგურება...

დაგვეპარგა გალაკტიონი. სახლში ვერ ვურგავდიოთ, რადგან იგი ყოველთვის გვაფრთხილებდა: — ნუ დარეკავთ,

სხვანაირი ქალია. ერთ დღეს, აკადემიაში მომავალს, ვიღაცამ დამიძახა:

— ჰო! გამარჯობა, ფატი, გენაცვალე!

ეს გალაკტიონი იყო. ჩემს შეკითხვაზე, სად იყო ამდენი ხანი, მან მიპასუხა:

— წარმოიდგინე, გოგონი! ჩემი მეუღლე ჩემზე ძალიან ზრუნავს!<sup>18</sup> ჰა! ჰა! ჰა! თუ გალაკტიონი ორი დღე კარგ ხასიათზეა, მაშინვე საავადმყოფოში მიმარბენებს. იქ მე გიჟებთან დამაწინებელს.<sup>19</sup> ვერ გამიგია კაცო, მიმტკიცებენ, ნერვები გაქვს აშლილიონ და სულ ჯანსაღ ადამიანს დასამშვიდებლად ნერვებაშლილ ხალხში მაწვენენ. ჰა! ჰა! ჰა! ერთი გიჟი ისე მაცივდებოდა, რომ არ ვიცი... ფატი, გენაცვალე, როგორ მამჩნევ, სრულ ჭაუზე ვარ, თუ ჩემი ცოლის მგურნალობამ მაჯობა? ჰა! ჰა! ჰა!

უცებ გალაკტიონმა ხელი ჯერ თავზე და მერე გულზე მიიღო.

—თავი მტკივა, გული მტკივა... პოეზია იღუპება... შველა უნდა!..

— მერე თქვენ? — ვკითხე მე.

— ვერ გაიგო ამ ხალხმა... გალაკტიონი ავადაა... ავად... ჰო! — ხელი ისევ გულზე მიიღო, — როგორ მტკივა...

მისი სიტყვებიდან გამომდინარეობდა, რომ იმაზე

სწუხდა, თავის შემცვლელს რომ ვერ ხედავდა...

ერთხელ გალაკტიონი და ჩემი მეუღლე ჭურნალ „Литературная Грузия“-ს რედაქციიდან პირდაპირ ჩვენთან, სახლში წასულან, სადაც გალაკტიონს ლენინგრადის 250 წლისთავისადმი მიძღვნილი ლექსი „ლენინგრადს“ დაუწერია, რომლის ავტოგრაფი ჩვენთან ინახება. ამ ლექსის ჩემი მეუღლის თარგმანი დაბეჭდილია „Литературная Грузия“-ში და ლენინგრადის სურათთან ერთად იუბილეს დღეს გაიგზავნა ლენინგრადში აღნიშნული ჭურნალის მიერ.<sup>20</sup>

ჩემს მეხსიერებაში ღრმად ჩაიბეჭდა ერთი შემთხვევა, რომელმაც ცხადყო, როგორც გალაკტიონ ტაბიძის სულიერი მდგომარეობა, ისე მისი ოჯახური პირობები.

ერთხელ იგი შესანიშნავ ხასიათზე მყოფი მოვიდა და ჩემს პირდაპირ დაჯდა. ოთახში ჩვენი ენათმეცნიერების ინსტიტუტის მოლარე ნახო ონანოვა და ჩემი მეგობარი ახალგაზრდა მეცნიერი-მუშავი გივი ხაზალია<sup>21</sup> იყვნენ. გალაკტიონი, როგორც მას კარგ ხასიათზე ყოფნისას სჩვეოდა, კანფეტს დაჭავდა და გულიანად ხი-

თხითებდა. გვეითხა, როგორ ხართო, ჩემი ძმა ანდრო ხომ არის ყოჩალადო და სრულიად მოულოდნელად წამოიძახა:

— უაღრესად ბეჭიფერი კაცი ვარ. ჩემისთანა ჭკვიანი მეუღლე არავის პყავს! — და გადაიხარხა. ტუჩებზე ხელი მოიფარა, წარბები აზიდა და „საიდუმლოდ“ მოთხრა: — გოგონი! ო! დიდათ განვითარებული ქალია! ჰა! ჰა! ჰა! Она решает величайшие мировые проблемы, судит о высоких материях, ощущая гаქანების аზრები აქვს, რომ მასთან ყოფნა სახიფათოა! — ощущая гаდაიკისკისა გალაკტიონმა.

— კი მაგრამ, რაში გამოიხატება ყოველივე ეს, — ვეღდარ მოვითმინე მე, რადგან გალაკტიონის სიტყვებიდან ირონია გამოსჭივოდა.

მან ძალიან სერიოზული გამომეტყველება მიიღო, ტუჩებთან თითო მიიტანა და მრავალ მნიშვნელოვნად მიპასუხა:

— გოგონი! ი! ოჲ! ოჲ! შენ კი არა, მე ვერ გავუგე მისი ბუმბერაზი აზრების უსაზღვრო გაქანებას, — მუხლზე ხელი დაიკრა და ისევ გადაიხარხა.

— მაინც, მაინც? — არ ვეშვებოდი მე.

— ის ჩემში მხოლოდ ლოთს ხედავს და არა პოეტს,

— ჰომერული სიცილით წამოიჭრა სკამიდან.

იგი თითქოს უდარდელად იცინოდა, მაგრამ მე თვალწინ წარმომიდგა ის უხეში, ისტერიული არსება, ამ უბრავი ადამიანის ცოლი. ყურებში ჩამესმა მგოსან დავით გაჩეჩილაძის სიტყვები: „გალაკტიონს თავის სახლში კუთხეც არ ეკუთვნის!“, გალაკტიონის სიტყვები: „ჩემს სახლში, ჩემო ძამიკო, მოსვლა უხერხეულია, სხვანაირი ქალია“... გალაკტიონი დასცინოდა თავის ბეჭს, მარტობას, სულით ობლობას და ამას ბავშვური გულუბრევილობით, გადამდები, მხიარული სიცილით გამოხატავდა.

ერთხელ გალაკტიონმა რევოლუციის პირველი წლების ამბები მოიგონა. დაწვრილებით არ მახსოვს, მაგრამ ეს კი კარგად დამამახსოვრდა:

— რევოლუციის პირველ წლებში მე რუსეთში ვიმყოფებოდა,<sup>22</sup> თვით ლენინთან.<sup>23</sup> სამოქალაქო ომი... საშინელება... ბარიკადები... მე შემთხვევით გადავრჩი... ჩემო ანდრო, იმ სახებში შუა აზიაში ბასმაჩები თარეშობდნენ... თეთრგვადი ელებო ებთან ერთად იბრძოდნენ ჩვენს წინააღმდეგ, ვი главе с баями и муллами. საშინელებას

ახდენდნენ და ერთხელ,  
— წვერზე ხელი ჩამოისვა,  
წარბები აზიდა და ძალზე  
სერიოზულად თქვა: — მე  
უნდა წავსულიყავი ბუხარაში  
და ხელმძღვანელობა გამეწია  
ბასმახებთან ბრძოლის ორგა-  
ნიზაციისთვის.<sup>24</sup> დავეთანხმე,  
მაგრამ როდესაც გამოვედი,  
გრიბოედოვი წარმომიდგა  
თვალწინ.

— მერე, წახვედით? —  
შევეკითხეთ მე და ჩემი  
მეუღლე.

— მოსკოვიდან კი წამოვედი...  
ჩვენ ძალზე დავინტერეს-  
დით, თუ რით დამთავრდა  
მისი ბასმახებთან ბრძოლის  
ხელმძღვანელობა, როგორ გა-  
დაურჩა იმ მხეცებს, იყო თუ  
არა დაჭრილი. ყოველ ჩვენს  
შეკითხვაზე გალაკტიონი  
იცინოდა და როგორც მას  
სჩვეოდა, როდესაც პირდაპირი  
პასუხის გაცემა არ უნდოდა,  
მრავალმნიშვნელოვან „პოს“  
გაიძახოდა.

ბოლოს, რადგან აღარ  
მოვემვით, თქვა:

— პო და, ჩემო ანდრო,  
იცი, რა მოხდა შემდეგ? —  
გადაიხარხარა, — არც მე ვიცი,  
გრძნობაზე რომ მოვედი, თბი-  
ლისში აღმოვჩნდი.

— ეს როგორ? — გაკვირვებით  
გკითხე მე.

— არ ვიცი, — ხელების  
გაშლით თქვა გალაკტიონმა,  
— იმ ხანებში დიდი ზამთარი

იყო, მე უპალტოოდ ვიყავი  
წასული. კრემლიდან გვიან  
გამოვედი. წავქცეულვარ. დი-  
ლით ოვალში ჩაფლული  
ვუნახივარ ვიდაცას და ფილ-  
ტვების ახოებით თბილისში  
ამოვევავი თავი. ჰა! ჰა! ჰა!  
ჰა! მეორე გრიბოედოვი ლი-  
ტერატურაში აღარ განმე-  
ორებულა. კორоль პირის ცი-  
სახელი სიგარეტი განზე გასწია, მარ-  
ჯვენა თვალი მოჭუბდ და  
გადაიკისისა.

ჩვენს შეკითხვაზე, მერე  
თუ შეხვდა ამხანაგ სტალინს,  
გვიპასუხა:

— არა, მაგრამ... მწერალთა  
პირველ ყრილობაზე მე არ  
წამიყვანებ:<sup>25</sup> ამს. სტალინი და-  
რბაზში რომ შესულა, მაშინვე  
უკითხავს, გალაკტიონ ტაბიძე  
სად არისო?<sup>26</sup>

რამოდენიმე ხნის დუმილის  
შემდეგ გულისტკივილით  
თქვა, — ლაურეატობა ყველამ  
მიიღო მაშინ, კრომე ჩარიბი  
გოთა პირი.

ერთხელ აკადემიიდან გა-  
მოსვლისას გალაკტიონმა  
გვთხოვა, რადგან ჩემი ანდრო  
დვინოს არ სვამს, ლიმონათი  
დავლიოთო. ძალიან მხიარულ  
ხასიათზე იყო, ხუმრობდა და  
ბავშვივით კისკისებდა. გზაში  
„მშვიდობის წიგნის“ შესახებ  
გსაუბრობდით.

— ძამიკო, ერთია უკვდავი  
შემოქმედი და მეორე — ლაქია

პოეტი, რომლის ნადგაწი ადრე თუ გვიან გაშიშვლდება, როგორც ეს დაემართა ზოგიერთ ჩვენს კოლეგას.

— მართლა, პატივცემულო გალაკტიონ, იმ სათვალიან ძაღლს ყველა უმდერდა და ოქვენ არაფერი დაგიწერიათ, რატო?

გალაკტიონმა წამწამები აახამხამა, ტუჩები განზე წაიღო, ხელები გაშალა და ასე მი პასუხი:

— არ შემეძლო, გენაცვალე, მე... მუდამ ავად ვიყავი... ბატონო?<sup>17</sup>

სუფრის ხელმძღვანელად გალაკტიონმა მე დამაყენა. ამ დროს ვიღაც შოფერი მოვიდა და მიესალმა მხცოვან მგოსანს.

— ბედნიერებაა, რომ გნახეთ. თქვენ გენიოსი, ჩვენი ერის სინდისი და სიწმინდე ბრძანდებით. ბატონო გალაკტიონ, გვითხარით, როგორ გავისარჯოთ? ვიწამოთ სტალინი თუ არა?! თქვენ ხომ მუდამ ამხ. ლენინის და ამხ. სტალინის სიყვარულს გვასწავლიდით, ახლა?!<sup>18</sup>

გალაკტიონი ჩუმად იდგა. უცებ თქვა „ჰმ!“, მოსცილდა სუფრას და გაუჩინარდა. მხოლოდ შოფრის წახვლის შემდეგ დაბრუნდა და შეშფოთებული დიმილით გვითხრა:

— ვერ გაიგო ამ ხალხმა, რომ მე მგოსანი ვარ.

გალაკტიონს ერთი შესანიშნავი თვისება ჰქონდა. რა ხასიათზედაც არ უნდა ყოფილიყო, რა მდგომარეობაშიაც არ უნდა ჩავარდნილიყო, თავშეკავებას არასდროს არ ჰქარგავდა. არასოდეს და არცერთ შემთხვევაში არც ზედმეტს იტყოდა და ვერც წამოაცდენინებდით, რისი თქმაც თვითონ არ სურდა.

ერთხელ გალაკტიონი თავს შეუძლოდ გრძნობდა, შინ იწვა და ანდროს ტელეფონით სთხოვა, ლექსზე ხელის მოსაწერად მასთან მისულიყო. ჩემი მეუღლე ძლიერ აღელვებული დაბრუნდა.

— წარმოგიდგენია?! ცოლმა სეპამი პირდაპირ კოჭში მომარტყა. გალაკტიონი გადაფიორდა და მითხრა, ხომ ხედავ, ჩემო ანდრო, რა დღეში ვარ, ნუ მოხვალ ჩემთან, მე სახლი არა მაქვსო.

ისევ დაგვეკარგა გალაკტიონი. ლენინმისიაში მოვქებნენ.

— ო, გამარჯობა, ფატი, გენაცვალე, როგორაა საქმე, რას აკეთებს ჩემი ძმა „გალაკტიონ პო რუსეკი“, — ხუმრობით მითხრა. კარგ ხასიათზე მყოფი ჩემს მეუღლეს ასე მიმართავდა ხოლმე. შემომჩივლა:

— რაც მე მინდა, ის არ შეიტანეს დეკადის წიგნში.<sup>19</sup>

ამბობენ, გალაკტიონს არ  
ესმის, ავად არის ფსიქიურად.  
აბა როგორ ვწერ! სულ არ  
მიწევენ ანგარიშს, მხოლოდ  
ხელს მომაწერინებენ. ჩეუბი  
არ შემიძლია, რა ვჭა?

სხვა თემაზე გადავიტანე  
საუბარი.

— თავს როგორ გრძნობთ?

— არავითარ მურნალბას  
არ მიტარებენ, მხოლოდ ვწე-  
ვარ. ისე კი, ფატი, გენაცვალე,  
ჩემი ნამდვილი სახლი ეს  
უნდა იყოს, — მწარედ ჩა-  
იღიმა გალაკტიონმა, — აქ  
არავინ დამცინის.

ერთხელ გალაკტიონის  
წინადადებით ჩვენ, მე, ანდრო  
და გალაკტიონი მამადავითზე  
ავედით. ნიკოლოზ ბარა-  
თაშვილის საფლავთან მოვ-  
კალათდით. გალაკტიონი  
„მშვიდობის წიგნის“ თარ-  
გმანს კითხულობდა. მას  
თავისი შემოქმედების რუსუ-  
ლად კითხვა თვითონ უყ-  
ვარდა, არავის ანდობდა.  
აღტაცებული ანდროს მხრებ-  
ზე ხელს უთათუნებდა  
და იძახდა: — მშვენიერია,  
შესანიშნავია, ჩემო ანდრო...  
„Галактион по русски“ და  
სიცილით კვდებოდა.

უკან რომ ვბრუნდებოდით,  
კიბეზე შეჩერდა და ოქვა:

— აქ, ჩემსა და ნიკოლოზ  
ბარათაშვილის საყვარელ  
ადგილზე ორი სახლია, ერთი

ჩემი და მეორე არ ვიცი...<sup>30</sup>

უცებ ხელი სტაცა ანდროს  
და დაიძახა:

— აქეთ, აქეთ, ძამიკო, ანდრო!

— რა მოხდა, ბატონო  
გალაკტიონ, — გაკვირვებით  
ჰქითხა ჩემმა მეუღლემ.

— ხოჭოა... სულდგმულია,  
ჭირიმე, ფეხი არ დააბიჯო... —  
ამ სიტყვებით თავისი სათუთი  
გული გადაგვიშალა. დიადი  
გალაკტიონ ტაბიძე იმდენად  
კეთილი და გულუბრყვილო  
იყო, რომ არამც თუ ადა-  
მიანისთვის, ხოჭოსთვისაც  
კი არ შეეძლო მიეკუნებინა  
ტკივილი...

ერთხელ გალაკტიონი შესა-  
ნიშნავ ხასიათზე შემოიჭრა  
ჩემს სამუშაო ოთახში.

— ფატი, გენაცვალე, პირ-  
დაპირ მწერალთა კავშირიდან  
მოვდივარ. იქ მთელი მწერ-  
ლებიდან ლენინის პრემიის  
ლაურეატობაზე წარსადგენად  
მარტო მე დამამტკიცეს ერ-  
თხმად. ამ დღეებში მთელი  
მასალა იგზავნება მოსკოვში.<sup>31</sup>

შესანიშნავ ხასიათზე იყო.  
ბევრს ხუმრობდა.

ერთ დილას დეზერტირუ-  
ბის ბაზარში შესანიშნავ  
ხასიათზე მყოფი შემხვდა.  
შევედით იმ განყოფილებაში,  
სადაც ზეთი, ერბო და  
ყველი იყიდება. უცებ გა-  
ლაკტიონი დაგკარგე. ირ-

გვლივ მიმოვიხედე, იგი უახლოვდებოდა ლამაზ რუსქალს, რომლის გვერდით ორი პატარა ბაგშვი იდგა.

— Постное масло продаешь?  
— ჰყითხა ქალს გალაკტიონმა, უცებ მობრუნდა, ხელებით მოუხმო ხალხს:

— აქეთ, აქეთ, შესანიშნავი ზეთი აქვთ!

ხალხმა ხალისით დაუჯერა მგოსანს და, წარმოიდგინეთ, გალაკტიონი არ მოსცილებია იმ ადგილს, სანამ ქალმა თავისი 5 ბოთლი ზეთი არ გაყიდა.

გამეცინა. გალაკტიონს წყენა დაეტყო სახეზე.

— ორი ბაგშვის დედაა, მშვენიერი ქალი. ცოდვაა...

ბაგშვივით იცოდა გაბუტვა. სახე უცებ ეცვლებოდა. არაფერს გეტყოდა, მაგრამ ჩუმად მოგცილდებოდა.

ერთი რამ არის აღსანიშნავი. გალაკტიონი თბილისში მარტო რომ რჩებოდა, ყოველთვის გაწონასწორებული იყო. ჩვენ ხშირად ვსაუბრობდით ხოლმე.

— ძალიან გვიან შევხვდით მე და ჩემი ანდრო ერთმანეთს, — სინანულით ამბობდა მარსანი.

ერთხელ მოვუყევი მასთან ჩემი პირველი მისვლის ის „დაუგირებარი“ ინციდენტი. ძალიან შეწუხდა.

— სხვანაირი ადამიანია,

რა ვქნა, ჭირიმე. სახლის მშენებლობას დავამთავრებ სოხუმში და იქ გადავალ საცხოვრებლად. ბრძოლა არ შემიძლია. იცი, გოგონი, რა გიოხრა, ნერვებაშლილი ქალია, მისი ხელების სავარჯიშო მოედანს ხშირად ჩემი სხეული წარმოადგენს...

შევკრთი. გალაკტიონმა გაიცინა.

— არაფერია... მე და ანდრო დიდი ძალა ვართ...

გალაკტიონი ისევ ლეჩკომბინატში აღმოჩნდა. დავრეკე. მეორე დღეს მივედი. ძალიან გაუხარდა. გადაათვალიერა ნათარგმნი ლექსები და ზედ თავისი ხელით დააწერა დასტური კრებულში შეტანის შესახებ. გალაკტიონის ხელმოწერილი ლექსები ჩემთან ინახება. დიდხანს ვისაუბრეთ, ბოლოს ვკითხე:

— პატივცემულო გალაკტიონ, ვის უძღვენით „მერი“, მართლა გიყვარდათ ვინმე, თუ ეს ისეთივე გატაცება იყო სახელით „მერი“, რაც იმდროინდელ მგოსნებს ახასიათებდათ?

— ჰმ! — ჩაახველა გალაკტიონმა.

— ჩვენ ხომ მეგობრები ვართ, მითხარით რა სიმართლე!

— ეს მერი შერვაშიძეს ვუძღვენი, ის იყო ულამაზესი ქალი. მე ის მიყვარდა, ის

გათხოვდა. შესანიშნავი ვაჟებაცი იყო მისი ქმარი, მეფის ფლიგელ-ადიუტანტი გიგუშა ერისთავი. მერიც ფრეილინა იყო.<sup>32</sup> ის ჩემზე ბევრად უფროსი იყო. მისი ქმარი პარიზში გარდაიცვალა.

— თუ შეხვდით თქვენ მას მერე?

— პარიზში რომ ვიყავი, მაშინ ვინახულებ.<sup>33</sup> იქ შევხვდი არაგონსაც,<sup>34</sup> რომელმაც ჩემი „მე და დამე“, „მერი“ და „მთაწმინდის მთვარე“ თარგმნა. თარგმანი დამეკარგა. მას მერე არ მინახავს. არაფერი ვიცი...<sup>35</sup>

— მერის შემდეგ არავინ გყვარებიათ?

— ჩემს პირველ ცოლს ძალიან ვცემდი პატივს,<sup>36</sup> — უცებ მხიარულად მომხვია ხელი, — ახლა, ჩემთ ფატი, ჩემი მმა ანდრო და შენ მიყვარხართ ძალიან.

მეტი აღარცერთ კითხვაზე აღარ მიპასუხა.

ერთ დღეს გალაკტიონი ძალიან აღელვებული შემოვიდა ჩემს სამუშაო ოთახში. ხენეზოდა. დავიწეუ მისი დამშვიდება, ვკითხე მიზეზი.

— დამცინეს, მწერალთა კავშირმა ლაურეატობაზე წარადგინა ჩემი კანდიდატურა, მაგრამ ზოგიერთმა ისე გაძეოთა, რომ გამაშავეს... სახალხო მგოსანს<sup>37</sup> დასცინეს!..

მოფერება და დამშვიდება

დავუწეუ, ვითომ ხუმრობაც ვცადე, მაგრამ არაფერი გამომივიდა. ძალიან დელავდა. უცბად, თავისდაუნებურად გაეცინა.

— იცი, გოგონი, რა მითხრეს მეოსნებმა? თითქოსდა, მთელი ჩემი საბუთები, ლაურეატობაზე წარსადგენი, თვითმფრინავიდან გადმოვარდნიათ. ჰა! ჰა! ჰა! მხოლოდ ჩემი საბუთები. Странно!

გალაკტიონმა ხშირად იცოდა ამ სიტყვის დაყოლება, როდესაც რაღაცას ვერ იჯერებდა.

გალაკტიონი და ჩემი მეუღლე გაზეთ „ზარია ვოსტროკას“ განყოფილებაში „Поэзия и жизнь“ გამოსაქვეყნებული ლექსებით რედაქციაში მივიღნენ, სადაც გალაკტიონს ამხ. სერებრიაკოვის<sup>38</sup> და ხაცევისის<sup>39</sup> თარგმანები გადასცეს. ჰკითხეს, მოგწონთო? ტუჩები მაგრად მოკუმა:

— მშვენიერია, — ტუჩების და თავის განზე გაწევით უპასუხა, მაგიდაზე გვერდულად დადო თარგმანები და კარებისკენ გაემართა.

— თუ მმა ხარ, ანდრო, ვინ არის ეს ხაცევისი, ან რა დაწერა? ვერ გავიგე...

— მერე, რატომ არ თქვით?

გალაკტიონმა ხელები გაშალა და საბრალო გამომეტყველებით უპასუხა:

— არ მინდა ვაწყენინო, კაცო, მაგათ კი ჰგონიათ,

გალაკტიონს არ ესმის, ვერ ერქვევაო, რა ვიცი... ჩემი გაგებით, ის ლექსი მე არ დამიწერია...

როგორც წესი, გალაკტიონი ცდილობდა, რომ არა- გისთვის არ მიეყენებინა შე- ურაცხეოფა. თუ რაიმე არ მოეწონებოდა, ნაწერს უხმოდ, ცერად დადგებდა მაგიდაზე, ხელს გადაუსმევდა, თავს გვერდზე გადასწევდა და სახის დამანჭვით, ცალყბად იტყოდა:

— მშვენიერია, ბატონო!

ერთხელ გალაკტიონი აფორიაქებული მოვიდა.

— ძალიან აღელვებული ვარ, ფატი, გენაცვალე- ეს რა საშინელი წიგნი გა- მოსცა მოსკოვმა, მე სულ და- მახინჯებული ვარ. ჩვენს შო- რის რომ ვთქათ, რუსეთის მკითხველი სულ არ მიცნობს... არა, მიცნობს, მაგრამ არა როგორც გალაკტიონს...

ისევ მოვიდა გალაკტიონი, მაგრამ ეს რა საშინელი დღე იყო ჩემთვის! შემოსვლისას დაჯდა. დიდხანს იჯდა ხმა- ამოუდებლივ. მე არასოდეს მინახავს ეს ბუმბურაზი ადამიანი ასეთ მდგომარეობაში. მართა- ლია, ის ადრეც მოსულა ჩი- ვილით, მაგრამ არა ასეთი სახით. გალაკტიონი ჩუმად ტიროდა. ტიროდა სულ მარტო და არ ვიცოდი, რა

მექნა. ბოლოს მივუახლოვდი. ბავშვივით მივეფერე. გალაკ- ტიონმა თავი ასწია.

— სად წავიდე?! მეტი არ შემიძლია... სამი სახლი მაქს და არც ერთში ჩემთვის კუთხე არაა... მე დიდი ხანია სახლში არ ვსადილობ... რა ვქნა... მხოლოდ თავდავიწყება შეგელის...

ეს საშინელი ადსარება იყო. რა მექნა, მე თვითო- ნაც არ მქონდა ადგილი... გალაკტიონი ადგა, შეათვა- ლიერა ჩემი სამუშაო ოთახი, შეღიავნებულ ადგილთან მიფიდა.

—ფატი, გენაცვალე, ჩემი ნაწერები მეფანტება. ჩემს ცოლს არ სწამს ჩემი შემოქ- მედება, თუ რაშია საქმე, ვერ გავიგე. მე შკაფს ვიყიდი<sup>40</sup> და შენთან გადმოვიტანოთ ყველაფერი, გასაღებს შენ ჩაგაბარებ!

მე თანხმობა განვუცხადე.

—აბა ჰე! ჩემო ფატი, სა- ხალხო მგოსანს შველა უნდა!

მაგრამ გალაკტიონ ტაბიძე დღეს რომ ასე იტყოდა, მეორე დღეს აზრი ეცვლებოდა, რა- დაცის შიში იპყრობდა, თორეგ მისი იმედი რომ მქონოდა, უდაოდ განვაცხადებდი, სა- დაც საჭირო იყო. იმედი არ მქონდა და ვდუმდი.

გალაკტიონი დაუინებით მოითხოვდა მისი ნაწერების ჩემთან გადმოტანას, მე სულ ვაჭიანურებდი, რადგან ჩემი

მეუღლეც მგოსანია და  
არ მინდოდა, მის მომავალ  
შემოქმედებას სრულიად უმი-  
ზეზოდ ჩრდილი მოჰყენოდა.

აქვე უნდა აღვნიშნო, რომ  
მანქანაზე გადაბეჭდილი  
(ხელნაწერი ჩვენ გალატ-  
ტიონს დავუბრუნეთ), ორი  
ლექსი, რომელიც ჩემს მეუღ-  
ლეს სათარგმნელად გადასცა  
და ჯერ არსად დაბეჭდილა,  
ინახება ჩვენთან.

„მშვიდობის წიგნის“ თარ-  
გმნა დამთავრებული იყო და  
გალაკტიონთან დავრეკე. ხმა  
შევიცვალუ. ტელეფონთან  
მეუღლე მოვიდა, ვიღაც  
რუსი მამაკაცი გირეკავსო.  
გალაკტიონს შევატყობინე  
„მშვიდობის წიგნის“ თარგმა-  
ნის დამთავრება, რამაც ძა-  
ლიან გაახსარა.

— ჩემი „მშვიდობის წიგნი“,  
შესანიშნავია, გენაცვალე!

ყურმილიდან მისი ცოლის  
ხმა გავიგონე: — არც ერთი  
სიტყვა წიგნზე!

გალაკტიონი (საბრალო  
ხმით): — რას ამბობ, ჭირიმე,  
ეს ჩემი წიგნია!

მქ: — პატივცემულო გა-  
ლაკტიონ...

გალაკტიონი: — ფატი, გე-  
ნაცვალე, ანდროს უთხარი,  
ხვალ...

ცოლი: — შეწყვიტე ლაპარაკი!

გალაკტიონი: — კარგი, კარ-  
გი... ნინა... ფატი, გენაცვალე,  
ახლა ეს წიგნი...

ცოლი: — გაჩუმდი...  
მქ: — ლაპარაკს გიყრძალავენ?  
გალაკტიონი (უხერხუ-  
ლად): — არც მასეა საქმე...  
ხვალ მოვალ აკა...

აშკარა იყო, რომ ტელე-  
ფონის მილი გამოგლიჯეს  
ხელიდან, რადგან სიტყვა  
დაუმთავრებელი დარჩა...

ისევ დამეკარგა გალაკტი-  
ონი, ისევ ლენკომბინატში მი-  
გაითხე. დალაგდა.

— არაფერი ვიცი, რა არის  
შეტანილი ჩემს საიუბილეო  
წიგნში? რადაცის გაკეთება  
უნდათ. ისევ ცდილობენ  
ჩემი წიგნის გაფუჭებას...  
რუსეთის გამოცემა ხომ  
სულ არ ვარგა. მე არ მე-  
კითხებიან, ისე შეაქვთ, ვისი  
და ვისი თარგმანია, არ ვიცი.  
„მშვიდობის წიგნი“ შეიტანეს  
თუ არა, არ ვიცი... ჩემი ათი  
წლის მუშაობის შედეგი...

მოულოდნელად გაწით-  
ლდა და ელვისებურად წამო-  
იჭრა ფეხზე:

— ჰო! ნინა! გამარჯობა,  
გაიცანი ჩემი მეგობარი. აკა-  
დემიაში ერთად ვმუშაობთ...  
ჩემი მეგობრის ანდროს ცო-  
ლი... ფატი...

მეც ავდექი და მივესალმე  
გალაკტიონის ცხოვრების  
მეგობარს.

ცოლი: — გალაკტიონ,  
შენ ხომ იცი, რომ სიმშვიდე  
გჭირდება და ექიმებმა აგიპ-

რძალეს სტუმრების მიღება და ლაპარაკი, განსაკუთრებით ლიტერატურაზე.

გალაკტიონი: — ნინა, გუნაცვალე, მე ძალიან დამშვიდებული ვარ... რას ამბობ... ჩემი სიცოცხლე პოეზიაა, ვინ ამიკრძალავს მაგაზე ლაპარაკს?! აბა, შენზე ვილაპარაკო?

ცოლი: — აი, ხომ ხედავ, უპყვი ღელავ. შენი საძალმყოფოდან გამოსვლა არ შეიძლება.

გალაკტიონი: — შენ რომ გეხდავ, მუდამ ასე ვარ, ნერვების ასაშლელად მოხვედი, ქალო?!

ცოლი ბრაზმორეული მომიბრუნდა და მომაბახა:

— ვერ გამიგია, ვერაფრით ვერ უნდა დაგიმალოთ გალაკტიონი?! მე მთავრობის და საზოგადოების წინაშე ვაგებ პასუხს... ამ ადამიანს აკრძალული აქვს ლიტერატურაზე ლაპარაკი, გესმით ოუ არა?!

გალაკტიონი მთელი სხეულით აცახცახდა.

— ვინ ამიკრძალა მე ჩემს მეგობრებთან საუბარი ლიტერატურის ირგვლივ?! არ შემიძლია... მიბრძანდი ბატონო... ესეც სახლი ხომ არაა?

მე სულ სხვა საგანზე დაგუწყე ლაპარაკი. ვიდაცები შემოვიდნენ და ისევ გამხი-

არულდა. უცემ ცოლმა შენიშნა:

— გალაკტიონი, იცი, სწორედ ამ ოთახში იწვა უშანგი ჩემიძე.<sup>41</sup>

— აქ იწვა? — სახის საბრალო გამომეტყველებით, აკანკალებული ხმით იკითხა გალაკტიონმა.

— სწორედ შენს საწოლზე.

— რას ლაპარაკობ? უშანგის ბედი... ჰა! ჰა! ჰა! შენთან შეხვედრა, ნინა, ჩემთვის ყოველთვის ბედნიერებაა... უშანგი ჩემიძე... ჰა! ჰა! ჰა! საცოდავი.

საერთოდ, გალაკტიონი რა ხასიათზედაც არ უნდა ყოფილიყო, სიტყვა-პასუხზე ძალიან ძუნწი იყო. ცდილობდა ესმინა, ვიდრე ელაპარაკა. მხიარულ ხასიათზე ყოფნისას სულ იცინდა, მაშინაც ძვირად თუ იტყოდა რაიმეს. ახლაც ასე მოხდა. უშანგი ჩემიძის მოგონებით სახეზე აღელვება შეეტყო, შეიძლება ბევრი რამ წარმოიდგინა, მაგრამ არაფერი თქვა, გარდა ორი სიტყვისა „უშანგის ბედი“...

ერთხელ გალაკტიონი ისევ საშინლად აღელვებული მოვიდა აკადემიაში. კარებიდანვე მომაბახა:

— წარმოგიდგენია, ფატი, გენაცვალე, ჩემი „მშვიდობის წიგნი“ არ შეიტანეს წიგნში. ეს რა მიქნეს! მოვიდნენ ლენ-კომბინატში და გამზადებულ

მასალაზე ხელი მომაწერინეს, მე არც წამიკითხავს თარგმანები... გამომიცხადეს, „მშვიდობის წიგნს“ 1959 წელს გამოცემთ ცალკე წიგნადო...<sup>42</sup> რა კინა, ანგარიშს არ მიწევენ... გალაკტიონს არ ესმის, ნერვებაშლილიაო...

და ისევ ჩივილი დაიწყო. ბოლო ხანებში უმიზეზოდ, საშინლად კეჭიანი გახდა. სულ ეწვენებოდა, რომ მისი გაფუჭება უნდოდათ, თითქოსდა მტრობდნენ, თითქოს უკვე აღარ იყო საჭირო და სხვა. ამ ეჭვების არავითარი უარყოფა არ ჭრიდა. დაშინებით გაიძახოდა:

— არა, ბარონო, სახალხო პოეტი ბებერია... ის საჭირო არ არის.

არასოდეს დამავიწყდება გალაკტიონის შიში... რაზედაც არ უნდა ჩამოვარდნილიყო საუბარი, უცემ შეწყვებიდა, თავისი მშვენიერი, შეშინებული თვალებით მოგაშტერდებოდა, აკანკალებული ხელებით დაიწყებდა წვერის წვალებას, მორთოლვარე ხმით, საბრალოდ შეგეკითხებოდა:

— გენაცვალე, მე დავრჩები თუ იცი? ხალხს ვუყარვარ?<sup>43</sup>

ეს სრულიად უმიზეზოდ აკვიატებული აზრი მოსვენებას არ აძლევდა, ყველას ეკითხებოდა და მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა ეტყოდი, რომ ქართველი ერის

საყვარელი მგოსანია.

— ჰა! ჰა! ჰა! მგოსანთა მეფე! კორი პითო! — წამოიძახებდა აღტაცებით.

ერთ დღეს გალაკტიონმა ლექსი მომიტანა და მთხოვა, ჩემს ძმას, ანდროს გადაეცი, გადამითარგმნოს, იუბილეს-თვის მინდაო. ლექსი არსად გამოქვეწებულა, არც ქართულად, არც რუსულად და ჩვენთან ინახება.

— ეს მგოსანმა მე მიძღვნა. ნიკოლოზ ბარათაშვილს მადარებს... მაშ მე დავრჩები... ხალხი ამბობს — შოთა, ილია, აკაკი, ვაჟა და გალაკტიონი... — ისევ ათროლდა, — როგორ შეიძლება გალაკტიონი, გალაკტიონოლოგია არ დარჩეს... ფატი, გენაცვალე, ა?<sup>44</sup>

ისევ ეჭვები, უიმედობა და საკუთარი თავის გამხნევება. ბოლო ხანებში სულ ცდილობდა, ხალხის დასანახად მხიარულ ხასიათზე ყოფილიყო. თითქოს არაფერი აღარდებდა, იცინდა, ხუმრობდა, მაგრამ როგორც კი მარტო რჩებოდა ჩემთან ან ჩემს მეუღლესთან, ისევ დელავდა...

— ნაწერები მეფანტება, ვიღუბები...<sup>45</sup> ჩემბან არაფერი რჩება... ხალხს ვუყვარვარ?.. ჩემი „მშვიდობის წიგნი“ რუსულად არ მეღირსა...

ამ ჩივილს ხშირად ცრემლიც ახლდა, რომელიც, მო-

ულოდნელად, უდარდელი სიცილით იცვლებოდა... გალაკტიონი იმდენად გულჩილი და სათუთი ბუნების ადამიანი იყო, რომ სულ მცირე, სულ უმნიშვნელო რამ სწყინდა. ერთი თბილი სიტყვა მისოვის ბედნიერება იყო, აღტაცებაში მოდიოდა, ყველაფერი ავიწყდებოდა და სიხარულით ტოკავდა. ერთი თვისებაც პქნდა - ძალზე ეზარგოდა ვინმეს შეწუხება, რაიმეს თხოვნა. ეს მისოვის უდიდეს სიძნელეს წარმოადგენდა.

არასოდეს დამავიწყდება ერთი შემთხვევა. თავისი დიდი პატივისმცემელი, მუზეუმის დირექტორი გამაცნო:

- ჩემი პატრიოტია, შენსავით, ფატი, გენაცვალე.

მეორე დღეს, როცა აკადემიაში მოვიდა, ვთხოვე, ჩემი ნათესავი მოეწყო მუზეუმში. გალაკტიონს ადარ ახსოვდა, წინადღით, თოფურია, როგორც საუკეთესო მეგობარი, თვითონვე რომ გამაცნო. სახე ეცვალა, მაგიდაზე თითები აათავაშა და ცალებად მითხრა:

- კი, გენაცვალე, ფატი, მაგრამ მოადგილეს არ ვიცნობ... ამხ. თოფურიამ ძალიან, ძალიან მაწყენინა... წაჩხუბებული ვარ... ორი თვე იქნება, რაც არ მინახავს...

- პატივცემულო გალაკტიონ, როგორი ეშმაკი ხართ. -

სიცილით ვუთხარი მე.

- შეიძლება, გენაცვალე. - მხრები აიჩენა მან.<sup>46</sup>

იუბილეს ამბების გასაგებად მივედი გალაკტიონთან. ლეჩკომბინატში შეხვედრის შემდეგ მეუდლემ კარგად მიმიღო. შევედი როთა მშობელი თავბრუდამება, რა სიბინძურები იწვა უპატრონოდ ეს უკვდავი მგოსანი! სიხარულით მომეგება. საუბარი ისევ და ისევ, რა თქმა უნდა, შემოქმედებას ეხებოდა. ძლიერ ღელავდა, ისევ ეჭვები, უიმედობა, ჩივილი.

- ავად ვარ... სიარული არ შემიძლია... ახალი წიგნი ჩემს იუბილეს ვერ უსწრებს.<sup>47</sup> „მშევრობის წიგნი“ არ იქნება გამოცემული... არ ვიცი... რას აკეთებენ, მე არავერს მეკითხებიან... არ ვიცი, არავერი არ ვიცი... ჩემი ძმა ანდრო დამეხმაროს... მე არ შემიძლია ჩხუბი და სიარული... ანგარიშს არ მიწევენ... გალაკტიონს არ ეშმისო, ბატონო...

დამშვიდება დაგუწყე, ანდრო ყველაფერს გაიგებს-მეტქი...

- ხალხი მაინც ჩემი პატრიოტია?.. მათ თავისი სახალხო პოეტი უყვართ - შიშით მკითხა და მომაჩერდა.

- რა თქმა უნდა, პატივცემულო გალაკტიონ, ტყულიად ღელავთ, - ვუპასუხე...

— аრა, ფატი, გენაცვალე, ასე არ მსჯელობს ყველა. ნინა, ერთი პორტფელი მომაწოდე! — პორტფელიდან ქაღალდები ამოიღო, — აბა, მომისმინე, როგორ მსჯელობს ზოგიერთი. მე წაგიკითხავ ორ წერილს. ერთია, ჩემი სახელობის სკოლის<sup>48</sup> მოწაფებების რომ მისწერეს ტიხონოვს<sup>49</sup> და მეორე — ტიხონოვის პასუხი.

დაწვრილებით არ მახსოვს შინაარსი, მაგრამ ზოგიერთი ადგილი კარგად დამამახსოვრდა. რუსულად იყო დაწერილი. ბაგშვები წერდნენ:

„...Мы очень любим наших классиков Шота, Илья, Акакий, Важа, глубоко чтим русских классиков — Пушкина, Лермонтова, Толстого, Гоголя и т. д. С удовольствием читаем и уважаем советских писателей. Вы назвали имена выдающихся грузинских писателей, но ни одним словом не обмолвились о любимом всем грузинским народом поэте, основоположнике не только грузинской, но всей советской литературы, о поэте, который признан не только нами, но и зарубежными читателями гениальным поэтом, о народном поэте Галактионе Табидзе“ და ა. შ.

— ხომ ხედავ, ფატი, გენაცვალე, სახალხო პოეტს არსად არ ახსენებენ... არ უნ-

დათ... გულნატკენმა ბაგშვებმა ვერ მოითმინეს... ყრილობაზე<sup>50</sup> ჩემი სახელის სსენება სრულიად არ იყო. ბაგშვებმა დაიცვეს ჩემი შემოქმედება. ახლა მე წაგიცითხავ ტიხონოვის პასუხს, — თქვა გალაპტიონმა.

არც ეს წერილი მახსოვს დაწვრილებით, მეხსიერებაში მხოლოდ რამდენიმე სტრიქონი ჩამდებულია: „Мои дорогие маленькие патриоты родной литературы, заранее извиняюсь за опоздание, но я был все время в отъезде, в разъездах и т. д. Я вполне понимаю вашу обиду, но дело в том, что когда говорят о грузинской литературе, Галактион Табидзе всегда подразумевается“.

გალაპტიონმა პომერული სიცილით შეწყვიტა კოთხვა.

— შესანიშნავი ამბავია, „Галактион Табидзе всегда подразумевается“. პა! პა! პა! იღია, აკაკი, ვაჟა, შოთა რუსთაველი „подразумевается“! პა! პა! პა!

რამდენიმე დღის შემდეგ კვლავ მომიხდა მახთან შინ მისელა, იუბილესთან დაკავშირებული ამბების გასაგებად. ისევ ლოგინში დამხვდა. ცოლმა განაცხადა:

— იუბილეს გადადება უნდოდათ 1959 წლის იანვრისათვის. იცოცხლებს კი მანამდე?

გალაპტიონი შეკრთა.

— რატომ მკლავ, ქალო?! ეს

რა სიტყვებია!

ცოლმა განზე გაიხედა და  
დასძინა:

— არა, ბატონო, ნეტა სრულ  
ჭკუაზედ დარჩებოდეს, თორემ  
ახლაც არეულია, — და  
ხელის მოძრაობით გამოხატა  
სიგიჟ.

გალაკტიონს კანკალი  
აუგარდა, ლოგინში წამოჯდა,  
აღელვებული, მორთოლვარე  
ხმით, ძალზე საბრალოდ  
თქვა:

— ვერ გამიგია, პაცო, მიმ-  
ტკიცებენ ნერვებაშლილი ხა-  
რო და ძალით მრევენ! რატომ  
უნდა შევიშალო, ქალო! რა  
მიგავს მე შემლილს!

— აკა, ბატონო, კაცს მოქ-  
ლი სხეული უკანკალებს და  
ამტკიცებს, რომ ის ჯანმ-  
რთელია.

— თავი დამანებე, თორემ  
პერანგისამარა ქუჩაში გავვარ-  
დები! — თვალების ბრიალით  
წამოიყირა გალაკტიონმა. მე  
მაშინვე მივიჭრი მასთან და  
დამშვიდება დავუწევ.

— საცოდავი გალაკტიონი!  
ყველას სულელი ჰგონია... მე  
მოელი ცხოვრება ასე ვტო-  
კავდი... შემოქმედი ვარ, ფატი,  
გენაცვალე, — საბრალოდ  
იძახდა გალაკტიონი, — რა  
არის ჩემი ცხოვრება? — უცებ  
სახე შეეცვალა და სწრაფად  
მკითხა:

— თუ ნერვებაშლილია  
გალაკტიონი, დავრჩები თუ  
არა? ხალხს კუკვარვარ?

ისევ მომიხდა მისი დამ-  
შვიდება. დავუწევ ლაპარაკი  
„მშვიდობის წიგნზე“, რაღაცა  
გავეხუმრე. ეჭვით გააქნია  
თავი და მითხრა:

— არა, ფატი, გენაცვალე,  
არც მასეა საქმე. მე სახლში  
ორი ბოთლი მოწამლული  
დვინო შემომიგზავნეს. მაშა-  
სადამე, ჩემს წინააღმდეგ  
მუშაობენ. აბა, ნინა, სადაა ის  
ბოთლები, მოიტანე!

ეს საშინელება იყო. მე  
არც საკუთარ ყურებს, არც  
თვალებს არ ვუჯერებდი.  
როგორ... ვის... ათასი აზრი  
მერეოდა თავში... უცებ  
გალაკტიონს გაეცინა.

— ხელი მტკიცა. იცი, გე-  
ნაცვალე, რა მოხდა გამოე-  
ნისას? ვიდაც მთვრალმა  
რუსის დედაკაცმა, რომელსაც  
მასავით მთვრალი ვაჟკაცი  
ახლდა, ჩემს კარებზე დილის  
ოთხ საათზე დაიწყეს ბრა-  
ხუნი და ზარის რეკვა, ქალი  
ჩემს სახელს გაიძახდა. კა-  
რებთან ნინა მივიდა და რომ  
ვერაფრით მოიშორა, ჰა! ჰა! ჰა!  
პირველად ჩემს ცხოვრებაში,  
ახალგაზრდობაშიაც არ გამი-  
კეთებია ეს, გავედი გარეთ  
და რიგიანად ვცემე ორთავვე.  
ახლაც მტკიცა ხელები.<sup>51</sup>

იუბილე.<sup>52</sup> რა მშვენიერი  
იჯდა გალაკტიონი ოპერის  
თეატრის სცენაზე! ანგრაქტის  
დროს მასთან ლოჟაში შევვ-  
დით. მაშინვე წამოიჭრა ადგი-

ლიდან და გამოსწია ჩვენკენ. წიგნი შემამჩნია ხელში, გამომართვა. სწრაფად დაჯდა. ეს იყო რონდელის წიგნი „გალაკტიონ ტაბიდე“<sup>53</sup> ძალზე აღელვებულმა დაიწყო მისი ფურცელა. სახე გაუბრწყინდა, ხელი დაარტყა იმ ადგილს, რომელიც ყველაზე მეტად აინტერესებდა და სიხარულით უთხრა ანდროს:

— ძამიკო, ეს ყველაფერია! მე მეტი ადარაფერი მინდა: „გალაკტიონ ტაბიდე საბჭოთა ლიტერატურის ფუძემდებელი, კლასიკოსი“... დავრჩები... სალხს უყვარს სახალხო მგოსანი!

ვინ ან საიდან ჩაუნერგა ეს საშინელი ეჭვი ამ უკავდავ ადამიანს? ეს კოშმარივით იყო, წუთი გამოდარება, რწმენა, იმედი და უცებ ეჭვი, საშინელი იჭვი, რომელიც წუთითაც არ ასევენებდა მხცოვან მგოსანს, თანდათან სულ უფრო და უფრო ღრმავდებოდა და თავის-დაუნებურად ყველას ეკითხებოდა:

— ხალხს ვუყვარვარ?! დავრჩები თუ არა?!

იუბილეს მეორე დღეს გალაკტიონი ჩვენთან მოვიდა სახლში. იმ დღესთან დაკავშირებული ყველა გაზეთი და წიგნი პორტფელში ელაგა. შესანიშნავ სასიათზე იყო.

— ჩემო ანდრო, ბეჭინერი ვარ. „გალაკტიონი კლასიკი“, „გალაკტიონი საბჭოთა ლი-

ტერატურის ფუძემდებელი“. მეტი არაფერი მინდა, წავალ, მაგრამ ჩემი სახელი უკვდავია! კორი პირი იცოცხლებს!

ა რ ა ჩ ვ ე უ ლ ე ბ რ ი ვ განწყობაზე იყო, ხუმრობდა და ოვითონვეე კვდებოდა სიცილით. ყველანაირად ვცდილობდით, მისი ეს განწყობა შეგვენარჩუნებინა, რადგან, როგორც უკვე აღვინიშნე, ბოლო ხანებში ძალზე ეჭვიანი, უიმედობით შეპყრობილი და რაღაცით შეშინებული იყო...

— ჩემო ძამიკო, რა შესანიშნავი ლექსი იყო შენი ლექსი. მადლობა! — უთხრა გალაკტიონმა ანდროს დაუცებ ახედა შოთა რუსთაველის სურათს, რომელიც ჩემი მეუღლის სამუშაო მაგიდასთან ჰქიდია, — ჩემო ანდრო, ერთი სახსოვარი უნდა დაგიტოვო, ეს წარუშლელი იქნება, — წამოდგა და შოთას სურათის ქვევით, კედელზე რუსულად მიაწერა თავისი სახელი და გვარი, — დარჩეს ეს, გალაკტიონი შენოვის მუდამ ცოცხალი, თვალწინ გეყოლება... ვინ იცის რა... ეს კი დარჩეს ჩემგან.

მხიარულად ამოალაგა პორტფელიდან გაზეთები და ანდროს გაუწოდა.

— წაიკითხე, ჩემი ძმა, რას წერს ბესო ჟღენტი:<sup>54</sup> „გალაკტიონი საბჭოთა ლიტერატურის ფუძემდებელი“.

— პატივცემულო გალაკ-

ტიონ, თქვენ „ცისფერყანწელი“ იყავით, არა?

— არა, საწყალმა ტიციანმა მთხოვა ორი ჩემი ლექსი იქ დაბეჭდილიყო და მე მიკვი, — ამოიღო ქადალდი პორტფელიდან და მთხოვა: — წაიკითხე, ეს საცოდავმა ტიციანმა მიძღვნა.<sup>55</sup>

ლექსის კითხვა რომ დავამთავრე, გალაკტიონი ცოტა ხანს სდუმდა, შემდეგ ეშმაკურად გაიღიმა:

— ჩემო ანდრო, ტიციანის დახვრების შემდეგ,<sup>56</sup> მე, იცი, რა ვუთხარი ერთ მგოსანს? ჰა! ჰა! ჰა! მწერალთა კავშირში შევხვდი. პო, ვეუბნები, როგორ გავხარ ილიას! ჰა! ჰა! ჰა! ის შეიშუშნა, „რას ბრძანებო, ბატონო გალაკტიონ!“ ძალიან, ბატონო, მისი აზრები, მასავით პოეტური გაქანება, საზოგადოებრივი მოღვაწეობა, მმა ხომ არა ხარ მისი? მან ძალზე შეიფერა. ჰა! ჰა! ჰა! მორცხვად თავს აქნევდა და რას ბრძანებოთ, იძახდა. მხოლოდ ერთი რამ გაკლიამეთქი. „რა, ბატონო გალაკტიონ?“ — ტყვია შუბლში! ჰა! ჰა! ჰა! ვუპასუხე.

ჩვენ აგვივარდა პომერული სიცილი. გალაკტიონმა ისე შესანიშნავად გაათამაშა ეს ინციდენტი, რომ ასმა წელმა რომ განვლოს, არ დამავიწყდება.

მოულოდნელად დაღონდა,

ისევ იჭვმა შეიპყრო. უცებ წამოდგა:

— ხალხს უყვარს სახალხო მეოსანი? დავრჩები თუ არა, ჩემოანდრო? — ათროლებული ხმით მიმართა ანდროს, კართან მისული პასუხს აღარ დაელოდა, მობრუნდა და მხარზე ხელი დაარტყა:

— ჩემო ძმაო, ნამდვილი შემოქმედება არ დაიკარგება. ჩემი ნამდვილი იუბილე იქნება 60 წელში, ჩემი 70 წლისთავი. ეს მისი გენერალური რეპეტიცია იყო.

— 68 წლისთავი, ბატონო გალაკტიონ.

— ჰა! ჰა! ჰა! ახალგაზრდა ყოფილა კოროლი კოროლი.

ისევ ლეჩკომბინატი. გამოცხადებულია კარანტინი. შესვლა და ვინმეს ხახვა ძალზე მნელია. სხვადასხვა გზით ვახერხებდი შესვლას, გალაკტიონი კი ქვევით ჩამოდიოდა. პატარა ბავშვივით უხაროდა, ვინმე რომ მივიღოდა სანახავად, განსაკუთრებით, თუ რაიმე ტკბილს მიუტანდი.

— ძალიან ვწუხვარ, ფატი, გენაცვალე გვიან შევხვდით მე და ჩემი ანდრო ერთმანეთს... მომბეზრდა სულ ლეჩკომბინატში წოლა, ჩემი ნაწერები იფანტება... მე სულ გწევარ... დამეფუპა ამდენი ხნის ღვაწლი! — მეუბნებოდა იგი.

ბევრს გსაუბრობდით. ხან  
მეცუმრებოლა, ხან ჩიოდა:

— ჩემი წიგნის საიუბილეო  
გამოცემა ჩამიგდეს... განგება...  
„მშვიდობის წიგნი“ წელს  
უნდა გამოვიდეს, ხელწერილი  
მაქვს რედაქციიდან. გამო-  
ვალ და მე და ანდრო დაგ-  
ტრიალდებით. აბა, ჰე! თქვენ  
იცით!

— პატივცემულო გალაპ-  
ტიონ, თქვენ მუდამ ატარებ-  
დით წვერს? — დავინტერესდი  
მე. გადაიხარხარა.

— მე — „მშვიდობის წიგ-  
ნება“ და შენ — წვერზე... რა  
შეუაშია ჩემი წვერი? — ხელი  
ჩამოისვა.

— მართლა, ძალიან მაინ-  
ტერესებს, — არ დავიხიე  
უკან.

— არა, ფატი, გენაცვალე...  
მე ერთი კარგი ძმა მყავდა...<sup>57</sup>  
იმის სიკვდილის შემდეგ...  
საერთოდ, ყველა, ვინც მიყ-  
ვარდა... ნოდარის გარდა, ჩემი  
კარგი ძმისშილია... არავინ  
შემრჩა... მარტო ვარ... — უცებ  
შემომხედა და დიმილით მი-  
თხრა: — მაინც ძლიერი ვარ,  
ჩემი ძმა ანდრო... კუბოს  
ფიცრამდე ერთად ვიქნებით!

კიდევ ვინახულე გალაპტი-  
ონი, რამდენიმე დღის შემდეგ  
გაეწერა საავადმყოფოდან. რა  
ვიცოდი, თუ ეს უკანასკნელი  
შეხვედრები იყო. ძალიან  
დელავდა.

— ჩემს ნაწერებს არავინ

უურადღებას არ აქცევს.  
ყველას ვეუბნები, ნაწერები  
მეკარგება, შენოვის არა  
გვცალიაო, მპასუხობენ. რა  
ვქნა. შენ არ წაიღე, ნაწყენი  
ვარ, ჭირიმე!

იტირა კიდეც, ბოლოს  
თქვა:

— ჩემი ნაწერები არავის  
უნდა! ნახევრამდე გაბნეულია,  
რა რჩება ჩემგან??!

— უკვდავება! — ვუპასუხე მე.

— არა, გენაცვალე სია წა-  
იკითხეთ? დეპუტატად<sup>58</sup> არ  
ამირჩის, სახალხო მგოსანი  
საჭირო არ არისო, არც მი-  
სი ნაწერებიო! — ცრემლი  
მოერია.

ჩემმა მეუდლემ უკანასკნე-  
ლად 14 მარტს ნახა გალაპ-  
ტიონი, რომელმაც თავისივე  
ოთახში ბაგშვიგით იტირა.

— სახლი არა მაქვს... ნა-  
წერები დამედუპა!..

კიდევ ბევრი რამ მახსოვს  
და აუცილებლად დაგწერ  
ყველაფერს... ძალიან მტკივა  
გული.

პანაშვიდიდან გალაპტი-  
ონის ბინაში შევიარე. შესა-  
ნიშნავი ძვირფასი რემონტი,  
ტიულის საზღვარგარეული  
ფარდები, ბევრი სინაოლე!  
ეს ახლა, როცა ბუმბერაზი  
ადამიანი ადარ არის, მის  
დროს კი... არაფერი არ იყო...  
არავითარი სიხალისე, უფრო  
სასტუმროს მოგაგონებდა,  
ზამთარში ცივს...

## გალაკტიონ ტაბიძის

### ნამბობი

გალაკტიონ ტაბიძე თავისი სიცოცხლის უკანასკნელ წლებში განსაკუთრებულად მეგობრობდა ჩემს მეუღლესთან, მისი ლექსების რესულად მთარგმნელ ანდრო პატარაიასთან და ჩემთან. აღსანიშნავია, რომ გალაკტიონი, ასეთი გულწაოხორობილი, ჩუმი, რომელიც უფრო სხვის საუბარს უსმენდა და თვით კი, უმრავლეს შემთხვევაში, სდება, გულახლილი იყო ჩემთან და თუ კარგ ხასიათზე იყო, თავისი განვლილი ცხოვრების შესახებ გვესაუბრებოდა. განსაკუთრებული სიყვარულით იგონებდა დედას და მმას. ოცნებობდა მშობლიური სოფლის მონახულებაზე:

— მე მინდა, ფატი, გენაც-გალეჩავიდე ჩემს სოფელში... ბევრი რამ აღარ მახსოვს, მინდა შევაგროვო მასალები და პატარა წიგნი ჩემი ცხოვრების შესახებ ჩემივე სოცოცხლეში მოვამზადო გამოსაცემად.<sup>59</sup>

ხშირად მეცნიერებათა აკადემიაში ჩემს პატარა ოთახში, ან ლენკომბინატის დერეფანში გალაკტიონი საკუთარ თავზე ძალზე საინტერესო ამბებს მიყვებოდა. საერთოდ მას ძალზე სწრაფად, ჩუმად და

სიტყვების ბოლო ასოების დაკარგვით სწორდა ლაპარაკი. ძალიან ძნელი იყო მისი ნაამბობის გაგება. ყოველთვის უურადდების დიდი დაძაბვით ვუსმენდი, არც ერთი სიტყვა რომ არ დამეკარგა, რადგან ძალზე საინტერესო იყო. ზოგ რამეს მგოსნის საუბრის შემდეგ სახლში მისვლისთანავე ვიწერდი, ზოგი რამ კი მეხსიერებაში აღვიდგინე და ახლა ვწერ... ძექდან ბევრი რამ უცნობია საზოგადოებისთვის და არ მინდა, პირადად გალაკტიონის ნაამბობი დავუკარგო მომავალ თაობებს.

— მამაჩემი სოფლის მასწავლებელი იყო, დიდად განვთარებული, რასაკვირველია, იმ დროისათვის, როგორც მე გამიგონია, — მორცხვი ღიმილით თქვა გალაკტიონმა,

— ნაროდნიკი, მხურვალე მონაწილეობას იღებდა სოფლის ყოველდღიურ ცხოვრებაში... წერა-კითხვის გავრცელებაში სოფლად... მამით ობოლი დავიბადე. აღარ იყო ცოცხალი,<sup>60</sup>

— ნაღვლიანად დასძინა პოეტმა. წეოთი ღუმილი ჩამოვარდა. გალაკტიონი თავდახრილი კრიალოსანს ათამაშებდა, უცებ თავი ასწია და განაგრძო:

— ძალიან ხელმოკლედ ცხოვრობდა საცოდავი დედაჩემი... სრულიად ახალგაზრდას დააწეა მთელი ოჯახის სიმბიმე... წერა-კითხვა დედამ შემასწავლა.

რვა წელი რომ შემისრულდა, გადაწყვიტა ჩემი ქუთაისში სასწავლებლად გაგზავნა. ჩემი და პროკლეს სადმე ოჯახში „ნახლებნიკად“ მიბარება დედას არ შეეძლო. საშუალება არ ჰქონდა. თვითონ ჩავიდა ქუთაისში, დაიქირავა სამი ოთახი გაბაშვილის მთაზე „ნახლებნიკებად“ ჩემი ბიძაშვილები და დეიდაშვილები აიყვანა.<sup>61</sup>

კარგი დედა მყავდა, ძალიან ენერგიული. დედა-ჩემი თვითონ ამჟავებდა მიწას სოფლად. მიღებული მოსავლით და „ნახლებნიკებიდან“ აღებული ქირით გვზრდიდა მე და ჩემს საყვარელ მას პროკლეს. იმ სამი ოთახიდან დედამ მე და ჩემს დეიდაშვილს საკუთრივ გამოგვიყო ერთი ოთახი სამეცადინოდ და დასასვენებლად.

მე ოთხელასიან სასულიერო სასწავლებელში მიმაბარებს I მოსამზადებელში. მაშინ ასეთი წყობა იყო: სამი მოსამზადებელი და ოთხი ძირითადი კლასი, სულ შეიძლიანი სწავლა, შემდეგ თბილისი — სემინარია და აკადემია. მღვდლად მამზადებდნენ ჩემი წინაპრის მსგავსად, — სიცილით თქვა გალაკტიონმა. — დღის საათები მკაცრად იყო განაწილებული: გაკვეთილების მოსამზადებელი, დას-

ვენების და სათამაშო სა-ათები. საღამოს უფროსები გამოგვცდიდნენ. ვაი იმის ბრალი, ვისაც გაკვეთილი მზად არა ჰქონდა, ყურების აწვით და ერთი მაგარი სილით უმასპინძლდებოდნენ, არც დაწოლის უფლებას აძლევდნენ, სანამ გაკვეთილს არ მოამზადებდა, — ამის მოგონებაზე პოეტს სიცილი აუგარდა და სიცილით განაგრძო:

— კველაზე მეტს ჩემს დეიდაშვილს სჯიდნენ, — გაწითლდა, თითქოს დანაშაული მიუძღვისო და ჩუმად და სწრაფად, როგორც ჩეკოდა, დასძინა, — იშვიათად, მაგრამ მეც მსჯიდნენ... ბავშვობისას მორცხევი ვიყავი, მაგრამ ძალიან ცოცხალი... პირველ კლასში რომ გადავედი, არ ვიცი, რა მოხდა... მარტოობა შემიყვარდა. ჩემს საზიარო ოთახში ჩავიკეტებოდა მარტო და ვკითხულობდი, რაღაცებს ვწერდი ჩემთვის... ჩემი კარგი დედა არაფერს მეუძნებოდა, მაგრამ ხან ამბერკის,<sup>62</sup> ხან ამხანაგებს შემოაგზავნიდა გასართობად. ზამთრის არდადებებს მე და ჩემი დეიდაშვილი ჩემსას, სოფელ ჭყვიშში ვატარებდით. იქაც ვიკეტებოდი პატარა ოთახში. ის ჩემს მამისეულ სახლს ჰქონდა მიღგმული. შენახული მაქვს რვეულები,

სადაც მასწავლებლების მოერ აღნიშნულ ჩემს შეცდომებზე მიწერილი მაქვს ჩემი კრიტიკა... იმ ოთახში ვთარგმნე ვაჟას ზოგიერთი ლექსი რუსულ ენაზე და ზოგი რამ მაიაკოვსკის – ქართულად<sup>63</sup>... მაგრამ გადავუხვი... ჩემი საყვარელი ჭყვიში მომავრნდა, ბეჭრი რამ კარგი... დედა... ჩემი პროკლე...

გალაკტიონი წუთით დადუმდა და კრიალოსანი აათამაშა...

– არც ამ ოთახში მასვენებდნენ... შემოვარდებოდა ამბერკი, გინდა თუ არა, მას უნდა წაგეოლოდი... რა მექნა, ბატონი, ღონით მერეოდა, – დიმილით თქვა გალაკტიონმა...

– ხან სიმინდს ვთოხნიდით... ჩვენი ყანები რიონის პირას იყო გადაშლილი, ხან ვთამაშობდით. მე ძალიან მიყვარდა წრებულთაობია და რიკტაფელობია, შემდეგ მდინარე რიონში, რომელიც ჩემი სახლის მახლობლად ჩამოდის, ბანაობა.

ზაფხულის არდადეგებს დეიდაჩემთან, სოფელ დუცხენში ვატარებდით. შესანიშნავი მთიანი აღგილია. დეიდაჩემის სახლის წინ ჩამოჩუქუხებდა მდინარე უუმური. მე ძალიან მიყვარდა ამ მდინარის შეუილის მოსმენა, განსაკუთრებით ღამით.

ჩემი პირველი ლექსი დეიდაჩემის სახლში დავწერე (ლექსის სათაური, სამწუხაროდ, დამავიწყდა – ფ. დ.) და შემდეგ დიდის ამბით წავიკითხე მდინარე უუმურის პირას, – აღტაცებით თქვა გალაკტიონმა.

– განსაკუთრებით მახსოვეს ერთი ზაფხული, გატარებული სოფ. დუცხენში. 14-15 წლის ყმაწვილი ვარ, თავი მომწონს, დიდი კაცი ვარ, – სიცილით თქვა გალაკტიონმა, – შემოდგომის დღე იყო... მე განსაკუთრებით მიყვარს სოფელი, ჩემი ქართული სოფელი, სწორედ ამ დროს... უკელავერი საგსე და უწვეულოდ ლამაზია შემოდგომისას დალოცვილ საქართველოს კუთხებში... მე და ჩემმა დეიდაშვილმა გადავწყვიტეთ დუქანში გასეირნება, ორი კილომეტრით იყო დაშორებული დეიდაჩემის სახლიდან... შინ დაბრუნებისას წვიმაში მოვყევით, გზად მიმავალნი დეიდაშვილის ნათლიდედამ სახლში მიგვიპატიქა. წუთში გაიშალა სუფრა... ცხელ-ცხელი ხაჭაპურები, კეცსა და კეცს შუა შემწვარი ვარიები, ცხელი მჭადები, ტყემლის წვენი, ტაბილი ღვინო ალადასტური, ჩურჩხელები და სხვა ქართული სუფრის დამამშვენებელი კერძები...

აივსო მაგიდა... ძალიან მონდოდა დვინის გემო გამესინჯა... ჩუმად მოვსვი, მომეწონა. კიფიქრე, რა კარგი სასმელი ყოფილა დვინო... მეორე ჭიქა უკვე თამამად დავლიე. შევქეიფიანდი... შინ წასვლისას ნათლიდედამ, რადგან იცოდა, რომ მე ტკბილეული, განსაკუთრებით ჩურჩხელები მიყვარდა, საგზალი გამოგვატანა... შესანიშნავ ხასიათზე კიყავით. სიმღერით შევედით დეიდაჩემის სახლის ეზოში, მაგრამ მან შემამჩნია, რომ დვინო მქონდა დალეული... მე არაფერი მითხრა, მოქეფერა, ამბერკი კი სცემეს, — როგორ გაძედე და დვინო ასვი გალაკტიონსო...

ასე მიდიოდა ჩემი ბავშვობა და ყრმობა... ყველასათვის საყვარელი ვიყავი, ყველა მეფერებოდა, მიფრთხილდებოდა, მაგრამ მატერიალური მდგომარეობა თ ა ვ მ ო ყ ვ ა რ ე ო ბ ა ს მილახავდა, წელში მხრიდა, ყველასი მერიდებოდა... ისედაც მარტობის მოვერულს უფრო და უფრო გულჩათხრობილობისაკენ და მარტობისკენ მდეგნიდა...

დიდი დადი დაასვა ჩემს ცხოვრებას ერთმა ამბავმა. თუ არ გცდები, 1907 წელს ქუთაისის 4-კლასიანი სასულიერო სასწავლებლის

ინსპექტორი მოჰკლეს.<sup>64</sup> ამის გამო ზოგიერთ მოსწავლეს, მათ შორის ჩემს დეიდაშვილსაც, რომელთანაც ერთად ვიზრდებოდი, წაართვეს ქუთაისში ცხოვრების უფლება. ჩვენი ცხოვრების გზები გაითიშა... მარტო დავრჩი... 14-15 წლის ყმაწვილი ობლად ვერწნობდი თავს, პესიმისტურად განწყობილი... ჩემო ფატი, ეს განწყობა ბოლომდე ჩემი ცხოვრების თანამგზავრია... ახლაც მარტო ვარ...

დედამ ქუთაისის 4-კლასიანი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ თბილისში სასულიერო სემინარიაში მიმაბარა... 1905 წლის რევოლუციის დამარცხებამ დიდად იმოქმედა ჩემზე. ქუთაისის დემონსტრაციი მუშების რიგებში მეც ვიყავი...<sup>65</sup>

განვლო წლებმა... მუშების დამარცხება მაგრნდებოდა მუდამ... დავწერე ლექსი „პირველი მაისი“, ქუთაისში ბაგრატის ნანგრევებთან წავიკითხე.<sup>66</sup>

„რევოლუციური აზრების“ გამო სემინარიიდან გამაგდეს. თავი მოვიწამდე, გადამარჩინეს...<sup>67</sup> ასე უფერულად, ობლად, გაჭირვებაში, მარტობაში, დევნაში მიდიოდა ჩემი დღეები... მატერიალური მდგომარეობა უფრო და უფრო მბოჭავდა... მაშინ... ხორაგოულის რაიონში, სოფ.

ფარცხნალში დავიწყე პე-  
ლაგოგიური მოღვაწეობა.<sup>68</sup>  
მამაჩრდის გზას მინდოდა  
გავყოლოდი... ცხოვრება კი  
სულ სხვას მიმზადებდა...  
არც აქ დავყავი დიდხანს...  
როგორც კი მარტო დავ-  
რჩებოდი სასწავლებელში,  
გავადებდი ფანჯარას და  
სხმადლა ვაითხელობდი  
ჩემს ლექსებს. ერთხელ, დი-  
დის ამბით, თავმომწონედ  
ვაითხელობ ლექსს დია  
ფანჯარასთან, თურმე სამას-  
წავლებლოს კარებთან მო-  
წავები მოგროვილან და  
ერთმანეთს ახტებიან, რომ  
მე შემხედონ... ამ ამბავს კო-  
მისია შეესწრო... გამოაგდეს  
შენი გალაკტიონი... დავ-  
კარგე ლუკმაპური... ამით  
დამთავრდა ჩემი მასწავ-  
ლებლობა...<sup>69</sup>

ფარცხნალში სცენის მო-  
ყვარელადაც კი ვიყავი...  
ჩემს ოლიასთან ერთად ვთა-  
მაშობდი,<sup>70</sup> – ნადვლიანად  
სთქვა და მწარედ ამოიოხრა  
გალაკტიონმა.

– დაიწყო ჩემი მოხეტიალე  
ცხოვრება... შინ დაბრუნება  
არ მინდოდა... უმუშევარი,  
უფულო ოჯახს ვერაფრით  
დავეხმარებოდი... მრცხვე-  
ნოდა თანამემამულების...  
დედას წლობით ვერ ვნახუ-  
ლობდი... ჩემი კარგი დედა  
დელავდა, ხან ვის და ხან  
ვის აგზავნიდა ჩემი ამბის

გასაგებად... სად არ ვათევდი  
დამეს, ვინ ჩამოთვლის, რამ-  
დენი სიმწარე განვიცადე... ის-  
ევ ჩემს საყვარელ ქუთაისში  
დავბრუნდი... არალეგალურ  
ორგანიზაციებთან არ ვწყვე-  
ტდი კაგშირს, დავალებებს  
პირნათლად ვასრულებდი.  
მთელი ქვეყნისთვის ბრძოლა  
მინდოდა გამომჟცხადებინა  
ჩაგვრის, დევნის და შიმში-  
ლის წინააღმდეგ.

ჩემი წიგნიც გამოვიდა...  
პოეტის სახელწოდება დავიძ-  
სახურე... დიდი ავტორიტეტი  
და სიყვარელი მოვიპოვე  
ხალხის... ნატვრა სინამდვი-  
ლედ იქცა... ბედნიერი ვარ...  
მაგრამ ისევ დევნა... ისევ  
შევიწროვება...

იყო პერიოდი, როცა მე  
არალეგალურად ვცხოვრობ-  
დი ქუთაისში...<sup>71</sup> ჩემი საყვა-  
რელი ხუთიათასი წლის  
ქუთაისი... ახალგაზრდობის  
საუკეთესო წლები ქუთაისში  
გავატარე. რა წარმტაცი  
იყო ქუთაისის ბულვარი... აქ  
თავს იყრიდნენ ჩვენი ქვეყნის  
საამაყო შვილები. სშირად აქ  
დასვენება და განმარტოებით  
ფიქრი უყვარდა ჩვენს დი-  
დებულ აკაკის. ბულვარის  
წინ იყო სასტუმრო, მის  
ქვეშ რესტორანი, რომელსაც  
გიორგი ჩხაიძე ფლობდა. იქ  
ჩემთვის სპეციალურად გი-  
ორგის გამოყოფილი პქონდა  
ერთი ოთახი, სადაც ყოველ

სადამოს კონსპირატიულად ვიკრიბებოდით ამხანაგები. ჩემი ადგილსამყოფელი (სამწუხაროდ, ქუჩა და სახლის ნომერი, რომელიც გალაპტონნა მითხვა, არ მახსოვე), იცოდა მხოლოდ გიორგი ჩხაიძემ, რომელთანაც დაბარებული მქონდა, ჩემი მისამართი ეთქვა მხოლოდ მათ-თვის, ვისაც ის პირადად იცნობდა, როგორც ჩემს ნამდვილ ამხანაგებს. ასე გადიოდა წლები. ვინ იცის, რამდენი გაჭირვება და შიმ-შილი გადავიტანე... ჩემი ცხოვრების ამ პერიოდის ყველაზე ტკბილ მოგონებად დამრჩა აკაკი. ეს უკვდავი პოეტი დიდი ყურადღებით ადეკნებდა ოვალურს ჩემს პოეტურ ზრდას... მამობრივ ზრუნვას იჩენდა. აკაკი ჩემი მასწავლებელი და უფრო სი მეგობარი იყო... როდესაც პოეტი სამოგზაუროდ დასავლეთ საქართველოს რაიონებში წავიდა, თან წამიყვანა...<sup>72</sup> „სწორედ შენ, გალაპტონ, ვალდებული ხარ იცნობდე ჩვენი საყვარელი საქართველოს თვითეულ კუთხესო“, – მასწავლიდა ჩემი უფრო მეგობარი...

გალაპტონს თვალებზე ცრემლები მოადგა. რადაცის ძებნა დაიწყო პორტფელში, ქაღალდი ამოიღო და

გადმომცა:

– აი ეს აღგილი წაიკითხე, ჩემო ფატი.

ეს იყო მწერალი ქალის დარია ახვლედიანის მოგონება, რომელიც უთუოდ დაცულია გალაპტონის არქივში.<sup>73</sup> გალაპტონს თვალები გაუბრწყინდა, პატარა ბავშვივით გაწილდა, გამომართვა ქადალდი და მორცხვად თავზაღუნულმა სწრაფად, უფრო წაიჩურჩულა, ვიდრე თქვა: დიდ იმედებს ამყარებდა ჩემზე აკაკი... ბედნიერი ვიყავი... მის გვერდით ვიყავი მუდამ... მაგრამ...

პოეტი უცებ სრულიად შეიცვალდა. მისი სათხო, კეთილშობილი სახე საშინელ ტანჯვას გამოხატავდა... აკანკალებული ხმით განაგრძო საუბარი:

– დაგვარგე მეგობარი, რომელიც მოელი ჩემი ცხოვრების მანილზე მხოლოდ ერთხელ მომევლინა... სიტყვა „მეგობარი“ ჩემთვის აკაკისთან ერთად წავიდა... გაპქრა... სამუდამოდ მარტო, უმეგობროდ დავრჩი.<sup>74</sup>

პოეტი წამოდგა, თითები წვერში შეაცურა და ნერვიულად დასცა ბოლთა... რამდენიმე წუთის შემდეგ მხიარულად მომიბრუნდა:

– შემდეგ პეტროგრადი, ოქტომბრის რევოლუცია, მოსკოვი. სმოლნი. კრემლი. ლენინი.

სტალინი. სამოქალაქო ომი... ვინ მოსთვლის რამდენ ქარტეხილში გამოვიარე... იმხანებში ძალიან საინტერესო იყო ჩემი შეხვედრა დიდებულ ალექსანდრ ბლოკთან. ჩვენ ძალიან დაგმეგობრდით. ალექსანდრ ბლოკი პოეტა მეფე, ფილოსოფოსი – განუმეორებელია. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მიწერ-მოწერა მქონდა, რომელიც ჩემს არქიზშია დაცული. მან ჩემი რამოდენიმე ლექსიც თარგმნა. მისმა გარდაცვალებამ ჩემზე ძალიან იმოქმედა.<sup>75</sup>

შეხვედრა მქონდა აგრეთვე ქუთაისის გიმნაზიისტ ვალოდიასთან, ის უკვე განთქმული პოეტი ვლადიმერ მაიაკოვსკია. გულთბილი იყო ჩვენი შეხვედრა. ბევრი რამ მოვიგონეთ. ქუთაისი... ბაგრატის ნანგრევები... ჩვენი შეკრებები<sup>76</sup>...

და ბოლოს... ისევ ჩემი ტბილი, საყვარელი საქართველო! ისევ ჩემი ქუთაისი! რა ტბილი იყო ათიანი წლების ქუთაისი, ჩემი ქუთაისი. ნამდვილი ედემი, ლამაზების და ვაჟკაცების სამყარო. ლიტერატურის, ხელოვნებისა და ქულტურის აკანი... მე ქუთაისში საუკუთხოს ამხანაგი მყავდა, ჩუდეცკი,<sup>77</sup> თავისი ცოლით. შესანიშნავი ადამიანები... საღამობით ხშირად ვისხედით სუფრასთან და როგორც

წმინდა რუსულ ოჯახს ჩვევია, ჩაის შევექცეოდით და ტბილად ვსაუბრობდით. დიდი ხანია, აღარ არის ჩემი მუგობარი,<sup>78</sup> მაგრამ მისი მოგონება ყოვლთვის სიხარულს მავრის. ბევრი კარგი მახსოვეს. სულიერი თანაგრძნობა... მატურიალური დახმარება...

სამეცნიეროს ყოფილი მარშლის – ქოკი დადიანის საღამოებზე თავს იყრიდა საუკეთესო საზოგადოება. ეს იყო წმინდა ქართული, ტრადიციული ოჯახი. მე ძალიან მიყვარდა ეს საღამოები და მუდამ ვესწრებოდი მათ. კოკი დადიანის ოჯახი ცხოვრობდა ჩემი საყვარელი პაოლოს საკუთარ სახლში. მე, ტიციანი და კოლაუნადირაძე პაოლოსთან ვიყავით მუდამ. პაოლო და ტიციანი მმადნაფიცები, განუყრელი მეგობრები იყვნენ. თუკი საერთოდ შეიძლება პოეტის ბედნიერება, მე უდაოდ ბედნიერი ვიყავი, რადგან ჩემს ირგვლივ ჩემი საყვარელი ადამიანები, მმები: პაოლო, კოლაუნადირაძე და ტიციანი იყვნენ. პაოლო და ტიციანი მუდამ ერთად იყვნენ. მათი მეგობრობა მართლაც რომ სანატრელი იყო... ასე იყო ქუთაისში...

დაონებული გალაპიონი ღრმად ჩაფიქრდა... მერიზე ჩემმა შეკითხვამ შეაკრთო

პოეტი, თავი გაიქნია, თითქოს  
მომაბეზრებელი ფიქრების მო-  
შორება უნდოდა. ანთებული  
თვალები სივრცეს მიაპყრო  
და ჩუმად დაიწყო:

— ნიკოლოზ ბარათაშვილს  
ჩემზე უკეთესი ბედი ჰქონდა...  
ის მუდამ ეკატერინე ჭავჭა-  
ვაძის გვერდით იყო, მის  
წრეში ტრიალებდა... მე კი...  
სანატრელ არსებას არც ვი-  
ცნობდი ხეირიანად... ჩემი  
სიყვარული დაღოფლის ყოფილი  
ფრეილინა მერი შერვაშიძე  
იყო... ცივი, მაგრამ წარმტაცი  
სილამაზის... მე მას შორი-  
დან ვიცნობდი... მერი შორი-  
დან მინათებდა... მისი დის  
გრაფინია ზარნეკაუზ<sup>79</sup> სა-  
სახლე ქუთაისში, სადაც  
ჩემი მერი ცხოვრობდა, ჩემ-  
თვის აუდებელი, უკვდავი  
შოთას აღწერილი ქაჯეთის  
ციხე იყო... ჩემი „მერი“ მის  
ქორწილამდე სამი დღით ად-  
რე დავწერე და გავუბზავნე  
მას, ვისაც ეკუთვნოდა — მერი  
შერვაშიძეს.<sup>80</sup> ამ ლექსის გა-  
მოქვეყნებამ დიდი აუზაური  
ატეხა. აუარებელი სიტყვიერი  
და წერილობითი შეკითხვა  
მომაყარეს, „ვინ არის მერი“.  
ჩემს არქივში ინახება ჩემი  
წერილობითი პასუხიც: „მე-  
რი არ არსებობს, ეს ჩემი  
ფანტაზიაა“. არ მინდოდა...  
რა საჭირო იყო ვინმეს სცოდ-  
ნოდა... მან ხომ იცოდა...  
ჩემთვის ეს იყო ყველაზე

ძვირფასი...

გალაკტიონს სიცილი  
აუგარდა:

— ახლა, ყველა ქალი,  
რომელთაც ოდესმე ვიცნობ-  
დი, ან ერთხელ მაინც გა-  
მივლია მათთან, მევე მიმ-  
ტკიცებენ, რომ „მერი“ მათ  
ვუძღვენი. დაბნეული ვარ...  
ხანდახან ისეთ უხერხულ  
მდგომარეობაში ვვარდები,  
რომ მე თვით ვამტკიცებ,  
„მერი“<sup>81</sup> ნამდვილად ოქან  
გიძღვენით-მეთქი. თვალწინ კი  
მერი შერვაშიძის დვთაებრივი  
სახე მიღდება...

ვტოვებ ჩემს საყვარელ  
ქუთაისს და გადმოვდივარ  
თბილისში... პირველად ნახა-  
ლოვგაში ვცხოვრობდი. 1919  
წელს გამოვიდა ჩემი მეორე  
წიგნი, რამაც დიდი სახელი  
მომიტანა.

ყოფილი საპიორნის, ახლა  
ძნელაძის ქუჩის<sup>82</sup> იმ სახლის,  
სადაც ექიმი როკვავა ცხოვ-  
რობს, პირველ სართულზე,  
იმართებოდა ლიტერატურული  
სადამოები... განსაკუთრებით  
მაგონდება ერთი ასეთი სა-  
დამო. რა ბედნიერი ვიყავი  
მაშინ, მინდოდა ყველა გულში  
ჩამეკრა, ყველა ჩემსავით  
მხიარული ყოფილიყო. ეს  
სადამო დაუვიწყარი სადამოა  
ჩემთვის, ერთადერთი სადა-  
მო, რომელიც თავისი უან-  
გარო გულწრფელობით, ერთ-  
სულოვნებით, უსაზღვრო სი-

თბოთი ჩემს ცხოვრებაში აღარასდროს განმეორებულია.

ამ ძვირფას საღამოზე დამსწრეებმა, ჩემმა კალმოსნებმა ერთსულოვნად გამოოქვეს თავისი აზრი ჩემი პოეზიის შესახებ. დიდად დამაფასეს, „მგოსანთა მეფედ“ ვიქენ აღიარებული.<sup>83</sup> 1920 წელს კი ოპერის თეატრის აფიშები იუწყებოდნენ: „დღეს გაიმართება მგოსანთა მეფის საღამო“.<sup>84</sup>

თავისი ცხოვრების დანარჩენ პერიოდზე გალაკტიონი ცოტა სიტყვაძუნწი გახდა...

— ამ პერიოდზე არ მიყვარს ლაპარაკი, — გაბუტული ბავშვივით ამბობდა, მაგრამ მაინც აგრძელებდა საუბარს.

— გასაბჭოების პირველ წლებში არასასურველ პირობებში ჩავვარდი. მწერალთა კავშირში ჩემი გამოჩენისთანავე პოეტები ორ ბანაკად გაიყვნენ. ნაწილი მე მომექნო, ნაწილი კი, რომელიც უმრავლესობას და მწერალთა კავშირის თავებს წარმოადგენდა, ჩემს წინააღმდეგ იყო განწყობილი. მათ სწამდათ ჩემი პოეზია, მაგრამ უნდოდათ, რომ მათთან გყოფილიყავი. ეს მდგომარეობა დიდხანს გაგრძელდა. გავურბოდი მწერლებს და მწერალთა კავშირს... ბოლმას სარდაფებში დგინით ვიხშობდი... ამ ყველაზე უკათეს საშუალებას ახლაც

ხშირად მივმართავ... ჩემი კალმოსნები სხვადასხვა ზღაპრებს თხავდნენ ჩემს შესახებ, ცილსაც მწამებდნენ. ისინი ამტკიცებდნენ, რომ მე არა ვარ წმინდა ქართველი პოეტი, რომ მე აღზრდილი ვარ ევროპულ ლიტერატურაზე და ჩემი პოეზია არ არის ნაციონალური ქართველი პოეზია. ამით ილახებოდა ჩემი ეროვნული სულისკვეთება... ეს იყო ჩემი პოეზის — შოთას, ვაჟას, ილიას, აკაკისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის ლიტერატურულ მემკვიდრეობაზე აღზრდილი პოეზიის უარყოფა. აღშფოთებულმა ცილისმწამებელთა წინააღმდეგ შევქმენი ჩემი „ეფემერა“. შემდგომში აქედან ცალკე გარკვეული ნაწილი, სათაურით „ისევ ლურჯა ცხენები“ გამოვყავი.

პოეტების არამეგობრული განწყობა, უმძიმესი მატერიალური მდგომარეობა, სულით ობლობა, უსათუდ მიზეზი გახდა იმისა, რომ ჩემში დიდი გარდატეხა მოხდა. ისე გავიზარდე, სიტყვა არავისთვის შემიბრუნებია. ვცდილობდი, უსიამოვნო ამბისთვის გვერდი ამეხვია — არ მინახავს, არ გამიგონია... მაგრამ... ჩემში, სრულიად მოულოდნელად, შექმილი მდგომარეობის საპასუხოდ დაუნდობელმა

სარკაზმა იჩინა თავი... ამ შესანიშნავ იარაღს მოხდენილად ვხმარობდი თავის დასაცავად. ასე იყო, ასე არის...

ურნალ „მნათობის“ დაარსების შემდეგ კი, რომლის ერთ-ერთი ორგანიზაციონი მეც ვიყავი, შეიცვალა ჩემი პირობები. ცა თითქოს დრუბლებისგან მოიწინდა, მაგრამ სულიერად მაინც მარტო ვარ...

დარდის გასაქარგბლად მუდამ მივეშურებოდი ჩემს საყვარელ ამხანაგთან, რუს პროლეტარულ მწერალთან ფეოდორ პეჩალინთან.<sup>85</sup> კარგია ჩემი ფეოდორი... ახლაც ძველებურად მივრბივარ მასთან. რას შევჩივლებ, ვინ იცის... ის მუდამ ტკბილად დამამშვიდებს, ამხანაგურ რჩევას მომცემს, მომეფერება... კმაყოფილი, მხიარული ვბრუნდები მუდამ... დოდი ხნის ამხანაგები ვართ მე და ფეოდორი.

ფეოდორს ჰყავს შვილიშვილი, შვილად აიყვანა თავისი ცოლის ნათესავი იურა მაჭავარიანი, ახლა ის მუსიკალურ სასწავლებელში სწავლობს. იურას სამამულო ომში დაედუპა მამა. სამამულო ომის პერიოდში დიდი სიძნელეები იყო. მე გადავწყვიტე, რამეთი მაინც დაგხმარებოდი, ყურადღება გამომეჩინა ჩემი ამხანაგისადმი. დილით ადრე, რო-

დესაც ფეოდორი სამუშაოდ იყო წასული, მანქანით მივედი მასთან სახლში... იურა და ფეოდორის ცოლი შევიყვანებავშვთა მაღაზიაში. ავარჩიე ფორმის პალტო იურისთვის, მაგრამ... გრძელი მოუვიდა... არ მოსწონს ჩემს იურის...

გალაკტიონს სიცილი აკარდა - ძალიან სასაცილო ვიყავი უთუოდ მაშინ... ყველას ვეხვეწებოდი, უთხარით, რომ უხდება-მეთქი. ვუყიდე პალტო, ქუდი და ქამარი. ჩემს 7-8 წლის ამხანაგს, პატარა იურის.<sup>86</sup>

ბეჭინიერი ვარ, მაგრამ... აქა-იქ „მეგობრების“ სისინი ისმოდა: „გალაკტიონმა იცის - მას შვილი არ ეყოლება, ეს კი მოზარდია და დაუმასხვრებსო“. მაშინ გავიფიქრე - გალაკტიონ, ასე იყო, ასე არის... არაფერი შეცვლილა შენს გარშემო...

გალაკტიონი, ჩაფიქრებული, ისევ კრიალოსანს ათამაშებდა... ლეჩკომბინატის დერგფანში აქა-იქ გაისმოდა ჩუმი საუბარი. დღე ნელ-ნელა იწურებოდა. ფანჯარაზე წვიმის წვეთების შხაპუნმა გამოაფხიზლა პოეტი, თავი ასწია, მიიხედ-მოიხედა. ვოდაცას მხიარულად მიესალმა, დიმილით შემომხედა და აღტაცებით წამოიძახა:

- 1935 წელი! პარიზი! მსოფლიოს ულამაზესი ქალაქი! ჩემს თვალწინ უნებურად

აღიმართა არა დღევანდელი პარიზი თავისი ფუქსაგატობით, არამედ... კულტურის ცენტრი! პარიზი თავისი გმირული წარსულით! პარიზი რევოლუციის, კომუნის აკვანი! პარიზში შესდგა ანტიფაშისტური მწერლობის საერთაშორისო კონგრესი. ამირჩიეს კონგრესის პრეზიდიუმის წევრად. კონგრესის თავმჯდომარედ იყო ომის საშინელებათა წინააღმდეგ მიმართული საბრძოლო მხატვრული მანიფესტისა და რომან „ცეცხლის“ ავტორი ანრი ბარბიუსი...<sup>87</sup>

არასოდეს დამავიწყდება მისი სახე! დიდი შთაბეჭდოლება მოახდინა ჩემზე. თავისი მისამართი მომცა... ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

ანრი ბარბიუსმა იმდენად მომხიბლა, რომ გადაგწყიბე შემექმნა მხატვრული პოემა, სადაც აისახებოდა ომი მოული მისი საშინელებებით: ნგრევა, უბედურება, ხალხთა ქლეტა...

ჩემი „მშვიდობის წიგნი“ სწორედ ომის წინააღმდეგ არის მიმართული... მართალია, ქართულ ამბავზე აფაგვ მაგრამ ის ყველას გულისხმობს. ომი აქ გამოვხატე ბუნების მოვლენებთან ბრძოლით, „მშვიდობის წიგნის“ ძებნით. წიგნის პოვნა და ბუნების დამორჩილება – მშვიდობის გამარჯვებაა... ჩემი

„მშვიდობის წიგნით“ მე გამოვეხმაურე დიდებულ ანრი ბარბიუსს...

ერთ სადამოს ძალზე ჩაფიქრებული მივდიოდი პარიზის ქრონიკო ქაზაზე, ვოცნებობდი... განსაკუთრებულად ლამაზია პარიზი ღამით... შესანიშნავი ადგილები, ეიფელის კოშკი, ტიულრი... ამ დროს ვიღაცამ დამიძახა... მობრუნება ვერც კი მოვასწარი და ჩემს წინ აღიმართა ხელებგაშლილი... ბალმონტი...<sup>88</sup> მეგობრულებად გადავეხვიეთ ერთმანეთს. მოვიგონეთ პეტროგრადი... სამოქალაქო ომი... ალუქსანდრ ბლოკი... და ბევრი, რაც ჩვენ ერთმანეთთან გვაახლოვებდა...<sup>89</sup>

განვლო წლებმა... მე მუდამ, ისე, როგორც ქუთაისში, ჩემს პაოლოსთან და ტიციანთან ვიყავი, მაგრამ... ბევრს შურდა ტიციანისა და პაოლოს მეგობრობა. მესამე პირი ჩადგა მეგობართა შორის, ოსტატურად აქეზებდა ხან ერთს, ხან მეორეს... მიზანს მიაღწია... ძმადნაფიცები შეურიგებელ მტრებად აქცია. აღელებებული ტიციანი და პაოლო დაუფიქრებდნენ ერთმანეთს... თვითმკვლელობით დაასრულა ჩემმა პაოლომ თავისი სიცოცხლე... ამ ამბავმა ძალზე იმოქმედა ტიციანზე... წუთით თვალები აეხილა... გვიან იყო... უდანაშაულო ტიციანი დაიჭირეს... ისევ და

ისევ მარტოობა გალაკტიონს...

გალაკტიონი ატირდა... ადგა და ნერვიულად დასცა ბოლოთა... ჩამქრალი თვალებით სივრცეს მისხერებოდა... ყრუდ, ძალიან ყრუდ მომესმა პოეტის ჩურჩული:

— მაგრამ ამით არ ამოწურულა ჩემი დასჯა... ჩემი ოლია არ იყო ლამაზი, მაგრამ თავისი შინაგანი სამყაროთი ულამაზეს ქალზე ლამაზი იყო. „ჩემი მოხეტიალე ცხოვრების განუყრელ მეგობარს“<sup>90</sup> — ასეთი წარწერები ინახება ჩემს არქივში, რაც იმის საბუთია, თუ რამდენად ძვირფასი იყო ჩემთვის ოლია ოკუჯავა. თუ მე ოდესმე ქალს, როგორც ცხოვრების მეგობარს, პატივს ვცემდი... ეს იყო... ოლია ოკუჯავა!

ოლიაც დავგარგე... მეორე საშინელი ტრაგმა... არ მიყვარს ამაზე ლაპარაკი, ძალიან მიმძიმს ყოველივე ამის მოგონება...

დიდხანს იჯდა მდუმარედ ჩაფიქრებული და ძალზე დაღონებული გალაკტიონი. პოეტი თავისი ფიქრებით ძალიან შორს იყო წასული... დიდი ხნის დუმილის შემდეგ მან თავი ასწია და ცრემლით სავსე თვალები შემომანათა:

— ცხოვრებაში იშვიათია მმების ისეთი მეგობრობა, როგორიც ჩემსა და ჩემს საყვარელ პროკლეს შორის

არ სებობდა. ჩემი კარგი ძმა, მასწავლებელიც და მეგობარიც იყო ჩემი მუდამ... ყოველ ჩემს ტკივილს, უბრალო წყენასაც კი მას ვუზიარებდი, არაფერს არ ვუმალავდით ერთმანეთს... თუ ჩემი პროკლე ჰყვიშში იყო, წერილებით შევზივდებდი ხოლმე ჩემს სულიერ განცდებზე, ჩემს ობლობაზე, მარტოობაზე. ჩემს ოთახში სოფლად ბევრია ასე-თი წერილები.

ყველთვის მამხნევებდა ჩემი პროკლესაგან მიღებული ბარათები, კარგ ხასიათზე მაყენებდა მუდამ. ჩემი უწყინარი, ჩუმი, საყვარელი ძმა და მეგობარი ჩემივე სახლიდან გავასვენე...

ყველა, ყველა, ვინც მიყვარდა, წაყიდა... მარტოდ-მარტო დავრჩი... ჩემი განუყრელი მეგობრებია — ჩემი ლექსები და დვინო, დვინო და ლექსები...

გალაკტიონმა ნერვულად გადაიხარხა... შემდეგ საერთოდ დადუმდა... ადარ სურდა ლაპარაკი იმაზე, რაც მის ცხოვრებას ეხებოდა. ასე გრძელდებოდა რამდენიმე კვირა. ბოლოს თვითონვე წამოიწყო საუბარი:

— დღეს გამომიძახეს და ახსნა-განმარტება დამაწერინეს, ხომ არაფერს ვთხოულობ ოლიას ნივთებიდან...<sup>91</sup> ვერ გავიგე რაშია საქმე... ცოცხალი თუ არის, წე-

რილს მივწერდი, ფულს გავუგზინიდი ჩემს ოლიას, — ნადვლიანად თქვა გალაპტონნა და აკანკალებული ხმით დასძინა: — ოლიას დაპატიმრების შემდეგ მე მეშინოდა სახლში მარტო დარჩენისა... ვცდილობდი, განსასაკუთრებით დამით, მარტო არ ვყოფილიყავი. რადაცები მელანდებოდა... სხვადასხვა ადგილას ვათევდი დამეს... ხშირად ჩემს ამხანაგთან, ნავთქურების შემკეთებელთან, რუს მოხელესთან, რომელიც ვერაზე ცხოვრობს, ვრჩებოდი დამით. მე მას ზედმეტი სახელი შევარქვი „ტრუბკა“, სასიყვარულოდ.<sup>92</sup> შეიძლება ზოგმა იფიქროს — სად საქართველოს სახალხო პოეტი, პოეტთა მეფე და სადნავთქურის შემკეთებელი „ტრუბკა“? მერე რა ვუყოთ... ადამიანის გულია მთავარი და არა მისი წოდება... თანამდებობა. ჩემი „ტრუბკა“, თუმცა უსწავლელი, უბრალო კაცია, მაგრამ სპეტაჭი, მდიდარი სულის. ის ხალხის წარმომადგენელია, იმ ხალხის, რომლის წიაღიძანაც ჩვენ, პოეტები, ვიღებთ ჩვენს სულიერ საზრდოს. მე ამხანაგი მათხოვრებშიც მყოლია და უფრო გულწრფელი, ვიდრე ჩემს წრეში...

ჩემი სახლი უპატრონოდ იყო მიგდებული... ვინ არ შემოვარდებოდა, ღმერთმა

იცის. ბოლოს გერმანელი ქალი მოვიყვანე.<sup>93</sup> ძალიან პატიოსანი. კარგად მივლიდა. დიდ უურადღებას მაქცევდა, ზრუნავდა ჩემზე. ძალიან მიხაროდა. კარგი ადამიანი იყო. ისიც გადაასახლეს.<sup>94</sup> ბედი არაფერში მქონია... მარტობის ვარსკვლავზე დავიბადე...

— ჩემი აწმუო იგივეა, თუ არა უარესი წარსულზე, — ნადვლიანად დაასრულა საუბარი გალაპტიონნა...

ეს იყო და ეს... პოეტი შემდგომ საუბრებში თავისი პირადი ცხოვრების შესახებ სრულიად აღარაფერს მიამბობდა.

თვალები სიხარულით უელავდა, როდესაც საუბარი ლიტერატურაზე ან ხალხზე ჩამოვარდებოდა.

— მიყვარს შემოქმედებითი სადამოები... ასეთი სადამოები კარგია... შენ ხალხში მიდიხარ. ხალხი გულწრფელია, უანგარო ბავშვივით. ამ სადამოებზე ხალხი გამოხატავს თავის გრძნობებს: სიყვარულს ან შენი შემოქმედების უარყოფას. ჩვენი გამარჯვება, სიხარული, ყველაფერი ხალხია...

უცემ გალაპტიონს პომერული სიცილი აუვარდა:

— მომაგონდა ერთი ლიტერატურული სადამო. სანდრო ეული<sup>95</sup> თავმომწონედ

იჯდა. პოეტები მსჯელობდნენ, როგორ „შექმოთ“ ამ საღამოს გმირი. სხვა ვერაფერი მოიგონეს, გადაწყვიტეს, „ოპტიმისტური პოეტია“: ყველა ვინც გამოდიოდა, დაზეპირებული გაკვეთილივით იმეორებდა: „ოპტიმისტური პოეტია“, „მისი პოეზია ხალასი ოპტიმიზმია“, „ოპტიმისტურად უდერს მისი შემოქმედება“. ვედარ მოვთმინქ, „მომეცით სიტყვა“, ნერვიულად შევძახე ადგილიდან.

— ამხანაგებო, — დავიწყე, — ყველა თქვენგანი იცნობს ინგლისის შესანიშნავ პოეტს ბაირონს. ბაირონი იყო ულამაზესი კაცი, რომელსაც მთელი ინგლისის ქალები შენატროლნენ. ბაირონი იყო უმდიდრესი, რომელიც უანგარიშოდ ხარჯავდა თავის ქონებას. ბაირონი იყო ლორდი, ინგლისის ლორდთა პალატის წევრი და იყო პესიმისტი... რა აქვს ამ უბედურს, რომ იყოს ოპტიმისტი...

გადაიხარხარა გალაკტიონმა.

თბილისის შესანიშნავი და მე იყო. ღრმად ჩაფიქრებული გალაკტიონი იჯდა თავისი განუყრელი პორტფელით ხელში თრსავეხურიან, აგურისფერ კიბეზე, ქუჩის პირას, მისი სახლის სადარბაზოს მარჯვნივ. ჩვენს მისალმებაზე შეკრთა, ბოდიში მოგვიხადა... წამოდგა და აჩქარებულად, როგორც სწვეოდა, წარმოს-

თქვა:

— ფიქრებში წავედი... თბილისი განსაკუთრებით დამით და გათენებისას მიყვარს... რა ლამაზია თბილისი, ჩემი თბილისი... რა შესანიშნავად ელავს მთვარის შუქზე ნიკოლოზ ბარათაშვილის საოცნებო ადგილი — საქართველოს სიამაყე — მთაწმინდა, ჩვენი დიდებული წარსულის მაუწყებელი ნარიყალა... თბილისი, განუმეორებელი თბილისი... ასეთ გასაოცარ დამეს მე მიყვარს... მარტოობა...

და გალაკტიონი უცებ მოსხლება ადგილიდან და ჩქარი ნაბიჯით გაემართა არა სახლისაკენ, არამედ გასასვლელისკენ და თავისი განუყრელი პორტფელის ქნევით, გაბრწყინებული სახით, გავიდა თბილისის ქუჩებში...

1959 წლის იანვარ-თებერვალში ლექტორმბინატში კარანტინი იყო. შესვლას მაინც ვახერხებდი... გალაკტიონი ქვევით ჩამოდიოდა. ისევ ტკბილად მესაუბრებოდა:

— მიყვარს ლექტორმბინატი, ეს ჩემი მეორე სახლია... არა, ნამდვილი სახლი ეს უნდა იყოს... მე და შალვა<sup>96</sup> ერთად ვარო მუდამ... ჩემი მუზეუმის დაარსებას უნდა შევუდგე ახლა... ადგილი კარგია, მხოლოდ ნომერი 13 არ მომწონს. ცუდად უდერს, სახალხო პოეტი

და №13... არ ვარგა,<sup>97</sup> – თქვა გულნატკენად...

იმ დღეს შესანიშნავ ხასიათზე იყო, სულ იცინოდა, ყველას ეხუმრებოდა, ეფერებოდა... საუბარი გალაპტორნის საიუბილეო წიგნის ირგვლივ მიმდინარეობდა.

– ვერ გამიგია, ბატონო, ამ წიგნში ზოგი ლექსის ისეთი თარგმანებია შეტანილი, რომელიც მე არ მინდოდა. რაშია საქმე, ვერ გავიგე... გული მტკივა იმაზე, რომ რუსეთის მკითხველი არ იცნობს ჩემს ლექსებს... თარგმანი არ ვარგა. ეს ჩემი გაფუჭებაა, როგორც პოეტის... – თქვა ნაღვლიანად, მაგრამ ეს ნაღველი წუთიერი იყო, რადგანაც იმ დღეს პოეტი შესანიშნავ ხასიათზე გახლდათ. მხიარულებამ სძლია ცუდ განწყობას, გალაპტორნის სიცილი აუკარდა:

– ერთი შემთხვევა გამახსენდა. გზაში შემხვდა ძალზე ჩაფიქრებული გენო ქელბაქიანი,<sup>98</sup> რომლის პიესის განხილვა იყო მწერალთა კავშირში. როგორაა საქმე, ძამიკო? – მხიარულად მივაძახე. დაიწუნეს, ჩამიგდეს პიესაო, ყრუდ მიპასუხა გენომ. როგორ, სულ დაიწუნეს? – გავიკირვე მე. – სულ, აბა ნახევარს ხომ არ დატოვებდნენო, – ნერვიულად მიპასუხა გენომ. აპა! პა! პა! რას მეუბნები კაცო! – შევიცხადე მე და გენოს დასამშვიდებლად ვთქვო: –

მესამე მოქმედება მაინც დაუტოვებინათ იმ ოჯახებორებს, იქ ხომ ერთი მსახიობი ჩემს ლექსის კითხულობს-მეთქი.

გალაპტორნი ბაგშვივით კისკისებდა: – მთელ პიესაში მხოლოდ ჩემი ლექსი დამწანა, ჩემდა უნებურად, ისიც უარყოფით ზონაში მოხვდა... ახლაც ასეა, თარგმანების გამო ჩემი ლექსები რუსი მკითხველების მიერ უარყოფით, მეორეხარისხოვან ზონაშია მოქცეული.

უკანასკნელად გალაპტორნი 15 მარტს ვნახე. პუშკინის სკეპტი გრძელ სკამზე ჩამომჯდარიყო თავი-სი პორტფელით ხელში. გამიკვირდა, ამ დილადრიან აქ რამ მოიყვანა-მეთქი. ნელი ნაბიჯით მივუახლოვდი. ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, თითქოს პოეტი თვლებმდა. ჩემმა სალამბა შეაკრთო.

– ვისგენებ, ჩემო ფატი, სუფთა ჰაერია, – ნაღვლიანად ამოიოხრა...

გვერდით მივუჯექი, მინდოდა გამერთო. შევატყვე, დამჟინატები იყო.

– დიდი ხანია, რაც აქ ზიხართ, პატივცემულო გალაპტორნ? – მორიდებით გითხე.

– არ მახსოვეს...

მოკლე პასუხს ხანგრძლივი დუმილი მოჰყვა... გალაპტორნი სივრცეს მისჩერებოდა. მთელი მისი არსება მასზედ მეტყველებდა, რომ თავისი

ფიქრებით ჩემგან ძალიან  
შორს იყო...

ეს იყო 15 მარტი, ორი  
დღით ადრე საშინელ ტრა-  
გედიამდე...

ჩაფიქრებული იყო... და-  
დუმებული... გამჭრალიყო  
მისოვის დამახასიათებელი  
დიმილი... აშკარა იყო, რომ  
პოტის სულიერი სამყარო  
საგრძნობლად შეერყია ვი-  
დაცას თუ რადაცას... მარ-  
ტობამ, სულით ობლობამ  
მოტეხა პოტი. უმიზეზო  
ეჭვმა შეიპყრო. უცებ თავი  
გაიქნია... შეშინებული თვა-  
ლები მომაპყრო. მისი სახე  
სასოწარკვეთას გამოხატავ-  
და. მორთოლვარე, აკანგა-  
ლებული ხმით მკითხა:

- დავრჩები, ხალხს თუ  
ვეხსხომები?!

- ხალხი ამბობს - შო-  
თა, ილია, აკაკი, ვაჟა და  
გალაკტიონი! - მტკიცედ ვუ-  
ასეუხე მე.

სახე გაუნათდა. ესიამოვნა...  
თავი უხერხეულად იგრძნო,  
დაღლილობა მოიმიზება და  
წასვლა დააპირა...

- შინ მიბრძანდებით, პა-  
ტივცემულო გალაკტიონ? -  
ვკითხე მე.

- ამ ბოლო დროს რა-  
ტომდაც ბადში ჯდომა შე-  
მიყვარდა, - ხელები გაშალა  
და დრმად ამოისუნთქა გა-  
ლაკტიონმა, - ამ სივრცეს  
ესმის ჩემი, თავისუფლად  
გუნითქავ... მე დავწერე „მე  
და დამე“, ახლა დავწერ „მე

და ბალი“...

პატიში გაისმა პოეტის  
ნერვული სიცილი.

ამ უგანასკნელმა შეხვედ-  
რამ განმიმტკიცა აზრი, რომ  
გალაკტიონი რთული, მნე-  
ლად გამოხაცნობი ადამიანი  
იყო... იგი ოსტატურად ფა-  
რავდა თავის სულიერ ტრაგე-  
დიას... თითოეული ჩვენგანი  
ყოველდღიურად უბრალო  
ადამიანს ხედავდა, რომელიც  
მხიარულად მომღიმარი ყვე-  
ლას სიყვარულით შესცემო  
და, ყველას ესაუბრებოდა,  
ეფერებოდა. გალაკტიონი გა-  
რეგნულად ყოველთვის უდა-  
რდელად გამოიყურებოდა,  
თითქოსდა ცხოვრებამ უბრა-  
ლო ჩრდილიც ვერ მიაყენა,  
ყველაფრით კმაყოფილი და  
ბედნიერია... და რა თქმა  
უნდა... გალაკტიონი - სუ-  
ლით მდიდარი, უმწიკვდო,  
უანგარო, უაღრესად ინტე-  
ლიგენტი, პოეტი-დემოკრატი  
ამ სიტყვის ფართო გაგებით,  
გალაკტიონი - უპირველეს  
ყოვლისა ადამიანი, რომელიც  
სულიერი მეგობრის ძებნაში  
ობლად დადიოდა ამქვეყნად,  
ყველასათვის შეუმჩნეველი  
რჩებოდა. ვერავინ ხედავდა,  
თუ რა ცეცხლით იწვოდა.  
ის კი ჩუმად, უსაყვედუროდ,  
ნელ-ნელა იფერფლებოდა და  
ბოლოს... საშინელი ტრაგედია...  
ბევრ რამეს დროებით  
სუდარას გადავაფარებ, ასე  
სჯობია...

1960 წელი

## შენიშვნები:

1. ფატმან (ფატი) სოლომონის ასული დიდია (1912-?), 1936-1941 წლებში მუშაობდა ლანჩხუთის, ტყიბულის, ბორჯომის, ზუგდიდის სახალხო თეატრების მსახიობად, 1941-1955 წლებში – თბილისის სხვადასხვა დაწესებულებში მემანქანე-სტეპოტიპისტად, ხოლო 1956 წლიდან მემანქანედ ენათმეცნიერების ინსტიტუტში. მთარგმნელის – ანდრო პატარაიას მეუძღვეს. გალაკტიონი 1956 წელს გაიცნო. ქართული დიოტერატურის მუზეუმის ხელნაწერთა კოლექციაში დაცულია ფატი დიდია-პატარაიას კიდევ ერთი მოგონება „გალაკტიონ ტაბიძის ნამბობი“ (№24823), რომლის პირველ ფურცელზე არის მინაწერი: „გთხოვთ ამ მასალასთან არავინ, არც ლიტერატურული მუზეუმის თანამშრომლები არ იქნეს დაშვებული ჩემი ნებართვის გარეშე. ფატი დიდია-პატარაიასი. 1960-21-VIII, თბილისი“. ამ მოგონებას გათავსებოთ ძირითადი ტექსტის ბოლოს.

გალაკტიონის ახლო გარემოცვაზე საუბრისას ფატი დიდია-პატარაიას მოგონებებს გარევეული ტენდენციურობა ახასიათებს, გარდა ამისა, მოგონებებში აღრეველია მოვლენათა თანამიმდევრობა, რაც მეხსიერების ცდომილებით აისხება.

გალაკტიონ ტაბიძის არქივში დაცულია უსათაურო და უთარიდო ლექსი, რომელიც ამ თჯახისადმი მის კეთილგანწყობას ადასტურებს:

\*\*\*

ან დრო პატარაა...  
და ფაპტი დიდია –  
ეს ცხოვრება რაა:  
სულ ბეჭვზე პეიდია...  
ან დრო პატარაა...  
და ფაპტი დიდია.  
აპა, გაზაფხულდა.  
აპყავდა გარდი, ია.  
გარდს სადაც კი წაიღებ,  
ყველგან იგივ ვარდია.  
მაგრამ სხვაა, მერწმუნე,  
ყველგან – პატარა ია,  
თუ მას მახლობლადა პყავს  
მგზნებარე დიდი ია.  
(გალაკტიონ ტაბიძე.  
საარქივო გამოცემა, VIII:637).

2. ანდრო პატარაია გალაკტიონ ტაბიძის ჩანაწერებში რამდენიმეჯერ არის მოხსენიებული (XXII:95; XIX:329, 421).

3. სავარაუდოდ, გალაკტიონ ტაბიძის მეუძღველის – ნინა კვირიკაძის შვილის – ნუნუ ებანოიძის ქალიშვილი მარინე ფირცხალავა (კაკინა, დაბ. 1951 წლის 7 აპრილს). მასზე იხ.: თემიტაზ პეტრიაშვილი. „მთაწმინდაზე ერთი პატარა ბალია...“, თბ., 2004, გვ. 31-32.

4. იგულისმება გალაკტიონ ტაბიძის მესამე ცოლი ნინო სიმონის ასული კვირიკაძე (1897-1996). იხილი 1943 წელს შეკულდნენ (იხ.: გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1990 წ., 12 იანვარი, ვახტანგ გურგენიძის პუბლიკაცია).

5. წენითის აგარაკის მშენებლობა გალაკტიონმა 1952 წლის ივნის-ივ-

ლისში წამოიწყო. მშენებლობა უსახსრობის გამო შეფერხდა და 1955 წელს დასრულდა.

6. გაჩერჩილიაქე, დავით ალექსის ძე (1902–1974), პოეტი, დრამატურგი, საბავშვო მწერალი, მთარგმნელი. 1920-იან წლებში „ვუტურისტ-ლეფელების“ ლიტერატურული დაჯგუფების წევრი.

7. ლექტორინაზი – შემოკლება რესულიდან „Лечебный комбинат“ – სამკურნალო კომბინაზი, სააკადამიურო, სადაც გალაპტიონი სიცოცხლის უკანასკნელ წლებში ხმირად მტურნალობდა.

8. საგარაულო, იგულისხმება გამ „Заря Востока“-სთვის გალაპტიონის მიერ 1956 წლის ივლის-აგვისტოში მომზადებული თარგმანების კრებული (XIX:322–333). ამავე დროს იგი ამზადებდა თარგმანების კრებულს მოსკოვში გამოსაცემად (XIX:356).

9. მუშაობა პიერაზე „მშვიდობის წიგნი“ გალაპტიონს 1956 წლის 7 თებერვალს დაუსრულება:

„**7 თებერვალი. 1956 წ.** დავამთავრე დიდი პოემის „მშვიდობის წიგნის“ გადაწყვეტილი გადაწყვეტილი მოქლეობაში.

**8 თებერვალი.** „მშვიდობის წიგნი“ გადასაბუჭიდათ მანქანაზე გადაცვილი მემანქანების ბიუროს – ჭავჭავაძის ქუჩაზე. დამპირდენ, რომ „მშვიდობის წიგნი“ მხად იქნება შაბათისათვის (დღეს ოთხშაბათია)“ (XXII:173–179).

მისივე ჩანაწერებიდან ირკვევა, რომ 1956 წლის პირველ აგვისტოს მისი პოემის თარგმნა ანდრო პატარაიას უკვე დაწევბული პქონდა (XIX:329; XXII:69; 97).

10. შეად. გალაპტიონის ჩანაწერი: „თანდათან შეიცსება სია ჩემი პატრიოტებისა, აკადემიაში, მწერალთა კავშირში, სახელგამში, მხატვართა კავშირში, არტისტებში. საჭირო დამხმარე ჯაუფები...“ (XXII:75).

პატრიოტების თემას გ. სგანიძის ხელმოწერით გალაპტიონმა ლექსიც უძღვნა:

დიდი გალაპტიონის  
ვიყოთ პატრიოტები!  
სალხი მგოლსანს საყვარელს  
იცავს თავგამოდებით.  
სალხი მის შეიძტომეულს  
მოსახს დაფინის ტოტებით,  
სახალხო სიხარულით,  
სახალხო მოწოდებით.  
ჰყვაოდეს საქართველოს  
ველები და კორდები,  
ჰყვაოდეს პოეზიის  
უძვდავი წალეოტები.  
ის კი ჩვენი ბეკერია –  
ვინაც ალმურ-მოდებით  
ჩვენს ძვირფას გალაპტიონს  
ებრძეის გაბოროტებით.  
ჩვენ გათ მოვიხსენიეთ  
ზიზდით და აღშფოთებით.  
იდიდოს სამშობლოსთვის  
ბრძოლამ თავგამოდებით.

წინ, წინ, სიმართლისაკენ  
გასწიოთ თავგამოდებით –  
დიდი გალაპტიონის  
ჩვენ ვართ პატრიოტები. (XIX:219-20)

11. ამ დროს გალაპტიონს აქვს ბინა მარჯანიშვილის ქუჩაზე, აგარაკი წენებიში და მშენებარე აგარაკი სოხუმში.

12. შედ. გალაპტიონის ჩანაწერი: „დედახმა იღიას ჩემი ლუქსები გამოუგზავნა“ (XHII:94);

13. გალაპტიონის მამა გახილ სტეფანეს ძე ტაბიძე 1891 წლის 23 ოქტემბრის გალს გარდაიცვალა. (XIII:428; გახ. „ივერია“, 1892, № 62).

14. ამასთან დაკავშირებით იხ. გალაპტიონის ჩანაწერები: მწერალთა კავშირში კალე ბობოხიძის პოემის კოთხვა (XXII:330-332; 343; XXIII:410); მწერალთა კავშირში არსებულ კოთარებაზე (XHII:193, 194; 314) და გალაპტიონის პასუხი რეცენზების (XVIII:251-258); სახელგამში გამოსაცემ წიგნზე: „მე სახოგადოდ არასდროს წიგნი წინასწარ არ წამიკითხავს მწერალთა კავშირში – ან ვინ კითხულობს იქ სახელგამში გამოსაცემ წიგნებს? არავინ. რაღაც მე არ მასხვევს. რადა ჩემზე მოიგონა მერკვილაძემ ეს კითხვა????“ (XXII:212-213);

15. სავარაუდოდ, გალაპტიონი გულისხმობს დარია ახლოედიანის მოგონებას, რომელიც გ. ლეონიძემ არ შეიტანა ალმანას „ლიტერატურის მატიანის“ აკაკი წერეთლისადმი მიღვნილ კრებულში. ამის შესახებ იხ. ჩემი პუბლიკაცია: „გალაპტიონოდგა“, V, 2010, გვ. 451-452.

16. შესაძლოა, იგულისხმება პოეტი და ლიტერატურათმცოდნე გიორგი კალანდაძე (1912-1993), თანამშრომელი ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტისა, რომელიც იმ დროს მეცნიერებათა აკადემიის შენობაში (ყოფილი ძერუინისა, ამჟამად პავლე ინგოროვეგას ქუჩაზე) იყო განთავსებული.

17. გალაპტიონ ტაბიძის თხზულებათა VIII ტომი 1957 წლის სექტემბერში გამოიცა.

18. შეად. გალაპტიონის ჩანაწერები (XVI:386-394; XXII:182-183; 414).

19. შეად. ფატი ნიშნიანიძის მოგონება: „1959 წლის 14 ოქტემბრვალს ბრძანაწილაში უეცარი შეგევით სამკურნალო კომბინატში მიმიქვანეს და სახურავო თერაცია გამიეკოვეს. როცა ოპერაციის შემდეგ პირველად გავხილო თვალი, თავზე „მამაღამერთივით“ მაღაზ გალაპტიონი. იგი დაღონებული და თვალკრემდიანი შემომცეკვიდა:

– აბა ჰე ფატი, აბა ჰე, გამოიხედვ, ჰე ქალო, რას გვაშინებ!

მეოთხა, როგორ გვრძნობ თავს და ჩემს პასუხზე: მგონი არ მოგავდე-მეოქი, დიმილით მომიგო:

– რა დროს შენი სიკვდილია, არა გრცხვნია? შენ კი არა, მე არ ვფიქრობ ჯერ სიკვდილს!..

ჩემს შეკითხვაზე, თუ რატომ არის თვითონ საავადმყოფოში, მომიგო:

– არ ვიცი, რატომ ვარ. მეფიცებიან, ავადმყოფი ხარ და თანაც სერიოზული ავადმყოფი!..

სანამ ლოგინიძის წამოვდებოდი, ხშირად შემოღილდა ჩემს პალატაში და მესაუბრებოდა. როცა წამოვდექი, გალაპტიონის სანახვად წავედი. იგი ნერგული ავადმყოფების განყოფილებაში იწვა. როცა მისი პალატის კართან მივედი, შიგნიდან უცნაური სიმღერის ხმა მოქება. პალატის კარი გალაპტიონმა გამიღო და დავინახე მის გვერდით საწოლზე ვიღაც მოხ-

უცი, რომელიც არეული თვალებით ჭერს მისჩერებოდა და თავგამოდებით მდეროდა. გალაკტიონში ნაღვლიანად გაიღიმა, ავადმყოფისკენ გაიხედა და მოთხრია:

— ეს ჩვენი მომდევრალია, დამეც მდერის, გარეთ, ვესტიბიულში დაგახსნედეთ, თორებ ამასთან დაპარაკი არ შეიძლება. წიგნიც ვერ წამიკითხავს... ო, რა კარგი იქნებოდა ჩემი კუთხე მქონდება!.. ამ საავადმყოფოს დირექტორს – აკრესელიძეს დალიან უყვარს რაიკონის მდივნები, ცეკას თანამშრომლები, ერთი სიტყვით თანამდებობის პირები...

დიდხანს მესაუბრა გალაკტიონი ვესტიბიულში. ეს იყო ჩვენი უკანასკნელი საუბარი. ის, რატომდაც, დალიან ხშირად დაპარაკობდა სიცოცხლეზე.

— ბევრი რამ მაქს გასაკეთებელი, მოსასწრები და ყველაფერ ამისთვის სიცოცხლეა საჭირო, აბა:

უნდა ვიცოცხლოთ, უნდა ვიცოცხლოთ!  
ცხევრების მიზნად ის დავისახოთ,  
სულ იმედები უნდა ვიპოვოთ,  
სულ გამარჯვება უნდა ვიძახოთ!

გალაკტიონი რადაც სხვანარი იყო (არა მშეოთვარე, წინანდებურად). თოქოს თვალები გაუშეტერდაო, გეგონებოდა. მერე უცებ მოიხედავდა და იტქოდა რამეს, მაგრამ ყოველ სიტყვას რადაც საიდუმლოებრივი მნიშვნელობით დაპარაკობდა. მან მთხოვა, როცა საავადმყოფოდან გამოვიდოდით, მომეწყო მისი გამგზავრება აკაისა და ილიას სამშობლოში – ყვარელსა და საჩერეში, სვანებისაც წავიდეთ, ყველგან, ყველგან უნდა მოგასწროო...“ (ხსლ №25010, გვ. 158-161).

20. ლენინგრადის დაარსებიდან 250 წლისთავი 1957 წლის ივლისში აღინიშნა. გალაკტიონის ამ თარიღისადმი მიძღვნილი ლექსის ორგინალი ვერ მოვიძიეთ, ხოლო ანდრო ააგარაის რუსული თარგმანი დაიბეჭდა გალაკტიონის ლექსების რუსულ კრებულში „Полвека“, გვ. 332-333.

### Ленинграду (к 250-летию со дня основания)

Леса. Балтийское безлюдье.  
Дремотным дням потерян счет.  
Но слышу – шум великий будит  
Извечный сон лесных болот.  
Здесь белой ночи свет струится.  
И косит, косит огневица  
Простых людей. Но светел круг  
Шатров, огней сторожевых.  
На топких берегах Невы  
Была воздвигнута столица –  
Туманный город Петербург.

Прошли года. Нева и Лена,  
Рождая свет грядущих гроз,  
Перекликаются, горят...

Здесь – на виду у всей вселенной  
Из года в год мужал и рос  
И возносился Петроград.

И вновь я ночь предзорья вспомнил:  
И мрачный Зимний, и Сенат,  
И клич победный:  
– Ленин в Смольном!  
Твой клич, восставший Петроград...

Весь мир дыханье затаив  
Следил за битвой небывалой,  
Когда защитники твои  
Спасали город от вандалов,  
Когда, разжав тиски блокады,  
Сметая заграждений ряд,  
Свой гнев обрушил на врага ты,  
Непокоренный Ленинград.

Я славлю путь,  
Победный путь  
Из Октября – в цветущий сад,  
Я славлю жизнь  
Твою большую,  
Наш первый зодчий и солдат!  
Я славлю грудь  
Твою стальную,  
Орденоносный Ленинград!

21. გიგო ხაზლია (დაბ. 1925), ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, იმ დროს ასპირანტი.

22. შეად. ვარი ნიშანიძის მოგონება: „დროშები ჩქარა“ მე დაგწერე 1917 წლის რევოლუციის პირველ დღეს, ჩემს მომდლიურ ქალაქ ქუთაისში, რევოლუციის მეორე დღეს ჩამოვადი თბილისში და მწერლების შეკრუბაზე წვიმითხე ეს დექსი. მწერლებმა გადაწყვიტეს მე გაგმგზავრებულიყვავ პეტერბურგს, სადაც მაშინ მსოფლიო მნიშვნელობის ამბები წყდებოდა. კინიადან კონსორტურ გაჭირვებას განვიცდიდი, მწერლებმა ცული შეაცროვეს, ეს ცული მაშინვე ბანკის დირექტორ კოტე მარიშვილს გადასცეს, კოტე მაკაშვილმა ამ ცულს ერთი იმდენი დაუმტრა და მე გადმომცა ისე, ვითომ ბანკი მაძლევდა დახმარებას, რომ უხერხულობა არ მეგრძნო. ასე მოხერხდა ჩემი გამგზავრება პეტერბურგს. 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის დღეებში მე ვიმოფებოდი პეტერბურგში, სმოლნის ინსტიტუტში ამხანაგ სტალინთან ერთად (მე სტალინს კარგად ვიცნობდი, მასთან ამხანაგურად ვიყავი)... ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ დაგბრუნდი საქართველოში და „თან მოვიტანე ამბავი ქვეების გადარჩენისათ“ – დაამთავრა მგოსანმა“ (სლე №25010, გვ. 98-99).

ამასთან დაკავშირებით იხ. გალაგბიონის ავტობიოგრაფია (XXIII:45).

23. ავტობიოგრაფიებში გალაგბიონი წერს, რომ მოსკოვში ყოფნისას შეხვდა სტალინს, გორგის, სევა პასუხისმგებელს ამხანაგებს. აგრეთვე აღნიშნავს, რომ 1919 წ. დახტამბულ წიგნში „არტისტული უცვილებები“, პირველად

ქართულ პოეზიაში, ნახსენებია ვ. ი. ლენინი. (XXII:210; XXIII:481, 487, 500, 504).

24. შეად. გალაკტიონის ავტობიოგრაფია: „რევოლუციის პირველ დღეებში ის მიერვერება პეტროგრადში, შედის სმოლნში, ნახულობს ამხანაგ სტალინს და ენერგოულად მოითხოვს მისგან მისთვის საყვარელ რევოლუციონურ მუშაობაში ჩაბმას; ამს. სტალინის თანხმობით პოეტი პროფესიონალი რევოლუციონერებთან ერთად ემზადება გადაიგზავნოს შეა აზისაკენ. სადაც ეწყობოდა რევოლუცია. მოულოდნელმა მძიმე ავადმყოფობამ ხელი შეუშალა პოეტს განეხორციელებინა თავისი მიზანი: შეა აზიაში გამგზავრება“ (XXIII:476, 487, 500).

25. 1934 წლის 9 აგვისტოს გაზეთ „პომენისტში“ გამოქვეყნდა სსრკ მწერალთა I ყრილობის დელეგატთა სია, რომელთა შორის გალაკტიონ ტაბიე არ იყო დასახელებული. შეად. გალაკტიონის 1955 წლის 26 იანვარს საქართველოს მწერალთა კავშირის მეორე პლენურის მესამე დილის სხდომაზე წარმოთქმული სიტყვის სტენოგრამა (XXIII:570–571; XIV:308).

26. ვაქტი ნახსენებია გალაკტიონის ჩანაწერებში: „შემხვდა ფოტოგრაფი. მოიგორა სტალინის შეხვედრი მწერლების: „A გდე გალაქტიონ?“. ლენინის ორდენი კი გამომიგზავნა“ (XVIII:433). ეს ამბავი მან თავის მძიმე დილის ხოდარ ტაბიესაც უძმბო (ბ. ბაბიძე, „გალაკტიონი“, თბ., 2000, გვ. 436).

27. გალაკტიონ ტაბიეს არქივში აღმოჩნდა 1938 წლით დათარიღებული ბერიასთვის მიწვრილი წერილი, სადაც მძიმელი თბილისში ბინას ითხოვს (XXIV:65) და სააგიტაციო სიტყვა, სადაც მოუწოდებს ყველა ამორტეველს, 9 თებერვალს ერთსულოვნად მისცენ ხმა ლაგრენტი ბერიას. გარდა ამისა, ბერია მოხსენიებულია მის ლექსში „კავკასიონის პროფილი“ (XX:334–335; XXIII:561–563).

28. სტალინი 1953 წლის 5 მარტს გარდაიცვალა. 1956 წლის 30 ივნისს სკპცია გამოიტანა დადგენილება „პიროვნების კულტისა და მისი შედეგების დაძლევის შესახებ“, 6. ხრუშჩოვის მოხსენებამ პიროვნების კულტის შესახებ საბჭოთა კავშირის მილიონობით მოქლებები შეაშორთა. განსაკუთრებული აქცენტი სტალინის ქართველობაზე იყო გადატანილი. საქართველოში ეს „საპროგრამო სიტყვა“ ქართველი ერის შეურაცხყოფად აღიქვეს. 1956 წლის 3 მარტიდან თბილისში დაიწყო საპროტესტო აქციები. 9 მარტს საბჭოთა არმიის ნაწილებმა იერიში მიიტანეს მომიტინგებზე, რასაც ადამიანთა დახვეტა მოჰყავა.

29. 1958 წლის 21–31 მარტს მოსკოვში ჩატარდა ქართული კულტურისა და ხელოვნების დეკადა, რომელშიც გალაკტიონმა მოხაწილეობა მიიღო. ამავე დროს, „გოსლიტიზაციაში“ გამოსცა გალაკტიონის ლექსთა კრებული. გამომცემლობის დირექტორს, დეკვე, გალაკტიონმა მასალები პირადად გადასცა 1956 წლის 21 დეკემბერს. 1958 წელს გალაკტიონი ქმაყოფილი იყო ახალი წიგნით: „კველის უგულითადესი მაღლობის ღირსი არიან ასეთი მშვენიერი წიგნის გამოცემისთვის“. კრებულში ანდრო პატარაიას თარგმანები არ არის შექანილი (XIX: 356, 491, 495, 498–499).

30. სავარაუდო, გალაკტიონი გულისხმობს თავის უკანასკნელ განსახვებელს.

31. 1957 წლის 6 დეკემბერს საქ. მწ. კავშირის პრეზიდიუმის სხდომაშ დაადგინა: პოეტ გალაკტიონ ტაბიეს მოსკოვში რუსელ ენაზე „სოფელსკი პისატერის“ მიერ გამოცემული წიგნი „ჩხული“ წარდგენილ იქნას ლენინური პრემიის მოსაპოვებლად 1957 წლისათვის ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში. ლენინის პრემიაზე წარდგენისას გალაკტიონის საბუთების მოსკოვ-

ში გადაგზავნა შეფერხდა, 1957 წლის 10 დეკემბერს მწერალთა კავშირიდან მოსკოვში გაიგზავნა დეპუშა, რომ ლენინერი პრემიის მაძიებლად წარდგენილია გალაკტიონ ტაბიდე და საბუთები მოგვიანებით გადაიგზნებოდა. 18 დეკემბერს გადაიგზავნა ყველა საჭირო დოკუმენტი. შეად. XIX:478-480, 482; XXII:185.

32. მერი შერვაშიძე – გენერალ-მაიორ პროკოფი შერვაშიძის, რუსეთის დემის წევრის, აფხაზეთის მთავართა შთამომავლის ასული უმშვენიერებს ქალთა შორის თვით ნიკოლოზ მეორეს გამოუჩევია. ეს 1912 წელს მომხდარა. „Грешно быть таком красивой“, – утверждает мисситетки в подтверждении. Мерси Шервашидзе Руслантиос სამეცნიერო კარზე დღა-დღეოფლის ფრეილინა იყო. 1914 წელს, მამის გარდაცვალების შემდეგ, მერი ოჯახთან ერთად საქართველოში დაბრუნდა. 1918 წლის 20 სექტემბერს მერი შერვაშიძემ და ნიკოლოზ ქართველის ფლიგელ-ადაუტანტმა გუცა (გიგუშა) ერისთავმა ჯვარი დაიწერეს. 1921 წელს მერი საფრანგეთს წავიდა და სამშობლოში ადარ დაბრუნებულა. იხ. ხ. ხოფერია, „სიყვარული – გალაკტიონის „გამოსალმების ხელოვნება“, გაზ. „იუგრია“, №72, 2004.

33 ამ ცხობას უარყოფს თვით მერი შერვაშიძე 1962 წელს პარიზიდან ბაბო დადიანისაძემი მიწერილ წერილში: „...Тогда в Кутаисе все говорили, что стихи „Мерси“ и другие Табидзе посвятили мне. Я лично поэта не знал...“ (ი. ლორთქიანიძე, გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრების ქრონიკა, თბ., 1968:76).

34. ლუჟი არაგონი (1897–1982), ფრანგი პოეტი და პროზაიკოსი, გონქურის აკადემიის წევრი, საფრანგეთის კომუნისტური პარტიის მოღვაწე, „ერთა შორის მშენებელის დამყარებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიის ლაურეატი. 1932 წელს მწერალთა ინტერნაციონალურ ბრიგადასთან ერთად მოიარა სსრკ მშენებარე ინდუსტრიული ცენტრები. 50-იანი წლებიდან მკვეთრად დაუცირისაპირდა სსრკ-ს ავტორიტარულ კურსს, მწერალთა და ხელოვნობა რეპრესიებსა და ხელოსლოვაკიის ოკუპაციას. გალაკტიონი არაგონს შეხვდა 1935 წელს, ანტიფაშისტურ კონგრესზე.

35. წინამდებარე მოგონების მერი შერვაშიძისადმი მიძღვნილი ფრაგმენტი ფარი დიდიაზ სათაურით „გალაკტიონის ერთი ლექსის შთაგონება“ გამოაქვემდნა უზრუნველყო „საბჭოთა ხელოვნება“, 1961, №4.

36. გალაკტიონის პირველი ცოლი იყო ოლია სტეფანეს ასული ოკუპაცია (1888–1941).

37. საქართველოს სახალხო მწერლის წოდება გალაკტიონს 1933 წელს მიენიჭა მისი სალიტერატურ მოღვაწეობის 25 წლისთვთან დააბეჭირებით (გაზ. „კომუნისტი“, 1933 წ., №153; „ახ. კომუნისტი“, 1933 წ., №155)

38. სერებრიაკვიფ ბათონის (1890–1959), პოეტი, მთარგმნელი.

39. გალაკტიონ ტაბიძის ოხულებათა რუსულ კრებულებში ხაცევითის არც ერთი თარგმანი არ არის შეტანილი.

40. გალაკტიონის სურვილი საიმედო ადამიანებთან კარადის დადგმის თაობაზე სხვათა მოგონებებიდანაც ჩანს. შეად. მარიამ მეგრელიძე-ფოტინოვას ნაამბობი („გალაკტიონოლოგია“, V, 2010, გვ. 459).

41. ხევიძე უშანგი ვიქტორის ძე (1893–1953), დიდი ქართველი მსახიობი, გალაკტიონის მეგრებარი.

42. გალაკტიონის სიცოცხლეში პოემა „მშენებელის წიგნი“ სრული სახით არ დატესლილია; 1956 წლის ოქტომბერში მან საკუთარი ხარჯით მოახერხა პოემის რომანის ფრმატით 300 გენერალის დაბეჭდვა აკადემიის სტამბაში (XIX:344). 1957 წ. გამოიცა გალაკტიონ ტაბიძის ოხულებათა VIII ტომი,

სადაც დაიბეჭდა მხოლოდ „ადგილები ლეგენდა-პოემიდან“ (იხ. ჯენეტო ჭან-ტურაიას „უბლიერცია, „გალაკტიონოლოგია“, II, 2003, გვ. 298-299). „მშვიდობის წიგნი“ პირველად, შედარებით სრულად, დაიბეჭდა 1973 წ. (თხ. 12 ტომად, ტ. XI, გვ. 3-252), ხოლო კუპიურების გარეშე – 2005 წელს (XII:7-367).

43. შეადარე გალაკტიონის ლექსი:

შენვის წამიც არ არსებობს  
დასვენების,  
სანამ მქაცრი დრო არ მოვა  
განსვენების.  
არ გულვარვარ მე ჩემს მხარეს,  
გულვარდი-კი,  
სხვაა იგი, უსათუოდ  
სხვაა იგი.  
თუ ცხოვრებამ უბედურმა  
არ დამინდო,  
შენ დამინდე, საუგუნევ,  
ჩემო, წმინდა.  
შენ იცოცხლე, შენ იცოცხლე  
მარად, მარად.  
მე არ გლირვარ, ცხოვრებაო,  
ეხლა არად. (XX:21)

44. შეად. ოთარ შალამბერიძის მოგონება: „–ცოცხალი პოეტები... – ისევ  
მომიბრუნდა: – განა შოთა, ცურამიშვილი, ილაია, აკაკი, ვაჟა ცოცხლები არ  
არიან?.. განა მათ სიკვდილი მოერვათ?.. ცოცხალი... სიცოცხლე... კარგია!..  
მშვენიერია!..“ („გალაკტიონოლოგია“, III, 2004, გვ. 347-348).

45. შეად. ჯენეტო ჭანტურაის მოგონება („გალაკტიონოლოგია“, III, 2004,  
გვ. 363).

46. „ერთის შეხედვით თითქო მთელ ჩემს ცხოვრებაში არავინ არაფერს  
დამსმარებია, არც მიმიმართავს დახმარებისთვის, არ დამიმდაბლებია თავი.  
მერცხვინებოდა თითქო, რომ საქმეში, რომელსაც მე ვაკეთებდი, ვინმე დამხ-  
მარებოდა. „უნდა დაეხმარო კაცებს“, „დამეხმარე ამ საქმეში“, „შენს დაუხ-  
მარებლად რას გავაკეთება?“ – ყოველივე ეს მეჯავრებოდა, ყოველივე ეს  
უცხო იყო ჩემთვის...“ (XVIII:168).

47. გამომცემლობა „ზარა ვოსტოკას“ მიერ მომზადებული გალაკტიონ  
ტაბიძის რუსული რეჟილი „Полвека“ 1959 წელს გამოიცა. დასაბეჭდად ხე-  
ლორწერილია 1959 წლის 20 თებერვალს (XXII:47). მასში ანდრო პატარაიას  
მექრ ნათარგმნი 7 ლექსი დაიბეჭდა. ასევე, 1959 წელს დაიბეჭდა გამომ-  
ცემლობა „საბჭოთა საქართველოში“ ვახტანგ ჯავახაძის რედაქტორიბით  
მომზადებული რეჟილი.

48. სკოლიდან მოწოდებული ცნობით 1954 წელს 51-ე საშუალო სკოლას  
(ამჟამად 51-ე საჯარო სკოლა), რომელსაც მაშინ ქალბატონი ქეთვენა ჩინუა  
სელმძღვანელიობდა, მიენიჭა გალაკტიონ ტაბიძის სახელი, მაგრამ გალაკტიო-  
ნის ჩანაწერებში ეს ფაქტი არ დასტურდება. მისი 1954-55 წლის ჩანაწერები-  
დან ირვენა, რომ თბილისის მასწავლებელთა სახლში დაარსდა გალაკტიო-  
ნის სახელი სალიტერატურო წრე. ხოლო 51-ე სკოლას გალაკტიონის  
სახელი მისი გარდაცვალების შემდეგ საქართველოს მინისტრთა საბჭოს

დადგენილებით მიერჩია („ლიტერატურული გაზეთი“, №12, 21 მარტი, 1959).

49. ტიხონოვი, ნიკილაი სემიონის ძე (1896–1979), გამოწენილი რუსი საბჭოთა პოეტი, მთარგმნელი, საზოგადო მოღვაწე. სოციალისტური შრომის გმირი (1966). ლენინის (1970) და 3 სტალინის პირველი სარისების პრემიების ლაურეატი (1942, 1949, 1952). 1944–1946 წწ. თავმჯდომარეობდა სსრკ მწერალთა კავშირის გამგეობას, 1946 წლიდან ამავე კავშირის გენერალური მდივნის მოადგილე, სტალინური პრემიების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ხელოვნებისა და ლიტერატურის დარგში. 1954 წლის დეკიმბერში საბჭოთა მწერალთა II საკავშირო ყრილობაზე გამოვიდა მოსხესენებით „მსოფლიოს თანამედროვე პროგრესული ლიტერატურა“.

50. 1959 წლის 5 იანვარს ქართველი მწერლების წინაშე გამოვიდა საკავშირო მწერალთა კავშირის მდივანი ალექსი სურკოვი. მას ილაპარაკი იმ ამოცანებზე, რომელთა აღმართ აარებდა თავის მოსხენებაში საკავშირო ყრილობაზე. 1954 წლის დღიურში გალაკტიონი წერს: „მოხელენება გააკეთა სურკოვმა. ახსენა ყველა საბჭოთა მწერალი, გამომტოვა მხოლოდ ეს (თავმჯდომარე სსრაკო, რომ ეს ვკეთავერი მოწყობილი იყო). ი. აბაშიძემ მოიწვია ქართველი დელგაბრების ერები და განაცხადა: მართალია, სურკოვმა არ ახსენა გალაკტიონი, მაგრამ ჩვენ მას ვერავერს ვერ ვიტვითო (ე. ი. გამოდის, რომ ქართველმა დელგაბრებმა მხარი დაუჭირეს სურკოვს). მეორე ნაწილი მწერლებისა (ზ. ვლენტი, ანდრო თვეზააქ და სხვ.) მოითხოვდნენ რეაბილიტაციას. შენიშაბებილი, ბელიაშებილი, ქაბელი და სხვ. მოითხოვდნენ, კრინტი არ დასხრათ. კრებას არავითარი დასკვნა ამის შესახებ არ გამოუტანია. ეტუბათ, უეხებზე ჰკიდიათ შენი სახალხო პოეტი და მისი სახელის დაცვა. თოთქო ეს პირადათ მისი საქმე იყოო...“ (XVIII: 469).

1959 წლის 19-20 იანვარს გალაკტიონმა მონაწილეობა მიიღო საქართველოს მწერალთა კავშირის V ყრილობის შესაობაში, სადაც ვრცელი მოსხენებით გამოვიდა მწერალთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი ირაკლი აბაშიძე, მან მიმოიხილა საანგარიშო პერიოდის (1954–1959) ქართული მწერლები. აღნიშნა, რომ პოეზიის დარგში კვლავ განაგრძობენ შემოქმედებით მუშაობას გალაკტიონ ტაბიძე, გიორგი ლეონიძე, იოსებ გრიშაშვილი და ა. შ., მაგრამ ცალკე არ უსაუბრია გალაკტიონის შემოქმედებაზე. ყრილობაზე ხელახლა აირჩიეს მწ. კავშირის გამგეობა და სარეკონიო კომისია. გალაკტიონი გამგეობის რიგით წევრად აირჩიეს (რ. კვერცხნილაძე: „საქართველოს მწერალთა კავშირი 1917–1982“. თბ., 1983, გვ. 258). მისი კანცილატურა არ წამოუკენებათ სსრკ მწერალთა III ყრილობის დელგაბაზად. ეს საკითხი მას თებერვალშიც აშვიოთებს: „მწერალთა კავშირი – როდისაა ყრილობა. იმ ოცდახუთ კაცში ვიქნები თუ არა? (დელეგატები)“ (XIX:563).

ფატი დიდია ადნიშნავს, რომ იუბილეს ამბის გასაგებად მივიდა (ანტ., 1958 წლის 28 დეკემბერამდე), მაგრამ საფიქრებელია, რომ ეს საუბარი 1959 წელს შედგა. შეად. ფატი ნიშნიანიძის მოგონება: „1959 წლის იანვრის პირველ რიცხვებში მარიკა მიქელაძის დაქრძალვიდან შინ ვბრუნდებოდი (გარდაიცვალა 7 იანვარს. ნ. კ...) პრესის ქუჩაზე (ახლა ათონელის ქუჩა) გალაკტიონი დავინახე. ის ბარტო იდგა. ზოგჯერ თავისთვის ლაპარატობდა რაღაცას, ეტუბოთდა, ნასხამი იყო. მე მივუახლოვდი. მას თვალებში რაღაცნაირი შიში და სასორის გენერატორისა და გაურკვევლად მიცირა, მერე ცრემლიანი, დაღონებული თვალები გაუბრწყინდა და

აღტაცებით წამოიყვირა:

— ო, ფატი, აქ როგორ გაჩნდი! რა კარგია, რომ გნახე!

რომ გაიგო, სად ვიყავი, ტუშები აუთრთოლდა და ეს ბუმბერაზი ადამიანი საცოდავია ატირდა.

— რას ამბობ! მარიკა მოკვდა? ა? საწყალი მარიკა! როგორ ვერ გავიგე!..

მერე მოპყვა: „მარტოდმარტო ვარ... მწერლების ყრიდობაზე სულ არ მასესენეს... სახლში თუ არ მივალ, უხარიათ, დღეობებს მაშინ მართავენ...“

შევეცადე დამშევიდება, რომ ყველასათვის ძვირფასი და საყარელი ადამიანია... რომ მას აფასებს და თაყვანს სცემს მთელი მისი ხალხი, მთელი საქართველო... მერე ვთხოვე, მანქანას მოგართმევთ და სახლში წამოქმნანდით-მექი. მაგრამ იგი უცებ შედგა. საწყალი თვალებით შემომხედა და მითხრა:

— სადაო?.. არა, არა, ყველგან წასვლაზე თანახმა ვარ, სახლში კი არა! სად მაქვს ბინა?.. — მთელი სახე და ხელგი აუგანკალდა, გავალები გაუფართოვდა.

— არა, იქ არა!“ (სლო № 25010, გვ. 156-157).

51. როგორც ჩანს ეს ერთეული შემთხვევა არ ყოფილა, გალაკტიონის არქივში არსებობს 1957 წლის 8 მარტით დათარიღებული ჩანაწერი, სადაც მსგავსი ამბავის მოთხოვილი და ფარიც არის მოსხენიებული:

„1957. 8 მარტი. დიდის 11 საათი.

ვიდაც მეგრელი მოაწევდა ჩვენს კარგს დეინოებით.

— იმის ნახვა მინდა! იმიტომ მოვედი.

მოგზავნილია ეტყობა.

— აქ, შენ ისა ხარ, დაინოები რომ მოიტანეთ, ახლავე აქედან გაეთრიეთ. ეხლავე...“

— არა, ბატონი, მე ნახვა მინდა გადაჭრიოთნის!

— ახლავე მიღიციას დავუძახებ... (იღებს ტელეფონს). მილიცია და. Пришёл какой-то человек. Не отходит!

ის იხვევ დას კარგბოან და აწვება კარგებს. მეგრელია. ცოტა შეშლილიცაა. მაგრამ აწვება და აწვება კარგებს. ხჩანს მოგზავნილია. იგი დიდის ენერგიით მოითხოვს ოთახში შემოსვლას. არ გვეშვება...“

— რატომ უნდა გვქონდეს ასე მუდამდევ შიში და კანკალი. ქალი ვარ, მეშინა, მივალ მჟავანაძესთან. — დეიდას მემახის იმსელა ბებერი კაცი... — უკავე სიტყვაში მიწვევს... — იცი რანაირად! — ვინც მე მაგზავნის, იმასთან... ბოდიში მოიხადეთ.

ნინამ ხელი დაავლო ცოცხეს, კალოშებს... შეუტია. უცნობი იძულებული იყო დახევლიყო, წასულიყო, მიღიციას დაძახებას რომ აპირებდა ნინა. შემდეგ ამბები ფატის თინების...

შე... დიდი სიფრთხილეა საჭირო... ძალიან მაგრად დახვდა ნინა.

მოსალოდნელია შემოტევის გაგრძელება. მოქმედებები, გმირები, როგანისცემი...“

ასეთია, ნინა, შენი 8 მარტი, ქალთა დღე“ (XXII:309-310).

უცნობების — „უცნაური ხალხის“ მასთან შინ მისვლით გალაკტიონი ამავე წლის 27 ნოემბერსაც არის შემფოთებული (XIX:475-476).

52. 1958 წლის 29 დეკემბერს ზაქარია ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის თეატრში გაიმართა გალაკტიონის ტაბიის შემოქმედებითი მოღვაწეობის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო („ლიტერატურული გაზეთი“, 1958 წ., №52).

53. ცნობა საკვრო. დავით რონდელის წიგნი „გალაკტიონ ტაბიე“ ჩვენ

ვერ მოვიძიეთ.

54. ქდენტი ბერსარიონ (1903–1976), საბჭოთა კრიტიკოსი, მწერალთა კავშირის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ხანგრძლივი დროის მანიულზე.

55. იგულისხმება ტიციან ტაბიის 1927 წელს დაწერილი ლექსი „გალაკტიონ ტაბიიებს“.

56. ტიციან ტაბიიებ, რომელიც თავად ესწრებოდა პრეზიდიუმის სხდომას 1937 წლის 8 ოქტომბერს, მწერალთა კავშირიდან გარიცხეს, ხოლო გვიან დამით დააპატიმრეს. ამავე წლის 15 დეკემბერს „ნკდ“-ს ტროიკამ მას დახვრცის განაჩენი გამოუტანა.

57. გალაკტიონის მას პროკლე (აბგსალომ) ტაბიი 1948 წლის 2 ოქტომბერს გარდაიცვალა.

58. 1959 წლს 6 მარტის „ლიტერატურულ გაზეთში“ მოთავსებულია ცნობა, რომ „თბილისის მშრომელთა დეკტატორის ეანდიდატებად რეგისტრირებული არიან მწერლები: გრ. აბაშიძე, მარიამ ალექსანდრიშვალიანი, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, რევაზ მარგიანი, იოსებ ნონეშვილი, ბერსარიონ ქლები“. 59.

59. ვანის რაიონსა და სოფელ ჭყვიშში გალაკტიონმა 1955 წლის 9 და 10 ივნისს იმოგზაურა. შეხვედრების აროგრამა გადატვირთული იყო და პოეტს, როგორც ჩანს, სურვილი გაუჩნდა, უფრო ხანგრძლივი დროით ჩასულიყო მშობლიურ სოფელში, რაც, სამწუხაროდ, ვერ განახორციელდა.

60. ვასილ ტაბიი 1891 წლის 23 ოქტომბერს ფილტვების ანთებით გარდაიცვალა, გალაკტიონ ტაბიი 1891 წლის 5 (17) ნოემბერს დაიბადა. 1892 წლის 9 მარტს „ივერიაში“ დაიბეჭდა ცნობა ვასილ ტაბიის გარდაცვალების შესახებ („ივერია“, 1892 წ. №62). ის. გალაკტიონის ჩანაწერი „მამაქემი (XIII:428).

61. გალაკტიონის დედამ მაკრინე ადეიშვილმა ქუთაისში გაბაშვილის მთაზე (იგივე არქიელის გორა), ანდრო წერეთლის სახლში იქირავა კურძო ბინა, სადაც შვილებს ნათესავების ბაჟშვებთან ერთად უვდიდა (აღ. ტაბიიებ, ტიციანის დეიდაშვილები ეზიკია და გრიგოლ კოხერეიშვები, თავად ტიციანი, გალაკტიონის ბიძაშვილი აგაბო ადეიშვილი, დეიდაშვილი ამბერ ჯულაფიები). მისი მზრუნველობით ისინი დამატა ყოფილებლად სწავლობდნენ, რასაც მოწმობს საშინაო დაკომიტეტი. მოსწავლეებს ბინაზე აკითხავდა სკოლის ზედამხედველი, რომელსაც საკლასო უკრნალიდან ამოწერილი ნიშნები გადასცემდა საშინაო დაკომიტეტი. ფაქტი დასტურდება: ქუთაისის ცსა, ფონდი 7, საქმე 1764, ფურ. 9; გ. ტაბიი საარქივო გამოცემა, XVIII:139; XXIII:111–113; 473; 6. ტაბიიებ, „გალაკტიონი“, თბ., 2000, გვ. 109, 110.

62. ამბერკა, იგულისხმება ამბერკ ჯულაფიებ, გალაკტიონის დეიდაშვილი, ვაჟი ანასტასია დეიდაშვილისა, ანასტასია სოფელ სააიჭაოს (ყუმურის) მღვდელზე იყო გათხოვილი (XIII:165, 187).

63. ეს ცნობა, სავარაუდოდ, მცდარია, იმ დროს მაიაკოვსკიც მოსწავლე იყო, თანაც გალაკტიონზე თრი წლით უმცროსი. კლადიმირ მაიაკოვსკი (1893–1930) ქუთაისის სახულიერო სახსავლებელში სწავლა 1902 წელს დაიწყო, ხოლო 1906 წელს, მამის გარდაცვალების შემდეგ, ოჯახთან ერთად საცხოვრებლად მოსკოვში გადავიდა. ლექსების წერა 1909 წელს დაუწეია, ციხეში, სადაც პოლიტიკური მოდგრების გამო მოხვდა.

64. გალაკტიონი უნდა გულისხმობდეს 1905 წელს ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველის – გრეკოვის მკვლელობას (XIII:281; XX:465). ის. აგრეთვე ფრაგმენტი გ. ტაბიის 1907 წლის დღიურიდან – 6. ტაბიიებ,

„გალაკტიონი“, თბ., 2000, გვ. 119.

65. შეად. გალაკტიონის ჩანაწერი: „მეც ახლო ვიდექი რევოლუციურ წრებითნ... ეს წრე იკრიბებოდა სადამოობით ჩვენს გვერდით ნაცელიშვილების სახლში, მდინარე რიონის პირად, მაღლობზე, სახლი გადასცემების მტკრიდა მთელ ქუთაისს ჩაფლულს მწვანეში“ (XIX:364).

66. გალაკტიონის ეს ცნობა არ შეესაბამება სინამდვილეს. ლექსი „პირველი მაისი“ პირველად გამოქვეყნდა 1933 წელს უკრაინალში „მნათობი“ (№5).

67. 1909 წლის აგვისტოს ბოლოს გალაკტიონი სასულიერო სემინარიაში გამართულ გამოცდებზე ჩაიტრა და თვითმეცვლელობა სცადა, კარბოლმქაფით მოიწამდა თავი (აკაკი მინაშვილის კორესპ., აღმანახი „პირველი ნაბიჯი“, 1909, №1, გვ. 8).

68. 1910 წელს გალაკტიონმა თხოვნით მიმართა სკოლების მთავარ მეთვალყურეს თქორ ეორდანიას, დაენიშნათ სკოლის მასწავლებლად. დაინიშნა შორაპნის მაზრის სოფელ ფარცხნალის (ხარაგაულის ახლოს) დაწეულითი სკოლის მასწავლებლად.

69. 1911 წლის გამ. „მნათობში“ (№ 18) დაიძეჭდა სკოლის დახურვასთან დაკავშირებული კორესპონდენცია: „იქვე, ეკლესიის გალავანში პატარა ხის ქოხია აგებული, რომელ შიდაც შეკოლა გვქონდა მოთავსებული. აღგილობრივი მღვდელი მამა კირ. კელენჯერიძე ბეგრს ცდილობდა გაუშმავობესებია ეს შეკოლა. უკანასკნელად მასში მასწავლებლით ლირსეული აღამიანი იყო, ახალგაზრდა მწერალი ტაბიძე. მაგრამ დასახულებული მღვდლის პირადმა მტრების მისივე წოდებიდანვე ხალხი აამხედრა, როგორც მის წინააღმდეგ, ასევე შეკოლის მიმართ, და ეს ერთად ერთი კელებურული დაწესებულება, რომელიც 200 კომლ კაცს ემსახურებოდა, დაახურინა კიდევ...“. ფარცხნალის სკოლის დახურვასთან დაკავშირებით იხ. გალაკტიონის წერილი (XXII:96).

70. ეს ცნობა არ შეესაბამება სინამდვილეს. გალაკტიონი ფარცხნალში კოფნისას (1911) არ იცნობდა ოლია ოკუჯავას. 1911-1912 წლებში გალაკტიონს უყვარდა რაისა ჩიხლაძე, რომელმაც არ გაიზიარა მისი გრძნობა (I:133–135, 138; XXV:56-57). ოლია მან 1913 წლის ზაფხულში ქუთაისში გაიცნო.

71. 1914 წლის I მარტიდან მთავრობამ აერძალა გაზეთი „სიმართლის ხმა“, ის შეცვალდა გაზეთმა „აზრმა“ და „აზალმა აზრმა“. გალაკტიონი, როგორც ამ გაზეთების პეტიური თანამშრომელი, ქუთაისის ქანდარმთა სამმართველომ ჯერ მეთვალყურეობის ქვეშ აიყვანა, ხოლო მოგვიანებით გადაწყვეტილება მიღიო მისი დაპატიმრების შესახებ. ფაქტი დასტურდება ქუთაისს ჯნდაროვის სამმართველოს უფროსის 1914 წლის მიწერილობებით (საქ. ცხა ფონხდი 153, საქმე 3390, ფურ. 112-113; 123-124; 186-187). აგრეთვე, იხ. o. ღოროთქიფანიძე. „გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრების ქრონიკა“, თბ., გვ. 92-93;

72. 1913 წლის 15 სექტემბერს აპაკი წერეთელმა ქვემო იმერეთში – ქვეტირსა და მუხიანაში იმოგზაურა, სადაც მას ისეთიც სახალხო დახურვები მოუწვეს, როგორც ერთი წლით ადრე რაჭა-ლეჩებუმში. ამ მოგზაურობაში მას სხვებთან ერთად ახლდნენ: დავით კლდიაშვილი, ვარდამ რუხაძე, გალაკტიონ ტაბიძე, ლადო ბზგანელი, გუცა ფარქოსაძე, სერგი გერამიძა, გრიგორ ლადიძე და კინოკერატიორი გასილ ასაშეუელი, რომელსაც ეს მოგზაურობაც გადაუდია კინოფირზე, თუმცა, სამწევაროდ ეს ფილმი დღემდე დაკარგულად ითვლება. გადარჩენილია ამ მოგზაურობის ამსახველი ორი ქადრი, სადაც გალაკტიონი არ ჩანს. ლადო ბზგანელის

პუბლიკაციაში „აკაკის მოგზაურობა მუხიანაში და იმისი სახელობის წიგნთსაცავ-სამკითხველოს კურთხევა“ აღნიშნულია, რომ: „ახალგაზრდა მგო-სანმა გად. ტაბიძემ მიმართა აკაკის ლექსით“. გალაკტიონის ამ მოგზაურობაში მონაწილეობა ზემოთმოხსენიებულ პირთა პუბლიკაციებში და მოგონებებშიც დასტურდება (გ. შარაძე, „აკაკის იუბილე“, 2006, გვ. 418).

73. დარია ახვლედიანის მოგონება — იხ. „გალაკტიონოლოგია“, V, 2010, გვ. 451.

74. გალაკტიონის მონათხრობი აკაკისთან ახლო ურთიერთობაზე აშკარად გადაჭარბებულია.

75. აღვესანდრ ბლოე 1921 წლის 7 აგვისტოს გარდაიცვალა, მის სეონას გალაკტიონიმა მიუძღვნა ლექსები: „ადარ არის მექესტრელი“, „მან მოიტაცა ველები თოვლის“ და სხვ. ბლოკთან გალაკტიონის შეხვედრისა და მეგობრობის დამადასტურებელი სხვა სანდო ცნობა არ შემონახულა.

76. ვლადიმერ მაიაკოვსკისთვის თავის ერთადერთ შეხვედრას გალაკტიონი აღწერს 1940 წლით დათარიღდებულ უბის წიგნაც ში: „თბილისში მაიაკოვსკი იმ დროს ჩამოვიდა, როდესაც შეუძლებელი იყო ვისმეში რამე აღელვება და ინტერესი გამოეწვია. დაინტერესებული მკითხველი შემეცითხება: ვოთომ, რითვინა? — იმიპოვინა, ჩემი გულუბრყვილო მკითხველო, რომ იყო აგვისტო; და ყველამ იცის, რას ნიშნავს თბილისში აგვისტო... მაიაკოვსკიზე ადრე ეს აგვისტო ტფილისია განიცადა პოეტმა ნადსონბა. ნადსონი პატა-სიაში გამოგზავნეს ექიმებმა და ადგილიც დაუნიშნეს — ტფილისი. დროც დაუნიშნეს — ზაფხული. ჩამოვიდა ახალგაზრდა ნადსონი ტფილისში და დაბინვება იმ სახლის მეორე სართულზე, რომლის პირველ სართულში თონე იყო მიწყობილი; და ჩაგარდა პოეტი ნადსონი ორ ცეცხლს შეა, ზევიდან აგვისტოს შეუძრავებელი მსგა, ქვევიდნ რაჭუნიკების მიერ გაცხელებული თონე. და ასტეს ისტერიული ტირილი წერილებით: ეს სად ჯოჯოსთში გამომაგზავნება, ეს რა სააგარაკო აღილია, მიშველეთ, ჩქარა აქედან წამიჭვანეოთ. ასეთია აგვისტო ტფილისში: ამიტომაც ტფილები ზაფხულობით სტოკებენ ტფილისს. და დადიოდა მაიაკოვსკი ტფილისში ჯიბეებში ხელ-ჩაწყობილი, ხელში ჯოხით, ეფრობიულ ტანისამოხსში;

ის იყო „მნათობის“ რედაქციიდან გამოვედი. დავინახე მაიაკოვსკი ადგილობრივი ფუტურისტებით გარშემორტყმული მოდიოდა რესტ. პროსპექტზე. არავითარი ფურადება მისდამი. ახე მოვიდა მილოვის სახლებამდე და შემდეგ უკანვე გაბრუნდა.

სულ რამდენიმე ნაბიჯი და ჩვენ შევხვდებოდით, მაგრამ მე რადაც არ მიმიწვდა მისკენ გულს.

ეს იყო პირველი და უკანასკნელი მისი სხვა.

ეს იყო 1924 წელს.

ოუ არ ვცდები, მაიაკოვსკი იმ დამესვე დახტოვა ტფილისი, მისთვის ასეთი არასტუმარომყვარე, გულგრილი“ (XVI:123-124).

ვლადიმერ მაიაკოვსკის შესახებ გალაკტიონის სხვა ჩანაწერები იხ.: XV:137, 540; XVII:290; XVIII:92; XXI:237; 293-298; XXIII:106, 203.

77. ჩუდეცე, თევდორე (1893-1959), მხატვარი, გალაკტიონის ახლო მეგობარი. იგი 1959 წლის 19 თებერვალს გარდაიცვალა. მასზე იხ. ნინო დარბასისელის პეტლიაცია („გალაკტიონოლოგია“, I, 2002, გვ. 242-255). გალაკტიონის ჩანაწერი (XXII:317-318).

78. იგულისხმება თევდორე ჩუდეცეის მეუღლე ნატაშა კლიმენტის ასული იოსელიანი, რომელიც 1950 წლის 26 იანვარს გარდაიცვალა.

79. გრაფინია ზარნებაუ – აგრაფინა ჯაფარიძე (1855–1926), პრინც კონსტანტინე რდებნებურგის მეუღლე, ეს იყო მორგანაზული ქორწინება, ამიტომ პრინცმა მეუღლეს და შვილებს უონ ზარნებაუს გვარი მისცა. ქუთაისში ისინი ცხოვრობდნენ ანგლისკაიას ქუჩაზე, რომელსაც მოვაინებით, პრინცის პატივსაცემად, ოლდებნურგის ქუჩა ეწოდა, ხოლო ამქამად გაღატიონ ტაბიძის ქუჩა. ისინი ქუთაისიდან 1896 წელს პეტერბურგში, ხოლო შემდეგ პარიზში გადასახლდნენ. 1906 წელს პრინცი რდებნებურგი გარდაიცვალა, ამის შემდეგ გრაფინია ზარნებაუ გარდაცვალებამდე პეტერბურგში ცხოვრობდა. მერი შერვაშიძე ხშირად სტუმრობდა აგრაფინა ჯაფარიძის ქალიშვილს პირველი ქორწინებიდან ნინო დადიანს. ის. გული მათეშვილის პუბლიკაცია: <http://sites.google.com/site/mateshvili17/>; გონია ჯაფარიძის პუბლიკაცია „ჩვენი მწერლობა“, №20, 2011, გვ. 45.

80. „მერი“ 1915 წლის ივნისში ჟურნ. „თავატრი და ცხოვრების“ ფურცელებზე (№ 36) დაიბეჭდა, ხოლო მერი შერვაშიძის ქორწილი 1918 წლის 20 სექტემბერის შემდგარა, კ. ი. ლევის გამოქვეყნებიდან სამი წლის შემდეგ პატარა წერილისადმი მიწერილ წერილში მერი შერვაშიძე დაწვრილებით საუბრობს ამ თემაზე (ი. ლორთქიფანიძე, გაღატიონ ტაბიძე, თბ., 1988, გვ. 119).

81. ამასთან დაკავშირებით ის. XXII:363; XIX:511.

82. ამქამად რეზო თაბუკაშვილის ქუჩა.

83. 1921 წელს ახალგაზრდა პოეტთა ერთმა ჯგუფმა გამოაცხადა კონკურსი პოეტების მეფის ტიტულის მოსახოვებლად. კონკურსში მონაწილე პოეტებს კომისიისავის განსახილევად უნდა წარედგინათ თითო ახალი ლექსი და მათგან საუკეთესოს ავტორს კომისია მიაკუთვნებდა პოეტთა მეფის ტიტულს. ამ კონკურსში გამარჯვება წილად ხვდა გაღატიონის ტაბიძეს, ლევისისთვის „აოზზია უპირველეს ყოვლისა“. გალაკტიონის არქივში შემონახული „საარჩევნო ბიულეტენებიდან“ ირკვევა კონკურსში მონაწილე მწერლთა ერთი ნაწილის ვინობა. გალაკტიონის ძირთადი კონკურსტები არიან ალექსანდრე შანშიაშვილი და იოსებ გრიშაშვილი. ტიციან ტაბიძე თავის ავტობიოგრაფიაში მოგვითხრობს, რომ კონკურსში მონაწილეობა განხრახული პეტიონი ლექსით „ცხენი ანგელოსით“, თუმცა კონკურსში მონაწილე მწერლები არ მიიღო. გალაკტიონის ხმა მისცეს: ია ეკალაძემ, ირაკლი ყანქელმა, გრიგორ ორაგველიძემ, გობრონ აგარელმა, ტერენტი გრანელმა, ალექსანდრე ქალანდაძემ, გრიგორ ზოდელმა, გიორგი საგანელმა, არტემ გაბუნიამ, პოლიო პერამიამ, მიქელ რაბიანმა, სიმონ ჩიქოვანმა და იოსებ იმედაშვილმა.

ბიულეტენების თარიღების მიხედვით არჩევნები რძმდებიმე დღის განმავლობაში მიმდინარეობდა: 1921 წლის 22–25 იანვარს. 25 იანვარს, როგორც ჩანს, არჩევნები დასრულდა და გამოცხადდა გამარჯვებულის ვინობა.

1921 წლის 29 იანვარს გაზეო „ნორნა“-ს ქორნიკაში დაიბეჭდა მცირე განცხადება, რომლითაც საზოგადოებას ემცნო გაღატიონის პოეტების მეფედ არჩევა, ხოლო 2 თებერვალს იმავე გაზეოში მწერალთა კავშირმა განაცხადა, რომ ეს ცნობა სიმართლეს არ შეესაბამება. (XXIV:138–140)

საყურადღებო:

1922 წლის ივნისში გაღატიონმა ლიტერატურული საღამოს მოწყობა განიზრახა. წინასწარ მომზადებული აფიშები იუწესებოდნენ, რომ იმართებოდა პოეტების მეფის გაღატიონ ტაბიძის საღამო. 1922 წლის 23 ივნისს

მწერალთა კავშირში ჩატარდა სხდომა, რომელმაც გამოიტანა დადგენილება გალაკტიონ ტაბიძისათვის საყვედურის გამოცხადების საკითხზე:

„დაქსწრები: კ. მაფაშვილი, ი. აგლიძე, ჭ. აბაშიძე, ვ. რუხაძე, ა. აბაშელი.

განიხილეს: გ. ტაბიძის საღამოს აფიშებში გამოცხადებულია, რომ ის არის პოეტების შეფე.

დაადგინეს: მოისმინა რა გალაკტიონ ტაბიძის საღამოს აფიშების შინაარსი, სადაც გ. ტაბიძე თავისთავის პოეტების მეცვე აღიარებს, საბჭოს სრულიად შეუფერებლად მიაჩნია ასეთი საქციელი საბჭოს წევრისა და პოეტის სახელისათვის, უცხადებს მას საყვედურს, მით უმტკეს, რომ გ. ტაბიძე არცერთი ორგანიზაციის ან სახოგადოების მიერ არ არის არჩეული პოეტების მეცვე.

გინაიდან საზოგადოებაში სტებია გაურცელებული, თოთქოს ეს საღამო იმართება საბჭოს ინიციატივით, გამოცხადებს პრესაში, რომ მას არავითარი დამოკიდებულება არ აქვთ ამ საღამოსთან.

თაგმჯდომარე – კ. მაფაშვილი.

მდგვანი – მ. ბოჭორიშვილი“

(შ. ბარამიძე, „გენიალურ პოეტთა თანაგარსკვლავედში“. „საისტორიო მოამბე“, №65-66. თბ., 1993-1994. გვ. 170).

84. ფაქტი დასტურდება გალაკტიონის უბის წიგნაცის ჩანაწერებით (XX:161).

85. ფაქტი დასტურდება გალაკტიონის უბის წიგნაცის ჩანაწერებით (XIII:256, 258; XIV:221, 398) და თევდორე პეტალინის მოგონებით (სლე №24823).

86. ფაქტი დასტურდება იური მაჭავარიანის და თევდორე პეტალინის მოგონებებში.

87. ანრი ბარბიუსი (1873–1935), ფრანგი მწერალი, ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე. საფრანგეთის კრმუნისტური პარტიის წევრი. სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საბაზო წევრი.

88. „როდესაც ბალმონტმა „ვეფხის ტყაოსანი“ დასტურდა და დაბჭედა, თურმე უთქვამს: „რუსთაველის შემდეგ მე არავის სათავრგმნელად ხელს არ მოვკიდებ, გარდა გალაკტიონ ტაბიძისავა“. გიდათარგმნა კიდევ თცმდე ლექსი და გამოუგზავნა მოსკოვის სამხატვრო თეატრის ერთ-ერთ მსახიობ ქალს. ამ თარგმანების არსებობის შესახებ მეუბნებოდა იგორ პოსტუმალსკი, ჩემი რუსული წიგნის რედაქტორი, იგი შეუძგა თარგმანების ქებნას. ვერ იპოვა დაარგულიერი“ (XVIII:106).

89. გალაკტიონის ეს ცნობა საეჭვოა, რადგან კონსტანტინე ბალმონტი 1932 წელს მიმე ფსიქიური სენით დააგადა და 1935 წლამდე პარიზიდნ 10 კილომეტრით დაშორებულ ქალაქ კლიმატურში კარნაკეტილ ცხოვრებას ეწყოდა, ხდოლ 1935 წლის გაზიფხულზე სამკურნალოდ კლინიკაში მოათავსეს, ხდოც რამდენიმე თვე დაჭყო. ი. ქურნ. „Наше Наследие“, № 61, 2002.

90. ი. გალაკტიონის 1932 წლის 11 ოქტომბრის ჩანაწერი: „ჩემთა ხეტიალთა თანამგზავრ თლიას“ (XIV:284).

91. გალაკტიონის არქივში დაცულია „მოწმის დაკითხვის ოქმი“, რომელიც 1957 წლის 10 დეკემბრით თარიღდება (XXII:71-72).

92. „ტრუბა“ მოისხენება გალაკტიონის 1939 წლის დღიურში (XV:539).

93. იგულისხმება ოლგა დარიუსი. შეად. გალაკტიონის ჩანაწერები (XV:550; XX:429).

94. ოლგა დარიუსი არ გადაუსახლებიათ, მან გალაკტიონი 1941 წლის

აპრილში მიატოვა (XVI:200-204; 232; XXII:363).

95. ეული სანდრო (ქურიძე ალექსანდრე, 1890—1965), საბჭოთა პოეტი, პრო-ლეტარულ მწერალთა ასოციაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, მწერალთა კავშირის მდივანი (1934—1937).

96. სავარაუდოდ, იგულისხმება მწერალი შალვა დადიანი. მან გალაკტიონს საიუბილეო საღამოსთვის და გამოფენისთვის 1958 წლის 28-30 ივლისს ხელოვნების მუშაკთა სახლის დარბაზები დაუთმო. ფაქტი დასტურდება დაგით შუღლიაშვილის მოგონებაში (სლმ 25765-ბ). შ. დადიანი წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა საქართველოს მსახიობთა კავშირს, იყო თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე (1950—1959). 1959 წლის 15 მარტს, სამოკლე ავადმყიფობის შემდეგ, 85 წლის ასაკში გარდაიცვალა იმავე საავადმყოფოში, სადაც გალაკტიონი იწვა.

97. ფაქტი დასტურდება გ. ტბილის დღიურებში (XIX:542—545, 549, 562). გალაკტიონს არ უყვარდა რიცხვი 13, დროდადრო სიებში 13-ის ნაცვლად წერდა — 12-ა, ან სულაც გამოტოვებდა ხოლმე (XVI:231, 244; XXI:424)

98. ქელბაქიანი გენო (1910—1974) — დრამატურგი.

**პუბლიკაცია მოამზადა და კომენტარები დაურთო  
ნანა კობალაძემ**

# წიგნის კრიტიკა

## კახი იოსებიძე

### მხოლოდ გალაკტიონი

ნოდარ ტაბიძის „წერილების კრებული „სული ლაუვარდზე უსპეტაკესი“ (თბ., 2008) მთლიანად გალაკტიონ ტაბიძესა და გალაკტიონოლოგიის საკითხებს ეძღვნება. წიგნში, ძირითადად, შესულია ჩვენი საუკუნის პირველ ათწლეულში გამოქვეყნებული თემატურად და უანრობრივად მრავალფეროვანი მასალა: ეტიუდები, ძიებანი, მოგონებები, პოეტის უცნობი ტექსტები და სხვ.

კრებული იხსნება ვრცელი ინტერვიუთი – „გალაკტიონი ელის ახალ გალაკტიონს“, რომელიც ერთგვარი პროლოგის როლს ასრულებს. ვაქტებით მდიდარი და ლირიკულანალიტიკური ინტერპრეტაციებით გაჯერებული ეს ინტერვიუ სამოძალოდაც დააინტერესებს იმათ, ვინც გალაკტიონის პიროვნულ-ფსიქოლოგიური პორტრეტის შექმნას განიზრახავს.

წმინდა მეცნიერული კუთხით კრებულში საყურადღებოა ისეთი ეტიუდები და გამოკვლევანი, როგორიცაა „გალაკტიონის სატირა და იუმორი“, „იოსებ გრიშაშვილი და გალაკტიონი (ურთიერთობის შტრიქები)“, „ვარლამ რუხაძე და გალაკტიონი“. აქვე მიღუჩენდი ადგილს წერილებს: „გალაკტიონი – მკითხველი“, „წიგნი გალაკტიონის შემოქმედებაში“, აგრეთვე ზოგ წერილ მასალასაც, რომელთაც ქვემოთ შევეხები.

ერთ ინტერვიუში ნ. ტაბიძე ამბობს:

„საწერ მაგიდაზე პატარა ფირნიში მიღევს წარწერით: ღმერთო, ნუ დამაწერინებ ისეთ წიგნს, რომლის შესახებაც შენიშვნის გამოთქმას ეკრძალვოდნენ“ (გვ. 228).

რეცენზიაში აღაგ შენიშვნათა გამოთქმაც მომიწევს, რაც, იმედია, საქმესაც წაადგება და ავტორის გულწრფელ სურვილსაც უპასუხებს.

\* \* \*

გამოკვლევებიდან ყველაზე პრცელია „გალაკტიონის სატირა და ოუმორი“. ეს როგორი, მრავალწახნაგოვანი, ახალი თემაა, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს პოეტისა და მკვლევარის – ემზარ კვიტაიშვილის პიონერული წერილი „ლოთა-ებრივი ირონია. ფიქრები გალაკტიონის სატირაზე“.

საკითხის განხილვას 6. ტაბიძე თვითირონიით იწყებს, როდესაც ობიექტი ირონიისა თავად პოეტია. სახუმარო-თვითკრიტიკული დამოკიდებულება სმის თემას უკავშირდება („ფედია ჩუდეცკის“ და სხვ.), თუმცა იმასაც ვიგებო, რომ ხშირი შეძანილები „ნუ სვამ!“ გალაკტიონს ძალიან აღიზიანებდა.

იმის სახვენებლად, რომ გალაკტიონი მტკიცნეულად განიცდიდა „ლოთობის საშინელებას“, 6. ტაბიძეს მოაქვს ლექსი „საგურამი“, თითქოსდა აქ დაგმობილია სმა, რომელიც ანადგურებს პიროვნებას (გვ. 48-49). ტექსტში რუმბის ხსენება, ცხადია, საკმარისი არაა, რომ იქ ლოთობისა თუ ალკოჰოლის თემა დავინახოთ. „ცხოვრება-რუმბი“ ღვინის კი არა, წუმპიანი ტბორის შესმას ხთხოვს პოეტს. თავად სათაურიც ლექსისა („საგურამი“) მიანიშნებს, რომ აქ სულ სხვა სატკივარი ტრიალებს. კედლიდან მზირალი, მომღიმარე სახე, ნერონსა თუ ჩინგიზ-ხანს რომ ჩამოჰგავს, ჩანგის გაწყვეტილ სიმთან ასოცირდება; აშკარაა სისხლის ტბორის ხრწნადი სუნიც და ტრაგედია პოეტისა, რომელსაც ჯალათად გადაჭვევას უპირებებ („არ მოგცემს საშველს, სანამ თავისთავს არ დაგამსგავსებს“). ერთი სიტყვით, ლექსს პოლიტიკური ქვეტექსტი აქვს და არაფრით უკავშირდება ლოთობის დაგმობას.\*

გამოკვლევაში აქცენტირებულია სატირის ორი მთავარი ასპექტი – საზოგადოებრივი და პიროვნული. სახელმწიფო ში, სადაც „ისიც კი განსაზღვრული იყო, ვისთვის უნდა დაგვეცინა და როგორ“, როცა „საბჭოთა კავშირში გამეფებული რეჟიმი, კომუნისტური დიქტატურა შემოქმედისგან სრულ მორჩილებას მოითხოვდა“ (გვ. 50), სატირის საზოგადოებრივ დანიშნულებაზე საუბარი, ალბათ, პირობითად თუ შეიძლება. ამიტომ გასაკვირი არაა, რომ გალაკტიონის საზოგადოებრივი სატირა, უპირატესად, ოფიციალური შეფერილობისაა – შინაცხოვრებაში კულაკებს და კონტრევოლუციონერებს ამხელს, ქვეყნის გარეთ კი სისხლისმსმელ

\* ამის შესახებ იხ.: თამაზ ვასაძე, სტალინური რეალობის სახე („გალაკტიონოლოგია“, V, 2010).

იმპერიალისტებს ებრძვის...

ნ. ტაბიძე ზუსტად განსაზღვრავს იმ ობიექტები და სუბიექტები მიზეზებს, რამაც განაპირობა გალაკტიონის საზოგადოებრივი სატირის იდეოლოგიური შინაარსი, მაგრამ, ჩემი აზრით, სურათი მაინც რამდენადმე ცალმხრივია, რადგან ნაჩვენები არაა პოეტის შინაგანი პროტესტის გამომხატველი, საპირისპირო განწყობილებანი. საამისოდ საკმაო მასალას იდლევა გალაკტიონის 30-იანი წლების ლირიკა – პირად არქივში ჩატოვებული ლექსები თუ თაურვარიანტები გადაკეთებული ტექსტებისა, რომელთაც მოვლენებისადმი პოეტის რეალური დამოკიდებულება შემოუნახავთ. ასეთ სიტუაციაში გადაჭარბებულად მეტვენება ფრაზა: „კომუნიზმის დოქტრინას, მართლაც, საოცარი ხიბლი აქვს“ (გვ. 53). ფაქტია, ამ ხიბლს რაღაც დროის მანძილზე ვერც გალაკტიონი გადაურჩა, მაგრამ პოეტმა მალევე შეამჩნია საბჭოთა ქვეყანაში დემოკრატიულ-ჰუმანისტური იდეების გაყალბება, დაინახა, რომ ბოლშევიზმი და ფაშიზმი ერთი მედლის ორი შესარეა. ამიტომაც არ შეიძლება გალაკტიონის უცხოეთისადმი მიძღვნილი ციკლის სწორებაზოვანი აღქმა. ამ ციკლის ლექსები, პროცეციებული საბჭოთა სინამდვილეზე, მეორე, სიღრმისეულ განზომიდებას წარმოაჩენს – სატირულ დამოკიდებულებას „მშობლიური სამოთხისადმი“.

ნარკვევში თავმოყრილია პიროვნული ხასიათის უხვი სატირულ-იუმორისტული მასალა, მიმართული უმეტესწილად კოლეგა-მწერლებისადმი. ამგვარ სატირას ნ. ტაბიძე განიხილავს, როგორც გალაკტიონის შინაბუნების გამომხატველ ფაქტებს – უაშიუაშ ობიექტებს, ხშირად ზედმეტად ტენდენციურს, ზოგჯერ – ეთიკის ხორმებიდან გასულსაც...

ნ. ტაბიძის ვრცელ ნაშრომში, სამწუხაროდ, გაანალიზებული არაა გალაკტიონის შემოქმედების ბოლო ათწლეული – განსაბუთორებული ეტაპი სინამდვილესთან კრიტიკული მიახლებისა. პოეტის ესთეტიკურად ლირებული სატირულ-იუმორისტული ცდები ნამდვილად იმსახურებდა მკვლევარის ყურადღებას.

მაქს ორიოდე კუნკრეტული შენიშვნაც.

ნ. ტაბიძე წერს: „ერთ ლექსში პოეტი იხსენებს ფედრას და მის არაკს“ (გვ. 56) – საუბარია გალაკტიონის იგავზე „მგელი და ცხვარი“. ფედრა, მითოლოგიიდან აღებული, ევროპიდესა და რასინის ტრაგედიების პერსონაჟია. აქ, ცხადია, უნდა იყოს ფედრი, იგავთმწერალი, ვისი ფაბულითაც

ისარგებლა გალაკტიონმა (გ. ტაბიძე, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. IV, გვ. 326).

6. ტაბიძე იმოწმებს სატირულ ლექსს „ჩერჩილს რომ ე გამოვაპლოთ“ და იგი „ბგერწერული დაცინვის“ იშვიათ მა-გალითად მიაჩნია (გვ. 72). დაცინვას ამ ერთსტროფიან ლექში არაფერი აქვს საერთო ბგერწერასთან, აქ უფრო შარადული „ტექნოლოგია“ გამოყენებული.

„გალაკტიონის სატირა და იუმორი“ საკითხის შესწავლის ერთ-ერთი პირველი ცდაა და გზამქვლევი იქნება ამ თემით დაინტერესებულთათვის.

\* \* \*

„იოსებ გრიშაშვილი და გალაკტიონი“ – ასეა დასათა-ურებული ვრცელი ეტიუდი, რომელიც ორი დიდი პოეტის ურთიერთობის ისტორიას იკვლევს. აქ თითქმის სისრულითაა თავმოყრილი და ნაჩვენები ორივე სუბიექტთან დაკავშირებუ-ლი ფაქტები და პერიპეტიები – კეთილგანწყობის აღრუული, ხანძოკლე პერიოდიდან ფარულ თუ გამჟღავნებულ დაპირი-სპირებამდე. უხვი ფაქტოლოგიური მასალის საფუძველზე მკითხველს არ უჭირს ობიექტური აზრი შეიქმნას პოეტების ურთიერთობაზე, რომელშიც გრიშაშვილი აშეარად რესპექტა-ბელურად გამოიყურება, გალაკტიონის ქცევას კი გადიზიანე-ბისა და აგრესიულობის ელფერი დაკვრავს.

ასეთ სიტუაციაში, ცოტა არ იყოს, მოულოდნელია 6. ტაბიძის განმარტებანი თუ ინტერპეტაციები, როცა იგი ცდილობს, ფსიქოლოგიური მოტივაცია მოუძებნოს გალაკ-ტიონის ნეგატიურად შეცვლილ დამოკიდებულებას გრიშაშ-ვილისადმი. მკლევარი წერს: „საქმე ისაა, რომ 1913 წლიდან გალაკტიონი ღირებულებებს პრინციპულად გადააფასებს. უფრო მომთხოვნი ხდება სხვათა პოზიციისადმი. მეტი ჩაღ-რმავებით აანალიზებს საკუთარ შემოქმედებას და ასკვნის: მე პირველი მგრსანი ვარ“ (გვ. 82).

მოსალოდნელ, ლოგიკურ კითხვას აქ ავტორი თავადვე სვამს: „მერე იკითხავს მავანი და მავანი, ი. გრიშაშვილი რა შეაშია?“ (გვ. 82). მართლაც და, რა შეაშია პოპულარობის მწვერვალზე მყოფი იოსებ გრიშაშვილი?! აი, პასუხიც:

„გალაკტიონი სხვაგვარად ფიქრობს. ძველი კერპები უნდა დაიმსხერეს, რათა ახლის ელვარება-ათინათინი არ გაფერმ-კრთალდეს“.

ობიექტურად, გრიშაშვილი ამ დროს მეტად თუ არა, იმ-

გვარადვე ახალია, როგორც გალაკტიონი, ამიტომ ერთგვარი მიმტევებლობა ახლავს 6. ტაბიძის შეფასებას: „რამდენად სა-მართლიანია? ეს უკვე სხვა საკითხია“, „გალაკტიონი ლირსი იყო უმაღლეს პიედესტალზე დგომისა“, მაგრამ „ყოველთვის ვერ პოულობდა მიზნის მიღწევის ოპტიმალურ და აპრობირე-ბულ გზას“ (გვ. 82).

გალაკტიონი რომ მთლად სამართლიანი არაა და ვერც „აპრობირებულ გზას“ პოულობს, ეს მინიშნებულია, მაგრამ ისიც იგრძნობა, რომ „იუპიტერს“ ყველაფერს მიუტევებენ...

ახლა ვნახოთ, როგორ არის შეფასებული ეტიუდში გა-ლაკტიონისადმი გრიშაშვილის დამოკიდებულება.

1927 წელს გამოვიდა ლიტერატურული ბიულეტენი „გალაკტიონი“, რომელშიც გრიშაშვილს მონაწილეობა არ მიუღია. ამის გამო 6. ტაბიძე შენიშნავს: „გრიშაშვილი კვლავ დუმს. გალაკტიონი გულში იხვევს წყენას, გადიზიანებული და დაუნდობელია“ (გვ. 81).

ერთი, რომ არავის გაურკვევია, იყო კი მიწვეული ი. გრი-შაშვილი ბიულეტენში მონაწილეობის მისაღებად. რედაქ-ცია ხომ თავად არჩევდა სასურველ ავტორებს?! მეორეც: რას ნიშნავს „გრიშაშვილი კლავ დუმს?“ განა მან, ერთად-ერთმა, გამოსვლისთანავე არ მიუძღვნა სპეციალური რე-ცენზია „არტისტულ ყვავილებს“, რომელშიც, თავად 6. ტა-ბიძის შეფასებით, მართებულად წარმოაჩინა წიგნის ლირსე-ბა?! გალაკტიონს თუ უთქვამს ან დაუწერია ოდესმე რამე პოზიტიური გრიშაშვილზე?! ნებატიური, გამანადგურებელი რეცენზია კი გამოაქვეყნა მის მიერ შედგენილ კრებულზე „წითელი დროშა“ (1917)...

ეტიუდში ასეთი პასაჟიცაა: „დარწმუნებული ვარ, ი. გრი-შაშვილი კარგად გრძნობდა გალაკტიონის დამოკიდებულებას, სიტყვა „ძამიკოს“ ზუსტად შიფრავდა, – წერს 6. ტაბიძე, – მაგრამ ინიდებოდა (ხაზი ჩემია – კ. ი.), ცდილობდა ფარზე არ აეტანა ეს არასასურველი ურთიერთობა“ (გვ. 83).

გრიშაშვილი აშკარად თავშეკავებულად, ლირსეულად იქცევა, კონფლიქტის საგნად არ აქცევს გალაკტიონის ნება-ტიურად დაშიფრულ „ძამიკოს“. მაშინ რას ნიშნავს ჩემ მიერ ხაზგასმული სიტყვა „ინიდება“?

გრიშაშვილს რამდენიმე გამოქვეყნებული წერილი აქვს გალაკტიონზე, გალაკტიონს – ერთი და ისიც უარყოფითი. გრიშაშვილი საუბრობს გალაკტიონის უდიდეს დამსახურე-ბაზე ქართული მწერლობის წინაშე, თუმცა საყვედურს

მაინც იმსახურებს: თურმე იგი, უბრალოდ, მდინარების წინააღმდეგ არ მიდიოდა, საზოგადოებრივ აზრს არ უპირისპირდებოდა, თორემ რეალურად გალაკტიონზე „არცერთი მოზრდილი პროფესიული ხასიათის სტატია არ გამოუქვეყნებია, არ უჩვენებია და არ დაუსაბუთებია, რა სიახლე შემოიტანა და რატომ არის დიდი!“ (გვ. 86-87).

თავი დაგანებოთ იმას, რომ აქ გრიშაშვილი პიროვნულად არცოუ სახარბიელოდაა წარმოჩენილი; გაკვირვებას იწვევს, რატომ საყვედურობენ გრიშაშვილს, უპირველეს ყოვლისა, პოეტს, შემდეგ კი ლიტერატურულ-თეატრალური წარსულის მკვლევარს, რომ კრიტიკოსის საქმე არ იტვირთა და მოზრდილი, დასაბუთებული წერილი არ უძღვნა გალაკტიონს?!

საქმე მხოლოდ ტენდენციურობას არ ეხება, არამედ გალაკტიონის არაორდინარული ქცევებისადმი მიდგომას. სამოქმედო პრინციპი აქ, ჩემი აზრით, მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს – ამ ქცევების ახენა და არა გამართლება. ამის გარეშე ხელო შეგვრჩება ცრუწარმოდგენა „მუდამ მართალ“, თანაც სხვის ხარჯზე მართალ გენიოსზე.

ამას იმიტომ ვამბობ, რომ გალაკტიონის გამართლება-გალამაზების ცდა ჩანს მეორე ეტიუდშიც – „ვარლამ რუხაძე და გალაკტიონი“.

თავის დროზე ვარლამ რუხაძე თვალსაჩინო პოეტად ითვლებოდა, რასაც გალაკტიონიც იზიარებდა – „აკაკის ლანდის“ (1915) ერთ ვარიანტში იგი ექვს ურჩეულეს მგოსანს შორის ჰყავს მოხსენიებული. უფროსი თაობის პოეტისადმი პატივისცემა გალაკტიონმა, ეტყობა, შემდგებშიც შეინარჩუნა, რადგან ვ. რუხაძე ზემოთ უკვე ნახსენებ ბიულეტენში („გალაკტიონი“, 1927) პერსონალურად მიიწვიეს. სწორედ ამ მიწვევას მოჰყვა სკანდალი. რედაქციამ ვ. რუხაძის რევოლუციისადმი მიძღვნილ ლექსს სათაური შეუცვალა, „უტეხი ძალის“ ნაცვლად „პოეზიის უტეხი ძალა“ დაარქვა, ანუ გალაკტიონისადმი მიძღვნად აქცია და ასე დაბეჭდა. ვ. რუხაძემ, – არაა გამორიცხული, სხვების წაქეზებითაც, – გააპროტესტა ასეთი თვითნებობა. რედაქციამ თავის გამართლება სცადა. გალაკტიონი კამათში არ ჩარეულა. ისიც უცნობია, ლექსში ადრესატის შეცვლა მისი სურვილით მოხდა თუ სხვების ინიციატივით.

ახლა ვნახოთ, როგორაა შეფასებული ეს სიტუაცია:

„ნუთუ არ შეიძლებოდა, ეს საკითხი მშვიდ ვითარებაში გაერკვიათ? საჭირო იყო კი ასეთი ხმაური?“ ამ კითხვაში

შეუფარავად ისმის ვ. რუხაძისადმი საყვედური, სამაგიეროდ, ხაზგასმულია გალაკტიონის ღირსეული თავშეკავება: „გალაკტიონს ამ დაბაბულ სიტუაციაში სიტყვაც კი არ დაუმრავს“ (გვ. 104).

პოლემიკაში სიმართლე ვ. რუხაძის მხარესაა, რასაც არც ნ. ტაბიძე უარყოფს („უნდა დავთანხმოთ ვ. რუხაძეს, რომ ერთმა სიტყვამ შეცვალა ნაწარმოების გამიზნულობა“ – გვ.104), მაგრამ დამუნათება მაინც მხოლოდ მის წილად მოდის. მინიშნებაც კი არაა იმაზე, რომ გალაკტიონის მხრივ განზე დგომა კი არა, კამათში ჩარევა იყო საჭირო და პერსონალური ბოდიშის მოხდაც უფროსი თანამოკალმის წინაშე.

აქაც ძალაში რჩება ჩემი სურვილი – კი არ გავამართლოთ, ავხსნათ გალაკტიონის პიროვნება.

\* \* \*

ნ. ტაბიძე ამ კრებულშიც აგრძელებს გალაკტიონოლოგიაში მის მიერვე შემოტანილ მარგინალიების თემას, რომელიც ორი ნარკვევითად წარმოდგენილი: „გალაკტიონი – მკითხველი“ და „წიგნი გალაკტიონის შემოქმედებაში“. პირველი საყურადღებოა იმით, თუ როგორი დაკვირვებით წაუკითხავს პოეტს ივანე ჯავახიშვილის ნაშრომი „ძველი ქართული საისტორიო მწერლობა“. ძალიან მნიშვნელოვანია წიგნის ფურცელზე გაიკეთებული ერთი ჩანაწერი, რომელიც აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს გალაკტიონის მკვლევარებმა, განსაკუთრებით – ტექსტოლოგებმა:

„აგვინაზღაურებენ თუ არა იმ დანაკლისს, რომელიც მოუვიდა XX საუკუნის დიტ. ისტორიას ცენზურის წყალობით ან „რედაქტორების“ შემიანობით? როგორ შეიძლება დაკარგული ადგილების აღდგენა? გადაკეთებული და „გარდაკაზული“ მასალების შესახებ. მნიშვნელობა აქეს იმდროინდელ რწმენას და აზროვნებას? შესაძლებელია თუ არა ყოველივე ამის შეუსწავლელად ჯეროვანი სამეცნიერო კვლევა?“ (გვ. 107).

გალაკტიონის დასმული კითხვები და მინიშნებანი უთუოდ დასავიქრებელია, რადგან ტექსტის შერჩევისას, როგორც წესი, მხოლოდ ავტორის „უპანასკნელი ნების“ დოგმადქცეული პრინციპით მოქმედებენ ხოლმე.

მარგინალიების რკალის მეორე წერილში თავმოყრილია სხვადასხვა ტიპის მასალა, რომელიც ცხადყოფს, როგორ აფასებდა, ზოგჯერ სამყაროულ მასშტაბებსაც კი ანიჭებდა წიგნს გალაკტიონი. საგულისხმოა პოეტის ერთი ასეთი

მინაწერი: „დრო ულმობელია, თითქმის ყველაფერს სპობს. რა რჩება? „ფერფლი, ცა და წიგნი“ (გვ. 119).

ნარკვეგში წარმოჩენილია გალაკტიონი-კრიზიკოსი – პირუთვნელი, პრინციპული რეცენზენტი ჯაჯუ ჯორჯიგიასა და კონსტანტინე ჭიჭინაძის კრებულებისა. აქვეა საკუთარი წიგნების თვითშეფასებანი, აგრეთვე მსჯელობა ისეთ საეცი-ფიკურ საკითხებზე, როგორიცაა წიგნის გამოყენება ტრ-კულ აზროვნებაში, წიგნი, როგორც შთაგონების წყარო და იმპულსის მიმცემი და სხვ.

ღირებულია ზოგი ინფორმაცია და დაკვირვებაც. მა-გალითად, გარკვეულია ლექსის „უხილავი“ შექმნის საბაბი („გალაკტიონოლოგიური ფრაგმენტები“), ანდა მიგნებულია გალაკტიონთან ფარული პოლემიკის საინტერესო ფაქტი („სი-მაღლე ორბის“). სარწმუნოა ლექსზე „მე ამ წიგნზე რა უნდა ვთქვა მეტი“ გამოთქმული აზრი, რომ შულგინის ზოგიერთი დებულების წინწამოწევით გალაკტიონი შეგნებულად დას-ცინის საბჭოთა ხელისუფლებას (გვ. 133).

სამწუხაოროდ, ნ. ტაბიძის ეს ნარკვეგი არ არის დაზღვე-ული ლაფსუსებისაგან, რაც ტექსტის არასწორ ამოკითხვას უკავშირდება. დასაწყისი ლექსისა „ეს იყო ოქტომბრის დამ-ლევს“ აქ ასეა წარმოდგენილი (გვ. 135):

ოცნებიანი ახალგაზრდა ქალი,  
პრისფერი ტანსაცმლით...

გალაკტიონს „პირისიფერის“ ნაცვლად აქვს „ირისისიფერი“. ამგვარი ჩანაცვლება შეიძლებოდა კორექტურად მიგვეხნია, რომ არა ერთი გარემოება. ლექსის ახლავს მკვლევარის კომენ-ტარი, სადაც „ირისისიფერი“ უკვე „იისფრად“ მოიხსენიება (ქალი „იისიფერ ტანსაცმელში“ გვევლინებაო – გვ. 136). ასეთ ვითარებაში ორიგინტაციადაკარგულია ავტორის მსჯელობა ფერის ფუნქციის შესახებ, რომ „ფერს არა მხოლოდ იდე-ოლოგიური, არამედ პოეტური დატვირთვაც აქვს“ და ა.შ. (გვ. 136).

დასანანია, რომ წიგნში, საერთოდ, ბევრი კორექტურული შეცდომაა – აგტორისეულ ტექსტშიც და გალაკტიონის და-მოწმებულ ლექსებშიც.

\* \* \*

ნ. ტაბიძის გალაკტიონზე დაწერილი წიგნების დამახასი-ათებელი ნიშანია სიახლე მასალებისა, რომელიც მას მეც-ნიერულ მიმოქცევაში შემოაქვს. ეს იმდენად მკვიდრ ტრადი-

ციად იქცა, რომ მკითხველს მუდმივი მოლოდინის განცდა გაუჩნდა. ამ მხრივ არც წერილების სარეცენზიო კრებულია გამონაკლისი. აქ პირველ რიგში უნდა დავასახელო ტიციან ტაბიძის შვიდი უცნობი წერილი გალაკტიონისადმი. ფაქიზ გრძნობებს აღძრავს გალაკტიონის ბარათი დედისადმი, განსაკუთრებით კი მარინე ადვიშვილის წერილი „ფიქრიდან განუშორებელი“ შვილისადმი.

ეპისტოლარული სიახლეები წარმოდგენილია აგრეთვე გალაკტიონის დომინიკა ერისთავისადმი (განდეგილი) გაგზავნილი წერილით, რომელიც საკითხში ბოლომდე გარკვევის სურვილს აღძრავს, და სანუგეშო ბარათით უცნობი მოხუცი მელექსისადმი, რომელსაც პოეტი კეთილი სიცრუით ამშვიდებს.

გალაკტიონის ბიოგრაფიის სრულიად ახალ ფურცელს გადაგვიშლის ეტიუდი „დაგვიანებული ქალბატონი“, რომელიც კრებულში საუკეთესოა არამარტო მასალის არაორდინარულობით, არამედ ტრაგიკული რომანის პერიპეტიების გადმოცემის ფაქიზი მანერით, ტაქტიანი შეფასებებით და პერსონაჟთა მიმართ თანალმობით.

ბელებრიზებულ თხრობას ახლავს ფაქტები და დეტალები, რაც მნიშვნელოვანია მეცნიერული კუთხით. ასეთია ლიდია მეგრელიძის ფსევდონიმით – „ნაზისი“ ხელმოწერილი ლექსი, რომელიც შეიძლება თავად გალაკტიონს ეკუთვნოდეს (გვ. 22), ლიდიასადმი მიძღვნილი უცნობი ექსპრესი გალაკტიონისა (გვ. 33), აგრეთვე ლიდიასადმი მიძღვნილი ცნობილი ლექსის – „ელეგიის“ („ბავშვმა დავდგარე ცრემლი დვარული“) შექმნის ისტორია (გვ. 27).

გალაკტიონის მკლევართათვის საინტერესოა ერთი ლექსიც („არც სილავარდე გამოჩნდა ზეცის“), რომელიც 1932 წელს ჩაუწერია ლ. მეგრელიძეს გალაკტიონის კარნახით. ეს პიეტურადაც მიმზიდველი ლექსი შემოქმედის ოელურ სულიერ განწყობილებას გვიმედავნებს, რასაც მოკლებულია ამ ტექსტის საფუძველზე მოგვიანებით შექმნილი, პუბლიცისტური აქცენტების მქონე ლექსი „მტერს უნდა სძლიო“ (1941).

გალაკტიონობრლოგების თვალსაწიერს მიღმა, ალბათ, არ დარჩება ლ. მეგრელიძის გამოუქვეყნებელი პოლემიკური წერილი, რომელშიც იგი, პოეტის უახლოესი მეგობრის სტატუსით, ეკამათება გიორგი ჩიქობავას „მთაწმინდის მთვარისა“ და „მერის“ შესახებ მოწოდებული ინფორმაციების გამო (გვ. 42).

პირადად ჩემთვის, გალაკტიონის ბიოგრაფიასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია ლიდიას ასეთი ცნობა:

„იცი ლიდია? – მთხრა [გალაკტიონშა – ქ. ი.] მძიმე ხმით, – ოლია ოკუჯავა გადასახლეს. არ დამემშვიდობა. აი, ეს სახლის გასაღები დამიგდო მაგიდაზე და მითხრა: – ეს გინდოდა შენ. აწ იცხოვრე ვისთანაც გინდა და როგორც გინდა“ (გვ. 40).

ამ ჩანაწერმა, – და არა მარტო ამან! – უნდა დაგვაფიქროს, რომ ცხოვრება, სინამდვილე გაცილებით როულია და მკაცრი, ვიდრე გალაკტიონის ლინი ბუდე განდირებული მითი გალაკტიონისა და ოლიას უხინჯო, იდეალურ სიყვარულზე.\*

\* \* \*

6. ტაბიძე გალაკტიონის უცნობ ნაწარმოებებსაც გვაცნობს: 1909 წელს შეთხვულ ორ ლექსს, არმადანს ია ეპალაძისადმი, ვრცელ ვარიანტს ფედია ბუდე ცეკვისადმი მიძღვნილი პოპულარული სახუმარო ლექსისა და სხვ.

ავტორი გალაკტიონის სიჭაბუკის ხანაში დაწერილი ორი პოემის შესახებაც გვესაუბრება. „სამოც გმირს“ (1907) 6. ტაბიძე თერგვალეულთა ტრადიციებს უკავშირებს, ხოლო მეორე, ცოტა მოგვიანებით შექმნილი დაუმთავრებელი დრამატული პოემა „მონასტერში“ ილიას „განდევილოთან“ მიმართებაში განიხილება.

„სამოც გმირზე“ მსჯელობისას 6. ტაბიძე გალაკტიონის რელიგიურ შეხედულებათა შესწავლის საკითხს აყენებს და ამ პოემას პრობლემის ცენტრში მოქცევასაც უწინასწარმეტყველებს, რამდენადაც, მისი შეფასებით, ნაწარმოები „საგულისხმო მასალას იძლევა პრინციპული დასკვნებისათვის“ (გვ. 218).

პოემა ჭაბუკი გალაკტიონის ტრადიციულ ქრისტიანულ პოზიციას გამოხატავს და საეჭვოა, „სამოცი გმირი“ ოდესმე მსოფლმხედველობრივად ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემის ცენტრში აღმოჩნდებს, როგორიც პოეტის რელიგიური მრწამსია. ასევე ძალიან გაჭირდება ტექსტის ერთი ფრაგმენტის ილიას „იანიჩართან“ დაკავშირებაც. ციხეში გამომწყვდეული ქართველი ტყვე ფიქრობს:

თუ ჩემით რამე სიკეთე  
მიენიჭება ქართლსაო,  
მე მზად ვარ! თუნდაც ეხლავვ,  
დევ, შევწირავ თავსაო!

\* ლ. მეგრელიძის მოგონებები ამჟამად უკვე გამოქვეყნებულია ნანა ქობალაძის რედაქციით და კომენტარებით („გალაკტიონის ლინოლოგია“, V, 2010, გვ. 421-459).

„ამ სტრიქონებმა ილია ჭავჭავაძის „იანიჩარი“ გამახსენა“, – წერს ნ. ტაბიძე (გვ. 219). გახსნებაზე თუ მიღდგა საქმე, აქ პირდაპირი გადაძახილია ილიასავე „დიმიტრი თავდადებულთან“, მეფის ფიქრებთან და არა „იანიჩართან“, რომელიც უცხოთა სამსახურში ჩამდგარი ქართველის ბედს ეხება.

გალაკტიონის დაუმთავრებელი პოემა „მონასტერში“ ნამდვილად დავალებული ჩანს ილიას „განდევილით“, როგორც ამას ნ. ტაბიძე აღნიშნავს, მაგრამ გასაზიარებელი არაა მისი აზრი, რომ „გალაკტიონი ცდილობს იყოს ორიგინალური“ (გვ. 204). თუ გალაკტიონის დრამატულ თხზულებას უფრო ფართო ლიტერატურულ-ისტორიულ კონტექსტში აღვიჩვამო და არა მხოლოდ ილიას პოემასთან მიმართებაში, აქ ძალიან თვალსაჩინოა რომანტიკული პოემის ტრადიციის (ბაირონი, ჰუშკინი, ლერმონტოვი) გავლენა. შემთხვევითი არაა, რომ პოემის ქალ-პერსონაჟს **თამარი** ჰქვია და იგი **გუდალის** შვილია, რომ დემონი კლავს ქალის სატრფოს (შდრ.: ლერმონტოვის „დემონი“); მინდიას ცხოვრება და მონასტრიდან გაქცევა კი მწირის ასოციაციას იწვევს ლერმონტოვის ამავე სახელწოდების პოემიდან, რასაც ნ. ტაბიძეც აღნიშნავს (გვ. 211). თამარის აქტიურობაც სიყვარულში, რაც მკვლევარს „ერთ არსებით შტრიხად“ მიაჩნია, სხვა არაფერია, თუ არა რომანტიკულ პოემებში აპრობირებული სიუჟეტური სვლა, რაც დადასტურებულია ბაირონის „კორსარში“, ჰუშკინის „კავკასიის ტყვეში“ და თვით გალაკტიონის რომანტიკულ პოემაში „შანშე“. ლიტერატურულ-კულტურული კონტექსტის გათვალისწინებით იმ კითხვებსაც მოყენება სავარაუდო ახსნა, რაზეც პოემის დაუმთავრებლობის გამო პასუხის გაცემა ჭირს. მაგალითად: „დემონი კლავს მინდიას. რატომ?“ (გვ. 206).

კრებულში შესულია მცირე ესეები თუ ესკიზები – გალაკტიონის კრებულთა წინასიტყვაობანი, მოგონებები – შესანიშნავი „სისხლის უბნობა“ და ლირიკული „კოჭლი სის უკანასკნელი ამოოხვრა“. საერთოდ, წიგნს განსაკუთრებულ ხიბლს მატებს წერილებში ჩართული მოგონება-ინტერმეციები, რომლებშიც დიდი გალაკტიონი სხვადასხვა რაკურსით წარმოჩნდება...

მთლიანობაში ნ. ტაბიძის წერილების კრებული გალაკტიონზე „სული ლაქვარდზე უსპეტაკესი“, მიუხედავად სადაცო საკითხებისა და ცალკეული ხარვეზებისა, საჭირო წიგნია, განსაკუთრებით ახალი მასალის მიმოქცევაში შემოტანით. იგი კუთვნილ ადგილს დაიჭერს გალაკტიონოლოგიურ ლიტერატურაში.

## ნოდარ ნებიერიძე

### ერთი გალაკტიონოლოგიური მონოგრაფო-მანია

ნაზი ხელაიას 2009 წელს გამოცემული წიგნის – „მარადისობის ბინადარის“ შესავალში გალაკტიონ ტაბიდის შესახებ ნათქვამია: „მიუხედავად იმისა, რომ ასობით მონოგრაფიაა მასზე გამოქვეყნებული, მიუხედავად იმისა, რომ ათასგზისაა მისი შემოქმედების ღრმა ლაბირინთებში წვდომის გზა ნაცადი, იგი კვლავ შეუცნობელია თანამედროვეთათვის, როგორც თავის პარნასამდე აზიდული პოეზიით, ისე თავისი პიროვნებით, ბუნებით, ხასიათებით და მითუმეტეს შინაგანი სამყაროთ... მიუხედავად მრავალთა მცდელობისა, გალაკტიონის პიროვნება და პოეზია კვლავ იდუმალებით მოცულ ტაძრად რჩება... განსაკუთრებით პიროვნება... საიდან მოდის ეს არაჩვეულებრივი შეგრძნება ბგერის, სიტყვის, ლექსის, მხატვრული აზროვნებისა, საიდან იღებს სათავეს ეს ჯერარსემენილი და უცნაური ლექსის მელოდია, სად იძერწება ეს ჯერარნახული სახეები, საიდან მოედინება ეს უცნობი ლექსის მდინარე და მომდევნო თაობათა პოეტებისათვის გადაულახავ ბარიერს ქმნის?“ (გვ. 7-8).

6. ხელაია ასახელებს მიზეზს, რომლის გამოც, მისი აზრით, გალაკტიონის პიროვნება და შემოქმედება დღემდე შეუცნობელი დარჩა მკვლევართათვის. ავტორის თქმით: „ჩვენს ლიტერატურის მცოდნეობაში ჯერ კიდევ არ დამკვიდრებულა ის სინთეზურ-ანალიტიკური მიმართულება კვლევისა, რაც პოეტის სულში ჩაგვახედებს, რაც მის პერსონოლოგიურ პორტრეტს წარმოაჩენს...“ (გვ. 7). მისი შეხედულებით, „თანამედროვე მეცნიერება და ლიტერატურათმცოდნეობა გარკვეულ მინიშნებებს გვაძლევს, თუ ბოლომდე ვერ გავხსნით ამ ხელთუქმნელი ტაძრის კარებს, შევიჭვრიტო მაინც შიგნით „ირიბი“ თუ „ალმაცერი“ მზერით. ეგებ მოვიხელთოთ ჩვენთვის მისაწვდომი და გასაგები...“ (გვ. 8).

ეს განცხადება დიდ ინტერესს იწვევს. ვნახოთ, რა სიახლეს გვთავაზობს „მარადისობის ბინადარის“.

\* \* \*

წიგნის პირველი ნაწილი (150 გვერდზე მეტი) გალაკტიონის ბიოგრაფიას – პოეტის პერსონოლოგიურ პორტრეტის ეთმობა, მეორე ნაწილი (დაახლოებით 350 გვერდი) კი წარმოადგენს ნაშრომს – „გალაკტიონის ლექსის მუსიკა“, რომელიც რამდენიმე წლის წინ ორ წიგნად იყო გამოცემული („გალაკტიონის ლექსის მუსიკა“, ქუთაისი, 1996).

„მარადისობის ბინადარის“ გაცნობისას, პირველი, რაც ყურადღებას იქცევს, ავტორის სტილია. წიგნში ხშირად ვხვდებით ამგვარ ფრაზებს:

„უცხო პლანეტების შემცნობი, გალაკტიკაში გაჭრილი სულის დროის წახნაგები თითქმის დიამეტრულად საპირისპიროა ჩვენი დროისა, მაგრამ ერთი რამ უდავოა, დროისა და მითუმეტებს, გამრუდებული, ნაღრძობი დროის შეცნობა პოეტს ამქვეყნიური ცხოვრების აზრს უკარგავდა და ისევ თავისი ასტრალული რაშებით მიქროდა უსივრცოობასა და უდროობაში“ (გვ. 41).

გალაკტიონი „სულ ზღვისებრ ღელავდა და ვულკანისებრ აფრქვევდა საოცარ ფერებს, საოცარ სახეებს, საოცარ აკორდებს“ (გვ. 63).

„უმეტესად ცისკენ თვალმიბყრობილი, ზოგჯერ ისე ახლოს მიდის მიწასთან და მიწიერთან, გეგონება სადაცაა დასცვივა ფრთები, მაგრამ იმავ წამებში ისე მძლავრად აფრთხილდება ოცნება და პოეტური სახე, რომ გრძნობ კარგად გავარჯიშებული ძლიერი ფრინველივით ძალუბს ჯერ შურდულივით მიწისკენ აიღოს გეზი და შემდეგ ისეთი კამარა შეკრას – გაგაოცოს“ (გვ. 121).

6. ხელაია, როგორც ჩანს, ცდილობს, ცნებით ენაზე კი არა, მხატვრულ-ემოციურად გადმოგვცეს სათქმელი, რაც ძალიან უშლის ხელს „მარადისობის ბინადარის“ მეცნიერულ ნაშრომად აღქმას, მით უფრო, რომ აზრის „პოეტურად“ გამოთქმის მცდელობა ზოგჯერ წარუმატებლად მთავრდება და კურიოზამდეც მიდის. მაგალითად, ავტორი წერს:

„...გალაკტიონსა და ყოფიერებას შორის უფსკრული დღიოთიდე ღრმავდებოდა და უკანასკნელი სალტო-მორტალე-სათვის პოეტი თითქოს ბავშვობიდანვე ემზადებოდა“ (გვ. 65). ეს ფრაზა გარკვეული ცვლილებით წიგნში რამდენჯერმე მეორდება:

„პოეტმა თავად ჩამოსხნა ფარდა მთელ თავის ცხოვრებას უკანასკნელი სალტო მორტალეთი“ (გვ. 76); „...როდესაც ვეძებთ იმ ტრაგედიის მიზეზებს, რომელიც 1959 წლის

მარტში დატრიალდა, მიღისარ იმ დასკვნამდე, დასამალავი არაფერია, ფარდა თავად ჩამოსხია მთელ თავის ცხოვრებას პოეტმა უკანასკნელი სალტო-მორტალეთი“ (გვ. 83); „განა სიკვდილის ბედით დაწყევლილი გზის დასტური არაა პოეტის უკანასკნელი სალტო-მორტალე“ (გვ. 105).

ნაშრომში გალაკტიონის გარდაცვალების შესახებ რამდენჯერმე არის დასტური კითხვა – „მკვლელობა თუ თვითმკვლელობა“... ავტორი თვლის, რომ „დღეს მაინც მისხალმისხალ უნდა შეიკრიბოს იმ ზღვა ტკიფილების მარცვლები და სათანადოდ წარმოჩნდეს ყოველივე“ (გვ. 47).

ყველაფერი, რაც პოეტის აღსასრულზეა ნათქვამი „მარადისობის ბინადარში“, მკითხველისათვის კარგა ხანია ცნობილია. ერთადერთი სიახლე, რომელსაც ნ. ხელაია გვთავაზობს, გალაკტიონის თვითმკვლელობის „სალტო-მორტალედ“ – სასიკვდილო აკრობატულ ნახტომად გამოცხადებაა.

\* \* \*

გალაკტიონის ბიოგრაფიას ავტორი, ძირითადად, ვახტანგ ჯავახიძისა და რევაზ თვარაძის წიგნებზე დაყრდნობით გადმოგვცემს, მაგრამ შესამჩნევია სიახლისაკენ სწრაფვის სურვილიც. ნ. ხელაიას აზრით, გალაკტიონის ლექსების წიაღმია პოეტის პიროვნული სახის გასაღები (გვ. 7). იგი დარწმუნებულია, რომ გალაკტიონის ბიოგრაფია, მისივე პერსონოლოგიური პორტრეტი საინტერესოდ იკითხება იმ ლექსებსა, ჩანაწერებსა თუ წერილებში, რომლებიც ასე უხად დარჩა შთამომავლობას (გვ. 9).

გალაკტიონის ნაწარმოებებში პოეტის რეალური ცხოვრების დეტალების ამოკითხვის მცდელობა ავტორს უმეტესად ისეთი დასკვნებისაკენ უბიძგებს, რომელთა სერიოზულად აღქმაც შეუძლებელია. მაგალითად, ნ. ხელაიას აზრით, გალაკტიონი წინასწარ გრძნობდა მარტორბის გოლგოთა მისი თანამგზავრი რომ გახდებოდა (გვ. 59). ეს „წინასწარმეტყველება“ მკვლევარმა ამოკითხა ლექსში „პირველი ვარდი“, სადაც ნათქვამია: „ბავშვობიდანვე იყავი მარტო, ჯვარზე გაკრული“...

ავტორი ამტკიცებს, რომ 1919 წელს გამოქვეყნებულ ლექსში „ედგარი მესამედ“ პოეტი მომავალს განჭვრებს – „ვიდაც მესამე“ არის სიკვდილის აჩრდილი, რომელიც წლების შემდეგ ჩადგა ოლიასა და გალაკტიონს შორის (გვ. 105).

„მარადისობის ბინადარში“ ნაწარმოებთა კიდევ უფრო უცნაურ ინტერესულიასაც გხვდებით. 6. ხელაიას აზრით, ლექსში „სილაუგარდე ანუ ვარდი სილაში“ უდავოდ შევიცნობთ გალაკტიონის ავტოპორტრეტს (გვ. 114). იგი იმოწმებს ნაწარმოების პირველ ორ სტროფს და აღნიშნავს:

„უნდა ვიგულისხმოთ, რომ ლექსის დემონით შეპყრობილ პოეტს გული ეთანაღრებოდა ორთოდოქსი მართლმადიდებელივით რომ ვერ ცხოვრობდა. ლექსის ბომონად ქცევა და მისი თაყვანქბა, დამის თუვა და ბახუსისადმი მიდრეკილებაც გაუმართლებლად მასწია და მონაბიყ, დაღლილი ქალის სახე-ხატმა თავიც ცოდვილად ჩაათვლევინა“ (გვ. 114).

გალაკტიონის ნაწარმოებში ამის მხგავსი არაფერია ნათქამი – მთელი ტექსტი ლირიკული გმირის ღვთის-შმობლისადმი გამოთქმულ სამდურავს წარმოადგენს. გაურკვეველია, „სინთეზურ-ანალიტიკური კვლევის“ რომელი მიმართულება აძლევს 6. ხელაიას უფლებას, ამტკიცოს, რომ ამ ლექსში „უნდა ვიგულისხმოთ“ ის, რაც პოეტს არ უთქვამს და არ უგულისხმია?!“

ავტორს მისთვის სასურველი დასკვნები გამოაქვს გალაკტიონის ჩანაწერებიდანაც. იგი იმოწმებს ფრაგმენტს პოეტის დღიურიდან:

„დედახემმა სოფლიდან წყევლით გამომისტუმრა, აბესალომი აქ ჩამოვიდა, ცარიელი ლაი-ლაი გამართა და ისე წავიდა. ოლია სწორედ მაშინ გაჟქრება, როდესაც აგად ვარ და წყლის მომწოდებელი კაცი არ არის. ამასწინათ მთელი ერთი კვირა ვიყავი ავად და კაცი ჩემთან არავინ მოსულა“ (გვ. 54).

გალაკტიონის ჩანაწერს ნაზი ხელაიას კომენტარი ახლავს: „...ეს ის მარტობა არ არის, ჩემულებრივ მოკვდავთ რომ დაეუფლებათ – მშველეულს და დამხმარექს უხმობენ, ეს მეფური მარტობაა, მეფური ტკივილებია და სწორედ ამგვარი გრძნობა შობს გენიალურ ლექსებს“ (გვ. 54).

პოეტის სიტყვებში მეფური მარტობის ამოკითხვა შეუძლებელია. ამ ჩანაწერში გალაკტიონი ხომ სწორედ ჩვეულებრივი მოკვდავივით ნატრობს, ავადმყოფობისას გვერდით ვინმე ჰყავდეს.

6. ხელაია, როგორც ჩანს, პოეტის ჩანაწერების მხოლოდ ერთ ნაწილს იცნობს. მან გალაკტიონის მოგონებიდან იცის, რომ 1917 წელს პოეტის დაპატიმრების განკარგულება იყო გაცემული. მეცნიერებრივ წერს: „რას ემარტლებოდნენ, რატომ უნდა დაეჭირათ, რატომ გაიუდერა ამ აზრმა. ეხლა ძნელია რეალობის გარკვევა...“ (გვ. 97).

თუ რას ემართდებოდნენ, ამას თავად გალაპტიონი მოგვი-  
თხობს და ეს მოგონება პოეტის თხზულებათა აკადემიური  
გამოცემის მეთორმეტე ტომშია დაბეჭდილი (გვ. 242-244).

„მარადისობის ბინადარში“ წარმოდგენილ გალაპტიონის  
პერსონოლოგიურ პორტრეტს დამაჯერებლობას ვერც  
შელოვსკის, ბახტინისა და ოუნგის ნაშრომებიდან მოგანილი  
ციტატები მატებს, რადგან დამოწმებული ფრაზები ხელოვ-  
ნურად არის დაკავშირებული პოეტის ბიოგრაფიასა და ნა-  
წარმოებებთან. მაგალითად, გალაპტიონის შესახებ უკვე არა-  
ერთხელ გამოთქმული შეხედულებები შელოვსკის ცნობილი  
სტატიის – „ხელოვნება როგორც ხერხი“ – ფონზე ასეთ  
სახეს იდებს:

„შეიძლება ვთქვათ, რომ გალაპტიონის პიროვნება, მისი  
პერსონოლოგიური ხატი თავისთავად არაჩვეულებრიობა  
იყო და გაუცნაურების ძირითადი არსის მომცველი მისი  
პოეზიაც, როგორც ფორმით, ისე შინაარსით, დეავტომა-  
ტიზაციის პრინციპს ექვემდებარებოდა...“ (გვ. 17). ....თუნ-  
დაც ის ფაქტი, რომ აცხადებდა, „დავანგრევ სამყაროს და  
თავიდან შევქმნი ახალსო“, მიგვანიშნებს მასზე, თუ რა-  
ოდენ კერ ურიგდებოდა ჩვეულებრიობას, ავტომატიზებულ  
ყოფას, მთუმეტეს ავტომატიზებულ, გაყინულ პოეზიასა  
და შემოქმედებას, რომ ახლის შექმნის და წინსვლის ეინით  
იყო ყოველუამს სავსეა...“ (გვ. 98-99)

დაახლოებით ასეთივე „წარმატებით“ იყენებს ნ. ხელაია ბაბ-  
ტინისა და ოუნგის ნაშრომებსაც. ვნახოთ ორიოდე მაგალითი:

გალაპტიონი „თავის დროსა და სივრცეში ცხოვრობდა,  
თავისი მარტობის კუნძულზე და შეიძლება ვთქვათ, რომ  
ავტორის ქრონოგრამი თავის სულშივე აერთიანებდა დროსა  
და სივრცეს, მაგრამ ერთიც საინტერესოა, მისი ქრონოტოპიც,  
ისევე როგორც პოეტის წარმოსახვა, გლობალურ სივრცეს და  
დროს ამთლიანებდა“ (გვ. 27).

„შეიძლება ვთქვათ, რომ მისი სისხლის ყველა უჯრედი  
გარდასულ საუკუნეთა ქოდსა და ცოდნას მოიცავდა. მისი  
სისხლის მეხსიერება არაჩვეულებრივი იყო, იგი თავის  
სისხლსა და სულს აყურადებდა, სწორედ აქ პოულობდა  
ხელოვნების უნატივებს მოდელებს, სურათ-ხატებს, ანუ  
არქეტიპებს“ (გვ. 118).

ცნობილ ავტორთა ნააზრევის ამგვარი ციტირება „ხელოვუქ-  
მნელი ტაძრის“ კარებს მიღმა შეჭრების შესაძლებლობას  
ნამდვილად არ გვაძლევს, იგი მხოლოდ და მხოლოდ ნ. ხე-  
ლაიას აზროვნების ზედაპირულობაზე მეტყველებს.

\* \* \*

„მარადისობის ბინადარის“ ძირითადი ნაწილი „გალაპტონის ლექსის მუსიკას“ ეთმობა. პოეტის ნაწარმოებთა კეთილხმოვანება არაერთხელ გამხდარა მკვლევართა მსჯელობის საგანი. ამ საკითხს რამდენიმე გამოკვლევაც მიღდვნა. ნ. ხელაია სხვა ნაშრომების არსებობაზე არც კი მიუთითებს, თითქოს თვითონ არის პირველი ავტორი, ვინც გალაპტონის ლექსის მუსიკის შესწავლა გადაწყვიტა.

ნ. ხელაია არ იმოწმებს აკაკი ხინთიძიძის „გალაპტონის პოეტიკას“, იგი არც თეომურაზე დოიაშვილის „ლექსის ეფუონიას“ იცნობს, თუმცა ეს წიგნები უშუალოდ არის დაკავშირებული მისი კვლევის სფეროსთან.

„გალაპტონის ლექსის მუსიკაში“ ავტორი, ძირითადად, ისეთ საკითხებზე მსჯელობს, რომლებსაც ლექსის მუსიკასთან საერთო არაფერი აქვს: წიგნის მეორე ნაწილის რამდენიმე თავი – „პირველი ნაბიჯები შემოქმედებითი გარემო“, „ქუთაისი და გალაპტონი“, „ზრდადასრულებული გენიოსი“ – კალავ გალაპტონის ბიოგრაფიასა და პოეტის შემოქმედებასთან დაკავშირებულ ზოგად საკითხებს ეთმობა.

გალაპტონის ლექსის მუსიკის ანალიზად, ვფიქრობ, ვერაფრით ჩაითვლება ნაშრომის სხვა ორი ვრცელი თავიც „ბუნების პარმონია“ (გვ. 224-277) და „არსებობის პარმონია“ (278-329).

„ბუნების პარმონია“ შემდეგ ქვეთავებს აერთიანებს: „მზის სიმდერა“, „მთვარის სონატა“, „იისფერი თოვლის შრიალი, წვიმის ჟურნალი და ქარის აკორდი“, „მთის სიმდერა, ზღვის ორგია და ქვის პარმონია“. შესაბამისად, თითოვეულ ქვეთავში ციტირებულია ის ნაწარმოებები, რომლებშიც პოეტი მზეს, მთვარეს, თოვლს, წვიმას, მთას, ზღვასა და ქვის ახსენებს.

ავტორს დროდადრო ასხენდება, რომ, დაპირებისამებრ, ლექსის მუსიკაზე უნდა გვესაუბროს. ამიტომ, ნაწარმოებებზე ზოგადი მსჯელობისას, იგი იწყებს მუსიკალურ ტერმინების – აკორდი, გამა, ფუგა, სტაკატო – „გამოყენებას“.

„მარადისობის ბინადარის“ მიხედვით, გალაპტონის „ათოვდა ზამთრის ბაღებს“ – „თავისთავად მინორული აკორდია“, (გვ. 250); ხოლო „მერის“ მუსიკის საერთო პარმონიაში „მიზნობრივად და შესაბამისად დევს წვიმის გამები“, აქ „სიტყვები არა მარტო ფორმით, რიტმით თუ რითმით, არამედ შინაარსით, განწყობილებითაც ქმნიან ლექსის საერთო მუსიკას. თითოვეული სიტყვა ზოგჯერ გარკვეულ ნოტად, ზოგჯერ აკორდად და გამად, ზოგჯერ ფუგადაც კი აქდერდება

ლექსში“ (გვ. 253-254).

ნაცვალად იმისა, რომ მკითხველს განუმარტოს, თუ რა ქმნის ლექსის – „ქარი პქრის“ მუსიკას, მკვლევარი წერს: ამ ნაწარმოების „ცალ-ცალკე სტრიქონებად თუ სტროფებად აღქმა საცოდაობაა. იგი ხომ ერთი ლამაზი აკორდია, თითქოს ერთი ამოსუნთქვით წარმოდენილი პოეტის ხელიდან“ (გვ. 257).

ვნახოთ კიდევ ერთი მაგალითი. ნაზი ხელაია იმოწმებს „გურიის მთების“ პირველ სტრიქონებს, მისი სიტყვებით რომ ვოქვათ, ლექსის „შესავალ აკორდს“ და ამბობს:

„ეს სტრიქონები მუსიკალური ენით რომ თარგმნო, არც ფუბა აკლია, არც გამა, არც სტაპატო... სწორედ ამის გამოა ასე შთამბეჭდავი და დიდებული... მთელი ლექსი ამაღლებულის ერთი მთლიანი გამაა, მაგრამ ამ გამაში კიდევ მრავალგვარი მუსიკალური ფიგურა დევს: „კიპარისი ისე დელავს, ისე დელავს, ისე დელავს, ისე ტოკავს, ისე ტოკავს, როცა ქარი გადათელავს“. განა ამ პატარა ფუგებით არ მრავალფეროვნება ლექსის მთლიანი არქიტექტონიკა?“ (გვ. 260).

ამ მსჯელობებში არა მარტო ბუნდოვანებაა, არამედ ეჭვიც გვებადება, რომ ავტორი სათანადოდ ვერ აცნობიერებს მუსიკალური ცნებების – „ფუგა“, „გამა“, „სტაკატო“ – მნიშვნელობას.

შემდეგ თავში – „არსებობის პარმონია“ – მკვლევარი ზუსტად ასეთივე „მეოთოდით“ აანალიზებს სიყვარულის, სიკვდილისა და მუსიკის შესახებ დაწერილ ნაწარმოებებს.

შედარებით კონკრეტულ საკითხებს ეთმობა წიგნის ბოლო ნაწილი. „ქართული ლექსის პანგი და გალაკტიონი“ მიზნად ისახავს, წარმოაჩინოს გალაკტიონის ლექსისა და ქართული პოეზიის მუსიკალურ ასპექტთა თანხვდომა (გვ. 330). აქ ციტირებულია გალაკტიონის ის ნაწარმოებები, რომლებიც წინამორბედ პოეტებს ეძღვნება. 6. ხელაია იმოწმებს იმ ტექსტებსაც, სადაც გალაკტიონი ამა თუ იმ ცნობილ ნაწარმოებზე მიგვანიშნებს.

„მარადისობის ბინადარის“ ავტორის მსჯელობა ამჯერადაც არაფრისმოქმედია. ვნახოთ რამდენიმე ნიმუში:

ლექსი „მუსიკის გამოხედვა“ „ბუნებრივი, სადა ხმით მდერის, მუსიკალური სამოსი გამჭირვალეა და ისე პაეროვანი, როგორიც კორნელი სანაძის „ლატავრა ფონიანში“ ცემპა „ქართულის“ შემსრულებელი ქალის კაბა“, საიდანაც სვეტიცხოველის ჩუქურთმებსაც კი ხედავ...“ (გვ. 333).

„გალაკტიონის ლექსი „ქლერს აღმართი“-ც ბარათაშვილის

სახეს წარმოგვიდგენს. იგი მისი პოეზიისა და სულის ერთგვარი გაცოცხლებაა და გამოძახილი“ (გვ. 347).

„გავას სახე სხვადასხვა ასპექტითაა წარმოდგენილი, ლექსში „წიგნები ხალხს“ თითქოს უბრალო, მაგრამ განუმეორებელი სახე იხატება. ვაჟას ბუბუნა სიმღერის ხმა გადმოდის ამ სტრიქონებიდან...“ (გვ. 359).

გალაკტიონის ნაწარმოების სხვა ავტორთა ტექსტებთან კავშირის დამადასტურებელი მაგალითების ძირითადი ნაწილი დიდი ხნის წინაა შენიშვნული. ასეთივე ვითარებაა გალაკტიონის ლექსების ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშებთან მიმართებაზე საუბრის დროსაც. თუმცა არის განსხვავებაც: ნ. ხელაია ამჯერად ცნობილი პარალელების მკოორცელადე მოტანასაც ვერ ახერხებს.

„ხალხური ინტონაციით ჰდერს ლექსი „ქალაგ“, თუმცა იგი არც რვამარცვლედითაა ახმიანებული, არც ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს უკავშირდება“, – წერს ავტორი (გვ. 378).

გალაკტიონის შთაგონების წყარო ამ შემთხვევაში სწორედ ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშია, კონკრეტულად, ხევსურული ლექსი – „მე დ'ქმარა“ (ნოდარ ტაბიძე, გალაკტიონი, 1982 წ., გვ. 248-249).

ნ. ხელაია იმოწმებს ლექსს „თბილისის მთანი კლდიანი“ (გვ. 375) და მოაქვს ციტატა ი. კენჭოშვილის წიგნიდან „გალაკტიონ ტაბიძის პოეტიკა“, სადაც ეს ნაწარმოები დაკავშირებულია ქართული ფოლკლორის ნიმუშებთან „ხოგაის მინდი კვდებოდა“ და „ლექსი ვეფხისა და მოყმისა“.

„მარადისობის ბინადარის“ ავტორი გალაკტიონის უპყებამოქეუებულ ჩანაწერებს რომ გაცნობოდა, იგი პოეტის დღიურებში აუცილებლად იპოვიდა ლექსის – „თბილისის მთანი კლდიანი“ შთაგონების წყაროზე მიმანიშნებელ ფრაზას – გალაკტიონის მიერ ამოწერილ სტრიქონებს ა. შანიძის „ხევსურული პოეზიდან“: „უხიდოდ არ გაიგალის იმ სისხლის ალაზანზედა“ (გალაკტიონ ტაბიძე, საარქივო გამოცემა ოცდახუთ წიგნი XX, 2008, გვ. 26).

წიგნის ბოლო თავში – „ფონეტიკური ხასიათის უნაზესი ჟღერადობა“ – ნაზი ხელაია საგრძნობლად უახლოვდება კვლევის ძირითად საგანს. მას მოაქვს ალიტერაციის უამრავი ნიმუში, იმოწმებს ჰეტერომეტრული საზომით შექმნილ ლექსებს, საუბრობს რითმის სხვადასხვა სახეობაზე, სტროფიკის თავისებურებებზე... მაგრამ ეს მხოლოდ მასალაა, რომელიც ავტორს გალაკტიონის მუსიკის შესასწავლად უნდა

გამოეყენებინა. 6. ხელაია ვერ ახერხებს მთავარს – ევფონიის ფუნქციის ჩვენებას. მის მიერ დამოწმებულ გალაპტონის სტრიქონებს ხან აღწერითი ხასიათის განმარტებები ერთვის, ხანაც – აღფრთვანების გამომხატველი ფრაზები.

\* \* \*

„მარადისობის ბინადარის“ ავტორი, არცოუ იშვიათად, დიდი ხნის წინ გარკვეული საკითხების შესახებ საკუთარ, დაუსაბუთებელ თვალსაზრისს გვთავაზობს.

მაგალითად, გალაპტიონოლოგიურ ლიტერატურაში სათანადო არგუმენტების მოხმობით დამტკიცებულია, რომ როცა „ცისფერყანწელები“ თავიანთ ჯგუფს აყალიბებდნენ, გალაპტიონი უკვე ათიოდე ნოვატორული ლირიკული შედევრის ავტორი იყო (ა. ხინობიძე, „გალაპტიონი თუ ცისფერყანწელები“, 1992, გვ. 157).

სრულიად საპირისპირო დასკვნისაკენ მიჰყავს „სინთეზურანალიტიკური კელვინის მიმართულებას“ ნაზი ხელაია. ქართველ მკვლევართათვის დღემდე უცნობი მეთოდის გამოყენებით „ირკვევა“, რომ „ცისფერყანწელთა“ მსოფლმხედველობამ, სიმბოლისტური აზროვნების ზეგავლენამ სრულყო გალაპტიონის ლექსის ფორმაცა და შინაარსიც (გვ. 181).

გალაპტიონის პოეზიის „იდუმალებით მოცულ ტაძარში“ შეჭრებისას 6. ხელაიას მზერა ალბათ მეტისმეტად „ირიბია“ და „ალმაცერი“. სავარაუდოდ, სწორედ ეს განაპირობებს პოეტის ცნობილი ლექსების „გაუცნაურებულ“ ინტერპეტაციებსაც. იგი წერს: გალაპტიონს „ლურჯა ცხენებში“ ნათქვამი სტრიქონებით – „სიზმარიან ჩვენებით – ჩემი ლურჯა ცხენებით ჩემთან მოესვენებით! ყველანი აქ არიან!“ – სურს პოეტური პარნასისაკენ გაიტაცოს საზოგადოება, თავისთან, პოეზიის ნავთსაყუდელში შემოიკრიბოს ყველა, რათა ჯადოსნური ლექსის მუსიკით დაუამოს ტკიფილები (გვ. 195-196). „ლურჯა ცხენების“ ლირიკული გმირი პოეტურ პარნასზე კი არა, „სამუდამო მხარეში“ – ცივ სამარეში იმყოფება და ეს გარკვევით არის ნათქვამი ნაწარმოებში.

6. ხელაია არაერთ უცნაურ მოსაზრებას გამოთქამს გალაპტიონისა და მისი შემოქმედების შესახებ. პოეტის მარტობაზე საუბრისას, იგი მოულოდნელად ამბობს: „ხომ დიდი ტრაგედიაა მარტობა, მაგრამ მინდიას ტრაგედიაზე აღმატებული მაინც არაა იგი“ (გვ. 59). მკითხველისათვის გაურკვეველი რჩება, რა მიზანს ისახავს პარალელი – რატომ ადარებს ავტორი გალაპტიონსა და ვაჟა-ფშაველას პერსონაჟს.

სიუგარულის თემაზე დაწერილი ლექსების განხილვისას ნ. ხელიას ასევე მოულოდნელად აღნიშნავს, გალაპტიონის სატრფიალო ლექსებში რაღაც **თვითმწვალებლური ჭრილობებიც** (?) იკითხებაო (გვ. 119).

ნ. ხელიას დამოკიდებულება პოეტის ნაწარმოებების ტექსტებსა და სხვა მკვლევართა ნაშრომებთან კარგად ჩანს სატრფიალო ლირიკის შესახებ ნათქვამი სიტყვებიდან:

„რაც არ უნდა თქვას თავად პოეტმა, რაც არ უნდა ამტკიცონ კრიტიკოსებმა იყო ოუ არა მერის სიუგარული რეალური, ამაზე ნამდვილი და წრფელი, ალბათ თავად გალაპტიონისთვის ქვექნად არაფერი იყო. თავად კი ამბობდა, „ჩემი სიუგარული შორეულის ტრფიალი არ არის და ვერც ახლოს წვდება მასო“, ჩვენ დაბეჯითებით გამბობთ, რომ სწორედ შორეულისადმი ტრფიალი იყო გალაპტიონის გრძნობა მერისადმი და ჩვეულებრივი, საყოველდღიურო და მითუმეტეს ოჯახისა და ერთადყოფნისთვის ნამდვილად გაუშემტებელი“ (გვ. 125-126).

ასეთი ვითარებაა, ზოგადად, „მარადისობის ბინადარში“: ავტორს არც გალაპტიონის ნაწარმოებთა ტექსტები აინტერესებს და არც მკელევართა მიერ უკვე გამოთქმული შეხვდულებები... მიუხედავად ყველაფრისა, იგი დაბეჯითებით ამბობს თავის სათქმელს.

წიგნში არაერთი ფაქტობრივი შეცდომაა. მაგალითად, 180-ე გეგრდზე ნათქვამია, რომ „მე და დამე“ უურნალ „ცის-ფერ ყანწებში“ გამოქვეყნდა. სინამდვილეში, ეს ნაწარმოები უურნალ „ოქროს ვერძში“ დაიბეჭდა. გალაპტიონი ვერლენს უწოდებს არა „დაღუპულ მას“ (გვ. 130), არამედ – „დაღუპულ მამას“ („ხშირად ვიგორებ ვერლენს, / როგორც დაღუპულ მამას“)...

როგორც ვნახეთ, ნ. ხელიას ხშირად არასწორად ესმის გალაპტიონის ნაწარმოებებისა და ჩანაწერების შინაარსი. იგი არ იცნობს გალაპტიონოლოგიური ლიტერატურის მნიშვნელოვან ნაწილს, არ იმოწმებს უშუალოდ მისი კვლევის სფეროსთან დაკავშირებულ ნაშრომებს და, რაც მთავარია, პრაქტიკულად, ვერაფერს გვეუბნება ახალს ძირითად საკვლევ საგანზე – გალაპტიონის ლექსის მუსიკაზე, რომელსაც წიგნის უდიდესი ნაწილი ეძღვნება. როგორც თავად გალაპტიონი იტყოდა, –

სწერთ? ქაღალდია,  
სხვა არაფერი!

## ნათია სიხარულიძე

### „რომანსი“

გალაკტიონ ტაბიძის ადრეული ნაწარმოებების პუბლიკაციის ფაქტს წლების შემდეგ ასე ისესენებდა იოსებ გრიშაშვილი: „1908 წელს ჟურნალ „საქართველოს“ მდივანი ვიყავ. ქუთაისიდან აუარებელი ლექსი მოღიოდა... მაგრამ მათ შორის თავისი უშუალო განცდით და კარგი ხელის მონასმით განირჩოდა გ. ტაბიძის ლექსები... როცა გ. ტაბიძის ლექსები მივიღე, მაშინვე გადავწყვიტე მისი დასტამბგა. მაგრამ ორივე ლექსი გაჭიათურებულად მომეჩვენა, განსაკუთრებით მეორე, რომლის ყოველი ხანა ერთფერვან „როცა“-თი იწყებოდა... ავდექი და მეც ამ ათ კუპლეტიანი ლექსიდან მხოლოდ ათი სტრიქონი დაგზოვე. ფინალისათვის ვითომდა ჩემი შემოქმედებაც გამოვიყენ, ბოლოში ორი ბრტყარი ჩავუმატე და ამ სახით დავბეჭდე...“ („ჩემი მოგონება გალაკტიონზე“, თხზულებანი, ტომი IV, 1985, გვ. 115).

იოსებ გრიშაშვილი, როგორც ვხედავთ, ორი ნაწარმოების შესახებ საუბრობს, გალაკტიონ ტაბიძის თხზულებათა აკადემიური გამოცემის კომენტარების მიხედვით კი ჟურნალ „საქართველოში“ 1908 წელს პოეტის მხოლოდ ერთი ლექსი – „როცა ბულბული განთიადისას“ გამოქვეყნდა. ბუნებრივია, გაჩნდა ეჭვი, რომ ამ ჟურნალში გალაკტიონის სხვა ნაწარმოებიც უნდა ყოფილიყო დაბეჭდილი.

„საქართველოს“ 1908 წლის ნომრების გადასინჯვისას, მართლაც, აღმოჩნდა, რომ ჟურნალში (№7, გვ.16) პოეტის კიდევ ერთი ნაწარმოებია დასტამბული, სათაურით „რომანსი“:

გახსოვს ბუნება აყვავებული,  
ტყე და მინდორი ამწვანებული?  
მაშინ ჩვენც გვრწამდა, ჩვენცა გვალხენდა  
ქვეყნად სიცოცხლე და გაზაფხული!..

ეხლა ბუნებამ ფერი იცვალა –  
შემოდგომაა, ზუზუნებს ქარი...

განქრა ყოველი რაც კი გვალხენდა,  
განქრა, წარვიდა, როგორც სიზმარი!..

ლექსი ხელმოწერილია გალაპტიონის ფსევდონიმით „ტაბი“. იგი შეტანილი არ არის პოეტის თხზულებათა აკადემიურ გამოცემაში, თუმცა, როგორც ჩანს, იოსებ ლორთქიფანიძე, გალაპტიონის აკადემიური გამოცემის პირველი ტომის შემდგენელი, იცნობდა ამ ნაწარმოებს. წიგნში „გალაპტიონ ტაბიძე – ცხოვრების გზა და შემოქმედებითი ბიოგრაფია“ მკვლევარი პოეტის ადრეულ ლირიკაზე საუბრისას აღნიშნავს: „ლიტერატურულმა ცხოვრებამ დაიმორჩილა პოეზიის ეშნით მოჯადოვებული გალაპტიონი, მისი ფიქრის საზრუნავი გახდა „ქვეყნად სიცოცხლე და გაზაფხული“. 1908 წლის ქურნალ „საქართველოში“ (№ 7, გვ. 16) დასტამბულ ლექსში „რომანის“ იგი ასე გოდებდა:

შემოდგომაა, ზუზუნებს ქარი,  
განქრა ყოველი რაც კი გვალხენდა,,  
განქრა, წარვიდა, როგორც სიზმარი!..“ (გვ. 53).

გაუგებარია, რატომ არ მოხვდა „რომანის“ გალაპტიონის აკადემიურ გამოცემაში. იმედია, ახალი „აკადემიურის“ შემდგენლები გაითვალისწინებენ „რომანის“ არსებობას და მას პოეტის 1908 წლით დათარიღებულ ლექსებს შორის მიუწენენ ადგილს.

## ეკა იმერლიშვილი

### არცოდნა თუ...

„გალაპტიონოლოგიის“ მეოთხე ტომში, პოეტის შემოქმედებისადმი მიძღვნილ სპეციალიზებულ გამოცემაში, დაიბეჭდა ავთანდილ ნიკოლეიშვილის წერილი „გალაპტიონ ტაბიძის პირველი წიგნი“. ავტორი მიზნად ისახავს, გაარკვიოს 1914 წლის კრებულის ადგილი და როლი გალაპტიონის შემოქმედებით ბიოგრაფიაში. იგი არ იზიარებს ტრადიციულ შეხედულებას – თ. ჩხერიშვილის, რ. თვარაძის, მ. კვესელავას, ა. ხინოიძის, ი. კენჭოშვილის მოსაზრებებს

— გალაკტიონ ტაბიძის ადრეული ლირიკის შეგირდული ხასიათის შესახებ და საპირისპიროს დამტკიცებას ცდილობს. ა. ნიკოლეიშვილი ჩამოთვლის ოცამდე ლექსის სათაურს („მე და დამე“, „მესაფლავე“, „გურიის მთები“, „მიმდერე რამე“, „საღ?“, „უსიყვარულოდ“, „წუხელი, დამით, ქარი დაჟქროდა“ და ა.შ) და კოველგვარი ანალიზის გარეშე ამბობს: „...ამ პოეტურ შედევრთა ავტორის გამოცხადება ვინძეს შეგირდად, აშკარად გადაჭარბებაა“. ეს განცხადება მოულოდნელია, რადგან ავთანდილ ნიკოლეიშვილი არცოუ ისე დიდი ხნის წინ თავად წერდა: „ახალგაზრდა პოეტის არაერთ ლექსში აშკარად იგრძნობა მე-19 საუკუნის პოეტური ინერცია“ (ა. ნიკოლეიშვილი, XX საუკუნის ქართული მწერლობა, ქუთაისი, 2002 წელი, გვ. 218). სხვაგანაც იმეორებდა, გალაკტიონის ადრეული ლირიკა ხარვეზებით ხასიათდება, ხარვეზებად კი პოეტის რითმებს თვლიდა, რომლებიც ბეგრძერითაც და სტრუქტურული ბენებითაც ძნელად თუ ცდებიან მეცხრამეტე საუკუნის ტრადიციათა ფარგლებს. მკვლევარს საერთოდ შებოჭილი ეგონა გალაკტიონის იმდროინდელი ვერსიფიკაციული ძიებები, ხოლო ლექსის მუსიკალური რიტმიკა – საქმაოდ მონოტონური და ნაკლებად მელოდიური (ა. ნიკოლეიშვილი, მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის ნარკვევები, წიგნი V, ქუთაისი, 2005 წელი, გვ. 14).

რა თქმა უნდა, მეცნიერს თვალსაზრისის შეცვლის უფლებას ვერავინ წაართმებს, მაგრამ, ალბათ, უფრო მართებული იქნებოდა, ა. ნიკოლეიშვილს აღწინშნა, ჯერ კიდევ გუშინ გ. ტაბიძის ადრეული ლირიკის ტრადიციულ შეფასებას რომ ეთანხმებოდა.

წერილის ავტორი ფაქტებს ისე წარმოადგენს, თითქოს თვითონ იყოს პირველი მკვლევარი, ვინც გალაკტიონის ადრეული ლირიკის ე.წ. შეგირდული ხასიათი უარყო. იგი, რატომდაც, არ მიუთითებს, რომ ოცდახუთი წლის წინ, გ. ტაბიძის ადრეული ლირიკის მეტრზე, რითმასა და სტროფიკაზე საგანგებო დაკვირვების შემდეგ ამ დასკვნამდე მივიდა თეომურას დოიაშვილი. 1984 წელს გამოცემულ კრებულში „ქაშნიკი. ქართული ლექსმცოდნეობის საკითხები“ 77-ე გვერდზე გაითხელობთ: „გალაკტიონ ტაბიძის ადრეული ლირიკა (1908-1914წ.) მხოლოდ მოსამზადებელი პერიოდი კი არ არის პოეტისათვის, როგორც ამას ჩვეულებრივ აღნიშნავენ,

არამედ განსაკუთრებული ეტაპია მისი შემოქმედებისა... თავისი პირველი წიგნის მიხედვით გალაკტიონი გარკვეული მსოფლადქმისა და სტილის დასრულებული პოეტია“.<sup>1</sup> ამ მოსახურების დასაბუთებას წარმოადგენს თეიმურაზ დოიაშვილის სხვა არაერთი ნაშრომი, მათ შორის „გზა „არტისტული ყვავილებისკენ“, სადაც მკვლევარი განიხილავს ტრადიციისა და ნოვაციის საკითხს გალაკტიონის აღრეულ შემოქმედებაში, განსაზღვრავს პოეტის კლასიკურ მემკვიდრეობასთან დამოკიდებულების ხასიათს, ცალკე გამოჰყოფს „ახალი პოეზიის“ ნიშნებს და უამრავი ლექსის ანალიზის საფუძველზე ასკვნის, რომ „გალაკტიონის აღრეულ ლირიკაში თითქმის ყველა ტრადიციული თემა ტრანსფორმირებულია ახალი ცნობიერების მიერ და ამ აზრით იგი ახალი შინაარსით აღიძეს დილით პოეზიაა“ („ლიტერატურული ძიებანი“, XXVI, 2005 წელი, გვ. 492).

ისიც ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ არც „გალაკტიონის პოეტიკის სათავეებთან“ და არც „გზა „არტისტული ყვავილებისკენ“ არ წარმოადგენს ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას, პირიქით, ეს უკანასკნელი გამოკვლევა რამდენჯერმეც კი დაიძებდა: პირველად ალმანახში „ლიტერატურა და სხვა“ (2001 წელი, №1 (3)), მეორედ – „ლიტერატურულ ძიებანში“ (2004 წელი, XXV; 2005 წელი, XXVI), მესამედ – გალაკტიონ ტაბიდის საარქივო გამოცემის პირველ ტომში (2005 წელი).

ეს ფაქტი გამონაკლისს რომ წარმოადგენდეს, შეიძლებოდა ყურადღება არც გაგებმახვილებინა, მაგრამ ასე არ არის. სხვა მკვლევართა ნაშრომებთან ამგვარი დამოკიდებულების ნიმუშებს ავთანდილ ნიკოლეიშვილის წერილებში კიდევ კევდებით. მაგალითად, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის შრომების X ტომში (2008-2009 წ.) დაბეჭდილია ამ ავტორის სტატია სათაურით – „შარლ ბოდლერის „თრობა“ და გალაკტიონ ტაბიდის „რომელი საათია?“ (ციკლიდან ლიტერატურული პარალელები)“. როგორც ა. ნიკოლეიშვილი აღნიშნავს, მისი წერილი ორ ნაწარმოებს შორის „სათანადო ლიტერატურული პარალელების გავლებას ისახავს მიზნად“ (გვ. 164).

სინამდვილეში ბოდლერისა და გალაკტიონის ნაწარმოებთა მსგავსება დიდი ხნის წინ არის შენიშნული. ეს ტექსტები ჯერ კიდევ 1998 წელს შეადარა ერთმანეთს ლანა კალანდიამ

გალაკტიონის ლექსისადმი მიძღვნილ წერილში „რომელი სა-  
ათია?“ („ფიქრიდან სიტყვამდე“, თბილისი, 1998).

ავთანდილ ნიკოლეიშვილი ლანა კალანდიას წერილის  
არსებობის თაობაზე არაფერს ამბობს და მკითხველს ისეთ  
შთაბეჭდილებას უქმნის, თითქოს გალაკტიონის „რომელი  
საათია“ ბოდლერის „ორობასთან“ თვითონ დააკავშირა.

ასეთ ვითარებაში, ბუნებრივია, ჩნდება კითხვა: რატომ  
არ იმოწმებს ავთანდილ ნიკოლეიშვილი სხვა მკვლევართა  
ნაშრომებს? ეს მხოლოდ არცოდნის ბრალია თუ...

## შინაარსი

წინათქმა.....3

### ცხოვრის, როგორუ ცენტრი

როსტომ ჩხეიძე. საღამოები – ხავერდის ყდაში.....7

### 20-იანი წლები

ლევან ბრეგაძე. რეალობის მონატრება.....56

ირაკლი კენჭოშვილი. „დამე ყაბახზედ“ და გალაკტიონის „საღამო“.....73

ნათია სიხარულიძე. მრავალსტილურობის პრობლემა  
გალაკტიონ ტაბიძის 20-იანი წლების  
შემოქმედებაში.....77

ემზარ კვიტაიშვილი. პოსეიდონის საუფლოში.....86

### იურიევის მუზეუმი

თეიმურაზ დოიაშვილი. „იგი, თანამგზავრი,  
ხშირად მეჩვენება“.....100

### კონკრეტის

კონსტანტინე ბრეგაძე. „ლურჯა ცხენები“: ნების  
მეტაფიზიკა და (ანტი-)სწავლება  
მარადიული დაბრუნების  
შესახებ.....115

### კონკრეტის ფილოსი

ნინო დარბაისელი. Qui pro quo.....131

## Essai

გახტანგ ჯავახაძე.	ჩემი პირველი ცრემლი.....	164
გურამ გოგიაშვილი.	ფერვალი: რა არის თუ ვინ არის?..	168

## მოწყობა

ლევან ბრეგაძე.	რა ახშობს „გონების კარს“?	174
----------------	---------------------------	-----

## Receptio

ქრისტიანე ლიხტენფელდი.	გალაკტიონ ტაბიძე.....	192
------------------------	-----------------------	-----

## მუზეუმის თემა

ფატი დიდია.	მოგონებები საქართველოს სსრ სახალხო მგოსან, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს გალაკტიონ ტაბიძეზე.....	197
-------------	---	-----

## ნიგნი გრაფიკი

კახი იოსებიძე.	მხოლოდ გალაკტიონი.....	252
ნოდარ ნებიერიძე.	ერთი გალაკტიონოლოგიური მონოგრაფო-მანია.....	263

## მუნდ. გრამიშვილი

ნათია სიხარულიძე.	„რომანსი“.....	273
ეკა იმერლიშვილი.	არცოდნა თუ... ..	274

